გიორგი ბოჭორიძე

# რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები

თბილისი
„მეცნიერება"
1994

63.3 (2 ს) 16
გ 898

წიგნში მოთავსებული მასალები ძვირფასი წყაროა არა მარტო რაჭა-ლეჩხუმის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიისათვის, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეპიგრაფიკულ ძეგლებს ეხიჭება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გიორგი ბოჭორიძემ დაღუპვისაგან იხსნა და შთამომავლობას შემოუნახა. ასევე, მდიდარი საეკლესიო ქონება, ძირითადად, გადარჩენილ იქნა და მუზეუმებშია დაუხჯებული. ყველაფერ ამას ასახავს წარმოდგენილი წიგნი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო (ავტორს მისი დამთავრება, საბოლოოდ დამუშავება-სრულქმნა არ დასცალდა), ზოგჯერ მშრალი და კონკრეტულია, მაგრამ მეცნიერულად სრულფასოვანია და მდიდარი ფაქტობრივი მასალების შემცველი. გამოვლენილ ნივთთა ნაწილი დაკარგულია და ეროვნული ისტორიის კუთვნილებად მხოლოდ გიორგი ბოჭორიძის აღწერილობით გახდა.

წიგნი შეადგინა ლ ე ვ ა ნ ფ რ უ ი ძ ე მ

რედაქტორები: ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: თ. ბ ე რ ა ძ ე, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა

გ $\frac{0505000000}{\text{მ } 607 (06)—93}$ ბრძ. № 92-93 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1994

ISBN 5—520—01541—1

## რედაქტორისაგან

გიორგი ბოჭორიძე 1920—30-იანი წლების ქართველ ისტორიკოსთა თაობის შესანიშნავი წარმომადგენელია, თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამოშვება (1918—1922 წწ.), ივ. ჯავახიშვილის მოწაფე, გამოჩენილი მეცნიერი, ეპიგრაფიკის, ისტორიული დოკუმენტების, მატერიალური კულტურის ძეგლების საუკეთესო სპეციალისტი. მისი დაუღალავი, თავდადებული და უანგარო შრომა, უაღრესად რთულ ვითარებაში, მიმართული ისტორიული ძეგლების გამოვლენის, აღნუსხვის, დაცვისა და შესწავლისადმი, შეწყდა 1937 წელს, ამ შესანიშნავი ქართველის უსამართლო რეპრესიისა და პატიმრობაში დაღუპვის შედეგად. მთელი თავისი უშრეტი ენერგია და ცხოვრება გ. ბოჭორიძემ მოახმარა საშშობლოს სამსახურს, მისი წარსულის გამომზეურების საქმეს. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა წარმოადგენს ძვირფას წყაროთმცოდნეობით ბაზას საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ამ მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუქვეყნებელია და დაცულია გ. ბოჭორიძის პირად არქივში, ნაწილი კი სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, დაიკარგა.

ქართული ისტორიოგრაფია ვალშია გიორგი ბოჭორიძის წინაშე. ეს ვალი მან უნდა მოიხადოს პირველ რიგში ამ ღვაწლმოსილი მკვლევრის მეცნიერული მემკვიდრეობის მოვლით და გამომზეურებით. ამით ის, ერთი მხრივ, კუთვნილ პატივს მიაგებს ტრაგიკულად დაღუპული მამულიშვილის ხსოვნას და, მეორე მხრივ, დიდ სამსახურს გაუწევს ქართველოლოგიური მეცნიერების დარგებს, გაამდიდრებს მათი კვლევის ბაზას ახალი მასალით.

ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება წარმოდგენილი წიგნი „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“. გ. ბოჭორიძეს, როგორც ეს ჩანს მისი პირადი არქივიდან, ჩაფიქრებული ჰქონდა მონოგრაფიები საქართველოს ცალკეული ისტორიული კუთხეების შესახებ. ეს წიგნი არის ერთ-ერთი ამ მონოგრაფიის რესტავრაციის ცდა. ეს სასარგებლო, საკმაოდ შრომატევადი და საპატიო საქმე განა-

ხორციელა ლევან ფრუიძემ. წიგნში გაერთიანებულია გ. ბოჭორიძის სამ ნაწილად გამოქვეყნებული ნაშრომი „რაჭის ისტორიული ძეგლები“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, VII, VIII) და მის საარქივო ფონდში რაჭა-ლეჩხუმზე დაცული მასალები, შეკრებილი და გაანალიზებული 1923—1926 წლებში, ამ მხარეში მოგზაურობათა შედეგად.

წიგნი წარმოადგენს საისტორიო წყაროების კომპლექსურ, მეცნიერულ პუბლიკაციას. წყაროების ასეთ კომპლექსურ გამოცემებს ახორციელებდნენ ჩვენი ღვაწლმოსილი მკვლევრები — დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი და სხვები. ასეთ გამოცემებში შედიოდა როგორც სხვადასხვა სახის წერილობითი ძეგლები (წარწერები, ისტორიული დოკუმენტები, მინაწერები, ხელნაწერი წიგნები და სხვ.), ისე მატერიალური კულტურის ძეგლები (საკულტო და საერო ნაგებობები, საკულტო და საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ.). ამ საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო გიორგი ბოჭორიძე.

წარმოდგენილი მონოგრაფია მოიცავს რაჭა-ლეჩხუმის სიძველეთა აღწერილობას, 20-იან წლებში აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ეკლესია-მონასტრებისა და საერო ნაგებობათა ხუსხებსა და დახასიათებას, ეპიგრაფიკული ძეგლების პუბლიკაციასა და მათ პალეოგრაფიულ-შინაასობრივ განხილვას, აქ შეკრებილი და სიძველეთსაცავებში ჩაბარებული სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ძეგლების სიებს, ამ ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ანალიზს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წიგნში აღწერილი და შესწავლილი ძეგლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს უკვე აღარ არსებობს და ამდენად, მხოლოდ გ. ბოჭორიძის თავდადებულმა ღვაწლმა შეუნარჩუნა ამ ძეგლებს არსებობა მეცნიერ-მკვლევართათვის. ეს გარემოება, ცხადია, კიდევ უფრო მეტად ზრდის გ. ბოჭორიძის წარმოდგენილი მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას.

**ნუკრი შოშიაშვილი**

# შემდგენლის წინასიტყვაობა

გიორგი ბოჭორიძის წიგნში: „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები" შევიდა ავტორის სიცოცხლეში სამ ნაწილად გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „რაჭის ისტორიული ძეგლები"[1], შევსებული ავტორის პირად არქივში დაცული მასალით რაჭა-ლეჩხუმის სიძველეებზე. ეს არქივი მოთავსებულია ორ სიძველეთსაცავში: მთავარი ნაწილი საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში[2], ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტში[3] დაცულ მასალას ძირითადად დამხმარე ხასიათი აქვს.

წიგნზე მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ „საქართველოს მუზეუმის მოამბეში" დაბეჭდილი ნაშრომი ნაწილი იყო მის მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიისა, რომლის ხელნაწერის სამი ტომი (ამჟამად დაცული საქართველოს საისტორიო არქივში)[4], შევსებული ავტორის არქივის სხვა მასალით, გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ ნაშრომთან ერთად შევიდა წინამდებარე წიგნში.

წიგნის სათაური იმეორებს გ. ბოჭორიძის ზემოდასახელებული ნაშრომის სათაურს, ოღონდ მას დამატებული აქვს „ლეჩხუმი", რამდენადაც, წიგნში შევიდა ლეჩხუმის მასალაც.

წიგნი დავყავით სამ ნაწილად:

I. რაჭის ისტორიული ძეგლები; II. ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები; III. რაჭა-ლეჩხუმის სიძველეთა ნუსხები.

წიგნს დავურთეთ დამატება:

გ. ბოჭორიძის განცხადებები სხვადასხვა უწყებებისა და კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისადმი და ოქმე-

---

1 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები: საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1928, ტ. V, 1931—1932, ტ. VII, 1933—1934, ტ. VIII.

2 სცსსა, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1753.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 35.

4 სცსსა, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1753, ს. № 28/81 (ტ. I); ს. № 29/82 (ტ. II); ს. № 25/83 (ტ. III).

ბი მის მიერ ჩაბარებული სხვადასხვა სახის ისტორიული მასალის შესახებ.

წიგნს ერთვის აგრეთვე გ. ბოჭორიძის გამოქვეყნებული შრომების სია, შედგენილი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარის — ლილი მოშიაშვილის მიერ.

წიგნში შესული ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (სცსსა, ფ. 1753, ს. № 28/81, გვ. 87 — ლაბეჭინა; გვ. 225— ორბელი; გვ. 263—265 — ნასპერი; გვ. 266 — ორხვი; გვ. 291—295 — ოყურეში), ჩემი თხოვნით, ამოიკითხა და გადმოიღო ვ ა ლ ე რ ი ს ი ლ ო გ ა ვ ა მ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

საველე მუშაობის დროს გ. ბოჭორიძე ფოტოსურათებს იღებდა, რომელიც თან დაურთო თავის ყველა გამოქვეყნებულ ნაშრომს. სამწუხაროდ, გ. ბოჭორიძის ფოტოარქივს ვერ მივაკვლიეთ. წარმოდგენილი წიგნის ფოტოილუსტრაციები ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის რაჭის ექსპედიციის წევრს თ ე ნ გ ი ზ ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ე ს.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომს „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ." გიორგი ბოჭორიძე არ იცნობდა. ეს წიგნი მოგვიახებით, 1963 წელს გამოიცა (გამომცემლობა „მეცნიერება", რედ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, 115 გვერდი). მიუხედავად ამისა, ორივე ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალები ერთმანეთს ავსებენ და აზუსტებენ.

1991 წლის ივნისში, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ისტორიის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების არქივში, ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილმა აღმოაჩინა გიორგი ბოჭორიძის ხელნაწერი წიგნი „იმერეთის ისტორიული ძეგლები", რომლის შესახებაც არავითარი ცნობა არ გაგვაჩნდა. ეს მონოგრაფია ამჟამად გამოსაცემად მზადდება. აქვე დაცულია გ. ბოჭორიძის ხელით სუფთად გადაწერილი მისივე გამოკვლევა ლეჩხუმის ძეგლებზე (თაბორის ეკლესიის სიძველეები, ლაილაშის, აღვის, ცხეთას, ზედა ლუხვანოს, ჭაშლეთის, ნასპერის, ორბელის, საირმეს, ქვიშარის, ალპანას, ცაგერის, ზარაგულას, ზედა წიფერჩის, ჩქუმის, ხვამლისა და ოყურეშის). ეს არის ნაწილი დიდი მონოგრაფიისა, რომელიც ავტორს დასაბეჭდად უნდა

ჰქონოდა გამზადებული, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგ, როგორც ჩანს, დაიკარგა. ხოლო ეს მონაკვეთი და „იმერეთის ისტორიული ძეგლები“, საიდან მოხვდა აღნიშნულ არქივში ვერ დავადგინეთ.

„რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლების“ დედანის დაკარგვის გამო, როგორც ზემოთ ვთქვით, პირველადი ხელნაწერის აღდგენა მოგვიხდა, სადაც ლეჩხუმი ძალიან ღარიბად იყო წარმოდგენილი, რადგან ლეჩხუმის ძეგლებზე სხვა ხელნაწერი ჩემთვის ცნობილ და ხელმისაწვდომ არც ერთ არქივში არ არის დაცული. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ბედნიერმა მიგნებამ მნიშვნელოვნად შეავსო აღნიშნული მონოგრაფია და შედარებით სრულყოფილი გახადა.

* * *

როგორც უკვე ვთქვით, მიუხედავად საგულდაგულო ძიებისა, გ. ბოჭორიძის მიერ გადაღებული ფოტოები და ფირები ვერ მივაკვლიეთ. აღნიშნული წიგნის საილუსტრაციო მასალა მოიძია ფოტოხელოვანმა თენგიზ ფურცხვანიძემ ძეგლთა დაცვის სარესტავრაციო სახელოსნოს არქივსა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ამას დაემატა თ. ფურცხვანიძის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის (თავმჯდომარე აკად. თენგიზ ონიანი) რაჭის ექსპედიციაში მონაწილეობის დროს (ექსპედიცია რაჭაში 1986 წლიდან ყოველ წელს მუშაობს) გადაღებული ფოტოსურათები.

ფოტოილუსტრაციებში ასახულია გ. ბოჭორიძის მიერ შესწავლილი ძეგლების უმრავლესობა, შესაბამისი დეტალებით. სამწუხაროდ, გ. ბოჭორიძისგან ფიქსირებული ზოგიერთი ძეგლი აღარ არსებობს და არც მისი ილუსტრაცია მოიპოვება.

# გიორგი ბოჭორიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი ბოჭორიძის სახელი ჩვენი თაობის ისტორიკოსთა შორის ლეგენდად დადიოდა, ვიცოდით, რომ შემზარავი ბოროტება მოხდა — ეს უნიჭიერესი და საოცრად შრომისმოყვარე კაცი დაღუპეს... მისი ნაშრომების ხელნაწერების გამოცემისათვის თავს არავინ იწუხებდა. აძჯერად, ენციკლოპედიის მეორე ტომში შეგიძლიათ წაიკითხოთ შემდეგი მოკრძალებული ცნობა:

„ბოჭორიძე გიორგი თადეოზის ძე (20. VIII. 1884, სოფ. ნაციხვარი, ახლანდ. ახმეტის რ-ნი, 1939), ქართველი, საბჭ. ისტორიკოსი. სწავლობდა თბილ. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს 1905 რევ. გამოსვლებში მონაწილეობისათვის. 1922 დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი. 1921, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო საქართვ. ცენტრ. არქივში, შემდეგ საქართ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1923—26 ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ისტ. ნივთებისა და საარქივო მასალის მდიდარ კოლექციას მოუყარა თავი და თბილ. და ქუთ. საცავებს გადასცა მრავალი ხელნაწერი. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ მიკვლეული ჯვარისას ეპიგრაფიკული ძეგლი (რაჭა) და თაბორის ოთხთავი (XI ს.)" (გვ. 495).

ყოველდღიური საზრუნავით გართულმა ვეღარ შევძელი გ. ბოჭორიძის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე მუშაობა გამეგრძელებინა.

... ბედმა გიორგი ბოჭორიძის შვილიშვილს თამაზ (თადეოზ) ბოჭორიძეს შეძახვედრა. სპეციალობით იხყიხერი მწვავედ განიცდის სათაყვანებელი პაპის ტრაგიკულ ბედს. თამაზის ოჯახში ინახება ასეთი დოკუმენტი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 2. III. 1962 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეს აკად. ი. დ ო ლ ი ძ ე ს.

ისტორიის ინსტიტუტის დირექციამ არაერთგზის აღძრა შუამდგომლობა ამხ. გიორგი ბოჭორიძის ეთნოგრაფიული ნაშრომის „თუშე-

თის“ დაბეჭდვის შესახებ, მაგრამ დღემდე ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი.

ამჟ. გ. ბოჭორიძის ნაშრომი 15 საავტორო თაბახის მოცულობისაა და შეიცავს ახალ და მნიშვნელოვან მასალას. გ. ბოჭორიძე რეპრესირებული იყო ოცდაათიან წლებში და გადასახლებაში გარდაიცვალა. 1955 წლიდან ის რეაბილიტირებულია.

გთხოვთ აღნიშნული ნაშრომი დაბეჭდოთ გეგმის გარეშე“.

დოკუმენტს ხელს აწერს ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი. მემკვიდრეებმა გ. ბოჭორიძის დასახელებული ნაშრომი ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში წარადგინეს, მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი, აღმაშფოთებელი რამ — მონოგრაფია დაბეჭდვის ნაცვლად დაიკარგა... ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ „მაცნეში“ (ისტორიის... სერია, 1986, № 4, გვ. 161—168) გამოაქვეყნა წერილი — „ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე (დოკუმენტები მოგვითხრობენ). ვახტანგს თამაზ ბოჭორიძესთან ერთად შევხვდი, მან თავაზიანად გადმომცა სცსსა გ. ბოჭორიძის პირადი ფონდის აღწერის პირი.

გადაწყდა, გიორგი ბოჭორიძის შემოქმედებიდან რაჭა-ლეჩხუმის მასალას შევისწავლიდი და წიგნად გამოსაცემად მოვამზადებდი.

ხელნაწერებზე მუშაობის დროს გაირკვა, რომ გ. ბოჭორიძის „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“ სამ ნაწილად გამოქვეყნებული „რაჭის ისტორიული ძეგლები“ მხოლოდ ერთი ნაწილია ვრცელი მონოგრაფიისა, სადაც გ. ბოჭორიძის მიერ შესწავლილი საქართველოს ყველა კუთხე უნდა ასახულიყო. ამიტომ რაჭა-ლეჩხუმის მასალები ერთად შევკრიბეთ, მივეცით საერთო სათაური — „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ და გამოსაცემად მოვამზადეთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში რამდენჯერმე დაისვა საკითხი სახელმწიფო საშუალებებით შესრულებულიყო გ. ბოჭორიძის ნაშრომების შესწავლა და გამოქვეყნება, მაგრამ ეს საშვილიშვილო საქმე ვერა და ვერ მოხერხდა. ისტორიის ინსტიტუტში 1988 წელს ისტორიოგრაფიის განყოფილება გაუქმდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოცემა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, გ. ბოჭორიძის შემოქმედება მიტოვებული არ არის.

* * *

გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძე დაიბადა 1884 წლის 20 აგვისტოს თუშეთის სოფელ ნაციხვარში (თიანეთის მაზრა, ამჟამად ახმეტის რაიონი) მღვდლის — თადეოზის ოჯახში.

საქართველოს საისტორიო არქივის გ. ბოჭორიძის ფონდის აღწერილობაზე დართულ ბიოგრაფიაში გ. ბოჭორიძის დაბადების თარიღად 1885 წელია მიჩნეული. ამ წელსვე იმეორებს ვ. გურგენიძე. არც ერთს გათვალისწინებული არა აქვს გ. ბოჭორიძის ჩემს მიერ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული თარიღი (1884 წლის 20 აგვისტო), რომელიც ეყრდნობა გ. ბოჭორიძის ხელნაწერ ავტობიოგრაფიას (ინახება შვილიშვილის თამაზ ბოჭორიძის ოჯახში).

საგვარეულო გადმოცემის მიხედვით გ. ბოჭორიძის მამა თადეოზი ქვემო რაჭის სოფელ ჯვარისას მკვიდრი, გვარად ბოჭორიშვილი ყოფილა. მამამისს ივანე რქმევია, ამჟამად ოჯახში სხვა წინაპრის სახელი აღარ იციან. რამ აიძულა თადეოზი მშობლიური რაჭა მიეტოვებინა, ცნობილი არ არის, ვარაუდობენ. რომ მან მამა-პაპათა სამვალე მცირემიწიანობის, ხელმოკლეობის გამო დათმო. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ განსწავლული მოძღვარი, თადეოზი, თუშეთის სოფელ ნაციხვარში მღვდლად დაინიშხა, სადაც დაოჯახდა და დარჩა კიდეც. გვარი ბოჭორიძე ამ შემთხვევაში ბოჭორიშვილიდახაა ხაწარმოები. თადეოზის ზოგი შთამომავალი ახლაც ბოჭორიშვილის გვარს ატარებს.

ახლობლები თადეოზს ახოვან, პირმშვენიერ და ფიზიკურად ძლიერ მამაკაცად ახასიათებენ. მისი თაოსნობით სოფელ ნაციხვარში ეკლესია აუგიათ თუ განუახლებიათ, სველ დუღაბზე თავისი მარჯვენა ხელის ანაბეჭდი გაუკეთებია, რომელსაც თურმე ვერავის ხელი ვერ ფარავდა.

თადეოზის მეუღლე თამარ ქაძე ალვანში ულამაზეს ქალად ითვლებოდა, იქ დარჩენილია ხალხური ლექსის ფრაგმენტი:

„თუში ბევრი ყავ მთხოვნელი,
იმერელ ეზმანებოდაო...“

ამრიგად, გ. ბოჭორიძეს რაჭისკენ მშობლიური კუთხის „მიწის ყივილიც“ ეზიდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მან სწორედ საკუთარ წინაპართა საცხოვრისში განახორციელა შესანიშნავი მეცნიერული აღმოჩენა „ჯვარისას ძეგლის“ სახით.

როგორც თამაზ ბოჭორიძე გადმოგვცემს, მკვლევარს ჯვარისაში არათუ მოგვარეები მოუძებნია და გაუცვნია, არამედ „ღვიძლი ბაბუიშვილობაც“.

თადეოზი ჯერ ხაციხვარის მღვდელი იყო, შემდეგ კი ალვანისა. დაკრძალულია ალვანის ეკლესიის ეზოში. მას ოთხი შვილი — სამი ვაჟი (გაბრიელი, გიორგი, გიგლო) და ერთი ქალიშვილი — სიდო ჰყოლია. გიგლო ადრე გარდაცვლილა, გაბრიელს ორი ქალი დარჩა, სწორედ ისინი იწერებიან ბოჭორიშვილებად. სიდო სოფ. ალვანს კიმოთე მურთაზაშვილზე გათხოვილა, იგი შვიდი შვილის დედა გამხდარა. ერთ-ერთი ვაჟი, რევაზ მურთაზაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იბრძოდა. ეს ის რევაზია, რომელმაც უმაღლესი ვეტერინალური განათლება მიიღო და თუშურ ცხვარზე ორი საგულისხმო გამოკვლევა („თუშურ ცხვარზე პიგმენტის გავრცელების კანონხიერება, როგორც მენდელისტური დაყავრების შედეგი“, ტფილისი. „მერძევეემესაქონლეთა კავშირის“ გამომცემლობა. 1929; „თუშური ცხვარი და მისი საბონიტეტო საფუძვლები“, „მეძიხდვრეობა-მესაქონლეთა კავშირის“ ლაბორატორიის მასალებით“, ტფ., „მეცხვარეობის კოლმეურნეობათა ცენტრი“, 1932) დაბეჭდა. ნიჭიერი მკვლევარი და მამულიშვილი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

გიორგი ბოჭორიძე 1910 წელს კაჭრეთში მუშაობის დროს დაოჯახდა ჩაილურელ ანა ევგენის ასულ ქევხიშვილზე. შეეძინათ ვაჟი ვახტანგ და ქალი ნათელა. ვახტანგმა ლენინგრადში მიიღო უმაღლესი საინჟინრო განათლება, ცოლად შეირთო ვალენტინა მიხეილის ასული ბაქრაძე ზემო რაჭის სოფელ ფარახეთიდან, რის გამოც გ. ბოჭორიძე ფრიად მოხარული დარჩენილა, რაჭა და რაჭველები ხომ მას გამორჩეულად უყვარდა. ვახტანგისა და ვალენტინას პირმშო თამაზი (თადეოზი) ბოჭორიძეთა მოდგმის გამგრძელებელია.

გიორგი ბოჭორიძის ასულმა ნათელამ უმაღლესი ფილოლოგიური განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, თელავში გათხოვდა და ამჟამად მისი მთამომავლობა იქ ცხოვრობს.

გიორგი ბოჭორიძე როგორც მამა, აღმზრდელი განსაკუთრებული ტაქტითა და სინაზით გამოირჩეოდა. მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია. მუდამ სამეცნიერო საქმიანობაში ჩაფლულს ოჯახისათვის დრო მაინც რჩებოდა. შვილებთან მისი საყვარელი საუბრის თემა საქართველოს გმირული ისტორიული წარსული და ქართველი ხალხის საარაკო თავდადება, შრომისმოყვარეობა იყო. მიუხედავად მძიმე

ხვედრისა და მრავალი უსამართლობის გადატანისა, ის შურისმაძიებელი არასდროს არ ყოფილა, ირგვლივ მყოფთ, შინაურებს სიხარულით, იმედით ავსებდა და სულიერ სალბუნს მათთან სიამტკბილობაში, აგრეთვე, თავდაუზოგავ გარჯაში ჰპოვებდა.

* * *

ტრადიციული თუშური სოფლის ყოველდღიურობამ ბავშვობიდანვე ასაზრდოვა გიორგის ცნობიერება. ჯერ კიდევ ხელუხლებლად შემონახული ეთნოგრაფიული ყოფითი თავისებურებანი, მთიელთა ლეგენდები, ცეცხლოვანი ხალხური ლექსები, ბრძნული, დინჯი ზღაპრები, თქმულება-გადმოცემანი, სახალხო დღესასწაულები, სალოცავები და კერის კულტი წვრთნიდნენ და აყალიბებდნენ ცნობისმოყვარე, ნიჭიერი ყმაწვილის სულს. პირველდაწყებითი განათლება გიორგიმ თელავის სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. გ. ბოჭორიძის ცხოვრების ეს მონაკვეთი ჩვენთვის სრულიად უცნობია. ვიცით, რომ ოცი წლის ჭაბუკი ქართველი ერის განთავისუფლებისათვის გულანთებული, ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი ხდება, მის გულს ილია ჭავჭავაძის მოძღვრების შემდეგ, ყველაზე მეტად, არჩილ ჯორჯაძის იდეები ესალბუნებოდა. თბილისის სემინარიის ხელმძღვანელობას არ გამოპარვია გიორგი ბოჭორიძის მონაწილეობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი 1905 წელს სემინარიის მეექვსე კლასიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხეს[5]. ამის შემდეგ ის მასწავლებელ გიორგი ბურჯულაძესთან ერთად კახეთის სოფლებს არალეგალური ლიტერატურით ამარაგებდა, ფარულ კრებებს, მიტინგებს აწყობდა. სოფელ ალვანში ახლაც შეხვდებით ღრმად მოხუცს, რომელსაც ცხრაკარაზე გიორგი ბოჭორიძის მიერ გამართული ხალხმრავალი ბჭობა ახსოვს: აქ ის საქართველოს ეროვნული გათავისუფლების ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ცხრაკარაზე გამართული მიტინგის გამო გ. ბოჭორიძე თიანეთის მაზრის უფროსთან დააბეზღეს და ახმეტის ბოქაულმა მისი დაპატიმრება მოისურვა, მაგრამ დევნილმა თბილისს შეაფარა თავი, 1906—07 წლებში იგი უკვე რუსეთშია ჯარისკაცად გამწესებული.

---

5 ვ. გურგენიძე, ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე (დოკუმენტები მოგვითხრობენ), მაცნე, ისტორიის... სერია, 1986, № 6, გვ 161.

1908 წელს სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ „მგლის ბილეთმა" საშუალება არ მისცა წყნარი ცხოვრება დაეწყო, შერისხულს სამსახურს არ აძლევდნენ და მსტოვართა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ამყოფებდნენ. როგორც იქნა მთავრობაში მიღებული კაცი თავდებად იშოვა და სოფელ მატანში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, ოღონდ ერთი პირობით: კეთილსაიმედობის მოწმობას წარადგენდა. ბუნებრივია, ასეთი მოწმობა ვერ იშოვა. გამოსავალი სამუშაო ადგილის ხშირ-ხშირად გამოცვლაში ნახა. მოიარა საგარეჯო, ყანდაურა... ასე ჯვალებით მიაღწია 1912 წლამდე. იგი „მომთაბარეობამ" და მუდმივმა დევნამ მოქანცა. ბოლოს კვლავ ჯარში გაგზავნა დაუპირეს. ორი ზაფხული სამხედრო სამსახურს თავი აარიდა და გაციმბირებას ისევ ანაფორის ჩაცმა არჩია.

1912 წელს სოფელ კაჭრეთის მრევლს ახალგაზრდა მღვდელი გიორგი ბოჭორიძე წარუდგა. მან აქ მჩქეფარე საზოგადოებრივი საქმიანობა გააჩაღა: სოფლებში — კაჭრეთსა და ხახიახში სკოლები გახსნა. ხალხი სოფლის კეთილმოწყობისათვის დარაზმა. მისი მცდელობით მორწმუნეთა ძალა და ენერგია ყოველ შაბათ-კვირას, ღრეობის ნაცვლად, სოფლის სასიკეთო საქმეებს ხმარდებოდა. მამაკაცები უვლიდნენ გზებს, აშენებდნენ საზოგადოებრივ შენობებს, ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლებს; ქალები საკუთარ სახლს, კედელ-ყურეს, ეზომიდამოს როცა დააკრიალებდნენ, ორღობეებს, წყაროსთვლებს, მოედნებს დაგვიდნენ და დაასუფთავებდნენ. სულ მალე კაჭრეთში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გიორგის ინიციატივით სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო კოოპერატივი გახსნეს, ხოლო ნანიანში სარაიონო ბაზარი მოაწყეს და საკრედიტო ამხანაგობა ჩამოაყალიბეს. კაჭრეთში გიორგის მცდელობით რკინიგზის ბაქანი დაარსდა, იქვე ააგეს „სასოფლო სახლი" — კლუბ-სამკითხველოსმაგვარი დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას პრესითა და წიგნებით ამარაგებდა.

მშვიდი ცხოვრების იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ კახეთის მოწმენდილ ცაზედაც დაიქუხა.

სოფ. ხანიახის ადგილ „კვერცხაზე", სადაც გ. ბოჭორიძემ მშვიდობიანი ბაზრობა მოაწყო, ამჯერად ახლომახლო სოფლების ხუთი ათასზე მეტი მცხოვრები შეყარა და რევოლუციური მიტინგი გამართა.

ყრილობა ახალ მთავრობას საგანგებო მილოცვით მიესალმა და მხარდაჭერა აღუთქვა. გიორგი ბოჭორიძე კაჭრეთის მხარის კომისრად

აირჩიეს. მან მღვდლობას თავი დაანება და 1918 წელს ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საისტორიო დარგზე შევიდა. ასე გაიცნო გიორგიმ ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის ლექციებზე მოსმენილი შეგონებანი გიორგი ბოჭორიძის ცხოვრების აზრად იქცა. იგი გატაცებით ეწაფებოდა ცოდნას, ეუფლებოდა ძველ ქართველ მემატიანეთა და მწერალთა შემკვიდრეობას, სწავლობდა ძველსა და ახალ ენებს. სამეცნიერო წვრთნას თვით ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გადიოდა და სტუდენტობიდანვე მეცნიერ-მკვლევრად ყალიბდებოდა. იგი განსაკუთრებით დაოსტატდა ქართულ ეპიგრაფიკას, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში, საეკლესიო სიძველეების შემეცნებითად ათვისება ძალიან გაუადვილა სასულიერო განათლებამ. გიორგი ბოჭორიძემ თავისი მოღვაწეობის მიზნად სიძველეთა გამოვლენა, შესწავლა და დაცვა-შენარჩუნება დაისახა.

გიორგი ბოჭორიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1922 წელს დაასრულა. ეს არის ეროვნული უნივერსიტეტის პირველი გამოშვება, საქართველოში აღზრდილი და განათლებული ქართველ მოღვაწეთა პირველი თანავარსკვლავედი, რომელთაც სამშობლოს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. მათ შორის გ. ბოჭორიძეს ღირსეული ადგილი უჭირავს.

ხელმოკლე ჭაბუკი უნივერსიტეტში სწავლას — 1918—1921 წლებში — საქმისმწარმოებლად მუშაობას უთავსებდა. იგი მოღვაწეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრების და ბოლოს, რევკომის კანცელარიებში.

1921 წლის 25 თებერვალი გიორგი ბოჭორიძის ცხოვრების გზის მისაქციელია. მან პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მთლიანად უარი თქვა და მთელი თავისი შესაძლებლობანი მეცნიერების სამსახურს მოახმარა. სამუშაოც შესაფერისი აირჩია, საქართველოს ცენტრალურ არქივში იგი ჯერ ინსპექტორად, არქივარიუსად, უფროს არქივარიუსად, 1927 წლიდან ძველ საბუთთა განყოფილების, იგივე სექციის გამგედ მუშაობდა. იყო საქართველოს ცენტრალური არქივის სამეცნიერო საბჭოს და სამეცნიერო-საგამომცემლო კოლეგიის წევრი. მისი თანამდებობა ოფიციალურად ასე აღინიშნებოდა: „ძველი საბუთების არქივის (თბილისი, ლენინის ქ. № 48) გამგე“[6].

---

[6] საქართველოს არქივი, წ. II, ცენტრარქივის გამოცემა, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მმართველობა. ტფ., 1927, გვ. 192—193.

მოშურნეთა წყალობით, საბოლოოდ გიორგი ბოჭორიძეს არქივის დატოვება მოუხდა. 1934 წელს ის უკვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, სადაც 1937 წლამდე — დაპატიმრებამდე დარჩა.

არქივში მუშაობის დროს გიორგი ბოჭორიძეს ჰქონდა შეთავსება განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სამეცხიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის ხელქვეით არსებულ სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებაში. ამ განყოფილების ერთ-ერთ ახგარიშში ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, განყოფილების მუშაობა ძლიერ შეფერხებულია უსახსრობის გამო. ძეგლები იღუპება ჩვენს თვალწინ, ფრესკები ირეცხება წვიმისაგან და ხშირად სულ ცოტა თანხაა საჭმარისი პირველხარისხოვანი ძეგლების გადასარჩენად, მაგრამ განყოფილებას არა აქვს საშუალება სათახადო ზომები მიიღოს“. განყოფილებას ჰყავს მუდმივი ინსპექტორის თანამდებობის როლში ცენტრარქივის თანამშრომელი გიორგი ბოჭორიძე, რომელიც თითქმის მუდმივ მგზავრობაშია, კრებს ნივთებს (უმთავრესად ჯერჯერობით საეკლესიოს, მაგრამ ამასთანავე საერთოდ ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის სხვა ნივთებსაც), რომელთაც შემდეგ განყოფილება ათავსებს ერთ-ერთ მუზეუმში, ღებულობს ადგილობრივ ზომებს ძეგლების დასაცავად და აგრეთვე ახდენს ძეგლების აღრიცხვას“.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, განყოფილების სტრუქტურა დაიხვეწა. განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით (1925 წლის 19 ივნისი, № 80) დამტკიცდა განყოფილების ახალი სტრუქტურა, ოფიციალურად დაარსდა განყოფილების გამგის, მდივნის და ინსპექტორის თანამდებობა. ინსპექტორის მოვალეობის შესრულება კვლავ ცენტრარქივის თანამშრომელს გიორგი ბოჭორიძეს დაეკისრა[7]. აუნაზღაურებლად, ხშირად სამივლინებო თახხის გარეშე, უშიშრად მოგზაურობდა იგი საქართველოში და სიძველეებს დაჰფოფინებდა, ლუკმაპურს იკლებდა და შესაძენს იძენდა, ზურგით ეზიდებოდა, საიმედო ადგილას იხახავდა.

1921 წელს, როდესაც გ. ბოჭორიძემ მუშაობა დაიწყო, საქართველოს ცენტრალური არქივი გაპარტახებული იყო. შენობის ხახევარში წითელარმიელები ცხოვრობდხენ. გაბნეული საარქივო ფონდები ზოგჯერ უპატრონოდ, დაუცავად რჩებოდნენ. ოციან წლებში,

---

7 საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 264—266.

უქაღალდობისას, ძარცვავდნენ და ძვირფას საისტორიო წყაროებს სახვევად და სხვა დანიშნულებით იყენებდნენ. გიორგი ბოჭორიძე შეუდგა საქმის მოწესრიგებას. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა უწყებებში მოუვლელი, დაუცავი წერილობითი დოკუმენტაცია ცენტრალურ არქივში გადმოეტანათ, საარქივო მოთხოვნილებათა მიხედვით დაემუშავებინათ და დაეცვათ. ეს გახლდათ უაღრესად ძნელი, შრომატევადი სამუშაო. ამას ემატებოდა საერთო ხელმოკლეობა, თანამშრომელთა სიმცირე, ტრანსპორტისა და ტექნიკური საშუალებების უქონლობა. მიუხედავად ამისა, გიორგი ბოჭორიძემ ყველა დაბრკოლება გადალახა და „ძველი საბუთების არქივს" თანამედროვე, მეცნიერული სახე მისცა. საქართველოს ცენტრალური არქივის საცავებში თავი მოიყარა ეროვნული ისტორიისათვის სასიცოცხლოდ საჭირო წერილობითმა წყაროებმა. 1922—23 წლებში ცენტრარქივში გადმოტანილი იქნა 23 არქივი: მეფისნაცვლის კანცელარიისა (ნაწილი), ტფილისის გაუქმებული ბანკებისა, საერობო კავშირისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, პირველი უბნის მომრიგებელ მოსამართლისა, წითელი ჯვრის საზოგადოებისა, საქართველოს ქალთა კავშირისა, რუსების ეროვნული საბჭოს არქივის ნაშთი, კავკასიის ბანკისა, მენშევიკების დროის არქივი (სამხედრო კომისარიატიდან), ნოტარიუსებისა (საქალაქო სასამართლოდან), სინოდალური კანტორისა, ეგზარქოსისა, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა, სააქციონერო საზოგადოებისა, უბნის სასამართლოებისა და სხვა.

გიორგი ბოჭორიძის ხელმძღვანელობით, თბილისის რკინიგზის სადგურიდან გადმოტანილი და ცენტრარქივში შენახული იქნა რუსეთიდან დაბრუნებული არქივები: კრასნოდარიდან 4 ვაგონი, სტავროპოლიდან 7 ვაგონი და კავკაზსკიდან ერთი ვაგონი. ამრიგად, ერის საუნჯე დიდ საფრთხეს გადაურჩა, ის საიმედოდ იქნა დაცული. როგორც ვახტანგ გურგენიძე წერს, გ. ბოჭორიძემ თბილისის ლომბარდში საგანგებოდ შეისწავლა იქ მოთავსებული ძველი ხელნაწერებისა და ისტორიული ნივთების მდგომარეობა. ამასთანავე, შეამოწმა და აღწერა დედაქალაქის 30-ზე მეტ ეკლესია-სამლოცველოში დაცული არქივები, წიგნსაცავები და ისტორიული ღირებულების მასალები. გ. ბოჭორიძე იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის და უნივერსიტეტის სიძველეთსაცავებში შემონახული ძველი საბუთებისა და ხელნაწერი წიგნების აღმრიცხველი კომისიის თავმჯდომარე, სადაც მან უზარმაზარი სამუშაო შეასრულა.

ვ. გურგენიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებიდან ერთი საგულისხმო ამონაწერი მოაქვს: საქართველოს ცენტრალური არქივის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ კახეთიდან ჩამოიტანა და თბილისის უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტს ჩააბარა სპილენძის ფულების დიდი კოლექცია, წონით 23 გირვანქა. ეს განძი მისთვის გადაუცია გურჯაანის სასამართლოს თავმჯდომარეს ილია მხეიძეს. მას ფული ჩამოურთმევია გურჯაანის რკინიგზის სადგურზე ორი თელაველი მექვაბისათვის. ამათ აღნიშნული განძი ადგილობრივი ლეკი მკალავისაგან უყიდიათ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს მონაპოვარი წარმოადგენს თამარ მეფის მიერ 1200 წელს მოჭრილ მონეტებს, რომელთაც აქვთ არაბულენოვანი წარწერა:

„დედოფალი დედოფალთა,
მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
თამარ ასული გიორგისა,
მესიის თაყვანისმცემლისა“ (თსუ შრ., 1936, № 1, პირველი სერია, გვ. 281—298).

თბილისში საქმეების მოწესრიგების შემდეგ, რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა, რომელიც საქართველოში სამეცნიერო საქმის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, საჭიროდ ჩათვალა, რომ გიორგი ბოჭორიძის ძალა და ენერგია პერიფერიებშიც გამოეყენებინა. როცა დედაქალაქში სიძველეების მიმართ ასეთი დამოკიდებულება იყო, ადვილი წარმოსადგენია სხვაგან რა იქნებოდა. ქვეყანა ახლის შენების აღტკინებას მოეცვა. ძველის ნგრევა-განადგურება მოზღვავებული რევოლუციური შემართებით მიმდინარეობდა. ნივთებს ვინღა დაეძებდა, ადამიანებსაც აღარ ინდობდნენ. ანტირელიგიური ლაშქრობები სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს სპობდნენ, აცამტვერებდნენ. საუკუნეებით ნაგროვები ეროვნული ფასეულობანი, ისტორიისა და ხელოვნების უჭკნობი ნიმუშები ნადგურდებოდა და იკარგებოდა. გულუბრყვილო, შემზარავ ვანდალიზმთან ერთად თავს იჩენდა ანგარებაც. ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს ყოფნა-არყოფნის ჟამი დაუდგა. შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან.

თბილისში გაწეული ღვაწლის შედეგად ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ გიორგი ბოჭორიძე იყო ის პიროვნება, რომელიც შეძლებდა წინაპართა ნაამაგარის გადარჩენას. მართლაც გიორგი რესპუ-

ბლიკის განათლების კომისარიატმა ყველა საჭირო უფლებებით აღჭურვა და 1923—1926 წლებში თანმიმდევრულად მიავლინა ქართლს, კახეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და სამცხე-ჯავახეთში. მთელი სამი წელიწადი მოგზაურობაში გაატარა. ტრანსპორტის მაშინდელი საშუალებანი ყველას კარგად მოეხსენება, იშვიათად ცხენით, ხშირად კი ფეხით მიდიოდა, ხვატსა და ყინვაში ღამეს სადმე შექედლებული ათევდა. სასტუმროების ქსელი რაიონებში ახლაც არ გვივარგა, მაშინ საზოგადო თავშესაფარი საერთოდ არ იყო. გაპარტახებულ სოფლებში საშინელი გაჭირვება და შიმშილი სუფევდა. გარემო მტრული და საშიში იყო. რევოლუციის იდეებით აღფრთოვანებულ „წითლებს" „ძველის" მამიებლობა ფრიად საეჭვო საქმედ ეჩვენებოდათ. ჩხრეკა, დაპატიმრება, დამცირება-შეურაცხყოფა ჩვეულებრივი, ყოველდღიური გახსაცდელი გახდა. არჩეული მიზნის სიდიადე რომ არა, ივანე ჯავახიშვილის ძიერ ჩახერგილი მამულის რწმენა რომ არა, თვით გიორგი ბოჭორიძეც გატყდებოდა, პოზიციებს დათმობდა და რიგითი არქივარიუსის ან მასწავლებლის მცირე საზრუნავს დასჯერდებოდა. მაგრამ მან მეცნიერის მძიმე შრომა არჩია, წლობით მოგზაურობდა და მიღწეულმა შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

1923 წლიდან 1934 წლამდე გიორგი ბოჭორიძემ მოგზაურობათა, როგორც თვითონ უწოდებს „გარემხრობის" დროს, აღრიცხა 900 ისტორიულ-მოხუმენტური ძეგლი; მოაგროვა: 2260 ისტორიული ხივთი; 540 ხელნაწერი წიგნი, 200 ძველი სტამბის წიგნი; 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვა (ამათგან 13 თბილისსა და ქუთაისში ჩამოიტანა, ხოლო 15 სამცხის ცენტრალურ ადგილებში დააბინავა); შეკრიბა: 3550 სიგელ-გუჯარი და ძველი საბუთი, 10 ტილოზე ხახატი საერო სურათი, სამი კოლექცია ფულებისა, ორი კოლექცია არქეოლოგიური ხივთებისა და სხვა.

ყველა მონაპოვარი, პროფილის მიხედვით, ჩააბარა შემდეგ დაწესებულებებს: თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს — ისტორიული ნივთები 142 ნომრით, წარწერიან-ქანდაკებიანი ქვები 8 ერთეული; უნივერსიტეტისავე სიძველეთსაცავს — ხელნაწერი წიგნები 78 ცალი, იქვე ნუმიზმატიკურ კაბინეტს — ერთი კოლექცია ფულებისა; საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს — 72 არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ხივთი, 27 ხელნაწერი წიგნი, არქეოლოგიური ნივთების ერთი კოლექცია, ფულების ერთი კოლექცია; საქართველოს ცენტრალურ არქივს —3450 სიგელ-გუჯარი და ძველი საბუთი, 223 ხელნაწერი წიგნი, 200 ძველი

სტამბის წიგნი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს — 10 არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნივთი, ერთი არქეოლოგიური კოლექცია, ერთი წარწერიანი ქვა; საქართველოს ეროვნულ გალერეას 10 სურათი; ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს — 682 ისტორიული ნივთი, 252 ხელნაწერი წიგნი, 100 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი, სამი წარწერიანი ქვა და სხვა.

გიორგი ბოჭორიძის საქმიანობა, კერძოდ კახეთიდან ისტორიული ღირებულების მქონე ნივთების ჩამოტანა და დედაქალაქის საცავებში მოთავსება, მაშინდელ გაზეთებში მაღალ დონეზე შეფასდა და ამის შესახებ ფართო საზოგადოებრიობას ეუწყა (გაზ. „კომუნისტი", 1925, № 154, 8 ივლისი, გვ. 3—4).

ვახტანგ გურგენიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თხოვნით, გ. ბოჭორიძე სამეცნიერო მასალების შესაკრებად განუწყვეტლივ მოგზაურობდა და შვებულებასაც ამ მიზნით იყენებდა. 1928 წელს მან მოიარა საინგილო — ზაქათალის, ნუხისა და გეოგჩაის მაზრები. 1929 წელს ქართლს ეწვია, კავთურისა და ქსნის ხეობები შეისწავლა. მიუხედავად მოუცლელობისა, იგი მაინც ახერხებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და „ნარკვევების" მთელი სერია შექმნა. მათგან აღსანიშნავია „გურიის საბუთები (1572—1815)"; საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძეგლთა სიები, თბილისის, ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, საინგილოს ეკლესია-მონასტრების, იქ დაცული ნივთების, ხელნაწერებისა და წიგნების აღწერილობანი; იოანე იალღუზიძის ბიოგრაფიული ნარკვევი და სხვა.

ვ. გურგენიძის დასკვნით, როცა გიორგი ბოჭორიძის მუშაობას ეცნობი, დაუჯერებლად გეჩვენება, როგორ შეძლო ერთმა კაცმა მოკლე დროში ამდენის გაკეთება. მისი ხელით გადმოღებული ბევრი წარწერის თვით დედანი დაკარგულია. წინასწარ ერთის თქმაც შეიძლება: გიორგი ბოჭორიძის შემდეგ (კახეთს შეეხება ეს, ქართლს, რაჭა-ლეჩხუმს, მესხეთ-ჯავახეთს თუ საქართველოს რომელიმე კუთხეს) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე დაწერილი ნაშრომები სრულყოფილი არ იქნება, თუ ავტორები არ გამოიყენებენ გიორგი ბოჭორიძის მიერ მოძიებულ და შეგროვებულ მასალებს. მისი, როგორც მეცნიერის ავტორიტეტზე მიუთითებს ივანე ჯავახიშვილის მიერ დავალებული და მისგანვე მოწონებული ქართული წყაროთმცოდნეობისათვის ესოდენ საჭირო მეთოდური სახელმძღვანელოს —

„საბუთების გამოცემის წესის“ შედგენა[8]. ჭარმაგობის ასაკში, როდესაც ყმაწვილკაცობის, ჭაბუკობის ძოხაპოვარი მეცნიერული სიბრძნითა და სიმწიფით უხდა გაეაზრებინა, უმუხთლეს, სიცოცხლეს გამოასალმეს... ამით მოურჩენელი ჭრილობა მიაყენეს ეროვნულ ისტორიას. რაც მოასწრო, საერთო აღიარება მოიპოვა. მეცნიერულ მიმოქცევაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მისმა გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა. ამათგან ერთ-ერთი პირველია „ორი ფიქალწერილი“ (საისტორიო მოამბე, 1925, წ. I, გვ. 176—181). სოფ. მეჯვრისხევში (შიდა ქართლი), ვ. და პ. ფსიტიძეების ოჯახში გიორგი ბოჭორიძეს უნახავს ქვაზე ნაწერი საბუთები, როგორც თვითონ უწოდებს „ფიქალწერილი“. ფსიტიძეებს ეს წარწერიანი ქვები ჩამოუტანიათ მეჯუდის ხეობაში, მეჯვრისხევის ჩრდილოეთით მდებარე, სოფელ ჭალისუბნიდან, სადაც მათ მამას ჰქონია ადგილ-მამული და ბიხადრობა. ქვები წარწერიანი პირით გარეთ, სახლის კედელში ყოფილა ჩატანებული. ფსიტიძეთა წინაპრად, ოჯახში შემონახული გადმოცემის თანახმად, გუდამაყრიდან გადმოსული აფციაური ითვლება. გიორგი ბოჭორიძისათვის მათ განუცხადებიათ, რომ „მეფე ვახტანგს ჩვენი მამა-პაპისათვის მამული მიუცია და ეს ამ ქვებზე დაუწერიაო“, ამიტომ აღნიშნულ ქვებს საგვარეულო რელიკვიად თვლიდნენ. გიორგიმ დაარწმუნა ფსიტიძეები, რომ ეს ასომთავრულით და ნუსხურით ნაწერი იშვიათი ძეგლები მხოლოდ საოჯახო ღირებულებისა არ იყო და ისინი მეცნიერების კუთვნილებად აქცია. ასევე, მან სოფ. მერეთში (შიდა ქართლში) აღმოაჩინა და მუზეუმს გადასცა XVIII ს. წერილობითი ძეგლი „ფურცელაანთ ქრონიკა“, რომელიც „საისტორიო მოამბეში“ გამოქვეყნდა (1925, წ. I, გვ. 176—181).

გიორგი ბოჭორიძის მიერ ქართული ხელნაწერების მეცნიერული შესწავლის შედეგები მოკლედაა ასახული საახგარიშო ნაშრომში — „ძველი ქართული საბუთები და ხელნაწერი წიგნები“ (საქართველოს არქივი, წ. I, 1926, გვ. 22—26). ამავე ორგანოში დაბეჭდილი „კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა“ (1927, წ. III, გვ. 118—204), დღესაც ამ ტიპის სტატისტიკურ აღწერილობათა გამოქვეყნების ნიმუშად რჩება; „ჯვარისას ძეგლი“ ეროვნული კულტურის საგანძურში ფასდაუდებელი აღმოჩენაა (საქართველოს არქივი, 1927, წ. III, გვ. 206—208). ეს ძეგლი გ. წერეთელმა თავისი პალეოგრაფიული მნიშვნელობით პალესტინის უძველესი ქართული წარწერების გვერ-

---

[8] ვ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, დას. ნაშრომი, გვ. 165—166.

დით დააყენა (იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960).

რაჭის სხვა ისტორიულ ძეგლებზე ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ.

გიორგი ბოჭორიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები თავმოყრილია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (პირადი ფონდი № 1753). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ძირითადად, ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები ინახება. ფონდების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მკვლევარი უმდიდრეს და მრავალფეროვან მასალას ფლობდა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მის მიერ საქართველოს კუთხეებზე (თუშეთი, ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა) მონოგრაფიების შექმნას, ისეთივე ტიპისას, როგორიც მან რაჭაზე ნაწილობრივ მოასწრო. გაკეთდებოდა უდიდესი ეროვნული საქმე — ხივთიერი და დოკუმენტური წყაროების შესწავლის შედეგად დაიწერებოდა საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების საფუძვლიანი ისტორია; სამწუხაროდ, გიორგი ბოჭორიძეს ეს არ დასცალდა, მაგრამ რაც მოასწრო, უაღრესად მნიშვნელოვანია და, რაც დრო გადის, ფასი მით უფრო ემატება. დღეს, როცა უკანონოდ დევნილთ და განადგურებულთ, როგორც იქნა ტაბუ მოეხსნა, გიორგი ბოჭორიძის ნაშრომების მოვლა-გამოცემისათვის ზრუნავს და სპეციალისტებს იკრებს მისი შვილიშვილი თ ა მ ა ზ (თ ა დ ე ო ზ) ბ ო ჭ ო რ ი ძ ე. მალე „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ — ვრცელი მონოგრაფია, მზის სინათლეს იხილავს.

„1923—1927 წწ.-ში გ. ბოჭორიძემ გამოავლინა VII—XI სს. ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები: წარწერა ქვაჯვარის კვარცხლბეკზე სოფ. წყისიდან (VII ს.), წარწერა გრიგოლ საკვირველმოქმედის ხატზე სოფ. ჯვარისას ეკლესიიდან (X ს.), ორი ეპიგრაფიკული საბუთი „ჭელი“ და „დაწერილი“ მეჯუდის ხეობიდან (X ს.), რიგი წარწერებისა რაჭიდან (X—XI სს.)“[9].

„რაჭის სიძველეების შესასწავლად და აღსარიცხად, აგრეთვე ზოგიერთი მათგანის შესაკრებად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა გი-

---

[9] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 17.

ორგი ბოჭორიძემ. 1925—1926 და 1927 წლებში, რაჭაში მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მან გამოსცა „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ V, VII და VIII ტომებში. მაგრამ, სანამ რაჭის ქართული ლაპიდარული წარწერების გიორგი ბოჭორიძის მიერ განხორციელებულ პუბლიკაციას შევეხებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მან 1923—1926 წწ-ში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა და პირველმა შეისწავლა ისეთი უმნიშვნელოვანესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორიცაა: 1. ორი წარწერა მეჯუდას ხეობიდან — ა. ჭელი ცხრაზმისხევის ჭევისუფალთა და ბ. დაწერილი ზაზისა და თოთისა; 2. საპაკუხტის წარწერა გრიგოლ საკვირველმოქმედის ხატზე (ხატი თავის მხრივ ჯვრის ბუდის კარს წარმოადგენს), რაჭის სოფელ ჯვარისადან; 3. წყისის წარწერა — ჯვარი კონსტანტი სტეფანესა და გუდას ძისა; მთელი რიგი ლაპიდარული წარწერები რაჭიდან, რომელთა შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ.

წერილების სერიაში — „რაჭის ისტორიული ძეგლები“, გიორგი ბოჭორიძემ გამოსცა რაჭის სოფლების — პატარა ონის, ბუგეულის, ქედისუბნის, ნიკორწმინდის, გორისუბნის, ბარეულის, მიქარწმიდის, ამბროლაურის, ხოტევის, კორტის, ზემო კრიხის, წესის (ბარაკონის ღმრთისმშობლის), სხვავის, ველტყევის, მრავალძლის (მთისკალთის), ჯოისუბნის (შრომისუბნის) და სომიწოს ეკლესიებიდან ლაპიდარული წარწერები. ზოგიერთი ამ წარწერიდან გამოავლინა და მანვე გამოსცა პირველად. მათ შორის უნდა აღინიშნოს XI ს. პირველი ნახევრის წარწერები პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან (ორი წარწერა — საამშენებლო და კანკელისა) და წმ. გიორგის ეკლესიიდან (კარიბჭის საამშენებლო — კახა ერისთავის), მიქარწმიდის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, ჭელი სოფელ კრიხის — ზემო კრიხის ეკლესიაზე (XI ს.) და სხვა“[10].

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში არავის გაუკეთებია იმდენი, რაც გ. ბოჭორიძემ შეძლო. 1923 წლის მაისიდან 1926 წლის ზაფხულამდე ქართულ სიძველეთა ეს უპრეტენზიო ჭირისუფალი დაუღალავად და-

---

10 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 25.

დიოდა კახეთსა და ქართლში, იმერეთსა თუ ლეჩხუმში და ქართული კულტურის სიძველეებს ავლენდა. განსაკუთრებით დაინტერესდა გ. ბოჭორიძე რაჭით, რომელსაც იგი, 1926 წლის შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე ეწვია. გ. ბოჭორიძემ რაჭაში, ისევე, როგორც იმერეთსა და ლეჩხუმში ბევრი ისეთი ეკლესია აღწერა, რომელიც მის წინამორბედებს საერთოდ არ უნახავთ, შემდეგ კი „აღიგვენ პირისაგან მიწისა“. ამიტომ მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ ბოჭორიძის ჩანაწერებით ვხვდებით. უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოში ბევრი ქართული ჭედურობის უბრწყინვალესი ნიმუში, რომლის წამოღება და მუზეუმისათვის ჩაბარება მან ვერ მოახერხა, დღეისათვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ქუთაისის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის კოლექცია მის მიერ შეგროვებული ნივთებისაგან არის შედგენილი.

რაჭის სიძველეთა აღწერილობა გ. ბოჭორიძემ ცალკე წიგნად მოამზადა — „რაჭის ისტორიული ძეგლები“, რომლის სამი ნაკვეთი დაიბეჭდა კიდეც, როგორც უკვე ვთქვით, „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ V, VII, VIII ნომრებში. ერთი ნაწილი, რომელშიც ონისა და მისი მახლობელი სოფლების სიძველეებია აღწერილი, დღემდე არ გამოქვეყნებულა, იგი მხოლოდ გ. ბოჭორიძის პირად ფონდს შემორჩა, რომელიც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. აქვეა დაცული უნიკალური მასალა ლეჩხუმისა და იმერეთის სიძველეთა შესახებ“[11].

* * *

გიორგი ბოჭორიძე არა მარტო ფართო ჰორიზონტის მკვლევარია, რომელსაც საქმის საოცარი სიყვარული, შრომისმოყვარეობა და თავდადება ახასიათებდა, არამედ გულმხურვალე მამულიშვილიც. ის არ ერიდებოდა მტკივნეულ თემებს და საკუთარ აზრს გულწრფელად, შეუფერადებლად გადმოსცემდა. ასეთია მისი ყველა ნაშრომი, განსაკუთრებით კი „ტყვეობა საქართველოში“ (სცსსა, გ. ბოჭორიძის პ. ფ. № 1753, ს. № 24 (132) და „სამხრეთ ოსეთი“ (იქვე, ს. № 36 (148) და სხვა. იქნებ ესეც გახდა საბაბი 1937 წელს მისი უკანონოდ დაპატიმრებისა და ფიზიკურად მოსპობისა. მკითხველისათვის გიორგი ბოჭორიძის პოზიცია რომ ნათელი იყოს, აქვე მთლიანად ვაქვეყნებთ მის

---

[11] თ. ბ ე რ ა ძ ე, რაჭა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983, გვ. 31.

„ცნობას“ სამხრეთ ოსეთში მოყოლილი ქართული მოსახლეობის შესახებ:

I. „სამხრეთ ოსეთში მოყოლილია დიდძალი ქართული მოსახლეობა, სახელდობრ:

1. ქ ს ნ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე 60-ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი (ე. ი. ხეობის 2/3-ზე მეტი ნაწილი): ახალგორი, კორინთა, ახმაჯი, იკოთი, ალევი, ბაზუანთკარი, ბეჟანთ-ციხე, ბოლი, გეხავი, ერედა, ლომისხევი, მორბედაანთკარი, ყანჩაველი, ყანჩაათკარი, ძეგლევი, აბრამიანი, ახალდაბა, ახლაური, გავაზი, დაბაკნეთი, დადიანეთი, დოჩიანთი, ელოიანი, ზოდები, იფნევი, ლევანიანი, მარტიანი, მაჭარაანი, მახიარეთი, მეწყერი, მოჩალეთი, მუნჯური, მონასტერი. საჯორეთი, საძეგური, უკანუბანი, ყველდაბა, სოხთა, შველეთი, ჩიტო ნი, ცხავატი, ჭორჭიხი, ხარბალი, ხოროტი (ღაურულეთი), ხუციანი, თინიკაანთკარი, კენკაათკარი, ლოტიაანთკარი, მედელაანთკარი, ქარელთკარი, ხოზუეთი, წიფთაური, ბუდაწვერი, მეზევრეთი, გრუა, კორინთა, ქურთა, წირქოლი, ხერკალეთი და სხვ; სულ 1450 კომლი, 8330 სული.

2. მ ე ჯ უ დ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე (ცხინვალის რაიონი) 4 სოფელი: დაელიაანთკარი, ზემოველთა, ქვემოველთა, ისროლისხევი; სულ 60 კომლი, 324 სული.

3. პ ა ტ ა რ ა ლ ი ა ხ ვ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე (ცხინვალის რაიონი) 14 სოფელი: აწრისხევი, ბელოთი, ხოშური, ვანათი, საცხენისი, დისევი, დმენისი, კულბითი, სნეკვი, ქსუისი, ჰარები, ერედვი, ფრისია, არგვისი; სულ 634 კომლი, 3692 სული.

4. დ ი დ ი ლ ი ა ხ ვ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე (ცხინვალისა და ჯავის რაიონები) 13 სოფელი: ცხინვალი, დგვირისი, თამარაშენი, მამისაანთუბანი, ხეითი, ქვემო-აჩაბეთი, ზემო-აჩაბეთი, ძარწემი, კეხვი, მონასტერი, სვერი, ქემერტი, ქურთა; სულ 1330 კომლი, 7449 სული.

5. ფრონეს ხეობაზე (ოქონის (?) რაიონი) 18 სოფელი: ოქონა, თიღვა, ალიბანი, ახალშენი, გიორგიწმინდა, ტყისუბანი ნაბაკევი, ნედლათი, სუნისი, შინდიარი, ხუნდისუბანი, ავნევი, არკნეთი, ნული, ლაფანი, ბზისხევი, პატკინეთი, კოლეთი; სულ 655 კომლი, 3 665 სული.

ხუთსავე ხეობაში სულ ერთად: 4129 კომლი 23460 სული.

II. ოსეთში მოყოლილი ქართველები ყოველმხრივ საშინლად შევიწროვებულნი არიან; ისინი აშკარა ტყვეებად გრძნობენ თავს; საქართველოდან სამსახურის საქმეზე მისულ კაცს ისინი თავს ევლებიან და თავიანთ ჭირ-ვარამს ოხვრითა და კვნესით შესჩივიან: „რა გვიყვეს

ჩვენმა ძმებმა, ამათ (ე. ი. ოსების) ხელში რად ჩაგვყარეს, განა ჩვენ ქართველები არა ვართო?" — ეუბნება ერთი; „მენშევიკებისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიგვცეს ჩვენა მათ ხელშიო", — ამბობს მეორე.

საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არც ერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა.

III. მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარა, პირდია ქართველთჭამიაობას ოსები იჩენენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორიც არსად არ მომხდარა: ოსი ნაციონალისტები განკულაკებას კი არ აწარმოებდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალისტურ ზრახვებს ანხორციელებდნენ: ისინი აშკარად ქართველებს ერეკებოდნენ. შემდეგ, განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-ტიტველნი გამოდევნეს: ბოლოს, მრავალი სომეხთაგანი (განკულაკებული) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგან კი თითქმის არავინ.

IV. ქართული ენა იდევნება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია.

V. სამართალი მიდგომითია; ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისათვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან სასამართლოში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს, ხოლო ამაზე ადრე — 1928 წელს, ახალგორში, თედეევის დროს, რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი; ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვათ, რომ ქართული განცხადება მიეღოთ.

VI. ქართველ ქალებზე თარეში და ალვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა: ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენ; თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას. 1923 წელს თილვის ერთ ქართველს ოსებმა მოსტაცეს ქალი; პატრონმა ბევრი სდია: იჩივლა ცხინვალში, ტფილისში; ვერაფერი გააწყო და სხვა მრავალი.

VII. ადგილ-მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოსებს ეძლევა.

VIII. გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს სტვირთავდნენ.

IX. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921—1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ექვს-შვიდ თვეს ჯამაგირი არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა სკოლისათვის თავი გაენებებინა და წასულიყო, ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა სკოლას თხოულობდა, ეუბნებოდნენ:

—„თუ გინდათ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არადა თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო".

საერთოდ, ოსური სკოლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, ქართული კი უნუგეშო მდგომარეობაშია.

ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს (თუმცა პროგრამაში კი უწერიათ), მითუმეტეს, რომ ოსმა მასწავლებლებმა ქართული ენა არ იციან.

ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მისი შვილებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი უთხრეს.

წარმოდგენებს ქართულ სკოლებში არავითარ დახმარებას არ უწევენ, რადგან ქართული წარმოდგენები მათთვის სასიამოვნო არ არის.

X. ქართულ სოფლებში კულტურული მშენებლობის ნასახიც არ არის (გადასახადი კი ყველაზე მეტი წილი ამათგან იკრიბება).

XI. მოსამსახურეებად მილიციიდან დაწყებული სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევენ ადგილს, ვიდრე ქართველებს.

XII. ყველა ზემოხსენებული ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში.

მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები ამოღებულია ს. ს ცაკის საორგ. განყ. გამოცემიდან: საქართველოს ს. ს. რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1930, ტფილისი".

* * *

მონოგრაფია — „რაჭის ისტორიული ძეგლები" ფრიად თავისებური და ორგინალური ნაშრომია. ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ „ამით ვიწყებ იმ საისტორიო (უმთავრესად ეპიგრაფიკული) მასალების ბეჭდვას, რომელიც აღწერილი იქნა ჩემს მიერ საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს 1923—26 წლებში", ე. ი. „რაჭის ისტორიული ძეგლები" ნაწილია იმ ვრცელი საქმიანობისა, რომელიც გიორგი ბოჭორიძემ შეასრულა. როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მკვლევარი ასევე დაამუშავებდა სხვა კუთხეების მასალას და მოგვცემდა მონოგრაფიათა მთელ ციკლს, რაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

20-იან წლებში ანტირელიგიურმა ბრძოლამ მახინჯი ხასიათი მიიღო. სარწმუნოების მიმართ მტრულად განწყობილი ვანდალები ეკლესიების ნგრევას და განძეულობის დატაცებას შეუდგნენ...

საქართველოში დამკვიდრებული უძველესი ჩვეულების თანახმად, ქართველი კაცი რასაც კარგს, არაჩვეულებრივს ნახავდა — ძვირფასეულობას, არქეოლოგიურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნივთს ან წერილობით ძეგლს, ყველაფერს ხელუხლებლად ეკლესიას ჩააბარებდა, სადაც მას დაიცავდნენ და შთამომავლობას შემოუნახავდნენ. როგორც წესი, ეკლესიიდან ნივთის გატანა მკრეხელობად ითვლებოდა და ამას ავაზაკის გარდა, ვერავინ ჩაიდენდა. ამრიგად, საქართველოს ეკლესიები სიძველეთა საცავებს წარმოადგენდნენ და საუკუნეთა მანძილზე ეროვნულ საუნჯეს საიმედოდ ინახავდნენ. 20-იან წლებში ეს წმინდა ჩვეულება ერთბაშად მოიშალა, ხალხის ისტორიული სიმდიდრე შემზარავი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელიც ეროვნული საგანძურების გადარჩენას შეეცადა. უკვე ვიცით, რომ კომიტეტის ერთ-ერთი ბურჯთაგანი გიორგი ბოჭორიძე იყო. მანაც დაიწყო მოგზაურობა. ჯერ თელავის მაზრაში იმუშავა, შემდეგ მთელი კახეთი მოიარა, ასევე ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, მესხეთ-ჯავახეთი, საინგილო, ხევი და ა. შ.

„ვინაიდან სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა ძველს ყველაფერს ნთქავდა, სპობდა და აქრობდა, — წერს გიორგი ბოჭორიძე, — ამიტომ მოგზაურობა სწარმოებდა მეტისმეტად აჩქარებული ხასიათით; ელვის სისწრაფით მიხდებოდა გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში; რევოლუციის ქარცეცხლს ხელიდან ვგლეჯდი მრავალათასწლოვან კულტურულ ნაშთებს; რასაც მივასწრებდი გადარჩენილი იყო, რასაც არა დაღუპული" (სცსსა, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1753, ს. № 25 (83). როგორც თვითონ შენიშნავს, მეტად მძიმე იყო ეს „გარემხრობა". სამი წელიწადი — 1923 წლის მაისიდან 1926

წლის ზაფხულამდე არ დაუსვენია, თავს არ ზოგავდა, რათა როგორმე სიძველეებისათვის ეშველა. ნადგურდებოდა არა მარტო ნივთები, არამედ მონუმენტური ნაგებობანიც. ასეთი საფრთხე საქართველოს თვით მონღოლობისა და თემურლენგობის ჟამს არ ჰქონია.

რევოლუციური აღტკინების შედეგად, რაღაც ამაზრზენად, სტიქიური სიძლიერით ვითარდებოდა მოვლენები. ყარიბი მეცნიერის მხრიდან მართლაც თავგანწირვა იყო ამ დელგმას რომ წინ აღსდგომოდა. გიორგი ბოჭორიძეს ჩამოთვლილი აქვს მრავალი საბედისწერო შემთხვევა, სიკვდილს ძლივს რომ გადაურჩა. ნაგებობიდან თუ კლდიდან ჩამოვარდნა-დამტვრევა, მდინარეში დახრჩობის საფრთხე და სხვა მისთანანი შედარებით იოლი გადასატანი იყო, ვიდრე გააფთრებულ ბრბოსთან პირისპირ დარჩენა. მაგალითად, 1924 წელს — სისხლის წვიმების ჟამს, გიორგი ბოჭორიძე მუხრანში ფანატიკოსების წინაშე აღმოჩნდა. ისინი ბოროტ ჭორს აეღელვებინა — მავანნი ხატებს აგროვებენ და სწვავენო! ასეთნაირად დასახეს საეკლესიო საუნჯის გადასარჩენად მისული მკვლევარი. იგი მისმა მჭევრმეტყველებამ და ვაჟკაცურმა შემართებამ იხსნა.

ვინც ადრე გუდამაყარში პირიმზის ხატობაზე ყოფილა, ის დამეთანხმება, თუ რა გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა ამ სახალხო დღესასწაულს. სახატო ნაგებობის აზომვა-შესწავლით გართულმა გიორგი ბოჭორიძემ ვერ შეამჩნია მლოცველთა ნიაღვარი მის ჩასაქოლად რომ დაიძრა. შემკრთალიყო და გაქცეულიყო, ვერაფერი გადაარჩენდა. სალ კლდესავით დადგა, მომხდურთ ომახიანად განუმარტა მოსვლის მიზანი, გააცნო ვინაობა და გაუგებრობაც მყისვე გაიფანტა.

წილკანში მაინცდამაინც მაშინ მოუწია მისვლა, როცა ეკლესიის ეზოში მრევლი ბობოქრობდა ძირითადი საეკლესიო სიწმინდის — მინანქრიანი ხატის დაკარგვის გამო, აქაც მისმა სიმართლემ და სიმამაცემ იხსნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ბოჭორიძეს მძიმე, შეუფერებელ დროს მოუწია მოგზაურობა. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შედეგად სისხლში განბანილი ქვეყანა, აშლილი, აწიოკებული და გაუბედურებული იყო. ყველგან შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ხანძარი ენთო, სიძველეებისათვის ვიღას ეცალა. გაწამებული ადამიანები კი არა, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფალნიც არცთუ იშვიათად ზედმეტად თვლიდნენ გიორგი ბოჭორიძის „უცნაურ მისიას". ცოცხლები განუკითხავად ილუპებოდნენ და ძეგლებისათვის აღარავინ ფიქრობდა, ამიტომ „აბეზარ მეცნიერს", „მოცლილ კაცს" ან თავიდან

იშორებდნენ, ანდა მისი „პიროვნების“ კეთილსაიმედობის დაზუსტებამდე, დამამცირებელ, უპატიო მდგომარეობაში ამყოფებდნენ. ასე იყო თელავში, სიღნაღში, ამბროლაურში, ცაგერში და ა. შ. გიორგი ბოჭორიძე ყველაფერს იტანდა, გულს არ იტეხდა, თავდაუზოგავი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა მისი სტიქია გახლდათ, შენდობა და პატიებაც შეეძლო.

ჩანაწერებში ასეთი მაგალითებიცაა შემონახული: გიორგი ბოჭორიძეს ქუთაისში რაჭა-ლეჩხუმიდან და იმერეთიდან ჩამოტანილი ეროვნული სიმდიდრე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის უნდა ჩაებარებინა. სათანადო დოკუმენტაცია და სიები გადასაბეჭდად მისცა. აღმოჩნდა, რომ ყოველივე ამის დაბეჭდვას სულ ცოტა სამი დღე მაინც დასჭირდებოდა. თბილისში დაბრუნება არ ღირდა, ნაჯაფარს და მოგზაურობით გატანჯულს შეეძლო დაესვენა, მაგრამ არა და არ მისცა თავს საშველი, ოკრიბაში წავიდა და იქაური ძეგლების მდგომარეობა მიმოიხილა.

სოფელ ოყურეშში (ცაგერის რაიონში) ერასტი ნიკოლოზის ძე არჯევანიძის (ასლანიკაშვილის) ოჯახში გიორგი ბოჭორიძემ ნახა ბრინჯაოს უნიკალური განძი, რომელიც ერასტის მამას, ნიკოს, ტყის გაჩეხვისა და ყორეს აღების დროს, ოყურეშის ზემოთ ადგილ ლაჯისძირებში აღმოუჩენია. ერასტისათვის გიორგის საკუთარი ჯიბიდან 10 მანეთი ბედ მიუცია. დანარჩენი თანხის 40 მანეთის გაგზავნას თბილისიდან შეჰპირებია. ეს თანხა რომ ეშოვა, მეცნიერს საგანგებო განცხადებით მიუმართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილისათვის (სცსსა, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1753, ს. № 6/86). სწორედ ამ განცხადებამ შემოგვინახა ეს ფაქტი. დღეს მსოფლიოში ცნობილია ოყურეშის განძი, როგორც ბრინჯაოს ეპოქის სწორუპოვარი ნიმუში.

უამრავი წინააღმდეგობა შეხვდა, რომ ცაგერის ტაძრის ვაზის ხის კარი დაღუპვისაგან გადაერჩინა და სამუზეუმო ექსპონატად ექცია. მართლაც, საკუთარი ხარჯით ეკლესიის კარი გააკეთებინა, მაგრამ შებმას ხელისუფალნი არ ანებებდნენ, ბოლოს გ. ბოჭორიძემ მაინც თავისი გაიტანა.

კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა გიორგი ბოჭორიძის თავდადებული მოღვაწეობიდან.

სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგეს გიორგი ბოჭორიძემ საგანგებო მოხსენებითი ბარათით მიმართა, სადაც რაჭა–ლეჩხუმში სიძველეებისადმი დამოკიდებუ-

ლების აღმაშფოთებელი ფაქტებია მოტანილი. იგი მკაცრად აფასებს შექმნილ ვითარებას და მხილებული პირების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს (სცსსა, იქვე). ასეთივე შინაარსისაა განცხადება მიმართული სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგის, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ივ. ჯავახიშვილისადმი (იქვე, ს. № 10, № 6, № 11).

ძეგლების გადარჩენისათვის გიორგი ბოჭორიძე მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორსაც მიმართავდა (იქვე, ს. № 11 / 91) და ქმედითი, დროული ზომების გატარებას მოითხოვდა. ასევე საქმის კურსში აყენებდა ცენტრარქივის დირექტორს და მისგანაც გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვდა (იქვე, ს. № 6 /86).

სიძველეების გამოვლენის, აღწერისა და დაცვის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, გ. ბოჭორიძე ადგილებზე აწყობდა ძეგლთა სახელმწიფოებრივი დაცვის ორგანიზაციას, არჩევდა და ამ საქმის რწმუნებულებად ნიშნავდა სანდო, პატრიოტ და პატიოსან პირებს, ხოლო უღირსთ გაკიცხავდა და გადააყენებდა ხოლმე. ასეთი მშრალი ცნობის მიღმა რამდენი შეხლა-შემოხლა, ნერვიულობა, დაკარგული დროა, არავინ უწყის... ამრიგად, კეთილშობილური მიზნის მიღწევისათვის ის ყველა დაბრკოლებას გადალახავდა და ერის სიწმინდეების შებღალვას, მკრეხელობას ძეხორციელს არ აპატიებდა. ახლა უკვე ნათელია, რომ ამ შეურიგებლობამ და პირდაპირობამ მას ბევრი ავნო და ბევრი მტერიც შესძინა, მაგრამ გიორგი ბოჭორიძეს სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო.

1926 წელს გიორგი ბოჭორიძემ სიძველეთა გამოვლენა-დაცვის ღონისძიებანი ძირითადად დაამთავრა. თუ რა შედეგებს მიაღწია, უკვე ვიცით.

1926 წლიდან ახალ მოგზაურობებს იწყებს, რომელთა მიზანი უმთავრესად მეცნიერული ხასიათისაა — მონუმენტური ძეგლების აღწერა და განსაკუთრებით ლაპიდარული წარწერების ამოკითხვა-შეკრება. ამასთან დაკავშირებით გიორგი ბოჭორიძე წერს: „პირველ რიგში დავაყენე რაჭა; მისი ძეგლები აღვრიცხე ჯერ კიდევ 1925 წელს; 1926 წელს მეორედ მოვიარე რაჭა, აღვწერე ძეგლები და გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები; შემდეგ კვლევის პროცესში საჭირო შეიქმნა ზოგიერთი წარწერის დედანთან შეჯერება; 1927 წელს მესამედ ვიყავი რაჭას".

საკითხის საბოლოოდ შესწავლის შემდეგ, ნაშრომი — „რაჭის ისტორიული ძეგლები" საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სა-

ჯარო სხდომაზე ჯერ მოხსენებად წაიკითხა, ხოლო შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“ სამ ნაწილად გამოაქვეყნა, მეოთხე ნაწილი აღარ დაბეჭდილა, საგანგებო ძიების მიუხედავად, მას ვეღარ მივაკვლიეთ და ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ნაშრომის აღდგენა შევძელით საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული შავი ხელნაწერების მიხედვით. მის შესავალში კარგად ჩანს ავტორის მეთოდოლოგია. გიორგი ბოჭორიძე გამოწვლილვით, ამომწურავად ამუშავებს რაჭაზე არსებულ ლიტერატურას, ყველა ხელმისაწვდომ დოკუმენტს, ნარატიულ მონაცემებს. ამის შემდეგ რამდენჯერმე ადგილზე ეცნობა, სწავლობს ძეგლებს და შემდეგ იძლევა საკმაოდ ლაკონურ ტექსტს ძეგლებისა და სიძველეთა აღწერით, წარწერების გაშიფვრა-ამოკითხვით.

სამწუხაროდ, გ. ბოჭორიძის მიერ რაჭაში თავდადებული მუშაობის მიუხედავად, სადაც მან ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის მთელი სისტემა დაამკვიდრა, ეროვნული რელიკვიების მოსპობა მაინც გაგრძელდა. ამიტომ განსვენებული მეცნიერის ნაღვაწი ფასდაუდებელია, ბევრი ძეგლის, სიძველის, წარწერის არსებობა მხოლოდ მისმა ნაშრომმა შემოინახა. ადგილებზე ისინი ან მთლიანად განადგურდა, ანდა ისეთი ნაშთებია დარჩენილი, მარტოოდენ ვანდალიზმის შეფასებისათვის თუ გამოდგება.

გიორგი ბოჭორიძის „შესავალი“ რაჭის ისტორიის ჩონჩხი და ხერხემალია. ამ კუთხით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის. აქ ასახულია რაჭის ისტორიული განვითარების ეტაპები. რაჭისა და რაჭა-არგვეთის საერისთავოს ფარგლები, შედგენილია XI—XIII სს. რაჭის ერისთავთა ნუსხა.

„ზოგად მიმოხილვაში“ ზუსტადაა გადმოცემული და შეფასებული რაჭაზე არსებული უძველესი წერილობითი წყაროები, ძველ და ახალ მოგზაურ-მკვლევართა ღვაწლი.

მოცემულია საკვლევი რეგიონის ისტორიული და თანამედროვე საზღვრები, გაშიფრული და დაზუსტებულია ადგილობრივი ტოპონიმიკა, გაშუქებულია რაჭის როლი შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში.

არქეოლოგიური შეუსწავლელობის გამო წინაქრისტიანული ეპოქის რაჭის ცხოვრება გიორგი ბოჭორიძისათვის უცნობი დარჩა, შემდეგ ხანისათვის კი მან ყველა არსებული მონაცემი შეაჯამა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობა რაჭა-ლეჩხუმში გავრცელდა მცხეთიდან ნინოს ქადაგებიდან თითქმის მაშინვე, რის დამადასტუ-

რებლადაც მკვლევარს ჯოისუბნის (ზემო რაჭა) „ცხეთის“ და ლეჩხუმის „ცხეთის“ ეკლესიები მიაჩნია. ჯერ ჯოისუბანში უნდა დამკვიდრებულიყო ქრისტეს სჯული და შემდეგ ლეჩხუმის „ცხეთაში“. ეს ფრიად საყურადღებო მოსაზრებაა, რაც შესაძლოა არქეოლოგიური მონაპოვრებითაც დადასტურდეს.

რაჭის ქრისტიანული ძეგლებისა და საგანძურების სიმდიდრე ცხადყოფს ამ კუთხის დაწინაურებას. გ. ბოჭორიძეს აღნუსხული აქვს, თუ თითოეულ საუკუნეში რომელი ეკლესია-მონასტერი აშენდა, დამწერილობისა და ჭედურობის რომელი ნიმუშები შეიქმნა.

მკვლევარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაუწყებს თუ ვინ იყვნენ „რაჭის კულტურის მთავარი მონაწილენი“. აღნუსხულია თითოეული საგვარეულოსა და პიროვნების მონაწილეობა და როლი. დადგენილია რაჭაში თავად-აზნაურთა გვარების გამოჩენა-აღზევების ქრონოლოგია, ადგილობრივი სათავადოების წარმოშობა. „შესავალი“ მთავრდება პარაგრაფით: „რაჭის კულტურულ ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობა და ზარალი“. ესაა XX ს. 20-იანი წლების ვანდალიზმის საბრალდებულო დასკვნა. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფია და შემოკლებათა განმარტება.

გიორგი ბოჭორიძე, გარდა იმისა, რომ შესასწავლ ძეგლს პირადად რამდენჯერმე მოინახულებდა და სწავლობდა, მას კორესპონდენტთა ფართო წრეც ჰყავდა. მკითხველს კთავაზობთ ორ წერილს:

„ტფილისი, ლენინის (ოლღას) ქუჩა № 8, საქართველოს ცენტრარქივი, გიორგი ბოჭორიძეს.

სალამი გიორგი!

გისურვებ ყოველივე კარგს რომ მხიარულათ ყოფილიყავით სახლობით და ყოველივე მოკეთით.

მივიღე თქვენი ბარათი, ვსცანი რასაც იწერები და ბოდიშს ვიხდი, რომ აქობამდე [ვერ გიპასუხე]. წარწერა გადავიღე, ისე როგორც თქვენ იწერებით. მხოლოდ მესამე სტრიქონის ცხრა ასო ძლიერ დაზიანებულია და კარგათ არ ჩანს. ამიტომ სამ ცალად გადავიღე და ისე გიგზავნი.

მასთან ვცადე რამდენადაც შეიძლებოდა იმისივე წარწერა ხელით მიმსგავსებით დამეწერა, რაც ერთ გადაღებულ წარწერაზე არის აღნიშნული და შეიძლება იმანაც გაგიწიოს დახმარება.

იყავით კარგათ.

თქვენი ალიკო დვალი

ს. პატარა ონი, 1921 წელი, 1 მარტი“ (სცსსა, გ. ბოჭორიძის პ. ფ. № 1753, ს. № 158/146).

იგივე მისამართზე:

„სალამი გიორგი!

მივიღე თქვენი ბარათი, მაშინვე შევუდექი მოწერილი დავალების აღსრულებას. დათვალიერების დროს აღმოჩნდა რომ მართლაც, კოშკი რომ არის, იმის ახლო აღმოსავლეთით, ერთი 15 საჟენის იქით ყოფილა სასახლის ნანგრევები. აღარ ეტყობა, მაგრამ მოსწრებული ხალხი ამბობს, რომ მათ ეს ნანგრევები ახსოვთ კარგათ. ნანგრევები ქვითკირის ყოფილა. მეტი შანსია იმისი, რომ სასახლის უმთავრესი ნაწილი იყო ქვისა. შეიძლება რომ კაცმა მოახდინოს გათხრა მიწის, რაიმეს უფრო მნიშვნელოვანს წააწყდეს ამ სასახლის შესახებ, მაგრამ რადგანაც ასეთი ისტორიული ნაშთების გათხრას აუცილებლად სპეცი უნდა დაესწროს, ისე კი მხოლოდ დანაშაულობა იქნება, ამიტომ ჯერჯერობით ამ ცოტაოდენი ცნობით წადით იოლად როგორმე.

ასე და ასე ჩემო გიორგი! იშრომეთ, თქვენს შრომას მოწიწებით დააფასებს მომავალი თაობა. მაპატიეთ თუ მე ვერ მოგაწოდეთ შესაფერისი ცნობა თქვენი ნაშრომის მასალად; დიდად გმადლობთ მამიჩემის მოკითხვისათვის, ძალიან გაეხარდა რომ გაიგო და ნახა თქვენი ბარათი, მოგიკითხათ თვითონაც მამაშვილური სიყვარულით. აგრეთვე უღრმეს მადლობას გიძღვნით, ძვირფასო ადამიანო, ჩემი „ბედისაგან დაჩაგრული“ ღის მოკითხვისათვის.

მშვიდობით. თქვენი კეთილისმსურველი ძმა იონა ფანჯავიძე.

ჩემი მისამართი: რაჭის მაზრა დ. ამბროლაური, შვიდწლ. შრ. სკოლა, ი. ფანჯავიძე. 1/III—27 წ.“ (იქვე, ს. № 159 (146).

გიორგი ბოჭორიძეს ავტობიოგრაფიაში საკუთარი ხელით აქვს ჩაწერილი — სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი ვიყავიო, თან ნამღვდლევია. მერმე გაკრეჭილი...

1937 წელს დააპატიმრეს, ორთაჭალის ციხეში გამოკეტეს. მხოლოდ ერთხელ დართეს ნება მეუღლეს, რძალსა და შვილიშვილს ნახვისა. 1939 წელს, შუაღამით, ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით წაიყვანეს.

მალე ოჯახმა მასთან მყოფ პატიმარ ცაგურიას შავი ბარათი მიიღო: სადგურ გუდურმესთან ავაზაკებს (ერთ რუსს და ერთ ქართველს— გორელ აბრამიშვილს) ვაგონში დაუხრჩვიათ და გაუძარცვიათ გიორგი ბოჭორიძე. მაშინ ალავერდობის დღესასწაული ყოფილა კარზე მომდ-

გარი, ასე უთქვამს სიკვდილის წინ გიორგის. შინაურები მისი დაღუპვის თარიღად 1939 წლის 27 სექტემბერს ვარაუდობენ.

შთამომავლობას საფლავიც არ დარჩა ამ ამაგდარი კაცისა.

ღვაწლის დაფასებას არასდროს არ მოითხოვდა გიორგი ბოჭორიძე. ლუკმაპურის შოვნა რომ ძალიან გაუჭირდებოდა, მაშინ თუ დაწერდა არზას და ვინმეს შეაწუხებდა „წარსდგა მშიერი და ვერა შიშველიო“ — დასცდა ერთხელ ექვთიმე თაყაიშვილს. მთელი თავისი ცხოვრება შიმშილობასა ან შიმშილის ზღვარზე იყო გიორგი ბოჭორიძეც. უკანასკნელ პერანგს იხდიდა და ეროვნულ საცავებს რუდუნებით მატებდა ისტორიულ ფასეულობებს. სამაგიეროდ მას, მოწამებრივი სიკვდილი ერგო. ბუნებრივია, შთამომავლობამ სამშობლოსათვის დამაშვრალს ღვაწლი უნდა დაუფასოს. უპირველეს ყოვლისა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა უნდა გამოიცეს. შემდეგ უდროოდ დაღუპული მეცნიერის უკვდავყოფისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. ამის თავდებია გიორგი ბოჭორიძის მიერ გადარჩენილი სასულიერო საგანძურები და წმინდა ტაძართა, საუნჯეთა აღწერილობანი.

**ლევან ფრუიძე**

# პირველი ნაწილი

## რაჭის ისტორიული ძეგლები

### შესავალი

ამით ვიწყებ იმ საისტორიო (უმთავრესად ეპიგრაფიკული) მასალის ბეჭდვას, რომელიც აღწერილ იქნა ჩემ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს 1923—1926 წლებში.

ეს მოგზაურობა გამოწვეული იყო სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდით, როდესაც მრავალ ისტორიულ ძეგლს დაღუპვა მოელოდა. ამ პროპაგანდით შექმნილ პირობებისა გამო განათლების სახალხო კომისარიატისაგან დაარსებულ იქნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელმაც გადაწყვიტა განსაცდელში მყოფ საისტორიო ნივთების მოგროვება მუზეუმში დასაცავად, რისთვისაც საქართველოს თვითეულ კუთხეში მიავლინა სხვადასხვა პირი და მათ შორის მეც. პირველად მივლინებულ ვიქმენ თელავის მაზრაში.

დავიწყე მოგზაურობა; ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა ეხებოდა არათუ მარტო მოძრავ საისტორიო ნივთებს, არამედ უძრავ მონუმენტურ ძეგლებსაც; შესანიშნავი სიძველე გვხვდებოდა არათუ მარტო მთავარ ადგილებში, რომელთა დათვალიერებაც უმთავრესად გვქონდა მინდობილი, არამედ შორად, მცირე და ახალ ეკლესიებშიც (ძველიდან შემოტანილი), ამიტომ საჭიროდ დავინახე ყველა ადგილების დათვალიერება და აგრეთვე ისტორიულ-მონუმენტური ძეგლების აღრიცხვაზე აყვანა. ასე მოვიარე და მოვათავე თელავის მაზრა. შემდეგში საჭირო შეიქნა ასეთივე დათვალიერება სხვა კუთხეებისაც, რაც მევე დამევალა. მოვიარე კახეთის დანარჩენი ნაწილი, შემდეგ ქართლი, რაჭა, ლეჩხუმი და იმერეთი.

ვინაიდან სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა ძველს ყველაფერს ნთქავდა, სპობდა და აქრობდა, ამიტომ მოგზაურობა წარმოებდა მეტისმეტად აჩქარებული ხასიათით; ელვის სისწრაფით მიხდებოდა გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში; რევოლუციის ქარცეცხლს ხელიდან ვგლეჯდი მრავალსაუკუნოვან კულტურულ ნაშთებს; რასაც მივასწრებდი, გადარჩენილი იყო, რასაც ვერა, დაღუპული.

მრავალი გაჭირვება გადავიტანე ამ მოგზაურობის დროს, დიდ შრომას მოითხოვდა საქმე: სამი წელიწადი (1923 წლის მაისიდან 1926 წლის ზაფხულამდე, მცირე ხანგამოშვებით) გარემხრობა, დღეში 17—18 საათს მუშაობა, ორი-სამი თვეობით განუწყვეტლივ გზად სიარული, ისიც სულ მცირედი თანხით; სიცხე და სიცივე, მთელი ორი ზამთარი გარეთ ყოფნა: 1924—1925 წლებში ქართლში საშინელ ყინვებში 1925—1926 წწ.-ში იმერეთში ქარიშხალ-ავდარსა და თოვლ-ჭყაპში; ესა და სხვა მრავალგვარი დაბრკოლება ერთიათად ამძიმებდა საქმეს. ბევრჯერ გადავურჩი სიცოცხლის საფრთხეს:

1. 1923 წ. სექტემბერში კახეთში ალაზნის ტურისციხის მახლობლად, ძველ გავაზში მიმავალი.

2. 1924 წ. ივნის-ივლისში ქართლს მეტეხში ხალხის ღელვას, გამოწვეულს ვინმე პირის მიერ გავრცელებული ხმით, ვითომც ძველი ხატები მიაქვთ და სწვავენო.

3. 1924 წ. აგვისტოს 18-ს გუდამაყარს პირიმზის სალოცავში ხალხისავე ღელვას, გამოწვეულს სიძველეთა აღწერით.

4. 1924 წ. — ჯევს, დარიალის ჯეობაში, ე. წ. თამარის ციხესთან, თერგის შემდინარე წყალს.

5. 1924 წ. იქვე მაღალ (80 საჟენზე მეტი) კლდეს.

6. 1924 წ. სექტემბერში მთიულეთს ანანურში გამოსვლისას.

7. 1924 წ. დეკემბერში წილკანს ხალხის ღელვას გამოწვეულს შესანიშნავი მინანქრიანი ხატის წაღებით, რომელიც ადგილობრივ ერთი ჯგუფისაგან აუცილებელი დაღუპვის შიში იყო.

8. 1925 წ. ნოემბერში იმერეთში გორდის ციხესთან აგორებულ ქვას.

9. 1925 წ. დეკემბერში ობჩის ეკლესიიდან წარწერის გადმოღების დროს 2 საჟენის სიმაღლიდან ჩამოვარდნით მოყენებულ დაზიანებას და მრავალ სხვას.

ყველა ამისა და სხვათა დასამოწმებლად ვიტყვი ერთი სიგელის სიტყვით: „მოწამენი არიან კაცნი მუნ“.

იყო სხვაგვარი დაბრკოლებაც: ზოგიერთი მაზრის ხელისუფლება (თელავი, სიღნაღი) არ მანებებდა სიძველეებს და მრავალი წვალება და მეცადინეობა დამჭირდა, რომ წამოღება მომეხერხებინა.

მიუხედავად ამ პირობებისა, ყველა დაბრკოლება გადალხულ იქნა: აღრიცხვაზე ავიღე მოვლილ კუთხეთა ისტორიული ძეგლები, მოვაგროვე მრავალი საისტორიო, საარქეოლოგიო, სანუმიზმატიკო და საარქივო მასალა, რომელიც ჩამოვიტანე და გადავეცი აღმოსავლეთ საქართველოსი: ხელოვნების ნაწილი — უნივერსიტეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს, საარქეოლოგიო—საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და საქართველოს მუზეუმებს, სანუმიზმატო — საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმებს და უნივერსიტეტის სანუმიზმატიკო კაბინეტს, საარქივო — საქართველოს ცენტრარქივს; დასავლეთ საქართველოსი — ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს რამდენიმე სიძველის გარდა, რომელიც ტფილისს იქნა გადმოტანილი.

მოგზაურობის დასრულების შემდეგ (1926 წ.) განვიზრახე ისტორიული ძეგლების აღწერა და განსაკუთრებით კი წარწერების შეგროვება. ეს აუცილებელი საჭიროება არის და დრო-ჟამი დაბეჯითებით მოითხოვს ამას. ამიტომ 1926 წლის შემდეგ თვითეული კუთხე ხელმეორედ მოვიარე: აღვწერე ისტორიული ძეგლები და გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები. შეგროვილი მასალა შევისწავლე და გადავამუშავე, ეხლა შევუდექი მის დამუშავებას[1].

პირველ რიგში დავაყენე რაჭა; მისი ძეგლები აღვრიცხე ჯერ კიდევ 1925 წელს; 1926 წელს მეორედ მოვიარე რაჭა, აღვწერე ძეგლები და გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები; შემდეგ კვლევის პროცესში საჭირო შეიქნა ზოგიერთი წარწერის დედანთან შეჯერება; ამისათვის 1927 წელს მესამედ ვიყავი რაჭას. საკითხის შესწავლის შემდეგ 1927 წლის მარტის 12-ს წავიკითხე ზოგადი მოხსენება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე[2].

---

1 ჩემს მუშაობაში, წარწერათა კვლევა-ძიებაში, ხელოვნებისა და დამწერლობის ძეგლთა დათარიღებაში ხელმძღვანელობა გამიწიეს: ივ. ჯავახიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ა. შანიძემ, შ. ამირანაშვილმა და ვ. თოფურიამ; მათ გულწრფელ მადლობას ვუძღვნი. მადლობას ვუხდი აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც მოგზაურობის დროს ამა თუ იმ სახით დახმარება გამიწიეს.

2 ამ მოხსენების ერთი მცირე ნაწილი, სახელდობრ „ჯვარისას ძეგლი" ჩემ მიერ დაბეჭდილი იქნა ცალკე: „საქართველოს არქივი", წ. III, 1927 წელს.

მასალა გამოქვეყნებულია ძეგლების გეოგრაფიული მდებარეობის თანმიმდევრობით, დაწყებული ქვემო რაჭიდან და გათავებული ზემო რაჭით.

### ზოგადი მიმოხილვა

რაჭის აღმწერნი და მეისტორიენი ძველი და ახალი დროისა. უძველესი ცნობები რაჭის შესახებ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში" („ისტორიანი და აზმანი" და ჟამთააღმწერლის თხზულება). იყო თუ არა ვინმე რაჭაში ძველად მოგზაური და მეისტორიე, ამაზე არავითარი ცნობები არა გვაქვს.

XVII ს-ში რაჭის გზით მოვიდნენ და წავიდნენ რუსეთის ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი.

XVIII ს-ში რაჭა, საფიქრებელია, რომ ინახულა ვახუშტი ბატონიშვილმა.

XIX ს-ში იგივე კუთხე დაათვალიერეს შემდეგ პირთ: დიუბუა დე მონპერემ 1838 წ. ახლოს; მარი ბროსემ 1847—1848 წლებში; ი. პომიალოვსკიმ 1881 წ. ახლოს; ნ. კონდაკოვმა 1890, პ. უვაროვამ 1894 და თ. ჟორდანიამ 1897 წ. ახლოს.

XX ს-ში: ექვთ. თაყაიშვილმა 1918 წელს, არნ. ჩიქობავამ 1923 წელს, ს. მაკალათიამ 1927—1928 წლებში. დაბოლოს, ს. კაკაბაძემ 1928 წელს.

არნ. ჩიქობავა მივლინებული იყო განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სიძველეთა მოსაგროვებლად; მან მოიარა რაჭა, აღრიცხა ისტორიული ძეგლები, მოაგროვა ხელნაწერი წიგნები, ჩამოიტანა ტფილისს და გადასცა სიძველეთსაცავს; თავის მოგზაურობის შესახებ მანვე ხსენებულ კომისარიატს წარუდგინა მოხსენება და დაწვრილებით აღწერა ისტორიულ ძეგლთა და სიძველეთა.

ზემოდასახელებულ პირთა ყველა ნაშრომი გამოქვეყნებულია ექვთ. თაყაიშვილის[3], არნ. ჩიქობავას და ს. მაკალათიას გარდა. საზოგადო ხასიათისაა, ე. ი. შეეხება არა მარტო რაჭას, არამედ სხვა კუთხეებსაც და რაჭა მათში შედის ან საზოგადო სახით, პატარა განყოფილებებად თუ თავებად; დავასახელებ მათ ნაშრომებს (რაჭასთან დაკავშირებით):

---

[3] ე. თაყაიშვილის ნაშრომი გამოქვეყნდა 1963 წ. — „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში" (რედ. შენ.).

სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში 1650—1652. გამ. მ. პოლიექტოვისა, ტფილისი, 1926 წ.

ადრევე გამოცემული ლიტერატურა იხ. ამ წიგნში.

ვახუშტი: ა. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1. დაბეჭდა დ. ბაქრაძემ 1885 წ.; ნაწ. II კი პირველზე ადრე ქც'ხის' მეორე ნაწილში გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა, სანკტ-პეტერბურგში 1854 წ. შემდეგ ამ გამოცემიდან გადაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ 1913 წ.

ბ. საქართველოს გეოგრაფია პირველად დაბეჭდა მარი ბროსემ ფრანგული თარგმანით. სანკტ-პეტერბურგში 1842 წ. შემდეგ მ. ჯანაშვილმა ქართულად, მანვე რუსულად თარგმნა და გამოსცა.

დიუბუა დე მონპერე. Voyage autour du Caucase, t. II. Paris, 1838.

მ ა რ ი ბ რ ო ს ე: ა. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848, 3me, livraison, St. Pétersbourg, 1851.

ბ. Explication de diverses inscriptions géorgiennes, arméniennes et grecques, St. Petersbourg, 1839.

გ. Description géographique de la Géorgié par le tsarévitch Wakhoucht. St. Petersbourg, 1842.

დ. საქართველოს ისტორია თარგმნილი რუსული ხელნაწერიდან და გამოცემული ს. ლოლობერიძის მიერ, ნაწ. I, 1895; ნაწ. II, 1900.

И. Помяловский, Сборник греческих и латинских надписей Кавказа, С. Петербург. 1381.

Н. Кондаков. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. С. Петербург, 1890.

П. Уварова: а. Матерналы по Археологии Кавказа, вып. IV. М., 1894.

b. Кавказ, Рача, Осетия, Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путев. заметки, т. III. М., 1904.

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. II, ტფ., 1897.

ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული, წიგნი IV, 1929, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ, გვ. 102—109.

ამათგან ყველაზე ძვირფასი და ფასდაუდებელია ვახუშტის ნაშრომი[4]: მისი ისტორია ერთადერთი წყაროა, რომელიც ავსებს ქ'ცხის დანაკლის ისტორიას, როგორც მთელი საქართველოისა, ისე კერძოდ რაჭისას. დაწყებული გიორგი V ბრწყინვალიდან XVIII ს. მეორე ნახევრამდე; მისი გეოგრაფიაც აგრეთვე ერთადერთი წყაროა, რომელიც იძლევა რაჭის მთლიან აღწერილობას. შემდეგ, თვალსაჩინო ნამუშევარია მ. ბროსეს ნაშრომი; დანარჩენი პირები კი ეხებიან რაჭას ნაწილობრივ.

რაჭის ეპიგრაფიკულ ძეგლთა შესწავლისა და გამოქვეყნების მხრივ ამ პირთა შორის დიდი შრომა მიუძღვის მ. ბროსეს და პ. უვაროვას, უმეტესად პირველს. მათი ღვაწლი უმეტესად წარწერათა გადმოღებაში გამოიხატება, ხოლო ამოკითხვა ხშირად სწორი არ არის; განსაკუთრებით ეს ითქმის პ. უვაროვაზე, რომელსაც უმეტესი ნაწილი წყაროებისა არც გადმოღებული აქვს წესიერად და არც ამოკითხული და ხშირად ერთი ძეგლის წარწერა მეორისათვის აქვს მიწერილი.

## რაჭის ისტორიული და დღევანდელი საზღვრები

რაჭა შეადგენს დასავლეთ საქართველოს ერთ კუთხეს. მის საზღვართათვის ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლეთით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა; და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ წარსული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლისა და ჟღელეს შორისი; სამჴრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი არს რაჭისა და სამჴრეთის კერძი — გარჯილა-ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა—არს არგუეთისა, და მდინარენიცა ეგრეთვე; დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მთა გუელის თავისა. ხოლო მათ მთათა დასავლის კერძო არს ოკ-

4 ვახუშტის როგორც ისტორია, ისე გეოგრაფია 1973 წ. გამოიცა, როგორც ერთი მთლიანი თხზულება. იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1973 (რედ. შენ.).

რიბა.. და ჩდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს — ბასიანსა, ლუხუნსა და სუანეთსა, სადმელს, ტოლას და სუანეთსა.

და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, კრამითა, ჯევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშვენი, ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი"[5].

ზემოხსენებული მიწა-წყლიდან დღევანდელი პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფით რაჭის ფარგლებში (ამბროლაურის, ონის რაიონებში) არ შედის აღმოსავლეთის ერთი კუთხე — კუდაროს ნაწილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაშია მოქცეული და მეორე დასავლეთისა — ღნორიდან ჰრებალომდე, რომელიც ლეჩხუმზე (ცაგერის რაიონზე) არის მიწერილი.

გეოგრაფიულად რაჭა იყოფა ორ ნაწილად: ზემო რაჭა და ქვემო რაჭად; ზემო რაჭა იპყრობს ტერიტორიას დაწყებული ღებ-ჭიორიდან და გათავებული წესით („იწროთა"); ქვემო რაჭა კი წესის ქვემო ნაწილს.

რაჭის სახელისათვის ვახუშტი წერს, რომ „სახელი რაჭა, მოიგო გარემოთა დიდროვანთა მთათაგან და შიგან ღრმის ადგილებისა მიერ „იხილე რა ჭაა ესე"-ო; ეს განმარტება, რასაკვირველია, საეჭვოა; სიტყვა „რაჭა" სხვა ძირიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ვახუშტი აგრეთვე წერს: „რაჭას პირველად თაკუერი ეწოდებოდა"[6].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „იქნებ წინათ თაკუერი საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ რაჭა შემოიღეს და თაკუერი ლეჩხუმს შემორჩა"-ო[7].

საჭიროდ ვთვლი მოვიყვანო ზოგიერთი ისტორიული ცნობები რაჭის დასახლებული ადგილების შესახებ.

რაჭის უძველესი ხანის მოსახლეობისათვის ძვირფას მასალას იძლევა ნიკორწმინდის ეტრატზე ნაწერი სიგელი XI ს.[8]. მასში მოხსენებული არიან შემდეგი სოფლები: ზ ნ ა კ უ ა, მ ე ტ ე ხ ა რ ა,

---

5 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. გეოგრ., გვ. $382_{4-22}$.

6 ვ ა ხ უ შ ტ ი, „ქართლ. ცხ.", IV, გვ. 748, შენ. 1.

7 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 52.

8 თ. ჟ ო რ დ ა ნ ია, ქრონიკები, II, გვ. 45—49.

ჯვარისა, ნიკოლაოს წმიდა, ბეთაბრელი, ზახლეული, კაჩაეთი, ჯევ-ჯმელი, შხრო, შომეთი (შოშიეთი?), ქუმელოანი, თერნეული თუ თერნეულისთავი, ხოტევი, აგარა, ძირგეული, ჯიეში, შქმერი, საჯიდი, ველიშეული, ცხილათი, საწირე, მუხურა, ამათგან ზნაკუა, ჯვარისა, ნიკოლაოსწმიდა იგივე ნიკორწმინდა, ხოტევი, აგარა, ძირგეული იგივე ძირაგეული, ჯიეში და შქმერი დღესაც არსებობენ; შომეთი (შოშიეთი?) თ. ჟორდანიას მიერ შეცდომით არის ამოკითხული; უნდა ყოფილიყო შომიეთი, რომელიც დღესაც ეწოდება ნიკორწმინდის დასავლეთ-ჩრდილოეთ განაპირას მდებარე ადგილს, ჰელიშისაკენ მიმავალ გზაზე, რომელზედაც უბანი გაშენებულა ამ 60—80 წლის წინათ. კაჩაეთი ჰქვიან სოფელს ნიკორწმინდის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (მობმულია ნიკორწმინდაზე); შხრო დღეს ჰქვიან ერთ წყაროს ნიკორწმინდაშივე, რომელიც ხვდება ტყიბულიდან მიმავალ ადამიანს მარჯვენა მხარეს, ე. ი. ნიკორწმინდის ეკლესიის დასავლეთით, მცირე უბანში (30 კომლი); ალბათ, ამ წყაროს გარშემო მდებარე ადგილსაც ძველად იგივე სახელი ერქვა. ჯევ-ჯმელიც ადგილს ეწოდება ორგან: ერთი სოფ. ნიკორწმინდის ბოლოზე, დასავლეთით, მეორე კი ნიკორწმინდიდან დასავლეთით მთაში, 3 ვერსზე; უფრო პირველი უნდა იყოს. არა ჩანს მდებარეობა: მეტეხარასი, ბეთაბრელისა, ზახლეულისა, ქუმელოანისა, თერნეულისა თუ თერნეულისთავისა და საჯიდისა. სხვა რა სოფლები არსებობდა XI ს. არ ვიცით.

მერმე, XV ს. მოსახლეობისათვის მცირე ცნობებს იძლევა ალექსანდრე მეფის სიგელი 1432 წლისა[9]. აქ მოხსენებული არის ზემო რაჭის ერთი ნაწილის შემდეგი ადგილები: ონი, ჰიდროთა, გლოლა, ზედაქალაქი, ბუბა, ჩუშო, ჰიორა, შოდა, ღები და თეკრეშო; ამათში ყველა დასახლებული ადგილია, მხოლოდ ჰიორა და გლოლა არა ჩანს მოსახლეობიანია თუ არა.

შემდეგ, XVII ს. მოსახლეობისათვის ცნობები მოგვეპოვება აგრეთვე რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვის და იევლევის ელჩობის წიგნში. იმერეთის სამეფოს დასახლებული ადგილების — ციხესიმაგრეების აღწერაში მათ შეტანილი აქვთ რაჭის ციხესიმაგრეებიც. ბევრი სახელი ელჩების მიერ სწორად ვერ არის გადმოცემული;

---

9 ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. I, გვ. 126—130.

დავასახელებ მათგან მარტო იმათ, რომელთა აღმოკითხვა და აღმოცნობა შესაძლებელი გახდა (გვერდები მომყავს მ. პოლიექტოვის გამოცემით Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, ტფილისი, 1926 წ.).

1. Гор. Рача (გვ. 113), Рачи (გვ. 184), რომელიც ნიკოლოზ საკვირველმოქმედი ეკლესიის მიხედვით (გვ. 124) ნიკორწმიდა არის.

2. Гор. Знаку (113), Знаква (184)—ზნაკუა, ზნაკვა.

3. Гор. Албралаву (113), Амбрулов (184)—ამბროლაური.

4. Гор. Садмелии (113), Садмели (184)—სადმელი.

5. Гор. Схова (113)—სხოვა, სხვავა.

6. Гор. Цесый (113), Цесыр (184)—წესი.

7. Гор. Минда (113)—მინდა.

8. Гор. Гарин (113), Гари (184)—ღარი.

9. Гор. Сакацыи (113), Сакацы (184)—საკეცე (ვახ.), საკეცია.

10. Гор. Хеб (113)—ღები.

11. Гор. Чиора (113)—ჭიორა.

ორი უკანასკნელი ციხე-ქალაქი ელჩებს ერთადაც აქვთ მოხსენებული: (გვ. 184) — ღებ-ჭიორა.

12. Гор. Тевризжии (113), Тевриж (122, 184)—თევრეშო.

13. Гор. Куараз (113), Куарач (184), Квара (105)—კვარა.

14. Гор. Хотевис (184)—ხოტევი და სხვა.

ბოლოს, XVIII ს-ში რაჭა აღწერილი აქვს ვახუშტის. მისი აღწერილობა ყველაზე მთლიანი და სრულია; იგი აღწერს მიწა-წყალს, მოსახლეობას, მის ყოფა-ცხოვრებას, ისტორიულ ძეგლებს და სხვ. აქ აღვნიშნავ მხოლოდ მთავარ დასახელებულ ადგილებს — დაბებს, რომელიც მოყვანილი აქვს მას: კრიხი (ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, ბროსეს გამ., გვ. 374), ხოტევი (იქვე), ნიკოლაწმიდა (იქვე), წესი (გვ. 376), შქმერი (378), წედისი (იქვე), ონი, ღარი, ძეგლევი, უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები (გვ. 380) და სხვ.[10].

### რაჭის ძველი ხანის პოლიტიკური მდგომარეობა

რაჭის უძველესი ხანის პოლიტიკური მდგომარეობისათვის ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: „პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთაო, მერე იქნა თვით საერის-

---

[10] ვახუშტი, საქ. გეოგრ., მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 374.

თაო"-ო[11]; იგივე პირი საქართველოს ისტორიაში იმავე საერისთავოს დაარსებას მიაწერს (სხვა საერისთავოებთან ერთად) ლეონ აფხაზთა მეფეს, VIII ს. ბოლოს[12], ბროსეს სიტყვით კი, რაჭა ძველად „ერთმეფობის დროს ირიცხებოდა მეფის სრულ დამოკიდებულებაში. თამარის, გიორგი ლაშასა და რუსუდანის დროს აქ იყვნენ ძლიერნი ერისთავნი, მაგრამ... იმათ არ ჰქონდათ უფლება საერისთაოს მემკვიდრეობით გადაცემისა"[13].

### რაჭა ეკუთვნოდა თუ არა შორაპნის საერისთავოს?

პირველი საკითხი, მართლა ეკუთვნოდა თუ არა რაჭა შორაპანს (არგვეთს); ამაზე საისტორიო წყაროები არაფერს გვეუბნებიან; მათში გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის საერისთავოები, მაგრამ რაჭის საერისთავო არსად არ არის მოხსენებული XII ს-მდე; იგი სხვა საერისთავოს ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

არის კიდევ ორი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ ამ საკითხისათვის.

პირველი — რაჭის ერისთავები კახაბერისძეები მონათესავენი ჩანან შორაპნის (ანუ არგვეთის) მამულობით მემკვიდრე ერისთავთა ლიპარიტეთთა, რაც ჩანს შემდეგიდან:

თვითეული ამ გვართაგანი (ლიპარიტეთი და კახაბერისძეები) საისტორიო წყაროებში იხსენიება ერთი უძველესი ხანის გვარის ბაღუაშის შტოდ. სტეფანოს ორბელიანი ამბობს, რომ ლიპარიტები ბაღუაშის გვარისანი არიანო[14]; ჟამთააღმწერელიც ამასვე ამბობს კახაბერისძეებზე: „მოკუდა და მოისპო ... ნათესავი ... ბაღუშთა კახაბრის ძეთა"-ო[15].

მერმე, კახაბერთა გვარი ცხადდება ლიპარიტეთა გვარიდან მომდინარედ; ივ. ჯავახიშვილის მიერ ახლად აღმოჩენილი ქ˝ცხა გვეუბნე-

---

[11] იქვე, გვ. 384.

[12] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 271; ქართლ. ცხოვრ., II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 178.

[13] მ. ბ რ ო ს ე, საქ. ისტ. II, გვ. 175—176.

[14] ქრონიკები, I, გვ. $194_{38-39}$.

[15] ქცხ. მარ. დედ. ვარ. $721_{18-19}$. კახებერიძეთა ბაღუაშიდან ჩამომავლობას ეხება აგრეთვე ს. კაკაბაძე 1929 წელს გამოცემულ ნაშრომში — საისტ. კრ. 4, 105, შენ. 2.

ბა: „ბრძოლად ... ყუესცა ... დრკუესა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა შვილთა კახაბერთაო“[16].

შემდეგ, ამავე გვართა ერთობას ამოწმებს სხვა ადგილებიც იმავე წყაროებისა: იგივე ჟამთააღმწერელი ზემოხსენებულ ადგილსავე ამბობს კახაბერზე: „გვარისაგან მოაქვნდა ორგულობა, იწყო ღალატად მეფეთაო“[17]; ახლად აღმოჩენილი ქ˜ცხაც ამასვე იმეორებს — „ბრძოლად ... ყუესა ... დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტის შვილთა კახაბერთა“[18] და ამით ორივენი უთითებენ ბაგრატ IV-ის ცნობილ მოწინააღმდეგე ლიპარიტსა და მის გვარზე.

ბოლოს კახაბრის გვარის წევრნი ძალიან ხშირად ატარებენ იმავე სახელებს, რომელნიც საზოგადოდ ძლიერ მიღებული და გავრცელებული იყო ლიპარიტეთა გვარში, ასეთია სახელები რატი და კახაბერ. რატი ლიპარიტეთა გვარში ოთხი არის ცნობილი: XI—XII სს-ში (რატი I, II, III და IV)[19], ხოლო კახაბერთა გვარში რამდენიმე ჩანს XI—XIII სს-ში. ორი ნიკორწმინდის წარწერებში (წ. III და ს. № 3) და მესამე სხვავის ჯვარისა (ს. № 1); კახაბერი ლიპარიტეთა გვარში ცნობილია ნიანიას ძე[20], ხოლო კახაბერთაგან რამდენიმე; ოთხი ნიკორწმინდის წარწერებში (წ. III და ს. № 3) და მესამე იმავე სხვავის ჯვარისა (ს. № 1).

მეორე — ორივე კუთხე (შორაპან-რაჭა) კულტურულად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან.

წარწერები რაჭა-არგვეთის მთავარი ისტორიული ძეგლებისა იმეორებენ ერთსა და იმავე ზემოხსენებულ სახელებს კახაბერს (კაცხი, მღვიმევი, ნიკორწმინდა), რატის (კაცხი, ნიკორწმინდა) და ნიანიას (მღვიმევი, ნიკორწმინდა). უმეტეს შემთხვევაში ამ სახელების ქვეშ ერთი და იგივე პირნი იკითხებიან, მაგ., კახაბერი და რატი კაცხისა და ნიკორწმინდისა; ერთი და იგივე პირთა მოღვაწეობა ორივე კუთხის ასპარეზზე ცხადყოფს ამ კუთხეთა პოლიტიკურ და კულტურულ კავშირს.

---

16 ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება, $213_{24-27}$.

17 ქართლის ცხოვრ., მარიამ დედოფლისეული ნუსხა, ე. თაყაიშვილის გამოც. თბ., 1906, გვ. 724.

18 ახლ. აღმ. ქცხ. $210_{24-27}$.

19 ИКОМАО, III, $54_{13-14}$.

20 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 465.

ყველა ამის შემდეგ დავასკვნით: შორაპან-რაჭის ერისთავთა ლიპარიტ-კახაბერთა ნათესაობრივი კავშირი და იმავე კუთხეთა კულტურული კავშირი გვაფიქრებინებს ამ კუთხეთა ტერიტორიალურ და პოლიტიკურ ერთიანობას, რაც საბაბს გვაძლევს ვთქვათ, რომ *რაჭა უძველეს ხანაში შესაძლებელია იყო შორაპნის* (არგვეთის) *საერისთავოს ნაწილი*. ამასვე გვკარნახობს უძველესი ხანის საისტორიო წყაროების სიჩუმე ამ კუთხის შესახებ.

### როდის წარმოიქმნა რაჭის ცალკე საერისთავო?

მეორე საკითხი, როდის წარმოიქმნა რაჭის ცალკე საერისთავო, მე-8 ს. ბოლოს, როგორც ამას ამბობს ვახუშტი[21], თუ სხვა დროს? არც ამის საბუთი გვაქვს.

საისტორიო წყაროები უძველესი დროისა იხსენიებენ სხვადასხვა კუთხის ერისთავებს, მაგრამ რაჭის ერისთავი არსად არა ჩანს XII ს-მდე. პირველად იგი გვხვდება თამარ მეფის დროს[22], მაგრამ მასზე უწინ რაჭის ერისთავს იხსენიებს ნიკორწმინდის მაცხოვრის ხატის წარწერა XI ს. ბოლოსი; იქ იკითხება: „... მე კახაბერ ყოფილმან კირილე... მოვჭედე ხატი ესე... სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა რაჭის ერისთავისა რატისად" (იხ. ს. № 3). ეს პირველი ცნობაა, რომელიც რაოდენიმედ ნათელს ჰფენს რაჭის საერისთავოს დაარსების საკითხს. შემდეგ ხანაში რაჭის ერისთავები თამარ მეფიდან დაწყებული მრავალ ადგილას არიან მოხსენიებულნი[23].

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი ხატის წარწერის დროზე (XI ს. ბოლო) ადრინდელი ცნობა არსად არა გვაქვს.

ის გარემოება, რომ რაჭის შესანიშნავ ძეგლზე, ნიკორწმინდის ტაძარზე მის აშენების დროის წარწერებში არც ერთი პირი არ არის რაჭის ერისთავის ტიტულით საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ ტაძრის აშენებამდე, ე. ი. XI ს. დასაწყისამდე რაჭის საერისთავო არ უნდა ყოფილიყო დაარსებული, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ

---

21 *ვახუშტი*, საქ. ცხ., ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913.

22 ქ. ცხ. მარ. დედ. ნუსხა, გვ. $400_9$, შენ. 11, 12.

23 იქვე, გვ. $400_9$, შენ. 11, 12; $410_{13}$, შენ. 17, $583_{14-15}$ და სხვ.

მოხდებოდა, რომ იქ, სადაც იხსენიება ცნობილი ერისთავთერისთავი და ნოველისიმოსი ნიანია, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მხოლოდ კახაბერი და რატი (უტიტულონი), მათ შორის რაჭის ერისთავი, ასე ვთქვათ, ამ ორ კიდეთა შუა მდგომი პირი, არ ყოფილიყო მოხსენებული.

იგივე ტაძარი სხვა საბუთსაც გვაძლევს: მის აშენებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რაჭის ცხოვრებაში და საფიქრებელია, რომ იგი ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ამ კუთხის ცალკე საერისთავოს შექმნის საქმეში.

ამგვარად, რაჭის საერისთავოს დაარსების საკითხისათვის მთავარი და ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზემოთ მოყვანილ წარწერას, რომელიც მიეკუთვნება XI ს. ბოლოს.

ვემყარები რა ხსენებულ წარწერას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ნიკორწმინდის ტაძრის წარწერები არ იხსენიებენ რაჭის ერისთავს და იმ მოსაზრებას, რომ რაჭის საერისთავოს დაარსებაში თვალსაჩინო როლი უნდა ეთამაშა ამ ტაძრის აშენებას, ვფიქრობ, რომ ხსენებული საერისთავოს დაარსება უნდა მომხდარიყო X ს. ბოლოს, ანუ X—XI სს. საზღვარზე და ზემოხსენებული წარწერის (მაცხოვრის ხატისა) ერისთავთერისთავი და რაჭის ერისთავი რატი უნდა იყოს რაჭის პირველი ერისთავი.

საისტორიო წყაროების — რაჭისა და არგვეთის ძეგლთა წარწერების მიხედვით შესაძლებელია შევადგინოთ რაჭის პირველ ერისთავთა გვარ-შთამომავლობის სია XI ს. ნახევრიდან XIII ს-მდე;

კახაბერი და რატი[24], უკანასკნელი შემდეგ ერისთავთერისთავი[25],

XI ს. ს. მეორე ნახევარი ევფემია[26] კახაბერ ყოფილი კირილე[27] XI ს.

ბოლო ერისთავთერისთავი, რაჭის ერისთავი რატი[28], XI ს. ბოლო და XII ს. დასაწყისი (პირველი რაჭის ერისთავი (?).

---

24 ნიკორწმინდის კედლის წარწერა № 3.

25 ნიკორწმინდის წარწერების № 3-ის რატი, № 5-ის ერისთავთერისთავი რატი და № 3 ერისთავთერისთავი რატი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ეკლესიის კარიბჭის აშენებისას იგი უჭელოა (წ. III), ხოლო შემდეგ (წ. მე-5 და № 3) იგი უკვე ერისთავთერისთავია.

26 ნიკორწმინდის წარწ., № 3.

27 ნიკორწმინდის სიძვ., № 3.

28 იგივე სიძვ., № 3.

კვირიკე[29], XII ს. ნახევარი.

რაჭა-თაკვერის ერისთავი კახაბერი[30] იგივე რაჭის ერისთავი[31], XIII ს. მეორე ნახევარი.

რაჭის ერისთავი რატი[32], შემდეგ რაჭის ერისთავთერისთავი[33], XIII ს. დასაწყისი.

კახაბერი[34], შემდეგ რაჭის ერისთავი[35], იგივე ერისთავთერისთავი[36] XIII ს. ნახევარი (1278 წ.[37]).

საერისთავოს ქვეშეთი ერთეული რაჭაში ძველად იგივე არის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში — ჴევი[38]. სხვავის ჯვრის წარწერა ამბობს: „ააშენენ... მოჯევენი და ჴევნი"-ო; მრავალძალის ორი ხატის (№ 4 და 5) წარწერები იხსენიებს ფარახეთის (მრავალძალის მახლობლად არის) ჴევს; ღებისა (№ 19) — ღების ჴევს და სხვ.

#### რა როლს თამაშობდა რაჭა საქართველოს ცხოვრებაში?

როგორც ზევით აღვნიშნე, XII ს-მდე საისტორიო წყაროები არავითარ მასალას არ იძლევიან რაჭის შესახებ, ხოლო ამ ხანიდან მოკიდებული რაჭა ერთი თვალსაჩინო მოძრავი და ცოცხალი კუთხეა საქართველოსი; იგი მთავარი მონაწილეა საქართველოს ბედისა თუ უბედობისა; უმისოდ არც ერთი საქმე არ წყდება ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში (გაყოფამდე საქართველოსი) და მერმე დასავლეთში (გაყოფის შემდეგ); მისი წარმომადგენელი — ერისთავი — ერთი პირველთაგანია სამეფო კარზე, იგი ხან ქვეყნის მთლიანობას და სიმტკიცეს ემსახურება, ხან კი დარღვევას და დანაწილებას.

---

29 ქ'ცხ. მარიამ დედ. ნუსხა, 400, შენ. II.

30 იქვე 9.

31 იქვე $410_{13}$, შენ. 17.

32 სხვავის ჯვარი (ს. № 1), მღვიმის ჩრდ. კედლ. წარწ. (MAK, მე-7 $95_{32-33}$).

33 კაცხის ჯვრის წარწ. (MAK, მე-7 $87_{15-16}$).

34 სხვავის ჯვრის წარწ. (ს. № 4).

35 ქ'ცხ. მარ. დედ. ნუსხა, $676_{16}$.

36 კაცხის მაცხოვრის ხატის წარწ. (MAK, მე-7, $87_{6}$, $95_{32-33}$).

37 საქ. ისტ., ვახუშტი, გვ. $253_{13}$.

38 ა. ქ. სამ. ისტ. 8; ბ. იმერეთის ზოგიერთი ადგილის წარწერებშიაც ესევე ტერმინი იკითხება: მაგ., სოფ. მათხოჯის წმ. ბასილის ხატის წარწერა იხსენიებს „მანთხოჯის ჴევს" და სხვ.; ჩანს ამ კუთხეშიაც ერთი საგამგეო ერთეულთაგანი ჴევი ყოფილა.

აქ მოვიყვან მთავარ ფაქტებს რაჭის ცხოვრებიდან, ამოღებულს ქ˝ცხისა[39] და ვახუშტის ისტორიიდან.

დასაწყისში რაჭის ერისთავები საქართველოს მთლიანობას და მის მეფეებს ემსახურებიან. თამარის მეფედ კურთხევაში რაჭის ერისთავს პირველი ადგილი უჭირავს ქუთათელი ანტონის შემდეგ; თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ლიხთ-იმერთაგან იყო დადგმად გვრგვნისა თავსა სამეფოსა, აწუიეს... მთავარეპისკოპოზი ქუთათელი ანტონე საღირის ძე მიღებად გვირგვინისა და ცალკე კერძისა კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკვერისა, და სრულყვეს... ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებად და დადებად ჴრმლისაო[40]. როგორც ჩანს, რაჭის ერისთავი, დასავლეთ საქართველოს სხვა ფეოდალებთან ერთად, თამარს მეფედ კურთხევისას ხმალს არტყამს; ეს წესი, ეჭვი არ არის, მარტო ამ გარემოებისათვის არ უნდა ყოფილიყო შედგენილი, არამედ ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს.

ასევე მონაწილეა რაჭის ერისთავი რუსუდან დედოფლის დროს მისი ძის დავითის ტახტზე დასმისა[41].

რაჭის ერისთავნი იხსენიებიან იმავე რუსუდანის ძის დავით მეფის ნოინებთან წარგზავნისას[42].

რუსუდანის სიკვდილის შემდეგ რაჭის ერისთავი ცოტნე დადიანთან ერთად მონახევრე ხდება „ყოველი იმერი სამეფოისა"[43].

იგი მონაწილეა აგრეთვე: კოხტისთავს კრებაში თათართაგან განდგომისათვის[44];

საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფისა და დასავლეთში დავითის გამეფებისას[45] და სხვ.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავები განდგომის გზას ადგებიან:

დავით VII-ის სიკვდილის (1260 წ.) შემდეგ „აღალარ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგეს მეფესა დავითს რუსუდანის ძესა"[46]. კახაბერი სირმონ ნოინით ორჯერ დაესხა თავს მეფეს, მაგრამ მეფე გადარჩა[47]. ღალატისთვის ჩამოქვეითე-

---

39 მარ. დედ. ქ˝ცხიდან ამოღებულ ადგილებში ცნობები დაცული არ არის.

40 ქ. ცხ. მარ. დედ. ნუსხა, გვ. $400_{8-11}$, შენ. 10, 12, 14.

41 იქვე, $589_{13-16}$.

42 იქვე, $605_{9-11}$.

43 იქვე, $624_{1-2}$

44 იქვე, $634_{14}$, $635_{1}$

45 იქვე, $655_{21}$, $656_{1-3}$

46 იქვე, $712_{14-16}$, 713

47 იქვე, 719 და საქ. ისტ. ვახუშტი, დ. ბაქრაძის გამოც. $251_{1-18}$.

ბული „რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს და აქვნდა ქვეყანა ატენისა და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათვის მეფეთასა, ამისთვის შეიწროებული ევედრა მეფესა, რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი, ხოლო... მეფემან შეიწყალა ... და მიუბოძა მამული მისი ყოველი და კუალად ეგო მამულსა მისსა რაჭას, ხოლო ვითარ დაყო მცირედი ჟამი იწყო მათვე მამურ-პაპურთა კვალთა სვლად... გვარისაგან მოაქვნდა ორგულობა... იწყო ღალატად მეფეთა და წარავლინა კაცი ... ალიყას თანა ... რათა ... დაესხას მეფესა და ადვილათ ჴელთ უგდოს მეფე ... გარნა ... საცნაურ იქნა ... ამისთვის მიეგო მისაგებელი ბოროტი და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუჴდა, შეიპყრნა მეფემან და პირველ თვალი დასწვა და მერმე ერთი ჴელი და ფეჴი მოჰკვეთა და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიობად კონსტანტინეპოლს... ხოლო კახაბერი მცირე ცხორებული განვიდა და მოკუდა და მოისპო ყოველნი ნათესავნი მისი ბაღუაშთა კახაბერისძეთა, არა დაშთა და აღიჴოცნა ნათესავი მისი და საჴსენებელი მათი“[48].

ე. ი. ღალატისათვის მეფემ დასაჯა ერისთავი, მისი შვილები საქართველოდან განდევნა და საერისთავო გააუქმა. ეს მოხდა 1278 წლის შემდეგ[49].

ასე დასრულდა ძველი ხანის რაჭის ისტორია. საერისთავოს გაუქმების შემდეგ რაჭას უშუალოდ განაგებენ მეფენი იმერეთისა XV ს. პირველ მეოთხედამდე; ამ ხანებში იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510—1565 წწ.[50]) „დასვა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა“[51]; „ამ დროიდან ერისთაობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამისაგან შვილზე“-ო, ამბობს ბროსე[52].

ამის შემდეგაც, რაჭა თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგ., ბაგრატ IV-ის და არჩილ მეფის ბრძოლის დროს (XVII ს.) რაჭველები არჩილის მხარეზე არიან [3].

---

48 ქ. ცხ. მარ. დედ. ვარ. $720_{20-25}$, $721_{1-20}$, შენ. 1; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. დ. ბაქრაძის გამოც., $253_{15-23}$

49 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. დ. ბაქრაძის გამოც., $253_{13}$.

50 მ. ბ რ ო ს ე, საქ. ისტ. II, შთ. სია იმ. მ. №11.

51 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. $286_{21-23}$.

52 მ. ბ რ ო ს ე, საქ. ისტ., II, გვ. 176.

53 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 315 $_{13-14, 17-18}$.

შემდეგ ალექსანდრე IV-ისა და გიორგი III-ის გურიელის ბრძოლის დროს 1687 წ. ახლო ხანს რაჭის ერისთავი გიორგის მხარეზე არის[54].

მერმე რაჭველები მონაწილეობენ გიორგი აბაშიძის შეთქმულებაში მეფე გიორგის, გოჩიად წოდებულის, წინააღმდეგ, რის შედეგადაც არჩილი იპყრობს იმერეთს 1698 წ.[55].

XVIII ს. დასაწყისიდან მოკიდებული (1701 წ. შემდეგ) რაჭის ერისთავები ჯერ ებრძვიან გიორგი აბაშიძეს, რომელსაც ძალაუფლება ხელში აქვს ჩაგდებული[56]. შემდეგ ეხმარებიან მეფე გიორგი VI-ს პირველის წინააღმდეგვე[57], ხოლო ბოლოს ისევ გიორგი აბაშიძეს უჭერენ მხარს და ებრძვიან გიორგი მეფეს[58]. ამის შემდეგ ასეთსავე გზაზე დგანან რაჭის ერისთავნი თითქმის მთელი საუკუნის (XVIII ს.) განმავლობაში. ხოლო მათში ყველას აჭარბებს უკანასკნელი ერისთავი რაჭისა როსტომი, რომელიც სულ განუდგა იმერეთის მეფეს. მეფე სოლომონმა იგი შეიპყრო, დასაჯა და საერისთავოც საბოლოოდ გააუქმა — 1769 წელს.

რაჭის ერისთავთა მოღალატური გეზი მეტისმეტი საზიანო, სავალალო და საბედისწერო იყო რაჭისათვის: განდიდების მიზნით გადამდგარ ერისთავთა ბრძოლებში რაჭას მრავალჯერ გადაჰხდა დაწვა, აოხრება და განადგურება, განსაკუთრებით საქართველოს დანაწილების შემდგომ ხანაში, მერმე ვისგან, ისევ თავის მოძმე მეზობლებისაგან; იმავე გეზმა გახრწნა თვით ხალხის ზნეობაც, ამით აიხსნება ვახუშტი რომ წერს მათზე: „სხვათა მაოხარნი, მომხვეჭნი და ძვირნიო“[59].

## რაჭის ძველი ხანის კულტურული ცხოვრება

### ა. მიმოხილვა რაჭის კულტურული შემოქმედებისა ძველი ხანიდან საუკუნეთა მიმდევრობით

ძველად ბუნებრივია რაჭასაც ჰქონდა თავისი კულტურული ცხოვრება; ამას ადასტურებს ის ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა,

---

54 იქვე, $319_{22-29}$, $321_{19-23}$.

55 იქვე, $329_{15-24}$.

56 იქვე, $332_{3}$.

57 იქვე, $337_{24-28}$.

58 იქვე, 338, $339_{1-8}$, $340_{2-4}$.

59 ვახუშტი, საქ. გეოგრ. $384_{6}$.

ჰედვითი ხელოვნებისა და დამწერლობის ძეგლები და მათი ნაშთები, რომელნიც მოიპოვებიან მის ტერიტორიაზე და რომლებითაც რაჭა საკმარისად მდიდარია. პირველთ (ხუროთმოძღვრულ და ჰედურ ძეგლებს) უმთავრესად ქვემო რაჭაში ვხვდებით, ხოლო უკანასკნელთ კი როგორც ქვემო, ისე ზემო რაჭაში. ეს ძეგლები საკუთარი მისი ცხოვრების შექმნილი კი არ არის, არამედ ნაყოფია საქართველოს საერთო კულტურისა.

უძველეს დროს, ერის ცხოვრებაში კულტურის შემტანი სარწმუნოება იყო; საკულტო ადგილებში იწყება და ღვივდება შემოქმედება და აქედან ვრცელდება ხალხში.

რაჭის უძველესი დრო, წარმართობის ხანა, მასალების უქონლობის გამო, რასაკვირველია, სრულიად უცნობია ჩვენთვის და მხოლოდ ქრისტიანობის დასაწყისზე შეგვიძლიან ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ისიც მოკლედ.

საიდან იყო შეტანილი ქრისტიანობა რაჭაში ან სად იყო მისი პირველი კერა?

ეს საკითხი, რასაკვირველია, დიდ შესწავლას მოითხოვს და გადაწყვეტით ამისი თქმა ჯერჯერობით ნაადრევია, ხოლო მე მოვიყვან აქ წინასწარ მოსაზრებებს, რომლებიც, შესაძლებელია, მომავალმა კვლევა-ძიებამ გაამართლოს.

ქრისტიანობა რაჭაში აღმოსავლეთიდან, ქართლიდან (მცხეთიდან) უნდა შესულიყო. ამას გვეუბნება ის სახელი, რომელსაც ატარებს აქ ერთ-ერთი სოფლის ძეგლი. სოფ. ჯოისუბანში არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება „მცხეთის" წმ. გიორგის ეკლესია. აქ უნდა ყოფილიყო უძველესი ხანის ხუროთმოძღვრების ერთი ძეგლთაგანი, რომელიც ეხლა თუმცა პირვანდელი სახით აღარ არსებობს, მაგრამ მისგან დარჩენილია შესანიშნავ ქანდაკებიანი და წარწერიანი ქვები, რომელნიც დღეს ამშვენებენ გადაკეთებულ-განახლებულს თუ შემდეგი ხანის ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმელს და ჩრდილო კედელს (აღმოსავლეთ კუთხესთან). ქანდაკებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი: ერთი — ქანდაკება ქვაზე ეკლესიის აღმაშენებლის (?) გაბრიელ მამასახლისისა ეკლესიის მოდელით ხელში, მეორე — ტახტზე მჯდომარე მაცხოვრისა მარჯვნივ და მარცხნივ მოციქულებით პეტრეთი და პავლეთი. ეს ქანდაკებები ხელოვნების დამწერლობის თვალსაზრისით მიეკუთვნება VIII—IX სს. ძეგლის სახელწოდება „მცხეთის" და ღრმა სიძველე მისი ნაშთების საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქრისტიანობა ამ კუთხეში ქართლის მცხეთას უნდა შემოეტანა;

უკანასკნელს აქ ჰქონია თავის კერა-მეტოქი და მისი საშუალებით გაუვრცელებია თავისი კულტურა მთელ კუთხეში.

არათუ მარტო რაჭაში შეუტანია ქრისტიანობა მცხეთას, არამედ მის მეზობელ ლეჩხუმშიც. იქ არსებობს სოფ. მცხეთა, სადაც დგას გუმბათიანი ეკლესია გვიანი (XVII—XVIII სს.), მაგრამ ამ ძეგლს შიგნით შერჩენილი აქვს სვეტები, რომელნიც უძველესი ხანის ძეგლის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. აქაც ისეთივე მდგომარეობაა როგორც რაჭაში; ხსენებული სოფელი მცხეთა უნდა ყოფილიყო ლეჩხუმის კერა-მეტოქი ქართლის მცხეთისა.

ორივე ეს გარემოება, ე. ი. „მცხეთის“ არსებობა რაჭაში და ლეჩხუმში ცხადყოფს, რომ ქრისტიანობა ამ კუთხეებში აღმოსავლეთიდან, მცხეთიდან შესულა.

ამრიგად, პირველი კერა ქრისტიანობისა რაჭაში უნდა ყოფილიყო ჯოისუბნის „მცხეთის“ წმ. გიორგის ეკლესიის ადგილას; აქ დაწყებულა კულტურა, აქ აშენებულა ხუროთმოძღვრების ძეგლი VIII—IX სს-ში, რომლის შესანიშნავმა ნაშთებმა, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნე, ჩვენამდე მოაღწიეს. აქედან კულტურა თანდათანობით ვრცელდება მთელ რაჭაში და საუკუნეთა სიგრძეზე იქმნება კულტურის ახალ-ახალი ცენტრები. დავასახელებ მათ საუკუნეთა მიმდევრობით:

1. ერთი უძველესი ხანის ცენტრთაგანი უნდა ყოფილიყო ჴელიში; იმ ხანის ძეგლი დღეს იქ არ შემონახულა: ეკლესია ძლიერ დიდი ხნის აშენებული არ უნდა იყოს (იგი შიგნით და გარეთ გალესილია კირით და არავითარი წარწერა არ უჩანს, ვფიქრობ XIV—XVII სს-ისაა; უძველესი ხანისა არის მხოლოდ მონასტრის გამოქვაბულები ბერთათვის და „სადაყუდებულო“ განდგომილთათვის მაღალ კლდეში. მაგრამ ჴელიში რომ დიდი კულტურის ცენტრი უნდა ყოფილიყო უძველეს ხანაში ამას ადასტურებს ის ხელნაწერი წიგნები, რომლებმაც მოაღწიეს ჩვენამდე. ერთი ასეთი წიგნთაგანია ეტრატზე ნაწერი ოთხთავი XI ს., გადატანილი შემდეგ ხონჭიორში (იხ. ხონჭიორის სიძვ., № 11); ამ ოთხთავის მინაწერი და მასში დაცული ანდერძი გვეუბნება, რომ ოთხთავი ჴელიშის კუთვნილებაა; იგივე ანდერძი იხსენიებს მრავალ ძვირფას ჴედილ და მინანქრიან ნივთებს, რომელნიც გაუკეთებია ჴელიშისათვის დანიელ ხანბაშურის გაზრდილს ნიკოლოზს (იქვე). თუ XI ს-ში აქ იწერება, იჭედება და იმკობა ასეთი შესანიშნავი ძეგლები, ცხადია, რომ მისი კულტურის დასაწყისი უფრო ადრინდელ დროს მიეკუთვნება.

2. X—XI სს. საზღვარზე შენდება კრიხის შესანიშნავი ჩუქურთმიან-წარწერებიანი ეკლესია.

3. ამავე ხანაში იგება პატარა ონის (ჭელიშიდან 10 ვერსზე) ისეთივე შესანიშნავი ჩუქურთმიან-წარწერებიანი ეკლესია.

4. ამავე ხანაში შენდება ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი — ნიკორწმინდის გუმბათიანი ეკლესია (ჭელიშიდან 4 ვერსზე). იგი მტკიცე საძირკველს უყრის რაჭის კულტურულ ცხოვრებას, მისი არსებობის, განვითარების დედაბოძად და მთავარ ცენტრად ხდება.

ამავე ხანაში იქმნება ამავე ეკლესიის მაცხოვრის ხატის ჩარჩო კახაბერყოფილის კირილეს წარწერით.

5. XI ს-ში შენდება მრავალძალის ქანდაკებიანი ეკლესია (დღეს გადაკეთებულია).

6. XII ს-ში — სხვავას მეორე ეკლესია.

XII ს-ში იქმნება სორის დიდი ჯვარი.

ამ საუკუნით თავდება ის წრე კულტურული შემოქმედებისა, რომელიც მოგვცა საქართველოს აყვავებამ და განვითარებამ XI—XII სს-ში. ამ დროიდან თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში რაჭის კულტურულ ცხოვრებას შეფერხება ეტყობა. ამ დიდ მანძილზე არა ჩანს შექმნილი ხუროთმოძღვრების არცერთი შესანიშნავი ძეგლი, რაც აიხსნება საქართველოს დაქვეითებით ამ ხანაში, მონღოლთა შემოსევის გამო. ამ ხანაში შემოქმედება ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს:

7. XIII ს-ში შენდება და იხატება გლოლის მცირე ეკლესია განდეგილისა. XIII ს-ში იჭედება სხვავის დიდი ჯვარი.

8. XIV ს-ში (?) იხატება კრიხის ეკლესია.

9. XV ს-ში იხატება სორის ეკლესია.

10. XV ს-ში შენდება და იხატება ბეთლევის მცირე ეკლესია.

11. XV ს-ში იკვეთება სალხინოს ჩუქურთმიანი კანკელი.

შემდეგ XVII ს. დასაწყისიდან სხვა დარგებთან ერთად ხუროთმოძღვრების დარგშიაც იწყება ხელახალი მუშაობა და შემოქმედება, რომელიც ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს საუკუნის ბოლომდე.

12. XVII ს-ში შენდება ამბროლაურის ეკლესია.

13. XVII ს-ში შენდება და იხატება ბუგეულის ეკლესია.

14. XVII ს-ში შენდება და იხატება ხოტევის ეკლესია.

15. XVII ს-ში შენდება და იხატება თლუღის ეკლესია.

16. XVII ს-ში ახლდება მხატვრობა ნიკორწმინდის ეკლესიისა და ბოლოს,

17. XVII—XVIII სს-ში შენდება ბარაკონის გუმბათიანი ეკლესია.

ამათში მაინცდამაინც თვალსაჩინო არც ერთი არ არის უკანასკნელის (ბარაკონის) გარდა.

ბ. კულტურის მთავარი მონაწილენი.

რაჭის კულტურულ ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობენ მეფე-დედოფალნი, ერისთავნი, სახელმწიფო მოხელენი, სასულიერო პირნი და სხვ.; აღვნიშნავთ მთავარ მონაწილეთ:

VIII—IX სს-ში. გაბრიელ მამასახლისი აშენებს ჯოისუბნის „მცხეთის“ წმ. გიორგის ეკლესიას.

XI ს-ში: 1. კახა ერისთავი (?) თავის მეუღლით აშენებს პატარა ონის ბაზილიკას.

2. ნიკორწმინდის წარწერები იხსენიებენ — აფხაზთა და რანთა მეფეს და ქართველთა კურაპალატს ბაგრატ III-ს ძით გიორგით (წ. I); ერისთავთერისთავს და ნოველისიმოსს ნიანიას (წ. VI); კახაბერსა და რატის (წ. III); ერისთავთერისთავის რატის ასულს ევფემიას (წ. V); ერისთავთერისთავს რატის ძეს კახაბერყოფილ კირილეს ძით ერისთავთერისთავით, რაჭის ერისთავით რატით (ს. № 3); შემდეგი ხანისანი — მეფე გიორგის და ნიკოლოზწმინდელ მელქისედეკს (წ. IV); ნიკორწმინდის სიგელს აძლევს (XI ს.) ნიკორწმინდელი; ესევე სიგელი იხსენიებს სხვათა შორის შემდეგ შემომწირველთ: ერისთავთერისთავს მიქელს, ი(ოან)ე ლიპარიტის ძეს, ვარაზ-ვაჩეს.

XII ს-ში: 1. სორის ჯვარი იჭედება ვინმე მარკოზის დეკანოზობაში (ს. № 1).

2. სხვავის დანგრეული ბაზილიკის წარწერა იხსენიებს ვინმე ვახტანგს ძით გაბრიელით და თავის ერით.

XIII ს-ში: სხვავისვე დიდი ჯვარი იჭედება რაჭის ერისთავერისთავის რატისა და მისი ძის კახაბერის მიერ, ნაცვალობისა ვახტანგისა (ს. № 1).

XIV (?) ს-ში: კრიხის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე დახატული არიან ვინმე ერისთავნი (?) ვაჩიანი და სხვ. (ოთხნი), რომელნიც მონაწილენი უნდა იყვნენ მის აშენებასა თუ მოხატვაში; გიორგი კორცანიძეს, ასისთავებს იოანე ლომიაძეს და იოანე დევისძეს.

XVI ს-ში: 1. ნიკორწმინდის ღვთისმშობლის ხატს ხატავს „მეფეთ მეფე“ გიორგი II თავის ძით ლეონით (№ 4).

2. მიქარწმიდის ჯვარი იხსენიებს იმავე მეფეს (ბუგეული № 1).

XVI—XVII სს-ში: აგარის დიდ ხატს ქმნის ევნუქიძე მოძღვარი საბა (№ 1).

XVII ს-ში: 1. ამბროლაურის ბაზილიკას (აწ დანგრეულს) აშენებს იმერეთის მეფე გიორგი III მეუღლით თამარით და შვილებით ალექსანდრე, როსტომ და მამუკათი.

2. ამბროლაურის ხატს ქმნის მთავარეპისკოპოსი სვიმონ ჯაფარიძე.

3. სორის ხატის ბუდეს ქმნის ერისთვიშვილი ქაიხოსრო (№ 2).

XVIII ს-ში: სორის ეკლესიის მხატვრობას აახლებს რაჭის ერისთავი შოშიტა III.

**გ. ცალკე საგვარეულოთა მონაწილეობა და როლი**

მეფე-დედოფალთა, ერისთავთა, მამასახლისთა, სასულიერო და სხვ. პირთა გარდა კულტურულ ცხოვრებაში დიდ მონაწილეობას იღებენ ცალკე საგვარეულონიც, ასეთი არის:

ა. დავითის ძეთა გვარი ჩანს XIII ს-ში; გლოლას მცირე ეკლესიის მხატვრობის წარწერაში იკითხება ვინმე მახარობელი დავითის ძე. იგივე წარწერა იხსენიებს საზოგადოდ დავითეთთ.

ბ. ჭარელიძეთა გვარი იხსენიება სორის XV ს. კედლის მხატვრობაში. ჭარელიძე ქველი დახატულია ეკლესიის ჩრდილო კედელზე; გადმოცემით იგი ერისთავია, ეკლესიის აღმაშენებელი და დამხატვინებელი; ხოლო ჭარელიძე მირიან მეუღლით ნათელათი მოხსენებულია ამავე ეკლესიის მაცხოვრის ხატის (№ 4) წარწერაში.

გ. კვიტაშვილების გვარი ჩანს XV ს-ში; მათ აქვთ საკუთარი ციხე[60]; ამ გვარის წარმომადგენელნი დახატულნი არიან ბეთლევის ღვთისმშობლის ეკლესიის კედელზე; აქ არიან: ქართლის მთავარეპისკოპოსი და 11 წელს იერუსალიმის ჯვარის მამა კვიტასშვილი იოანე, მისი ძმისწული ზაქარია, შემდეგ კვიტასშვილი თაყა (დიდებულის ტანისამოსში), შვილნი (?): შალვა, ისპაენასათ, თელარი და სხვ.

დ. იასშვილების გვარის ვინმე წევრი აშენებს ზემოხსენებულ ბეთლევის ღვთისმშობლის ეკლესიას 1453 წ. ამ გვარს XVIII ს. დასაწყისში უჭირავს ციხე კვარა[61].

ე. ლაშხიშვილების გვარი მოღვაწეობს XVI—XVII სს-ში: ლაშხიშვილი ფეშანგი მოხსენებულია ბუგეულ-მიქარწმიდის ჯვარისა (№ 1)

---

60 ვახუშტი, საქ. გეოგრ. დ. ბაქრაძის გამოც. $374_{15}$.

61 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. $336_{21-22}$.

და ღვთისმშობლის ხატის (№ 2) წარწერებში XVI ს-ში. ლაშხიშვილი-ვარდანის დედა ანუსია იმავე ეკლესიის მაცხოვრის ხატის (№ 5) წარწერაში XVII ს-ში. ლაშხიშვილი ვარდან იმავე ეკლესიის მაცხოვრისავე ხატის (№ 4) წარწერაში იმავე საუკუნეში.

ამავე გვარის წარმომადგენელნი დახატულნი არიან ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის კედელზე, ისინი აშენებლები უნდა იყვნენ ეკლესიისა; აქ არიან: ჩრდილო კედელზე — ლაშხისშვილი ლაშხა, მეუღლე მისი მარეხ; შემდეგ ომან, მეუღლე ზოდიო, ასულნი ლანდუზ და დედისდედა; სამხრეთ კედელზე — ვინმე გიორგი, ახალგაზრდა გულაბად; მამაკაცი ზაზა, მეუღლე მისი კეკლუცაი; მამაკაცი ლაშხა, მეუღლე მისი იალიმაბარ, მანდილოსანი ლაჟუარდაი და სხვ., ესენი XVII ს. პირნი არიან.

ნიკორწმინდის წარწერებშიაც იხსენიებიან ამ გვარის წევრები: სამწირველოს სამხრეთ კედელზე იკითხება — ლაშხიშვილი თეთრო (წ. II); დროშა-ჯვარისა და ოთხთავის ბუდის წარწერებში (№ 10,34) — ლაშხისშვილის ასული ფარსანგი ჯავარ და სხვ.

ვ. წულუკიძეთა გვარი მოღვაწეობს XVII ს-ში. ეს გვარი ძლიერი გვარია და დიდ მონაწილეობას იღებს კულტურულ ცხოვრებაში; მათ ეკუთვნის ხოტევის ციხე; ნაგარევის ციხე-სასახლე და სხვ.; ისინი აახლებენ ნიკორწმინდის ეკლესიის მხატვრობას და მათი გვარის პირნი დაწყებული გიორგი წულუკიძიდან დახატულნი არიან აქ. დავით წულუკიძე ამკობს იმავე ეკლესიის დროშა-ჯვარს (№ 10) და უქმნის ბუდეს ოთხთავს (№ 34); მერაბ წულუკიძე აშენებს და ხატავს ბაზილიკებს: თლუღისას და ხოტევისას (აწ დაქცეულთ).

ზ. ჯაფარიძეთა გვარი ჩანს XVII—XVIII სს-ში. ამ გვარიდან არის მთავარეპისკოპოსი სვიმონი, რომელიც აჭედვინებს ხატს; იგი ძმა არის იმერეთის სამეფოს მოლარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძისა. ამ გვარს ეკუთვნის ბარის მაცხოვრის ძველ ეკლესიაზე (საბუკის გორაკზე) მიშენებული ეგვტრები და მგონი თვით ეკლესიაც.

Θ. ციხისელთა გვარის წევრი ისანე აშენებს ბარის, ბეთლევის ღვთისმშობლის მცირე ბაზილიკას XVIII ს-ში. ეს პირი თავის მეუღლით და შვილებით დახატულია ხსენებული ბაზილიკის კედელზე; აქვე დახატულია მისი მოგვარე შინდაგურიძე მოძღვარი ციხისისა დეკანოზი.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ძეგლების მდგომარეობა. ზემოხსენებული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ერთი ნაწილი დღეს კარგად არის დაცული, ხოლო მეორე ნაწილი განადგურების გზაზეა დამდგარი:

ნიკორწმინდის შესანიშნავი ტაძრისათვის ამ ორი წლის წინათ მეხს ჩამოუგლეჯ-ჩამოუნგრევია გუმბათის სამხრეთის მხრის გარეთი ფაია, ანუ კედელი ორ სარკმელს შუა სიმაღლით 3 საჟენი და დღესაც არ არის იგი შეკეთებული; თუ დროზე არ შეკეთდა, დიდ ხიფათს უმზადებს ძეგლს. გუმბათისავე მინების ნახევარი დალეწილი არის, წვიმის დროს წყალი დის და მხატვრობას რეცხავს.

გარდა ამისა, შესანიშნავი ფრესკიანი ეკლესიები ან სულ უსახურაოდ არიან, ან კიდევ სახურავი დამპალი აქვთ და წყალი ჩასდით; ასეთებია: სორისა, კრიხისა, ბეთლევისა, ბუგეულისა და გლოლასი.

თუ პირველი დიდ ხარჯს მოითხოვს, უკანასკნელნი მცირედი ხარჯით (თითო ათ-ხუთმეტი თუმნით) შეკეთდება, ანუ დაიხურება, მაგრამ მზრუნველი არავინა ჰყავთ; საჭიროა ძლიერი ხელი, რომელმაც იგინი აღადგინოს. მრავალ ქარტეხილიან საუკუნეთა განმავლობაში დაცული ძეგლები უმაღლესი კულტურისა ჩვენ თვალწინ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ისპობიან და ქრებიან. ამ საქმის მოგვარება არც ისე ძნელია, ეხლანდელ ხანაში ძალიან ადვილად შეიძლება მისი გაკეთება, უნდა მხოლოდ თავგამოდება და შრომა.

რევოლუციამდე რაჭა უფრო მდიდარი იყო ძეგლებით. სარწმუნოების საწინააღმდეგო ბრძოლის პროცესში (1924—1926 წწ-ში) დაიღუპა მათი ერთი თვალსაჩინო ნაწილი; ასე:

I. ხუროთმოძღვრების ძეგლთაგან:

ამბროლაურის ბაზილიკა, აშენებული იმერეთის მეფის გიორგი III-ის მიერ VIII ს. პირველ ნახევარში საძირკვლამდე არის დაქცეული.

ხოტევის მოხატული ბაზილიკაც, აშენებული მერაბ წულუკიძის მიერ XVII ს-ში საძირკვლამდეა დაქცეული.

კრიხის შესანიშნავ ბაზილიკას კარი და ტრაპეზი ძალად აქვს დაზიანებული.

თლუღის მხატვრულ ბაზილიკას თაღი ძალად აქვს შიგ ჩაქცეული 1926 წ. და სხვ.

II. ჭ ე დ ვ ი ს  ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს  ძ ე გ ლ ე ბ ი თ ყველაზე მეტად დაზარალებულია სორის ბაზილიკა; მის შესანიშნავ ხატებიდან, რომელნიც თავის დროზე უნახავთ მ. ბროსეს და პ. უვაროვას, მხოლოდ ერთი ყუთი ნატეხებიღა ვიპოვნე; დაზიანებულია აგრეთვე მისი დიდი ჯვარი, რამდენიმე ჭედილი ფურცელი (ვერცხლისა) აგლეჯილი და დაკარგული აქვს; დაზიანებულია კიდევ — ნიკორწმინდის მინანქრიანი ჯვარი X ს., ჯვარისას, მოტყიარის, ზნაკვის, გლოლისა და სხვა ხატები.

III. მ წ ე რ ლ ო ბ ი ს  ძ ე გ ლ ი თ დაზარალებულია ისევე სორის ბაზილიკა; მისი ძლიერ დიდი ზომის ეტრატზე ნაწერი გულანი, რომლის მრავალ შესანიშნავ მინაწერებს ექვთ. თაყაიშვილი განცვიფრებაში მოუყვანია, გამოეტანათ და ადგილობრივ კოოპერატივში სახვევ ქაღალდად ეხმარათ თუ დაეწვათ; ერთი ფურცელიც აღარ დამხვდა მისი.

უბედურება ის არის, რომ განადგურების პროცესი თითქმის დღესაც გრძელდება. უკანასკნელი მოგზაურობის დროს ვნახე, რომ ნიკორწმინდის ზემოხსენებული დროშა-ჯვარის ორი მინანქრიანი მედალიონისათვის, ვითომცდა დამაგრების მიზნით, დაუკრავთ დიდი ლურსმნები და მინანქრები თითქმის სულ მთლად დაულეწიათ, რაც მის სასწრაფო გადმოტანას მოითხოვს მუზეუმში დასაცავად.

შემდეგ, ამავე მოგზაურობის დროს დავათვალიერე ბეთლევის ბაზილიკა, რომელიც წინა მოგზაურობათა დროს ვერ ვნახე; აღმოჩნდა, რომ მისი მთავარი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, დაახლოებით XV—XVI სს., გაენადგურებინათ წარსულ ოქტომბერში; იატაკზე ვიპოვნე მისი ზურგიდან ჩამოცკენილი სანთლის ნადუღის ნატეხები სახისა, ხელისა და ტანისამოსის გამოსახულებებით.

ამით დავასრულე მოკლე მიმოხილვა რაჭის კულტურული შემოქმედებისა. აქ შევეხე მხოლოდ საეკლესიო ხასიათის ძეგლებს, ვინაიდგან უმეტესი მათგანი წარწერით არის და ზოგი თარიღითაც კი, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს უფრო უტყუარი მსჯელობისათვის, და არ მოვიხსენიე სხვა ხასიათის ძეგლები, როგორც მაგ., ციხესიმაგრენი, რომელზედაც ვერავითარი წარწერა ვერ ვიპოვე. დავასახელებ მათში ზოგიერთს, როგორც შესანიშნავ ისტორიულ ძეგლებს:

1. კვარა-ციხე, პირველად იხსენიება XVI ს-ში[62].

---

[62] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხ., $296_{26}$.

2. მინდა-ციხე, პირველად იხსენიება XVII ს-ში[63].

3. ხოტევის-ციხე, პირველად იხსენიება XVIII ს-ში[64].

მინდა-ციხისათვის ვახუშტი წერს: „რიონის ჩრდილოდ არს ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისა-გან და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა-ო“[65].

---

[63] ტოლ., $113_{16}$.

[64] იქვე, $184_{27}$.

[65] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. გეოგრ., $376_{22-23}$, 378.

## ზედა ღვარდია

ზედა ღვარდიის „საეღიოს სალოცავის" ადგილას დგას ძველი ნაციხვარი, დანგრეული. შენახულია მარტო ძირა ნაწილი, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. იგი დგას სოფლის დასავლეთ-ჩრდილო გორაკზე.

ზედა ღვარდიის მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით, გორაკზე. იგი ერთნავიანი შენობაა, 8×5,2; ნაგები ყოფილა თლილი შირიმითა (უმეტესად) და უბრალო ნატეხი (ხამი) ქვით და კირით. იგი დაუნგრევიათ. შენახულა მარტო დუღაბის კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. უკეთესად შენახულა აღმოსავლეთი კედელი; პირის ქვა შერჩენია მხოლოდ ძირა ნაწილებში. კარი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. კედლების დასავლეთი ნაწილები განგრეულია, იქნებ აქაც კარები იყო. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ტრაპეზი აღარა ჩანს, სამკვეთლო (დილომა) კედელშია გაკეთებული, ქვების წყობა სწორხაზოვანია; პირის ქვა გარედან სულ შემოცლილი აქვს. ეკლესიის აღმოსავლეთით დგას დიდი ცაცხვის ხე. პირის ქვა შერჩენია შიგნით, ისიც მცირე ნაწილი. ეკლესიას კარი ჩრდილოეთითაც ჰქონია (ეტყობა კედელს). საკურთხეველს სამხრეთ კედელში ჰქონია თახჩა.

## ქვედა ღვარდია. მაცხოვრის ეკლესია

ეკლესია (არ მინახავს, ცნობები ჩავიწერე ხალხისაგან) ერთნავიანი შენობაა, დგას მარტო დუღაბი, პირის ქვა სულ შემოცლილი აქვს. ნაგები ყოფილა თლილი ბაღდადით (ბაღდადის ქვა აქ ეწოდება თეთრ რბილ ქვას). აღმოსავლეთით დგას დიდი ცაცხვის ხე.

## ტბეთი

ტბეთის მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესია (სურ. 1) ერთნავიანი შენობაა, 6×3,45 სმ. ნაგები თლილი ქვისაგან, ქვა უმეტეს ნაწი-

ლად შირიმისა, დანარჩენი ნაწილი მაგარი კლდის ქვაა, თლილი. თაღი შენახულია, სახურავი სულ გადახდილია. შენობის სამხრეთი და ჩრდილო კედლების მაღლითა ნაწილები დაზიანებულია ე. ი. გარეთა პირის ქვები ჩამოცვევნილა და აქვე ყრია; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. წინათ ჩრდილოეთითაც ჰქონია (საკურთხევლის ახლოს). ახლა ის ამოღებულია. სამხრეთით კარი აღარ აბია, დასავლეთით შენახულა, მას გარედან (დასავლეთით) ადგილ-ადგილ სალტეები აქვს გადაკრული. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილი ყოფილა კირით, რომელიც გარეთ ცოტაღა შერჩენია, შიგნით კი ნახევრად. ეკლესიის პილიასტრები (შუა ეკლესიაში) ძირს სამკალონის სახედია; სარკმელი აქვს აღმოსავლეთს. სამკვეთლო თახჩაშია გამართული. სამხრეთის მხარეს არის ოთხკუთხა თახჩა (საკურთხეველში). ეკლესიაში ყრია თაბაშირის თუ ქვის ორნამენტიანი ნატეხები. თაღი უსახურაობისაგან წყლით არის გაჟღენთილი. ძეგლი უნდა გადაიხუროს. დასავლეთის კარი შესანიშნავია თავის საკეტით. დაჰედილობის თავზე მას აქვს რკინის ჯვარი ძველი ფორმისა.

ეკლესიას სამხრეთით ჰქონია და აქვს წარწერიანი ქვები.

1. სამხრეთი სარკმლის ასწვრივ არის ოთხკუთხა ქვა ჯვრისა და უბრალო აშიების გამოსახულებით.

2. სამხრეთი სარკმლის თავზე დებულა წარწერიანი ქვა ზომით 48×62×17 სმ. იგი ჩამოვარდნილია ძირს და ზევითა მარჯვენა კუთხე ატეხილი აქვს და აქვე გდია. მას აქვს გაკრული ნუსხურით წარწერა.

*ⴕ̃ⴑⴀ ⴋⴍⴈⴞⴑⴄⴌⴈⴍⴇ* წ(მიდაო) ს(ამება)ო...

3. სამხრეთი სარკმლის მარჯვნივ (ძირა ნაწილიდან) ორი ქვის გამოშვებით, დევს დიდი ქვა 57×70 სმ. ნუსხური წარწერით (გაკრული):

*ⴕ̃ⴀ ⴓ̃ⴄ[ⴘⴄⴈⴜⴗⴀⴊⴄ]* წ(მიდა)ო გ(იორგ)ი[შეიწყალე].

4. სამხრეთი სარკმლის დასწვრივ თავდაყირა დევს ქვა (კედელში), ზომით 40×54 სმ. ისეთივე ნუსხური წარწერა.

1. *ⴕ̃ⴑⴑ* . . . . . . . *ⴓⴇ* . . . . . . . . წ(მიდა)ო...
2. *ⴑⴀ* . . . . . . . . . . . . . . . სო...

5. მეხუთე ქვა დევს მეოთხე ქვის სწორ ხაზზე ორი ქვის გამოშვებით. აღმოსავლეთით იგიც თავდაყირა დევს. მას მაღლითა ნაწილში (ახლა ქვევითაა მოქცეული) გამოსახულია ჯვარი (შუაში) და ყვავი-

ლები (აქეთ-იქით) წრეებში; ძირს (ახლა მაღლა) აქვს ისეთივე წარწერა, ზომით არის 37,2×62 სმ. (სურ. 2).

1. ⴙⴀⴍⴈⴕ . . . . . . . . . . . . . ⴘⴄⴈⴜⴗⴀⴊ̃ⴄ ⴕⴄ

. . . . . . . . . . . . . . . შ(ეიწყალ)ე ქ(რისტე)ო

ეს სხვა ხელითაა მგონი. ეკლესიის მთავარი სიძველე მთავარანგელოზის ხატი დაახლ. IX ს. 3/4 არის ფიცრის ნახევარი გაუტეხიათ და გაუნადგურებიათ 1924—26 წელს.

## ქვედა შავრა

ქვედა შავრის „თ ე თ რ ი ჯ ვ ა რ ი ს“ ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8×5 მ. ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. შენახულა მარტო კედლები ნახევრად დაქცეული. იგი შიგნით ნანგრევით არის სავსე, კარი შენახულია დასავლეთით და სამხრეთით. ყველაზე უკეთესად შენახულა აღმოსავლეთი კედელი (რასაკვირველია ნახევრამდე). ეკლესია დაუქცევიათ 1932 წ. მასალა ადგილობრივი სკოლისათვის უხმარიათ. ეკლესიის ეზოზე აღმოსავლეთით დგას დიდი მუხა, დასავლეთით — კაკლის ხე, დასავლეთ-სამხრეთით მუხა. დაზიანებული კედლების ქვების წყობა სწორხაზოვანია.

## ლაბეჭინა

ლაბეჭინის მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესია (სურ. 3) ჩვეულებრივი ტიპის დიდი ზომის ბაზილიკაა. მას ეგვტერი ჰქონია უწინ სამხრეთით და დასავლეთით. საქალებოც ექნებოდა. დღეს ეგვტერი და საქალებო აღარ აქვს; დარჩენილია მარტო კედელი ეგვტერისა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის გასწვრივ, რომელსაც აქვს კარი და კარის თავზე წარწერა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ნაშთს ეგვტერისას ადგილობრივი პირნი დაშლას უპირებდნენ და სოფლის წყაროსათვის მასალად გამოყენებას, რაც შეჩერდა ჩვენს მიერ.

ეკლესია ნაშენია თლილი, თეთრი ქვისაგან. უწინ იგი ქვიტკირის თაღით ყოფილა შეკრული, ხოლო რამდენიმე ათი წლის წინათ ქვითკირის თაღი სიძველისაგან მოუხსნიათ და ყავარი დაუხურავთ. ამავე შეკეთების დროს შირიმის, ანუ სპონდიოს ქვაც შეუხამებიათ შენობისათვის.

ეკლესიის სამხრეთ კედელზე ორი პირია გამოქანდაკებული, ესენი ეგვტერის აღმშენებელნი უნდა იყვნენ (ქანდაკება უხამსია, წვრილი ფეხები და სხვ.). ამავე კედელზე არის ლომის ქანდაკება.

ეგვტერის ამშენებელი, ხალხის გადმოცემით, ყოფილა ინასარიძე თვალია, რომლის საფლავსაც უჩვენებენ ეკლესიის სამხრეთით, დასავლეთის ნაწილისაკენ, სადაც დევს დიდი ლოდი; აქ ცოლ-ქმარი ინასარიძეები არიან დასაფლავებულნიო; ამ ქვას ადრინდელ დროში მღვდელი ხდიდა ზოგიერთი პიროვნების საჩვენებლადო. მას (ინასარიძეს) აცვია ჯაჭვის პერანგი და არტყია დიდი ხმალი. ახლა ეკლესიაში ვიპოვე დაჭყლეტილი მუზარადი სპარსული ხელობისა, რომელსაც აკუთვნებენ ხსენებულ პირს.

ეკლესია ფრესკებიანია, მაგრამ ფრესკები ძლიერ დაზიანებულია. მხოლოდ ადგილ-ადგილ მოჩანს კარგად. მომსწრეთა სიტყვით, ფრესკებს დიდი ზარალი მოსვლია თაღის მოხსნის დროს.

ეგვტერის ნაშთის კარის თავზე არის ქვა გატეხილი ორად, რომლის გულშიც გამოსახულია ჯვარი და აქვს ასომთავრული წარწერა:



ნებითა ღმრთისაჲთა აღვაშენეთ ეკუდერი [ესე] ჩუენ, ინასარიძემ[ან]... და თანამეცხედრემა[ნ] ჩემმან ჩხეტი[ძ]ის ქალმა ანა[მან] მჴსნელად ცოდვილისა [სულისა] ჩუენისათუის. [ა]წ [ვინცა] ძემან კაცისამან, ანუ [მცირემან, ანუ დიდმან]... [ანუ] ჩუენგან...

უკანასკნელი სტრიქონის ნაწილი უკვე გადადის კარების მარცხენა კედელზე და იქ წარწერა იპყრობს ოთხ ქვას.

ეკლესიის სამხრეთის კედელზე დასავლეთის კუთხისკენ არის ქვა ოთხსტრიქონიანი წარწერით, მის ქვევით კი, ცოტა აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, ამ წარწერის ბოლო სამი სტრიქონი (სურ. 4):

...ႢႸ~ႬႣႠႵ~Ⴄ
...ႨႤႶႱႫႷႠႥ
[Ⴋ]ႤႺႭႣႥႪႨ
...ႷႪႣႼႠ
5. ႠႫႨႱ[ႤႩႪ]ႤႱႨႱႠႸႤႬ~ႤႡ
ႢႨႧ— —ႫႵႪ~ႴႪႧႠ
ႢႪ~ႪႫ— — —ႠႱ

[დიდება]ჲ შენდა ქრისტე, [რამეთუ] ღირს მყავ მე, ცოდვილი... ყოვლადწმიდისა ამის ეკლესიისა შენებად. გით ——— მიქაელ ფ~ლთა (?) გალატოზ[მან] ———ას (?).

დასავლეთის კედელზე სამხრეთის კუთხისაკენ არის ქვა ასომთავრული წარწერით, რომელისაც თავი მარჯვენა გვერდზე აქვს მიქცეული, ე. ი. უწესოდაა ჩასმული კედელში:

Ⴜ~ႭႫႧႠ[Ⴅ]
ႠႰႠႬႢ[ႤႪ]
ႭႸ~ႤႰ~Ⴀ[ႲႨ]
Ⴃ~ႴႵႳႛႤ

წმიდაო მთავარანგე[ლოზ]ო, შეიწყალე რატი დაფქუაძე.

ამავე დასავლეთის კედელზე, ჩრდილოეთის კუთხესთან არის ქვა ასომთავრული წარწერით, რომელსაც თავი აგრეთვე მარჯვენა გვერდზე აქვს მიქცეული:

Ⴕ~Ⴄ Ⴘ~ႤႼႷ
ႫႢ

ქრისტე შეიწყალე ცოდვილი მგ[ელაძ] (?).

ჩრდილოეთის კედელზე დასავლეთის კუთხესთან არის წარწერა (სურ. 5).

+ ႧႸ ႧႩ ႧჁႭႨႢ
ႣႢႲႠႰႠႣႬ
ႲႢႴႬႢ

ქრისტე შეიწყალე კვრიკე, ჩოღერი და ნათელ დედოფალი.

იმავე კედელზე:

+ ႧႸႿႷ ႬႰႢႣႰႢႲႠ
ႢႷႣႬႢႠႬႱႠႱႤႬ
ႰႢ

ქრისტე შეიწყალენ იოვანე და გაბრიელ გალატოზნი.

### პატარა ონი

პატრა ონს არის ორი ეკლესია: 1. „რაკეთის" წ მ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა[66] (სურ. 6—14) და 2. წ მ. გ ი ო რ გ ი ს ა (სურ. 15).

გარედან ეკლესიას აქვს წარწერა ქვებზე. აღმოსავლეთი კედლის საქარეში ოთხი ქვისაგან გამოყვანილ ჯვარს მხარს ზევით და მხარს ქვევით შეწყობილი აქვს 6 სხვა ნაჭერი ქვა; მათგან 2 მხარს ზემოთ და 4 მხარს ქვევით (ორ-ორი თითო მხარეს ერთმანეთზე დადებით). ამ ექვს ქვაზე არის მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა. სტრიქონები იწყება მარჯვნივ მდებარე ქვიდან და გადადის მარცხენა ქვაზე. მხარს ზევითი ქვები შეიცავს წარწერას თვით ჯვრისათვის, ხოლო მხარს ქვევითი ეკლესიის აღმაშენებელთათვის[67].

---

66 „რაკეთის" წმ. ნიკოლოზის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 7,4×3,6 მ. ნაგები თლილი ქვისა (შირიმი და სხვ.) და კირისაგან. იგი ნანგრევად არის; თალი ჩამოქცეულია, გარდა საკურთხევლის ნაწილისა, კედლებიდან სამხრეთი ნაწილი ძლიერ არის დაზიანებული, ხოლო აღმოსავლეთისა გარღვეული ზევიდან ქვევითამდე საქარე-სარკმლის ხაზზე. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია; ახლამად იგი ამოგებულია და ნანგრევით არის სავსე; ორივე (სამხრეთი და დასავლეთი) კარი და აღმოსავლეთი სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით; აღმოსავლეთ საქარეში ნაჭერ-ნაჭერი ქვებისაგან გამოყვანილი არის ჯვარი. ეკლესიას დასავლეთით ჰქონია კარიბჭე, რომლის კვალიღაა დღეს მხოლოდ დარჩენილი; მისი დასავლეთის კარის თავიდან ჩამოვარდნილი თუ ჩამოღებული დიდი წარწერიანი ქვა შემდეგ ხანში გადატანილია და წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარის თავზეა დადებული (იხ. ქვ.).

67 სამწუხაროდ, ეკლესიის კედელი გარღვეულია ზევიდან ქვეითამდე სწორედ ამ ჯვრის ხაზზე და ხსენებული ქვების უმეტესი ნაწილი შეძრულია ადგილზე და ჩამოსავარდნად არის გამზადებული. ამათ უბრალო წვიმა და ქარიც კი ადვილად მოარღვევს და ჩამოაგდებს. მერმე, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ქვების სიმა-

ა. წარწერა მხარს ზევით ორ ქვაზე:

Ⴜ~ႫႣ~Ⴂ Ⴜ~ჲ Ⴟ~Ⴈ: (წმიდაჲ ჯუარი).

ბ. წარწერა მხარს ქვევით ოთხ ქვაზე (ზევითა ორ ქვაზე 1—7 სტრიქონი, ქვევითა ორ ქვაზე 8—10 სტრიქონი. სულ 10 სტრიქონი).

| | |
|---|---|
| Ⴜ~ႭႬႩႪႭႦႨႱ | ႨႩႥႻႄႪႳႫႵ~Ⴃ |
| ႭႣႠႫႴႪ~ႡႪ | ႭႷ~ႪႳႠႱႩ~ႬႳ |
| ႭႫႴႣႧ~ႪႢႵႫႢ | ႬႷႭ~ႪႳႨႠႄ[68]ႣႶ |
| ႢႳႠႠႸ~ႣႥ | ႱႠႫႠႳႢႱႠ |
| 5. ႳႠႩ~ႸႱႠႣ | ႠႨႪ~ႳႄႱႻႪ~ႳႠ |
| ႠႶႠႷ~ႬႢႱႜ~Ⴋ | ႢႩႨႪ~ႱႫႄႢႱႢ |
| ႣႠႷႢႭႥ | ႨႬႣႧႢႬႄႷ~Ⴊ |
| ႬႢႺႭႨႣႧ | ႠႶႫႠႳႄ |
| ႬႢႠႨႫႢႱႨႱ | ႠႜႭႳႭ |
| 10. ႱႠႜႧႠ~Ⴌ | ——Ⴜ~Ⴓ |

წმიდაო ნიკოლაოზ საკვრველთმოქმედო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მფარველ ექმენ ყოველთა დღეთა ცხორებისა მათისათა კახასა და ლთს (?), რომელთა აღაშენეს წმიდაჲ ეკლესიაჲ ესე. და შეუნდვენ ცოდვანი მათნი ამის... ამენ... წთ (?).

კანკელი ეკლესიას ქვიტკირისა ჰქონია, მისი წინა პირი ჩუქურთმებიანი ქვებისა და თაბაშირისაგან ყოფილა გაკეთებული; დღეს მისი ნაშთიღა არის (სურ. 16): ზევითა ნაწილი სულ მოქცეულია და ძირა ნაწილიდან კი გადარჩენილია მარტო სამხრეთის (მარცხენა) მხარე: აქ დგას ქვის ფიცარი, შემკული ძვირფასი ჩუქურთმით. 1919 წელს, როდესაც ე ქ ვ თ . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი მოგზაურობდა რაჭაში, ეს კანკელი მთელი ყოფილა. როგორც ადგილობრივ გადმომცეს, იგი დანგრეულა უკანასკნელ წლებში (უსახურავობისაგან); დანგრევის გამო ჩამოყრილი ჩუქურთმიანი ნაწილები მრავლად არის გაბნეული ეკლესიის შიგნით და გარეთ.

---

ღლეს 8—10 მეტრს, ასეთი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ქვა სულ ერთიან დაილეწება და შესანიშნავი წარწერა სამუდამოდ დაიღუპება; ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა მათი დაუყოვნებლივ ჩამოხსნა და დაცვა.

68 აქ ადგილი დაზიანებულია და შესაძლებელია ა იყოს.

კანკელს ზედათა ნაწილში ჰქონია მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა ერთ სტრიქონად. ეს წარწერა დღეს აღარ არსებობს, იგი კანკელის ნატეხებზე ნაშთადღა არის შერჩენილი (რამდენიმე ნატეხი შენახულია ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის თახჩაში). კანკელის სურათი 1919 წელს, როცა ის ჯერ კიდევ მთელი იყო, ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი-შ ვ ი ლ ი ს მოგზაურობის დროს გადაუღია ფოტოგრაფ კ ლ უ ნ ე ს[69], რომელსაც აქვს დაცული მისი ერთი ამონაბეჭდი. მან ნება დამრთო მესარგებლა ამ ამონაბეჭდით და როგორც ეტყობა, წარწერა მაშინაც დაზიანებული ყოფილა; ჩანს მისი მარტო ერთი (თავი და ბოლო) ნაწილი, ორი ნაწილი კი მოსპობილია. ხსენებული სურათის ამონაბეჭდისა და დღემდე დარჩენილი ორი ნატეხის მიხედვით აღვადგინე წარწერა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. მომყავს იგი:

ჩსჲზღჀ·:·ՈჃსႠჃჀ·:·ყჩჩჃჀჩႩზ٦
[სჃჀՈჁყჩ٦]
ႩႩზ־٦٦ს٦
Ꮷ٦ႩჲᏧ

5. . .
/Ⴣ/ჀჃყ+ᏧჩჀႸ/ზ/...

+ სახელითა ღმრთისაჲთა, შეწევნითა წმიდისა ნიკოლოზი[სითა აღვაშენე] კანკელი ესე მე, კახამ... თათ(?) შეიქმნა ჴელ[ითა]...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აქ პირველ და მე-6 ნომრებს ქვეშ მოყვანილი წარწერის ნაწილები სურათიდან არის ამოღებული, მე-3 და მე-4 ნაწილები — შენახული ნატეხებიდან, მე-2 ნომერი ჩემ მიერ არის აღდგენილი, რჩება აღუდგენელი მე-5 ნომერი დაახლოებით 25 ასოთი.

მე-2 ნომერში აღვშნე-ს ადგილს შესაძლებელია ყოფილიყო აღვმთე ან სხვა შესაფერი სიტყვა.

2. წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8,2×7,4 მ (დაახლოებით), ნაგები ქვიტკირისაგან; შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, თითო სარკმელი თითო მხარეს.

დასავლეთის კარის თავზე აქვს ქვა, გადმოტანილი რაკეთის ეკლესიის კარიბჭიდან, როგორც ეს ზევით მოვიხსენიე, რომელსაც აქვს ასომთავრული წარწერა (სურ. 17):

---

69 მრავალგვარი დახმარებისათვის, რომელიც პატივცემულმა ფოტოგრაფმა კლუნემ გამიწია, გულწრფელ მადლობას ვუცხადებ მას.

ႵႤ ႶႫႭ ႫႴႪႭ ႷႪႧ ႱႩႧ ႫႭႾႡႧ ႼႫႨႱႠ ႶႫႸႡႪႱႠჃ
ႧႠ ႼႫႨႱႠ ႬႩႪႦႱႧ ႼႫႨႱႠ ႢႭႰႢႱႧ ႠႶჄႭႺႤႬ
ႷႭႥႪႬႨ ႡႰႪႬႨ ႫႧႬႨ ႤႰႱႧႥႱႠ ႩႾႱႠ ႣႠ ႣႪႨႣႠ
ႣႣႭႴႠႪႨ ႣႠ ႸႥႪႬႨ ႫႧႬႨ ႷႭႥႪႬႨ ႣႠႨႺႥႤႬ
5. ႷႭႥႪႧႠႢႬ ႱႠႥႬႤႡႪႧႠ
ႰႫႪႧႠ ႠႶႠႸႤႬႤႱ ႩႠႰႨႱ ႡႰႿႤჃ ႤႱႤ

ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, წმიდისა ნიკოლოზისითა, წმიდისა გიორგისითა აღჴოცენ ყოველნი ბრალნი მათნი ერისთავსა კახასა. და დალიდა დედოფალი და შვილნი მათნი ყოველნი დაიცვენ ყოველთაგან სავნებელთა, რომელთა აღაშენეს კარის ბრჭეჲ ესე.

როგორც პირველი წარწერიდან ჩანს, ეკლესია აღშენებულია კახას მიერ. იმავე პირს იხსენიებს ეს (კანკელის) წარწერაც. ორივე წარწერა პალეოგრაფიულად XI ს. მიეკუთვნება და ეკლესიაც ამ ხნისა უნდა იყოს.

ეს წარწერაც XI ს. ეკუთვნის. იგი ეხება იმავე პირს (კახას), რომელიც იკითხება ზემოთ მოყვანილ ორ წარწერაში. მხოლოდ აქ იგი ერისთავის ტიტულით არის მოხსენიებული. ესა და პირველი წარწერა (ეკლესიის საქარისა) ხელის მხრივ ძალიან ემსგავსებიან ნიკორწმინდის ეკლესიის დასავლეთის კარისთავის წარწერას.

ხსენებული ერისთავი კახა იქნება რაჭის ერისთავთა — კახაბერთა წინაპარი იყოს.

## ბუგეული

ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესია (სურ. 18) ერთნავიანი შენობაა, 8×4,5 მ. ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან; სამხრეთით მიშენებული აქვს სამწირველო; ხურავს ყავარი; კარი აქვს სამხრეთით (სურ. 19). და დასავლეთით (სურ. 20).

ეკლესია აშენებული უნდა იყოს XVI ს-ში; განახლებულია 1838 წელს.

გარედან ეკლესიას აქვს წარწერები მხედრულად:

1. ჩრდილოეთის კედლის სარკმლის თავის ქვაზე:

ჰოი, ყ(ოვლა)დწ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, დედაო ღვთისავ ბუგული[70] და...[71] ჩყკე (1825) წელში ამა ჩრდილოეთის მხრით ცალი

[70] უნდა იყოს: „ბუგეულისაო“.

[71] იქნებ აკლდეს: „მე“.

შხარე ჩამოიქცა ვსთხოვე შენს შემავალ მრევლს ნება ეკლესიის გაკეთებისა | და თვითონაც ინებეს. ამა საქმის დამწყობად დამნიშნეს. ვიგულ|მოდგინეთ და გავაკეთეთ ეკლესია შენი და მცირედი შრომა მოვიღე. | ვითხოვ რათა მეოხ გვიყავი[72] ჩვენ დედაო მადლისაო მხილველნი[73] ეკლესიანი[74], ვითხოვ რათა შენდობას გვიბრძანებდეთ მონასა ღთისასა ქნიაზს | პრაპორშჩეკს ალმასხან წულიკიძეს როსტომის ძეს. | შესრულდა შენება ამ ეკლესიისა თვესა ივლისსა იზ (17) ჩყლბ (1832) წელსა | ოსტატი ამ აშენებისა ფ(რია)დ მშრომელი წ(მიდ)ის | გენათის ყმა ლაზარე ბერ[ი]...

2. იმავე კედლის ქვაზე, (სურ. 21).

ჩყლბ (1832) წელსა ივლისის | კ (20) მცირეოდენი შრო|მა მოვიღე მოურავმა | აზნაურმა ვასილ სანიკიძე.

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობას წარწერები ასომთავრულად აქვს.

საკურთხეველი: კონქში დახატულია ვედრება (ⴃⴄⴡⴑⴑ). პირველ რიგში — მოციქულები: სარკმლის მარჯვნივ —6, მარცხნივ —6. მე-2 რიგში — მღვდელმთავრები. პილიასტრზე — მეფე-წინასწარმეტყველნი: დავით, სოლომონ და სხვ.

თაღი: ჩრდილოეთის მხარეს დახატულია: ლაზარეს აღდგინება (სურ. 22), ამაღლება და ფერისცვალება. სამხრეთის მხარეს — ხარება (სურ. 23), რომელიღაც წმიდანი, წმ. ნინო და ქრისტეს შობა (სურ. 24).

ჩრდილოეთის კედელი: პირველ რიგში დახატულია სულის წმიდის მოფენა (სურ. 25) და ღვთისმშობლის მიძინება[75].

სამხრეთის კედელი: პირველ რიგში — ყვედრება იოსებისაგან, კოზმან და დამიანე, იერუსალიმში შესვლა (სურ. 26). მე-2 რიგში (დასავლეთ ნაწილში) — გარდამოხსნა ქრისტესი ჯვრიდან და განკითხვა (სურ. 27).

---

72 უნდა იყოს: „გვეყო".

73 უნდა იყოს: „მხილველნო".

74 უნდა იყოს: „ეკლესიისანო".

75 თაღზე მხატვრობის ნაწილი დაზიანებულია და ნაწილიც ზიანდება სახურავის დალპობის გამო.

პილიასტრზე — წმიდანები.

დასავლეთის კედელი[76]: პირველ რიგში დახატულია მირქმა და ნათლისღება. მე-2 რიგში — ჯვარცმა და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. მე-3 რიგში — წმ. გიორგი (ცხენზე) და მიქელ-გაბრიელი (სურ. 28).

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების მე-2 რიგში არის კიდევ სურათები სხვადასხვა პირთა. აქ დახატული არიან დიდებულნი, მდგომარენი[77], სახელდობრ:

I. ჩრდილოეთის კედელზე[78] — 1. მამაკაცი: „ლაშხის' შვილი | ლაშხა“, მას ხელში უპირავს ეკლესიის მოდელი, გაპყრობილი აღმოსავლეთისაკენ. 2. მანდილოსანი: „[მეუღ]ლე | [მისი] | [მ]არეხ“[79]; | იგი სარკმლის გადიდების დროს წელზევით მოუსპიათ და დღეს მისი მარტო წელქვეითი ნაწილიღა შენახულა 3. მანდილოსანი: „ომანის ასული: ლანდუზ“[80]. 4. მამაკაცი: „ლაშხის შვილი ო|[მან]“[81]. 5. მანდილოსანი: „მეუღლე მ(ა)თი | ზოდიო“. 6. მანდილოსანი: „ძე მ(ა)თი | დედისდე|და“.

II. სამხრეთის კედელზე (სურ. 29): 1. სასულიერო პირი, მღვდელმთავრის ტანისამოსით: „გ(იორგ)ი“; იგი მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში უპირავს გრაგნილი (?). 2. ახალგაზრდა: „გულაბად“[82]. 3. მამაკაცი: „ზაზა“. 4. მანდილოსანი: „მისი: მეუღლე | კეკლუ|ცაა“:| 5. მამაკაცი: „ლაშხა“. 6. მანდილოსანი. „მისი: მეუღლე იაღ|ამაბარ. 7. მანდილოსანი: ლაჟურდაი“. 8. სამხრეთის კარებში (აღმოსავლეთ კედელზე) დახატულია მამაკაცი წარწერით; „ნოშერიძეს[83] | მიქელს | შ(ეუ)ნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ“. მას წითელი ტანისამოსი აცვია, მარჯვენა ხელი აპყრობილი აქვს, ხოლო მარცხენაში წიგნი უპირავს.

ყველა ზემოაღწერილ პირთ, სამხრეთ კედელზე დახატულ პირველისა და მერვის გარდა, ხელები აღმოსავლეთისაკენ აქვთ გაპყრობილი.

---

76 აღწერილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

77 წარწერები ამ პირებისა გადმოღებული აქვს ს. კაკაბაძეს, მაგრამ შეცდომებით (საისტ. კრ., IV, 108—109), რაც თავთავის ადგილას იქნება აღნიშნული.

78 სურათები აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

79 ს. კაკაბაძე: „მარიხ (საისტ. კრ., IV. 108).

80 ს. კაკაბაძე: „ანდოზ“ (იქვე).

81 ს. კაკაბაძე: „უ ზუ? ნ“ (იქვე).

82 ს. კაკაბაძე: „გულიბაჰ“ (იქვე).

83 ს. კაკაბაძე: „კობერიძეს“ (იქვე).

მხატვრობა ეკუთვნის XVI ს.

სიძველე: 1. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ჩვილედი ხატი, 1,3×0,9 მ (დაახლოებით), სამკაულაყრილი (ავაზაკებს გაუძარცვიათ ძველად), ქართული ხელოვნებისა.

**მიქარწმიდის და ბუგეულის ეკლესიის სიძველენი**[84].

1. (ქ.* 1872), დროშის ჯვარი „მთავარანგელოზისა“, ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, 44,2×23,2 სმ. შემკული წინა მხარეს მთავარანგელოზებისა და წმ. გიორგის ჭედილი ხატებითა და 3 თვლით (აკლია 2 თვალი) და 14-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერით უკანა მხარეს.

ႵႫႨႵႤႪ:
ႢႠႡႰႨႤႪ:
ႫႧႠႥႠႰႠႬႢ
ႤႪႭႦႭ:
5. ႫႤႭႾ:ႣႠ
ႫႴႠႰႥ:ႤႵႫႤႬ
ႫႤႴႤႧ:ႫႤႴႤႱႠ:ႢႨ
ႭႰႢႨႱ:ႻႤႧႠ:ႫႧႱ:ႪႤႭႬႱ:ႫႧႥႰႠႬ:ႢႤႪႭႦႭ:
ႭႱႤႧ[ႪႤ]Ⴔ[Ⴄ]
10. ႱႬ[Ⴂ]Ⴑ: ႪႱ
ႽႤ:ႱႧႤႪႱႠႫႤႱႠ:ႫႤႱႱ
Ⴀ: ႭႱႪႭႱႬႳႤ
ႠႱ: ႠႫႤႬ
ႭႱႪႭ

ქ. მიქელ, გაბრიელ მთავარანგელოზო, მეოხ და მფარველ(ა)დ ექმენ მეფეთ-მეფესა გიორგის, ძეთა მ(ა)თს(ა) ლეონს. მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნ-

---

[84] 1925 წლის ივლისის 29-ს დავათვალიერე ბუგეულის თემალმასკომის საწყობში მოგროვილი საეკლესიო ნივთები და გამოვყავი იქიდან სიძველეები. სამწუხაროდ, სინამდვილით ვერ გამოვარკვიე, თუ რომელი სიძველე რომელი ეკლესიისა იყო; თემალმასკომის წევრების გადმოცემით, ნივთების უმეტესი ნაწილი მიქარწმიდის ეკლესიისა უნდა იყოს, ხოლო უმცირესი — ბუგეულისა.

* შემოკლებანი:

ხლვ. მ — ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებული ქართული ხელოვნების მუზეუმი.

ს. ს. ს. მ. — საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი.

ქ. — ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი.

გე(ლ)ოზო უშვ[ელე]ფ[ე]შ(ა)ნ[გ]ს ლ(აშ)ხიშვილსა, მე(უღლე)სა მისსა ულუნპიას; ამინ უფალო:

ჯვარი ეკუთვნის XVI ს. წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი II (1565—1583), რომელიც იხსენიება აგრეთვე ნიკორწმინდის ღვთისმშობლის ხატის (იხ. ნიკორწმ. № 4) წარწერაში და მისი ძე ლეონი (მეფობდა 1583—1590).

2. (ქ. 1873). ვერცხლზე ნაჭედი ღვთისმშობლის ხატი, 34,2×24 სმ. გადაკრული ფიცარზე, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 3 თვლითა და 2 მარგალიტით (აკლია მარგალიტი) და ასომთავრული წარწერით ბოლოზე:

ႷႭႣႠ·ႼႫႨႭ:ႣႤႣႭ:ႫႤႭႾ:ႣႠ:
ႫႴႰႥႤႪ[Ⴀ]Ⴃ:ႤႵႫႤႬ:ႴႤႸႠႬႢႨႱ:
ႪႸႾႨႸႥႨႪႱႠ:ႣႠ:ႫႤ[ႭჃႶႪႤႱႠ:ႫႠ]ႧႱႠ:
ႭჃႪႭჃႳႤႠႱ:Ⴊ—ႥႨႱ:ႵႠႪႱ:ႠႫႨႬ

ყო(ვლა)დ<ა> წმი(და)ო დედ(ა)ო, მეოხ და მფ(ა)რველ[ა]დ ექმენ ფეშანგის ლ(ა)შხიშვილსა და მეუღლესა მათსა ლ-ვის (?) ქალსა, ამინ.

ხატი ეკუთვნის XVI ს. წარწერაში მოხსენიებული არიან იგივე ლაშხიშვილნი, რომელნიც ზემოაღწერილ ჯვრის წარწერაში.

3. (ქ. 1874). ვერცხლზე ნაჭედი ხარების ხატი. 26,2×20 სმ. გადაკრული ფიცარზე, მდარე ხელის ასომთავრული წარწერით:

Ⴘ´Ⴄ Ⴍ´Ⴍ Ⴖ´——|Ⴄ´Ⴑ ႠႱႳႪႨႱ——|Ⴕ———Ⴂ—Ⴖ—

შ(ეიწყალ)ე უ(ფალ)ო ღ[მერთო] ე ს (?) ასულის ... ქ... გ. ღ (?)

4. (ქ. 1874) 5 ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი, 29×20,7 სმ. დაფერილი ოქროს წყალში და შემკული თხზული ასომთავრული წარწერით:

| | |
|---|---|
| Ⴈ´Ⴓ Ⴕ´ႤႻႤႭႶႫ´ႰႧႭ | ႫႤႭႾ ႤႵႬ ႭႰႱႠ |
| ႥႤ ႸႨႬႠ ႺႾႭ | ႰႤႡႱႠ Ⴅ´ႰႣ´Ⴌ |
| Ⴊ´ႸႾႨႸႥႨႪႱ | Ⴀ Ⴇ´Ⴌ´ႬႠႫ |
| ႤႺႾ´ႤႣႰႤႱႠ | Ⴋ´ႧႱႠ ႡႠ |
| ႰႨႸႥႨႪႨႱ | ႵႠႪႱႠ:Ⴇ |
| ႨႬႧႨႬႱ Ⴀ´Ⴌ | |

ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, ძეო ღ(მ)რთ(ისა)ო, მეოხ ექ(მე)ნ ორსავე შინა ცხორებ(ა)სა ვ(ა)რდ(ა)ნ ლ(ა)შხიშვილსა და თ(ა)ნამეცხ(ე)დრესა მ(ა)თსა ბარიშვილის ქალსა თინ(ა)თინს, ა(მი)ნ.

ძეგლი ეკუთვნის XVII ს.

5. (ქ. 1876). ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი. 26,2×21,5 სმ. დაფერილი ოქროს წყალში და შემკული ასომთავრული წარწერით:

> ႵႫႤ ႠႬႭჃႱႨႠ ႥႰႣ҃Ⴌ ႪႸႾႨႸႥႪႱ ႣႤႣႠႫႬ
> ႫႭႥჀႤႣႨႬႤ Ⴞ҃ႲႤ ႫႺႾႭႥႰႨႱႠ ႺႭႣႥႧႠ ႹႭჃႤႬႧႠ
> ႸႤႱႬႣႭႡႤႪႠႣ Ⴀ҃Ⴌ

ქ. მე ანუსია ვ(ა)რდ(ა)ნ ლ(ა)შხიშვილ(ი)ს დედამ(ა)ნ მოვ(ა)ჭედინე ხ(ა)ტი მ(ა)ცხოვრისა ცოდვ(ა)თა ჩუენთა შეს(ა)ნდობელად, ა(მი)ნ.

ძეგლი ეკუთვნის XVI—XVII სს.

6. (ქ. 1877). ძველი ქართული ფული სპილენძისა.

7. (ქ. 2143). რომელიღაც საეკლესიო წიგნი, ხუცურად ნაწერი, დაშლილი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

8. (ქ. 2144). სახარება ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

9. (ქ. 2145). ალსარების სათქმელი წიგნი, ხუცურად ნაწერი.

10. (ქ. 2146). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

## ჯვარისა

### ჯვარისას ეკლესიის სიძველე:

(ქ. 1893). „ძ ე ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი", ანუ ჯვარი, ჩასვენებული ბუდეში და დაფარული წინა (პირის) მხრიდან კარით, 19×9,7 სმ.

ჯვარი ვერცხლისაა ზომით 16,2 (უტაროდ 8×6 სმ), იგი შემკულია გულში მოთეთრო გამჭვირვალე თვლით, რომლის ქვეშაც მოჩანს „ძელი ჭეშმარიტი"-ს (?) ნაწილაკი.

ჯვრის ბუდე ფიცრისაა, ზომით 19×9,7 სმ. იგი ირგვლივ ვერცხლის ფურცლებით არის შეჭედილი; ეს ფურცლები შემკულია ყვავილ-ფოთოლთა და სხვა ჭედილის სახეებით. ბუდე დაზიანებულია. გვერდის აშიები ავარდნაზე არის, ფიცარი გამსკდარია შუაზე.

კარი ზომით 17,5×7,7 სმ. წარმოადგენს ვერცხლზე ნაჭედ წმ. გრიგოლის ხატს, გადაკრულს ფიცარზე; წმ. გრიგოლი გამოხატულია მღვდელმთავრის ტანისამოსით, მდგომარედ ორსვეტიან კამარაში; მარჯვენა ხელის თითები მას დასალოცად აქვს გაწყობილი (გულთან), მარცხენა ხელში კი წიგნი უჭირავს (გულთანვე). სვეტები და კამარა შემკულია გრეხილებით და ყვავილოვანი სახეებით. წმინდანის ფერხ-

თა ქვეშ მრგვლოვანი ასომთავრული წარწერაა 8 სტრიქონად. კარი ასახდელ-ასაწევია ზევითა მხრიდან; მისი ფიცარი ძველი არ არის, იგი გამოცვლილი უნდა იყოს ძველის დაზიანებისა გამო.

წარწერა კარზე:

ႼႭ´Ⴍ Ⴂ´Ⴊ ႱႠႩႥႰႥႤႪ
ႧႫႭႵႫႤႣႭႸႤႬႣ
Ⴀ ႸႤႥႤႣႰႤႡႳ
ႪႨ ႫჄ´ႪႨႸႤႬႨႱ
5. ႠჀႠႩႣႭჃႾႲ
ႣႠႺႤႥႷႭႥ
ႪႨႱႠႢႠႬႡႭ
ႰႭႲႨႱႠ

წ(მიდა)ო გ(რიგო)ლ საკვრველთმოქმედო, შენდა შევედრებული მჴ(ევა)ლი შენი საჰაკდუხტ და(ი)ცევ ყოვლისაგან ბოროტისა.

წარწერაში მოხსენიებული გრიგოლ საკვრველთმოქმედი არის მსოფლიო წმიდანი გრიგოლ ნეოკესარიელი (221—270 წწ. დაახლოებით), ხოლო „მჴევალი საჰაკდოუხტ" არა ჩანს, თუ ვინ არის. ისტორიაში ამგვარი სახელით ცნობილი არის საგდუხტ დედოფალი, ვახტანგ გორგასლის დედა[85]; საგდუხტ-სომხურ თარგმანში *Սահակդուխտ* -ს[86], ხოლო საგდუხტ-საკდუხტ მიღებულია საჰაკდუხტისაგან[87], რასაც ადასტურებს სომეხთა ისტორიკოსის ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი ს ცნობა, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ვახტანგ გორგასლის დედას ერქვა საჰაკდუხტი[88].

---

[85] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ც´ჲ ვხ´ტნგ გვს´ლსა 297—301, გვ. 119—121

[86] ვენეტიკ. გამ. გვ. 74.

[87] ეს ცნობები წერილობით გადმომცა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუძღვნი.

[88] *„և տիրեցին ի ծովէն Պոնտոսի Տինչև ցծովն կասպից մինչև ցՄիհրան, և ցԱրրակ Թոռն իւր, Նար կին պարթևաց, Սահակդուխտ անուն ի Պուրտաւոյ, որ և ամուլ գոլով հաւատոց ի քրիստոս, և նա ծնա ղաւակ, ցՎախտանգ, որ և Գուրգասարև կոչեցաւ որ և Գայլ-տզլուխ ի պարսից բառն"* (ვენეტიკ. გამ. 1862, გვ. 91).

[89] ცნობა წერილობით გადმომცა სვ. ჯ ა ნ ა შ ი ა მ, რომელსაც აგრეთვე მადლობას ვუცხადებ:

დაწერილობის მხრივ წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ასოები: წ ო ბ ყ ღ ც კ ჰ. მათგან წ ორმუცლოვანი არის, ამასთანავე ქვედა მუცელი ცალკე კი არა აქვს ბუნიდან დაწყებული, არამედ ზედა მუცელზედვე აქვს მიბმული. ო სრულიად უკუდო არის, ძლიერ წააგავს ბერძნულ o-ს (ომიკრონს) და უფრო მეტად ნინოწმიდის ტაძრის იმ წარწერის o-ს, რომელიც პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით, ალვანური დამწერლობის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. ბ და ყ თავშეკრულია (ვ და შ თავგახსნილი). ღ და ც ერთმანერთის მსგავსი მოყვანილობისანი არიან: პირუკუღმა რომ შევაბრუნოთ და თავდაყირა დავაყუდოთ ღ იქნება ც და ც ღ; ორივენი განსხვავდებიან ჩვეულებრივი ასოებისაგან: ჯერ ერთი, ღ ზედა კიდურისა და ც ქვედა კიდურის სისწორით, რომელიც ნამგლის ტარის მსგავსად აქვს გამოყვანილი; მეორეც, მათი კორპუსი მეტისმეტად გადახრილია მარცხნისაკენ. კ-ს მუცელი ღია აქვს. ჰ კუთხოვანი არის. წ ო ღ ც კ ჰ ასოთა გარდა სხვა ასოთა მოხაზულობის მხრივ წარწერა ყველაზე მეტად უახლოვდება ბოლნისის 506 წ., ჯვარის მონასტრის VI ს. წარწერებს.

გარდა ამისა, წარწერა იცავს ორხაზოვანობას. მქანდაკებელი მე-4 სტრიქონის სიტყვის „მჴ̃ლი"-ს ქარაგმის ქანდაკებით რომ ორ ხაზს არ გასცილდეს, განგებ სჭრის მე-3 სტრიქონის სამი ასოს-„ევე"-ს ბოლო ნაწილებს, ანუ კიდურებს და მათ ქვეშ ათავსებს მას, თუმცა რამდენიმე ასო, მაგ., წ გ ბ კ ვ და ქ ორ ხაზს შუა უკვე ვეღარ თავსდებიან, ლტოლვა აქვთ გაცილებისაკენ და ზოგი ოდნავ კიდევაც სცილდება მას, რაც უძველესი ხანის წარწერებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა წარწერის შესახებ შემდეგ მოსაზრებებს გამოთქვამს. ეს ძეგლი მისი აზრით, პალეოგრაფიულად უფრო ძველს ნიშნებს შეიცავს, ვიდრე ბოლნისის წარწერა 506 წლის ახლო დროისა და ჯვარის მონასტრის წარწერები VI—VII სს. ეს არის ასოების ბ-სა და ყ-ს თავშეკრულობა და ვ-ს თავგახსნილობა. საიდანაც უნდა ვივარაუდოთ ქართული ანბანის წარმოშობა არქაული ბერძნულიდან, ანდა სემური ძველი ალფაბეტებიდან (ფინიკურიდან ან არამეულიდან) ასო ვ თავდაპირველად თავგახსნილი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბ და ყ თავშეკრული, და სწორედ ამნაირი მოხაზულობა აქვს ამ ასოებს ჩვენს ძეგლშიც (ბ და ყ თავშეკრულია, ვ თავგახსნილი), ხოლო ბოლნისისა და ჯვარის მონასტრის წარწერებში სწორი დაწერილობა უკვე დარღვეულია და ვ-ც თავშეკავებულია ბ-სა და ყ-ს ანალოგიით. ამას გარდა ჩვენი ძეგლის ო (უკუდო) უფრო არქაულ დაწერილობას წარმოად-

გენს, ვიდრე ბოლნისისა და ჯვარის მონასტრის წარწერათა ო-ს მო ხაზულობა. ყველა ამ ნიშნების გამო პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ფიქრობს, რომ ჩვენი ძეგლის წარწერა წინ უნდა უსწრებდეს ბოლნისის და ჯვარის წარწერებს და V ს-ზე უფრო გვიან დროს არ უნდა ეკუთვნოდეს.

სტილის, ტექნიკისა და ორნამენტის მხრივაც ძეგლი იშვიათი სიძველითაა; მისი ორნამენტი შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს დასკვნით გვხვდება მხოლოდ უძველეს ხანაში და V—VI სს. არა სცილდება.

ვიღებ რა მხედველობაში ყოველსავე აქ აღნიშნულს, რომ ძეგლის წარწერა პალეოგრაფიულის მხრით განსაკუთრებულ არქაულ ნიშნებს ატარებს და რომ მისი ტექნიკაც ღრმა სიძველის მაჩვენებელია, ძეგლს V ს. ვათარიღებ[89].

ზემოაღწერილი სიძველე წამოღებულია ჩემ მიერ სოფ. ზნაკვადან; სხვადასხვა პირთა გამოკითხვის შემდეგ გავიგე, რომ იგი კუთვნილებაა ამავე თემის სოფ. ჯვარისას[90] ეკლესიისა, რომელიც ზნაკვადან 2—3 ვერსის მანძილზე მდებარეობს დასავლეთით. ჯვარისას ყოფ. მცხოვრებლის რ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ეს ძეგლი ადრევე ყოფილა ჯვარისას ძველ ეკლესიაში, რომელიც აშენებული ყოფილა აწინდელი ახალი ეკლესიის ჩრდილოეთ, ანუ მარცხენა გვერდზე (ოდნავ მაღალ გორაკზე) შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. აქ იგი სულ მუდამ ტრაპეზზე სვენებულა აღმოსავლეთის კედელზე მიყუდებით (ტრაპეზი ეკლესიას კედელზე ჰქონია მიდგმული); შემდეგ, როდესაც ახალი ეკლესია აუშენებიათ (ძველი ეკლესიისა და სხვა მასალისაგან), ეს ძეგლიც ახალ ეკლესიაში გადაუტანიათ და უკანასკნელ ხანებამდე იქ ყოფილა; ხოლო 1924—1925 წწ-ში თემის აღმასრულებელ კომიტეტს გამოეტანა იგი ეკლესიიდან და ამ გამოტანის დროს კიდეც დაზიანებულა.

## ქედისუბანი

ქედისუბანს არის ორი ეკლესია: მთავარანგელოზისა და მრავალძალის წმ. გიორგისა.

---

89 1927 წელს დაბეჭდილ ცალკე წერილში ამავე სიძველეს ვათარიღებდი VI ს-ით (საქართველოს არქივი, წ. III, 208), ხოლო მას შემდეგ ახალი მასალების გათვალისწინებამ დამარწმუნა, რომ ძეგლი უფრო ძველი ხანისაა.

90 ნიკორწმინდის XI ს. ეტრატზე ნაწერ სიგელში ეს ჯვარისა მოხსენებულია „ზნაკუას ჯუარისა"-დ (ქრონ. II, 46) გასარჩევად მეორე ამავე სახელის მატარებელი სოფლისაგან, რომელიც მდებარეობს ოკრიბაში (იმერეთი) და ეწოდება „ოკრიბას ჯუარისა" (იქვე, 49).

I. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა (სოფელში) ერთნავიანი შენობაა, 6,4×4,3 მ. ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან; თაღი ფიცრისა აქვს, კარი — სამხრეთით და დასავლეთით. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, სამკვეთლო — თახჩაში.

გარეთ, სამხრეთი კარის ზევით არის მხედრული წარწერა ქვაზე (ქარაგმები გახსნილია მრგვალ კავებში):

ქ. სამებაო წ(მი)დაო, აღამაღლე რქა მართლმადიდებელთა ქ(რის)ტ)ეანეთა, რ(აჲთ)ა მარადის
შენვე გაქებდე: ჰოი, პირმშო ძეო, მე
მონაჲ და მსახოებელი [შენი]...
5. ს ძე... ორი შემწე ვექმენ ეკლესიასა მთავარანგელოზისასა შემწედ და მეოხად
სულისა ჩემისა რ(აჲთ)ა მხილველნი ამისნი
ჩემთვისცა შენდობ[ასა ჰვედრებდ]-
დეთ. ქ(რის)ტ)ეს აქეთ ჩღუბ (1792).

შიგნით ჩრდილო კედელზე არის მხატვრობა, დანარჩენი კედლები კირით არის გალესილი და, ვგონებ, ზემოხსენებულის გარდა, ეკლესიას სხვა მხატვრობა არც უნდა ჰქონოდა.

ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ოთხი პირი: ოთხივე ასომთავრული წარწერით.

1. პირველი (საკურთხევლის ახლოს)[91] — სასულიერო პირი; იგი მარჯვენით აკურთხებს, მარცხენაში უჭირავს ხატი (?); აქვს წარწერა:

...ႬႠႭႡ: ႩႤႬႽႠႻႤႫႠႬ ႫႭႠ
[Ⴥ]ႤႣႤႠ: ႾႲႨ: ႡႰႻႠႪ:ႻႠႪႨ:Ⴜ҃Ⴢ
Ⴂ҃Ⴈ: ႥႨႬႚ: ႸႤႬႣႭႡႠ: ႢႥႡႰႻႬႭ
Ⴇ:Ⴖ҃Ⴌ:Ⴇ҃ႵႥႬႚႠ: Ⴘ҃ႢႬႣႭႱ Ⴀ҃Ⴌ:

... ნაობ კენჭაძემან მოაჴედია ხ(ა)ტ(ი) ბრ(ავალ)ძალ (sic) ძალი წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი. ვინც შენდობა გვ(ი)ბრძ(ა)ნოთ ღმ(ერთმა)ნ თქვ(ე)ნცა შ(ე)გ(ი)ნდოს. ა(მე)ნ.

2. მანდილოსანი, ასომთავრული წარწერით:

Ⴇ҃ႬႠ:ႫႚႾႤႣႰႤ: ႫႱႠ:ႩႠႩႭႬႠ

თანამეცხედრე მ(ი)სა კაკონა.

---

91 მხატვრობა აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

3. ყრმა, ასომთავრული წარწერით:

ႻႤ: ႠႫႨႱႨ: ႬႠႱႾႣႠ:

ძე ამისი ნასხ(ი)და.

4. ႠႱႳႪႨ ႫႨႱႨ
ႣႭႣႠႪ:

ასული მისი დოდალ (?)

ეკლესიაც და მხატვრობაც ეკუთვნის XVII ს.

ეკლესიის სიძველეები განადგურებულია 1924 წელს;სხვათა შორის, მაშინ დაღუპულა დიდი ეტრატის გრაგნილი. ხატებიდან ნაშთიღა არის დარჩენილი, სახელდობრ:

1. ფიცარზე ნახატი მრავალძალის წმ. გიორგის ხატი, 54×44 სმ. შემკულობა მოცილებული და გატეხილი სამად (ქართული ხელოვნების მუზეუმი).

2. ფიცარზე ნახატი მთავარანგელოზის ხატი, 77×53 სმ. შემკულობა მოცილებული, გატეხილი ორად (ქართული ხელოვნების მუზეუმი).

II. მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი ს  წ მ.  გ ი ო რ გ ი ს ეკლესია დგას სოფლის გარეთ, დასავლეთით, ნაძვნარ გორაკზე. იგი ერთნავიანი შენობაა, 5×4 მ. ნაგები ქვიტკირისაგან; შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით: ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი მაცხოვრის ხატი, 50×39 სმ. დაზიანებული;

2. ფიცარზე ნახატი რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ორი ნატეხი, 29×23,7 სმ. მხატვრობა მოცილებული;

3. (ქ. 1929). რკინის შუბი, დაზიანებული, 2 ცალი;

4. (ქ. 1930). რკინის ზრო (ისრის წვერი): ა. ორკაპი — 8 ცალი; ბ. შუბისმაგვარი, მსხვილი, 5 ცალი და გ. შუბისმაგვარი წვრილი, 40 ცალი.

## ზნაკვა

ზნაკვას ს ა შ ი ნ დ ი ი ს  ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 1894). ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 42,5×36 სმ. აგლეჯილი ფიცრიდან, უაშიებო, დაზიანებული. აწერია ხუცურად: ღვთისმშობელს: ⴜ̃ⴀ ⴋⴐ̃ⴋ — წ(მიდა)ჲ მ(ა)რ(ია)მ; ყრმას ⴕ̃ⴄ — ქ(რისტ)ე.

ჲ. (ქ. 2140). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელ-ნაკლები.

## მოტყიარი

მოტყიარის ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 1891). ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 39×23 სმ. აგლეჯილი ფიცრიდან, უაშიებო. წმ. გიორგი მდგომარეა. ხატი ეკუთვნის XII—XIV სს.

2. (ქ. 1892): ა. რომელიღაც ხატიდან აყრილი დაბალი ვერცხლის აშიები — დიდი 3, წვრილი 2, სულ 5 ნაჭერი, ბ. სხვა რომელიღაც ხატიდან დარჩენილი აშია, 1 ცალი.

## ზედა შავრა

ზედა შავრას იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (სურ. 32) ერთნავიანი შენობაა, ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. მას აქვს ძვირფასი ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც ადგილობრივ პირთა ცნობით მოტანილია „კვერთის ნასაყდრევი“-დან.

## ხონჭიორი

ხონჯიორის ღვთისმშობლის ეკლესია (ბუაძეების უბანში) ახალი შენობაა.

სიძველენი:

1. ვერცხლის ჯვარი, 23,5×16,5 სმ. შემკული ჯვარცმის ხატით (გულში) და მინანქრის ნაშთით (ჯვარცმის ქვევით მცირე წრეში).

2. ხის ჯვარი, 21×16 სმ. შემკული ჯვარცმის ხატით და სიმბოლიური გამოხატულებით მახარობლებისა (ცხოველ-ფრინველთა სახედ), დაზიანებული (გატეხილია).

3. ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრისა თუ რომელიღაც მღვდელმთავრის (?) ხატი, 24,5×20 სმ. ძლიერ დაზიანებული (დაკერებული) ასომთავრული წარწერით:

[+:] ႱႤႪႠႱ: ႢႠႰ[Ⴗ]
ႠႬႨႻႤႱ Ⴘ҃ႤႱ
Ⴖ҃ႧႫႬ ႺႭႣ
ႥႠႬႨ ႣႠ
ႫႤႭႳႶႪႤ
Ⴑ ႫႤႱ:·
ႢႭႳႪႣႠႡ
ႷႭႴႨႪ [Ⴈ][92]ႰႨႬ
ႤႱ Ⴐ҃ ႸႤႭႳႬႣႥ:
ႶႫ[Ⴌ҃] ႺႭ
ႣႥႠ[Ⴌ]Ⴈ ႻႤႱႠ
ႫႠႧ[Ⴑ]Ⴀ Ⴍ[93]Ⴓ
ႥႮႨ[Ⴀ]Ⴑ...

ქ. სელას გარაყანიძეს[94] შეუნდვნეს ღმერთმან ცოდვანი და მეუღლესა მისსა გულდაბყოფილ ირინეს {რ҃} (რამეთუ?) შეუნდვენ ღმერთმან ცოდვანი, ძესა მათსა ულუვპიას...

4. (ქ. 1832) ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმის ხატი, 28,5×23,7 სმ. ძლიერ დაზიანებული; შემკულობიდან ხატს შერჩენია: მინანქრიანი ხატები — ანგელოზისა (ზევითა მარჯვენა კუთხეში), ღვთისმშობლისა (ჯვარცმის მარჯვნივ), ნათლისმცემლისა (ჯვარცმის მარცხნივ), წმ. ნიკიტასი (ჯვარცმის ძირს) და მინანქრიანი ორნამენტი მედალიონებად, ანუ წრეებად ორ ადგილას: ერთი ზევითა აშიის მარჯვენა კუთხეში და მეორე ამავე აშიის მარცხენა კუთხეში. ამ მედალიონებში მინანქარი არის: მწვანე, ცისფერი, ყვითელი, ყავისფერი, თეთრი და სხვა ფერი. ხატს აგლეჯილი და დაკარგული აქვს 19 მედალიონი, გარდა

---

92 შესაძლებელია აქ იყო არა ი, არამედ მ, მაშინ, ქარაგმაც რომ ვიგულისხმოთ, სიტყვა წაიკითხება მარინე-ღ.

93 აქ ზის ასო, რომელიც უფრო ც-ს წააგავს; შესაძლებელია იგი იყოს ო, მაშინ სიტყვა წაიკითხება: ულუვპიას.

94 წარწერაშია: „კარაყანიძეს". გარაყანისძეთა გვარი მოხსენიებულია ამავე ეკლესიის მე-7 ნომრით აღწერილი ხატის წარწერაში, მე-11 ნომრით აღწერილი ოთხთავის მინაწერში და აგრეთვე ონისა და ღების ეკლესიების სიძველეთა წარწერებში.

ამისა 4 მედალიონი სხვა არის დაზიანებული. თვლებიდან ხატს შერჩენია მხოლოდ 30 ცალი, დანარჩენი დაკარგულია. ქვედა ნაწილში, ქვევითა აშიის ადგილას ხატს აქვს ფიცარზე ჩაჭდეული ხუცური წარწერა, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია ვერცხლის ნაგლეჯებით:

ⴟⴐ̃ⴚⴀ ⴕ̃ⴄⴑⴀ ⴘ̃ⴄ ⴚⴍⴃⴊⴈ ⴂ̃ⴈ ⴁ[ⴛ]ⴄ ⴀ̃ⴌ

ჯუარცმაო ქრისტესაო, შეიწყალე ცოდვლი გიორგი ბუაძე[95], ამენ.

ხატი ეკუთვნის X—XI სს.

ჩ. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმის ხატი, 39,5×27,5 სმ. შემკული ღვთისმშობლისა და სხვ. ხატებით და 2 თვლით (აკლია 5 თვალი). ხატი დაზიანებულია. ჯვარცმას მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ასომთავრული წარწერა[96].

| | |
|---|---|
| +: ႱႭჃႪႱႠ Ⴙ | ႠႣ: ႥႬႠ Ⴘ |
| ႥႬႨႱႠ: | ႤႬႣႭႡႨႧ ႫႭႢႥႨ... |
| ႱႠႪႭႺႥႪ | |

ქ. სულისა ჩვენისა სალოცველად. ვინა შენდობით მოგვი[ქსე]ნოთ]...

ხატის ქვედა აშიაზე დაკერებულია სხვა რომელიღაც ხატიდან აღებული თუ დარჩენილი ვერცხლის ფურცელი ასომთავრული წარწერით:

Ⴘ ႻႨႱႠ ႸႤႬႨႱႠ ႡႰႠႪႩႭჃႨႰႨႪႤႱႠ
ႪႨႩႨႱႰႫ: ႤႱႤႾႠႲႨ ႠႵႠ ႣႠႱႭჃႤႬ:—

...(?) ძისა შენისა ბრალი (?) კჳირილეს (?) და ლიკის (?) რომ ესე ხატი აქა დაასუენ[ეს].

ც. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 55×41,7 სმ. დაფერილი ოქროს წყალში, შემკული 15 მოზრდილი და 6 პატარა თვლით და მარგალიტებით (აკლია 1 თვალი და ადგილ-ადგილ მარგალიტი). ხატი დაზიანებულია: მას აშიებთან დაკერებული აქვს რომელიღაც ძველი ხატის ფურცელი წარწერის ნაშთით, ხატზედ არის ერთი დიდი მომწვანო მძივი.

ხატი მდარე ხელის ნამუშევარია.

---

95 ბუაძენი დღეს 60 კომლამდე არიან ადგილობრივ.

96 წარწერის ბოლო სტრიქონები გამოტოვებულია რვეულის დასველებისა და გადმოღებული წარწერის დაზიანების გამო.

7. ვერცხლზე ნაჭედი დასამწყალობელი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით კალთაში. 45,5 (ტარითვე) × 11 სმ. გრძელტარიანი, დაზიანებული; აქვს ორი ასომთავრული წარწერა: ერთი წინ, მეორე უკან.

წინა მხარის წარწერა:

ႢႷႰႱႻႱ: ႫႨႵႤ
ႪႱ ႺႭ
Ⴃ
Ⴅ
ႬႨ
ႸႤ
ႭႳႬ
Ⴃ
Ⴅ
Ⴌ

გარაყანისძეს მიქელს ცოდვანი შეუნდვენ.

უკანა მხარის წარწერა:

ႿႺ̃Ⴍ
ႵႻႱ
ႲႤႱႭ
ႢႷႰႨ
ႻႤႱ ႢႢႱႺ
ႭჃႬႨ
[ႸႤႭႳႬ]
[ჃႥႬ]

ჯუარცმაო ქრისტესაო, გარაყანიძეს გიორგის[97] ცოდვანი შეუნდვენ.

8 (ქ. 1933). ოთხთავიდან დარჩენილი წინა ყდა, 33×22,5 სმ. მას შემკულობიდან შერჩენილი აქვს ვერცხლზე ნაჭედი მირქმის ხატი (გულში)[98], დაზიანებული, მინანქრიანი წმ. გიორგის ხატი მედალიონად (მირქმის ქვევით) და მრგვალთავიანი ლურსმნები. ყდას წმ. გიორგის გარდა სხვა მინანქრიანი ხატებიც უნდა ჰქონოდა მაგ., მახარებლებისა.

97 გ˝გს შესაძლებელია იკითხებოდეს არა გიორგის, არამედ გრიგოლს.

98 ძველად ოთხთავის ყდას ჩვეულებრივ ამკობდნენ ჯვარცმის ან ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის, ან ვედრების (δέησις) ხატით. აქ კი მირქმაა.

ყდაზე შემდეგ ხანში დაუკერებიათ ვერცხლზე ნაჭედი ღვთისმშობლისა და რომელიღაც წმინდანის ხატები, რომლებიც ახლა დაზიანებულია.

ყდის მირქმის ხატის ძირა ნაწილში აქვს მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა.

Ⴓ̃Ⴍ Ⴖ̃Ⴍ ႫႭႨჄႱႤႬႤ ႼႷႠႪႭ[Ⴁ]ႨႧ ႬႩ̃Ⴆ
ႱႭႾႠႱႲႰႤႪႨ Ⴃ̃ႬႪ ႾႫႡႸႰႱႠ Ⴂ̃ႦႰႣႪ

უფალო ღმერთო, მოიჴსენე წყალობით ნიკოლოზ სოხასტრელი, დანიელ ხამბაშურისა გაზრდილი.

აქ მოხსენებული ნიკოლოზ სოხასტრელი გვხვდება 1047—1053 წწ. გელათის სახარების თარგმანის მინაწერში, რომელიც მოყვანილი აქვს თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს (ქრონ. I, 192); იქ იკითხება: „მეორედ შეიმოსა ჴელითა ფ~დ ცოდვილ(ის) ნკ~ზ სოხასტრიაისათა“. უკანასკნელი სიტყვა თ. ჟორდანიას შეცდომით უნდა ჰქონდეს ამოკითხული „სოხასტრელისაითა“-ს მაგიერ; ასე რომ, ნ ი კ ო ლ ო ზ ს ო ხ ა ს ტ რ ე ლ ი XI ს. პირველი ნახევრის პირია და ოთხთავის ყდა და მირქმის ხატიც წარწერით ამავე ხანას მიეკუთვნება[99].

ყდა ეკუთნის ქვემოთ (№ 11) აღწერილ ოთხთავს. უკანასკნელის ანდერძი-მინაწერი იხსენიებს ამავე ნიკოლოზ სოხასტრელს.

**9.** (ქ. 1934). ძველი ფული სპილენძისა 1 ცალი.

**10.** (ქ. 1935). მძივები, ქვები და სხვ., სულ 30 ცალი.

**11.** (ქ. 2137). ეტრატზე ნაწერი ოთხთავი, 31×24 (გაშლით 49)×9 სმ. 216 ფურცელი (ზომით ფურცელი 30×24 სმ. მაქსიმუმი), შემოსილი ყდით, დაზიანებული. ყდა ხისაა, გარედან გადაკრული აქვს მიხაკისფერი ტყავი.

ოთხთავი შეიცავს: ოთხ სახარებას (ფურც. 1—204 და 205 a), ოთხთავის გადამწერის ანდერძს (ფურც. 206 a), ზანდუკს (ფურც. 206 b და 207—216) და შემდეგი დროის მინაწერს — სააღაპე წიგნს (ფურც. 205b).

ოთხთავი ნაწერია ნუსხურად ლამაზი ხელით, ორ სვეტად; თითოეულ სვეტში არის 25 სტრიქონი; სათაურები და დასაწყისი ასოები გამოყვანილია სინგურით მრგვლოვანად. თითოეულ სახარებას, მათეს სახარების გარდა, წინ უძღვის სახარების „თავნი“. ოთხთავს აქვს საუცხოო ხელით ნახატი სურათები მათესი და იოანესი; გარდა ამისა,

---

99 სიტყვას „სოხასტრელი“ კავშირი უნდა ჰქონდეს გელათის სოხასტერთან.

თვითეული სახარების ტექსტის დასაწყისი შემკულია თავში მცირე მინიატურით. ოთხთავს აკლია: შესავალი, კამარანი და მათეს სახარების თავნი (იწყება პირდაპირ მათეს სახარების ტექსტით) და, ვგონებ, ტექსტის ზოგიერთი ფურცელიც.

ოთხთავის ზანდუკი ნაწერია ნუსხურად ორ სვეტად; მისი სტრიქონების რიცხვი ცვალებადობს 39-იდან 50-მდე; სათაურები და დასაწყისი ასოები მასაც სინგურით აქვს გამოყვანილი მრგვლოვანად. მისი ხელი ტექსტის ხელთან შედარებით მდარეა, მელანი კი მოშავო, მკრთალი, ანუ ბაცი.

წიგნი განახლებულია. მისი ფურცლების ქვედა ნაწილი, ალბათ, ძლიერ დაზიანებული ყოფილა; განმაახლებელს ფურცლისათვის, 203-ე და 205-ე ფურცლის გარდა. წაუჭრია ქვედა ნაწილი თითქმის 10 სმ-ზე (ტექსტის მე-2—3 სტრიქონი და ქვედა აშია) და მის მაგიერ დაუკერებია, ანუ დაუწებებია ქაღალდი, ხოლო 204-ე, 207—210-ე და 216-ე ფურცლები სულ ქაღალდისა გაუკეთებია; ფურცლების ზედა აშიებიც რაოდენადმე წაჭრილია (ზევიდან). წაჭრით დაკლებული ტექსტი განმაახლებელს შეუვსია დაკერებულ ქაღალდზე ნუსხურადვე. მასვე აღუდგენია მრავალი ნაწერმიმქრალი ადგილი; ზოგან თვით ძველი ნაწერი განუახლებია, ზოგან კი თვით მიმქრალ სტრიქონთა შორის ახლად დაუწერია; დღეს არის ადგილები, სადაც მელანს სიცხადე თითქმის დაკარგული აქვს და ასეთი ადგილები ოდნავღა იკითხება. წიგნის განახლება უნდა მომხდარიყო XVI—XVII სს-ში. ამას გვიკარნახებს წერის ხელი და ქაღალდი, რომელიც ნახმარია განახლებისას.

ოთხთავის გადამწერის ა ნ დ ე რ ძ ი (ფურც. 206 a) ნაწერია ნუსხურით ერთ სვეტად, რომელიც შეიცავს 29 სტრიქონს; სწორედ მისივე ხელით და მელნით არის ნაწერი ზანდუკიც[100]:

---

100 ანდერძისა და ზანდუკის შესწავლა ბადებს აზრს, რომ შესაძლებელია წიგნის ეს ნაწილი — ანდერძი და ზანდუკი (ფურც. 206—216), სხვა ოთხთავის ნაშთი იყოს. ამას გვიკარნახებს როგორც განსხვავება ხელისა და მელნის მხრით, ისე დაუწერავი გვერდის (205б) არსებობა: რად დასტოვა ოთხთავის გადამწერმა ცარიელი გვერდი, რომელზედაც შემდეგ ხანში სხვა საბუთი დაიწერა, და თავისი ანდერძი და ზანდუკი რატომ იმ გვერდიდანვე არ განაგრძო, სადაც მოათავა სახარებათა ტექსტი? თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, რომ ძეგლის დაზიანების შემდეგ აიღეს მისი ნაშთი — ანდერძი ზანდუკით — და შეუერთეს ზემოაღწერილ ოთხთავს, რომელშიაც იგი დღეს არის მოთავსებული და რომელიც ზანდუკით ნაკლული ყოფილა.

„... მე, უნდომან და ყოველთა ქრისტეანეთა უნარჩევესმან, ფრიად ცოდვილმან ცუდსახედელმან მწირმან ნიკოლოზ, ძმისა დანიელ ხანბაშურის | გაზრდილმან, მოვიგე ჩემითა ნამუშაკევითა, ხატი მაცხოვრისა მინაძსა, ყოვლად შემკული თუალ-მარგალიტითა და მუნ შინა ძელი ჭეშმარიტი. და მევე დავწერე ჟამსა სიბერისა ჩემისასა ოთხთავი კამარითა და ხატითა და ზანდუკითა ყოვლითურთ სრული. და მოვჭედე მინაძთა და თუალითა. და რაჲცა სიგლახაკისა ჩემისაგან შესაძლებელი იყო, შევამკვე და არა ვისი რაჲ საჴმარი ჰრთავს თანა. და თუ ვისი რაჲ ჰრთავს, მასმცა ღმერთმან შეუნდვენ. და სასოებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მამისისა სამოღუიწყოსა (?) შინა მკვდრთა ძმათაჲთა, შევწირე და მოგაჴსენე ყოვლად [წმიდისა] ღმრთისმშობლისა მონასტერსა ჭელიშს, საჴსრად ყოველთა ცოდვათა და ბრალთა ჩემთა და სალოცველად უბადრუკისა სულისა ჩემისა და მშობელთა და გამზრდელთა ძმათა და დათა ჩემთა. და გავიკუჩთე აღაპი ამაღლებისა წინა დღე ოთხშაბათი. და მეორედ დღე მიცვა[ლებ-ის]ა ჩემისაჲ.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან გამოაჴუა[ს] ჭელიშისა ეკლესიასა ხატი და ოთხთავი ჩემი ნებსით შეწირული და ა[ღა]პსა [რაჲსა]ცა მიზეზისა მოღებითა არ გარდამიჴდიდეს: ერთსა [ამაღლ]ებასა წინა დღესა ოთხშაბათსა და მეორესა სიკუდილისა ჩემისა [დღესა], კრულმცა არს დაუსაბამოჲსა ღუთისა პირით, და ჰრისხა[ვსმცა მა]მაჲ, ძე და სული წმიდაჲ და ყოვლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი და ყოველნი წმიდანი მისნი... [ყოველ]თა ცოდვათა და ბრალთა ჩემთა [იგიმცა] ზღავს წინაშე სა[მებისა]... და ნუმცა არს ჴსნა სულისა მისისაჲ და... ...აბისაგან და წესისაგან ქრისტეანეთაჲსა და.. ...და ძმათაგან დაწესებულისა...".

ანდერძი დაწერილია დანიელ ხანბაშურის გაზრდილის მწირი ნიკოლოზის მიერ (სტრ. მე-3—4). რა ნათესაობაში არის დამწერი თავის გამზრდელთან, ეს ანდერძის ერთი სიტყვის: ...სა-ს (მე-4 სტრიქონის დასაწყისი) დაზიანებისა, ანუ ნაწერის მიმქრალობის გამო გაურკვეველია. მე-16 სტრიქონი გვაფიქრებინებს, რომ მწირი ნიკოლოზ დანიელ ხანბაშურის ძმა არის; იგი წერს: „შევწირე... ჭელიშს... სალოცვ˜ლად ...ს˜ლისა ჩ˜მისა და მშ˜ბელთა და გ˜მზრდელთა ძმათა და დათა ჩ˜მთა"-ო (სტრ. 13, 14, 15, 16), და სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვები გვეუბნება, რომ იგი თავისი ძმების და დების მიერ არის გაზრდილი; ჩანს, იგი ადრევე მშობლებს მოკლებული იყო და

და-ძმათ გაზარდეს; რაკი ეს ასეა, მაშინ შესაძლებელი ხდება დაზიანებული ადგილის სიტყვა ... სა-ს აღდგენა (სტრ. მე-4). მიმქრალი სამი ასო უნდა იყოს: ძმი; მაშინ მთელი სიტყვა წაიკითხება „ძმისა", ხოლო მთელი წინადადება: „მწირმან ნიკოლოზ ძმისა დანიელ ხანბაშურისა გაზრდილმან". აქიდან ცხადი ხდება, რომ თვით მწირი ნიკოლოზიც გვარად ხანბაშური არის და თუ თავის გვარს ცალკე არ აცხადებს, ეს იმიტომ, რომ იგი სასულიერო პირია.

როგორც ანდერძიდან ჩანს, მწირ ნიკოლოზს ოთხთავი დაუწერია კამარითა, ხატითა და ზანდუკითა და შეუმკია მინაჟთა და თვალით (სტრ. 7—9); დღეს კი მისი ოთხთავიდან მხოლოდ ზანდუკიღა გვაქვს ხელთ, ხოლო შემკულობიდან ნაშთის სახედ მოუღწევია წინა ყდას (იხ. აქვე, სიძველენი სოფ. ჯვარისა).

ნიკოლოზი თავის ანდერძში იხსენიებს მაცხოვრის მინაჟს (მინანქრის) ხატს (სტრ. 5); ეს ხატი დღეს არსადა ჩანს, თუ აქ არ იგულისხმება ამავე ეკლესიის ჯვარცმის ხატი (იხ. სიძვ. № 4), რომელსაც შერჩენია 5 მინანქრიანი მცირე ხატი.

ანდერძს, საფიქრებელია, ბოლოში თარიღი უნდა ჰქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ანდერძის ეს ნაწილი ძლიერ დაზიანებულია და სრულებით არ იკითხება. მისი დამწერი მწირი ნიკოლოზ, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნე (იხ. სიძვ. სოფ. ჯვარისა), არის ცნობილი ნიკოლოზ სოხასტრელი, XI ს. ნახევრის პირი და, მაშასადამე, ანდერძიც ამავე ხანას (XI ს. ნახევარს) მიეკუთვნება.

ზემოაღწერილი ოთხთავის ტექსტებიც პალეოგრაფიულის თვალსაზრისით ამავე ხანისა (XI—XII სს.) არის.

მ ი ნ ა წ ე რ ი მოთავსებულია 205 б ფურცელზე; ფურცელი დაზიანებულია; მას გვერდები შემოჭმული აქვს. ზომით არის მაქსიმუმი. 25×25 სმ. მინაწერი ნაწერია მ ხ ე დ რ უ ლ ა დ მოშავო, მკრთალი მელნით; მისი რამდენიმე ადგილი არ იკითხება დაზიანების გამო. ქ. [სახელით]ა, ღმრთისათა.. და ყოლაწმიდისა ღმრთისმშო|[ბელ]ისათა:. შარადის:. ქალწულისა:. მარიამისათა:. ესე:. წიგნი:. | [მ]ე გოგნიამან:. გარაყანიძემან:. დავწერე:. ჩემისა:. სულისა:. | აშთაკდისა:. დღესა:. შემოვსწირე:. ყოლაწმიდასა:. ღმრ|თისმშობელსა: სულისა:. ჩემისა:. საოხად:. გოდელიაუ|რი:. ონსა:. მამული:. გლეხეთურთ:. დავდევ:. და გ[ა]ნვაჩინე წირვა:. დიდმარხვისა:. და ერთი:. ალაპი:. აღდგომისა:. ორ|შაბათსა:. მოძღვრისა:. ჩემისა:. ხელითა:. რაფაელისა ბუაძისათა: | იქმნებოდე: და:. რა:. იგი:. მოკვდეს:. ვისცა მისი:. ნაქო|ნი:. დარჩეს:.

დიდმარხვაცა მა|ნ:.[101] სწიროს:. და აღაპიცა... მისისა:. ჴელითა:. იქნე-
ზოდეს | გოდელაურიდაღმა: მოვიდოდეს:. ორი:. ცხვარი:. და მისი:.
პური:. და ღვინო:. რომე:. აღაპსა:. ეყოფო|დეს:. და მიწა:. გოდელაუ-
რისა:. ჰელიშსა:. სამუშაო|და:. ეხმარებოდე ამისგან:. მეტი:. მის:. კარ-
ზედანა:. არა მიდგებო|დეს: ვინცა:. და რამანცა:. ძემან:. კაცისამან:.
ჰელიშსა:. გამოა|ხვას და ჩემი:. აღაპი:. მომიშალოს რაგინდარას:.
მიზ|ეზისათვის:. რისხავსმცა:. მამა:. ძე:.და სული :. წმიდა:. იმამცა:. |
... მთა:. საშინელთა:. ცოდვათა:. იგი:. ზღავს:. რ.მანცა:. გვარმან:.
კაცისამან:. მომიშალოს:. არიოზ:. მწვალე | ბელთანამცა... არსა:
ნაწილი:. მისი:. და ნურცარა:. ხსნა|... ლს:. სულისა:. და ჴორცისა:.
მისისა და ესემცა:. წმიდა: [ღ]მრთის:. მშობელი:. უკუღმა იურჩის
განკითხვის:. დღესა:. ვინცა:. გამითაოს:. ღმერთიმცა:. და ყოლაწმი-
და | ღმრთის:. მშობელი. მ(წყალობ)[ელი]:. არის:. (მ)[ი](სა):.

მინაწერი წარმოადგენს ს ა ა ღ ა პ ე წ ი გ ნ ს, მიცემულს გოგნია გარაყანიძის მიერ ჰელიშის ღვთისმშობლისადმი. გარაყანიძეთა გვარი მოხსენებულია ამავე ეკლესიის, ღების და ონის ეკლესიების ხატების წარწერებში (იხ. აქვე ღები და ონი).

მინაწერში მოხსენიებულია რაფაელ ბუაძე (სტრ. 8). ბუაძეთა გვარი ადგილობრივ, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნეთ, დღეს 60 კომლამდე არის.

მინაწერშივე მოხსენიებულია „გოდელაური (თუ გოდელიაური) ონსა მამული" (სტრ. 5—6); ეს უნდა იყოს პატარა ონის მამული სოფლად (წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად საყანე მიწა), რომელსაც დღეს ქედელაური ეწოდება. პატარა ონი ჰელიშიდან 10 ვერსით არის დაშორებული.

მინაწერი პალეოგრაფიულად ეკუთვნის XIV—XV სს.

**12** (ქ. 2138). ჟამნი (?), ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

**ხონჭიორისავე მეორე ეკლესიის სიძველე:**

**1.** (ქ. 2139).კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, თავში ფურცელნაკლები.

---

101 ამ ადგილას ნუსხურად არის მიწერილი „ღ ო შ˜ ე მარკოზ ჴმელძე აქა და საუკ˜ნოსა ან". ეს მინაწერი ადრევე ყოფილა დაწერილი ხსენებულ გვერდზე და სააღაპე წიგნის დამწერიც მას გვერდს უვლის.

## ჰელიში

ჰელიშის უდაბნოს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა; იგი შიგნით და გარეთ გალესილია კირით.

სიძველენი:

1. (ქ. 1839). ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 30,2×24,2 (აშიებითვე 38×31,5) სმ. შემკული ყვავილოვანი სახეებით, დაზიანებული: ზურგის ფიცარი მოცილებულია და დაკარგული, აშიები აყრილია და ცალკე ინახება.

2. (ქ. 1867). ფიცარზე ნახატი ათორმეტ დღესასწაულთა კარედი ხატი, 54,7×27,7 სმ.

3. (ქ. 1866). ხის მცირე ჯვარი, 14×5,7 სმ. შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით; ათონის ხელოვნების.

4. ბარძიმი ვერცხლისა, შემკული მხედრული წარწერით:

ქ. ჰ ო ყ ˜ ღ მოწყალისა ღ˜თისა დედაო, მარადის ქალწულო მარიამ. რ˜ლიცა ცოდვილთათვის მოქცევად მოვიდა და მას ვ˜ა ჩჩვილსა აწოებდ და ზრდიდ გამომზდელსა მას ყ˜ლთასა ღ˜თსა ვ˜ა კაცსა. მის წინაშე ყავ ვედრება მითვალული და შემწყნარებელი, რ˜ა წყალობით მოხედვა-ყოს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა და მარჯვენითსა ნაწილსა ურჩეულთასა ღირს იჩინის მონანული მონა თვისი ბატონის შვილი არჩილი, რ˜ლისათვის შეიწირენ მცირედნი ესე შესაწირავნი ტაძარსა შ˜ა შენსა წ˜ასა ჰელიშის უდაბნოს:. ვ˜ა: შეიწირა ძემან შენმან და ღ˜თან ჩვენმან ქვრივისა მწვლილნი ჩღოე.

„ქ. ჰოდ, ყოვლად მოწყალისა ღმრთისა დედაო, მარადის ქალწულო მარიამ, რომელიცა ცოდვილთათვის მოქცევად მოვიდა და მას, ვითარცა ჩჩვილსა, აწოებდ და ზრდიდ, გამომზდელსა მას ყოველთასა ღმერთსა, ვითარცა კაცსა. მის წინაშე ყავ ვედრება მითვალული და შემწყნარებელი რაჲთა წყალობით მოხედვა-ყოს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა და მარჯვენითსა ნაწილსა ურჩეულთასა ღირს იჩინოს მონანული მონა თვისი ბატონის შვილი არჩილი, რომლისათვის შეიწირენ მცირედნი ესე შესაწირავნი ტაძარსა შინა შენსა წმიდასა ჰელიშის უდაბნოს, ვითარცა შეიწირა ძემან შენმან და ღმერთმან ჩვენმან ქვრივისა მწვლილნი. ჩღოე“ (1775 წ.).

ნ. ბარძიმი ვერცხლისა[102], რუსული ხელოვნების, მხედრული წარწერით:

ქ. დედოფალმან გულქან. შევსწირე. ბარძიმი. ესე ჰელიშის. უდაბნოს. ღ˜თის. მშობელს. მეფე სოლომონის. შესანდობლად.

ჲ. (ქ. 1850) ფეშხუმი ვერცხლისა მხედრული წარწერით:

ქ. დედოფალმან. წულუკიძის. ასულმან. გულქან. შევსწირე. უდაბნოს ჰელიშის. ღ˜თის. მშობელს. ბარძიმი. ფეშხუმი. კამარა. და კოვზი. მეფე სოლომონის. სულის. საოხად. და შესანდობელად. და ჩემდა მოსახსენებელად. წელიწადში ერთ დღეს სულთას. ერთი მღვდელმონაზონი მეფე სოლომონს უწირევდეს. ამინ.

მე-5 და მე-6 ნომრით აღწერილი სიძველეები ეკუთვნის XVIII ს. მათ წარწერებში მოხსენებული გულქან დედოფალი არის იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მეორე მეუღლე, წულუკიძის ასული.

7. სასანთლის (შანდლის) ძირი სპილენძისა მხედრული წარწერით: ქ: ჯაფარიძე ქაიხოსრო.

8. (ქ. 1865) ოქრომკედით ნაკერი მაცხოვრის ხატი, 14,5×13 სმ., მრგვალი ფორმისა; იგი რომელიღაც შესამოსის სამკაული უნდა იყოს.

9. (ქ. 1869); ოდიკი 1818 წლისა, დაზიანებული.

10. (ქ. 1871). ფილონი, შემკული ოქრომკედით ნაკერი სახეებით, ძლიერ დაზიანებული.

11. (ქ. 1870). ოქრომკედით ნაკერი სარტყელი, დაზიანებული.

12. (ქ. 1868). დაფარნა 3 ცალი.

13. (ქ. 2113). გულანი დიდი ტანისა, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

14. (ქ. 2114). გალობანი სამთა იოვანეთანი: წინამორბედისა, ღვთისმეტყველისა და ოქროპირისა, ხუცურად ნაწერი, ბოლოში ფურცელნაკლები.

15. (ქ. 2115). მამათა ცხოვრება, ხუცურად ნაწერი.

16. (ქ. 2116). პარაკლიტონი და სადღესასწაულო (?), ხუცურად ნაწერი.

17. (ქ. 2117). სვინაქსარი, ხუცურად ნაწერი.

18. (ქ. 2118). ზატიკი, ხუცურად გადაწერილი ტფილისის მღვდლის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ ძისა ასლამაზისა 1743 წ.; თავში ფურცელნაკლები.

---

[102] მე-4 და მე-5 ნომრებით აღწერილი სიძველენი დაცულია ნიკორწმინდის ეკლესიაში.

19. (ქ. 2119). სახარება და სამოციქულო, ხუცურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

20. (ქ. 2120) ჟამნი და სადღესასწაულო, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

21. (ქ. 2121). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული.

22. (2122). სწავლანი სულიერნი თეოდორე სტოდელისა, ხუცურად ნაწერი დაზიანებული.

23. (ქ. 2123). რომელიღაც საეკლესიო წიგნი, ხუცურად ნაწერი, თავში ფურცელნაკლები.

24. (ქ. 2124 ა). ოთხთავი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

25. (ქ. 2125). მეტაფრასი, ხუცურად გადაწერილი ოსეს მიერ 1808 წელს, 184 ფურცელი.

26. (ქ. 2126). რომელიღაც საეკლესიო წიგნი, 40×26×6,5 სმ, რომელიც შეიცავს: დავითნს, იბაკონს და სხვა წიგნებს, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები; მასში არის სხვა წიგნიდან დარჩენილი ფურცლები.

წიგნს აქვს მინაწერები:

ა. პირველი ფურცლის სათაურში, ანუ დასაწყისში წიგნის გადამწერისავე ხელით წითურით ხუცურად: „დავითნი, ახლად თარგმნილი წმიდისა გიორგი მთაწმიდელისა ბერძნულისაგან ქართულად. ფსალმუნი პ˜ლი (?) ა˜ლჲ (?). ღმერთო შეიწყალე გენათელი ნიკოლოზ“.

ბ. 40 ფურცლის ბოლოში წიგნის გადამწერისავე ხელით ხუცურად:

„უფალო იესუ ქრისტე, აცხოვნე, ადღეგრძელეი (sic) ჴელმწიფე მეფეთა-მეფე გიორგი, ორთავე ცხორებასა შინა, ამინ.

ამისსა მწერალსა იოაკიმს ჰუნბურისძესა შეუნდვნეს ღმერთმან. დაიწერაჲ წმიდანი და სულთა განმანათლებელი დავითნი ესე ქრონიკონსაჲ სნიბ. ნებითა ღმრთისაჲთა, თუჱსა მარტსა იე. გათავდაჲ. ზოსიმეს კარგარეთელსა შეუნდვნეს ღმერთმან. ვინცა ჩუენ მოგუიჴსენოთ, თქვენცა შეგინდვნეს ღმერთმან. ამინ“.

გ. 46 a ფურცლის ზედა აშიაზე სხვა ხელითა და სხვა მელნით ხუცურადვე:

„აქა გარდაიცვალა ყ˜თა მეფეთა უპატიოსნ˜სი ყ˜ით ზნეობით | შემკ˜ლი და აღსავსე ყ˜ითა ს˜ღთოთა სწავლულებითაჲ | მრვ˜ლ ჯ˜რ ჵამარჯუჱბ˜ლი მძლეთა მძლე მეფეთ მეფე როს|ტომ ძე კოსტანტინე-

სი და ელენესი. ვინცა შენდობით მოიხსენოთ | ღ҃ნ თქ҃ნც მოგიხსენოს. მეფეობდა (?) აცამეტ წელ".

დ. 47 ნ ფურცელზე (საძიებლების ბოლოში) წიგნის გადამწერისავე ხელით ხუცურად:

„ქრისტე ღმერთო ადიდე სულით და ჴორცით ორთავე შინა ცხორებათა ღვთივ გჳრგჳნოსანი მეფეთ მეფე გიორგი, ამინ".

ე. 56 ნ ფურცლის ძირა აშიაზე გვიანი ხანის მხედრული ხელით:

„ქ. ღმერთო:. შეიწყალე:. იოკანე:. პატარიძე:. და მეუღლე:. მისი:. თანანა".

მეორე მინაწერიდან (ბ) ირკვევა, რომ დავითნი გადაწერილია 1754 წელს.

პირველ მინაწერში მოხსენიებული ნიკოლოზ გენათელი არის გვარად ლორთქიფანიძე. იგი იხსენება აგრეთვე იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში[103].

მეორე და მეოთხე მინაწერებში მოხსენებული მეფე არის იმერეთის მეფე გიორგი II (XVI ს.).

მესამე მინაწერში მოხსენიებული მეფე არის იმერეთისავე მეფე როსტომი (XVI ს.); ვახუშტით მან „იე (15) წელი იმეფა"[104], მინაწერი კი „აცამეტი წელ"-ს ამბობს.

27. (ქ. 2127). ზატიკი თუ რომელიღაც სხვა საეკლესიო წიგნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

28. (ქ. 2128). კონდაკი, ხუცურად ნაწერი.

29. (ქ. 2129). კონდაკი, ნაწილობრივ ხუცურად ნაწერი, ნაწილობრივ დაბეჭდილი ფურცლებით, დაზიანებული.

30. (ქ. 2130). კონკადი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული ფურცელნაკლები.

### ნიკორწმინდა

ნიკორწმინდას არის წმ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ეკლესია (სურ. 33): იგი XVIII ს-ში დაუთვალიერებიათ რუსეთის ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს, რომელნიც წერენ[105]: „ივნისის 16-სა დღესა მიკიფორე და

[103] აღაპ. XXIII, 6—7.

[104] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. გეოგრ., ბრ. გამ. 296.

[105] ამონაწერი მომყავს თარგმანით.

ალექსი (ელჩები) ალექსანდრე მეფის იმ სოფლიდან[106] გავემგზავრეთ ალექსანდრე მეფისავე ქალაქში რაჭას... ხოლო ქალაქში ეკლესია ქვისაა, დიდი, საქმედ საკვირველი, ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელზე. გარედან ეკლესიას აქვს ქვაზე მოჭრილი საუფლო დღესასწაულები და წინასწარმეტყველები და მოციქულნი და მოწამენი, შიგნით კი კედლის მხატვრობა... ეკლესიის ახლოს არის ქვის გალავანი ორი კარით. იმავე ეკლესიაში დასაფლავებული არიან მეფის მახლობელი ნათესავები, საფლავებს დაფარებული აქვს ოქრომკედით ნაკერი ხავერდისა და ატლასის გადასაფარებლები და გაკეთებული აქვს ფარდები. აკლდამები გამართულია ეკლესიის კედლებში" და სხვ.[107].

ამონაწერში მოხსენებული „ალექსანდრე მეფის ქალაქი რაჭას" უეჭველია ნიკორწმინდას გულისხმობს. ელჩების აღწერილობა სავსებით ეთანხმება ნიკორწმინდის ძეგლის სინამდვილეს; მხოლოდ ზოგიერთ რასმე ჩვენამდე არ მოუღწევია და თუ მოუღწევია, სხვა სახით; მაგ., ეკლესიის გალავანი დღეს ნაშთადღა არის, ხოლო მეფის მახლობელთა აკლდამები ძეგლის განახლებისას მიუფარავთ.

იგივე ეკლესია XVIII ს-ში აღწერილი აქვს ვ ა ხ უ შ ტ ი ს, რომელიც ამბობს: „აგარის ... ჯევზედ არის ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუნბათიანი ‚კეთილ-დიდ-შენი"-ო[108].

მართლაც, წმ. ნიკოლოზის ეკლესია დიდი გუმბათიანი შენობაა, რომელსაც დასავლეთით და სამხრეთით აქვს კარიბჭეები (ჩრდილოეთითაც ჰქონია, მაგრამ ახლო ხანში მოუშლიათ, კვალი მოჩანს კედელზე) და სამხრეთითვე (კარიბჭის აღმოსავლეთით) სამწირველო. კარიბჭეები შემდეგ ხანში ოთახებად გადაუკეთებიათ. ეკლესია კარიბჭე-სამწირველოთი ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. გარედან იგი მრავლად არის შემკული რელიეფური გამოსახულებებით და ჩუქურთმებით. სამხრეთის კარიბჭის თაღი გამოყვანილია ძვირფასი ჭრილობიანი ქვებით [109] (სურ. 34—37).

თვით ეკლესია ფორმით ცენტრალურ-გუმბათიანი არის: მისი სამხროები გვაძლევენ გარედან ოთხკუთხ ფორმას, შიგნით კი სამხრეთი და ჩრდილო სამხროები — ორმაგ აფსიდს, აღმოსავლეთით — ერთს

---

106 აქ საუბარია იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის სოფელზე, რომელსაც იგივე პირნი ასახელებენ მდ. რიონისა და კრიხულას შუა (ტოლ. 123).

107 ტოლჩანოვისა და იევლევის ელჩობა, გვ. 124.

108 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ., ბროსეს გამ., 374.

109 MAK IV, სურ. 107—108.

და დასავლეთით სწორკუთხედს. ზომა სიგრძით 14,5 (კანკელის ხაზამდე 10), სიგანით 11, სიმაღლით — 20—25 მ. გუმბათი დაბჯენილია ეჭვს ნახევარ კოლონაზე. (სურ. 38). აღმოსავლეთ ნაწილს, გარდა მთავარი აფსიდისა, შუა ადგილას აქვს ცალკე ოთახები აფსიდებით: სამკვეთლო და სალარო („ხალამბარა"). ამათ მაღლა არის ოთახი კარით დასავლეთისაკენ. დასავლეთის ნაწილში იმყოფება ორი მცირე სამწირველო ორ სართულად: ერთი ჩრდილოეთის, მეორე სამხრეთის მხარეს. კარი ეკლესიას სამი აქვს; სარკმელი: გუმბათს 12, თითო-თითო აფსიდაში, ცალკე ოთახებში ან ერთი, ან ორი, ხოლო ამათი რიცხვიდან რამდენიმე ძველადვე ამოუგიათ; კანკელი დღეს ფიცრისაა ახალი ხანის მხატვრობით. ტრაპეზზე გამართულია ფიცრისავე საგრილობელი გუმბათიანი ეკლესიის ფორმისა; იგი მთლად მოხატულია და თითოეულ სიუჟეტს თხზული ასომთავრულით მიწერილი აქვს სახარებიდან ამოღებული ტექსტები; იგი XVIII ს-ისაა.

ეკლესია აშენებულია XI ს. დასაწყისს მეფე ბაგრატ III-ის დროს[110], როგორც ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი დასავლეთის კარის წარწერა. კარიბჭეები, მართალია, ორგანიულად არ არის დაკავშირებული მთავარ შენობასთან, მაგრამ ისინი, თუ იმავე დროს არა ყოველ შემთხვევაში იმავე საუკუნეში მაინც არიან აშენებული; ამას გვაფიქრებინებს მათი აგებულება, ჩუქურთმები და წარწერები დასავლეთის მხრივ. სამწირველო უფრო გვიანდელი ხანისაა და უნდა ეკუთვნოდეს XVII ს.

ეკლესია განახლებულია XVI ს-ში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ, როგორც ამას გვეუბნება ხსენებული მეფის მიერ 1534 წლის ბოძებული სიგელი: „...ჩ~ნ მეფეთ მეფემან ბაგრატ... ჴელ-ვყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა... და შევქმენ საყდრად საეპისკოპოსოდ"-ო[111]. სიტყვა „აღშენება" ყოველ ეჭვს გარეშეა აქ განა-

---

110 ბროსე მის აშენებას მიაწერს ბაგრატ IV-ს (RVA, XII, 55; ვახუშტი, საქ. ისტ., ბაქრ. რედ. 167, შენ. ე); უვაროვა, კი ძეგლს აკუთვნებს XV ს. (МАК IV, 136); დათარიღებისათვის უვაროვა ემყარება დ. ფურცელაძის მიერ დაბეჭდილი გუჯრის ამონაწერს (Груз. церк. гуджары, 129). მაგრამ, ჯერ ერთი, თვით ფურცელაძეს გუჯრის თარიღი სწორად არა აქვს დაწერილი. იგი ერთი საუკუნით ცდება; გუჯარი მას უწერია 1434 წლის ქვეშ (იქვე), ნამდვილად კი 1534 წლისაა (ქრონ. II, 379); მეორეც, როგორც ამას ქვევითაც დავინახავთ, გუჯარი შეეხება არა ეკლესიის აღშენებას, არამედ განახლებას.

111 ქრონ, II, 379.

ხლების აზრით არის ნახმარი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა ნათქვამი „დაკნინებულისა მონასტრისა“-ო.

ეკლესიას გარედან აქვს წარწერები ქვებზე:

1. ეკლესიის დასავლეთის კარის ზევით[112], ნახევარ წრედ, მრგვლოვანი ასომთავრულით:

Ⴕ´Ⴄ Ⴛ´Ⴍ Ⴖ´ႧႱႭ Ⴀ´ႣႤႱႨႫႰႧႤႪ´ႧႣႠႣႶႤႢႰႻႤႪ´ႡႧ
Ⴘ´Ⴌ Ⴋ´Ⴐ Ⴂ´ႰႢႬႱႬႨႡႢႰႲႠႴ႞ႦႧႠ[113]ႣႠႰႠႬႧႠ
ႫႴႤႣႠႵႠ[114]ႰႧႥႤႪႧႠႩႭႰႠႮႠႪ´ႲႨႣႠႢႠႦ´ႰႣႤ
ႻႤႫႠႧႨႢ´Ⴈ
ႬႤႡႠႱႠ Ⴘ´ႬႸ´ႬႱႠႫ႞ႡႧႠ
ႼႫႨႣႱႠႫႶႣ´ႪႧႫႻႶႰႨႱႠႬႩႪႦႨႱႧႠ
Ⴑ´ႧႠ

ქ(რისტ)ე[115], ძ(ე)ო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ო, ა(დი)დე სიმრთელ(ი)თ და დღეგრძელ(ო)ბ(ი)თ შ(ე)ნ მ(იე)რ გ(ჳ)რგ(ჳ)ნ(ო)ს(ა)ნი ბ(ა)გრ(ა)ტ აფხ(ა)ზთა და რანთა მ(ე)ფე და ქ(ა)რთველთა კურაპალ(ა)ტი[116]. და გაზ(ა)რდე ძე მ(ა)თი გ(იორგ)ი[117] ნებასა შ(ი)ნ(ა) შ(ე)ნსა, მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წმიდ(ი)სა მღდ(ე)ლთმ(ო)ძღ(უ)რისა ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზის(აჲ)თა.

წარწერის პირველი სტრიქონი ნაწერია მსხვილი ასოებით, მეორე და მესამე სტრიქონები — წვრილი ასოებით, ხოლო ბოლო სამი ასო (მე-4 სტრ.) გადადის რელიეფური გამოსახულების მარცხენა ძირა კუთხეში.

წარწერა დამწერლობის თვალსაზრისით მიეკუთვნება X—XI სს. მასში მოხსენებული მეფე ბაგრატ უნდა იყოს ბაგრატ III[18], რომელიც მეფობდა 980—1014 წწ-ში. წარწერაში იგი იწოდება რანთა მეფედ. რანი მან აიღო დაახლოებით 1010—1014 წლებში[119]. მაშასადა-

---

112 ბ რ ო ს ე, RVA, XII, 55; ბ ა ქ რ ა ძ ე, ვახ. ისტ. 167; შენ. ე. უ ვ ა რ ო ვ ა: MAK, IV, 133 და 135, ტაბ. XLVIII; კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტ. კრ., IV, 102.

113 სიტყვას „აფ´ხთა“ კაკაბაძემ შეცდომით წერს „აფხზთა“-დ (საისტ. კრ., IV, 101).

114 რ აქ ქ-ს თ ა ნ ა რ ი ს შეერთებული: ქ დიდი ტანისა, რ კი პატარა, ს. კაკაბაძეს ეს ასო (რ) გამოტოვებული აქვს (იქვე).

115 წარწერის ქ´ე-ს ბროსე კითხულობს ქ-დ (RVA, XII, 55).

116 ბ რ ო ს ე: „კურატპალატი“ (იქვე), 55).

117იქვე.

118 ბროსეს აზრით ხსენებული ბაგრატ არის ბაგრატ IV (იქვე).

119 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტ., II, 422.

მე, ეკლესიაც ამ ხანებში უნდა იყოს აშენებული. ამასვე ადასტურებს მეორე ადგილი წარწერისა, სადაც მისი ძე გიორგი მცირეწლოვნად არის გამოცხადებული („და გაზარდე ძე მათი გიორგი“-ო), მართლაც, ხსენებულ წლებში იგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო[120].

2. ეკლესიის დასავლეთ კედელზე, სარკმლის მარჯვნივ, ქვევით, მრგვლოვანი ასომთავრულით[121]: (სურ. 39):

Ⴜ|Ⴍ~;
ႬႩ~ႪႦ
Ⴘ~Ⴄ
Ⴂ~Ⴈ
ႫႭ
ႻႰႨ
ႠႫႨ[123]
ႱႼ~Ⴡ
ႤႩႪႤ
ႱႨႱႠ

წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ლ(აო)ზ, შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი მოძღ(უა)რი ამის წ(მიდისა)ჲ ეკლესი(ი)სა[122].

წარწერა ეკუთვნის ეკლესიის აშენების დროს, ე. ი. XI ს. დასაწყისს.

3. ეკლესიის დასავლეთი კარიბჭის დასავლეთი კარის მაღლა, ფასადს დატანებული აქვს ქვა, რომლის ქვედა ნაწილში ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული აშიებში და მის ზევით ჩუქურთმისავე სვეტები კამარით, რომელშიაც მოთავსებულია წარწერა მრგვლოვანი ასომთავრულით[124]:

---

120 იქვე, 423.

121 ეს წარწერა 1929 წლამდე ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. იგი პირველად ჩემ მიერ იქნა აღმოჩენილი 1925 წელს; 1929 წელს იგი გამოაქვეყნა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ (საისტ. კრებ., IV. 103).

122 მე-6 სტრიქონის ბოლო ორი ასო და მე-7 სტრიქონის ასოები ს. კაკაბაძეს კედელზე ვერ შეუნიშნავს და თვითონ აღუდგენია „უარი“-დ, ხოლო ბოლო სტრიქონები (8—10) მას სულ გამოუტოვებია (იქვე). წარწერა ნაწერია სულ 10 სტრიქონად: აქედან 1—5 სტრიქონი იმყოფება დასავლეთი კარიბჭის რკინის სახურავის ზევით, მე-6 სტრიქონს ნაწილობრივ ფარავს ეს სახურავი, ხოლო 7—10 სტრიქონი მოქცეულია სახურავის ქვეშ.

123 „წმიდისაჲ ეკლესიისა“-ს მაგიერ უნდა იყოს: წმიდისა ეკლესიისაჲ.

124 ეს წარწერა მოყვანილი აქვს ბროსეს; იგი ამბობს, რომ მ. მუსლოვმა გადმოსწერა დასავლეთი ფასადიდან შემდეგი წარწერებიო და პირველი ნომრით წერს მას (RVA, 59); მაგრამ იგივე წარწერა საკუთრივ მას უფრო ადრე აქვს მოყვანილი

ႼႭႬႩႦ
ႫႾႤႷႥႼႨႬႠ
ႸႤႵႠႩႾႡႰ[125]ႱႠႣႠႰ[126]ႲႱ
ႠႫႨႬ: —

წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ოლაო)ზ, მ(ეო)ხ ეყ(ა)ვ წ(ინა-შ)ე ქ(რისტეს)ა კ(ა)ხ(ა)ბ(ე)რსა და რ(ა)ტ(ი)ს, ამინ.

ამ წარწერის მარჯვნივ და მარცხნივ, ჩუქურთმის გარეთ, არის წარწერა, რომელიც გულისხმობს ჩუქურთმით გამოსახულ ჯვარს:

ႻႤႪႨ|ႺႾႰႡႨႱႠႴ

ძელი[127] · ცხ(ო)რ(ე)ბის(ა)ჲ[128].

წარწერა ეკუთვნის კარიბჭის აშენების დროს, ე. ი. XI ს. ნახევარს.

4. იმავე კედლის ჩრდილოეთი კუთხისაკენ ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით აწერია[129].

---

(იქვე, 56), ოღონდ შეცდომებით; მას, ალბათ, აზრად არ მოსვლია, რომ ორივე ეს წარწერა ერთი და იგივეა; მის მიერ 6 მუხლის ქვეშ მოყვანილი წარწერის ტექსტი რომ აღვადგინოთ და შევუდაროთ j მუხლის პირველი ნომრის ქვეშ მოყვანილ წარწერას, ვნახავთ, რომ მას მე-2 სტრიქონის უკანასკნელი ასოები წ῀ექ῀ა შეცდომით, ასოთა მსგავსების გამო, წაუკითხავს ლევნ-ად და მთელი სიტყვა ამოუკითხავს „ლევონ"-ად; აგრეთვე მე-3 სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა რტს, მუსლოვის გადმოღებით კი რატს (იქვე 59) მას წაუკითხავს ძ῀აა῀ს-ად, გაუყვია ეს ერთი სიტყვა ორ სიტყვა ძ῀ა და ა῀ს-ად, თვითეული მათგანი უცვნია ქარაგმიანად და აღმოუკითხავს „ძესა ამისსა"-დ (იქვე 56) და სხვ. და რომ ეს, ორივე წარწერა ერთი და იგივეა, ამას ადასტურებს ისიც, რომ ტექსტში, სხვა სიტყვები არა გვხვდება და შინაარსის მიხედვითაც სიტყვა სიტყვას მისდევს წარწერაში. აქიდან ცხადია, რომ არავითარი ლევონ კახაბერი არ ყოფილა მოხსენებული ნიკორწმინდის წარწერაში, არის მხოლოდ კახაბერი და რატი.

ეს წარწერა მოყვანილი აქვს ს. კაკაბაძესაც (საისტორიო კრებული IV, 103). მაგრამ მასაც შეცდომებით პირველი სტრიქონის მეორე სიტყვა ნკ῀ზ გადმოწერილი აქვს „ნკს"-ად, მესამე სტრიქონის ბოლოვე სიტყვა რტს რნს-ად და უკანასკნელს კითხულობს რამინს-ად (იქვე).

არც ის არის მართალი, ვითომც ეს წარწერა (კ ა ხ ა ბ ე რ-რ ა ტ ი ს ა) დაკარგული იყოს, როგორც ამას ფიქრობდენ კონდაკოვი და ბაქრაძე (Опись), არამედ ის ისევ თავის პირვანდელ ადგილზე დევს.

125 ა წინა ასო დ-ს მუცელში უზის.

126 რ-ს შემდეგ ბროსეს (მუსლოვის გადმოღებულში) დამატებული აქვს ასო ა (RVA, 59).

127 მ. ბროსეს გამოტოვებული აქვს ასო ი (RVA, 59).

128 ბროსეს გამოტოვებული აქვს ასო ჲ (იქვე).

129 ქვა წარწერით თავდაყირა დევს კედელში; ალბათ, განახლების დროს დადევს ასე. წარწერა გადმოღებული აქვთ ბროსეს, უვაროვას და კაკაბაძეს. ბროსეს შეცდომები აქვს დაშვებული (RVA, 59); უვაროვას გადმოღებული აქვს წარწერის სურათი, მაგრამ არა სავსებით. ნაწილი ასოებისა სრულებით არ მოჩანს, განსაკუთ-

130 აწ҃ო: ნ҃კზ: მე҃ჴ [ეყ][131] | ვ[132]: მეფ҃ს: გ҃ს: მ҃ს:| (მ[133]..] ჰ҃ში ავ҃ნე: ნიკო[ლ҃ზ] | წმიდელმნ: ს҃ყ (ძ)ემნ[135]:.. [136] | მელქ҃ზდკ: ა[] (ნ)[:.][137].

იკითხება: წმიდაო ნიკოლაოზ, მეოჴ[138] ეყავ[139] მეფეს გიორგის მის[140] მ[ოწყალებით?] ჰელიში ავაშენე ნიკოლაოზწმიდელმან[141] საყვარელიძემან[142] მელქიზედეკ, ამინ.

წარწერა ეკუთვნის XVI ს. მასში მოხსენებული გიორგი მეფე უნდა იყოს იმერეთის მეფე გიორგი II (XVI ს.), რომელიც იკითხება ამავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში თავისი ძით ლეო-

---

რებით მარცხენა გვერდისაკენ და ძირა ნაწილში; დაბეჭდვითაც სურათი მას თავდაყირა აქვს დაბეჭდილი (MAK, IV, 130, სურ. 105); ს. კაკაბაძესაც შეცდომები აქვს დაშვებული (საისტ. კრ., IV, 105), რაც თავ თავის ადგილას იქნება აღნიშნული.

130 წარწერის დასაწყისში ბროსე უმატებს ქ-ს (RVA, 56).

131 წარწერას მარცხენა მხარეს ასოები აკლია; შესაძლებელია ეკლესიის განახლების დროს ქვას ხსენებული მხარის, ანუ გვერდის დაზიანებისა გამო პირი ჩაუსწორეს, რამაც წარწერას დააკლო მარცხენა მხარის ასოები.

132 ბროსე ვ-ს მაგიერ წერს ე-ს (RVA, 56).

133 მ სანახევროდ კარგად მოჩანს, ს. კაკაბაძეს ეს ასო გამოტოვებული აქვს (იქვე).

134 აქ აკლია ერთი ან ორი ასო; ს. კაკაბაძეს ეს ვერ შეუნიშნავს და მთელი სიტყვა ნიკო[ლ҃ზ] წმიდელმნ გადმოუწერია უვაროვის მსგავსად (MAK, IV, 130) შეცდომით „ნიკოწმიდელმნ“ (საისტ. კრ., IV, 103).

135 ამ სიტყვას ბროსე წერს სშდე-დ; მეორე ასო ყ თავის ძირა ნაწილით მე-5 სტრიქონის ასო დ-ს თავს უერთდება და ამის გამო ბროსეს იგი შეცდომით შ-დ აქვს მიღებული, მესამე ასოს ძ-ს იგი დ-დ წერს; ვფიქრობ, რომ იგი ძ არის; სიტყვის უკანასკნელი ორი ასო მნ ბროსეს სულ გამოტოვებული აქვს (RVA, 59).

136 შესაძლებელია ორი ასოს დაკარგვის აღსანიშნავად ჩემ მიერ დაწერილი ორი წერტილი მეტი იყოს.

137 მე-5 სტრიქონი სულ გამოტოვებული აქვთ ბროსესაც და უვაროვასაც (RVA, 59 და MAK, IV, 130, სურ. 105); ს. კაკაბაძეს უკანასკნელი სიტყვა ა[҃] (ნ) შეცდომით „ჲ“-დ აქვს გადმოწერილი (საისტ. კრ., IV, 103).

138 წარწერაში არის „მეოჴ“, უნდა იყოს „მეოხ“.

139 უვაროვა წერს: „ჰ მექნ“, რომელიც შეცდომით უნდა იყოს დაბეჭდილი „ექმენ“-ის მაგიერ( MAK, IV, 130).

140 უვაროვა: მამის (იქვე). თუ ტექსტის მ-ის ათვის ქარაგმა ზედმეტია, მაშინ ეგების იგი იკითხებოდეს „მის“-ად.

141 უვაროვა, „ჰირში აღვაშ[ე]ნე ნიკოწმიდელმან“ (იქვე).

142 ბროსე კითხულობს სშდე და ფიქრობს, რომ ეს ნიკორწმიდელის სახელია, თუმცა ეჭვობს (RVA, 59); ეს შეცდომა, ნიკორწმიდელის სახელი უკანასკნელ სტრიქონში იხსენება; უვაროვა კი მთელ ამ სიტყვას ს҃ყ(ძ)ემნ კითხულობს „ამინ“-ად.

ნით (იხ. ქვ. სიძვ. № 4); ხოლო, თუ ვინ არის ნიკოლაოზწმიდელი მელქიზედეკ საყვარელიძე, საისტორიო წყაროებიდან არა ჩანს. ამავე სახელისა და გვარის პირი არის გაენათის მთავარეპისკოპოსი გიორგი II-ის მამის, ბაგრატ III-ის დროს[143].

როგორც წარწერიდან ჩანს, ნიკოლაოზწმიდელი მელქიზედეკ საყვარელიძე აქ გვეუბნება ჴელიშის აშენებაზე. ჴელიში ნიკორწმინდიდან 4 ვერსით არის დაშორებული დასავლეთისაკენ. მელქიზედეკს უნდა აეშენებინოს ჴელიშის ახლანდელი ეკლესია: ჴელიშს აშენებს და წარწერას კი ნიკორწმინდაზე აკეთებს, იმიტომ რომ ნიკორწმინდა სამღვდელმთავრო ტაძარია, იმ დროს მისი კათედრაა და მელქიზედეკიც თავის ნამოქმედარს აღნიშნავს თავის კათედრასთან.

5. იმავე კედლის სამხრეთის კუთხეში ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით წერია :

Ⴜ҃Ⴍ ႬႩႪႦႫႶႣႤ[ႪႧႫႭႻႶႳႠႰႭ]
ႫႤႭႾႤႵႫႤႬႜ҃Ⴄ Ⴖ҃ႧႨႱႠ Ⴃ҃ႴႪႤ[Ⴇ]
Ⴃ҃ႴႪႱႠႤႥႴႤႫႤႱ ႠႱႭႷႦ
ႱႠႱႭႷႦႩႾ҃ ႦႨႠ Ⴄ҃ႤႢႤ
5. ႱႠႿႠႲႤႨႱႠ ႠႫႤႬ

წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ლ(აო)ზ მღდ(ე)[ლთმოძღუარო][144], მეოხ ექმენ[145] წ(ინაშ)ე[146] ღ(მრ)თისა[147] დ(ეო)ფ(ა)ლთ-დ(ეო)ფ(ა)ლსა[148] ევფე-

---

143 საისტორიო მოამბე II, 1925, გვ. 134.

144 წარწერა მოყვანილი აქვთ ბროსეს RVA, $59_{20-24}$), უვაროვას (MAK, IV, 31, სურ. 106) და კაკაბაძეს (საისტ. კრ. IV, 103). ქვის ზევით ნაწილი წარწერის 1 სტრიქონით დაზიანებულია, განსაკუთრებით მეორე ნახევარში.

145 ბროსეს პირველი სტრიქონიდან მოყვანილი აქვს მარტო პირველი ექვსი ასო (RVA, 59).

146 ბროსე ე-ს მაგიერ წერს ი-ს (იქვე).

147 ამ ადგილამდე წარწერის სიტყვა სიტყვაზე არის გადაბმული, ხოლო ამის შემდეგ სამი უკანასკნელი სიტყვა ერთმანეთისაგან განცალკევებით არის დაწერილი. ბროსეს კი ჩვეულებრივ, როგორც სხვაგანაც, თვითეული სიტყვა თავიდანვე განცალკევებით აქვს გადმოღებული (იქვე).

148 უვაროვა: „ღვთისა“ (?) MAR, IV, 131).

მიას[149], ასულსა სულკ(ურთ)ხ(ეუ)ლისა[150] ე(რისთავთ)ე(რისთა)ვისა რატისსა[151], ამინ.

წარწერა ეკუთვნის XI ს. ბოლოს.

6. მ. ბროსეს მოყვანილი აქვს ასომთავრული წარწერა ქვაზე (RVA, 56), რომელიც აქამდის დაკარგულად ითვლებოდა და დღეს კი აღმოჩნდა დაგებული ეკლესიის იატაკად. ალბათ, ამ ქვას გულისხმობს უვაროვა, რომელიც წერს, რომ განახლებულ ეკლესიაში იატაკზე არის ქვა გაცვეთილი წარწერებით( MAK, IV, 133). ბროსე მის ადგილს პირველად უჩვენებს ეკლესიასთან მიდგმულ სამწირველოს გარეთა კედელზე (EDJ, 567), ხოლო მეორედ ჩრდილოეთის სარკმელზე (RVA, 56), რომელთაგან უკანასკნელი უნდა იყოს სიმართლესთან ახლოს. ქვა უნდა დებულიყო შუა სარკმლის თავზე. ეს ადგილი დღეს სხვა ფერის ქვით არის ამოგებული; იგი ბროსეს შემდეგ ჩამოვარდნილა თავისი ადგილიდან ძირს და, ჩანს, ეკლესიის განახლების დროს აუღიათ და იატაკად დაუფენიათ. კონდაკოვს ეს ქვა თავის ადგილას ვეღარ უნახავს და ამის გამო მას დაკარგულად თვლის (Опись. 61). დღეს იგი ეკლესიის ჩრდილოეთის მხარის ნახევარ წრეში დევს გიორგი წულუკიძის საფლავის მარჯვენივ, ერთი ქვის დაშორებით. ზომით არის 39,2×50,7 სმ. წარწერიდან დღეს მხოლოდ კვალიღა არის დარჩენილი; მისი პირი განგებაა გათლილი და არა გაცვეთილი, როგორც ამას უვაროვა წერს. პირის გარდა გვერდებიც ჩათლილი აქვს, რისგანაც დაკლებული აქვს გვერდის ასოები, განსაკუთრებით კი მარცხენა მხარეს. ბროსეს ამ წარწერიდან პირველად ტექსტიც აქვს მოყვანილი და აღმოკითხვაც (EDJ, 367), ხოლო მეორედ ტექსტიდან მხოლოდ ერთი ოთხასოიანი გაუგებარი ადგილი მოჰყავს, დანარჩენი კი აღმოკითხვითა აქვს გადმოცემული (RVA 56)[152]. მას, როგორც ამას ბაქრაძეც აღნიშნავს (Опись, 62), არც ეს ოთხი

---

149 ბროსე „დიოფალთ დიოფალსა“ თარგმნის (RVA, 59); რომელი შეცდომაც აღნიშნული აქვს კონდაკოვსა და ბაქრაძეს (Опись, 61) უვაროვა იმეორებს ბროსეს შეცდომას და წარწერის ამ ადგილს კითხულობს: „დედოფალ დედოფალსა“-დ (MAK, 131), ხოლო ს. კაკაბაძე შესაძლებლად ცნობს აღმოკითხულ იქნეს როგორც „დედოფალთ დედოფალსა“, ისე „დიოფალთ დიოფალსა“ (საისტ. კრ. 103).

150 უვაროვა: „ებფემიას“.

151 უვაროვა: „სვიან“.

152 ს. კაკაბაძესაც უნახავს ეს ქვა, მაგრამ რამდენიმე ასოს გარდა „...მ-ნე (...ა. ნ-ნას) ...დი“, ვერაფერი ამოუცვნია (საისტ. კრ., IV, 103).

ასო აქვს გადმოღებული და წაკითხული სწორად. მე შევეცადე ბროსეს მიერ მოყვანილი გადმოღებულ-ამოკითხულითა და წარწერიდან დარჩენილი კვალის მიხედვით აღმედგინა წარწერის ტექსტი.

]ႼˊႭႬˊႩႪႫ႖႓ႄႪႇ]
[Ⴋ] ႇႠ[Ⴅ]ႠႰႭ[Ⴋ]
ႄႭ [Ⴞ]ႄႵႫႄႬ[ႣႠႫˊႴႰႥˊႄ]
[႖ˊႇႈ]ႱႠ Ⴌˊ ႬႠႱ,ႄ,[ႄ]
5. [ႱႠႣႠႬ]Ⴍႄ[ႪႈႱႈႫႭႱႱႠ][153]

[წმიდაო ნიკოლაოზ მღდელთ] მთავარო, მეოხ ექმენ და მფარველ წინაშე ღმრთისა ნ(ია)ნ(ი)ას ე(რისთავთ) [ე(რისთავ)სა[154] და ნ]ოე[ლისიმოსსა[155]].

წარწერა ეკუთვნის ეკლესიის აშენების დროს; მასში მოხსენებული ერისთავთერისთავი ნიანია ცნობილი პირია ისტორიაში.

თ. ჟორდანია წერს, რომ ერისთავთერისთავს „კირილეს გიორგი II-ის მეფობაში აღუშენებია სამხრის ეკვდერი ნიკოპწმიდისა, როგორც ამაზე მოგვითხრობს წარწერა ამავე ეკვდერისა, შეცთომით აღმოკითხული არქეოლოგთაგან“-ო[156]. ვერავითარი ამგვარი წარწერა ვერ

---

153 ბროსეს წარწერა ორჯერ აქვს ამოკითხული (EDJ, 367 და RVA, 56) ორჯერვე შეცდომებით; მე აღვნიშნავ მხოლოდ მეორეს.

154 ბროსე: „ერისთავსა“.

155 ბროსეს მიერ ნოელისიმოსად აღმოკითხულ ნიანიასათვის დ. ბაქრაძე წერს, რომ, ვინაიდან ნოელისიმოსის ხარისხი მხოლოდ ბაგრატ IV-ს ჰქონდა, ამიტომ ამ ხარისხის ქვეშ წარწერაში, რომელიც ბროსეს სწორად არა აქვს გადმოღებული, უნდა ყოფილიყო მოხსენებული ბაგრატიო (Опись, 62); ეს შეცდომაა, წარწერაში ბაგრატი კი არ არის მოხსენებული, არამედ ნიანია; ეს სახელი დღესაც კარგად იკითხება, ხოლო თვით სიტყვა „ნოელისიმოსი“ ნამდვილად ეწერა წარწერაში, თუ რაიმე სხვა სიტყვა იყო მის ადგილას, არა ჩანს. დღეს ამ სიტყვიდან მხოლოდ ორი ასო — ო-ე გვაქვს დარჩენილი, სხვა გამქრალია; თანხმოვან და საზოგადოდ სხვა ასოთა რაოდენობის ანგარიშით წარწერის ადგილი იხდენს ამ სიტყვის მოთავსებას და თუმცა ისტორიაში ბაგრატ IV-ის გარდა სხვა ნოელისიმოსი არავინ არ არის ცნობილი და ნიანია ერისთავთერისთავის ნოელისიმოსობა საეჭვოა, მაგრამ ბროსეს მიერ აღმოკითხული ტექსტი და წარწერიდან დარჩენილი კვალი გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას, შესაძლებელია, მართლა წერებულიყო სიტყვა „ნოელისიმოსი“.

156 ქრ. II, 44.

ვპოვე ეგვტერზე; არის მხოლოდ ერთი წარწერა, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან.

7. სამხრეთის ფასადზე (საქარე) გამოქანდაკებულია მეორედ მოსვლა; მას აქვს წარწერა მრგვლოვანი ასომთავრულით[157]: (სურ. 40):

✝ႤႱႤႫ
ႤႭႰႣႫႭ — ესე მეორ(ე)დ მოს(ლ)ვ(ა)ჲ ი(ეს)უ ქ(რი-
ႱႪႥ[158]ႨႷႵ[159]Ⴈ — სტ)ე(სი)[160].

წარწერა ეკუთვნის ეკლესიის აშენების ხანას. XI ს. დასაწყისს.

8. სამწირველოს, ანუ ეგვტერის კედლის ქვაზე არის წარწერა მხედრულად:

[ქ: ჳ]ვარო:. ქრისტესო:. გა[ნ]|
უსვენე:. სასუფე[ვე]ლსა თ|
ერთოს.: ლ[ა]შხი:. შვილის |
ქალსა:. მის:. შვილსა:. |
ქაიხოსროს:. წულუკიძეს.

წარწერა ეკუთვნის XVIII ს.

საზოგადოდ, ნიკორწმინდის ეკლესიისა და კარიბჭე-სამწირველოს წარწერები ქრონოლოგიის მიხედვით ასე წარმოგვიდგება:

1. წარწერები 1, 2, 6, 7 ეკუთვნიან თვით ეკლესიის აშენების დროს XI ს. დასაწყისს.

2. წარწერები 3 და 5 კარიბჭეთა აშენების დროს, XI ს. ნახევარს.

3. წარწერა 4 XVI ს.

4. წარწერა 8 XVII ს.

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობა ორი დროისაა: ადრინდელი და გვიანი ხანისა. ადრინდელი ადგილ-ადგილღა მოჩანს, ხოლო გვიანი ეკუთვნის XVII ს. როგორც ჩრდილო აფსიდების ძირა რიგში მოთავსებული სურათებიდან ჩანს, იგი დახატული უნდა იყოს წუ-

---

157 EDJ, 336 და RVA, XII, 58; საისტ. კრ., IV. 103. ბროსეს ორივე ნაშრომში წარწერები შეცდომებით არის გადმოღებული, განსაკუთრებით პირველში. აღვნიშნავ მხოლოდ მეორეს.

158 ბროსეს ვჲ გადმოღებული აქვს ქო-დ (RVA, XII, 58).

159 ბროსეს ქ-ს მაგიერ აქვს შ (იქვე).

160 „იესუ ქრისტესი"-ს მაგივრად მ. ბროსე კითხულობს: „J-C aie pitié de nous" (იქვე).

ლუკიძეთა გვარის წევრთა მიერ XVII ს. მეორე ნახევარში[161]. გიორგი წულუკიძე, ვგონებ, ის პირია, რომელიც მოხსენებულია იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის 1651 წ. საფიცრის წიგნში; მერაბ წულუკიძე უნდა იყოს იგივე პირი, რომელსაც აღუშენებია ხოტევის და თლულის ეკლესიები XVII ს-ში.

წარწერები საეკლესიო მხატვრობას ნაწილობრივ ბერძნულად აქვს და ნაწილობრივ ქართულად (ასომთავრულით), თვით ქართულ წარწერებშიაც წმიდანების სახელები ნაწილობრივ ბერძნული გამოთქმით წერია. მაგ., საკურთხევლის III (ძირა) რიგში ყრმა იესოსაგან სამხრეთ მხარეს დახატულ მეორე პირს აწერია: „წ͠ა ათა|ნასიოს | ალექსანდრი|ას“ რაც ქართულად ნიშნავს: „წმიდა ათანასე ალექსანდრიელი“; ასევე აწერია კირილე ალექსანდრიელს და სხვა მრავალს.

წარწერები საერთო მხატვრობას ქართულად აქვს (მხედრულით).

გ უ მ ბ ა თ ი. ცაზე დახატულია ჯვარი წრეში ძვირფასად შემკული ვარსკვლავებისა და სხვა ფერადი სახეებით (სურ. 41). იგი უჭირავს ოთხ მფრინავ ანგელოზს. პირველ რიგში (სარკმელთა ზემოთა წრე) — 11 მოციქული ღვთისმშობლითურთ, მდგომარენი. II რიგში( ფაიებში)[162] — 12 წინასწარმეტყველი, მდგომარე III რიგში (სარკმელთ

---

161 მხატვრობისათვის ს. კაკაბაძე წერს: „მხატვრობა არის სამი ფენის. ტაძრის მთავარი და ზედა რეგისტრის მხატვრობა არის უფრო ძველი (პირველი ფენა)... ფრესკის ბერძნულ წარწერაში, რამდენადაც მახსოვს (წარწერა გადმოუღებელი დაგვრჩა), მოხსენებულია მეფე კოსტანტინე, რის გამოც მხატვრობა XVI ს. პირველი ნახევრის უნდა იყოს. მეორე ფენა არის ჩრდილო მხარეზე ისტორიულ პორტრეტებს ქვეშ წინახანის ისტორიული პორტრეტები და დასავლეთ ეგვტრის მხატერობა. მესამე ფენაა — ისტორიული სურათები XVII ს. მეორე ფენის მხატვრობის შესახებ ჩვენ... გავარჩიეთ დასავლეთ ეკვტრის ჩრდილო კედლის მხატვრობაზე... წარწერა... (წარწერა უნდა იყოს XVI ს).. მესამე ფენის მხატვრის ვინაობა უნდა იხსენებოდეს. საკურთხეველში კედელზე მოთავსებულ მხედრულ წარწერაში. მესამე ფენის მხატვრობას წარმოადგენს ისტორიული სურათები. ყველა ეს სურათი უნდა იყოს XVII ს. პირველი ნახევრის ან ამ საუკუნის ნახევარში მცხოვრებ პირთა“ (საისტ. კრ. IV, 104). ზემოხსენებულ მეფე კოსტანტინეს სახელით ს. კაკაბაძე, რასაკვირველია, გულისხმობს იმერეთის მეფე კოსტანტინეს. არავითარი იმერეთის მეფე კოსტანტინე მხატვრობაში მოხსენებული არ არის. საკურთხევლის წარწერაშიაც არავითარი ცნობა არა გვაქვს მხატვრობისათვის; მასში მოხსენებულ პირს — მთავარ დიაკონ მაკიზ წულუკიძეს შესაძლებელია რაიმე დამსახურება ჰქონდეს ძეგლის წინაშე, მაგრამ სახელდობრ რა დამსახურება მიუძღვის მას, ან იყო თუ არა ის მხატვარი, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

162 ფაია — კედელი სარკმელსა და სარკმელს შუა, კარსა და კარს შუა, ან ერთი მეორეს შუა.

ქვემოთ, ძირა წრე)[163]: O[164] — სამი მგზავრი მამბრეს მუხასთან. ON — აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვა. OS — წინასწარმეტყველები ილია და ელისე; SW — შობა ღვთისმშობლისა, N — ქორწილი კანას გალილეას და NW — მიძინება ღვთისმშობლისა, სამკუთხედებზე (ნახევარკოლონების თავი); აღმოსავლეთით ორ სამკუთხედზე — ხარება, დანარჩენ ოთხ სამკუთხედზე მახარებლები.

ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ე ლ ი (O). კონქში დახატულია „ვედრება" (δέησις) ბერძნული წარწერებით ι͞c χ͞c Μ͞ρ θ͞υ ბემაში: თაღის თავში — „ძუელი დღეთაჲ", ხოლო თაღის გვერდებზე — მთავარანგელოზები, მდგომარენი, ბერძნული ინიციალებით M და პირველ რიგში — 14 ანგელოზი (ორ-და ექვსფრთოსანი). II რიგში — 12 მღვდელმთავარი (?) ბერძნული წარწერებით. III რიგში, სარკმლის ძირს — ყრმა იესო ემბაზში; იესოს მარჯვნივ — 3 მღვდელმთავარი და 1 არქიდიაკონი ასომთავრული წარწერით: წ͞ა ბასილი, წ͞ა გრიგო|ლი:—წ͞ა სპ(ი)რ(ი)|დ(ო)ნ და წ͞ა სტეფანე|; ყველა მდგომარეა; პირველ სამს ხელთ უპყრავს ბერძნულად დაწერილი გრაგნილები, ხოლო მეოთხეს კი მარჯვენაში საცეცხლური, მარცხენაში სასაკმევლე კოლოფი; იესოს მარცხნივ — 4 მღვდელმთავარი ასომთავრული წარწერებით: „წ͞ა იოანე ოქროპირი", „წ͞ა ათა ნასიოს | ალექსანდრიას" |; „წ͞ანი | კოლაოს და წ͞ა კირილე: ალექ|სანდრი|ას|"; ყველა მდგომარეა ხელში ბერძნულად დაწერილი გრაგნილებით (პირველთა მსგავსად), პილასტრზე — 6 წმიდანი (მედალიონებში).

ს ა მ კ ვ ე თ ლ ო. კონქში დახატულია მაცხოვარი (ნახევარ მედალიონში). პირველ რიგში — ორი მდგომარე ანგელოზი. II რიგში — Pieta („ნუ მტირ მე, დედაო"). თაღზე — წმიდანები (მედალიონებში), ჩრდილო მხარეს 3, სამხრეთ მხარეს 3, სულ 6 ჩრდილო კედელზე: პირველ რიგში — 3 მღვდელმთავარი (წელამდე); II რიგში — მაცხოვარი, მიქცეული პირით დასავლეთისაკენ და 2 მღვდელმთავარი: პირველ მღვდელმთავარს აწერია ბერძნულად (მარცხნივ) და ქართულად (მარჯვნივ), მეორეს კი — მარტო ქართულად; მომყავს ქართული: „წ͞ა პეტრე | ალექსანდრიას": და „წ͞ა|რო|მანე|". სამხრეთ კედელზე: პირველ რიგში — 3 მღვდელმთავარი (წელამდე); II რიგში:

---

[163] წრის მხატვრობა აღწერილია დღესასწაულთა თანმიმდევრობით.

[164] მხატვრობის აღწერისას ძეგლის მხარეების: აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის აღსანიშნავად ნახმარია შემოკლებანი: O, W, N და S.

კარის მარჯვნივ — სასულიერო პირი (იხ. ქვ.), კარის მარცხნივ — „პარ|მენა“. დასავლეთ კედელზე: პირველ რიგში — ექვსფრთოსანი ანგელოზები; II რიგში — მღვდელმთავარი: „წ̃ა | ნიკოლაოს“, მის მარცხნივ მაცხოვარი (?), მარჯვნივ ღვთისმშობელი (?) (ყველანი წელამდე); მათ ფერხთა ქვეშ ანგელოზის თავი.

ს ა ლ ა რ ო ს[165] ნაწილს მხატვრობა სრულებით არ აქვს და ვგონებ არც უნდა ჰქონოდა.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა ფ ს ი დ ე ბ ი (NO და VW). კონქში NO აფსიდისა დახატულია რაღაც ეპიზოდი, NW აფსიდისა — ჯვარცმა. პირველ რიგში NO აფსიდისა — სიბრძნის გახსახიერება და აღდგომა, NW აფსიდისა — გარდამოხსნა და ტაძრად მიყვანა. II რიგში ორივე აფსიდისა — წმიდანები: NO აფსიდში 6 (დანარჩენი დაზიანებულია), NW-ში 11, მე-III რიგში NO აფსიდისა 2 მღვდელმთავარი, დანარჩენი დიდებულნი; NW აფსიდშიაც დიდებულები (იხ. ქვემოთ).

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა ფ ს ი დ ე ბ ი (SO და SW). კონქში OS აფსიდისა დახატულია ქრისტეს შობა, SW აფსიდისა — ფერისცვალება. პირველ რიგში SO აფსიდისა — მირქმა და ნათლისღება, SW აფსიდისა — ლაზარეს აღდგინება და იერუსალიმში შესვლა. II რიგში ორივე აფსიდისა — წმიდანები: SO აფსიდში 7 (დანარჩენი დაზიანებულია), SW აფსიდში 9. III რიგში SO აფსიდისა — დიდებულნი (იხ. ქვემოთ) SW აფსიდისა — წმიდანები 5.

ნახევარკოლონების (6) კამარებზე დახატული არიან წმიდანები (მედალიონებში).

დასავლეთის ნაწილის (W) სამივე კედელი, სამხრეთის კედლის ძირა რიგის გარდა, სადაც სხვა პირნიც არიან დახატული (იხ. ქვემოთ), შეიცავს მეორედ მოსვლისა და განკითხვის სიუჟეტებს.

---

165 ხალაროს ადგილობრივ „ხალამბარა“ ეწოდება.

N და S აფსიდების კონქებისა და პირველი რიგის მხატვრობა დღესასწაულთა თანმიმდევრობით წარმოადგენს შემდეგ სურათს:

| N | | | | S | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ← | | | | | | | → |
| NW | | NO | | SO | | SW | |
| 8 ჯვარცმა | | 7 ? | | 1 ქრისტეს შობა | | 4 ფერისცვალება | |
| 12 ტაძრ. მიყვ. | 9 გარდამოხსნა | 10 აღდგომა | 11 საბრძ. ¿ანსახ. | 2 მირქმა | 3 ნათლისღება | 5 ლაზარეს აღდგინება | 6 იერუსალიმს შესვლა |

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სურათები და წარწერები სხვადასხვა პირთა, სახელდობრ:

1. სამკვეთლოს სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ დახატული ორი მდგომარე ანგელოზის ფერხთა ქვეშ არის მხედრული წარწერა[166].

[ქ. მ]ოიხსენე: უფ(ა)ლო: ც(ო)დვილი: მთ(ა)ვარდიაკონი წულ(უ)კძე: მა(რ)კიზ (sic). ვ(ი)ნც: |მომიხს[ენოთ: თქვ]ენც: მოგიხსენოს უფ(ა)ლმან:—|.

იქვე, სამხრეთ კედელზე, კარის მარჯვნივ, დახატულია სასულიერო პირი, მდგომარე საეკლესიო შესამოსით; მას აქვს ასომთავრული წარწერა[168]: გ(იორგ)ი კანდელაკი.

2. ჩრდილოეთის ორივე აფსიდის (ON და NW) III რიგში დახატული არიან დიდებულნი, მდგომარენი, ყველანი მხედრული წარწერებით.

აფსიდი NO: a[169] (2)[170] — მამაკაცი, დაზიანებული: „გიორგი:

---

166 საისტ. კრ., IV, 104.

167 კაკაბაძე. მაკოზ (იქვე).

168 იქვე.

169 სურათები აღწერილია ოჯახებად აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით: ჯერ მამაკაცი, მერმე მანდილოსანი შვილებით. ს. კაკაბაძეს ორივე აფსიდში (NO და NW) სურათები აღწერილი აქვს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც ჩემის აზრით, შეცდომაა: ჯერ ერთი, წინა რიგებში დგანან უფრო ხნიერი პირები; მეორეც, NW აფსიდში ის პირნი, რომელთაც ეკლესიის მოდელი უპირავთ ხელში, წინა დგანან და არა უკან, რის გამოც, ვგონებ, აღწერა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ უნდა მიმდინარეობდეს და არა პირუკუ.

170 აქაც და ქვემოთაც ფრჩხილებში ნაჩვენები რიცხვი აღნიშნავს თუ მერამდენე ადგილი უპირავს აღმოსავლეთიდან ამა თუ იმ პირს; თვითეული აფსიდი

წულუკიძე[171]". (I) — მანდილოსანი: „თანა: მეცხედ[რე] | ... ჰილაძის | ქალი: ელ|ენე"[172]. c. (3) — მამაკაცი, დაზიანებული.: „...ა წულუკიძე:." d. (4) — მანდილოსანი: „ქორთოძის | ქალი:. ელენე:. თანა|მეცხედრე:. მისა":. e. (6) — მამაკაცი: „ბექან: წუ|ლ(უ)კიძე": f. (5) — მანდილოსანი: „ჩიჯ|(ავაძ)ის:. ქალ|ი:. (ხ)[173] აზუა:. თა|ნა: მცხედრე | მისი". g. (7) — მამაკაცი: „ბექანის|ძე:. ვარა|დე ბულ":

აფსიდი NW: a (3) — მამაკაცი, წარწერა დაზიან., d. (I) — მანდილოსანი: „თან|(ა):. მეცხე | დრე:. [მისი]ჩი. . ს კოპ(ა)ძის | ქალი[174]:. ანა":.; პირველსა და მეორე პირთ ხელთ უპყრიავთ გუმბათიანი ეკლესიის მოდელი: მამაკაცს მარცხენით (მარჯვენა გულთან აქვს გაპყრობილი), მანდილოსანს მარჯვენით (მარცხენა მასაც გულთან აქვს გაპყრობილი). ეკლესიის მოდელის თავზე დახატულია მაცხოვარი (წელამდე), რომელიც ორივე ხელით აკურთხებს ორსავე ზემოხსენებულ პირს. ეს პირნი თანამეცხედრენი უნდა იყვნენ.

c. (2) — ყრმა (ერთი თუ ორი?) დახატულია ეკლესიის მოდელის ძირს, თანამეცხედრეთა ხელების ქვეშ დაზიანებულია: „და ქაიხო | რო"[175]. d. (4) კარის თავზე, ოდნავ მარჯვნივ მოჩანს დაზიანებული სახე მამაკაცისა წარწერით: „დათუნ..."; იგი დაზიანებულია კარის გამო: ეკლესიის მოხატვისას კარი ამოგებული ყოფილა; ხსენებული სურათი მოჰყოლია ნაწილობრივ კარის კედელზე, ხოლო შემდეგ ხანში კარი რომ ისევ გაუხსნიათ, მაშინ მისი წელქვევითი ნაწილი შეპრილა. e. (8) — მამაკაცი; f. (6) — მოზრდილი ყრმა, დაზიანებული (მოჩანს მისი ტანისამოსი) h. (7) — ყრმა. მე-5 –8 ნომრებით აღწერილ

---

ცალკე არის აღრიცხული (აღწერილი); NO აფსიდის დასაწყისში დახატული ორი მღვდელმთავარი (საეკლესიო ნაწილი) სათვალავში არ არის მიღებული.

171 ეს გიორგი წულუკიძე უნდა იყოს ის პირი, რომელიც მოხსენებულია იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის 1651 წლის საფიცრის წიგნში (ტოლოჩანოვი, 193).

172 პირველი და მეორე პირი ს. კაკაბაძეს გამოტოვებული ყავს (საისტ. კრ., IV, 104); დღეს მათ კანკელი ფარავს (მის შიგნით არის მოქცეული); ს. კაკაბაძეს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

173 ასო დაზიანებულია; შესაძლებელია ხ-ს მაგიერ ს იყოს.

174 უკანასკნელი გვარი — „კოპ(ა)ძის" ს. კაკაბაძეს გამოტოვებული აქვს (საისტ. კრ., IV, 104). აქ ძველი და ახალი ხანის წარწერები უნდა იყოს შერეული.

175 ს. კაკაბაძე წერს: [ივანე?] და:. ქაიხოსრო:. (საისტ. კრ., IV, 104). უკანასკნელი პირი (ქაიხოსრო) ეგების იყოს სამწირველოს სამხრეთი კედლის წარწერაში მოხსენებული ქაიხოსრო?

პირთ აწერიათ: „მერ[აბ][176] ძე დათუასი:. ბერი[177]:. ნიკო[ლო]ზ:. და:. ლევან“ | i. (9) — მამაკაცი, ძლიერ დაზიანებული „(სეხ)ნია:. |წულუკი|ძე:.“.

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ (SO) აფსიდის III რიგის დასაწყისში, ანუ აღმოსავლეთ ნაწილში მხატვრობა სულ აღარ მოჩანს, დაზიანებულია, ხოლო შემდეგ (კანკელიდან დაწყებული) დახატული არიან დიდებულნივე მხედრული წარწერებით: a. (2) — მამაკაცი: „პატა წუ|ლუკიძე“, d. (I)—მანდილოსანი, დაზიანებული „... კი... | თეთრუ“[178]. c. (3) — მამაკაცი[179], წარწერა დაზიანებული აქვს.

4. დასავლეთი ნაწილის (W) სამხრეთის კედლის ძირა რიგში დახატული არიან: 1. სასულიერო პირი, ბერის ტანისამოსში მხედრული წარწერით:

„ნიკოლოზ: ხოპა|რი:. წულუკიძე“[180].

2 — საერო პირი მხედრული წარწერით:

„:. ბექანან| წულუკიძე | კაციას:. ძე:.“

ეკლესიის დასავლეთ კარიბჭეს[181] მხატვრობა ოდნავღა შერჩენია; მას ჩრდილო კედელზე აქვს წარწერა (საღებავით), რომელიც ძლიერ დაზიანებულია[182].

ეკლესიის შიგნით ჩრდილო-დასავლეთ (NW) აფსიდში კარის მახლობლად იატაკზე არის საფლავის ქვა, რომელიც თავში რაღაც ხაზებითაა შემკული, ხოლო შემდეგ აქვს თხზული ასომთავრული წარწერა:

---

176 იგივე მერაბ დახატული იყო თლუღის ეკლესიის ჩრდილო კედელზე ეკლესიის მოდელით ხელში თავის თანამეცხედრესთან ერთად (იხ. თლუღი); იგი იხსენიება აგრეთვე ხოტევის ეკლესიის წარწერებში (იხ. ხოტევი) და ნიკორწმინდის 1660—1690 წწ. შეწირულების წიგნებში (საეკლესიო საბ., I, 82).

177 ს. კაკაბაძე. „ბე[ქ]ნი“ (საისტ. კრ., IV, 104). სიტყვა „ბერი“ აქ სასულიერო წოდების აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ საკუთარი სახელია მე-6 ნომრით აღწერილი პირისა: მას ჭრელი ყვავილიანი ტანისამოსი აცვია.

178 ს. კაკაბაძე „2 შვილი:. თეთრუა:.“ (იქვე).

179 ს. კაკაბაძეს ეს პირი გამოტოვებული ჰყავს (იქვე).

180 ეს უნდა იყოს ნიკოლოზ ხოფელი; XVI ს. პირი, რომელიც აძლევს შეწირულების წიგნს ხობის ეკლესიას 1569 წელს (საეკლესიო საბ., I, 19).

181 ს. კაკაბაძე, კარიბჭეს შეცდომით ეგვტერს უწოდებს (საისტ. კრ., IV, 104).

182 ს. კაკაბაძეს მოჰყავს ეს წარწერა, რომლის სიზუსტეც ჩემთვის საეჭვოა; მოვიყვან მას აქ:

„ამისა: მხატვართა გა-იზყ (?)... დასა კიკოლაძესა... ჭავახაძესა შ-ს ღ-ნ ვინცა: ბრძანოთ: თქნცა: შ-ნ ღ-ნ“ (იქვე).

ႵႣ· ႠჀႠ ႠႣႢႨႪႨ:· Ⴐ҃Ⴈ
ႫႧႬႣႠ: ႣႠ ႣႠႥႨႫႩႥႣႰ
Ⴄ:· ႣႨႣႤႡႳႪႫႠႬ Ⴇ҃ႥႠႣႫႠႬ ႼႳႪ
ႭႳႷႨႻႤႫႠႬ:· Ⴂ҃Ⴈ·· ႱႠႰႣႠႪႫႠႬ ·Ⴕ҃Ⴄ [ႸႤ]
[Ⴈ]҃Ⴌ:· ႣႠ Ⴗ҃ႭႪ ႦႤႣ [ႣႠႫ]ႠჀႥႰႤႲႤႪႧႠ: ႠႫႠ
ႱႠႴႪႠႥႱႠႧႠ Ⴂ҃Ⴁ҃ႧႨ ႸႤႬႣႭႡႨႱ
ႷႭႴႠႣ:· Ⴐ҃Ⴈ:· ႠႼႥႫႣႤႡႠႰႤႭႡ
ႠႫ:· ႠႫ҃Ⴑ Ⴘ҃Ⴀ:· Ⴐ҃ ႱႨႩႳႣႨႪႫႠႬ
ႸႤႫႱ҃ႰႬႠ Ⴃ҃Ⴁ҃Ⴢ [Ⴙ҃Ⴈ]:· ႣႠ:· ႠႼ:·
ႪႭႺႥႠႱႠ: ႥႫ҃ႵႤႬႤႭႡ: Ⴗ҃ႧႠႢႠႬ
Ⴜ҃Ⴄ Ⴖ҃Ⴢ: ႵႤႱ: ႠႵ҃Ⴇ ႹႷႥ
ႠႮႰႨႪႨႱ: Ⴚ

ქ. აჰა ადგილი, რ(ომელ)ი მთნდა და დავიმკ(ვ)იდრე დიდებულმან თ(ა)ვადმან წულუყიძემან (sic), გ(იორგ)ი სარდალმან. ქ(რისტ)ე, [შე](იწყალ)ენ. და ყო(ველთ)ა ზედ [დამ]ჰვრეტელთა ამა საფლავ(ი)სათა გ(ევედრე)ბით შენდობის ყოფად, რ(ომელ)ი აწ ვმდებარეობ ამ(ა)ს შ(ინ)ა, რ(ამეთუ) სიკუდილმან შემ(უ)სრნა დ(იდე)ბ(ა)ჲ [ჩ(ემ)ი]. და აწ ლოცვასა ვმ(ო)ქენეობ ყ(ოველ)თაგან წ(ინაშ)ე ღ(მრთისა)ჲ. ქ(რის)ტ)ეს აქ(ე)თ ჩყვ აპრილის Ց.

წარწერა ეკუთვნის 1806 წელს: მასში მოხსენიებული სარდალი გიორგი წულუკიძე ცნობილი პირია; არსებობს მისი ორი შეწირულობის წიგნი, რომელიც მას მიუცია ნიკორწმინდის ეკლესიისათვის: ერთი 1792 წ., მეორე 1794 წ.[183].

ეკლესიის სიძველეთათვის ზემოხსენებული რუსეთის ელჩებივე წერენ: „ადგილობრივ ხატებს შარავანდედები და სამკაულები ოქროსი აქვს, ბუდეებზე შემოკრულია ვერცხლი; ადგილადგილ ნაჭედია დღესასწაულები და წმინდანები; შარავანდედები შემკულია მინანქრით და თვლებით და მარგალიტით, ხოლო საეკლესიო ჭურჭელნი, ბარძიმი და ლანგარი და ჯვარი-ასამაღლებელი ოქროსია; სახარებას ყდებზე შემოკრული აქვს ოქრო და გვერდებიც დაფარული აქვს ოქროთი"-ო[184]. ხატები კი დღესაც არის ნიკორწმინდაში, მაგრამ მათ მინანქრით შემკული შარავანდედები არა აქვთ. ელჩების მიერ მოხსენებული ჯვარ-ასამაღლებელი და სახარება იქნება ის

---

[183] საეკლ საბ., II, 100 და 116.

[184] ტ ო ლ ო ჩ ა ნ ო ვ ი, 124.

დროშა-ჯვარი და ხელნაწერი სახარება იყოს, რომლებიც აწერილია ჩემ მიერ ქვემოთ (იხ. № 9,36).

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი წმ. ნიკოლაოზის ხატი, 121×94,5 სმ. შემკული ვერცხლის აშიებით (მარჯვენა, მარცხენა და ზევითი), რომლებზედაც ჭედილი მცირე ხატებია წმიდანებისა. მხატვრობა განახლებულია XVIII—XIX სს-ში; შეჭედილობა ეკუთვნის XVIII. ს.

2. წმ. ნიკოლაოზის მკლავის ძვალი თავისი ბუდით.

3. ჯვარცმის ხატიდან დარჩენილი ჩარჩო[185], 112×84,5 სმ. შემკული ვერცხლის აშიებით, რომლებიც ოქროს წყალშია დაფერილი (დაზიანებულია); შეჭედილობა ეკუთვნის XI ს. ჩარჩოს გულში ზის ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, XVIII ს-ის. ჩარჩოს ქვედა აშიაზე აქვს წარწერა კიდურყვავილოვანი ასომთავრულით [186].

1. ✝[187] ႵႤ: ႩႠႾႠႡႤႰႷႭႴႤႪႫႠႰ[188]: ႩႤႧႤႪႤ: ႣႤႫႠႰ: ႱႭႳႪႩႭႳႰႧႾႤႥႪႨႱႠ[189] ႤႰႨႱႧႠႥႤႰႨႱႧႠႥႨႱႠ ႰႠႬႨႱႫႠႰ[190]:
2. ႫႭႨႶႤႡႤ: ႡႠႡႤ: ႤႱႤ: ႿႭႳႠႰႺႭႳႫႨႱႠჂ[191] ႬႭႳႢႤႱႤႰႨႱ[192]: ႫႠႤႫႨႠႧႧႠ: ႱႠႨႡႤႰႤႳႤႨႠႧ: ႱႭႳႨႤႱႠ: ႫႤႫႤႱႠ[193]: ႺႭ

---

185 Опись 61; МАК, IV, 138, სურ. 120—121; საისტ. კრ., IV, 105; ს. კაკაბაძე ამ ძეგლს „შემკულობა (არშია)"-ს უწოდებს (საისტ. კრ., IV, 105). ნამდვილად კი ხატის ჩარჩოა ან ბუდე.

186 წარწერა ამოკითხული აქვთ: კონდაკოვ-ბაქრაძეს, რომელთაც მოჰყავთ იგი თარგმანით, რუსულად (Опись, 61), უვაროვას (МАК, 138, სურ. 120, 121), თ. ჟორდანიას (ქრონ. II 44) და ს. კაკაბაძეს (საისტ. კრ., IV, 105). თ. ჟორდანია ამ წარწერას შეცდომით მიაწერს არა ხსენებულ ხატს, არამედ სხვა ძეგლს — დროშაჯვარს (ქრონ., II, 44).

187 უვაროვას ასო ქ გამოტოვებული აქვს (МАК, I, 138).

188 უვაროვა: „კახაბერ ყოფ" (იქვე).

189 ს. კაკაბაძე: „სოლ კორთხევლისა" (საისტ. კრ., IV, 105); მთელს წარწერაში ო და უ ერთმანეთს ენაცვლება.

190 უკანასკნელი ხუთი სიტყვის მაგიერ უვაროვას უწერია. „ერისთავმან კირილის ძმან" МАК, IV, 138).

191 უვაროვა: „ჯვარცმისა" (იქვე); ს. კაკაბაძე: „ჯუარცომის" (საისტ. კრ., IV, 105).

192 ს. კაკაბაძე „ნოგეშინის" (იქვე).

193 უკანასკნელი სამი სიტყვა ს. კაკაბაძეს სულ გამოტოვებული აქვს (იქვე).

3. ႣႥႨႪႱႠႣ: ႣႠ ႱႠႣႶႤႢႰႻႤႪႤႡႤႪႠႣ: ႻႨႱႠ:
ႹႤႫႨႱႠ:· ႤႰႨႱႧႠႥႧႤႰႨႱႧႠႥႱႠ
ႰႠႽႨႱ: ႤႰႨႱႧႠႥႱႠ: ႰႠႲႨႱႠႣ[194].

„ქ მე, კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხევ(უ)ლისა ერისთავთერისთავისა რატისმან მოვჭედე ხატი ესე ჯუარცუმისაი ნუგეშინისმცემელად და სალხინებელად სულისა ჩემისა ცოდვილისაჲ და სადღეგრძელებელად ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, რაჭის ერისთავის რატისად“.

წარწერა ეკუთვნის XI ს. ბოლოს; მასში მოხსენებული კახაბერ-ყოფილი კირილე თ. ჟორდანიას აზრით არის ნიკორწმინდის შესანიშნავ ეტრატზე ნაწერი სიგელის მიმცემი პირი (ქრონიკები II, 44).

4. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი[195], 81×59 სმ. შეჭედილი ვერცხლით, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი და შემკულია ყვავილოვანი სახეებით. ქვედა აშიაზე აქვს წარწერა კიდურ-ყვავილოვანი ასომთავრულით[196]:

1. ✝ Ⴙ~Ⴌ, ႶႧႨႥ ႢႥႨႰႢႥႨႬႭႱႠႬႫ~Ⴌ, Ⴋ~ႴႧ, Ⴋ~ႴႫႬ, Ⴂ~Ⴈ,
ႣႠ, ႻႧ~Ⴀ, ႹႬႧႠ, Ⴊ~ႭႬ, ႫႭႥႽႤႣႨႬ~Ⴇ: ႤႱႤ[197], Ⴗ~ႣႼ~ႱႠ, Ⴜ
2. ႠႰႱႠႫ~ႰႧႤႡႤႪႠႣ, ႫႤႴႭႡႨႱႠ[198], Ⴙ~ႬႨႱႠႧႥႨႱ,
ႣႠ ႱႠႣႶႤႢႰႻႤႪႭႣ, ႻႨႱႠ, Ⴙ~ႬႨႱႠ, ႪႤႭႬႨႱႧႥႨႱ[199],
ႣႠ, ႱႾ~Ⴃ, ႱႭႳႪႨႱႠ, ႹႭ~ႬႨႱႠႧႥႨႱ, Ⴀ~Ⴌ.

„ქ. ჩუენ, ღთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან გიორგი და ძეთა ჩვენთა ლეონ მოვაჭედინეთ ესე ყოვლად წმიდისა წარსამართებელად მეფობისა ჩვენისათვის და სადღეგრძელოდ ძისა ჩვენისა ლეონისთვის და საოხად სულისა ჩვენისათვის. ამინ“.

ძეგლი ეკუთვნის XVI ს. წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე, ბ რ ო ს ე ს აზრით, არის იმერეთის მეფე გიორგი II, რომელიც მეფობდა 1548 წლიდან[200]; იგი არის ძე ეკლესიის განმაახლებელთა

---

194 უკანასკნელი თხუთმეტი სიტყვის (ჯუარცუმისაი-ს შემდეგი) მაგიერ უ ვ ა როვას უწერია: „დვიოისა? და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერი...“ (MAK, IV, 138).

195 RVA, XII, 58; Опись, 61; საისტ. კრ., IV, 105.

196 წარწერა მოყვანილი აქვს ბროსეს (RVA, XII, 58); კონდაკოვ-ბაქრაძეს — თარგმანით, რუსულად (Опись, 61); ს. კაკაბაძეს (საისტ. კრ. IV, 105).

197 ს. კაკაბაძეს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს (იქვე).

198 ს. კაკაბაძე: „მეფბისა“ (იქვე).

199 ს. კაკაბაძე (ლონისთვის“ (იქვე).

200 RVA, XII, 58.

ბაგრატ მეფისა და ელენე დედოფლისა, და მათთან ერთად მოხსენიებულია 1534 წლის ნიკორწმინდის გუჯარში[201]. ს. კაკაბაძის აზრით, წარწერა მიეკუთვნება 1573—1583 წლებს[202].

5. (ხლვ. მ. I) სპილოს ძვალზედ მოჭრილი ღვთისმშობლის მიძინების კარედი ხატი[203], 13,2×12,7 სმ., კარებაყრილი, დაზიანებული; წარწერა, რომელსაც იხსენიებენ კონდაკოვი და ბაქრაძე[204], ხატზე არ აღმოჩნდა.

კონდაკოვის აზრით ხატი XI ს-ისაა[205].

6. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 31,2×25,7 სმ ვერცხლის აშიებით და შარავანდედით; შარავანდედს უზის 5 თვალი; ქვედა აშიაზე აქვს მხედრული წარწერა[206].

შევამკვე ხატი ესე მე ჯანელიძემ მოურავმა სვიმონმა სულის საოხად ჩემდა.

ეკუთვნის XVIII ს. ბოლო ხანს.

7. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ხატი, 25,7×36 სმ. XVIII ს.

8. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის შობის ხატი, 25,5×18 სმ.

9. დროშა-ჯვარი, ანუ წინსაძღოლი[207], წოდებული „წითელ ჯვარად“ (ფერის გამო); იგი წარმოადგენს ჯვარს, გაკეთებულს ჯოხზე. ჯვარი ზომით არის 29×29,2 სმ. ის რკინისაა და ირკვლივ ვერცხლითაა შეჭედილი და შემკულია წინა მხარეს ვერცხლზედვე ნაჭედი ჯვარცმის ხატით (გულში) და სამი მახარებლის მინანქრიანი ხატით (თითოთითო მხრებზე და ერთი ზევითა ნაწილში) და 17 თვლით და 17 მარგალიტით (აკლია 1 მარგალიტი). ჯოხიც შეჭედილია ვერცხლით და შემკულია ზევითა ნაწილში ბუშტებით და კიდობნით, რომელზედაც ჭედილი ხატებია წმინდანებისა. დროშა-ჯვარი ძლიერ დაზიანებულია: მარცხენა მხრისა და ზევითი მინანქრიანი ხატები (მედალიონებად),

---

201 ქრონ., II, 379—380.

202 საისტ. კრ., IV, 105.

203 Опись, 60, МАК, IV, 137—138, სურ. 118.

204 Опись, 59.

205 იქვე, 60. ეს არის არამარტო რაჭაში, არამედ მთელ საქართველოში არსებული ერთ-ერთი უშესანიშნავესი სიძველეთაგანი. სპეციალურად მის შესახებ იხ. გ. ჩუბინაშვილის გერმანულად (1928) და რუსულად (1970) გამოქვეყნებული ნაშრომში: „Рачинский триптих из слоновой кости“, იხ. მისი, „Вопросы истории искусства“, т. I, Тб., 1970, გვ. 206—235, ტაბ. 80—93 (ვ. ს.).

206 საისტ. კრ., IV, 136.

207 RVA, XII, 57; Опись,58—59; საისტ. კრ., IV, 136—137.

რომლებიც ადრევე იძვროდენ თავიანთ ადგილზე, 1925 წელს ვილაც პირთ მათი დამაგრების მიზნით დაუჭედიათ ჯვარზე დიდი ლერსმნებით და ამ დაჭედვაში მინანქარი თითქმის სულ დაულეწიათ; დღეს ეს ნაწილები ჩამოვარდნაზე არის. ჯოხის ძირა ნაწილი 1923—1924 წელს დაუკარგავთ და 1925 წელს ახალი გაუკეთებიათ. დროშა-ჯვარს აქვს ორი ასომთავრული წარწერა: ერთი პატარა ბუშტზე, მეორე დიდზე[208].

1. Ⴕ· Ⴜ[209]· Ⴠ· Ⴟ~ႰႭ· Ⴕ~[Ⴍ· Ⴐ~Ⴈ]· ႱႾႳႰႤႡႳႪ [ႨႵႫႤ]Ⴌ[210]·
2. ႳႡႨႜႭႧႠ· ႫႨႧ· ႱႨႱႾႪႨႧႠ· ႵႰ~ႱႲႤႱႨႧႠ· ႢႤႥႤႣႰႤႡႨႧ·
3. ႹႤ~Ⴌ[211]· ႡႠႲႤႭ· ႹႠႷႦႠႷႩႤႫႤ· ႣႠ Ⴃ~Ⴀ· ႫႤႢႾႤႡႫႤ·
   ႹႤႬႤ[212] ႦႠႸႾႤႪႸႲႤႦ
4. ႤႱႠ[213]· ႠႪႠႷႦႤ· ႴႠႫႱႠႬႢႤႿႠႲႠႫ· ႣႠ· ႻႤႬႤ·
   ႹႤႬႤ· Ⴋ~Ⴀ· ႫႢႲႤႦ[214]·. ႣႠ·. ႫႴႠႫႲႤႦ·.
5. ႢႤႵႫႬႤ·. ႷႠႲႦႤႪႠႢႠႬ·. ႴႠႫႠႤႤႱႠ·. ႣႠ·.
6. ႠႠႤ ႬႤ[215]· ႠႷႹႤႬႠႫႬႤ· ႤႢႤ·. ႫႤႤႫႬႤ·. Ⴑ
   ႠႷႦႲႠ· ႣႠ·. ႸႠႫႢႲႠ·. ႹႤႫႲႠႬႤ·. ႠႫႨႬ·. ႠႫႨႬ·. ႠႫႨႬ·.

„ქ. წ. ჰოჲ ჯ(უა)რ | ო ქ(რისტესა)ო, რ(ომელ)ი სხურებულ [იქმე]ნ უბიწოთა მით სისხლითა ქრ(ი)სტე(ჲ)სითა. გევედრებით[216] ჩ(უ)ენ,

---

208 წარწერები მოყვანილი აქვთ: ბროსეს — ალმოკითხვით (RVA, XII, 57); კონდაკოვ-ბაქრაძეს თარგმანით, რუსულად (Опись, 58—59) და უვაროვას (МАК, IV, 136—137; მას აქვს მოყვანილი ჯერ დიდი ბუშტის წარწერა, მერმე პატარისა: იქვე); ბოლოს ს. კაკაბაძეს (საისტ. კრ., IV, 106); ქართული ტექსტი, ყველას შეცდომებით აქვს გადმოღებული. უვაროვა იმეორებს ბროსეს შეცდომებს. ს. კაკაბაძის გადმოღებულ წარწერას შევნიშნავ ერთს: თვითეულ შემოკლებულ სიტყვას ს. კაკაბაძე ქარაგმას უწერს, რაც სწორი არ არის; წარწერებში ქარაგმა მხოლოდ სამ სიტყვას უზის: პირველ წარწერაში, პირვ. სტრიქონი „ჯ~რო", მეორე სტრიქონი „ქრ~სტესო" მეორე წარწერაში, მესამე სტრიქონი: „ჯ~ი", დანარჩენი შემოკლებული სიტყვები უქარაგმოდ წერია.

209 ს. კაკაბაძეს ეს ადგილი გადმოწერილი აქვს ქ-დ (საისტ. კრ., IV, 103).

210 ს. კაკაბაძე უკანასკნელ 4 სიტყვას წერს: „ქ[ესო] სხურებულ[ო]" (საისტ. კრ., IV, 106).

211 ს. კაკაბაძე: „ჩუენ" (იქვე).

212 ს. კაკაბაძე: „ჩ~ნი" (იქვე).

213 სიტყვის უკანასკნელი ასოს ა-ს ნაცვლად ნახმარია ჲ, ს. კაკაბაძე ამ სიტყვას კითხულობს: „ლაშხისშვილის" (იქვე).

214 ს. კაკაბაძე: მცველი (იქვე). ც-ს შემდეგ ზის ო, რომელსაც წერტილები აქვს დაკრული, ალბათ, წაშლის მიზნით.

215 ს. კაკაბაძე: „აოტონ" (იქვე).

216 ბროსე (RVA, 57). ამ წარწერას ასე იწყებს: „ჵ ჯვარო ცხოვრებისაო უბიწოთა მით სახითა ქრისტესითა გევედრებით".

დავით წულუკიძე და თ(ანა)მეცხედრე ჩ(უ)ენი, ლაშხისშვილისა ასუ-ლი ფარსანგიჯავარ[217] და ძენი ჩ(უ)ენნი, რ(აჲ)თა მცველ და მფარველ გ(უ)ექმნე ყოვლისაგან ბოროტისა და აოტნე უჩინარნი[218] იგი მტერნი სულთა და ჴორცთა ჩემთანი. ამინ, ამინ, ამინ“.

მეორე წარწერა კიდობნის ქვეშ დიდ ბუშტზე:

1. Ⴜ[219] Ⴠ[Ⴍ[220]] ႣႨႣ· [ႫႶ]ႰႣႤႪႧႫႭႻႶႥႠႰႭ [Ⴜ]ႣႭ ႬႨႩႪႦ
2. ႸႤႨჍႨႰႤ· ႫႺႨႰႤ. ႤႱႤ[221]· ႫႱႠႾႳႰႤႡႠ· ႰႭႫႪႨႧႠ· ႱႠႱႭႤႡႨႧ· ႸႤႥႠႫႩႤႥႨႧ
3. Ⴟ·ႰႤ·ႤႱႤ· ႮႠႲႨႭႱႠႬႤ· ႱႠႣ·ႣႨႡႪႠႣ·ႲႠႻႰႨႱႠ· ႸႤႬႨႱႠ. ႼႱႠ[222] ႰႠ· ႫႤႭႾ. Ⴂ
4. ႤႵႫႬႤ[223] ႼႨ ႶႱႠ· ႭႰႧႠႥႤ. ႸႠ ႺႾႭႰႤႡႠႧႠ. ႹႤႬ. ႣႠႧႨႱ. ႼႳႪႳႩႨႻႨႱႠ· ႣႠ· ႧႠ ႫႤႺႾႤႣႰႨႱႠ ႹႤႬႱႠ: ႪႠႸႾႨႱႸႥႨ-ႪႨႱႠ: ႠႱႳႪႱႠ· ႴႰႱ
5. ႠႬ[Ⴂ]ႨႿႠႥႰႱ· ႣႠ· ႻႤႧႠ· ႹႤႬႧႠ. ႨႥႬႤႱ· ႣႠ· ႵႨႾႭႱႰႭႱ[224].

„ქწ ჰოდ, დიდო მღრდელთმოძღვარო წმიდაო ნიკოლოზ[225], შეი-წირე მცირე ესე შესახურება, რომლითა[226] (?) სასოებით შევამკევით ჯვარი ესე პატიოსანი სადიდებლად ტაძრისა შენისა წმიდისა, რათა მეოხ გვექმნე[227] წინაშე ღვთისა ორთავე შინა ცხორებათა ჩვენ და-თის[228] (?) წულუკიძესა და თანამეცხედრესა ჩვენსა ლაშხისშვილისა ასულსა ფარსანგიჯავრს[229] და ძეთა ჩვენთა ივანეს და ქაიხოსროს“.

---

217 ბროსე: „ლაშქისშჳილის ასული ფრანგი-ჯავარ“ (იქვე).

218 ბროსე: „ექმნე“ (იქვე, 29).

219 უვაროვას ეს სიტყვა სულ გამოტოვებული აქვს (MAK, 136).

220 ს. კაკაბაძეს ეს ადგილი გადმოწერილია აქვს ქ-დ (საისტ. კრ., IV, 106).

221 ს. კაკაბაძეს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს (იქვე).

222 ამ სიტყვის და მეოთხე სტრიქონის სიტყვის ღს-ს უკანასკნელ ასოს ა-ს ნაცვლად ნახმარია ჲ, რომელიც ორსავე ადგილას გადმოცემულია შავად.

223 ს. კაკაბაძე: „გე˝ქმნე“ (იქვე).

224 ს. კაკაბაძე: „ქიხოსროს“ (იქვე).

225 ბროსეს პირველი სტრიქონი მთლად გამოტოვებული აქვს (RVA, 57); უვა-როვა კი კითხულობს: „დიდო მღვდელ მთავარო ნიკოლოზ“ (MAK, IV, 136).

226 ბროსე: „რომელი“ (იქვე).

227 ბროსე: „ექმნე“ (იქვე).

228 ბროსე: „დავითს“ (იქვე).

229 ბროსე: „ლაშქის-შვილის ასულსა ფრანგი-ჯავარს“ (იქვე).

დროშა-ჯვრის მახარებლების მინანქრიანი ხატები ნ. კონდაკოვის აზრით, XI ს-ისაა (Опись, 58), ხოლო წარწერებს დ. ბაქრაძე მიაკუთვნებს XVII—XVIII სს. (იქვე, 59). ჩემი აზრით, წარწერები XVII ს. უნდა ეკუთვნოდეს; დავით წულუკიძე თავისი შვილით ქაიხოსროთი დახატულია ამავე (ნიკორწმინდის) ეკლესიის ჩრდილო აფსიდში.

**10.** (ქ. 1848). ხის ჯვარი[230], 23,2 (ტარითვე) × 8 სმ ჯვარცმითა და სხვა ხატებით, ათონის ხელოვნების; ძლიერ დაზიანებული; მას აქვს ვერცხლის გარემო და ტარი, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული მინანქრითა და ბერძნული ასომთავრული წარწერით[231].

Ο ΤΙΜΙΟϹ ΚΑΙ ΖΟΩΠΟΙϹ ϹΤΟϹ[232] ΥΠΑΡΧΕΙ ΕΜΟΥ ΛΑΥΡΕΝΤΙΟΥ ΙΕΡΟΜΟΝΑΧΟΥ ΕΚ ΜΟΝΗϹ ΤΟΝ ΙΒΙΡΟΝ ΤΗϹ ΑΓΙΑϹ ΠΟΛΕΟϹ ΙΕΡΟΥϹΑΛΗΜ 1664.

„პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარი მეკუთვნის მე, წმიდა ქალაქ იერუსალიმის ივერიის მონასტრის მღვდელმონაზონს ლავრენტის. 1664 [წ].".

წარწერის მიხედვით ჯვარი ეკუთვნის XVII ს.

**11.** (ქ. 1849). ხის ჯვარი, 10×5,5 მ ათონის ხელოვნების, ვერცხლის გარემოთი, დაზიანებული.

**12.** (ქ. 1847); ვერცხლის ლანგარი მხედრული წარწერით (ნახევარ წრედ):

„მოიხსენე, უფალო, ნარინ-დავით ბატონიშვილის გამდელი ზილდასტან, ამინ".

წარწერა XVII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

**13.** (ქ. 1838). ვერცხლის ბ ა რ ძ ი მ ი, შემკული ორი მხედრული წარწერით.

პირველი წარწერა მოთავსებულია ბარძიმის ფეხის არეზე (12 სტრიქონი) და ძირა დასადგმელად გამოშლილ ნაწილზე (მე-13 სტრიქონი). უკანასკნელი ნაწილის თითქმის ნახევარი მოგლეჯილია და დაკარგული. მეორე წარწერა მოთავსებულია ბარძიმის შუა წახნაგოვან ნაწილზე.

---

230 Сб. надп. Кавк., № 97, 51—52 გვ.; МАК, IV, 138, სურ. 119.

231 წარწერა მოყვანილი აქვს პომიალოვსკის (Сб. над Кавк., № 97, გვ. 51—52) და კონდაკოვ-ბაქრაძეს (Опись 60).

232 ζωοποιὸς σταυρός.

პ ი რ ვ ე ლ ი: „ქ: ჩვენ ცვაფარვათა: | მონდობილმან: | თქვენმან:. ჯელმწ|იფემა:. დადიანმა:. |პატრონმა:. ლევან. |თქვენ:. ქუთათისა:| და:. პალიასტომისა:. |ღ̃თისა: მშობელსა: | შამოგწირეთ: ბარძიმი:. | ესე:. მას ჟამსა:. | ოდეს:. შევებენით:. | მეფეს:. ბაღდატსა:. | გაგ(ვე)მარიჯვა (sic)., მაში(ნ):. ომში:. და... და სულისა (ჩვენე-ნისა საოჯად.

მ ე ო რ ე: „† მე, ცოდვილმა:. მხევალმა: ღათისამა (sic) | გამდელმა ბატონიშვილის ნარინ-დავითისმა: | სილდასტან შამოგწირეთ ბარძიმი ესე რაჭას უდაბნოს სულისა ჩემის ს|ოხად".

პირველი წარწერა ეკუთვნის XVII (1611—1657) ს. მეორეც იმავე ხანისა უნდა იყოს.

პირველით ძეგლი შეწირულია ქუთაისის ეკლესიისათვის, მეორით — რაჭის (ალბათ ჭელიშის) უდაბნოსათვის.

**14.** ვერცხლის ბარძიმი, შემკული მხედრული წარწერით:

„ქ. წულუკიძის მერაბის და გიორგის გამდელს, ამ ჩემის მერაბის და გიორგის სასიცოცხლოთ სადღეგრძელოთ, შემამიწირავს მე, მონა ხთისას შენგელიას ქალს მარიამს ხთის მშობლისათვის ჩემი სულის საოხათ, საცხონებლათ წმინდის ნიკოლოზის ეკლესიისათვის და ვინაც გამოსწიროს შეჩვენებული იყოს ხთისაგან, შვიდის პატრიარქისაგან".

მერაბ წულუკიძე ცნობილი არის ორი: ერთი XVII ს-ში, მეორე XVIII ს-ში; დამწერლობის მიხედვით აქ მოხსენებული უნდა იყოს უკანასკნელი, XVIII ს.

**15.** (ქ. 1851). ვერცხლის კამარა, შემკული მხედრული წარწერით:

„ქ. მოიხსენე უფალო არჩილის ბატონისშვილის ძის ახალ მეორე მ(ე)ფის სოლომ(ო)ნის და მიცვალებული ბატონიშვილი ბარბარა".

**16.** (ქ. 1852), ვერცხლის კოვზი, გატეხილი ორად, მხედრული წარწერით:

„ქ. [მოიხ](ს)ენე უფალო ბატონისშვილი ბარბარა".

მე-15 და მე-16 ნომრებით აღწერილი სიძველეები ეკუთვნის XVIII ს. წარწერებში მოხსენებული ბატონიშვილი ბარბარა არის და იმერეთის მეფის სოლომონ II-ისა (საეკლ. საბ. II, 161, 1808 წლისა).

**17.** (ქ. 1846). ვერცხლის საცეცხლური, (სამღვდელმთავრო) გუმბათიანი ეკლესიის ფორმისა, შემკული ეჟვნებით.

**18.** მიტრა, შემკული დაბალი თვლებით (აკლია რამდენიმე) და ვერცხლის ხატებით.

19. (ქ. 1844). ვერცხლის დაფა, 2,2×6,5 სმ. XIX ს. მხედრული წარწერით: „წინა: მორბედო: იოანე აც|ხოვნე შენი გევ(ედრე)ბი ულირი|ბერი გელბახიანი გრიგოლი“.

20. ფიცრის სანაწილე ნაწილებიანი უჯრედებით, 18×14 სმ.

21. (ქ. 1853). ვერცხლის მცირე სურა.

22. (ქ. 1860). ოდიკი 1822 წ.: მთელი 1 ცალი, ძლიერ დაზიანებული 3 ცალი; სულ 4 ცალი.

23. (ქ. 1863). დაფარნა თუ გარდამოხსნა (?), 75×85 სმ. შემკული ოქრომკედით ნაკერი გარდამოხსნის ხატით და ასომთავრული წარწერით, დაზიანებული ქვედა ნაწილში.

წარწერის სტრიქონები მოთავსებულია აშიის ადგილებზე: პირველი ზევით, მე-2 მარცხნივ, მე-3 ძირს და მე-4 მარჯვნივ:

1. † ႸႤႬ, ႳႡႰႠႪႭႧႠ: ႱႨႩႣႨႪႨႱႢ̃Ⴌ ႣႠႫႩႱႬႤႪႭ
2. ႼႭ, ႬႨႩႭႪႭႦ, ႸႤႨႼႨႰႤ: ႣႠႴႠႰႬႠ: ႤႱႤ, ႺႨႱ, ႡႤ[233]
3. ႣႫႠႫႺႨႱ: Ⴌ[Ⴀ]ႪႥ[Ⴀ]Ⴜ[234]ႤႬ: ႥႨႬႺ: ႨႾႨႪႭႧ: ႸႤႬႣႭႡႠႱႫႨႡႰႻႠႬႤႡႣႤႧ
4. ႶႫႧႨႱႠႧႥႨႱ, Ⴕ̃ႰႭႬႨႩႭႬႱ: ႲႣ̃Ⴑ: ႠႫ: Ⴈ̃Ⴌ

„ქ. შენ, უბრალოთა სიკვდილისგ(ა)ნ დამჴსნელო წ(მიდა)ო ნიკოლოზ, შეიწირე დაფარნა ესე ცის (?) ბედმამცის (?) ნალვაწი. ვინც იხილოთ შენდობას მიბრძანებდეთ ღვთისათვის, ქრონიკონს ტჳ ამინ“

24. (ქ. 1855). დ ა ფ ა რ ნ ა. 40×1,5 სმ. შემკული ოქრომკედით ნაკერი მაცხოვრისა და ანგელოზების ხატებით და ბერძნულ-ქართული ასომთავრული წარწერებით. ბერძნული წარწერა მოთავსებულია მაცხოვრის ზევით (ა) და მარცხნივ (ბ), ქართული — მარჯვნით (ა) და ძირს (ბ)[235].

1. ბერძნული წარწერა[236]:

ა. εκαλυφεν ουρανουσ η αρετη αυτου και ενε

ბ. σεοσ αυτου πληρησ η γη

---

233 აქ ასო გადაბმულია წინა ასო ბ-სთან და ვგონებ ე უნდა იყოს.

234 ასო ვ-ს ბუნი შეერთებულია წინა ასო ლ-ს მარცხენა ბუნთან.

235 ამა და ქვემოთ აღწერილი ორი დაფარნის (№ 25 და 26) ბერძნული წარწერები ქართული წარწერების შესატყვისია.

236 სამივე აღნიშნული დაფარნის (№ 24, 25 და 26) ბერძნული წარწერების ტექსტი ამოიკითხა და თარგმნა გრ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუძღვნი.

II. ქართული წარწერა[237]:

ა. ႣႠႴႠႰႬႠ:· ႺႠႬႨ· ႸႥႤႬႨႤႰႤႷႠ[238] ႫႠႬ· ႸႤႬႫႠႬ· ႵႤႡႨ
ბ. ႧႠ· ႫႨႱႨႧႠ· ႠႶႨႥႱႭ· ႵႥႷ[239]ႠႬႠ· [Ⴕ]ႩႨ· Ⴘ[Ⴕ]Ⴢ·
Ⴆ[240]

„დაფარნა ცანი შვენიერებამან შენმან, ქებითა მისითა აღივსო ქვ(ე)ყანა. ქკი (ქრონიკონი?) შ[ქ]ჲზ“ (1667?).

25. ქ. 1856[241]. დ ა ფ ა რ ნ ა, 41×42 სმ. შემკული ოქრომკედით ნაკერი მაცხოვრისა და მახარებლების ხატებით და ბერძნულ-ქართული ასომთავრული წარწერებით. წარწერები მოთავსებულია ისევე, როგორც პირველ დაფარნაზე.

1. ბერძნული წარწერა:

ა. ο κ῀σ εβασιλευσεν ευπρεπειαν ενεδυσατο
ბ. ἐνεδυσατο κ῀σ : : δυναμι(ν) κ(αι) περιεζωσατο

II. ქართული წარწერა:

ႳႴ:· ႱႳႴႤႥႱ:· ႸႥႤႬႨႤႰႤႡႠ:· ႸႤႨႫႭႱႠ: ႳႴႬ
ႻႠႪႨ:· [ႣႠ]:· ႢႠႰႤ:· ႸႤႨႰႲ[242]ႷႠ:· [Ⴕ]ႩႨ:· Ⴘ:· [Ⴕ]:· ႢႦ:·

„უფალო სუფევს შვენიერება. შეიმოსა. უფალმან ძალი. და გარე შეირტყა[243]. ქკი (ქრონიკონი?) შქჲზ“ (1667?).

26. (ქ. 1857). დ ა ფ ა რ ნ ა, 44×63 სმ. შემკული ოქრომკედით ნაკერი მაცხოვრისა, ანგელოზებისა და მახარებლების ხატებით და ბერძნულ-ქართული ასომთავრული წარწერებით. წარწერები ერთმანეთში არიან შერეული; ბერძნული წარწერა მოთავსებულია მაცხოვრის ზევით (ა), მარცხნივ (ბ), ძირს (გ) და მარჯვნივ (დ); ქართულიც — მაცხოვრის ზევით, ბერძნული წარწერის შუაში (ა), მარცხნივ, ბერ-

---

237 ამბაკუმი, 3, 3.

238 ხელთუფალი ბ-ს მაგიერ ხმარობს ყ-ს.

239 ხელთუფალი ყ-ს მაგიერ ხმარობს ბ-ს.

240 აქაც და მეორე დაფარნის (№ 25) წარწერის სიტყვებში: „[ქ]კი შ[ქ]“ ასო ქ სწორ ფრჩხილებშია მოთავსებული. ორივე დაფარნის (№ 24 და 25) წარწერების ტექსტის უკანასკნელი სიტყვები: „[ქ]კი: შ[ქ]:. ჲ:. ზ“ გაუგებარია.

241 ფსალმუნი, 92,1.

242 ხელთუფალი ტ-ს მაგიერ ხმარობს ხ-ს.

243 მწუხრისა და მცირე აიაზმის განტევების ლოცვა.

ძნულის შემდეგ (ბ), ძირს, ბერძნულის შემდეგ (გ) და მარჯვნივ, ბერძნულის შემდეგ (დ), მაცხოვრისავე თავზე (ე).

I. ბერძნული წარწერა:

σκεπησον ημασ ο θ῀σ εν τη σκεπη του πτερυγο ν σου
αποδιωξον αφ ημων παντα εχθρον κ(αι) πολεμηον ιρηνευσον
ημων την ζωην κ῀ε

II. ქართული წარწერა:

[Ⴃ]ႠႫႨႴႠႰႤ:. Ⴙ~Ⴌ:. Ⴖ~Ⴍ:.
ႱႠႴႠႰႥႤႪႨႧႠ:.ႴႰႧႤႧႠ:. ႸႤႬႧႠ:.
ႼႠႰႱႣႤႥႬႤ[244]:. ႹႬႢႠႬ:. Ⴗ~Ⴌ:. ႫႲႤႰႬႨ:. ႣႠႫႤႡႰႻႭႪႬႨ:.
ႣႠႠႫႸჃႨႣႤ:. ႺႾႭႰႤ
ႡႠ: Ⴙ~ႬႨ:. ႭႷ~Ⴄ

„დამიფარე ჩ(უე)ნ, ღ(მერ)თო, საფარველითა ფრთეთა შენთა. წარსდევნე ჩ(უე)ნგან ყ(ოველ)ნი მტერნი და მებრძოლნი. დაამშვიდე ცხორება ჩ(უე)ნი უ(კუნისამდე)ი".

სამივე ზემოაღწერილი დაფარნა (№ 24, 25 და 26) საუცხოო ხელითაა ნამუშევარი ერთისა და იმავე პირის მიერ; ეკუთვნიან XVI—XVII სს.

27. (ქ. 1858). დაფარნები, შემკული ხელით ნაკერი წმ. ნიკოლოზის ხატებით — 2 ცალი.

28. (ქ. 1859). დაფარნა ძველი ქსოვილისა — 3 ცალი.

29. (ქ. 1854). სარტყელი ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული, 1 ცალი.

30. (ქ. 1862), სამაჯური ოქრომკედით ნაკერი, 1 ხელი.

31. (ქ. 1841, 1842). სარტყელის ჩაფრასტი, ანუ ღილი სპილენძისა, დაზიანებული, 2 ცალი.

32. (ქ. 1861). ენქერი, ძლიერ დაზიანებული.

33. (ქ. 1843). ფილონის, ანუ სამღვდელმთავრო შესამოსის ჩაფრასტი, შემკული ყვავილების სახეებით — 1 ცალი.

34. (ქ. 1840). ხატებიდან აცვივნილი თვლები დიდ-პატარა — 10 ცალი.

35. (ქ. 1864). ოსმალური ფარა — ერთი ასხმულა.

---

244 ე. ი. „წარსდევნე".

**36.** (ქ. 2095). ქაღალდზე ნუსხურად ნაწერი ოთხთავი[245], 20,5×15,5×5,7 სმ. მას არავითარი მინაწერი არა აქვს; ზის ვერცხლის ბუდეში, 21×16×7 სმ, რომელიც შემკულია ჭედილი ხატებით; ჯვარცმის (წინა მხარეს), ბრმის განკურნებისა (უკანა მხარეს) და სხვ. და 2 დიდი, 2 მცირე თვლით (აკლია 5 თვალი). ქვედა საკეტზე (გარედან) ბუდეს აქვს მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა; გარდა ამისა მარცხენა და ზევითა საკეტებს შიგნით გადაკრული აქვს ფურცლები ასომთავრულივე წარწერებით[246]. ქვედა და მარცხენა საკეტების წარწერები კარგად არის დაცული, ხოლო ზევითისა კი ნაწილობრივ წაჭრილია და ისედაც დაზიანებულია. სამივე წარწერა სხვადასხვა ხელით არის ნაჭედი.

პირველი წარწერა ქვედა საკეტზე:

1. - - ႠႨ. ႣႨႣႭ: ႫႶႣႤႪႧႫႭႻႶႭ: ႼႭ ႬႩႪ Ⴆ
2. ႣႠႥ˝Ⴇ: ႹႬ. ႣႧ. ႼႭႪႳႩႨႻႤ ႣႠ. ႧႠ. ႫႤႺႾႤႣႰႤ, ႹႤႬႤ
3. ႪႠႸႾႤႱ. ႸႥႨႪႱႠ. ႠႱႭႪႨ. ႴႠႱႰႢႨ ႯႥႠႰ ႣႠ. Ⴛ
4. ႤႰႤ. ႹႤႫႰႤ: ႭႰ: ႸႫႭႢႼႤႭႤႧ: ႼႠ ႤႱႤ: ႱႾႭႤႪႠ ႭႠ.
5. ႫႤႭႾ: ႢႵႫႰႤႱ. ႼႤႸႤ: ႶႤႱႠ: ႠႫႤႰ. ႪႦ.

ჰოი[247], დიდო მღდელთმოძღვარო[248] წმიდაო[249] ნიკოლოზ[250], გევედრებით ჩუენ, დავით წულუკიძე და თანამეცხედრე ჩუენი — ლაშხისშვილისა ასული ფარსანგიჯავარ[251] და ძენი ჩემნი, რომელმან შემოგწირეთ წმიდაჲ ესე სახარება, რაჲთა მეოხ გუექმნეს წინაშე ღუთისა. ამინ[252]. ულ[532].

მეორე წარწერა მარცხენა სვეტზე:

1. † ႫႤ: Ⴃ˝Ⴇ, ႼႭႪႳႩႨႻႤႫႠ, ႸႤႣႱႼႤႭႤ, ႱႠႾႭႤႪႠ,
   ႤႱႤ, ႾႠႠႠႭႱႠ, Ⴜ˝Ⴑ, ႰႤႩႪႦႪႱႠ, ႣႤႰႠ ႢႤႰႣ, ႢႠႫ

245 Опись, 60; МАК, IV, 139—140, სურ. 122, 123.

246 კონდაკოვსა და ბაქრაძეს მოჰყავთ მხოლოდ პირველი წარწერის რუსული თარგმანი, ისიც შემოკლებით (Опись, 60), უვაროვასაც მხოლოდ პირველი წარწერა აქვს, ისიც აღმოკითხვით (МАК,IV, 139, სურ. 123).

247 უვაროვა: „წმ" (იქვე).

248 უვაროვა: „მღვდლომთავარო" (იქვე).

249 უვაროვას ეს სიტყვა სულ გამოტოვებული აქვს (იქვე).

250 უვაროვა: „ნიკოლოოზ" (იქვე).

251 უვაროვა: („ფრანგიჯავარ?)", (იქვე).

252 უვაროვას ამ სიტყვის შემდეგ უწერია: „ქრკ". (იქვე).

253 უვაროვა: „უიბ" (იქვე): იგი ამ ასოებს ბუდის თარიღად თვლის (იქვე), რაც შეცდომაა.

2. ႭႠჄႭႱ,· ႠႬႭჃ, ႤႡႨႱႩႭႮႭႱႧႠ: ႣႠ ႠႬႭჃ
ႫႶႣႪႫႬႦႬႧႠ, ႠႬႭჃ ႣႨႣႤႡႭჃႪႧႠ ႣႠ ႫႺႨႰႤႧႠ,.
3. ႰႨႱႾႠႥႱႫႺႠ, Ⴖ´Ⴈ ႣႠ: Ⴗ´ႬႨ, Ⴜ´ႬႨ, ႦႤႺႨႱႠ, ႣႠ
ႵႤႷႬႨႱႠႬႨ, ႹႤႬႧ. ႬႠႺႪႠႣႫႺႠ, ႢႠႬႨႩႨႧႾႥႨႠႬ,· Ⴀ´Ⴌ.

„ქ. მე, დავით წულუკიძემა, შევწირე სახარება ესე ტაძარსა წმიდის ნიკოლოზისა. ვინც-გინდ გამოაჴუას: ანუ ებისკოპოსთა და ანუ მღდელმონაზონთა, ანუ დიდებულთა და მცირეთა, რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი წმიდანი ზეცისა და ქუეყანისანი. ჩუენთ ნაცულადმცა განიკითხვიან ამინ".

მესამე წარწერა:

1. ჅႨ ႣႨႣႭ ႫႶႰႣႤႪႧ ႫႭ[ႻႶ]ႰႭ. Ⴜ´Ⴍ. ႬႩႪ. ႢႣ´ႰႧ.
[Ⴙ´Ⴌ. ႣႧ. ႼႭႪ]
2. ႩႨႻႤ Ⴃ´. Ⴇ´Ⴀ, ႫႤႺ[ႾႤ]ႣႰႤ Ⴙ´Ⴈ, ႴႰႱႬႢႨႿ[ႠႥႠႰ,
ႪႠႸႾႨႱ]
3. ႸႥႨႪႨႱ ႠႱႭჃႪႨ, ႣႠ ႻႤႬႨ: ႹႥႤႬႨ, ႨႥ[Ⴌ]Ⴄ, [ႣႠႵႠႨ]
4. ႾႭႱႰႭ, Ⴐ´Ⴌ- ႸႤႢႫ[Ⴉ]ႤႥ: Ⴜ´Ⴢ, ႤႱႤ: Ⴑ[ႠႾႠႰႤႡႠ]

„ჰოი, დიდო მღრდელთმოძღუარო წმიდაო ნიკოლოზ გევედრებით· [ჩვენ დავით წულ]უკიძე და თანამეცხედრე ჩვენი ფარსანგიჯ[ავარ ლაშხის]შვილის ასული და ძენი ჩვენი: ივანე და ქაიხოსრო. რომელმან შეგამკევ წმიდაჲ ესე ს[ახარება]".

ოთხთავი კონდაკოვისა და ბაქრაძის აზრით მიეკუთვნება XII ს. (Опись, 60).

ბუდე XVII ს-ისაა, მის წარწერებში მოხსენებული არიან იგივე პირნი (დავით წულუკიძე და სხვ.), რომელნიც ზევითაა აღწერილი დროშა-ჯვარის წარწერებში (იხ. აქვე, № 9).

**37.** (ქ. 2096). თვენი, ხუცურად ნაწერი — 4 წიგნი; ყველა დაშლილი, დაზიანებული, ფურცელნაკლები. მეოთხე წიგნში შერეულია მარხვანი.

**38.** (ქ. 2097). პარაკლისი, ხუცურად ნაწერი.

**39.** (ქ. 2098). მარხვანი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

**40.** (ქ. 2099). დავითნი, ხუცურად ნაწერი.

**41.** (ქ. 2100). სამოთხის ყვავილი, მხედრულად ნაწერი.

**42.** (ქ. 2101). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

43. (ქ. 2102). რომელიღაც საეკლესიო წიგნი, მცირე, ხუცურად ნაწერი.

44. (ქ. 2103). კატეხიზმო, მხედრულად ნაწერი, დაზიანებული.

45. (ქ. 2104). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული.

46. (ქ. 2105). დაუჯდომელი, ხუცურად ნაწერი, მცირე წიგნი, აღწერილი სიონის დეკანოზის ნიკოლოზის მიერ 1766 წელს.

47. (ქ. 2106). ზიარების ლოცვანი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული.

48. (ქ. 2107). საკითხავნი ნათლისმცემლის შობისა, ხუცურად ნაწერი, თავში ფურცელნაკლები.

49. (ქ. 2108). თვენის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

50. (ქ. 2109). თვენის ნაშთი ხუცურად ნაწერი.

51. (ქ. 2110). სამღდელმთავრო პარაკლისი, მხედრულად ნაწერი.

52. (ქ. 2111). რომელიღაც საეკლესიო წიგნის ნაშთი, მხედრულად ნაწერი.

53. (ქ. 2112). ფურცლები წმინდანთა ხატებით თერთმეტი თვისა (იანვრიდან ნოემბრამდე), ძველი რუსული სტამბისა.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას ქვიტკირის სამრეკლო ახალი დროისა; მას დასავლეთის მხარეს აქვს მხედრული წარწერა ქვაზე:

ჩყდგ-სა წელსა აღშენდა სამრეკლო ესე შრომითა | და საფასითა ამან ნიკოლათს წმიდის მცხოვრებელთა, მეფობასა | იმპერატორის ალექსანდრე ბ-ის, ხ(ოლო) მღვდელმთავრობასა გაბრიელისასა".

ზ ა რ ი სამრეკლოზე, წონით 2 ფ. 3 გ., მხედრული წარწერით[254]:

„ქ. შემოგწირე ზარი ესე რაჭის ლიკორისწმინდის[255] ნიკოლოზის[256] ეკლესიას[257] გიგოლა გეგეშიძემ[258] სულისა ჩემისა და მამისა ჩემისა ნონიას მოსახსენებლად[259] | ჩყმვ -სა ენკენისთვის[261] იზ სა.

---

254 RVA, XII, 57.

255 ბროსე: „ლიკორის წმინდა" (იქვე).

256 ბროსე: „ნიკოლაოზის" (იქვე).

257 ბროსე: „ეკლესიასა" (იქვე); ამავე სიტყვის შემდეგ იგი უმატებს სიტყვას: „მე" (იქვე).

258 ბროსე: „გეგეშიძე" (იქვე).

259 ბროსე: „მოსახსენებელად" (იქვე).

260 ბროსე: „ჩყმვ" (იქვე).

261 ბროსე: „ენკენის თვს" (იქვე).

## ქვედა ჟოშხა[262]

ქვედა ჟოშხას ჯვარცმის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8,8×4 მ., ნაგები ნაწილობრივ შირიმისა და ნაწილობრივ ტინის თლილი ქვისა და კირისაგან; დგას მარტო კედლები, სახურავგადახდილი (გადაუხდიათ 1930 წლის გაზაფხულზე); იატაკი ფილაქნით არის დაგებული. ეკლესია განახლებულია: კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით, კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით — 1, დასავლეთით — 1 და ჩრდილოეთით —1, სულ 4. ტრაპეზის ადგილი დაფარულია ფიცრის მასალით, სამკვეთლო კედელშია გამოღებული. კარ-სარკმელი და კედლები მრავლად არის შემკული ჩუქურთმიანი ქვებით: ზოგი ქვა მთელია და თავის პირვანდელ ადგილასა დევს (მაგ., კარსარკმელი); უმეტესი ნაწილი კი ნატეხია და უწესრიგოდ არის მიწყობილი (ალბათ, განახლების დროს) სხვადასხვა ადგილას, სახელდობრ: გარეთ — სამხრეთ მხარეს (კარს და კედელს) აქვს 18 ქვა აღმოსავლეთ მხარეს (სარკმელს და კედელს) — 8; ჩრდილოეთ მხარეს (კედელს) — 2; დასავლეთ მხარეს (კარ-სარკმელ-კედელს) — 18; შიგნით — სამხრეთ მხარეს (კარს) — 2; ჩრდილოეთ მხარეს (კედელს) — 2; დასავლეთ მხარეს (კარს და კედელს)— 2[263]. ეს ქვები შემკულია სხვადასხვანაირი სახეებით — ხვეულებით, ჯვრებით და სხვა, და ყველა შესანიშნავი ხელობისაა. ჩრდილოეთი სარკმელი ძველად არ უნდა ყოფილიყო სრულებით; იგი ეკლესიის განახლების დროს უნდა იყოს გაყვანილი; იმავე დროს უნდა იყოს გადიდებული აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი სარკმლები.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყორის გარეთ, ორ ადგილას არის რაღაც ძველი შენობიდან დარჩენილი კედლის ნანგრევი.

ამავე სოფელში არის ორი სალოცავი: ერთი „საგოლგოთო“, მეორე „საელიო“. „საგოლგოთო“ სალოცავი მდებარეობს ეკლესიის ზევითა ნაწილში, მცირე ტყიან ადგილას, სადაც სხვათა შორის დგას ორი მოზრდილი ცაცხვის ხე. აქ დღესასწაული — „გოლგოთობა“ სცოდ-

262 ესა და რამდენიმე სხვა სოფელი წინა რიგში, ანუ ნაწილში (იხ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, გვ. 163—222) უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ გამორჩა, ვინაიდან მათი აღწერა შედგენილ იქნა არა პირველ მოგზაურობათა დროს, ე. ი. 1924—1927 წლებში, არამედ დაგვიანებით — 1930 წელს.

263 აღრიცხვა დაახლოებითია; კარქვეშ შესაძლებელია სხვა ჩუქურთმიანი ქვებიც იყოს და ისინი შემდეგში გამოჩნდეს. ზემოაღნიშნული რიცხვი მხოლოდ ის არის, რაც დღესა ჩანს.

ნიათ აღდგომის მეორე დღეს. „საელიო" სალოცავი მდებარეობს „საგოლგოთის" ზევით, სოფლის თავში მცირე ტყიანსავე ადგილას, სადაც სხვათა შორის დგას ოთხი ურთხელის ხე (დიდი 1, პატარა 3) აქ „ელიობას" ძველად თემობა, ანუ სათემოდ დასხდომა სცოდნიათ.

## ტოლა

ტოლას არის ორი ძველი ეკლესია: ერთი მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ა, პირველ ტოლას, ანუ პირველ უბანს, და მეორე ს ა მ ე ბ ი ს ა, მეორე ტოლას.

1. მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,3×4,7 მ. ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან (ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ზედა ნაწილები ნაგებია რიყის ქვით). დგას მარტო კედლები, რომლებიც შიგნით და გარეთ გალესილია კირით. სახურავის უდიდესი ნაწილი გადახდილია, დარჩენილი ნაწილი კიდევ სულ დამპალია; იატაკად აგია სწორპირიანი ქვა. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1, ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, სამკვეთლო კედელშია გამართული. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით).

ეკლესიას გარეთ, დასავლეთ მხარეს, კარის ასწვრივ აქვს ქვა ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით; უკანასკნელის ასწვრივ კიდევ კედელშივე ცხვრის (?) თავის გამოსახულებაა.

2. ს ა მ ე ბ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5×3,8 მ. ნაგები კლდის ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები. სახურავგადახდილი. საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი სწორკუთხედია; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1, ტრაპეზი საკურთხევლის შუაში ყოფილა, დღეს იგი ნახევრად დაქცეულია; სამკვეთლო კუთხეშია გამართული; საკურთხეველშივე არის პატარა თახჩები; შუა ეკლესიაში, ჩრდილოეთ კედელში არის მოზრდილი თახჩა. ეკლესიას გარეთ, დასავლეთის კარის ზემოთ, აქვს ქვა ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით.

## ლადიში

ლადიშის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია (სურ. 42, 43) ერთნავიანი შენობაა, 7×4,1 მ. ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; თაღი ძველად ქვიტკირისა ჰქონია, რაც ცხადად ჩანს სამხრეთი და ჩრდი-

ლოეთის კედლების გადმოწეული თავებიდან, ხოლო შემდეგ, ალბათ, დაქცევის გამო, ფიცრისა გადაუყვანიათ. ხურავს ყავარი, რომელიც ადგილ-ადგილ დამპალია; იატაკად დაგებულია თლილი ქვა; კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; სამხრეთ კარს გარედან, მარცხენა ძირა ნაწილში უდევს ჩუქურთმიანი ქვა, (სურ. 44), რომელიც მოყოლილი უნდა იყოს აქ ეკლესიის განახლების დროს. სარკმელი არის: აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1. ტრაპეზი შუა ეკლესიაშია გამართული; სამკვეთლო კედელშია გამოღებული; საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით). ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობისა დღეს ნაშთიღა არის; საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება; მაცხოვარი და ღვთისმშობელი შენახული არიან წელამდე, ნათლისმცემელი კი სულ მოცილებულია. მხატვრობის კვალი მოჩანს აგრეთვე ჩრდილო და დასავლეთი კედლების ზევითა ნაწილებში; დანარჩენ ადგილებში კი მხატვრობა სულ მოსპობილია.

ეკლესია შიგნით დაზიანებულია; მისი იატაკი შეძრულია; ვიღაც ბოროტმოქმედებს ამ უკანასკნელ წლებში ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გაუთხრიათ აკლდამები, ალბათ, განძის პოვნის მიზნით; ადამიანის ძვლები მაღლაა ამოყრილი.

ეკლესიას დასავლეთით შირიმის ქვისგანვე მიშენებული აქვს საქალებო, 3,2×5,2 მ; მისი სახურავი დამპალია და დღეს ნახევრად ღია არის; კარი აქვს დასავლეთით და აღმოსავლეთით (უკანასკნელი ეკლესიაში შედის). დასავლეთის კარის თავზე დევს ქვა სწორხაზოვანი ჯვრის გამოსახულებით (წრეში); მის ზევით საქარეზე არის ქვა მაცხოვრის გამოსახულებით; უკანასკნელის მარჯვნივ (ორი ქვის დაშორებით) და მარცხნივ (გვერდზევე) კიდევ ორი ქვაა გაშლილი ხელის გამოსახულებით[264].

ეკლესიას სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია რაღაც შენობები; დღეს მათი კვალიღაა დარჩენილი: სამხრეთ მხარეს შენახულია საძირკველი, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს — გარეთ გამოწეული კედელი; ამ გამოწეულ კედელზე მაღლა დევს სამი მოზრდილი ქვა და ერთი მცირე (ნატეხი)[265]; ოთხივეზე ნაქანდაკევია მთავარანგელოზები მედალიონებში (თითოეულზე თითო); ქანდაკება ორ ქვაზე კარგად არის შე-

---

[264] ხელის გამოსახულება ოსტატების ნიშანია; ამით ისინი თავიანთ ნაშრომნამუშევარს აღნიშნავდნენ.

[265] ეს ქვები ვიღაც პირის მიერ დაცვის მიზნით უნდა იყოს იქ შეწყობილი.

ნახული, მესამეზე და მეოთხეზე კი მთავარანგელოზებს მხრებქვევითი ნაწილი დაზიანებული აქვთ.

იმავე (ჩრდილოეთ) მხარეს აღმოსავლეთ კუთხესთან დევს ხის ჯვარი, 2,81×1,91×0,16 მ. დაშლილი.

იმავე (ჩრდილოეთ) მხარეს, ეზოში დგას დიდი ცაცხვის ხე, ეკლესიას გარშემო გალავანი ჰქონია; დღეს იგი ნანგრევად არის; შესავალი კარი აქვს დასავლეთ გალავნის გარეთ, აღმოსავლეთ მხარეს დგას ბზის ხეები.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 2772). მძივი, დიდი ზომის, 1 ცალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მძივი ეკლესიაში გათხრილ აკლდამიდან უნდა იყოს ამოღებული.

## გორისუბანი

გორისუბნის წ მ. ბ ა რ ბ ა ლ ე ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,2×3,3 მ., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; სახურავი სულ გადახდილი აქვს; თაღი კარგად არის შენახული; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1. ტრაპეზი მოშლილია, სამკვეთლო თახჩაშია გამართული; აღმოსავლეთ კედელს მაღლა დატანებული აქვს ორი ქვევრი ხმისათვის; სამხრეთ ნაწილში არის პატარა თახჩა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; დღეს მხატვრობისა მხოლოდ ნაშთიღა არის; ჩრდილოეთ კედელზე დასავლეთ ნაწილში მოჩანს ქალის (?) თავი, დაზიანებული: შენახულია მარტო პირისახის მარცხენა მხარე და შუბლის ზევითი ნაწილი, სხვა გამქრალია. მხატვრობის კვალი შერჩენილა აგრეთვე ეკლესიის გარეთაც, დასავლეთ კედელზე, ჩრდილოეთ ნაწილში; აქ შენახულია მხოლოდ წითელი ფერი.

ეკლესიას ჩრდილოეთით მიდგმული ჰქონია რაღაც შენობა; ახლა მისი მხოლოდ საძირკველიღა მოჩანს.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით არის ნანგრევი; აქ აღმოჩნდა ჩუქურთმიან-წარწერიანი ქვა, 27×87×14 სმ, რომელიც ძველად კარიბჭის თავზე უნდა დებულიყო; უკანასკნელი ახლა დანგრეულია; ქვა ნახევარწრის ფორმისა არის: ზევითა ნაწილში აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა, ხოლო ქვევითა ნაწილში კი ასომთავრული წარწერაა. სამწუხაროდ, ძველადვე ვიღაც უვიც ოსტატს მისთვის ძირა ნაწილი შე-

უჰრია და სხვა ფორმა მიუცია. ამ შეჰრისაგან წარწერა თითქმის სულ განადგურებულა: მოსპობილია მთავარი ადგილი მთლად (სტრიქონი მე-3 და მე-4); გარდა ამისა ქვას მარჯვენა გვერდი მოტეხილი და დაკარგული აქვს.

წ ა რ წ ე რ ა:

...ႨႱႭႱ~ႭႢ~ႬႫႠႺႾႭႥႤႪႤႡႤႪႭ~ႣႠ~ႫႴႪႭႡႤႪႭ~ႷႭႥႤႪႧႠ~Ⴑ
...[ႫႶႣ]~ႫႭႻႶჃႰႧႠ~ႣႠ~Ⴗ[Ⴅ]~ႼႫႣႧႠ...[266].

„[იე]სოს(ა)ო, განმაცხოველებელო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო| [მღდელთ] მოძღუართა და ყოველთა წმიდათა [ლოცვი]თა, მადლიდა...".

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის XI ს. იგი ძლიერ ემსგავსება ნიკორწმიდისა და პატარა ონის ეკლესიების დასავლეთი კარის თავის წარწერებს.

ეკლესიის დასავლეთ-სამხრეთ კუთხის გასწვრივ, ეზოში, 6—7 მეტრის მანძილზე დევს საფლავის ქვა, 60×29×27 სმ, რომელზედაც გამოსახულია ძველი ფორმის ჯვარი. ქვას ზევითა (თავის) ნაწილი მოტეხილი უნდა ჰქონდეს.

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს არის კლდე გამოქვაბული.

### ბარეული

ბარეულის „დ ე დ ა ღ ვ თ ი ს" ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,5×3,2 მ. ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

ტრაპეზს თავზე ადევს ქვა, 15,5×63×50 სმ; მას ქვედა ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს; ქვის წინა პირზე გამოსახულია 5 წმიდანი, მდგომარე თითოეული ცალკე კამარაში, დაზიანებულ წელს ქვევით (ქვის მოტეხისა გამო); აწერიათ ნუსხურად:

ⴜ̃ⴀ ⴇ̃ⴄ — წ(მიდა)ა-თ(ევდორ)ე.
ⴜ̃ⴀ-ⴋ — წ(მიდა)ა-მ(არკოზ?)
ⴜ̃ⴀ--ⴕ — წ(მიდა)ა--კ(ლუკა?)
ⴜ̃ⴀ[ⴈ]ⴌⴄ — წ(მიდა)ა [ი] (ოვა)ნე (?)
5. ⴜ̃ⴈ ⴊ̃ⴄ — წ(მიდა)ა ლ(უკიან)ე (?)

---

266 არა ჩანს, თუ რამდენი ასო უნდა აკლდეს მე-3 და მე-4 სტრიქონებში.

სიძველე:

(ქ. 2771). ვერცხლზე (?) ნაჭედი რომელიღაც წმიდანის ხატის ნაშთი[267]: ფიცარი, 40×30,5 სმ, აშიები — მთელი 2 ც, ნატეხი — 7 ც. სულ 9 ცალი[268]. მთელ აშიასა და ზოგიერთ ნატეხზე ყვავილების ჭედილი სახეებია, ხოლო ორ ნატეხზე, რომელიც შეადგენს ძირა აშიის ნაწილს, არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა (მისი დასაწყისი მოცილებულია და დაკარგული):

. . . . . . . . .[269] ႱႠႱႭႤႡႨႧ ႫႭႱႠႥႱႠ
ႸႬ҃Ⴀ ႫႭ҃Ⴞ
ႦႵ҃ႰႱ ႫႤႷ҃Ⴅ
Ⴉ҃ႲႱ ႣႶႤႱ
Ⴘ[270]Ⴆ҃Ⴀ ႫႠႱ ႢႬႩႧႾႱႱ

„...სასოებით მოსავსა შენსა ზაქარიას კვიტასშვილსა მეოხ მეყავ დღესა მას განკითხვისასა".

ძეგლი ეკუთვნის XVI ს.

ეგების ეს ზაქარია კვიტასშვილი იყოს ის ზაქარია, რომელიც მოხსენებული ყოფილა ბეთლევის ეკლესიის მთავარი ხატის წარწერაში (იხ. ბეთლევი, სიძველენი).

## მიქარწმიდა

მიქარწმიდის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

სიძველე, აღმოჩენილი ეკლესიის ეზოში (დასავლეთ ყორეში) 1929 წელს.

(ქ. 2776). წარწერიანი ქვა, 20×42 სმ, დაზიანებული: ზევითი ნახევარი მოტეხილი და დაკარგული აქვს; იგი დარჩენილი უნდა იყოს ძველი ეკლესიიდან; ნაწერია გაკრული ხუცურით:

---

267 ძეგლი გაუნადგურებიათ 1929—30 წლებში.

268 ფიცარი დაცულია ადგილობრივ ეკლესიაშივე, ხოლო აშიები ქუთაისის მუზეუმში.

269 დაზიანებულია დაახლოებით 7—8 ასო-ნიშანი.

270 აქამდე ერთი ნატეხია, ამის შემდეგ მეორე.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ႧႬ - - - ႠႩႾ - - - ႨႱ - - - - - - - - - - - -
ႣႠႫႠႬ ႣႠ Ⴉ~Ⴄ ႣႠ Ⴂ~Ⴈ ႣႠ ႱႭႴ[Ⴊ]ႤႪႧ
Ⴀ Ⴂ~ႭႰ~ႫႣႤႪႧႠ ႠႥႠႸႤႬႤႧ Ⴜ~Ⴋ ႤႱႤ
ႤႩႪႤႱႨႠჀ ႱႠႪႭႺႥႤႪႠႣ ႮႠႲႰႭႬႧ
Ⴙ~ႬႧႠ ႣႠ ႧႠႥႨႱႠ Ⴙ~ႬႨႱႠ ႣႠ Ⴗ~ႪႧႠ Ⴛ[Ⴋ]
ႧႠ Ⴙ~ႬႧႠ ႠႦႬႠႳႰႧႠ ႫႭႧႠႥႤႧႠ ႣႠ ႱႠႪႭ
ႺႠႥႠႣ ႷႭႥႤႪႧႠ ႣႠ ႬႠႧႤႱႠႥႧႠ Ⴙ
[Ⴌ]ႧႠႧႥႨႱႠ ႣႠ Ⴑ~ႪႧ Ⴙ~ႬႧႠ ႫႸႭႡႤႪႧႠႧႥႨႱ
- - ~ႧႭႱ - - - - ႣႠႨႱႠ ႷႤႱႲ~ႤႧ - - Ⴕ~ႬႧ

„...ღმერთმან.. აკხ.. პ ის[271]... დამან და კჳრიკე და გიორგი და სოფლელთა გიორგიწმიდელთა ავაშენეთ წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სალოცველად პატრონთა ჩუენთა და თავისა ჩუენისა და ყოველთა ძმათა ჩუენთა, აზნაურთა მოთავეთა. და სალოცავად ყოველთა და ნათესავთა ჩუენთათჳსა და სულთა ჩუენთა მშობელთათჳს... თ~ოს... დაის[უა]ჰესტე... ქ(?) ღ(?)ერთმან(?)".

წარწერა პალეოგრაფიულად მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს; მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ასოები ა, ნ: ა ვიწრო კუთხეს წარმოადგენს; ნ-ს ძირს ორის მაგიერ სამი კბილი აქვს. შინაარსით ეხება ეკლესიის აშენებას.

მიქარწმიდის მცხოვრებ ივლიანე მელქისედეკის ძე წულუკიძის მიერ შემოწირული ხელნაწერი წიგნები:

1. (ქ. 2733). იოსიპოს ფლავიოსის წიგნი, ხუცურად ნაწერი.

2. (ქ. 2735). თარგმანება იოანე მახარებლის გამოცხადებისა, ხუცურად ნაწერი.

წიგნს ბოლოში ცალიერი ფურცლის წინა გვერდზე აქვს მინაწერი მხედრულად (დასაწყისი ასო დაწერილია ასომთავრულად): „ეს იოანე მოციქულის გამოცხადების | თარგმანი მოვიყიდე მე ანტონიმ არ|ხიდიაკონმან უფლის კონტსანტინე გა|ბაშვილისაგან 1826-სა წელსა ივნი|სის 4-სა. | ამ რიცხვშიდ გადაესახლნენ ისინი | იმერეთიდამ ტფილისშიდ".

იმავე პირს სახლში დაცული აქვს სიძველე:

გულსაკიდი ნაწილიანი ხატი, 5,5×5×1 სმ; იგი წარმოადგენს ვერცხლის კოლოფს, რომელსაც წინა მხარეს აქვს ჩვილედი ღვთისმშობ-

---

271 წარწერას თავში უნდა აკლდეს დახალოებით 9—10 სტრიქონი.

ლის ჰედილი ხატი (წელამდე), დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 10 მოზრდილი, 2 საშუალო და 3 წვრილი (სულ 15) თვლით (აკლია 1 მოზრდილი თვალი), ხოლო უკანა მხარეს და გვერდებზე — სახეებით. კოლოფში დევს რომელიღაც წმიდანის (?) ნაწილი, გახვეული ახალ ქაღალდში. ხატს უკანა მხარეს აქვს ოქრომჭედლის მონოგრამა:. ათ | .ჩა: ზის ქსოვილის ბუდეში.

ძეგლი ეკუთვნის XVIII ს.

## ხვანჭკარა

ხვანჭკარას არის ორი ძველი ეკლესია — ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა და გ ო ლ გ ო თ ი ს ა.

1. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს მ ი ძ ი ნ ე ბ ი ს ეკლესია (ყიფიანების უბანში) დგას სოფლის თავს კლდეებით შემოზღუდულ ადგილას; ძველი ერთნავიანი შენობაა, 7,8×3,2 მ, ნაგები შირიმის თლილი და კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან, განახლებული ახლო წარსულში. დღეს ნანგრევად არის: სახურავი მოხდილია, კედლებს გარეთა პერანგი შემოცლილი აქვს, დასავლეთი კედელი, კარ-სარკმელი და ტრაპეზი დანგრეულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით); აქვე კედელში, მაღლა, დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის.

ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა ნაშთადღა არის: საკურთხევლის კონქში მოჩანს ორი პირის (მაცხოვრისა და ნათლისმცემლის?) მუხლქვევითი ნაწილი; დანარჩენ ადგილებში მხატვრობა სულ მოცილებულია.

ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი, რომელიც დღეს ნანგრევად არის.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე არის ზედა და ქვედა ციხეები, დასავლეთითაც არის ზედა ციხე, ჩრდილოეთით კიდევ „ნაციხვარი" (კოშკი).

2. გოლგოთის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,7×3,8 მ, ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; ხურავს ყავარი, რომელიც ნახევრად დამპალია; სახურავი (თაღის მაგიერი) ფიცრისა აქვს; კარი არის სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1; უკანასკნელი (დას.) ახლაა ამოგებული. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; საკურთხეველში არის 2 თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით).

## ჩორჯო

პატარა ჩორჯოს „საყორის“ წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,7×3,2 მ, ნაკერი შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. ხურავს ყავარი, რომელიც ნაწილობრივ დამპალია. სახურავი (თალის მაგიერ) ფიცრისა აქვს; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; დასავლეთ კედელს გარეთ, საქარესთან, უდევს ქვა, რომელიც შემკული ყოფილა ჩუქურთმით; დღეს იგი ძლიერ დაზიანებულია: ჩუქურთმის ნაშთი შერჩენია მხოლოდ ძირა მარჯვენა კუთხეში. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი — აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით —1. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. საკურთხეველში არის ორი დიდი თახჩა: ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით; უკანასკნელში სამკვეთლო უნდა ყოფილიყო გამართული. აქვე, მაღლა, კედელში დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის.

ეკლესია გაუტეხიათ 1930 წ. მაისში; წაუღიათ სიძველეები:

1. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 25×20 სმ (დაახლ.), შემკული 2 თვლით.

2. ზარი.

ეკლესიის ეზოში დგას მრავალწლოვანი ხეები: ურთხელი 7, ცაცხვი 3, მუხა 6.

გამოღმა ჩორჯოს არის ასეთივე ხეები: საელიოზე — ურთხელი მრავლად, სამების ახალი ეკლესიის ეზოში 3 ცაცხვი, საჯვარეზე — ცაცხვი მრავლად.

## ბოსტანა

ბოსტანის ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 2141). მარხვანი, 30×24×8; ეტრატზე ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ბოლოში ფურცელნაკლები.

2. (ქ. 2142). დავითნი, ქაღალდზე ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

## საკეცია

სიძველენი, აღმოჩენილი სოფლის მახლობლად, მიწაში.

1. (ქ. 1897) თიხის საცრემლე, დიდი, 1 ცალი.

2. (ქ. 1898) თიხის საცრემლე, მცირე, 1 ცალი

3. (ქ. 1899) ბრინჯაოს რგოლები და სხვა, მთელი და ნატეხი — სულ 24 ცალი.

4. (ქ. 1900) რკინის ხანჯალი 3 ცალი.

5. (ქ. 1901) ცული 1 ცალი.

6. (ქ. 1902) რკინის შუბის წვერი 4 ცალი.

7. (ქ. 1903) რკინის რაღაც იარაღი 2 ცალი.

8. (ქ. 1904) მძივი 3 ცალი.

## ღვიარა

ღვიარას არის ორი ეკლესია: ერთი ჯ ვ ა რ ც მ ი ს ა, ძველი (სურ. 45); მეორე წ მ. თ ე ვ დ ო რ ე ს ი, ახალი.

1. ჯვარცმის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6.4×3,7 მ ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები; შენობას სახურავიდან მარტო ნაშთიღა შერჩენია ადგილ-ადგილ. შიგნით საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი ძირს სწორკუთხედია, ხოლო 3 მ სიმაღლეზე ტრომპით (?) მრგვალდება. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1; აღმ. სარკმელი შემკულია (ძირა ნაწილში) ცხვრის თავების (ორი) გამოსახულებით. ტრაპეზი კედელზეა მიშენებული, სამკვეთლო კუთხეში ყოფილა გამართული, იგი დღეს მოშლილია, საკურთხეველშივე არის ორი პატარა თახჩა.

ეკლესიის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დგას ბზის ხეები.

ეკლესიის დასწვრივ, ძირს, სერზე არის ციხის ნანგრევი.

2. წ მ. თ ე ვ დ ო რ ე ს ეკლესია ქვიტკირის შენობაა XIX ს. ძველად ამ ადგილას ყოფილა ამავე სახელობის საჯვარე.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2778). ხის ჯვარი, 55,3 (ტარითვე) × 28,5 სმ ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჭედილი ხატებით და 5 მოზრდილი თვლით (წინა მხარეს), დაზიანებული.

2. (ქ. 2779). ვერცხლზე ნაჭედი წმ. თევდორეს ხატი[272], 21×17,3 სმ. წმ. თევდორე ცხენზე მჯდომარეა; იგი შუბით გმირავს ვეშაპს; მას თავზე აწერია: წ˜ით˙ე (წმიდაი თევდორე).

---

272 ადგილობრივ მას წმ. გიორგის ხატი ეწოდება.

ხატს ქვემოთ აშიის ადგილას აქვს ხუცური წარწერა, რომელიც ყურადღებას იპყრობს პირუკუღმა, ანუ პირშებრუნებით ნაჭედი ასოებით.

ქე· · · . გ῀ე· . ქ῀ებ῀. (?).

ადგილობრივი მცხოვრების, სიძველეთა დაცვის რწმუნებულის სიმონიკა გიორგის ძე დარახველიძის სახლს ალაყაფის კარის თავზე უდევს ხის კოჭი, შემკული ჯვრისა, მზისა და სხვა სახეებით.

ღვიარას მთაში, სოფლიდან 3 ვერსის დაშორებით, ნაძვნარ ადგილას, ადგილობრივ პირთა ცნობით, არის — „ს ო ჩ ბ ი ს" წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია, ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან. ამ ეკლესიიდან წამოღებული სიძველე — ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი უკანასკნელ ხანამდე დაცული ყოფილა წმ. თევდორეს ახალ ეკლესიაში (სოფლად); ხოლო უკანასკნელ წლებში იგი გაუნადგურებიათ; დღეს მისგან დარჩენილია (თევდორეს ეკლესიაში) მხოლოდ ცარიელი ფიცარი, 39×29,7 სმ. თვით „სოჩბის" ეკლესიაში დღესაც დაცული ყოფილა ლახტი, ზრო, ანუ ისრის წვერი და სხვა ნივთები, რომელთა მუზეუმში გადმოტანა იკისრა ადგილობრივმა რწმუნებულმა ს. დარახველიძემ.

### კლდისუბანი

კლდისუბანს არის ორი ეკლესია: ღვთისმშობლისა და „ციხის" წმ. გიორგისა.

I. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ქვემო სოფელს, მდ. რიცეულის[273] მარცხენა მხარეს. აგებულებით იგი გარედან წააგავს სამნავიან ბაზილიკას, ხოლო შიგნით კი წარმოადგენს სამ შენობას: ერთს დიდ ეკლესიას (დღეს შუა ნაწილი), შედარებით ახალს, მეორეს — პატარა ეკლესიას (სამხრეთი ნაწილი), ძველს და მესამეს — გალერიას თუ რაღაც გრძელ შენობას (ჩრდილო ნაწილი), დიდი ეკლესიის თანამედროვეს (?). სამივე ეს შენობა ცალ-ცალკე ნაწილს წარმოადგენს, ისინი ორგანულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული; პირველი ორი კარგად არის დაცული, მესამეს კი დასავლეთი მხარე დაქცეული აქვს. ყველა ნაგებია შირიმის[274] თლილი ქვისა და კირისაგან, თაღები ქვიტკირისა აქვთ, ხურავთ ყავარი.

---

273 ვახუშტი ამ წყალს სადმელის ხევს უწოდებს (ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ. 374); სოფ. სადმელი აქვე მეზობლად მდებარეობს.

274 შირიმის ქვას ადგილობრივ უწოდებენ: სპონტიოს, სპონტიკის, პონტიკის და პოლტიკის ქვას.

დიდი ეკლესია (შუა ნაწილი) ერთნავიანი შენობაა, 10×4,2 მ. შიგნით გალესილია კირით, თაღი კარგად არის შენახული; კარი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ორი გვერდის შენობებში გადის). სარკმელი — აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1; ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას. საკურთხეველში არის ორი დიდი თახჩა; ერთი ჩრდილოეთით, მეორე სამხრეთით; ჩრდილოეთის თახჩაში სამკვეთლო უნდა ყოფილიყო გამართული, სამხრეთისაში სალარო.

პატარა ეკლესიაც (სამხრეთი ნაწილი) ერთნავიანი შენობაა, 3,7×3,3 მ. მას კარნიზებად აქვს მოთეთრო ქვა, შემკული ჩუქურთმით; სამხრეთ კედელში (გარედან) დატანებულია ჩუქურთმიანი სვეტის ორი ნატეხი; ერთი კარის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; კარის ძირსაც დევს ამგვარივე ქვა; იგი პირით შიგნით არის შებრუნებული და მასაც ჩუქურთმა უნდა ჰქონდეს; ყველა ეს ნატეხი ეკლესიის განახლების დროს მოჰყვებოდნენ აქ. კარი ეკლესიას აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი დიდ ეკლესიაში გადის); სარკმელი — აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1. საკურთხეველი ორი საფეხურით არის ამაღლებული შუა ეკლესიიდან. კანკელი ქვიტკირისაა: შენახულია კედელი სიმაღლით 1 მ. მას აქვს მხოლოდ აღსავლის კარი. კანკელის წინა პირი შემკული ყოფილა ქვის სვეტებით და კამარებით, რომლებიც დღეს თითქმის სულ დანგრეულია; ესენია:

1. ქვის სვეტი, 118×22×21 სმ, ოთხკუთხი, შემდგარი ყვავილთა სახეებით.

2. ქვის სვეტი 218×21×20 სმ, ოთხკუთხი, შემდგარი ყვავილთა სახეებით.

3. ქვის სვეტი 92×18×17 სმ, ოთხკუთხი, შემდგარი ყვავილთა სახეებით.

4. ქვის სვეტი 63 სმ, სიმაღლით, მრგვალი.

5. ქვის სვეტი 53 სმ.

6. აღსავლის კარის კამარის ქვა, 68×117×13 სმ, სადა.

7. კამარის ქვა, 65×97×11 სმ, შემკული ჩუქურთმით.

8. კამარის ქვა, 58×75×11 სმ, შემკული ჩუქურთმით.

ამ ქვებიდან პირველი ნომრით აღწერილი თავის პირვანდელ ადგილას დგას — ჩრდილოეთ კუთხეში, მეორე გადმოქცეულია და თავის ადგილსავე გდია, დანარჩენი კი ყველა დასავლეთ კედელთან აწყვია (შიგნით).

ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; სამკვეთლო აღარა ჩანს სად იყო; საკურთხეველში არის თახჩა.

გალერეიიდან თუ რაღაც გრძელი შენობიდან (ჩრდილო ნაწილი), მთლიანად შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი, დასავლეთი ნაწილისა კი მარტო ნაწილიღა ჩანს. შენახული ნაწილი ზომით არის 4,3×2,1 მ; კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით (უკანასკნელი დიდ ეკლესიაში გადის); სარკმელი — აღმოსავლეთით —1.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხატი, 28,4×21,2 სმ. შეჭედილი ვერცხლით, რომელიც დაფერილია ოქროს წყალში და შემკული 21 თვლით (აკლია 1 თვალი) და მარგალიტის და სადაფის მძივებით. ხატის ზედა აშიასა და მარჯვენა გვერდის აშიის ზევითა ნაწილზე ყვავილოვანი სახეებია გამოყვანილი, ხოლო იმავე მარჯვენა გვერდის აშიის ქვედა ნაწილი, ძირა და მარცხენა გვერდის აშიები კი უჭირავს ასომთავრულ წარწერას:

ღვთისმშობელს აწერია: Ⴗ̃Ⴍ Ⴜ̃Ⴃ — ყოვლად წმიდა
ყრმას: ႻႤ Ⴖ̃Ⴃ -- ძე ღვთისა

აშიების წარწერა იწყება მარჯვენა აშიიდან (სტრიქონი 1), მერმე გადადის ძირა აშიაზე (სტრიქონი მე-2) და ბოლოს თავდება მარცხენა აშიაზე (სტრიქონი მე-3):

+ ႤႱႤ:. Ⴗ̃ႭႼ:. ႱႤႦ, ႾႠႲ
ႽႣႤႫႤႿႲႦႠ ႬႺႫႤႫႺႦႣႵႫ
Ⴃ ႩႫႺႺႱႠႬႣႵႱႠႦႣႣႱႦႵႣႱႡႺႩႲႺ

„ქწ. ესე ყოვლადწმიდის ხატი მოვჭედე მე, ჯავახ[275], თანამეცხედრემა ჩემმა ასთანდარ, საოხად და სახსრად სულისა ჩვენისა".

2. სპილენძის ლანგარი მხედრული წარწერით: „ქ.: სვეტის:. ცხოვლისა:. არის ვინც მოიპაროს:. ისიმც:. რისხავს:. ქკ̃ს:. უკ̃:.".

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ორივე ზემოაღწერილი სიძველე დაცულია ადგილობრივი მცხოვრების აკაკი გიორგის ძე მხეიძის სახლში.

3. (ქ. 2770). ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა, შემკული ცხოველთა სახეებით, დაზიანებული.

---

275 ადგილობრივი მცხოვრები იშვილებს ჯავახს თავიანთ წინაპრად თვლიან.

II. „ც ი ხ ი ს“ წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია დგას კლდის კუთხის მცირე წვერზე ზედა სოფლიდან 1 ვერსის დაშორებით; მას აღმოსავლეთით დაქანებული კლდე აქვს, სამხრეთით ოდნავი ვაკე და ისევ დაქანებული კლდე. დასავლეთით შედარებით საკმარისი კლდიანი ვაკე და ჩრდილოეთით პატარა კლდე და ძირს ვაკე; გზა შეუდის ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან; იგი ერთნავიანი შენობაა, 5.6×3.55 მ ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; დგას მარტო კედლები, რომლებიც შიგნით და გარეთ გალესილია კირით: აღმოსავლეთი კედელი გარღვეულია ფანჯრის ხაზზე ზევიდან ქვევით. ეკლესიას ჰქონია ფიცრის სახურავი და ხურებია ყავარი, რომელიც გადაუხდია ქარს; იატაკად დაგებულია ცემენტი; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით —1. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული, ახლა დანგრეულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა.

ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი (ციხე?): შესაძლებელია ამის გამო ეწოდება მას სახელი „ციხისა“. ეკლესიის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არის ბზის ტყე, რომელიც დაუზიანებიათ უკანასნელ ხანს.

ადგილობრივ პირთა გადმოცემით ეკლესიასთან სცოდნიათ თემობა გიორგობას (ნოემბრის 10-ს) და ელიობას (ზაფხულში): „ჯერ აქ დასხდებოდენ თემად და მერმე სოფელში ჩავიდოდენ და იქ თემობდენ“-ო. ღამის თევა სცოდნიათ გიორგობას.

ს ი ძ ვ ე ლ ე.

(ქ. 2769). რკინის ზრო, ანუ ისრის წვერი — 15 ცალი.

### სადმელი

I. სადმელის თ ე მ ი ს ე კ ლ ე ს ი ე ბ ი ს ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, წამოღებული ადგილობრივი გლეხკომის საწყობიდან:

1. (ქ. 1878). ბეჭდები —
   ა. თვლიანი პირადი ბეჭედი წარწერით თვალზე.
   ბ. დაბალი ლითონის თვლიანი ბეჭედი 8 ცალი.
   გ. დაბალი ლითონის უთვლო ბეჭედი 2 ცალი.
2. (სსსმ). დაბალი ლითონის თვლიანი ბეჭედი — 1 ცალი.
3. (ქ. 1879). ა. თვლიანი საყურე 2 ცალი; ბ. მძივები 4 ცალი.
4. (ქ. 1881). ა. სპილენძის ფული რუსუდან დედოფლისა 1 ცალი; ბ. სპილენძის ფული აღმოსავლური 1 ცალი.

ნ. (ქ. 1880). ფიცრის კიდობანი, შემკული ჩუქურთმიანი სახეებით, ფეხმოტეხილი.

II. სადმელის სამების ეკლესიის სიძველე, დაცული ადგილობრივი მცხოვრების ივანე სიმონის ძე ჩიტალაძის სახლში:

დაბალ ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 17,5×14 სმ (გადაკრული ფიცარზე), შემკული 2 დიდ-პატარა თვლით. წმ. გიორგი მჯდომარე ცხენზე.

ხატი დაბალი ხელოვნებისაა, ეკუთვნის XVIII ს.

III. სადმელის მცხოვრების დიანოზ კერესელიძის მიერ შემოწირული სიძველე:

.(ქ. 1888). რომაული ვერცხლის ფული 1 ცალი.

## ამბროლაური

ამბროლაური მოხსენებული აქვს ვახუშტის თავის გეოგრაფიაში; იგი წერს: „ამბროლაურს ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შემკობილებისა-თვის"-ო (გეოგრ. 374). სასახლისა დღეს ნაშთიც აღარ არის, ისტორიული ადგილი კი, სახელდობრ, დღევანდელი სკოლის ეზო და მიდამო ახლაც ისევ შემკულია ბუნებით და საუცხოო სანახაობას წარმოადგენს ზაფხულში; ეს არის მცირე, ოდნავ ამაღლებული ლამაზი და მშვენიერი ვაკობი, რომელზედაც დგას ორი მრავალსაუკუნოვანი შესანიშნავი ცაცხვის ხე; ერთი (დასავლეთ მხარეს) კოშკით და მეორე (აღმოსავლეთ მხარეს) ეკლესიის ნანგრევით. აღვწერ ამ ძეგლებს.

ცაცხვის ხეები დგას ეზოს შუა გულში ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით. აღმოსავლეთით მდგომი ცეცხვის ხის ძირას, ჩრდილოეთით არის სწორი ქვა, ზომით 2,6×1,77×0,12 მ. დადებული ოთხ მრგვალ დაბალ ფეხზე. მეორე, დასავლეთით მდგომი ცაცხვის ხის სამხრეთით არის მეორე სწორი ქვა, ზომით 3×1,37×0,31 მ, დადებული აგრეთვე ოთხ მრგვალ დაბალ ფეხზე. ორივე ეს ქვა მაგიდისმაგვარია და საზაფხულო სუფრად უნდა ყოფილიყო (?) მეფის სასახლის წინ, რომელიც (სასახლე) აქვე, მახლობელ მიდამოში იქნებოდა.

ცაცხვის ხეების დასავლეთით დგას ქვიტკირის კოშკი ოთხკუთხი ფორმისა.

ცაცხვის ხეების აღმოსავლეთით არის ღვთისმშობლის (?) ეკლესიის ნანგრევი. ეკლესია უკანასკნელ ხანამდე მთელი ყოფილა. იგი

დაუნგრევიათ 1925 წელს[276]. დღეს მის ადგილას მხოლოდ ნანგრევილა არის 1 მ სიმაღლისა. ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა, 10,4× 5.9 მ. ნაგები თლილი მოთეთრო ქვისა და კირისაგან. ნანგრევის გარშემო არის კარ-სარკმლიდან ჩამოყრილი შესანიშნავი ქვები, სახელდობრ:

1. დასავლეთის კარის თავის ქვა, 1,83×1,03×0,23 მ. ნახევარწრის ფორმისა, შემკული ჩუქურთმითა, ჯვრის გამოსახულებით და წარწერით, მარცხენა მხარე დაზიანებული (მომტვრეული აქვს ორი ნატეხი, რომელიც იქვე ინახება).

2. იმავე კარის სიმაღლის ქვა, 1,8×0,58×0,33 მ, შემკული ჩუქურთმით.

3. იმავე კარის სიმაღლის ქვა, 1,8×0,52×0,31 მ შემკული ჩუქურთმით.

4. სამხრეთი კარის თავის ქვა 0,98×1,55×0,25 მ. ნახევარწრის ფორმისა, შემკული ჩუქურთმითა, ჯვრის გამოსახულებით და წარწერით.

5. იმავე კარის სიმაღლის ქვა, 1.79×0,45×0,22 მ შემკული ჩუქურთმით.

6. იმავე კარის სიმაღლის ქვა, 1,79×0,48×0,38 მ შემკული ჩუქურთმით.

7. სარკმლის ქვა, 1,08×0,71×0,31 მ შემკული ჩუქურთმით.

8. ქვა, 76×57×16 სმ. შემკული ჩუქურთმით.

წ ა რ წ ე რ ე ბ ი:

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ო მ რ ი თ აღწერილ დასავლეთი კარის თავის ქვას აქვს წარწერები:

ჯვრის თავზე[277] ასომთავრულად:

Ⴟ҇Ⴈ Ⴕ҇Ⴄ ႻႪ҇Ⴀ ႫႲ҇ႰႠ — ჯვარი ქრისტესი—ძლევა მტერთა[278]

---

276 განათლების სახალხო კომისარიატის სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ 1925 წელს გამოცემულ ბიულეტენში ხსენებული ძეგლის დამაქცეველად ჩემ მიერ გაუგებრობით დასახელებული იყო ადგილობრივი თემალმასკომის თავმჯდომარე სერაპიონ ფანჯიკაძე (№ 2, გვ. 5). როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს პირი ამ საქმეში უდანაშაულოა და ბიულეტენის ცნობა ამ პირის მიმართ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

277 იქვე. 62.

278 წარწერას ბროსე შეცდომით კითხულობს: „ჯ ი უ ძისა მეოხ, დ...“ — დ (იქვე).

ჯვრის ქვევით[279] მხედრულად:

1. ქჩ[280] ადიდნეს[281]:. ღთ̃ნ:. ორთავე:. შინა:. ცხორებათა მეფეთ:. მეფე.

2:. გიორგი:. და:. თანა:. მეცხედრე:. მისი:. დედოფალთ:. დედოფალი თამარ.

3:. და ძენი:. მათნი:. ალექსანდრე:. როსტომ:. და მამკაი[282]:. აწდა:. უკუნისამდე:. ა̃ნ:.

მეოთხე ნომრით აღწერილ სამხრ. კარის თავის ქვაზე არის მხედრული წარწერა[283]:

1 [ქჩ̃ ადიდენ] მეფე გიორგი ს ო . . . . [აღაშენა] ეკლესია

2 [ესე] ყოვლად:. წმიდისა:. ღ̃თის:. მშობლისა:. საოხად:. სული

3 სა . . . . . მისისათვის[284]...

ბროსე ფიქრობს, რომ წარწერაში მოხსენებული მეფე არის იმერეთის მეფე გიორგი II[285], რაც შეცდომაა; ეს არის მეფე გიორგი III (მეუღლით თამარით და შვილებით: ალექსანდრე, როსტომ და მამუკაი), რომელიც მოხსენებულია გელათისათვის მიცემულ ორ შეწირულების წიგნში — 1604[286] და 1630 წწ.[287].

ადგილობრივ პირთა ცნობით ეკლესიაში იატაკზე ყოფილა ადგილის უკანასკნელ მეპატრონეთა — მაჩაბელთა გვარის ერთ-ერთი წევრის საფლავის ქვა. ეკლესიის დანგრევის დროს განუზრახავთ მისი ახდა და საფლავის გათხრა: ქვა გაუტეხიათ, მაგრამ მერმე თავი გაუნებებიათ და დღეს იგი ნანგრევების ქვეშ არის მოყოლილი.

სიძველე:

(ქ. 1886). ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 26,5×20 სმ შეჭედილი ვერცხლით, ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 62 დიდ-პატარა თვლითა და წვრილ-მსხვილი მარგალიტით (აკლია

---

279 იქვე, 61.

280 ბროსე შეცდომით კითხულობს: „მი"-დ (იქვე).

281 ბროსე: ადიდენ (იქვე).

282 იკითხება: მამუკაი; ბროსე კითხულობს: „მამია"-ს (იქვე, 62).

283 იქვე, 62.

284 ამ ნაწერიდან ბროსეს მარტო მეორე სტრიქონის ორი სიტყვა აქვს გადმოწერილი, სახელდობრ: „ღვთისა მშობლისა" (იქვე); იგი ამბობს, წარწერა გადასულია და მარტო ეს ამოვიკითხეო (იქვე).

285 იქვე.

286 საეკლ. საბ., I, 36; ქრონ. II, 434.

287 საეკლ. საბ., I, 46.

თვალიცა და მარგალიტიც); ხატთან ინახება სხვა, რომელიღაც ხატის 1 თვალი. ხატის ქვედა ნაწილში აშიის ადგილას აქვს ასომთავრული წარწერა.

1. Ⴕ Ⴖ~Ⴍ: ႣႠ Ⴜ~Ⴍ. ႠႫႡႰႭႪႠႭႰႨႱႠ. Ⴖ~ႨႱ:.
ႫႸႭႡ~ႪႭ:. ႣႠႨႺႤႥ. ႭႰႧႠႥႤ:. Ⴘ~Ⴀ ႺႾႭႥႰႤႡ~ႧႠ.
2. ႫႠႫႩႭႡႨ ႣႠ ႸႤႫႭႫႼႨႰႥႤႪႨ ႧႵႥႤႬႨ ႫႧႠႥ~ႰႤႡႱႩ~ႮႦႨ
ႿႠႴႠႰႨႻႤ. ႱႥႨႫႭႬ.

„ქწ. ღმერთო და წმიდაო ამბროლაურისა ღვთისმშობელო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარებისკოპოზი ჯაფარიძე სვიმონ".

წარწერა ყურადღებას იპყრობს დამწერლობის მხრივ: მასში ორ ადგილას ა-ს ნაცვლად ნახმარია ჲ, რომელიც აქ გადმოცემულია შავად.

ხატი ეკუთვნის XVII ს. წარწერაში მოხსენებული მთავარეპისკოპოზი სვიმონ ჯაფარიძე ამ ხანის პირი არის. იგი მოხსენებულია რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობებში რამდენიმე ადგილას; ის არის ძმა მოლარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძისა[288], მას აქვს სასახლე და ფიცრული ეკლესია მთავარანგელოზის სახელზე კრიხულას აქეთ მდ. რიონთან. იგი იწვევს ელჩებს ეკლესიაში, სადაც ისინი ნახულობენ: 1. დროშა-ჯვარს, ანუ მღვდელმთავრის წინსაძღოლს, შეჭედილს ვერცხლით და შემკულს თავში ოქროს ჯვრითა და თვალმარგალიტით და 2. ღვთისმშობლის ხატს, შეჭედილს ოქროთი და შემკულს ძვირფასი თვლებით[289]. ამ სიძველეთაგან პირველი დღეს არსადა ჩანს, ხოლო მეორე შესაძლებელია იყოს ზემოაღწერილი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ოქროსი კი არ არის, როგორც ამას ელჩები წერენ[290], მაგრამ ოქროს წყალში კი არის დაფერილი.

იგივე მთავარეპისკოპოსი სიმონი ხელს აწერს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის 1651 წლის საფიცრის წიგნს[291].

ადგილობრივი რაიაღმასკომის სახლი ფიცრის შენობაა, მრავალთვალი, ჩამოტანილი ძველად (1900 წლებში) სოფ. სხვავადან; იგი განახლებულ-გადაკეთებული უნდა იყოს. მას აქვს შესანიშნავი ჩუქურ-

288 ტოლ., 189.
289 იქვე, 123.
290 იქვე.
291 იქვე, 189, 190, 195.

თმიანი ხეები, სახელდობრ: აიკნის სვეტი, შეღებილი წითლად —7 ცალი; სიგრძის კოჭი, შეღებილი თეთრად, სახლის წინა მხარეს, მაღლა — 2 ცალი; ისეთივე კოჭები, შეღებილი წითლად, სახლის გარშემო, ძირს — 7 ცალი; სულ ერთად 16 ცალი. პირველი 9 (7+2) ხე საუცხოო ხელის ნამუშევარია. ეკუთვნიან XVI—XVII სს.

ამბროლაურის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესიაში საკურთხევლის წინ სამხრეთ მხარეს აქვს ქვიტკირით ამოგებული საფლავი; ზედა ქვა აკლია და აქვე გდია, ზომით არის 297×83×15 სმ. მისი აშიები შემკულია ორნამენტებით, ზევითა ნაწილში (თავში) გამოსახულია ხე, ხოლო მის ქვეშ წარწერა მხედრულად:

ქვემდებარე ვარ საფლავსა ამას კნიაზის —
მაჩაბლის ზურაბის შვილი
სახელ წოდებით იესე მერქვა ვიყავ
გონებით კეთილ ზრდილი
უნდო სიკვდილმა წამით მიმხადა თვა-
ლთა მომკიდა ვუკუნის ძილი
და ცოლ შვილი მჭუნვით შე-
ვმოსე მიწას მივბარდი ვარ მისი შვილი
ყოვლი კაც მიცნობდენ დიდის ოჯახის შვილობით
კეთილის გულის მექონი ყველასთან ვიყავ შვიდობით?
...[292]ვთ მიხელთა სოფელმა აწ ჩემთვის გახდა ფლიდობით
წვრილიშვილები დავსტოვე გული უწყლულე ობლობით
ცოლი დავსტოვე ყმაწვილი მას დაუწყლულე გულია
ერთხორცთა ერთად (sic) ნაკურთხთა გაშორდა ჩემი სულია
ალარ მითვისა სოფელმა ხედავთ მარადის კრულია
თქვენც არ გინდობსთ მხედველთ ძველათ უძს ეს სჯულია?
ნუ სტ[illegible]ის ჩემთვის ცოლშვილი ნურც აქვსთ ჩემიმი (sic) ჯავრია
მიმიძღვის ანგელოზები ქ˝ეს იესოს ჯვარია
ახლოს ღაღდებს (?) გუნდივე ანგელოზებთა ჯარია
უკუნისამდე ვიხარებ მმს? მარჯვენით სხდომარი
წინ მიძს ნათელი ციურნი ვარ მარდ? ლხინს შვებასა?
მოყვასთა გთხვ (?) არ იწუხოთ თავი? არ მისცეთ ვნებასა

---

292 აქ შენახულა ასოს ნაშთი, იქნებ ნ-ს თავი იყოს, წინა ასოები კი სულ ამოტეხილია.

ვერ მშელის (sic) თქვენი წუხება ნუ გარდახთებით ცნებასა
თქვენი უწესოთ მოქცევა აქ მეცა მომცემს? ვნებასა
25 აღვესრულე ჩყმე სეკდენბრის მეათერთმეტე რიცხვს

აქვე მახლობლად შენახულა ქვები:

1. სარკმლის პირი ჩუქურმით.
2. სამხრეთი კარის თავის ქვა წარწერით.
3. დასავლეთი კარის თავის ქვა წარწერით
4. კარის სვეტები ჩუქურთმიანი 4 ცალი.

## იწა

იწის ეკლესიის სიძველე:

(ქ. 1887). ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზების ხატი, გადაკრული ფიცარზე, 34,5×25,5 სმ. ძლიერ დაზიანებული. მთავარანგელოზებს თავზე აქვთ ასომთავრული წარწერები: წ˜ჲ მქ˜ლ, ანუ: წმიდაჲ მიქელ და წ˜ი გბ˜ლ, ანუ წმიდაი გაბრიელ.

ხატს მარჯვენა მხარეს აშიის ადგილას დაკერებული აქვს ვერცხლის ფურცელი ასომთავრული წარწერით; ეს ფურცელი სხვა ხატიდან უნდა იყოს აღებული, რასაც ამტკიცებს ის, რომ მისი ორნამენტები სხვა არის, ხოლო ხატის არისა და აშიებისა კი სხვა.

საკერებლის წარწერა:

...რო: შ˜ე: ცოდვჲლი:. ხუ(ტ)ლაბ...

იკითხება: [. . . ]რო (?) შეიწყალე ცოდვჲლი ხუტულ (თუ ხუტლუ?) აბ[აშიძე?].

## ხოტევი

ხოტევის მაცხოვრის ეკლესია ახალი დაქცეულია; იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, ნაგები 1676 წელს თლილი ქვისა და კირისაგან, მოხატული შიგნით; მისთვის ადრევე სახურავი მოუხდიათ, ხოლო 1924 წლის გაზაფხულის დამლევს ის საძირკვლამდე დაუნგრევიათ. 1925 წელს ეკლესიის ნანგრევში მრავალ ქვას შერჩენილი ჰქონდა მხატვრობა, რომელიც მეტად ცოცხალი ჩანდა. 1927 წელს პირქვე დაცემულ ქვათა შორის ვიპოვე დასავლეთის და სამხრეთის კარის წარწე-

რიანი ქვები[293], რომლებიც საგანგებო ოქმით ჩავაბარე ადგილობრივ ხელისუფლებას დასაცავად. მიუხედავად ამისა, ისინი 1927—1928 წლებში მაინც ადგილობრივი სკოლის შენობისათვის შეუხმარებიათ: 1930 წელს არც ერთი მათგანი თავის ადგილას არ აღმოჩნდა; ყველა შენობაშია დაფარული ერთის გარდა, რომელიც პირით გარეთ დევს. ეს ქვებია:

1. დასავლეთის კარის თავიდან ჩამოგდებული ქვა 0,71×1,38 მ. მხედრული წარწერით[294]:

1. † |მოი|სამებით | ქადაგებულო | მიუწდომელო | და გარე |შემოუწერელო | სიტყავო[295] | და [ძალო]

2. დათანარსო[296] | მამისა | და სულისა | წმიდაისაო[297] | მაცხოვარო | პირო[298] ღმთისაო | რათა | ვიგულეთ | და | [აღვა]

3. შენეთ | ეკლესია | ეს | შენი | ჩვენ| წულუკიძემ | მერაბ | და | თანა | მეცხედრემ | ჩვენმა | ჩიჯავაძის[299] | [ქა]

4. ლმა | სახსრადა | და საოხათ | სულისა | ჩვენისათვის | და | ძეთა | ჩვე[ნთა]

5. გიორგის | და | ქაიხოსროს | წასმართებლთ | აღვაშენეთ | და | დავახატვინეთ | და | შევამკვეთ | ხატითა | და | ჯვ

6. არითა | და | წიგნითა | მაცხოვარო | ხოტევისაო | ტაძარი| შენი | და | შეიწირე | ჩემის | ცოდვილის |

7. სულის | შესანდობლათ | კნინი | და | მცირე | შესაწირავი | ესე | ვინცა | შენდობა | გვიბრძნო[თ] |[300]

8. ღმერთმნ[301] | თქვენც | შეგინდაოს[302] | თქვენი | ცოდვანი | აღიშენა ეკლესია ესე ქკ ა სამას

9. სამოცდა|ოთხსა|..

ქორონიკონი უდრის 1676 წელს.

---

293 წარწერები მოყვანილი აქვს ბროსეს, მაგრამ შეცდომებით (RVA, XII, 50—61), რომელთაგან მე აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს.

294 RVA, XII, 60.

295 უნდა იყოს: სიტყვაო.

296 უნდა იყოს: — და თანაარსო.

297 უნდა იყოს წმიდისაო.

298 ასო პ ყველგან პ-ს მაგვარად არის ნაწერი.

299 უნდა იყოს: ჩიჯავაძის.

300 უნდა იყოს: გვიბრძანოთ.

301 უნდა იყოს: ღმერთმან.

302 უნდა იყოს: შეგინდოს.

2. სამხრეთის კარის თავის წარწერა[303] ყოფილა სამ ქვაზე: კარის თავზე მდებარესა, მის მარცხნივ მცირე ნაჭერ ქვასა და კარის მარცხენა სვეტსა, ანუ საყრდენ ქვაზე (უკანასკნელზე ზევითა ნაწილში). ამ ქვებიდან პირველი გატეხილია ექვს (თუ მეტ) ნაწილად (ნანგრევიდან ამოვიღე 3 დიდი და 1 პატარა ნატეხი; ვერ ვიპოვე 2 წვრილი ნატეხი); მეორე მცირე ქვა არა ჩანს, ხოლო მესამე მთელია. წარწერა მხედრულივე არის; შეიცავს სულ 16 სტრიქონს: მათგან 12 სტრიქონი ნაწერია პირველ ქვაზე და დანარჩენი 4 სტრიქონი (13—16) მეორე და მესამე ქვებზე. ზომა პირველი (გატეხილი) ქვისა (ყველა თავისი ნატეხით) 0,61×1,4 მ, მესამისა — 1,63×0,7 მ.

წარწერა:

(ქ)[ჴ]ე | მაცხოვარო | [გვედრი] | ვარ | მე | მერაბ[304] შენის| დიდები[თ]
ჩვენთ | გვართა | ქ[ონდათ] ეს | რ[ა]ჭა | მ(რა)ვ[ა]ლი | კიდის | კიდებ[ით]
მეცა | შევმატე | მრვლი | არც | მტერ(თ)ა | გრდაკიდებით | და | აწ | ნახეთ | (რ)ა | ვქენ | ყამრწვილ(მ)ან სოფლისა | ანზიდაებით.
ქ | პირველ | ოდიშსა | დავიბყარ | მამული | მეტად | ბევრია
მერმე | აქ | ჩემი | სამკვიდრო | ყოვლგან | მ(ო)ვშლე | მტერია
იწროთას | აქათ | ხონამდის | და ხონიც | [შ]იგან | ერია | და | აწ | ნახეთ | ესე | სოფელი | თუ | როგო[რ|] ბინდის | ფერია |
ქ | მე | დადიანმა[305] | გამზარდა | ლევან | [ღვ]თვ[306] | დოვლთიამნ
სრულ | მას[307] | მონებდა | ქვეყანა | დაი[ბყარო[308] | მრ(ავა)ლყმიანმან[309]

---

303 RVA, XII, 60—61.

304 სწორ ფრჩხილებში ჩასმული ოთხი სიტყვის ადგილი მოტეხილია და დაკარგული აქვს, ტექსტი აღდგენილია ბროსეთი.

305 ბროსე: დადიანი (RVA, 60).

306 ბროსე: ღვთით (იქვე).

307 ბროსე: სრულ-მან (იქვე).

308 ბროსე: დაიმყარო (იქვე).

309 ბროსე: მრავალ ჟამიან-მან (იქვე).

სწორ | უპოველმან | ხმელეთზე | მან | ჰკვიანმან | და ხრძ-
ლიანმან[310]

და | ნახე[თ] | რა | უყო | სოფელმან | ამ მუხანთმან |
ზიანმან

[ქ|შვლურად|][311] მზრდიდა[312] მასწავლა | ზნეობა | ყოვ-
ლი | წესები

[ნახეთ | სოფლ]ისა | სიცრუე | სიზმარ | ყოფილი | ესებ ი
[არ | მიაჩნია] წყეულსა | უარეს | უკეთესებ ი|
და არვის გაუთავდების წვლთ გლხ დანკნესებ|ი[313]

იკითხება:

ქ. ჰე, მაცხოვარო, გვერდი ვარ ძე, მერაბ შენის დიდებით,
ჩვენ გვართა ქონდათ ეს რაჭა მრავალი კიდის კიდებით;
მეცა შევმატე მრავალი არც მტერთა გარდაკიდებით,
და აწ ნახე რა ვქენ ყრმაწვილმან სოფლისა ანზიდაებით.
ქ. პირველ, ოდიშსა დავიბყარ მამული მეტად ბევრია,
მერმე, აქ ჩემი სამკვიდრო, ყოვლგან მოვშალე მტერია;
იწროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია,
და აწ ნახეთ ესე სოფელი, თუ როგორ ბინდის ფერია.
ქ. მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთივ დოვლათიანმან,
სრულ მას მონებდა ქვეყანა, დაიბყრო მრავალყმიანმან,
სწორ უპოველმან ხმელეთზე, მან ჰკვიანმან და ხრმლიანმან,
და ნახეთ, რა უყო სოფელმან, ამ მუხანათმან ზიანმან.
ქ. შვლურად მზრდიდა, მასწავლა ზნეობა, ყოვლი წესები,
ნახეთ სოფლისა სიცრუე, სიზმარ ყოფილი ესები;
არ მიაჩნია წყეულსა უარეს უკეთესები,
და არავის გაუთავდების, წავალთ გლახ დანაკუნესები.

ორივე ზემოთ მოყვანილ წარწერას ახასიათებს ანმეტობა.

ხოტევშივე არის ძველი შესანიშნავი ციხე (შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრ. 374); მისი ერთი ნაწილი უკანასკნელ წლებში (1925—26) ადგილობრივ მცხოვრებლებს სახლის საშენებელ მასალად დაუნგრევიათ (სურ. 46).

---

310 ბროსე: ბრძლიან-მან (იქვე).

311 სწორ ფრჩხილებში ჩასმული დასაწყისი ნაწილი ამა (მე-13) და შემდეგი ორი სტრიქონისა (მე-14 და 15) ყოფილა დაწერილი მეორე (დაკარგულ) ქვაზე; მე აღვადგინე ბროსსეთი.

312 ბროსე: მზარდიდა-მან (იქვე, 61).

313 ბროსე: და ნაკუნესები (იქვე).

## აგარა

აგარის ეკლესია ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა, ახალი დროის.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 1926). ვერცხლზე ნაჭედი წ მ. გ ი ო რ გ ი ს ხატის ნაშთი — ფიცარი, 126,5 სმ.×75,5 სმ, რომელსაც შეჭედილობიდან შერჩენია მხოლოდ ერთი ნაგლეჯი ძირა ნაწილში და მარჯვენა და მარცხენა აშიები; ნაგლეჯი შემკულია ჭედილი სახეებით და ასომთავრული წარწერით, აშიები კი ჭედილი მცირე ხატებით: მარჯვენა — ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლისა, მარცხენა — ნათლისმცემლის ხატით. ფიცრიდან აგლეჯილია და ცალკე ინახება შეჭედილობის ერთი ნაწილი ოთხ დიდ და ხუთ მცირე (სულ — 9) ნაჭრად, რომელნიც შემკული არიან აგრეთვე ჭედილი სახეებით. ხატი გაუნადგურებიათ 1923—1924 წლებში.

წ ა რ წ ე რ ა:

Ⴜ´Ⴍ Ⴂ´Ⴈ. ႸႤႨႼႷႠႪႤ. ႤႩႬ
ႭႳႵႨႻႤ. ႫႭႻႶႥ´ႰႨ. ႱႡႠ
ႫႨႱႨ. ႸႥႨႪႨ. ႦႭႱႨႫႤ ႢႠ
ႥႸႤႪ Ⴜ´Ⴍ. Ⴂ´Ⴈ ႭႳႸႥႤႪႤ Ⴋ
ႠႫႭႳႠႱ. ႣႠႥႨႧႱႠ.

„წმიდაო გიორგი შეიწყალე ეკნუქიძე მოძღვარი საბა, მისი შვილი ზოსიმე, გავაშელი; წმიდაო გიორგი, უშველე მამუას, დავითსა“.

ძეგლის ნაშთი და წარწერა ეკუთვნის XVI—XVIII სს.

## სალხინო

სალხინოს (ჭიჭინაძიანთ უბანი) ნასაჯვარევი მდებარეობს მდ. შაორის მარჯვენა მხარეს, უბნიდან 1 ვერსის დაშორებით. ძველად აქ ეკლესია ყოფილა. ადგილი მშვენიერია და შესაძლებელია ამ ადგილას იყო ვახუშტის მიერ მოხსენებული სასახლე მეფეთა, რომლის შესახებაც იგი წერს თავის გეოგრაფიაში: „აგარის... კევის შესართავს ზეით არს შაორი: აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შვენიერებისა-თვის, კეთილ-აგარაკოვანი“-ო (გეოგრ., 374). ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია; იგი დანგრეული და მიწაგადაფარებული ყოფილა. ეს ნანგრევი 1925—1926 წლებში გაუთხრია ადგილობრივ მცხოვრებ ანტონ ივანეს ძე ჭიჭინაძეს, მისი მასა-

ლა (ქვა) წაუღია და თავისი საცხოვრებელი სახლი აუშენებია. დღეს აღნიშნულ ადგილას პატარა ქვებისა და კირის მეტი არაფერი ყრია. ხსენებული პირის ეზოში 1927 წელს ვნახე კანკელის შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც ჯერ შენობაში დადებული არ იყო. მიუხედავად ორგზის გაფრთხილებისა, რომ ქვები დაცული უნდა ყოფილიყო და რომ საბოლოო დასაცავად ისინი გადატანილ იქნებოდენ ნიკორწმინდას, მას ერთი ფიქალი ბუხრის თავზე დაედვა „კალმის ქვა“-დ[134], ხოლო მეორე ფიქალი კი კალატოზ ბიჭია ივანეს ძე ქემოკლიძეს გაეტეხა და ერთ სვეტთან ერთად თავის სახლში წაეღო სოფ. თლუღს. 1930 წელს ადგილობრივ დამხვდა მარტო ორი სვეტი და ერთი სვეტის ნატეხი, რომელიც გადავიტანე ნიკორწმინდას და მოვათავსე ეკლესიაში. დანარჩენი ქვების იქვე გადატანა დაევალა ნიკორწმინდის სიძველეთა დაცვის რწმუნებულს ნ.კანდელაკს და ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს ქვებია:

კანკელის ფიქალი და სვეტი (იხ. სურ. 1)[315].

1. ფიქალი, ქვედა მარცხენა კუთხეატეხილი, 89 (91,5 სმ.).
2. ფიქალი, ძლიერ დაზიანებული, 64×63.
3. სვეტი, 104×15,5 სმ.
4. სვეტი დაზიანებული, 64×13,5 სმ.
5. სვეტის ნატეხი, 43×14 სმ.
6. სვეტი, დაზიანებული, 84×14 სმ.

ჩუქურთმა შესანიშნავი ნამუშევარია და ეკუთვნის XIV—XV სს.

## თლუღი

თლუღის „ტეხისის“ წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა[136], ნაგები თლილი ქვისა (ნაწილობრივ შირიმია) და კირისაგან,

---

314 „კალმის ქვა“ ეწოდება ბუხარზე „ფიტოხის“ (გამოწეული ქვის) ზევით მდებარე ქვას.

315 სურათი გადაღებულია ჭიჭინაძის ეზოში 1927 წელს, როდესაც ქვები ჯერ ისევ მთელი იყო. აღწერილი არიან მარჯვნიდან მარცხნივ: ჯერ ფიქალები, მერმე სვეტები.

316 ეკლესია აღწერილია 1926 წელს; დღეს იგი აღარ არსებობს: 1927 წელს ახალგაზრდობას დაუქცევია ის კედლების გახვრეტის საშუალებით; მისი მასალა წაუღიათ და ადგილობრივი 4-წლედი სკოლის საძირკველი აუშენებიათ; ამ საძირკველს დაყოლილი აქვს ჩუქურთმიანი ქვები, სახელდობრ, აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, დასავლეთით —2, სულ 4.

გადაკეთებული XIX ს-ში (მომატებულია დასავლეთი ნაწილი და მასთანავე აშენებულია სამრეკლო). ზომით არის 13 (მარტო ძველი ნაწილი) 8×4 მ. საკურთხევლის ნაწილი გარეთ სამწახნაგოვანი არის, შიგნით კი ნახევარმრგვალი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ეკლესია ძლიერ დაუზიანებიათ 1924—1925 წლებში: მოუხდიათ მისთვის ყავარი, აუყრიათ ქვის იატაკი, მოუშლიათ ფიცრის კანკელი, ადგილიდან დაუძრავთ ტრაპეზის მთლიანი ქვა შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით და სხვა.

ეკლესიას გარეთ, ჩრდილოეთ მხარეს, თაბაშირისმაგვარი ნივთიერებით შელესილ კედელზე აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა. ეს ნივთიერება თავისი ბუნებით ძლიერ ემსგავსება ძმუისის თავის „მთასაყდრის" (წმ. გიორგის ეკლესიის) კანკელის ნივთიერებას.

წარწერა: წო̃ გ̃ი შე . . . . . , ანუ: წმიდაო გიორგი შეიწყალე (თუ შეეწიე?)...

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, შენობის გადიდების დროს (XIX ს-ში) იგი ნაწილობრივ კირით შეულესიათ და დღეს მხატვრობა მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს და ჩრდილოეთის კედელსღა შერჩენია.

საკურთხევლის ჩრდილო ნაწილში კარის ქვემოდან მოსჩანან მღვდელმთავრები და სხვ.; საკურთხევლის ტრიუმფალური კამარის ზევით დახატული არიან ანგელოზები.

ჩრდილოეთ კედელზე დახატულია: პირველ რიგში, თაღის ახლოს (აღმოსავლეთით) — ჯვარცმა; მე-II რიგში: პირველ (აღმოსავლეთით) ყალბ კამარაში — გარდამოხსნა, მეორე (დასავლეთით) ყალბ კამარაში — აღდგომა, მე-III რიგში, პირველ ყალბ კამარაში — წმიდანები: კოზმან, დამიანე, პანტელეიმონ. ზემოაღწერილ სიუჟეტებს და ხატებს წარწერები მრგვლოვანი ასომთავრული აქვს.

პილასტრზე, ზევიდან ქვევითამდე, დახატული არიან წმიდანები 6, მე-7 — ძირს, ძლიერ დაზიანებული — წარწერები მათ ბერძნულად აქვს.

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა სურათებიც, სახელდობრ:

ჩრდილოეთის კედლის მე-III რიგის მეორე (დასავლეთით) ყალბ კამარაში დახატულია ორი პირი: მამაკაცი და მანდილოსანი; პირველი დასავლეთით, მეორე აღმოსავლეთით; მათ აქვთ მხედრული წარწერა: 1. „წულუკიძე | მერაბ"; 2. „თანა | მეცხედრე | მისი | ანიკა" |. ესენი

პირით ერთმანეთისაკენ არიან მიქცეული, ცალი ხელით უჭირავთ ეკლესიის მოდელი (მერაბს მარცხენით, ანიკას მარჯვენით) და მეორე აპყრობილი აქვთ სავედრებლად მაცხოვრისაკენ, რომელიც დახატულია ეკლესიის მოდელის თავზე და ორივე ხელით აკურთხევს მათ. ეს პირნი, თანამეცხედრენი ეკლესიის აღმაშენებელნი და დამხატვინებელნი უნდა იყვნენ. მათ შუა დგას ორი ახალგაზრდა; მერაბისაკენ მდგომს აწერია მხედრულად: „გიორგი“; მეორის წარწერა დაზიანებულია.

მერაბ წულუკიძე XVII ს. პირია, მხატვრობაც იმავე საუკუნეს ეკუთვნის და ეკლესიაც იმავე ხანის აშენებული უნდა იყოს (?).

მერაბ წულუკიძე თავისი თანამეცხედრითა და შვილებით გიორგით და ქაიხოსროთი მოხსენებულია ხოტევის აწ საძირკვლამდე დაქცეული ეკლესიის წარწერაში (იხ. ზემოთ ხოტევი). ეს წარწერა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მერაბ-ანიკას ქვემოთ მეორე ახალგაზრდას წარწერა, რომელიც დღეს დაზიანებულია და აღარ იკითხება, „ქაიხოსრო“ უნდა ყოფილიყო.

ეკლესიის სიძველე, დაცული ადგილობრივ გლეხკომში:

ვერცხლის ბარძიმი მხედრული წარწერით: „† შამ(ო)გწირე მე, ბეჩუნამ კობახიძემ წმინდის გიორგის ტეხისას ბარძიმი ესე ჩემთვის და ჩემის | მეუღლის თ(ი)ნათი (sic) ბუხრაშვილის ქალის სულის საოხათ და ვინც ეს ჩვენი შეწირული ბარძიმი გამოსწიროს წმინდის (sic) გიორგის | ტეხისს[317], (sic) მათ მორეთ მოსლას ჩვენი ცოდვის ნაცლათ განიკითხოს ქრისტეს წინაშენ“.

ეკუთვნის XIX ს. დასაწყისს.

### წკადისი

წკადისის წ მ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6×3,6 მ. ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან; თაღი ფიცრისა აქვს; ხურავს ყავარი; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით—1, სამხრეთით — 1, დასავლეთით —1; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლოც კედელთან არის გამართული. საკურთხეველში არის ორი პატარა თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით). საკურთხევ-

---

317 უნდა იყოს: ტეხისას.

ლისავე მაღლა გადებულ „დირე“-სა და „სათავ“-ს და დასავლეთის კარებთან თაღისათვის შედგმულ ბოძს აქვთ ხაზოვანი ჭრილობები.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

ზარი, დაახლოებით 30 გირვანქა (გატანილია სკოლაში სკოლის ზარად).

### ველევი

ველევის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 2198). ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა.

### ბეთლევი

ბეთლევის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია[318] ერთნავიანი შენობაა, 5,2×3,2 მ. ნაგები ქვიტკირისაგან; ხურავს ყავარი; გარედან გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით 1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; სამკვეთლოს ადგილი არა ჩანს.

შიგნით ეკლესია მოხატულია, მხატვრობას წარწერები ასომთავრულად აქვს.

საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება. მაცხოვარს თავთან აწერია: (I)͞C [X͞C]; ღვთის მშობელს — „დედაჲ|ღი͞სა“, ნათლისმცემელს — „[წ͞ჲი͞ნე]ნთლს:. | (მც)მ | [ლი]“; მთავარანგელოზთაგან ერთს აწერია: მქლ, მეორის წარწერა დაზიანებულია. პირველ რიგში (ძირს) დახატულია 6 მღვდელმთავარი, მათგან 3 სარკმლის მარჯვნივ, 3 მარცხნივ; აწერიათ: სარკმლის მარჯვნივ, პირველს — წ͞ჲ:. ინე| ოქრო|პი(რ)ი:.|, მეორეს—.: წ͞ჲ:. გრ͞იგო|ლ:.[319], მესამეს —|[.: წ͞ჲ:.] კაპ͞იტონ: — ;| სარკმლის მარცხნივ, პირველს—.: წ͞ჲ ბა(სი)[ლი:.], მეორეს—.: წ͞ჲ (ათა)ნ(ა)(სი):—|, მესამეს—.: წ͞ჲ სეფ . . . . |; ოქროპირს, გრიგოლს, ბასილს და ათანასეს ხელთ უჭირავთ გრაგნილე-

---

318 ეკლესია აღწერილია 1926 წელს; 1930 წელს იგი დაზიანებული აღმოჩნდა. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების მთავარი წარწერები (იაშვილისა და იოანე კვიტაშვილისა) დღეს მცირე ნაშთადღა შერჩენილან. ეკლესია კრების სახლად გაუმართავთ, რასაც მიუყენებია ასეთი ზარალი.

319 აქაც და ქვემოთაც ბევრგან ქარაგმა ზედმეტად, ანუ უმნიშვნელოდ ზის.

ბი, დაწერილი მრგვლოვანი ასომთავრულით, ხოლო დანარჩენთ (კაპიტონს და უკანასკნელს — დაზიანებულს) კი წიგნები.

ტრაპეზზე წინა მხარეს (დასავლეთით) დახატულია ჯვარი წარწერით:

•ს·|˜c|x˜c:·   Iησους Χριστός
ჯ˜ი | ქ˜ი   ჯვარი ქრისტესი

თაღის ჩრდილოეთ მხარეს დახატულია რომელიღაც სიუჟეტი, დაზიანებული, და ჯვარცმა, ძლიერ დაზიანებული; სამხრეთის მხარეს — ხარება და შობა, ორივე დაზიანებული.

ჩრდილო კედლის პირველ რიგში დახატულია 6 მოციქული (მედალიონებში); მათგან პირველი და მეექვსე დაზიანებულია წარწერებით, დანარჩენებს აწერიათ: მეორეს—.: წ˜ჲ:. ანდ(რია):—, მესამეს—.: წ˜ჲ.: (ბართლო)|(მე):., მეოთხეს —.: წ˜ჲ:. მარ˜კ|ოზ|:., მეხუთეს — წ˜ჲ:. სვ˜იმე|ონ:., II რიგში დახატულია: პირველი საერო პირი (იხ. ქვ.), მეორე სასულიერო პირი (იხ. ქვ.), მესამე — [წ˜ჲ] გ˜ი (წმიდაჲ გიორგი), ცხენზე, ძლიერ დაზიანებული; მეოთხე დიდებული (იხ. ქვ.), მეხუთე — უკანასკნელის შვილი (იხ. ქვ.).

სამხრეთი კედლის პირველ რიგში დახატულია 7 მოციქული (მედალიონებში); მათგან მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დაზიანებულია წარწერებით, დანარჩენებს აწერიათ: პირველს — [წ˜ჲ] პეტრ[ე], მესამეს —.: წ˜ჲ თო˜მა. II რიგში დახატულია: პირველი — მღვდელმთავარი.: წ˜ჲ . . . . . . , მეორე — ეკლესიის აღმაშენებელი (იხ. ქვ.), მესამე — წ˜ჲ ეკტრინა, მეოთხე — წ˜ჲ თეკლა, მეხუთე—.: წ˜ჲ: ირინ[ა]. თეკლას და ირინას მხრებს ქვევითი ნაწილი ჩამოგლეჯილი აქვს კედელში კარის გამოღების გამო. მეექვსე (დასავლეთის კუთხესთან)—.: წ˜ჲ ბრ˜ბრა.

დასავლეთი კედლის პირველ რიგში დახატულია მირქმა, დაზიანებული; II რიგში[320]—.: წ˜ჲ: დიტ˜რი: — (წმიდაჲ დიმიტრი), ზის ცხენზე, გმირავს ვეშაპს; .:.წ˜ჲ|კ˜ე, (წმიდაჲ კვირიკე), :წ˜ჲ | ივლიტა:. და წ˜ჲ. აოდი|მოს:. | მ˜ღდე|ლი|:—

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სურათები სხვადასხვა პირთა, სახელდობრ:

1. სამხრეთი კედელის II (ძირა) რიგში, კედელთან ახლოს, მღვდელმთავრის მარცხნივ (დასავლეთით) დახატული ყოფილა ეკლესიის

---

320 II რიგი აღწერილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

აღმაშენებელი, დაჩოქილი; დღეს მისი ნაშთიღა მოჩანს; შენახულია თავის ნაწილი, ცხვირზემო, შემდეგ — მარჯვენა ხელი, გაპყრობილი აღმოსავლეთისაკენ, გვერდები (მცირედ) და მუხლქვემო ნაწილი ფეხამდე. იგი უფრო მანდილოსანსა ჰგავს (?); მას თავის ზევით აქვს დაზიანებული წარწერა:

-------ႪႨ: ႨႠႱႸႥႨႪႨ
ႱႠ-------Ⴀ-------ႬႨႱႠ: ႰႭ~ႫႪႱႠႢ~Ⴌ
ႠႶႤ[ႸႤႬႠ ႤႩႪႤ]
ႱႨႠ: Ⴑ~ႾႪႱႠ: Ⴆ~Ⴀ: [ႡႤႧ]ႪႤႫ[ႨႱႠ] Ⴖ~ႧႨႱ: Ⴋ~ႸႭႡႪႨႱႱႠ---
ႵႭ~Ⴑ, Ⴐ~ႮႠ,—

„...ლი იასშვილი სა.ა..ნისა, რომლისაგან აღე[შენა ეკლე]სია სახელსა ზედა [ბეთ]ლემ[ისა] ღვთისმშობლისასა. ქრონიკონს რპა.

2. ჩრდილოეთი კედლის მე-II (ძირა) რიგში დახატული არიან შემდეგი პირნი (მდგომარენი): პირველი (საკურთხეველთან) — ყრმა, მეორე — ქართლის მთავარეპისკოპოსი.

მთავარეპისკოპოსს აწერია:

ႵႠႰ
ႧႪႨႱႠ
[ႫႧႠ]
ႥႠႰ: [Ⴄ]ႮႱႩ~Ⴍ[Ⴎ]ႭႦ: Ⴃ~Ⴀ: Ⴈ]Ⴀ]
ႼႤႪႨ
ႼႱႠ[:]
ႤႪႳ[Ⴑ]ႠႰႤႫႨႱ ႫႱ: ႿႳႠႰႨႱ
Ⴋ~ႫႠ: ႩႲ
ႠႱႸႥႨႪႨ
Ⴈ~Ⴄ

„ქართლისა მთავარეპისკოპოზი და ია წელიწადსა ელუსარემის (sic) ჯუარის მამა კტასშვილი იოანე“.

მთავარეპისკოპოსის სურათი ძლიერ დაზიანებულია: შენახულია მისი სახის მარჯვენა ნაწილი, მხრები და მარცხენა გვერდი წელამდე, დანარჩენი მოცილებულია.

ყრმას აწერია: „.: ძმის წულ[ი] მათი: ზაქ|არია[.:.]“.

ყრმას ორივე ხელი აპყრობილი აქვს გულთან წელის ქვევით, მარჯვენა მხარე მოცილებულია. მისი წარწერიდან ჩანს, რომ იგი ძმისწულია მთავარეპისკოპოსისა და იქნებ უკანასკნელის შემდეგ (დასავლეთით) დახატული საერო პირისაც (თაყასი), რადგანაც წარწერა ამბობს: „ძმის წული მათი“-ო.

მესამე დახატულია წმ. გიორგი (იხ. ზევით); მეოთხე — დიდებული წარწერით:

---ႧႠႷႠ· ႵႤႲ
Ⴀ
Ⴑ[ႸႤ]

ႨႪႨ: ႣႠ: ႭႤႧႰ[ႭႤ]Ⴇ[,]Ⴘ
5. ႸႤႪႬႨ: ႫႨႱ[ႬႨ;]Ⴘ´ႬႱ· Ⴕ´Ⴌ: Ⴖ´Ⴌ·
Ⴀ´Ⴌ:

„...თაყა ქჳტას[შჳ]ილი და უთრ[უ]თ, შჳლნი მისნი; შეიწყალნეს ქრისტემან ღმერთმან. ამინ“.

ამ პირს ხელები აღმოსავლეთისაკენ აქვს გაპყრობილი; იგი ძლიერ დაზიანებულია წელთან და ფეხებთან.

მეხუთე დახატულია ახალგაზრდა: „.: შალვა:“ — მას ხელები აღმოსავლეთისაკენ აქვს გაპყრობილი; შენახულია მისი მარტო წელზევითი ნაწილი; იგი შვილი უნდა იყოს თაყასი.

დასავლეთით კედლის მე-II (ძირა) რიგში დახატული არიან შემდეგი პირნი (მდგომარენი)[321]: პირველი — ქალი. .:.ისპა[ე]ნ:—, მას ხელები გულთან აქვს აპყრობილი; იგი ძლიერ დაზიანებულია წელთან და ფეხებთან. მეორე — წმ. დამიანე (წელამდე), რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხევს ისპაენს; მის (დამიანეს) მარჯვნივ არის წარწერა: „წ´ა: დამ|იანე შეიწ´ყლ.: | სული:. ის პა|ენი´სი:—“.

მესამე და მეოთხე დახატული არიან ყრმანი (მესამე ისპაენის მარჯვნივ, მეოთხე კარებთან); .: ასათ:—,:. ულარი[322]: მათ ხელები გულთან აქვთ აპყრობილი; მესამეს მარჯვენა გვერდი და ფეხები დაზიანებული აქვს.

პირველი, მესამე და მეოთხე ნომრით აღწერილი პირნი თაყასივე შვილები უნდა იყვნენ.

დასავლეთის კარებში დახატული არიან მამაკაცები, მდგომარე, ხელაპყრობილი; მარჯვნივ სამხრეთ კედელზე — მა´მ|ი´ლა|ფონჯა|ვისძე: — მარცხნივ, ჩრდილოეთის კედელზე — მი´ქა:.|სირა|სძე|:..

---

321 აღწერილია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

322 წარწერებში ასოები ო და უ ერთნაირად არის დაწერილი — კუდით ძირს. ასე რომ, შესაძლებელია სიტყვის პირველი ასო იყოს ო და არა უ, მაშინ სიტყვა წაიკითხება: ოლარი.

ძველად ეკლესიას გარეშემო გალავანი ჰქონია, დღეს მისი საძირკველიღა მოჩანს.

როგორც ზემომოყვანილი სამხრეთი კედლის წარწერიდან ირკვევა, ეკლესია აშენებულია და მოხატული XV ს-ში, სახელდობრ, 1493 წელს.

ორალელისძე-კვიტაშვილების ნატყუარი სასისხლო სიგელი 1473 წ. იხსენიებს მღვდელ-მონაზონ იოანეს და მის ძმებს: თაყას, გიორგის, ასათს, სულას და საგინას[323]. ამათგან იოანე და თაყა, ალბათ, ზემოაღწერილ ჩრდილო კედელზე დახატულ იოანეს და თაყას გულისხმობს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2197). ეკლესიის მთავარი სიძველის — ოქროს ფურცელზე ნაჭედი „ბეთლემის" ღვთისმშობლის ხატის ნაშთი; ხატის ზურგიდან ჩამოცვივნული რაღაც ნივთიერებათა ნადუღის ნატეხები ღვთისმშობლის ხელისა, ტანისამოსისა, ყრმის თავისა და სხვ. გამოსახულებით — ერთი მცირე გროვა. ხატი, ზომით 45×35 სმ (დაახლ.), შემკული ყოფილა სამი დიდი იაგუნდით და ასომთავრული წარწერით; იგი გაუნადგურებიათ 1926 წ. სექტემბერ-ოქტომბერში; ნაშთი გაბნეული იყო იატაკზე.

ადგილობრივმა მკვიდრმა მასწ. ალექსანდრე კვიტაიშვილმა გადმომცა, რომ მას დიდი ხნის წინათ პალეოგრაფიული სისწორით გადმოუღია ხსენებული ხატის წარწერა, რომელიც შემდეგ ამოუკითხვინებია ვიღაც გენათელი ბერისათვის; ეწერაო: „ეს ხატი შემამწირავს ზაქარია კვიტაშვილსა"-ო. დღეს ეს წარწერა ხსენებულმა პირმა ვეღარ იპოვა თავის ქაღალდებში. ზაქარია კვიტასშვილი გვხვდება აგრეთვე ბარეულის დედა ღვთის ეკლესიის ხატიდან დარჩენილ წარწერაში (იხ. ბარეული).

2. (ქ. 2199). სახარება-სამოციქულონი, ხუცურად ნაწერი, დამწვარი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

3. (ქ. 2200). რომელიღაც საეკლესიო წიგნის ნაშთი, ეტრატზე ნაწერი ხუცურად, 3 ფურცელი.

4. (ქ. 2201). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

---

323 საქ. სიძვ. III, № 462, გვ. 435—439.

შხივანას მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი, გადაკრული ფიცარზე, 37,2×27 სმ. მაცხოვარს თავთან აწერია ასომთავრულად: ი῀ო ქ῀ე.

ხატს ქვედა აშიის ადგილას აქვს მხედრული წარწერა:

„ქ. ჩვენ:. შხივანას:. ცხოვრებმან:. სუთიძემან:. დემეტრეს:. ძმა:. | ბეჟანამ:. ესე:. მაცხოვრის:. ხატი:. შევამკვე:. ჩემის:. ბ|იძების:. შემწეობით:. რომ ძველათაც:. ჩვენი:. იყოს:. | საოხად:. ჩვენთა: . . . |“.

ეკუთვნის XIX ს. დასაწყისს.

2. (ქ. 2196). წმ. გიორგის ხატი ბრპენისა, 16×9,7 სმ. წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე და შუბით ვეშაპს გმირავს. ხატს ზევითა და ქვევითა ნაწილში აქვს სომხური ასომთავრული წარწერა:

ზევითა ნაწილში[324].

1. *Խուսոք Ն ՍԱ. ՎԱ.*
2. *Ս՜Բ ՎԿԱՅՆ Ք՜Ի ԳԷՈՐԳ*

ქვევითა ნაწილში —

3. *ԹՎԻՆ ՀԱՅԻՑ ՌՃԻԶ ԱՄՆ*

იკითხება:

1. *խսսոք ն ի սո վա*
2. *ս՜բ վկայն քր՜ի Գէորք*
3. *Թվին Հայոց ռճիզ ամէն*

თარგმანი:

1\. . . . . . . . . . . . . ?
2\. წმიდა მოწამე ქრისტესი გიორგი
3\. წელსა სომეხთასა 1146 ამინ.

სომხური წელთაღრიცხვა 1146 უდრის 1697 წელს.

3. (ქ. 2202). ჟამის წირვის ნაშთი, 34×21 სმ ეტრატზე ხუცურად ნაწერი.

4. (ქ. 2203). ვასილ დიდის წირვის წესი, გადაწერილი ხუცურად ვინმე სვიმონის მიერ (აქვს მინაწერი) XVIII ს-ში; დაზიანებული.

---

324 წარწერა ამოიკითხა და თარგმნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუცხადებ.

# კვირიკეწმიდა

კვირიკეწმიდის წმ. კვირიკე და ივლიტეს ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, 9,25 (საკურთხევლამდე 5,7)×6,4 მ. ნაგები თლილი ქვისა (ნაწილობრივ შირიმი) და კირისაგან. ხურავს ყავარი. თაღი დაბჯენილია ორ სვეტზე. მთავარი აფსიდი საკურთხევლისა აღმოსავლეთით გამოწეულია გარეთ ხუთ წახნაგად; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი — აღმოსავლეთით —4. სამხრეთით—1 და დასავლეთით — 1.

1924—1925 წწ. შემდეგ ეკლესია დაცარიელებულია მთლად.

ეკლესიას აქვს წარწერები:

I. დასავლეთის კედლის სარკმლის თავზე ოდნავ ჩრდილოეთით, მხედრულად:

„.:. ამისა.: ამშე
ნებელსა:. ცოდ´ლსა
გაიანეს: შეუნდოს:.
ღ´თმან ამინ:.“

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის XVI—XVII სს.

II. სამხრეთი კარის თავზე ჩუქურთმით გამოსახული ჯვრის გარშემო არის ხუცური წარწერა გაკრული ხელით, რომელიც ძნელად იკითხება. დროის უქონლობის გამო იგი გასარკვევი და ამოსაკითხი დამრჩა. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ადგილს:

| | |
|---|---|
| სახე<br>ლითა<br>ღთისა<br>ითა ესე<br>ეკლესია<br>· ვ· · ე | ძ· ·<br>ცია. . .<br>სძემა<br>. . . . .<br>. . . . .<br>. . . . . |
| . . . . . .<br>. . . . . ილ<br>ეს . . . . .<br>. . . . . . | . . კორთ<br>ხე. . . .<br>ეხე ეკლ<br>ესია . . . . |
| . . . . . .<br>. . . . .<br>. . . . . . | . . . . .<br>. . . . .<br>. . . . . |

. . . . . . .

. . . . . . .

---

. . . .

. . . . . . .

---

დასავლეთის კედლის წარწერის მიხედვით ეკლესია აშენებული უნდა იყოს XVI—XVII სს-ში.

ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთით, 50 მ დაშორებით, არის ციხის ნანგრევი, რომელიც უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული კვიტაშვილის ციხე (გეოგრ. 374). ეკლესიიდანვე დასავლეთ-სამხრეთით, ძირს, 1 ვერსის დაშორებით კლდის წვერზე არის სხვა ციხისა თუ კოშკის ნანგრევი.

### ზემო კრიხი

ზემო კრიხს არის მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესია[325], იგი XVII ს-ში დაუთვალიერებიათ რუსეთის ელჩებს ტოლოჩანოვს და იევლევს, რომლებიც წერენ*: „მდინარე კრიხულას იქით (გაღმა) მთაზე დგას ქვის ეკლესია, კარგი მშვენიერი, მიქელ მთავარანგელოზის სა-

---

[325] ცენტრარქივში დაცულია შეწირულობის წიგნი, მიცემული ბატონ რუსუდანის მიერ ამ ეკლესიისადმი 1752 წელს; იქ ვკითხულობთ (ქარაგმა გახსნილია): „...(დაზიანებული) ასულმან ბატონმან რუსუდან და ძემან ჩემმან გრიგოლ და ვახტანგ გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ კრიხს მთავარანგელოზის საყდარს ფონჯაძის ბეგარა ათანასეს და თამაზას რაიც ემართოს ჩინი ბეგარი ყოვლის ფერი სანთლის ფასათ შემოგვწირავს. ეს ჩვენი შემოწირული ბეგარა თქვენს საყდარს არ მოეშალოს“ (ც. არქ. ფ. 226, № 1593).

კრიხი მოხსენებულია აგრეთვე გრიგოლ კათალიკოზის მიერ ბიჭვინთისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში, XVII ს. სადაც ვკითხულობთ (ქარაგმა გახსნილია): „ჩვენ... ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ ბატონმან გრიგოლ ვიგულსმოდგინეთ... გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი. ...კრიხს სასახლე, კვირტას შვლის დარისპანისაგან შეწირული, ერთი მოსახლე კაცი გუბერიძე, ჯელოსანი სეხნია და მისი ძმები: იონა შ-ქარი და დათუა ჯელოსანი. მეორე მოსახლე გიორგი და შოშიტა. მესამე მოსახლე გოჩია და მისი შვლი პაატა. მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვლები გიორგი და თამაზა და ძმისწული მისი კაცია. მეხუთე მოსახლე მესხა გიორგი და მისი შვლები რაიც ამას ზეით წერილ არს მათის სარჩოთი ტყით წყლით აგარაკით საეენაჯით შესავლით და გასავლით უძებრით და საძებრიანათ“ (ც. არქ. ფ. 226, № 5029).

* ამონაწერი მომყავს თარგმანით.

ხელობისა“*. ეკლესია ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან; იგი ერთნავიანი შენობაა, 13,4×5,7 მ. სამხრეთით აქვს კარიბჭე სამწირველოთი (უკანასკნელნი გაერთიანებული არიან ერთმანეთთან; კარიბჭის დასავლეთი მხარე ამოგებულია); ხურავს ყავარი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით (სურ. 48). და დასავლეთით (სურ. 49); საკურთხევლის ნაწილი გარეთა მხრიდან ხუთწახნაგოვანია, შიგნით კი ნახევარმრგვალი. სამხრეთი კარის თავი, კარიბჭის კარი და თაღი სამწირველოს სარკმელი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვებით; მათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კარიბჭის თაღი; იგი აწყობილია ძვირფასად ნამუშევარი ქვებისაგან. ჩუქურთმიანი ქვები ეკლესიას შიგნითაც აქვს სვეტის თავებად, საკურთხევლის ჩრდილო-დასავლეთი კედლის (კანკელთან) ძირს, იატაკთან, კედელში (პირით დასავლეთისაკენ) დატანებულია ქვის ქანდაკება დათვისა და ორი ბელის თავებისა, რომლებიც გადმოცემით დაუხოციათ ამ ადგილშივე, ყოფილ უდაბურ ტყეში, ეკლესიის აშენების წინ (სურ. 50). ტრაპეზი დღეს ეკლესიის შუაშია. ეკლესია განუახლებიათ 1884 წელს: დასავლეთი ნაწილისათვის სიგრძე მოუმატებიათ ძველი საქალებოს შემოერთებით; ამ განახლების დროს ნაწილი წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვებისა გაუთლიათ და კედლებისათვის შეუხმარებიათ. ეკლესიის თაღი გამსკდარია, სახურავი დაზიანებულია.

წარწერების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით და ხელოვნების თვალსაზრისით ეკლესია თავის სამწირველოთი ეკუთვნის X—XI სს.

გარედან ეკლესიას აქვს წარწერები ქვებზე[326]; მათში დასავლეთი კედლისა დაძრულია თავისი პირვანდელი ადგილიდან. წარწერები არის ასომთავრულიც და ნუსხურიც. ასომთავრული ნაწერია მსხვილი ხელით და საკმაო ჩაღრმავებით; ხოლო ნუსხური საშუალო ხელით და ოდნავი ჩაღრმავებით (უკანასკნელისა ზოგიერთი ასო და სტრიქონიც კი თითქმის არ მოჩანს). ეს წარწერები არის:

---

* ტოლ., 122.

326 ს. კაკაბაძეს გადმოღებული აქვს წარწერები, მაგრამ შეცდომებით; გარდა ამისა მას აღნიშნული არა აქვს, თუ რომელ კედელზე არის ესა თუ ის წარწერა (საისტ. კრ., IV, 106—107).

1. ჩრდილო კედელზე აღმოსავლეთის მხრისაკენ ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით[327]:

| | |
|---|---|
| Ⴍ̃Ⴍ ႢႠႱ̃ႥႬႤ<br>ႱႭႪႱႱႠႴ[328]<br>ႤႧႠႨႱႠႱႠ[329] | უფალო, განუსვენე<br>სულსა ფეთაისასა. |

2. იმავე კედელზე, პირველი წარწერის მარცხნივ, დასავლეთით ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით [330]:

| | |
|---|---|
| Ⴍ̃ႭႢႠႭႪ<br>ႱႨႤႰႤႱ<br>ႭႪႦႱႠႷႨ<br>ႤႦႠႧႱႠ | უფალო, განუსვენე<br>სულსა შვილაჲსა. |

3. იმავე კედელზე სარკმლის ქვევით მდებარე ქვაზე ზევითა ნაწილში არის ასომთავრული წარწერა, ქვევითა ნაწილი კი შემკულია ფოთლისა თუ ყვავილის სახის ჩუქურთმით. სწორედ ამავე წარწერის გაგრძელებაა დასავლეთი კარის მარცხნივ მდებარე ქვა, რომელიც დაცილებული და გადატანილი უნდა იყოს თავისი პირვანდელი ადგილიდან ეკლესიის განახლების დროს (სურ. 51)[331]:

| | |
|---|---|
| ႼႫ̃ႰႭႫႭႠႨ̃ႵႠႰႢႦ̃ႦႰႭ<br>Ⴗ̃Ⴄ[ႧႫႭ]<br>[ႰႠ]ႧႵ̃ႰႤႧ̃Ⴄ | წმიდანო მთავარანგელოზნო, შეიწყალე[თ მონა] თქვენი თედორე. |

4. დასავლეთ კედელზე სამხრეთის კუთხისაკენ ქვაზე ასომთავრულით[332].

---

327 საისტ. კრ., IV, 106.

328 ასო ფ-ს შემდეგ არის რაღაცა კვალი ამოფხეკილის მაგვარად, ვგონებ, ასო არ უნდა ყოფილიყო.

329 ს. კაკაბაძე: ფედაისასა (საისტ. კრ., IV, 106).

330 საისტ. კრ., IV, 106.

331 იქვე.

332 საისტ. კრ., IV, 106.

დამწერს, ვგონებ, სიტყვის შემოკლება სდომებია: ამისთვის ჯერ დაუწერია ასო ტ, მაგრამ მერმე იგი მთლად ამოუშლია და სიტყვის ყველა ასო დაუწერია; ტ-ს მარჯვენა და ძირა ხაზები დღესაც მშვენივრად მოჩანს, მხოლოდ ამოშლილია მისი მარცხენა (მუცლის) მხარე.

Ⴜ̃ႫႣႭ
ႫႧႥႰ̃ႬႢ
ႪႭ ႩႥႲ[333]
ႸႤ Ⴜ̃Ⴊ

წმიდაო მთავარანგელოზო,
კვიტაი შეიწყალე.

5. სამწირველოს სამხრეთ კედელზე სახურავთან ახლოს ქვაზე ასომთავრულად[334]:

ႼႫ̃ႬႣႭ̃ႫႧႥႰ[ႬႢႪ]
ႦႬႭႠ̃ႣႣႫ̃ႣႨ
ႦႤ [ႧႵ̃ႬႨ]- - - - - -[335]

წმიდანო მთავარანგელოზნო, ადიდე მადიდებელი თქვენი.

პირველი, მე-2 და მე-3 და მე-5 ნომრით აღწერილი წარწერები ერთი ხელით არის ნაწერი.

6. იმავე კედელზე, სარკმლის მარცხნივ მდებარე ქვაზე ნუსხურად[336].

ⴑⴞⴊⴈⴇⴀ ⴖⴇⴈⴑⴀ
ⴋⴄ ⴉ̃ⴈ ⴙⴄⴋⴈ
ⴇⴀ ⴉⴊⴀⴒⴍⴆⴍⴁⴈⴇⴀ
ⴘⴄⴑⴜⴈⴐⴄ ⴀⴋⴀⴑ
5. ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴑⴀ ⴉⴄ
ⴃⴐⴀⴋⴀⴈ

სახელითა ღმრთისაითა. მე,
კვრიკე, ჩემითა კალატოზობითა
შევსწირე ამას ეკლესიასა კე
დრამაი[337].

ზემომოყვანილი ყველა წარწერა (1—6) პალეოგრაფიული თვალსაზრისით ეკუთვნის X—XI სს.

7. იმავე კედელზე სარკმლის მარცხნივვე არის ნუსხური წარწერა ორ ქვაზე (პირველზე 2 სტრიქონი, მეორეზე დანარჩენი), ნაწერი წვრლად ოდნავი ჩაღრმავებით:

---

333 საისტ. კრ., IV, 106.

334 ს. კაკაბაძე უკანასკნელ ორ სიტყვას წერს: მდბ[ელნი შენნი]... (იქვე).

335 ეს ადგილი ქვაზე რაღაც იარაღით განგებ არის ამომტვრეული; იგი, ადგილობრივი მცხოვრები სილ. ფანჯავიძის გადმოცემით, მოუშლიათ კვიტაშვილებს (ველევიდან): „ხალხსა და ადგილს იჩემებდენ“-ო.

336 საისტ. კრ., IV, 107.

337 ს. კაკაბაძე, კედრამდი (იქვე).

ⴕ ⴑⴀⴞⴄⴊⴈⴇⴀ ⴖⴋⴐⴇⴈⴑⴀⴢⴇⴀ ⴄⴑⴄ
ⴥⴄⴊⴈ ⴃⴀⴅⴜⴄⴐⴄⴇ ⴙⴓⴄⴌⴉⴐⴈⴞⴋⴀⴌ
ⴑⴍⴔⴄⴊⴋⴀⴌ ⴅⴈⴌⴚⴀ ⴌⴀⴜⴈⴐⴀⴅⴈ
ⴂⴀⴠⴗⴓⴇⴍⴑ ⴑⴀⴆⴄⴐⴍ ⴃⴀⴜ[338]ⴈⴊⴈ
5. ⴑⴀ[339]ⴖ[340]ⴋⴐⴇⴍⴃⴀ ⴑⴀⴊⴀⴎⴈⴐⴍ ⴀⴐⴀ
ⴋⴈⴑⴚⴄⴇ ⴉⴐⴓⴊⴈⴀ ⴖⴇⴈⴑⴀ
ⴎⴈⴐⴈⴇⴀⴅⴈⴌⴚⴀⴋⴈ̃ⴑ

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა. ესე ჴელი დავწერეთ ჩუენ, კრიხმან სოფელმან: ვინცა ნაწირავი გაჰყუთოს საზერო და წილი საღმრთო[341] და სალაპირო არა მისცეთ. კრულია ღმრთისა პირითა ვინცა მის[ცეს].

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის XI ს. იგი წარმოადგენს პირობის ხელწერილს, დადებულს ხალხის მიერ; ის მეტისმეტად ძვირფასი ძეგლია; სამწუხაროდ ორი ადგილის გამოუცნობელობა ხელს უშლის მისი შინაარსის სრულ გამორკვევას. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთს: საყურადღებოა, რომ წარწერაში პირობის ხელწერილის აღსანიშნავად სწორედ იგივე ტერმინი — „ჴელი"-ა ნახმარი, რომელიც ჩემ მიერვე 1924 წელს სოფ. მეჯვრისხევში აღმოჩენილი რამინისა და გიორგის ხელწერილში 923—926 წლისა (საისტ. მოამბე, 1925, 1,96—100).

8. მე-7 წარწერის ქვევით იმავე (მეორე) ქვაზე არის მხედრული წარწერა სამ სტრიქონად, რომელიც წვრილად არის ნაწერი, გადასულია და არ იკითხება.

9. მე-7—8 წარწერების მარცხნივ ქვაზე არის მინაწერი ხუცურად: წმიდაო.

10. იქვე, აღმოსავლეთის კუთხესთან ორ, ერთმანეთის გვერდით მდებარე ქვაზე არის ხუცური წარწერა ოთხ სტრიქონად, რომელიც არ იკითხება: იგი, ჯერ ერთი, მეტისმეტად წვრილად და ოდნავი ჩაღრმავებით არის ნაწერი; მეორეც, მას სჭრის ქვის კვეთისაგან დაჩნეული ირიბად მიმავალი ხაზები.

11. სამწირველოს აღმოსავლეთ კედელზე არის მინაწერი ასომთავრულად: წნო მთვრ (წმინდანო მთავარ...).

---

338 ეს ასო შესწორებულია ვ. სილოგავას წაკითხვით. დედანში იყო „ⴇ".

339 ეს ასო შესწორებულია ვ. სილოგავას წაკითხვით. დედანში იყო „ⴌ".

340 ეს ასო შესწორებულია ვ. სილოგავას წაკითხვით. დედანში იყო „ⴙ".

341 ეს ასო შესწორებულია ვ. სილოგავას წაკითხვით. დედანში იყო „ვილსაჩნო".

12. კარიბჭის დასავლეთ-სამხრეთ კუთხეში დასავლეთის მხრიდან არის მინაწერი ხუცურად: საუსა გიორგის (სულსა? გიორგისასა).

13. თვით ეკლესიის სამხრეთი სარკმლის მარჯვნივ თავდაყირა დადებულ ქვაზე არის რაღაც ნიშნები.

შიგნით ეკლესია მოხატულია, მხატვრობა შენახულია მაღლა ნაწილში, ძირა ნაწილი კი, დაზიანებისა გამო, ნაწილობრივ შეთეთრებულია კირით. წარწერები მხატვრობას საზოგადოდ ასომთავრულად აქვს, გარდა ჩრდილო კედელზე დახატული მთავარანგელოზისა და მესამე და მეოთხე დიდებულებისა, რომელთაც ხუცურად აწერიათ.

საკურთხეველი: კონქში დახატულია ვედრება. მაცხოვარს მარცხენა ხელში უპყრავს გაშლილი წიგნი, დაწერილი ასომთავრულად, პირველ რიგში — მღვდელმთავრები, მდგომარენი, დაზიანებულნი: მარჯვნივ 3, მარცხნივ 3, სულ 6.

ტრიუმფალური კამარის თავზე დახატულია ხარება; თვით კამარაზე გამოყვანილია ძვირფასი სახეები. საკურთხევლის გვერდების აღმოსავლეთ კედელზე, პირველ წიგნში — წმინდანები, მდგომარენი, დაზიანებულნი: მარჯვნივ 1, მარცხნივ 3, სულ 4. II რიგშიაც წმიდანები, მდგომარენი: მარჯვნივ წმ. ეკატირინე (სურ. 52) და წმ. ბარბარე (სურ. 53), მარცხნივ რომელიღაც წმიდანი, დაზიანებული და წმ. მარინა.

თალი: ჩრდილოეთ მხარეს დახატულია ამაღლება და ნათლისღება, უკანასკნელი ძლიერ დაზიანებულია; სამხრეთ მხარეს — შობა ქრისტესი და ფერისცვალება, ორივე დაზიანებული.

ჩრდილოეთი კედელი: პირველ რიგში დახატულია ანგელოზები, მხრებამდე; II რიგში — ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა (გადადის კუთხეზე აღმოსავლეთით) და ჯვარცმა.

სამხრეთი კედელი: პირველ რიგში — ორი წმინდანი, მხრებამდე; II რიგში — წმინდანები: კედელზე 2, სარკმელში 2, სულ 4; დასავლეთი ნაწილი დაზიანებულია.

საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა პირთა სურათებიც, სახელდობრ:

1. ჩრდილო კედლის II რიგში, საკურთხევლის ახლოს დახატულია მთავარანგელოზი, მდგომარე, პირით დასავლეთისაკენ (სურ. 54); მის მარჯვნივ დგას ოთხი დიდებული (ორი მის მახლობლად—სურ. 55, და ორი პილასტრის დასავლეთით). პირით აღმოსავლეთისაკენ და ხელგაპყრობით მისკენ (მთავარანგელოზისაკენ). პირველს აწერია ასომთავ-

რულად[342]: ესე არს...; მას ხელში ეკლესიის მოდელი უნდა სჭეროდა, მაგრამ სწორედ ეს ადგილი დღეს დაზიანებულია, ამ (პირველ) დიდებულსა და მთავარანგელოზს შუა (ხელებთან) ყოფილა ხუცური წარწერა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია: |[მთაჳ]არ|[ანგ]ელო|-|[ზო][343]...| .. აილოდ:—; მათსავე ფეხებთან არის ხუცური წარწერა[434].

[ⴋⴍ]ⴈⴞⴒⴀ: ⴜ̃ⴈ ⴄⴑⴄ: ⴄⴉⴊⴄ
ⴑⴈⴀⴈ: ⴃⴄⴉⴀⴌⴍⴆⴍⴁⴀⴑⴀ:
ⴂ̃ⴈ: ⴉⴍⴐⴚⴀⴌⴀⴈⴑⴛⴈⴑⴀⴑⴀ[345]
ⴀⴑⴈⴑⴇⴅⴍⴁⴀⴑⴀ: ⴈ̃ⴌⴄ:
5. ⴊⴍⴋⴀⴈⴑⴛⴈⴑⴀⴑⴀ:
ⴃⴀ ⴈ̃ⴌⴄ: ⴃⴄⴅⴈⴑⴛⴈⴑⴀ[ⴑⴀ:]
ⴘⴄ̃ⴌ: ⴜ̃ⴌⴍ: ⴋⴇⴀⴅⴀⴐ:
ⴀⴌⴂⴄⴊⴍⴆ[ⴌⴍ]
ⴀⴋⴈⴑⴀ: ⴋⴍⴞⴀ[ⴒ]
10. [ⴅ]ⴈⴑⴀ: ⴙⴓ - - - - -[346]
- - - - - - - - - - - -

[მო]იხატა წმიდაი ესე ეკლესიაი დეკანოზობასა გიორგი კორცანაისძისას[347], ასისთვობასა იოანე ლომაისძისასა და იოანე დევისძისასა; შეიწყალენ წმიდანო მთავარანგელოზ[ნო]. ამისა მოხა[ტვ]ისა ჩუ...

მეორე დიდებულს აწერია ასომთავრულად[348]; ესე არს ვაჩიანი (სურ. 56) |. მესამე — ნუსხურად[349]: „|ესე| არს: მოგ[350] აი"[351]. |

---

342 საისტ. კრ., IV, 107.

343 აქ წარწერის ადგილი დაზიანებულია (კირით არის შელესილი) და არა ჩანს, რამდენი სტრიქონი აკლია წარწერას; ბოლოში შენახულია უკანასკნელი სტრიქონების ნაშთი.

344 საისტ. კრ., IV, 107.

345 ს. კაკაბაძე: „კორცანისძისა" (იქვე).

346 უკანასკნელ ორ სიტყვას ს. კაკაბაძე წერს: „მხატვარსა: ჩუბ[ინისძესა]" (იქვე).

347 ადგილობრივი მცხოვრების სილიბისტრო ფანჯავიძის ცნობით, ეკლესიას ჩრდილო-აღმოსავლეთით აკრავს სახნავი მიწა დაახლოებით 3 ქცევამდე, რომელიც ეკუთვნის ფანჯავიძეებს (თვით სილიბისტროსაც და სხვებსაც) და რომელსაც დღეს კორსანეულს უწოდებენ. ამ სიტყვაში ზემოხსენებული გვარი უნდა იკითხებოდეს.

348 საისტ. კრ.; IV, 107.

349 იქვე.

350 ასო გ-ს ქვედა შემობრუნებული ნაწილი 1926 წელს კედელზე უკვე ატეხილი იყო და თავის ადგილსავე იდვა; 1930 წელს იგი აღარ აღმოჩნდა; ჩამოვარდნილა და დაკარგულა.

351 ს. კაკაბაძე: „შოგაი (თუ ყოგაი?) (საისტ. კრ. IV, 107).

მეოთხეს ნუსხური წარწერიდან შერჩენია მხოლოდ ორი ასო:.. და

2. სამხრეთ კედელზე საკურთხეველთან ახლოს დახატულია ორი საერო პირი: ისინი პირით დასავლეთისაკენ არიან მიქცეული; შენახულან მარტო წელზევით, დანარჩენი მოცილებული აქვთ; წარწერებიც არ შერჩენიათ.

მხატვრობა ეკუთვნის XI ს.

სიძველენი:

ეკლესიის სიძველეთათვის ზემოხსენებული რუსეთის ელჩები წერენ: „ეკლესიაში ხატები სამკაულებიანია; წმინდანის სახე და სამოსი და ხატის აშიები ნაჭედია ვერცხლზე და დაფერილია ოქროს წყალში, ხოლო შარავანდედები ადგილობრივ ხატებს ოქროსი აქვს, შემკული მინანქრით" (ტოლოჩ. 122—133). დღეს ხსენებული ვერცხლზე ნაჭედი და ოქროცურვებული ხატების მინანქრიანი ოქროს შარავანდედები სულ ალარსად ჩანს, ხოლო თვით ხატებიდან დარჩენილია ნაშთი, სახელდობრ:

1. (ქ. 1882). ფიცარზე ნახატი მიქელ მთავარანგელოზის ხატი, შეჭედილი ვერცხლით, 91×72 სმ (მაქსიმუმი ზომით), მხატვრობა მოცილებული, ნახევრად დამწვარი, დამტვრეული; ვერცხლის შემკულობა ბევრ ადგილს აგლეჯილი, დაკარგული აქვს; შერჩენია 6 თვალი, დანარჩენი აკლია. მთავარანგელოზს თავზე აქვს ასომთავრული წარწერა: მ̃ქ̃ლ.: | მთ̃რნ|გლზ|ი.:, ანუ მიქელ მთავარანგელოზი.

2. (ქ. 1883) ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი გადაკრული ფიცარზე, 27×23 სმ. ფიცარი და თვით ხატიც ძლიერ დაზიანებულია; ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს, შერჩენია 4 თვალი, დანარჩენი აკლია.

8. (ქ. 1884, 1885). წმ. გიორგის ხატები, ბრპენისა, 14,5×9 სმ, 2 ცალი, წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე, შუბით ვეშაპს გმირავს. ხატი შემკულია ბერძნულ-სომხური ასომთავრული წარწერებით; ბერძნული წარწერა მოთავსებულია ხატის ზევითა ნაწილში, სომხური ძირა ნაწილში (ა) და მარჯვენა მხარეს (ბ).

ბერძნული წარწერა:

1. . . . . . . . . .
2. ΜΕΓΑϹΑΧΑΝΗΝ V. C.
3. ΗΑΑΗΑΜΗϹ 1712

სომხური წარწერა:

ა. 1. *կանան բան՝ աաամ աադա*

2. *քորմի ք՛ի ո՛ր Գ·ի·ո·քա Զանո*

ბ. 3. . . . . *ծ*

4. *կա*

ბერძნული წარწერის მიხედვით ძეგლი ეკუთვნის 1712 წელს.

4. (ქ. 2147) რომელიღაც საეკლესიო წიგნი ხუცურად ნაწერი ფურცელნაკლები, დაზიანებული.

## გ ო რ ი

გორის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა; ნაგებია ქვიტკირისაგან; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; აღმოსავლეთის კედელს გარედან დატანებული აქვს ცხვრის თავის ქანდაკება ქვისა, რომელიც ძველი ეკლესიიდან უნდა იყოს დარჩენილი. ძველი ეკლესიიდანვე დარჩენილია ტრაპეზი, რომელსაც წინა პირად (ძირა ნახევარი) უდევს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა მცირე სვეტიანსახურავიანი შენობის გამოსახულებით.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი წ მ. გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი, 22.5×16,5 სმ (გადაკრული ფიცარზე), შემკული ფოთლის სახეებიანი აშიებით, გადმოტანილი ძველად „საელიოს სალოცავიდან“ (ეკლესიის დასავლეთით, მცირე სერზე), წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა: გმირავს ვეშაპს. ხატი ძლიერ დაზიანებულია: მისი მარჯვენა ძირა ნაწილი (ცხენის თავი მკერდამდი) სულ აგლეჯილია და დაკარგული.

ხატს აქვს წარწერები ასომთავრულად:

წმ. გიორგის თავზე

Ⴜ̃Ⴋ:· Ⴂ̃Ⴈ—წმიდაჲ გიორგი

ძირა აშიაზე:

✝ႼႫ:ႢႭ[352] ႨႱႠ: Ⴋ̃ႳႨႭ: ႫႭႵ: ႬႢႫႴ

[352] ასო ო ამა და მეორე სტრიქონშიაც ყველგან პირუკუღმა ზის.

ႵႼႢႭ: ႢႵ[353] ႫႬ: ႫႭႱ[354]ႨႱႠ: ႷႢႬႱႠ: ႫႭႴႠ
Ⴌ[355] ႱႢႫႢႱႠ .................. ႡႱႢႡႢႱႠ

ქ. წმიდაჲ გორისა მთავარო, მეოხ და მფარველ ექმენ მოსავსა შენსა მურნუსიძესა... ბასილისა.

მარცხენა აშიაზე.

ႼႣ ႢႭႰႢ: Ⴘ[356] ႤႨႼႷႪ: ႩႰႽႱႻႤ: ႢႰႢႨ:

წმიდაჲ გიორგი, შეიწყალე კარიჭისძე[357] (თუ კარჭიასძე[358]) გიორ-გი.

წარწერებში ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ასოების (ო, შ) პირუკუღმა დამწერლობა და ზოგიერთ შემთხვევაში ორი ასოს ბუნის გაერთიანება (ე და ქ, ო და ს).

ძეგლი დაბალი ხელოვნებისაა და ეკუთნის XVII—XVIII სს.

2. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული წმ. გიორგის ხატი, 46×35,3 სმ. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა: გმირავს ვეშაპს; მას თავზე აწერია ასომთავრულად: წ͠ჲ გ͠ი, ანუ წმიდაჲ გიორგი.

ეკუთვნის XVIII ს.

3. ფიცრის კარედი ხატიდან დარჩენილი შუა ნაწილი, უკარებო, 31,4×23.2 სმ. დახატულია სამი მდგომარე პირი, მათში შუაში მაცხოვარი, გვერდებზე წმინდანები (?), დაზიანებულნი (მხატვრობა ძირა ნაწილში სულ მოცილებულია).

4. (სსსმ). ბრინჯაოს კერპი ქალის გამოსახულებით, ამოღებული, ალბათ, ეკლესიის მახლობლად მიწის თხრის დროს.

## ხიმში

ხიმშის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,4×4 მ. ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; მას დასავლეთით მიშე-

353 ე-სა და ქ-ს ბუნები ერთმანეთთან არის შეერთებული.

354 ო-სა და ს-ს ბუნები ერთმანეთთან არის შეერთებული.

355 თუ სიტყვის ამოკითხვა მართალია, მაშინ შესაძლებელია მას კავშირი ჰქონდეს მურუსიძეთა გვართან, რომელი გვარიც დღესაც არსებობს. სოფ. იწა-ში (10 კომლზე მეტია).

356 ასო Ⴘ პირუკუღმა ზის.

357 გვარი კარიჭისძე გვხვდება ქ͠ცხ-ში XI ს-ში (მარ. დედ. ვ., 254).

358 გვარი კარჭიაშვილი (იგივე კარჭიასძე) გვხვდება წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში XVIII ს. (საისტ. მ., 1925, II, $21_{30}$).

ნებული აქვს (ახალ ხანაში) საქალებო (ზომა საქალებოთივე — 10,8×4 მ.), ამ მოშენებისას ეკლესიის დასავლეთი კედელი კამარად გადაუკეთებიათ (საქალებოსთან გასაერთიანებლად). ხურავს ყავარი, რომელიც საქალებოს ნახევრად გადახდილი აქვს. თავი ძველად ქვიტკირისა უნდა ჰქონებოდა; შემდეგ, ალბათ, დაქცევის გამო, ფიცრისა გაუკეთებიათ (ძველადვე); მისი საყვავე და ერთი გარდიგარდმო გადებული (აღმოსავლეთით) კოჭი შემკულია ჩუქურთმით. კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით. კარი აქვს ჩრდილოეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით—1, სამხრეთით სანათური 1, სარკმელი 2 (ეკლესიას 1, საქალებოს 1); ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; მისი წინაპირი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვით, 60×60 სმ. თავზე დიდი ქვა ადევს, სამკვეთლოც კედელზეა მიდგმული. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა (ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით); იქვე მაღლა კედელში დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი

1. (ქ. 2777). ფიცარზე ნახატი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს დ ა ს ა კ ე ც ი ხატი, 7,8×6,4 სმ, ძლიერ დაზიანებული.

2. (ქ. 2935). კონდაკი ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, დაშლილი, ფურცელნაკლები; XVIII (?) ს.

წიგნს აქვს მინაწერები ხუცურად:

ა. იოანე ოქროპირის წირვის ბოლოს ტექსტის გადამწერისავე ხელით წითურად:

„ღმერთო შეიწყალე საბრალო
ესტატე. ამინ. ამინ".

ბ. სხვა ფურცლის მეორე გვერდის ბოლოს იმავე ხელით შავად: „მომიხსენე უფალო მონა შენი ესტატე".

გ. სხვა ფურცლის წინა გვერდის ბოლოს, ძირა აშიაზე, სხვა მელნით:

„ღმერთო მოიხსენე ლეკვა ბიწაძე ცოცხლით, ცხოვრებით, დღეგრძელობით. ცოდვანი მისნი ღმერთმან შეუნდონ ამინ".

დ. იმავე (გ) ფურცლის მეორე გვერდის მარჯვენა აშიაზე სხვა ხელით:

„მოიხსენე
უფალო მაისა
შვილი დათუა".

ე. სხვა ფურცლის წინა გვერდის ძირა აშიაზე სხვა მელნით:

„ღმერთო, მოიხსენე გოჩელია ტაბ:ტაძე ცოცხლით, ცხონებით, დღენგრძელობით. ცოდვანი მისნი ღმერთმან შეუნდოს. ამინ".

ვ. სხვა ფურცლის წინა გვერდის ძირა აშიაზე:

„ღმერთო, მოიხსენე ძაღლუა ქათამაძე, ცოცხლით, ცხონებით, დღეგრძელობით. ცოდვანი მისნი ღმერთმან შეუნდოს. ამინ".

ზ. წიგნის უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე, ტექსტის ბოლოს, გადამწერისავე ხელით:

„უცბად წერისათვის ნუ მაგინებთ, ძმანო. ქართულს კონდაკზედ გადმოკწერე, რაცა დედასა ეწერა, არა დამიკლ..არა. ღმერთო მოიხსენე ესტატე კეჭაიძე, ამინ. ვინცა შენდობაჲ გვიბრძანოთ, ღმერთმან თქვენცა მოგიხსენოს, ამინ"

3. (ქ. 2836). სადღესასწაულო, ნუსხურად ნაწერი, თავში, ფურცელნაკლები, XVIII ს.

წიგნს აქვს ანდერძი (ა) და მინაწერი (ბ) ნუსხურად:

ა. უკანასკნელი ფურცლის წინა გვერდზე, ტექსტის ბოლოს ტექსტის გადამწერისავე ხელით:

„მე, ულირსმან იეროდიაკონმან, მოძღურის ძემან გაბაონელმან ოსე აღვწერი (sic) სადღესასწაულო ესე. მაგრამ, ჯერეთ გამოუცდელ ვიყავი ხუცურის წერისა და არც დედანი მაქუნდა კეთილ-ტიბიკონიანი, რაიცა ძალ-მედუა ვასწორე და ა[წ], თუ შეცუალებული იხილოთ რამე, ჩემი ბრალი არ არის: დედანს დააბრალეთ. და მე შენდობა მიბრძანე, აღმომკითხველო, რაჲთა შენდაცა შენდობა იყოს ჟამსა სასჯელისასა. აღიწერა თთუესა ივნისსა ზ (7), ქრისტეს აქად ჩღუგ (1793 წ.). ღმერთო მილხინე მე".

ბ. იმავე ფურცელის მეორე გვერდზე სხვა ხელით:

„ღმერთო, ახმარე ერისთავისძეს იოანეს ეს წიგნი კეთილ-ცხოვრებასა შინა, ამინ".

4. (ქ. 2837). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებულია, ფურცელნაკლები.

## წესი

წესი ვახუშტით არის „დაბა კარგი" (გეოგრ. 276). აქ არის ხუთი ეკლესია[359], ერთი ციხე და ერთი ციხის ნანგრევი. ეკლესიები შემდე-

---

359 უვაროვა აღწერს მხოლოდ ოთხ ეკლესიას; ჩემ მიერ მე-3 ნომრით აღწერილი ძეგლი მას გამოტოვებული აქვს (MAK IV, 120—122).

გია: 1. ველიეთის წმ. გიორგისა. 2. კვარციხის მთავარანგელოზისა. 3. წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი, წოდებული წმ. მარინედ. 4. ბარაკონის ღვთისმშობლისა და 5. ბარაკონისავე ძველი ეკლესიის ნანგრევ.. ციხეები არის — 6. მინდა ციხე და 7. ნინიას ციხის ნანგრევი.

აღვწერ ჯერ ეკლესიებს, შემდეგ ციხეებს.

I. ველიეთის წმ. გიორგის ეკლესია[360] დგას სოფლის დასავლეთით, კლდეზე. იგი ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა, 5,7×7 მ. განახლებულ-გადაკეთებული ახლო ხანში, გალესილი შიგნით და გარეთ კირით.

სიძველენი:

1. (ქ. 2724). ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატის ნაშთი — 12 მოზრდილ და 18 წვრილ ნაგლეჯად. ხატი ზომით ყოფილა 25×18 სმ (დაახლოებით). მას 1925—1927 წლებში ანთებული სანთლისაგან ცეცხლი გასჩენია: ფიცარი დამწვარა და ვერცხლის ფურცელი დაჭყლეტილ-დანაწილებულა. ნაშთის მიხედვით წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, ცხენის ქვეშ დიოკლეტიანე (?) ყოფილა განრთხმული, ხატს ჰქონია ორი ასომთავრული წარწერა 1. წმ. გიორგის წინ, მარჯვნივ (შენახულია ორი ნაგლეჯი: ერთი 6,7×5 სმ). და 2. ხატის წინა ნაწილში (შენახულია მარცხენა ნახევარი —4×12,7 სმ[361]).

პირველი წარწერა

[Ⴜ~Ⴍ] [წმიდაო] გიორგი [შეიწ]ყალე ჰევი წესისაჲ.
Ⴂ~ႢႨ[362]
[ႸႤႨႼ]
Ⴗ[363] ႪႤ
5. ႠႥ
ႼႤ
ႱႨႱ[364]

---

360 ვახ., საქ. გეოგრ., ბრ, გამ. 376; MAK IV, 120, 122. არის საბუთი, რომლითაც მარიამ დედოფალს ამ ეკლესიისათვის შეუწირავს თამაზ ხიდიშელი მისის ცოლშვილით 1800 წელს (საეკლ. საბ., II, 118).

361 1930 წელს ეს ნატეხი გატეხილი და დაზიანებული აღმოჩნდა.

362 მეორე სტრიქონი დაწერილია პირველ ნაგლეჯზე, მე-4—7 სტრიქონი — მეორეზე.

363 ასო ყ პირუკულმა ზის.

364 ორივე ს პირუკულმა ზის.

მეორე წარწერა[365]:

------ႤႪႭ: ႫႤႭႾ: Ⴃ: ႫႭႼႤ
-----ႵႤႪႭႱႬႧ: ႸႭႤႩႾႱႧႱႪႱႯႱ
-----Ⴍ: Ⴚ[8] ႩႧ[Ⴑ]: ႫႨႳႪ: ႪႩ: ႸႳႱ: ႡႭ

...[მფარვ]ელო. მეოხ და მოწ[ყალეი?] [ექმენ]... ქელოსანთ: შოთაი (?) ჩიკოტასძეს (?) ზსჯს (?)... ცინაძეს (?) მჭედელ ზენონს (?) (თუ: ზეცამან?) შეუნდოს ღმერთმან.

ძეგლი კარგი ხელის ნამუშევარია.

2. (ქ. 2725). ო დ ი კ ი, 1822 წლისა, დახეული.

3. ზ ა რ ი[366]. დაახლოებით 2—3 ფუთი.

4. (ქ. 2192). რკინის ლახტი, ექვსფრთედი; ორი ფრთა მოტეხილი აქვს.

II. „კ ვ ა რ ც ი ხ ი ს" მთავარანგელოზის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა[367], სიძველეები არა აქვს რა.

III. წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია, წოდებული წმ. მარინედ[368], დგას სავარდიის გორაკზე, ანუ ვარდისუბანში, ფილიპე გოცირიძის ეზოში. იგი ერთნავიანი შენობაა 5×3,1 მ. ნაგები ქვიტკირისაგან; დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები ისიც ნაწილობრივ დაქცეული; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით; დასავლეთი კარის ზევით არის ქვა ასომთავრული წარწერით:

+: ႫႧ~ႢႬႭႺ:· ႫႩ~ႫႭႺ:· ႼႢႤႱ:· ႧႬႤႤႴႤႳႺ[369] ႹႠႬႠ:·
ႸႤႩ:·
ႢႺႧႣႺႫႺႹႤ:· ႫႺႭ:· ႼႬ~ႭႺႱႺ:· Ⴟ: ႱႺႱႠႤႳႺႠ:·

---

[365] წარწერის პირველი და მე-2 სტრიქონები მოთავსებულია ძირა აშიის ადგილას და ნაჭედია მსხვილი ასოებით, ხოლო მე-3 სტრიქონი, უადგილობის გამო, გამოდის აშიის მაღლა, პირველი სტრიქონის ზევით და ნაჭედია საშუალო ზომის ასოებით.

[366] ზარი 1926 წელს ეკლესიასთან იყო ხეზე ჩამოკიდებული, 1930 წლის გაზაფხულს იგი ჩამოუხსნიათ და უტილ-ნედლეულად გადაუგზავნიათ ქუთაისს, სადაც ის აღარ აღმოჩნდა.

[367] უ ვ ა რ ო ვ ა ს დროს აქ ფიცრის შენობა ყოფილა (MAK IV, 121), ეკლესიის სახელი ამ გამოცემაში დამახინჯებულია „Гвард-цихе"-ა.

[368] ეკლესია აღწერილია 1926 წელს; 1930 წელს იგი დაზიანებული აღმოჩნდა: მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დაუნგრევიათ სახლის საშენებელ მასალად, წარწერიანი ქვაც ძირს ჩამოუგდიათ; უკანასკნელი დღეს ეკლესიის შიგნით ინახება.

[369] დამწერს ეს სიტყვა გამორჩენია და სტრიქონის თავზე დაუმატებია.

ႩႤႷႭ:. ႷႳ˝ႩႣ:. ႷႭႬ˝ႷႤႭ:. Ⴂ˝ႢႤ: ႠႬ:. ႷႤ:.
Ⴘ˝ႰႡႠ:. ႷႠႩႤႫႣႤ: ႢႭႺႤႣ˝ႣႤ:. ႸႠႠႦႠ: ႢႤ
5. ႷႵႭႢ. ႤႵႬႤႱႤႠႱႠ Ⴘ˝ႰႱႠ

ქ. მრავალთა მოწამეთა ყვეს ძლიერება, ხოლო შენ, გარდამატე მათ ყოველთასა, ჰოი, სასოებაო ჩემო, მთავარმოწამეო გიორგი! აწ, მე, შენდა მავედრი გოცირიძე პაატა, გიმკობ ეკლესიასა შენსა.

წარწერა ეკუთვნის XVI—XVII სს. და ეკლესიაც იმავე ხანისა უნდა იყოს.

ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია (სურ. 57—59) დგას ერისთვიანთ ეზოში; იგი გუმბათიანი შენობაა (MAK IV, 120), 15,8×12,1 მ. ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი: აღმოსავლეთით 5, სამხრეთით 3, დასავლეთით 5, ჩრდილოეთით 3; გუმბათს 12. კარ-სარკმელი და კარნიზები შემკულია ჩუქურთმით; აღმოსავლეთის კედელზე გამოქანდაკებულია დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი. კანკელი ფიცრისაა, XVIII ს. იგი ექვსრიგია. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია აღშენებულია რაჭის ერისთავის როსტომის მიერ 1753 წელს.

ეკლესიას აქვს წარწერები:

I. დასავლეთის კარის თავზე (RVA, 64—65); ქვა გატეხილია ორად (ზევიდან ქვევით); წარწერის პირველი სტრიქონი ნაწერია მხედრულად, მათგან სიტყვები კ˝ზი ბესარიონ თხზულად; ხოლო სტრიქონები 2—11 თხზული ასომთავრულით (ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი:.).

1. ქ: მჩხრეკელი[370] ქვისა კ˝ზი ბესარიონ ძმა ერისთვისა ქ˝ს 1753.
2. Ⴜ[371]:. ႵႷႰႤႬ[372]:. ႰႠႸႭႢႭ:. ႤႭႠႵႤႷႤႱႭ:. ႣႭႷႬႤႱႠ:.
ႸႭႣႤႱ:
3. ႨႸႳႠႷႭႠ[373]:. ႱႤႢႣႴႰႤႷႠႰ:. ႷႠႷႤႱႠႷႠႰ: ႡႠ:.
ႡႠႤႵႠႣ˝ႩႠ:. ႸႤႰ:. ႸႭႣႤႱ:. ႱႤႷႠႨႬႤႷႠႰ:.
4. ႨႳႠႤႢႤႱႠႷႠႰ:. ႡႠ:. ႥႭႣႺ:. ႸႤႱႥႫႭႼႬ:. ႤႵႷႰႠ:.
ႷႺႥႤႢႤႬႤ:. Ⴅ˝:. Ⴈ˝Ⴓ: ႺႥႤႢႭႼႬႤ:. ႡႠ:. ႷႸႤႱ:.

---

370 ბროსე: გამჩხრეკელი (RVA 64—65).
371 ბროსე: წ (იქვე), 64).
372 ბროსე: მართალ (იქვე).
373 ბროსე: იშუაყუა (?) (იქვე).

5. [illegible][374] [illegible]

6. [illegible][375] [illegible]

7. [illegible][376] [illegible][377] [illegible]

8. [illegible]

9. [illegible][378] [illegible][379] [illegible][380] [illegible]

10. [illegible]

11. [illegible]

„ქწ. ქმნილ-ნაშობო იოაკიმისაო, რომლისა შორის იშთამოა(?) სიბრძნემან მამისამან, და დაიკარვა შენ შორის სიმაღლემან ღმრთაებისამან და ხორც-შესხმულ იქმნა მცხებელი, ხოლო ღმერთ—ცხებული. და მყის მყოფად იქმნეს სამნივე ესე: მიღება, მყოფობა და განმღთთება სიტყვისა ღმრთისაჲ. და ესრეთ გულის-ხმა იყოფები წმიდაი ქალ წულად. ამისთვის შენ და ძისა შენისა მიერ თიხა-ზელილმან რაჭის ერისთავმან როსტომ აღვაგე ეკლესია. რძენი* დედისა ჩემისანი ილალვიდეს ჩემთვის და დამადგინეს მე მცველად ვენახთა შინა და სავენახე

374 ბროსე: განმღვთაება (იქვე).

375 ბროსე: წმიდად (იქვე).

376 ბროსეს აქ დამატებული აქვს სიტყვა: შენი (იქვე).

377 ბროსე: მამისა (იქვე).

378 ბროსე: მიცევ (იქვე, 65).

379 ბროსე: „თანა მეცხედრით ჩემი"-ს მაგიერ: თან-მეცხედრითურთ (იქვე).

380 ბროსე: წულუკიძის (იქვე).

* „რამეთუ ძენი" (ვ. ს.).

ჩემი ვერა დავიცვე, თვინიერ მფარველობისა შენისა. ამისთვის მცევ და მფარვედ თანამეცხედრით ჩემით — წულუკიძის ასულით მარიამით, და პირმშო ძით ჩემით გიორგით, და სასო ძით მეთოდით, და ასულით ჩემით: ანა, მელანია და ევფემიათურთ, დღესა მას მართლმსაჯულებისასა, ამინ.

ქრისტეს აქეთ ქრონიკონს ჩღნგ" (1753 წ.).

II. სამხრეთის კარის თავად მდებარე ქვაზე მხედრულად:

ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი:

1. ზეცისა ძალთა ერისთავთა ღ˜თის დედას მაშისათა

2. ერისთავი ძალისაებრთა შრომათა კნინუძლვენის მრთმელებ და უნი".

3. ვთოსა ცეცხლისა მტვირთველსა ნივთი ნივთსა მისი მისმიერთა მისდა.

4. ალვამკობ რათა ნივთსა შორის მყობისა ჩემისა ქმნილთა ნაცოდებთა შენდო"

5. ბა მოვიღო და განხრწნადთა წილ წარუალნი ვპოვო. აწ, რომელნი[38] ამას ჩვენ"

6. სა ნაშრომსა განიცდიდეთ, რლ˜თა გიყვარსთ[328] ღ˜თის მშობელი მარიამ, ესრეთ გვ"

7. აველრით: „ქერაბინთა[383] უმაღლესო ქრისტეს საყდარო, საყდრისა ამის ალმშენებელი

8. ერისთავი როსტომ აბრაჰამის წიაღთა განსვენებული ჰყავ და ვ˜ა სიხარულისა მიზეზ ხარ

9. დედოფალო გამოუთქმელითა საუკუნოსა სიხარულითა მარადის ახარე."

III. ჩრდილოეთის კარის თავად მდებარე ქვაზე მხედრულად[384] (ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი)

1. ქ.[385] აგემებდ სძესა ყ˜თა არსთა მზ

2. რდელსა, ქალწულო, ქმნილთა უაღრეს უწმინდესო. ტაძრის ამგ

---

381 ბროსე: რომელთა (იქვე).

382 ბროსე: გიყვარს (იქვე).

383 ბროსე: ქერაბიმთ (იქვე).

334 იქვე 63—64.

385 ბროსეს ქ გამოტოვებული აქვს (იქვე, 63).

3. ედ[386] ამგე[387] ძე შენი და მშენად მჩენი ჩემი იესო ღ̃თი ოხად მიღვაწე.

4. ერისთაკს როსტომს მეუღლით თვისით, ნაშობით მისით — ძით და ასულით, სხეულ

5. ით, სულით, მრჩობლთ ცხოვრებათა უვნებლად გვფარევდ და დღესა დიდსა მარჯვენით მდგომ[388] მყავ[389].

IV. აღმოსავლეთის მხარის ზედა სარკმლის თავზე, მარცხნივ, მცირე ჯვრის ქვეშ მხედრულად[390].

5 ბძან

6 ეთ

ქ ამისი[391] ოსტატი[392]

2 შულავრელი

3 ავთანდილ ვინც[393]

4 ნახოთ შენადობა (sic)

ეკლესიაში კანკელის წინ, სამხრეთის მხარეს, იატაკზე არის საფლავის ქვა, 2,36×1,3 მ., შემკული გარეშემო ჩუქურთმით, ხოლო გულში მხედრული წარწერით:

წელსა | ჩღდვსა | ლოდსა ამას ქვეშე | მდებარე არს ეკკ|ლესისა ამის აღმა|შენებელი რაჭის | ერისთავი სხვათა | უფროს-ტომი ნეტა|რად განსასვენებე|ლად საუკუნოდ | იყოს ხსენება | ამისი, ამინ[394].

ეკლესიაშივე, დასავლეთის ნაწილში, ჩრდილო სვეტის დასავლეთით, ოდნავ მარჯვნივ იატაკზე არის სხვა საფლავის ქვა, 1,68×0,66 მ. საფლავი შეძრულია. იგი გაუთხრიათ 1928 წელს. ქვის ზევითა ნაწილში ჯვარია გამოსახული, ხოლო მის ქვევით არის მხედრული წარწერა:

---

386 ბროსე: ამგებელი (იქვე).

387 ბროსე: ააგე (იქვე).

388 ბროსე: მდგომარე (იქვე, 61).

389 ბროსე: ყავ (იქვე).

390 იქვე, 63.

391 ბროსე: ამის (იქვე).

392 ბროსე: უსტატი (იქვე).

393 შესაძლებელია „ვინც"-ას მაგიერ ეწეროს: ვინა. ბროსე კითხულობს ვინ (იქვე).

394 მე-5 და მე-6 სტრიქონები, უადგილობის გამო, გადატანილია ზევით, პირველი სტრიქონის თავში.

ქ საფლავსა: ამას შ῀ა მდებარე თ῀ის მიქელაძის ასული მ[395]არიამ' მემც|ხედრე რაჭის (?) ერისთავის ანტონის ვიყავ განცხრომასა და სიხარულში ქრმით და თავი|თ და სამის ჩემის სასურველის ძით და ვიყავ ვი῀რე აქამ῀დმდე: მგ: წელი და მივე|ფარე საწუთოსა ამას მიწადვე საწყალობელად და ვინცა ინებოთ აღმოკით|ხვა შენდობა მიბრძანეთ და თქ῀ნცა შეგინდოს ღ῀ნ ამინ ჩყკვ: წელსა: | ნოებრის კა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2718). ხის ჯვარი (MAK IV, 121), 2,13×10,5 მ. შეჭედილი წინა მხარეს ვერცხლით (ოთხ დიდ და სამ პატარა ფურცლად), რომელზედაც ჭედილი ხატებია მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, ნათლისმცემლისა, წმ. გიორგისა და სხვ., დაზიანებული (ძირა ვერცხლის ფურცელი მოცილებულია და დაკარგული)[396].

ხატებს აწერიათ — 1. ჯვარცმას (ჯვრის გულში): თავზე — ი῀ჳ ქ῀ე მ῀ე: ჰრ῀თა, ანგელოზებს — მ῀თვრანგი, ღვთისმშობელს — ყ῀დ: წ῀ჲღ῀ის მშ῀ეი, იოანეს — ი῀ე მ῀ხი; 2. მაცხოვარს (ჯვრის ზევითა ნაწილში) — ივ ქე, მის წიგნში სწერია — მე ვრ|ნთ|ლი სო|ფლ|ისა| რლი. 3. ანგელოზს (მე-2 ნომრით აღწერილის ქვევით) — მიქ῀ლ; 4. ღვთისმშობელს (მარჯვენა მხარზე, განაპირას) — Μ῀Ρ Θ῀Υ. 5. წმ. გიორგს განკითხვას (მე-4 ნომრით აღწერილის მარცხნივ) — წ῀ჲ გ῀ი. აქა: ლაეოკლიტიანე (sic): წ῀ჲს: გ῀ის: განიკითხვს. 6. წმ. გიორგის ძელზე დაკრვას (მარცხენა მხარეზე, გულისაკენ) — წ῀ჲ გ῀ი, აქა: წ῀ჲ|: გი: ძელზედა: დაკრეს. 7. ნათლისმცემელს (მე-6 ნომრით აღწერილის მარცხნივ, განაპირას) — ი῀ე ნათლ῀ცი. 8. წმ. გიორგის (ჯვრის ქვევითა ნაწილში, გულთან ახლოს) — წ῀ჲ გ῀ი. 9. წმ. გიორგიზე ლოდის დადებას (მე-8 ნომრით აღწერილის ქვევით) — ლოდი: რომელი. დასდვე|ს: მკერდს: წა῀ს: გ῀ი: სპყრობილს. 10. წმ. გიორგის კირში ჩაგდებას (მე-9 ნომრით აღწერილის ძირს) — აქა: წ῀ჲ: გ῀ი: კირშინ ჩაგდეს.

მე-9 ნომრით აღწერილი ხატის (წმ. გიორგის მკერდზე ლოდის დადების) ქვეშ არის ასომთავრული წარწერა (RVA, 64):

---

395 ასო მ ასომთავრულით არის დაწერილი.

396 ჯვრისათვის შეჭედილობა ჩამოუხსნიათ ერთხელ 1923 წელს (იგი მერმე ისევ დაუჭედიათ), მეორედ — 1927—28 წლებში (მაშინ დაკარგულა მე-8 ვერცხლის ფურცელი); დღეს ის ახლად არის დაჭედილი ჯვარზე.

Ⴜ̃Ⴈ· ႢႨ· ႸႤ· ႭႵႰႭႫႽႤႣႤႪ̃Ⴄ· ႫႠႬႤ[397]· ႫႤႺႾႤႣႰႨႧႭႳႰႠ

წმიდაო გიორგი, შეიწყალე ოქრომჭედელი მამნე, მეცხედრითურა.

ძეგლი ეკუთვნის XII ს.

გადმოცემით ჯვარი გადმოტანილია გელათიდან.

2. (ქ. 1905), ხის ჯვარი (MAK IV, 121), 43,5×21,5 სმ. შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით, ათონის ხელოვნებისა, ეკუთვნის XIX ს.

3. რქის ჯვარი, 17×9,5 სმ. შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით.

4. (ქ. 2719). ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი[398] (MAK IV, 121), 50,5×39,7 სმ. შემკული ვერცხლის აშიებით და შარავანდედით, რომელთაც უზის 35 მანდის თვალი (აკლია 3 თვალი), 17 დიდ-პატარა ფერადი თვალი, 7 მინანქრიანი წრე (აკლია 1 წრე) და მარგალიტის მძივები (აკლია). ხატს აწერია: M͞P ΘΥ͞.

5. (ქ. 2720). მინაზე ნახატი ჯვარცმის ხატი, 46×36 სმ. გატეხილი 4 დიდ და 4 წვრილ ნატეხად; ზის ხის ჩარჩოში.

6. (ქ. 2721) ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 27×19 სმ. შემკული ვერცხლით (აშიების მხარეს), რომელზედაც ყვავილებია გამოსახული. ხატს აწერია: M͞P ΘΥ͞ I͞HC X͞C.

7. (ქ. 2722). ფიცარზე ნახატი წ მ. ე ს ტ ა ტ ე ს ხატი, 37×30 სმ, დაზიანებული. აწერია: Ⴜ̃Ⴀ: ევსთავი.

8. (ქ. 2723). გარდამოხსნა, 64×74 სმ, ოქრომკედით ნაკერი, ჩვეულებრივი წარწერით სლავურ ენაზე.

9. [399]დაფარნები (?), ოქრომკედით ნაკერი — 3 ცალი. ხატებს სლავურად აწერიათ.

10. (ქ. 1906). ხელსახოცი, ძველი ხელოვნებისა, დაზიანებული; XIX ს.

11 (ქ. 2763). ალსარების სიები.

---

397 ბროსე: მმნი (იქვე); მასვე ეს სიტყვა ფრანგულად ამოკითხული აქვს მამანი-დ (იქვე).

398 1925 წელს ხატზე ჩამოკიდებული იყო ძველი აღმოსავლური ფული ოქროსი (?) 1 ცალი და ბეჭდები 10 ცალი: 1930 წელს არც ერთი მათგანი ადგილას აღარ აღმოჩნდა; ყველა დაღუპულა.

399 მე-3 და მე-9 ნომრებით: აღწერილი სიძველეები (რქის ჯვარი და დაფარნები) 1925 წელს ეკლესიაში ინახებოდა; 1930 წელს იგინი ადგილას აღარ აღმოჩნდა; ორივე დაკარგულია.

12. ხის საწიგნე, ძველი ხელოვნებისა.

13. ხის სასანთლე, ძველი ხელოვნებისა, 3 ცალი.

14. ხის სკივრი, ძველი ხელოვნებისა[400].

V. ბარაკონის ძველი ეკლესიის ნანგრევი (МАК IV, 121) დგას გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხის გასწვრივ; იგი ერთნავიანი შენობაა, 6,4×3,2 მ, ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები უთაღოდ; შიგნით ნანგრევით არის სავსე. უვაროვა იხსენიებს ეკლესიას და მის კანკელს (იქვე), დღეს კანკელიდან აღარაფერი დარჩენილა; ადგილობრივ პირთა ცნობით, მისი (კანკელის) შესანიშნავი ორნამენტიანი თაბაშირის ფიქალები აღრევე ვიღაც რუსს ძალადობით მოუხსნია და რუსეთში წაუღია, ეჭვი არ არის იმავე უვაროვას დავალებით.

ხის ჯვარი, რომელსაც იხსენიებს დასახელებული პირი, ეკლესიაში აღარ აღმოჩნდა.

ეკლესიის დასავლეთ-სამხრეთით არის ზუბაშვილების სამარხი. აქ უნდა იყვნენ დასაფლავებულნი (?) ცნობილი მესტამბენი რომანოზ და მისი შვილი დავით; დღეს მათი წარწერა არსადა ჩანს.

VI. ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის გასწვრივ, ჩრდილოაღმოსავლეთით, მცირე მანძილის დაშორებით, მდ. ლუხუნის მარცხენა მხარეს, წესისავე უბნის „მოჯალაბეების“ ზევით, კლდოვან გორაკზე დგას ისტორიაში კარგად ცნობილი შესანიშნავი მინდა ციხე[401]. ვ ა ხ უ შ ტ ი წერს: „ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩრდილოდ არს ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისგან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა: ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისათვის“-ო (გეოგრ. 376, 378). ციხე ნაგებია ქვიტკირისაგან; იგი დღესაც კარგად არის დაცული; შესავალი კარი აქვს სამხრეთის მხრიდან. ციხის შიგნით არის ერთნავიანი ეკლესია, 3,5×2.8 მ, ნაგები ქვიტკირისაგანვე.

---

400 ძველად ეკლესიაში ყოფილა: 1. ფილონი, ნაკერი ოქრომკედით, შემკული ვერცხლის სამკაულებით, მოტანილი საბერძნეთიდან და 2. ხატებიდან დარჩენილი თელები, ერთი მცირე კოლოფი. ესენი დაკარგულა 1895 წელს.

401 ტ ო ლ. 113, 184. უვაროვა ამ ძეგლს იხსენიებს Лухумский (sic) замок-ად, ანუ ლუხუმის (უნდა იყოს ლუხუნის, მდ. ლუხუნიდან) ციხე-კოშკად და მისი ნამდვილი სახელი (მინდა-ციხე) კი აღნიშნული არა აქვს (МАК IV, 120).

VII. წესშივე ვახუშტი იხსენიებს ნინიას ციხეს: „აქავ (წესს), რიონის კიდეზედ, არს ნინიას ციხე, კლდესა ზედა შენი"-ო (გეოგრ. 376). ასეთი სახელი ადგილობრივ არც ერთ ციხეს არ შერჩენია, ხოლო ადგილმდებარეობის მიხედვით ეს უნდა იყოს სოფლის მთავარ უბანში, ფოსტის შენობის მახლობლად, კოტე ზურაბის ძე მაისაშვილის ეზოში მოყოლილი, რიონის კიდეზე მდგარი ციხე, რომელიც დაუნგრევიათ 1915 წლებში; დღეს მისი ნანგრევიღა არის. ციხეში ძველად ეკლესიაც ყოფილა.

წესის მცხოვრებ ანეტა ფირანის ასულის ზუბაშვილის მიერ შემოწირული სიძველენი:

1. (ც. არქ. ფ. 234, № 162). მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის წერილი, მიწერილი გაიოზისადმი 1796 წელს. დაბეჭდილი მხედრული ასოებით. ერთ ფურცელზე (წინა გვერდზე), 34×20,4 სმ, დაზიანებული (მარჯვენა მხარე მოხეული და დაკარგული აქვს, რის გამოც ტექსტს აკლია); სასვენ ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი, დაბეჭდილია ზუბაშვილის მიერ თავის ახლად გამართულ სტამბაში, მოზდოკს, 1796 წელს. იგი ამონაბეჭდს უნდა წარმოადგენდეს.

## ტექსტი

]უჳმართლ[402][ორწმუნესსა და უჳკეთილმსახურესსა და ქრისტესმოყვარესა უჳთვიმპყ[რობელსს]ა დიდსა ჴელმწიფესა ჩვენსა გჳრგჳნოსანსა და ყ̃დ ამაღლებულსა ეკატირინა [ალექსეევნ]ასა იმპერატრიცასა და თჳთმპყრობელსა ყ̃ისა რუსეთისასა და სხუათა მე[ფეთ მეფე]სა] ჴელმწიფესა და მფლობელსა. მოეც ღ̃თო კეთილდღეობითი მშჳდობიანი [მეფობა] და ცხოვრება და ყოველი კეთილი შემწეობა, მტერთა ზ̃ა ძლევა და დევნა. [დაიცევ ი]გი მრავალ ჟამ̃ერ:

[მათს უჳმაღლ]ესობასა[403] ჴელმწიფესა და წმიდათა მმართებელთა სინოდ(თა) მისთა: [დადგინებულთა] ერთა თჳისთათჳს სულიერ მწყემსად და უფლად: ყ̃დ უსამღვდელო[ესო არქი](ერ)[ო] გაიოზ, მწყემსო კეთილო და უფალო მწყემსთაო.

[საღმრთო] მადლი თქვენი უხმარსა გონებასა და სიტყვასა ჩემსა:

[მწყემსო კ]ეთილო, წარწყმედულთა ცხოვართა: აჰა მგელთაგან შეცთომილი უხმარი მონა, [რომელი გ]ახლდი მათის უმაღლესობის

---

402 სიტყვა აღდგენილია ზუბაშვილის მართლწერის მიხედვით.

403 სიტყვა აღდგენილია ზუბაშვილის მართლწერის მიხედვით.

საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უკანასკნელი [და ყოველთა] უნარჩევესი მოსამსახურე მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომაგდო [და დამაბნ]ივა ვ˝ა ცხოვარი და განმაშორა მწყალობელსა ბატონსა, მეგობართა და თკი[სთა, გამომტ]ყორცა ვ˝ა მშვილდმან ისარი მსწრაფლ დაუყოვნებელად ამ უცხოობასა შ˝ა გა[ნმაგდო] ყოვლის ნივთისა და საზდოსაგან ცარიელ ქმნილი: მოწყალემან ღ˝თნ მი[ზეზთა მიზე](ზ)მან იესომ სახიერმან, და დედამან მისმან მარიამ. მშიერთა გამამზდ[ელმა შიშ]ველთა სამოსელმა. ჩემთვის ნუგეშად აღმოგაჩინათ. და მიტვირთეთ შეცთომი[ლი ცხოარი] ნუგეში მეცით და მრქვი მე „არა მნებავს უქმ ყოფნა შენი“-ო. „წარვედ და იქმოდე [საქმესა ჩ]ემსა და რომელიც სამართალი იყოს მიგცე შენ“. დავემორჩილე ბრძანებასა [თქვენსა და] დავიწყე მუშაკობა და აღვასრულე[404] ბრძანება თქვენი: დარა[405] დაკმალე ვეცხლი ქვეყანია[406] სიღრმესა ა˝დ აღნადგინებით მოვართვი ყ˝დ უსამღვდელოებასა თქვენსა დაიხილეთ წინა მდებარე წერილი ესე ნატჳფრი პრობა, და თუ უმეცნიერესი გონება თქვენი გაჰშინჯავს მრავალსა ნაკლულევანებასა აღმოაჩენს ბეჭედსა ამას შინა. მაგრამ მოწყალებით შემინდევით თვით თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს რომ რომელიც ამ ჴელოვნების საკადრისი ასოს მოსაჭრელი იარაღია არა მქონდა. მეორე ესა რომ ჩემნი ამხანაგნი რომელნიც პირველსა მათის უმაღლესობის სტამბასა შინა ვიმყოფებოდით იგინი ჩვეულებისებრ ჩემთანა არა ილვწიდნენ. თუმცა წერილისა ასოსა წარმამადგინებელი იქაც მე გახლდი, მაგრამ ჩამომხსმელნი მწერალნი დაზგის მმრთველნი მჭედავნი სხვანი გაჴლდნენ. და აწ ესე ყოველნი ჴელოვნებანი სტამბისა ამის მარტომან ვიმუშაკე და განვმართე საბეჭდავი ესე და არცა გონება ჩემი ჩემთანა არა იყო შემოკრებული დიდის მწუხარებისაგან ვითარცა მმართებს. სამკვიდროს მოვშორდი და ამა სიღარიბესა და უცხობსა[407] შინა ვიმყოფებოდი. განსაჯეთ თუ ვთარი[408] გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა: ესეცა მოხსენდეს ყოვლად უსამღვდელოესობასა თქვენსა სამჭირნო არს სტამბისა ამის თუმცა მზათ გასწავლებულთა მბეჭდავთა ინებბთ[409] მოყვანასა უმჯობესი იქნების: თუ არ

---

404 უნდა იყოს: და აღვასრულე.

405 უნდა იყოს: და არა.

406 უნდა იყოს: ქვეყანისა.

407 უნდა იყოს: უცხოობასა.

408 უნდა იყოს: ვითარი.

409 უნდა იყოს: ინებებთ.

ინებებთ და უსწავლელთ კაცთ განაწესებთ ისიც ნება თქვენია ახლავ ინებთ[410]. რომ ისწავლონ რამე მწერალმან წერა მბეჭდავთა ბეჭდვა ყოველთა თავთავისი საქმე ვასწავლო. და მე განმათავისუფლოთ და თუ სხვას წერილს ინებებთ რასმე საცა გახლდებ მიბძანეთ და მზა გახლავარ სამსახურსა შინა. დაუყოვნებელად აღვასრულებ ბრძანებასა თქვენსა ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო.

ქ˜ეს აქეთ ჩღჟვ თვესა ოკდომბერსა ა˜გაიმართა და დაიბეჭდა სტამბა ესე მოზდოგის ქალაქს ჴელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა.

წერილს აქვს მინაწერები:

1. მარჯვენა აშიაზე (ძირა ნაწილში) —
მოწერილ არს და უკეთუ მაა. . . . ჩმდა
მომართ სარწმუნო | არს და მე. . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . ხსნა|

მინაწერი წერილის ავტორს რ. ზუბაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

2. ძირა აშიაზე (მარცხენა ნაწილში) მინაწერი გათხუპნულია და არ იკითხება.

წერილს დაზიანებისა გამო უკანა მხარეს გადაკრული ჰქონდა ქაღალდის ნახევები, რომელთაგან ორი სხვა რომელიღაც წერილის ნაშთი აღმოჩნდა (ზომით არის 8,3×9,6 სმ).

აი მისი ტექსტი:

„გელათში დარია მონაზონს კოლოფი | აბარია იმაჩი მაქვს სამი თამასუქის წიგ|ნები თეთრის სჯულის კანონი სმა|რთლის წიგნი ერთი აბაზის ქაღა|ლდი წინდები პიჯები შა(ლ)ის ნაჭერი წვ|ივსაცმელი რუვა პეტერა ფირფიტებისაც | ძაფები (ეწყო) რაღაც წიგ(ნებ)ი (დეს ამაში) | ერთი კარდალი ორი ბოთლი | ერთი დიდი მეორე პეტ(ე)რა ორი ძ(ველ) | ჩოხები ძველი ჩოხები მომიტანე | რუსული წიგნი კონდაკ[ი] (მომიტანე) | და ძველი (ძ)ო“[. . . ].

წერილი შეიცავს მოზდოკში ქართული სტამბის დაარსების ისტორიას. იქ სტამბის დაარსება განუზრახავს ცნობილ მოღვაწეს გაიოზს, რომელსაც მისი (სტამბის) გამართვა დაუვალებია ტფილისიდან ლტოლვილ ცნობილ მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათვის. უკანასკნელს შეუსრულებია გაიოზის დავალება: ჩამოუსხამს ასოები, მოუწყვია საქმე. დაუბეჭდავს თავისი წერილი და ნიმუშად, ანუ სინჯად

---

410 უნდა იყოს: ინებებთ.

(„ნატვრი პრობა") წარუგზავნია გაიოზისათვის, რომლისაგანაც მოელის განკარგულებას საქმის თაობაზე; ე. ი. აქ ვხედავთ სტამბის დასაწყისს, ანუ მის დაარსებას. ეს ფაქტი უდიდესი მნიშვნელობისაა. ამ მხრივ წერილი მეტისმეტად ძვირფას და მრავალმხრივ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს; იგი აშუქებს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის რამდენსამე საკითხს, რომელიც დღევანდელამდე ბურუსით იყო მოცული.

თავდაპირველად, წერილი არკვევს მოზდოკის სტამბის საკითხს. დღემდე გარკვეული არ იყო, არსებობდა მართლა მოზდოკში ქართული სტამბა, თუ არა? ზოგიერთი მკვლევარი აღიარებდა არსებობას, ზოგი კი უარყოფდა[411]. არ იყო ამისთვის არავითარი ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი. დღეს კი ხსენებული წერილი, მოზდოკის სტამბაში დაბეჭდილი პირველი ფურცელი — სინჯი, სავსებით ნათელს ჰფენს საკითხს: აშკარავებს მოზდოკში ქართული სტამბის არსებობის ფაქტს.

შემდეგ, წერილი იძლევა ცნობას (ნიმუშს), თუ რავვარი იყო თავისი ფორმა-მოყვანილობით მოზდოკის სტამბის შრიფტი, რომლის არც ერთი ასო დღემდის ცნობილი არ იყო[412].

ეს საკითხი კი ვგონებ არკვევს გაიოზის გრამატიკის დაბეჭდვის ადგილსაც. ამ გრამატიკის მხედრული შრიფტი ძლიერ ემსგავსება წერილის შრიფტს; ოდნავი განსხვავების ელფერი, რომელიც მას ემჩნევა, ქაღალდის სხვაობის ბრალი უნდა იყოს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში გრამატიკის ხუცური ასოებით დაბეჭდილ ნაწილს, რომლის შესამოწმებლადაც ჯერჯერობით სხვა რაიმე წყარო არა გვაქვს, მარტო მხედრული შრიფტის შედარება საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ხსენებული გრამატიკა მოზდოკის სტამბაში უნდა იყოს დაბეჭდილი.

უკანასკნელ, წერილს სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს; მასში ნათლად ჩანს იმ დროის პოლიტიკური მდგომარეობა. საქართველო გაუერანებული ყოფილა (1795 წ. აოხრების შემდეგ); ამ გაუერანებას არა ერთი და ორი მკვიდრი გადაუტყორცნია უცხოეთს, მათ შორის სტამბის გამმართველი რ. ზუბაშვილიც.

---

411 მკვლევართა უმრავლესობა პირველი აზრისა იყო, უმცირესობა კი მეორისა; უკანასკნელისგან დავასახელებ განსვენებულ დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ს (იხ. მისი ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ., 62).

412 აღნიშნული შრიფტი სიუცხოო მოყვანილობისაა და დღევანდელი ხმარებისათვისაც კი მისაღებია.

წერილი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მიწერილია სტამბის დამაარსებელ გაიოზისადმი; უკანასკნელი არის ცნობილი გაიოზი, მოზდოგის ეპისკოპოსი[413]; ეს პირი, როგორც წერილიდან ჩანს, სტამბის დაარსების ხანაში მოზდოგის გარეთ უნდა ყოფილიყო.

წერილის ავტორი რომანოზ ზუბაშვილი ცნობილი ისტორიული პირია. ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. თავდაპირველად იგი მოღვაწეობს ტფილისს, მერმე მოზდოგს, შემდეგ ქუთაისს და ბოლოს წესს. მის მიერ დაბეჭდილია მრავალი წიგნი. ტფილისს, ქუთაისს და წესს დაბეჭდილი წიგნების უმრავლესობა ცნობილია, ხოლო მოზდოგისა კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაიოზის გრამატიკას, რომლის დაბეჭდვის ადგილიც დღემდის გამოურკვეველი იყო, არც ერთი. ეს დანაკლისი რამდენადმე ზემომოყვანილმა წერილმა შეავსო.

საქართველოდან მოზდოგს რ. ზუბაშვილი, როგორც ეს წერილიდან ირკვევა, უნდა გადასულიყო აღამაჰმადხანის მიერ ტფილისის აოხრების (1795 წ.) შემდეგ, როდესაც სხვათა შორის განადგურებულ იქნა მისი სტამბაც (მის ამავე ხანს რუსეთს გადასვლას უჩვენებს განსვენებული დ. კარიჭაშვილიც: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 112); წერილში იგი ემდურის ქვეყნის სიმუხთლეს, მის სიავეს და თავის უმწეო მდგომარეობას შემდეგი გულსაკლავი სიტყვებით მოგვითხრობს: „საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უკანასკნელი... მოსამსახურე მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომაგდო [და დამაბნ]ივა ვ ა ცხოვარი და განმაშორა მწყალობელსა ბატონსა მეგობარსა და თვი[სთა. გამომტ]ყორცა ვ ა მშვილდმან ისარი მსწრაფლ დაუყოვნებელად ამა უცხოობასა შ ა . . . გონება ჩემი ჩემთანა არა იყო შემოკრებული დიდის მწუხარებისაგან... სამკვიდროს მოვშორდი და ამა სიღარიბესა და უცხოჵსა შინა ვიმყოფებოდი განსაჴეთ თუ ვთარი გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა“ და სხვა.

შემდეგში რ. ზუბაშვილი ისევ საქართველოს უბრუნდება. 1803 წელს სოლომონ II-ის მოწოდებით იგი გადმოდის ქუთაისს; იქ აწყობს სტამბას და ბეჭდავს წიგნებს. ბოლოს, 1810 წელს ქუთაისიდან გადადის წესს, სადაც განაგრძობს იმავე საქმეს; 1811 წელს წესს დაბეჭდილი გამოკრებილი სადღესასწაულოს მინაბეჭდიდან ირკვევა, რომ იგი

---

413 ცენტრარქივში დაცულ კირიონის პირადი არქივის ფონდში არის საქმე (№ 19 — გაიოზ, მთ.-ეპ. ასტრახანისა), საიდანაც ჩანს, რომ გაიოზი მოზდოგის ეპისკოპოსად ყოფილა 1793—1799 წლებში (კირ. ფ. 236:, № 19, ფურც. 21).

გარდაცვლილა ამ 1811 წელს. მისი ჩამომავლობა დღეს იმავე წესს ცხოვრობს[414].

---

414 აქვე უნდა შევეხო რომანოზ ზუბაშვილის გვარ-შთამომავლობას. ამ პირის ჩამომავალნი დღეს იწერებიან ზუბოვებად; ხალხი მათ მეორე გვარსაც უწოდებს — მესტამბიშვილებს. ისინი თავიანთ თავს რუსის ჩამომავლად თვლიან. ეს აზრი, ე. ი. ზუბაშვილის რუსული ჩამომავლობა, როგორც ეს დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ-მ ა ც აღნიშნა (ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ.), ლეგენდა უნდა იყოს. ხსენებული პირი (დ. კარიჭაშვილი) ამას იმ გარემოებითა ხსნის, რომ „რომანოზ ზუბაშვილი სოლომონ II-მ გამოიწვია რუსეთიდან, სადაც ცხოვრობდა ქართლიდან 1795 წლის შემდეგ წასული. რუსეთში ყოფნისას რომანოზი და მისი ოჯახის წევრები რუსულს ისწავლიდენ, ზოგ რუსულ ჩვეულებებსაც შეითვისებდენ და გვარსაც რუსულ დაბოლოებას (ზუბოვი) მისცემდენო (იქვე, 112—113). ეს შემცდარია: რომანოზ ზუბაშვილი არც რუსეთში ყოფნის დროს და არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ არსად გვარს არ იცვლის და ყველგან (თავის დაბეჭდილ წიგნებში) თავის თავს რომანოზ ზუბაშვილად ან რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილად აცხადებს (იხ. ზემოთ დაბეჭდილი წერილი, აგრეთვე ქუთაისს და წესს დაბეჭდილი წიგნების მინებეჭდები). შემცდარია აგრეთვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ც, რომელიც ფიქრობს, რომ „შესაძლებელია ზუბაშვილი ერეკლეს დროს გაქართველებული რუსი ყოფილიყო“ (ქართ. წიგნი 1629—1929, 95—76, შენ. 7). ზუბაშვილი რუსი რომ ყოფილიყო, იმ დროს, როდესაც მაღალ წრეებში დიდი მიდრეკილება იყო თავიანთი გვარები რუსული დაბოლოებით შეეცვალათ (ამილახოროვი, ქობულოვი, შალიკოვი და სხვ.), რუსი ქართულად არ შესცვლიდა თავის გვარს, ეს ერთი მეორეც, რომანოზს რომ რაიმე ნათესავობა ჰქონოდა რუსებთან ან რუსეთთან, მაშინ იგი რუსეთში გადასვლით ასე დამწუხრებული არ იქნებოდა, როგორსაც მას ვხედავთ მის წერილში; „მუხთალმან სოფელმა... განმაშორა... მეგობართა და თვისთა. [გამომტ]ყორცა.., ამა უცხოობასა შ˜ა... სამკვიდროს მოვშორდი“-ო, ე. ი. — „თვისი“ მას საქართველოში ჰყავს, რუსეთი მისთვის „უცხოობაა“. და საქართველო კი „სამკვიდრო“; ცხადია, რომ იგი ქართველია შთამომავლობით.

რუსის შთამომავლობის ლეგენდა უნდა შეექმნა რომანოზის შთამომავლობას. მაგრამ როდის და რა საფუძვლით? საფიქრებელია, რუსეთის საქართველოში გაბატონების პირველ ხანაში, როდესაც, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნე, ზოგიერთ წრეებში არსებობდა რუსული მიმართულება. რომანოზის რუსეთიდან დაბრუნების ფაქტს, რომელსაც გადააკეთებდენ რუსეთიდან ნოსულად და სხვ. გარდა ამისა, ლეგენდის შემქმნელ პირს, ეჭვი არ არის, გაგონილი ექნებოდა რუსეთის დიდი მოხელის გრაფ ზუბოვის ვინაობაც და, ალბათ, მისი თანამოგვარეობა პატივად მიიჩნია და შექმნა ეს ლეგენდა.

აი რით უნდა ავხსნათ ზუბაშვილების რუსობის ყალბი ისტორია.

ზუბაშვილის ზუბოვთან დაკავშირება არც ენათმეცნიერული მხრით არის მაინცდამაინც საჭირო. ზუბა ქართული ძირისაა: ლეჩხუმში არის სოფელი ზუბი; ცნობილია სახელი ზუბიტა; გარდა ამისა ძველადვე არსებობს გვარი ზუბიაშვილი, რომელიც გვხვდება 1714 წლის საბუთებში (ცენტრარქივი, ფ. 226, № 5452, 5453, 5455) და სხვა.

2. (ქ. 2726). სპილენძის ყალამდანი, დაზიანებული.

წესის თემის აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ანთიმოზ ელბაქიძის მიერ შემოწირული.

(ქ. 1889). სოფელ იწაში ძველად გზის გაყვანის დროს აღმოჩენილი აღმოსავლური ფული ვერცხლისა—1 ცალი.

წესის მცხოვრებ ფილიპე გოციროძის მიერ შემოწირული:

(ქ. 2204). განკითხვა ქრისტესი. დაბეჭდილი სურათი, ძველი რუსული სტამბისა; ძლიერ დაზიანებული.

## მეჭვრეთი

მეჭვრეთის ეკლესიის ნანგრევი მდებარეობს მდ. ლუხუნის ხეობაში, სოფ. ლიხეთის ჩრდილოეთით 1 ვერსზე, ხევების სერულისა და ხეორის შესართავთან, გორის დაბალ კალთაზე, ბუნებით მშვენიერ ადგილას. ხსენებული ლუხუნის ხეობის „შენობას", ანუ მოსახლეობას იხსენიებს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, რომელიც წერს: „ყოფილა ლუხუნის ჴეობა-ზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისა-გან სვანთა არღა-რა და ოჴერ არს" (გეოგრ. 376).

ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 10×5,8 მ, რომელსაც სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მიშენებული აქვს გალერიები. დღეს შენახულია მხოლოდ ეკლესიის კედლები და ჩრდილოეთი გალერია[415] დაზიანებული თაღით (დასავლეთი ნაწილი ჩაქცეული აქვს), დანარჩენი ნაწილისა კი მხოლოდ ნანგრევიღა მოჩანს. ეკლესიის კედლები დაფარულია სუროთი; იატაკი 1 მ-ზე ნანგრევით არის სავსე. უფრო მეტი ნანგრევია ჩრდილოეთ გალერიაში. ეკლესია ნაშენია ტინის სწორპირიანი და შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; შირიმში შეხმარებული აქვს კარ-სარკმელს, კუთხეებს და პილასტრებს; კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სარკმელი შერჩენილია მარტო აღმოსავლეთ მხარეს. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა დღეს ნაშთადღა არის, ჩრდილოეთ კედელს კირზე ემჩნევა მხატვრობის კვალი: შენახულია წითელი მკრთალი ფერები.

ეკლესია დაუზიანებიათ 1929 წელს: იგი უნგრევიათ და მისი მასალა უზიდიათ ლიხეთის სკოლის ასაშენებლად. განსაკუთრებით დან-

---

[415] ძეგლი აღწერილია ჩემ მიერ 1930 წლის ზაფხულს.

გრეულია სამხრეთი და დასავლეთი კარები და აღმოსავლეთი სარკმელი.

ხსენებული ნანგრევებიდან წაღებულ და სკოლის ადგილას დაგროვილ ქვებში სიძველეთა დაცვის ადგილობრივ რწმუნებულს მასწავლებელ ამბერკი ჯაფარიძეს უპოვია შირიმის ქვა, 50×73,5×18 სმ, შემკული ზევითა და გვერდის აშიების ადგილას ჩუქურთმით, ხოლო გულში ნუსხური წარწერით, ძლიერ დაზიანებული: ბევრი ადგილი ამომტვრეულია, გარდა ამისა ქვის ბუნებრივი ღრუებიც ძლიერ სჳრის წარწერას[416].

წარწერა:

- - - - - - -ⴑ: - - - -
- - - - - - - - - - ⴉⴍⴑ
- - - - - ⴔ - - - - -
- - - ⴑⴀⴊⴍⴚⴀⴅⴀⴃ
5. ⴙ[ⴅ]ⴄⴌ ⴂⴀⴈⴑⴀⴌⴈⴌⴈⴑ
ⴀⴇⴣⴑ-ⴚⴑ-ⴇⴈ
- - ⴀⴅ - - ⴈⴅⴈⴇ|ⴞ|ⴅⴇ

...ს...კოს. ფ.. სალოცავად ჩვენ გაისანინის|ათჳს (?) -ცს-თი-ავ-ივით[ხ]ვთ(?)

ეკლესიის დასავლეთით არის დიდ შენობათა ნანგრევები, სადაც ბერების საცხოვრებელი ბინები უნდა ყოფილიყო; ძველად აქ მონასტერი ყოფილა.

ეკლესიასა და სხვა შენობებს გარშემო გალავანი ჰქონია, მისი დღეს ნაშთიღა მოჩანს. აქვე არის დიდი ხნის ტყე, რომელსაც ურევია ბზის ხეებიც.

## აბარი

აბარის თემის სიძველეთა დაცვის რწმუნებულის მასწავლებელ ამბერკი ჯაფარიძის მიერ გადმოცემული, სოფ. ხივშს მიწაში აღმოჩენილი ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2681). ბრინჯაოს მცირე იარაღი, ორპირი, 2 ცალი.
2. (ქ. 2682). ბრინჯაოს ზრო (ისრის წვერი), 1 ცალი.

---

416 შირიმის ქვა წარწერა-ჩუქურთმისათვის სრულიად უვარგისია და ამგვარ ქვებზე ასეთები ძლიერ იშვიათადაც გვხვდება.

3. (ქ. 2683). რკინის ზრო (ისრის წვერი), 2 ცალი.

4. (ქ. 2684). ბრინჯაოს ცული, 1 ცალი.

(ქ. 2685). ბრინჯაოს ცული, ყუამოტეხილი, 1 ცალი.

6. (ქ. 2686). ბრინჯაოს სამკაული, გატეხილი სამად, 1 ცალი.

7. (ქ. 2687). ბრინჯაოს ქინძისთავი, 1 ცალი.

აბარის მცხოვრებ ფილიპე როსტომის ძე ლობჯანიძის მიერ შემოწირული სიძველენი, აღმოჩენილი აბარსაკე ადგილ „დაბილაში“:

1. (ქ. 2687). ბრინჯაოს რაღაც ნივთი (რგოლები).

2. (ქ. 2676). ბრინჯაოს რაღაც ნივთი ცხვრის თავის გამოსახულობით.

3. (2680). ბრინჯაოს ნივთის ნატეხი.

## მუხლი

მუხლის მცხოვრებ ზაქარია ანდრიას ძე ალაძის მიერ შემოწირული ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 2773). ბრინჯაოს ზოდი 30 გირვანქამდე, აღმოჩენილი მდ. ბარულას პირას 1929 წელს.

## სხვავა

სხვავას არის ორი ძეგლი: კვარაციხე და „ძელი ჭეშმარიტის“ ძველი ეკლესია.

1. კვარაციხე[417] დგას სხვავას დასავლეთით 1 1/2-2 ვერსის მანძილზე, პატარა უბანთან, მაღალ ფრიალო კლდეზე; იგი დიდი შენობაა, ნაგები ქვიტკირისაგან; შესავალი აქვს მხოლოდ დასავლეთის მხრიდან. შიგნით გალავანში არის სხვადასხვა შენობები: 1. მრგვალი ორსართულიანი ქვიტკირის კოშკი, წოდებული მეფის სასახლედ; 2. ეკლესია, ნაგები თლილი ქვისაგან, 4,3×3 მ; 3. დუღაბის აუზი წყლისათვის და სხვა შენობები და შენობათა ნანგრევები.

---

417 ტ ო ლ., 105; ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ. 376; უ ვ ა რ ო ვ ა თავის აღწერილობაში იხსენიებს სხვავას მახლობლად ფრიალო კლდეზე მდგომ ციხესიმაგრეს ეკლესიის ნანგრევით, რომელიც აღწერილობის მიხედვით კვარა-ციხე არის; ხსენებული პირი მას შეცდომით კვირიკეწმინდას უწოდებს (MAK, IV, 127).

2. „ძელი ჭეშმარიტის“ ძველი ეკლესია ერთნავიანი შენობაა[418], 6.4×3.6 მ, ნაგები ნაწილობრივ თლილი შირიმის ქვისა და ნაწილობრივ სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; იგი დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო დაზიანებული კედლები, თაღი კი სულ ჩამოქცეულია. აქვს ორი კარი: სამხრეთით და დასავლეთით; ეკლესია განახლებული ყოფილა: ჩუქურთმიანი ქვები უწესრიგოდ არის ჩატანებული სამხრეთ და დასავლეთ კედლებში, წარწერიანი და ქანდაკებიანი ქვები მთელ კედელთან ერთად გადალესილია კირით და სხვ.

აღმოსავლეთ სარკმლის თავზე დევს ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ვიღაც ხელებაპყრობილი პირი ორივე მხარეს ვეფხვებით (?). ამ ქვას ზევითა ნაწილში აქვს ხუცური წარწერა, რომელიც კირით არის გადალესილი და არ იკითხება. ამავე სარკმელს მარჯვენა მხარეს უდევს ქვა[419], რომელზედაც გამოქანდაკებულია სხვა პირი; იგიც გადალესილია კირით და აღარ მოჩანს.

დასავლეთის კარის თავზე დევს ქვა[420], რომლის გულშიაც გამოქანდაკებული ყოფილა ჯვარი ორივე მხარეს წმ. გიორგის ხატით; ეს ქანდაკება დღეს ძლიერ დაზიანებულია. ქანდაკების მარჯვნივ და მარცხნივ დარჩენილ ქვის ადგილზე, ანუ არეზე მოთავსებულია სამი ხუცური წარწერა: პირველი — ჯვრის მარჯვენა მხარეს, მეორე — ჯვრის მარცხენა მხარეს და მესამე — ჯვრის ზევითა ნაწილში. ყველა ისინი ერთი ხელითაა ნაწერი.

წარწერები:

I.

*ⴜ҃ⴍ ⴈⴍ҃ⴄ ⴘ҃ⴄ ⴅⴞⴒⴌⴂ ⴃⴀ ⴂⴁ҃ⴊ ⴛⴄ ⴋⴈ*
*ⴑⴈ ⴗ҃ⴊⴈ ⴄⴐⴈ ⴋⴀⴇⴈ ⴃⴀ ⴜ҃ⴍ ⴌⴀⴇⴊⴈⴑ[ⴋ]ⴚⴄⴋⴄⴊ[ⴍ]-*
- - - -

წმიდაო იოვანე, შეიწყალე ვახტანგ და გაბრიელ ძე მისი. ყოველი ერი მათი. და წმიდაო ნათლისმცემელო...

---

418 ძეგლი აღწერილია 1927 წელს. 1929 წლის გაზაფხულზე იგი საძირკვლამდე დაუქცევიათ და მისი ქვებით იმავე ეზოსათვის ყორე შემოუვლიათ. წარწერიანი ქვები სხვადასხვა ადგილას არის მოყოლილი: ზოგი ჩანს, ზოგი არა. თვით ეკლესიის ადგილას დგას პერანგშემოცლილი დუღაბი, შიგნით სულ ნანგრევით სავსე.

419 აღმოსავლეთის სარკმლის ორივე ზემოაღწერილი ქვა დღეს ყორეში თვალად არა ჩანს.

420 ქვა გატეხილია ორად; ორივე ნატეხი დევს დასავლეთის ყორეში.

II.

ⴜ̃ⴋ - - - 	წმიდაო... ეგვსიმ...

- - - - - - ⴄⴂⴅ

ⴑⴈⴋ

III.

ⴕ̃ⴄ ⴘ̃ⴄ ⴋⴈⴐⴈⴀⴌ - - - - - - - 	ქრისტე შეიწყალე მირიან (?).

წარწერები საინტერესოა პალეოგრაფიულად; პირველ წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხუცურიდან მხედრულზე გარდამავალი ხანის ასოები: ბ, გ. რ.

იმავე (პირველ) წარწერაში მოხსენებული ვახტანგი უნდა იყოს იგივე ვახტანგი, რომელიც გვხვდება ამავე ეკლესიის დიდი ჯვრის წარწერაში: „ვხტნ(გ)... სძე: მოიჴდა: მმს: ნაცვლობსა: შგნ-ო".

ეკლესიაში არის ჩუქურთმიან-წარწერიანი ქვიდან დარჩენილი ორი ნატეხი; ერთი 53×48 სმ, მეორე — 18×47 სმ[421]. ორივეზე წარწერა ხუცურად არის.

პირველი ნატეხის წარწერა:

I

ⴜ̃ⴋ ⴂ-ⴊ 	წმიდაო გაბრიელ, შეიწყალე
ⴘ̃ⴄ ⴅⴀⴐⴃⴀⴌ 	ვარდან გიონაისძე, მათსა ჯელო-
ⴂ̃ⴈⴍⴌⴀ 	სნობასა საძირკველი ჩაიდვა.
ⴈⴑⴛⴄ ⴋⴀ
5. ⴇⴑⴀⴟⴄⴊ
ⴍⴑⴌⴍⴁⴀⴑⴀ
ⴑⴀⴛⴈⴐⴉⴊ
ⴈ ⴙⴀⴈⴃⴅ
ⴀ

II

- - - - - - - 	...[შეიწყალე ვარდან გიონ]ა-
ⴀⴈⴑ ⴛⴄ 	ისძე, მათსა ჯელოსნობასა ბალა-
ⴋⴀⴇⴑⴀ 	ჰვარი [დაიდვა].
ⴟⴄⴊⴍⴑⴌ
5. ⴍⴁⴀⴑⴀ
ⴁⴀⴊⴀⴠⴅⴀⴐⴈ
- - - -

---

421 ქვის პირველი ნატეხი დღეს დევს დასავლეთის ყორეში, ხოლო მეორე ნატეხი თვალად არც ჩანს.

ორივე წარწერა ეკლესიის აშენებას ეხება („საძირკველი“, „ბალავარი“) და მის ხელოსანს იხსენიებს (ვარდან გიონაის ძე (?)).

ყველა წარწერა ერთი და იმავე დროისაა; დამწერლობის თვალსაზრისით ისინი ეკუთვნიან XIII ს.

წარწერების მიხედვით ეკლესია აშენებული უნდა იყოს XIII ს-ში.

ს ი ძ ვ ე ლ ე ბ ი:

1. (ქ. 2736). ხის ჯვარი[422], 3,2×1,52×0,18 მ, ვერცხლის შეჭედილობის ნაშთით.

ჯვარი 1927 წლამდე წინა მხარეს შემკული იყო ვერცხლზე ნაქანდაკევი მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, წმ. გიორგისა, ნათლისმცემლისა და სხვ. ხატებით და ასომთავრული წარწერით, დაფერილი ოქროს წყალში, ოდნავ დაზიანებული, ხოლო დღეს იგი თითქმის განადგურებულია: ვერცხლის შეჭედილობა შერჩენია მხოლოდ თავზე, გულის ადგილას, მარცხენა მხარზე და ძირა ნაწილში, ისიც ძლიერი დაზიანებით: ბევრი ადგილი მას მოცილებული აქვს; დანარჩენ ადგილებში (მარჯვენა მხარზე და გულს ზევითა ნაწილში) შეჭედილობა მთლად აგლეჯილია და დაკარგული. წარწერიდან შენახულია მხოლოდ ნაწილი. ჯვარი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, რომელსაც მინები დალეწილი აქვს.

წარწერა[423] (ჯვრის ქვედა ნაწილში):

+ ႭႻႷႠႰႭႭႱ, ႸႭႵႠႭ, ႢႩႠႤႤႡ[,Ⴘ]
ႤႭჀ, ႡႸႴႱႠႵႤႡ, ႤႯႵ, ႭႠႭႱ[ႵႤ]
ႿႬႱ, ႰჀႭႠႤႩႭႱ, ႸႸႩႭႩႱ, ႿႤႬ[Ⴑ]
Ⴑ, ႠႱჀႤႱ: ႠႲႤႱ, ႤႠႱႭႵႱ, ႡႻႤႱႱ,Ⴘ[Ⴄ]
5. ႱႱႱ, ႩჀႩႤႠႱ, ႡႱႱႿႤႬႤႬ, ႱႡႬႭႠႬ[Ⴄ]: ႤႩ]
ႡႱႱႱ, ႸႬႱ, ႿႸႵႡႬ, ႡႸႷႤႵႤႬ, ႡႷႵႬ[Ⴄ]
ႡႤႩႡႤႱႤႱႱ, ႿႵႤႡႬႤ,—
[+]ႩႭ, ႢႩႠႤႤႡ, ႸႭႵႠ, ႱႬႢႡႡႭ, ႸႤႩႷႡႤ, ႵჀჀႬႢ—
ႱႻႤ, ႸႭႤႲႡႱ, ႸႱႱ, ႬႰႵႡႭႩႱႱ, ႿႢႬ, ႡႸႭ - - -[424]

422 MAK, IV, 125—126; ტაბ. XI. III. [ე. თაყაიშვილი, რაჭა, გვ. 45—46].

423 MAK, IV, 126, ტაბ. XI. III. უვაროვას მოჰყავს წარწერის მხოლოდ 4 სტრიქონი, დანარჩენი კი გამოტოვებული აქვს (იქვე, 126).

424 წარწერის პირველი შვიდი სტრიქონი ნაწერია მსხვილი ასოებით, ბოლო ორი სტრიქონი კი წვრილით.

ქარაგმაგახსნილი[425]:

ქ. უკორცოთა მთავარო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხორებათა მამკობს შენსა რატის[426] რაჭის ერისთავსა და ძესა[227] მისსა კახაბერს. და ააშენენ აზნაურნ[ი, ეკლ]ესიასა შენსა შემავალნი, და მოჯევენი, და ჯევნ[ი], და ეკლესიისა შვილნი.

ქ. წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, შეიწყალე ვახტანგ ...ს ძე მოიჰედა მისსა ნაცვლობასა შიგან, და შო...

ძეგლი ეკუთვნის XIII ს.

2. (ქ. 1837). რვალის სარკე მრგვალი ფორმისა[428], 13,5×13,5 სმ, შემკული ცხოველთა და სხვა სახეებით. ტარმოტეხილი.

## ველტყევი

ველტყევის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ეკლესია[429] დგას სხვავას აღმოსავლეთით 8—9 ვერსის მანძილზე მთა-ტყიან ადგილას, სადაც მრავლად არის მთა კერებიდან[430] დარჩენილი კრატერები. იგი ერთნავიანი შენობაა, 7×4,6 მ, რომელსაც დასავლეთით აქვს საქალებო 3,4×3,25 მ. ნაგებია კლდის ქვისა და კირისაგან. ეკლესიას თაღი აქვს, სახურავი კი არა ხურავს; საქალებოს თაღი სულ არა აქვს. ეკლესიის თაღი წყლით არის გაჟღენთილი, რაც მალე ჩამონგრევას უქადის მას.

ეკლესიას დასავლეთის მხარეს, კარის მაღლა, უდევს ქვა მხედრული წარწერით: წარწერა დასრულებული არ არის, სიტყვა გაწყვეტილია; ამასვე გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ქვა დაწერილია მხოლოდ ზევითა ნაწილში, ე. ი. ნახევრად. ქვედა ნაწილი კი დაუწერელია:

---

425 უვაროვას წარწერის ამოკითხვაში მრავალი შეცდომა აქვს, აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს.

426 უვაროვა: ხატის (МАК, IV, 126).

427 უვაროვა: დავითს (იქვე).

428 იქვე, 126, სურ. 102.

429 სიგელ-გუჯრებში, ეს ეკლესია ხშირად სხვავას უდაბნოდ არის მოხსენიებული. მაგ., ცენტრ არქ. ფ. 226, № 2188, 2200 და სხვ.

430 „მთა-კერა"-ს ი. ჭეიშვილის სიტყვით მაზანდარანის (სპარსეთი) ქართველები უწოდებენ ვულკანს.

:ქ: მე: თვით: მპყრობელმან: ლიხთ:
რაჴისამან: ერისათვმან[431] როსტომ: აღ
ვაშენე: უდაბნო: ველტყევსა: ეკლესია: ნათლისა: მცემე
ლისა.:. განსაძლერებლადა: და წელმრავლობისა:

როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ეკლესია აუშენებია როსტომ ერისთავს.

აქ ყოფილა მონასტერი. ცენტრარქივში დაცულია 1754 წლის შეწირული წიგნი, მიცემული ამ მონასტრისადმი როსტომ ერისთავის ბრძანებით გრიგოლ ბერის გამრეკელის მიერ[432]. ეკლესიაც ამის წინახანაში უნდა იყოს აშენებული.

სხვავას მცხოვრებთა ცნობით მონასტერი გაუქმებულა 1875—1880 წლებში. მისი ქონება გადაუტანიათ ჰელიშს.

ეკლესიის სამხრეთით არის მონასტრის წინამძღვრის საფლავის ქვა, 1,62×0,53 მ, მხედრული წარწერით:

„საფლავსა ამას შინა მდებარე სხვავას მონასტრის წინამძღვარი მღვდელ მონაზონი მაკარი ვიმყოფებოდი სხვავის მონასტერსა შინა სამოცდა ერთი წელი და აწ კი საუკუნოდ დავემკვიდრები სანატრელსა შინა დაძინებასა. საუკუნო განსვენება მიეც მღვდელ მონაზონს მაკარს და მიეც მას საუკუნო ხსენება. ყოველთა აღმომკითხველთა[433] ამისა შენდობას მიბრძანებდეთ კაც(თ)-[მო](ყ)ვარებისათვის ღუთის[ა რ]ათა უ[ფა]ლმან (ღ)მერთმან მოგიტევნენ თქუჱნცა შეცოდებანი თქუჱ[ნნი ჩყოა ო-ს ლ-ს“ ე. ი. 1871 წ. ოქტომბრის 30.

ს ი ძ ვ ე ლ ე[434]:

I (ქ. 1845). ფიცარზე ნახატი იოანე ნათლისმცემლის ხატი, 31,5×27,5 სმ, შეჭედილი ვერცხლით და შემკული ვერცხლისავე შარავანდედით, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი და უზის 9 თვალი.

ეკუთვნის XVIII ს.

---

431 უნდა იყოს: ერისთავმან.

432 ცენტრარქ., ფ. 226, № 2271.

433 უნდა იყოს: ყოველნი აღმომკითხველნი.

434 სიძველე წამოღებულია ჩემ მიერ ნიკორწმიდის ეკლესიიდან, სადაც ამოეტანათ ჰელიშის მონასტრიდან 1923—1924 წლებში ჰელიშის სხვა საეკლესიო განძეულობასთან ერთად.

## სამთისი

სამთისს არის ორი ეკლესია: დედაღვთისა, ძველი და წმ. გიორგისა, ახალი.

დ ე დ ა ღ ვ თ ი ს   ე კ ლ ე ს ი ა ერთნავიანი შენობაა 6,4×3,6 მ, ნაგები ქვიტკირისაგან: მას დასავლეთით მიშენებული აქვს (ახალ ხანაში) საქალებო, 3,8×3,6 მ; ამ მიშენებისას ეკლესიის დასავლეთი კედელი კამარად გადაუკეთებიათ (საქალებოსთან გასაერთიანებლად); ხურავს ყავარი; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, დასავლეთით 2; აღმოსავლეთის სარკმელი შემკულია ძვირფასჩუქურთმიანი ქვით.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ხის ჯვარი, 1,81×1×0,09 მ, სამკაულმოცილებული (შემკულობიდან შერჩენილი აქვს მხოლოდ წვრილი ლურსმნები).

2. (ქ. 2733) ხის ჯვარი, 18×7 სმ.

3. (ქ. 2788). მარხვანი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

წ მ. გ ი ო რ გ ი ს   ე კ ლ ე ს ი ა ქვიტკირის ახალი შენობაა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2732). ფიცარზე ნახატი წმ. ესტატეს ხატი, 29,5×52,2 სმ. ხატს ძირა აშიის ადგილას აქვს ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერა წითელი საღებავით: „მოიხსენე:. უ͠ო:...“ ხატის უკანა მხარეს დახატული ყოფილა ჯვარი; იგი დაზიანებულია: შერჩენია ასომთავრული წარწერა: „ი͠ჳ ქ͠ეს (ძლ)[ე](ვ)ა[ჲ]“.

2. (ქ. 2734). სპილენძის ლანგარი მხედრული წარწერით; „ქ. ნაზირის. გოსტასმისა:.“.

3. (ქ. 2735). გულსაკიდი შანა აყიყის თვლით.

4. (ქ. 2786). კურთხევანი, ხუცურად ნაწერი, უყდო, ფურცელნაკლები.

5. (ქ. 2787). სწავლანი სულიერნი, მხედრულად ნაწერი, XIX ს.

## ბარი[435]

ბარს არის ხუთი ეკლესია: სამი ქვემო ბარს — 1. მაცხოვრისა, ძველი, „საბუკეს“ გორაზე; 2. მაცხოვრისა, ახალი, სოფელში და 3.

---

435 ტ ო ლ ო ჩ ა ნ ო ვ ი ს   დ ა   ი ე ვ ლ ე ვ ი ს ელჩობის წიგნში სხვათა შორის მოხსენებულია სოფელი Спасское, ანუ თარგმნით მაცხოვრისა; იქ ვკითხულობთ (ამონაწერი მომყავს თარგმანით): „ივნისის 5-სა დღესა... მოვედით ლომკაც ჯაფა-

ღვთისმშობლისა, ძველი, ციხისლიანთ უბანში და ორი ზემო ბარს —4. მთავარანგელოზისა. ძველი, ჭბოს (ადგილის სახელით) და 5. მთავარანგელოზისა, ახალი.

I. მ ა ც ხ ო ვ რ ი ს   ე კ ლ ე ს ი ა „საბუკეს“ მთაზე ერთნავიანი შენობაა, 8×4.5 მ., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; თაღი ქვიტკირისა აქვს; ხურავს ყავარი, რომელიც სულ დამპალია; კარი არის სამხრეთით და დასავლეთით; ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია.

---

რიძის სამფლობელოში, სოფელ მაცხოვრისაში“-ო (ტოლ. 122). ასეთი სოფელი რაჭაში დღეს არ არსებობს და, ვგონებ, XVII ს-შიაც არ უნდა არსებულიყო. ჩემი აზრით, ელჩების Спасское უნდა აღნიშნავდეს სოფ. ბარს. ამ სოფლის (ბარის) მთავარი ეკლესია, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი, მაცხოვრის სახელობისაა და ელჩებმა, ალბათ, ამ ეკლესიის სახელის გამო სოფელსაც მისივე სახელი Спасское, ანუ მაცხოვრისა უწოდეს. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, ხსენებული სოფლის, Спасское-ს, მეპატრონე და მფლობელი ყოფილა ლომკაც ჯაფარიძე — იმერეთის სამეფოს მოლარეთუხუცესი (იქვე); იქიდანვე ყოფილა უკანასკნელის ძმა მთავარეპისკოპოსი სვიმონ (იქვე, 189) და სოფ. ბარიც ძველად ჯაფარიძეების სამფლობელო ყოფილა; აღნიშნულ მაცხოვრის ეკლესიასთან დღესაც არის მათი ეგვტერები და სასაფლაო. ყველა ამის შემდეგ საფიქრებელია, რომ ელჩების სოფელი Спасское სოფელი ბარი უნდა იყოს.

სოფელი ბარი მოხსენებულია გრიგოლ კ-ზის მიერ ბიჭვინტისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში XVIII ს. იქ ვკითხულობთ (ამონაწერში ქარაგმები გახსნილია): „ჩვენ... ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ ბატონმან გრიგოლ ვიგულსმოდგინეთ... გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი: რაჭას ბარის თავის სასახლე ვარდის გორა ჭბოში („სასახლე“, „ვარდის გორა“ და „ჭბო“ ადგილების სახელებია დღესაც ზემო ბარს: „ვარდის გორა“ მდებარეობს დასავლეთით; იგი გვერდიანი ადგილია: მის აღმოსავლეთით, არის „სასახლე“ ვაკობი ადგილი, ძველი ნასახლარი; უკანასკნელის აღმოსავლეთით არის „ჭბო“, ისიც ვაკობი): გაწყობილი ერთის მოჯალაბით ტყით, წყლით, მთით, ბარით, შესავლით და გასავლით. მისის ყოვლის ფერიანით. აგრევე მოჯალაბეს თავისი სარჩო ფუტიეთსა აქუს. ტყით, წყლით სავენაჯით, საყანით, რაც მოუნდება., ერთი მოსახლე კაცი, სულაძე ხუცესი დავით მისის შვლებით და ერთი მოძმის შვლი ნინიკი. მეორე მოსახლე კაცი ბუხრაშვლი ნასყიდა მისის შვლებით: მესამე ბუხრაშვლი მოსახლე, კაცია და დათუჩი. მეოთხე კიდევ ბუხრაშვლი და დათუა და მიქელა ქაიხოსრო ია--შვლის ქალმა შესწირა ბიჭვინტის ღ-ის მშობელს. მეხუთე მოსახლე კაცია თოთიძე პაატა და ძაღლუა (?) მათის შვლებით. მეექუსე მოსახლე არჩვაძე გიორგი მისის შვლებით. მეშვდე არჩვაძე მამუკა დათუკიჩი და რამაზიკა. მერვე მოსახელე არჩვაძე ნინიკი, მეცხრე მოსახლე გელბახიანი კაცია და გოგიტი, მეათე მოსახლე გელბახიანი თამაზიკი და ნინიკი მისი ძმა მეათერთმეტე სულაძე ნაცვლად შვლები ხუცესი სვმიონ: მეორე, ძმისა დათუჩი, მესამე ძმისა გ-იტი (გოგიტი?) და მეოთხე ძმისა პაპუჩი და ბეჟუკი (ცენტრ არქ., ფ. 226, № 5029).

საკურთხევლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში არის დიდი და პატარა თახჩები; ჩრდილო თახჩიდან არის სხვენში ასასვლელი.

ეკლესია მოხატული ყოფილა: მხატვრობის კვალი მოჩანს ყველა კედელზე, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად — სამხრეთ კედელსა და თაღზე, ხოლო, დასავლეთ კედელზე საკმაოდ კარგად შენახულა ორი პირის სურათი მხედრული წარწერებით: კარის მარჯვნივ დახატულია — [ფა]რისეველი, მარცხნივ — მეზვერე.

ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო, ხოლო სამხრეთით (დასავლეთ ნაწილისაკენ) და ჩრდილოეთით ჯაფარიძეთა საგვარეულო ეგვტერები, ანუ აკლდამები (სამხრეთით — „სამამო", ჩრდილოეთით „სადედო"); ისინი ნაგებია ნაწილობრივ მოთეთრო ტინის და ნაწილობრივ შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. თაღი ყველას ჩანგრეული აქვს, დგას მარტო კედლები (ნანგრევისაგან დაკეტილია შესავალი სამხრეთ ეგვტერსა და საქალებოში). 1925 წელს ჩრდილოეთი ეგვტერის („სადედოს") თაღი ჯერ ისევ მთელი იყო და დაქცეულა მას შემდეგ. საქალებოს დასავლეთ მხარეს, კარის თავზე უდევს ჩუქურთმიანი ქვა; მის მარჯვნივ (ჩრდილოეთით) არის მეორე ქვა, შემკული გულში ჯვრით და კუთხეებში მრგვალი სახეებით; ორივე ქვა გადალესილია კირით. ჩუქურთმები შესანიშნავი ხელისა ყოფილა. ჩრდილოეთი ეგვტერიც („სადედო") მოხატული ყოფილა; მხატვრობა დღეს ნაშთადღა არის; ჩრდილოეთ მხარეს, პილასტრზე შენახულია მდგომარე წმიდანი, დაზიანებული ქვედა ნაწილში, ასომთავრული წარწერით: .:წა̃ ნინ̃ო (წმიდა ნინო); ამ წმიდანის მაღლაც მოჩანს მხატვრობა, დაზიანებული.

ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთ ეზოზე დევს საფლავის ქვა, 138×55,5 სმ, გატეხილი ორად (სიგანეზე), შემკული გულში ჯვრის გამოსახულებით, ხოლო დანარჩენ არეზე — მზის სახეებით; ჩუქურთმა შესანიშნავი ხელისაა.

ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი — ხელნაწერები თითქმის სულ განადგურებულია. საკურთხეველში ვნახე ფიცრის მოზრდილი კიდობანი, რომელიც ძველად სავსე ყოფილა ხელნაწერებით; მათგან მხოლოდ ორი წიგნის ნაშთიღა ვიპოვე: ერთი ოთხთავისა (კიდობანში), მეორე სვინაქსარისა (კიდობნის გარეთ); უკანასკნელი მთლად დაშლილი იყო და მისი ფურცლები გაბნეული იყო მთელ იატაკზე.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ.2136). ეტრატზე ხუცურად ნაწერი ოთხთავის ნაშთი, 12,7×9,5 (გაშლით 19×1,5) სმ, უყდო. იგი შეიცავს 7 რვეულს. პირველ,

მე-6 და მე-7 რვეულებში არის ექვს-ექვსი ფურცელი: მე-2, მე-3, და მე-5-ში რვა-რვა; დღევანდელი აღრიცხვით სულ არის 50 ფურცელი. მთლიან რვეულებს (2, 3, 4 და 5) უკანასკნელი გვერდის ძირა აშიებზე აქვთ რვეულების აღმრიცხველი ასოები, ნაკლულთ (1, 6 და 7) არა აქვთ, კინაიდან მათ პირველ-უკანასკნელი ფურცლები, რომლებზედაც ამგვარივე ნიშნები იქნებოდა, დაკარგულია. ამ ნიშნების მიხედვით შესაძლებელი ხდება მთელი წიგნის რაოდენობის დაახლოებითი აღდგენა.

ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის ანდერძი, რომელიც იწყება ლუკას სახარების შემდეგ მე-6 რვეულის მეორე ფურცლიდან და უჭირავს ხსენებული რვეულის ხუთი დანარჩენი ფურცელი (ფ. 40—44); იგიც იმგვარადვეა ნაწერი, როგორც ლუკას სახარების ტექსტი — ნუსხურად, ადგილ-ადგილ სინგურით, დანარჩენი შავი მელნით, ერთ სვეტად; სტრიქონების რიცხვი პირველ კაბადონზე არის 10, ხოლო შემდეგ მე-3 ფურცლიდან დაწყებული თანდათან მატულობს, ეტყობა ადგილის დაკლების შიშით, და ბოლო ფურცელზე უკვე 20-მდე ადის; ამის მიხედვით ნაწერიც თავში უფრო მსხვილი ხელით არის, შემდეგ კი თანდათან წვრილდება.

ანდერძში, რომელიც 128 სტრიქონს შეიცავს, სხვათა შორის ვკითხულობთ:

(სტრ. 73) „ღირს ვიქმენ მე გლახაკი: რატავრი: დედაჲ: გურგენ ბერი: ერისთავისაჲ: მოგებად: და დაწერად: წ~დათა ამათ: ოთხთავთა: სალოცველად: და სალხინებელად: ს~ლსა ჩემისა: ს~ლისა: ვაჩე: მელესელისა: და ყ~ლთა: თჳსთა ჩ~ნთა გარდაცვალებულთათ~ს: და დღეგრძელობისათ~ს შვილისა: და მეფისა ჩემისა: გურგენ ბერი: ერისთვისა და ძმათა მათთა: და ყ~ლთა შვილთა ჩემთათ~ს.:.:.: აწ მღდელნო უ~ფლისანო: და მნენო ქე~ჲსნო: და თქ~ნ მ~რწმუნენო: და ნათელღებულნო: წ~დათა მ~ცქლთა: და მახარებელთანო: რ~ლნი აღმოიკითხვიდეთ: და იმსახურებდეთ: ს~ლისა წ~დის მიერ მოსწაკებულთა: და წ~დათა მახარებელთა მიერ თქუმულთა: ამათ წდ~ათა ოთხთავთა: ლოცვასა წ~ა თქ~ნსა მოგჳიჴსენენით: მე: და შვილნი ჩემნი: რ~ა ჩ~ნ და თქ~ნ ყ~ლნი: ღირს გუყვნეს ქ~ემან: სასუფეველსა მისსა: აწ და საუკუნესა ა~ნ:. ხ~ დაიწერნეს: წ~დანი ესე სახარებანი: ლავრასა: წ~დისა: ღ~თისმშობელისასა: საღოდებელსა: ჭელითა (ჩემ ცოდვილისა): და უნარჩევესისა: ყ~ლთა (მღ)დელთაჲსა: ათანასე: წიგნაურისაჲთა: რ~ლ: ძმა: ვეყვოდე: ს~ლდიღებულსა: არსენი: ჭერამელსა: და ვიყავ: მამულობით მამასახლისად: წ~ე წ~დისა ღ~თისმშობელისა::::...

გევედრები: ყ῀ლთა აღმსაარებელთა: სამეჵისა წ῀დისათა: ლოცვა ყავთ: ცოდვითა გაფრდილისა: ათანასე: უცბად: მწერლისა: და შემმოსილისათჳს: და თქ῀ნცა: ღ῀თნ მიგმადლენ: სასყიდელნი: შრომათა თ῀ქნთაჲ: უ῀კნითი უ῀კე ა῀ნ: ოდეს გასრულდეს: წ῀დანი ესე სახარებანი: ქრონიკონი: იყო.: ს῀ლგ::::..".

ანდერძი ძვირფას მასალას იძლევა ისტორიისათვის. აქ მოხსენებულია რამდენიმე პირი, რომლებზედაც საისტორიო წყაროებში მცირედი ცნობები მოიპოვება.

ოთხთავი გადაუწერინებია გურგენ ერისთავის დედას რატავრს (სტრ. 74—76) მღვდელ ათანასი წიგნაურისათვის (110—112) 1013 წელს (128). სახელი რატავრი საისტორიო წყაროებში არსად არ გვხვდება, არის მხოლოდ მისივე ძირიდან ნაწარმოები სახელი ლატავრა, რომელიც ასულია ადარნასე მთავრის შვილისშვილის შვილისა და მეუღლე ჯუანშერ მთავრისა, დაახლოებით 470-იან წლებში[436].

რატავრი იხსენიებს თავის შვილს გურგენ ერისთავს: „დღეგრძელობისათვის შვილისა და მეფისა ჩემისა გურგენ ბერი ერისთვისა" (84—86). სუმბატის ქრონიკით გურგენ მეფეთ მეფე გარდაიცვალა 1008 წელს: „გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა: სკ$\mathfrak{C}$[437]", ანდერძი კი, რომელიც დაწერილია 1013 წელს, ამბობს: „დღეგრძელობისათვის"-ო, ჩანს ამ დროს იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

შემდეგ. როგორ გავიგოთ ამავე ამონაწერის მეორე ადგილი. „დღეგრძელობისათვის... გურგენ ბერი ერისთავისა". რას ნიშნავს ბერი? მონაზონს? გურგენ ერისთავი რომ მონაზონად შემდგარიყო, ეს არც ერთ საისტორიო წყაროდან არა ჩანს. ძველად ბერის აღსანიშნავად საზოგადოდ იხმარებოდა სიტყვა მონაზონი, მაგრამ გვხვდება „ბერიც", ათონის XI ს. ეტრატზე ნაწერ ხელნაწერის მინაწერში, რომელიც გადმოუწერია დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს, წმ. გრიგოლის ცხოვრების ბოლოს წერია: „ლოცვა ჰყავთ ღმერთშემოსილისა... წმ. მამისა ევთიმესთჳს... და წმ. ბერთათჳს არსენი ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერალისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელისძისათჳს" (ქრ. 1, 165—166); კიდევ ამავე წიგნის ბოლოს: „და ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვა [ჰყავთ] ჩვენ გლახაკისათჳს არსენი მამათმთავრისა... და ჩემ გლახაკისა ბერისა და (?) ოქროპირისათჳს" (ქრ., 1, 166, 27—29). ამ ამო-

---

436 საქ. ისტ. ვახ., გ. ბაქრ. $118_{15-16}$.

437 ქრ. I, $119_{1-2}$.

ნაწერებიდან ჩანს, რომ XI ს-ში, ე. ი. იმ დროს, როცა ოთხთავის ანდერძია დაწერილი, სიტყვა „ბერი“ „მონაზონის“ შესატყვისი ტერმინია, რაც მაფიქრებინებს, რომ ანდერძის სიტყვები „გურგენ ბერი ერისთჳსა“ უნდა აღნიშნავდეს გურგენ ერისთავის, ანუ მეფეთ მეფის მონაზონად შედგომას.

იგივე რატავრი იხსენიებს აგრეთვე გურგენის ძმათაც და ყველა თავის შვილებს: „და ძმათა მათთა და ყოველთა შვილთა ჩემთათჳს“ (87—88); ამათზე უწინარეს კი იხსენიებს ვაჩე მელესელს: „სალოცველად და სალხინებელად სულისა ჩემისა და სულისა ვაჩე მელესელისა და ყოველთა თჳსთა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს“ (78—83). მელესი სოფელი დღესაც არის თეძმის ხეობაში ერთაწმიდის მახლობლად, მაგრამ ვინ იყო ეს ვაჩე მელესელი, არა ჩანს. იგი არც ერთ საისტორიო წყაროში არ გვხვდება და საფიქრებელია, რომ თუ შვილი არა, რაიმე მახლობელი ნათესავი უნდა ყოფილიყო მისი, რადგანაც იგი ამბობს: „და ყოველთა თჳსთა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს“-ო.

გადამწერი ოთხთავისაც და თვით ამ ანდერძის დამწერიც არის ათანასე წიგნაური (111—112), რომელიც თავის თავს აცხადებს მემკვიდრეობით მამასახლისად ღვთისმშობლისა: „ვიყავ მამულობით მამასახლისად წინაშე წმიდისა ღვთისმშობლისა“ (114—117) და ძმად არსენი ჰერამელისა „რომელი ძმა ვეყვოდე... არსენი ჰერამელისა“-ო (112—114). აქედან ცხადი ხდება, რომ არსენი ჰერამელი გვარად წიგნაური ყოფილა.

ოთხთავი გადაწერილია: „ლავრასა წმიდისა ღვთისმშობლისასა სალოცებელსა“.

2. (ქ. 2135). სვინაქსარი, ეტრატზე ხუცურად ნაწერი, დაშლილი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

II. მაცხოვრის ეკლესია სოფელში ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

სიძველენი:

1. (ქ. 2727). ვერცხლზე ნაჭედი წმ. ნიკოლოზის ხატი, 34×22,3 სმ. შემკული 11 თვლით (აკლია 1 თვალი), დაზიანებული. წმ. ნიკოლოზს აწერია: Ο|Α|ΓΙ|ΟΣ|ΝΙ|ΚΟ|ΛΑΟ|Σ, ესე იგი—წმ. ნიკოლოზი.

2. (ქ. 2728). გულსაკიდი კარედი ხატი, 6,3×4,3 სმ. იგი წარმოადგენს ათონის ხელოვნების ხატს, ჩასმულს ვერცხლის ბუდეში; ბუდეს უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა:

ქ ესე ხატი:. ჰიჰინ|აძის:. თადეოზ[438] (sic) | არის: დ: ვიც[439] (sic): მოპარ|ოს:. ამის:. მადლი:. გა|უწყარეს.

ეკუთვნის XIX ს. დასაწყისს.

3. (ქ. 2729). ტილოზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 14.4×11,7 სმ. (გადაკრული ფიცარზე), შეჰედილი ვერცხლით (უკანა მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლის სადა ფურცელი). შარავანდედი, მარჯვენა, მარცხენა და ძირა აშიები შემკულია ჰედილი ყვავილოვანი სახეებით; მაღლითა აშიაზე აქვს ხვეული ასომთავრული წარწერა:

ႭჃႴႠႪႭ· ႨႤႱႭ: ႵႰႨႱႲႤ ႶႫႤႰႧႭ ႹႥႤႬႭ· ႸႤႼႨႤ ႸႤႨ
ႼႷႠ ႣႠ ႠႺႾ˜ႬႤ ႱႭჃႪႤ ႡႠႲႭႬႨႱ ႠႬႠႱ ႹႾႤႲႨႻႨႱ ႵႠႪႨႱႠ
ႰႭႫ˜Ⴌ ႸႤႠႩႭ (sic) ႾႠႲႤ ႤႱႤ ႷႭႥႪႠႼ˜ႣႱ

უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული ბატონის ანას ჩხეტიძის ქალისა, რომელმან შეამკო ხატი ესე ყოვლაწმიდისა.

ძეგლი ეკუთვნის XVI ს.

4. (ქ. 2730). რკინის მაყაში 1 ცალი.

5. (ქ. 2731). მძივი 2 ცალი.

6. (ქ. 2783). სახარება სამოციქულონი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

7. (ქ. 2784). წიგნი სამოძღვრებელი, თქმული სვიმონ თესალონიკელის მიერ, ხუცურად ნაწერი, გადაწერილი ვინმე მიქელის მიერ, დაზიანებული.

წიგნს უკანასკნელ ფურცელზე ტექსტის ბოლოს ტექსტის გადამწერისავე ხელით აქვს მინაწერი ნუსხურად: „ცოდვილმან მიქელ აღვსწერე მცირე ესე რჩულის კანონი. მხილველთაგან შენდობისა მოქენე“.

8. (ქ. 2133). წერილი კოხინჯრობის დღესასწაულის დადგენისა და ფულის შემომწირველთათვის, 1818 წლისა.

9. (ქ. 2866). ალსარების სიები.

III. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დგას ციხისლიანთ უბანში: იგი ერთნავიანი შენობაა, 3×2,3, ნაგები კლდის ქვისა (ნაწილობრივ შირიმია) და კირისაგან; კარი აქვს მარტო დასავლეთით, სარკმე-

---

438 უნდა იყოს: თადეოზისა.

439 უნდა იყოს: ვინც.

ლი აღმოსავლეთით და დასავლეთით; ტრაპეზი კედელზეა მიშენებული; სამკვეთლო თახჩაშია გამართული. გარეთ ეკლესია კირით არის გალესილი; ჩრდილოეთის მხარეს აქვს ორი მინაწერი გაუთლელ ქვებზე, XIX ს. შიგნით კედლები მოხატულია; მხატვრობა კარგად არის შენახული; წარწერები ასომთავრულად აქვს.

საკურთხევლის კონქში დახატულია „ვედრება“ (მაცხოვარი, ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი მთავარანგელოზებით მარჯვნივ და მარცხნივ და ანგელოზებით ძირა ნაწილში). მაცხოვარს აწერია თავთან: .:. იესო | ქრისე|თე.:.| (sic), მასვე გაშლილ წიგნში უწერია: მე ვ|არ:. ნათ|ელი სოფ|ლსა| (თითოეული სტრიქონი ერთი კაბადონიდან მეორეზე გადადის). ღვთისმშობელს და ნათლისმცემელს წარწერები დაზიანებული აქვს; მთავარანგელოზებს აწერიათ: მიქე|ლ|; .:გა|ბრიელ|.; ანგელოზებს — ქრებინ (ქერაბინი), სე̃რბ|ინ სერაბინი. პირველ რიგში დახატული არის 6 მღვდელმთავარი, მათგან 3 სარკმლის მარჯვნივ და 3 მარცხნივ. სარკმლის მარჯვნივ: პირველი იოანე ოქროპირი (?), თავდაზიანებული; წარწერა შერჩენია მარტო გრაგნილზე: [რ̃შ̃ნი] არს | სიმტკ|[ი]ცე, მეორე —.: წ̃ჲ:. |მათე: — |; მესამე —.: წ̃ჲ|... ტელ ორივე უკანასკნელი დაზიანებულია კედელში სამკვეთლოს გაკეთებისა გამო. სარკმლის მარცხნივ: პირველი — [.:] წ̃ჲ:. ბასილ: — |, დაზიანებული წელს ზევით; მეორე —.: წ̃ჲ:. გი რიგოლ:. (sic) მესამე — წ̃ჲ:. სტეფანა| (sic).

თაღის ჩრდილოეთ მხარეს დახატულია ამაღლება (?), სამხრეთის მხარეს — ფერისცვალება (?).

ჩრდილოეთის კედლის პირველ რიგში დახატულია შობა იესოსი წარწერით: .: იოსები:., .:ბან|ა:.

სამხრეთის კედლის პირველ რიგში დახატულია ხარება დაზიანებული წარწერით; II რიგში — მიძინება ღვთისმშობლისა და აღდგომა. III რიგში — წმინდანები 4: პირველის წარწერა დაფარულია ფიცრის კანკელის მიერ, მეორე — ირინ|ა:., მესამე —.: მარ|ინა|, მეოთხე—.: ბარ|ბალა:|.

დასავლეთის კედლის პირველ რიგში დახატულია: სარკმლის მარჯვნით — ლაზარეს აღდგინება (?) დაზიანებული წარწერით; სარკმლის მარცხნივ— .: ნათ[ლის]ღება:.|.

საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა დახატული არიან სხვადასხვა პირნიც, სახელდობრ:

I. ჩრდილოეთის კედლის II (ძირა) რიგში დახატული არიან სამნი. პირველი სასულიერო პირია (სასულიერო ტანისამოსით); აქვს წარწერა მარცხნივ:.

| | |
|---|---|
| 1. .:ⴘⴈⴌⴃⴀⴂⴓⴐⴈⴛⴄ: ⴋⴛⴖⴅⴀⴐⴈ:<br>2. ⴚⴈⴞⴈⴑⴀ:. ⴃ<br>3. ⴄⴉⴀⴌⴍⴆⴈ:· ⴚⴈⴞⴈⴑⴄⴊⴍⴁⴀ:<br>4. ⴚⴈⴞⴈⴑⴀ:· ⴘⴄⴌⴄⴁⴑⴀ ⴇⴅⴈⴑ:·<br>5. ⴂⴀⴋⴍⴋⴗⴍⴅⴄⴊⴈ:· | შინდაგურიძე — მოძღვარი ციხისისა, დეკანოზი. ციხისელობა ციხისისა შენებისათვის გამომყოვლია. |

ამავე (პირველი) პირის ზევით არის სხვა წარწერა, რომელიც ან ამასვე (პირველ პირს), ან ქვემოთ აღწერილ მესამე პირს უნდა იხსენებდეს:

| | |
|---|---|
| 1. ⴈⴍⴅⴀⴌⴄ ⴑ:· ⴘⴑ:· ⴖⴌ:·<br>ⴅⴌⴚⴀ ⴘⴄⴌⴃⴍⴁⴀ: ⴁⴐⴛⴀⴌⴍⴇ<br>ⴇⴕⴅⴌⴚⴀ<br>2. ⴘⴄⴂⴌⴃⴍⴑ<br>3. ⴖⴌ:— | იოვანეს შეუნდოს ღმერთმან. ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან. |

მეორე და მესამე დახატული პირნი საერონი არიან: მეორე მანდილოსანი არის, მესამე — მამაკაცი; მანდილოსანს თავის მარჯვნივ და მარცხნივ აქვს წარწერა:

| | |
|---|---|
| 1. ·:ⴚⴈⴞⴈⴑⴄⴊⴈ: ⴈⴍⴅⴀⴌ·: ⴐⴍⴋⴄⴊⴋⴀ:·<br>ⴀⴖⴀⴘⴄⴌⴀ: ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀ:· ⴄⴑⴄ: ⴁⴄⴇⴊ<br>2. ⴄⴋⴈⴑⴀ:· ⴖⴋⴇⴈⴑ:· ⴋⴘⴍⴁⴊⴈⴑⴀ:·<br>3. ·:ⴋⴀⴇ:· ⴃⴋⴘⴍⴁⴄⴊⴇⴀ: ⴃⴀ<br>ⴋⴄⴓⴖⴊⴄⴑⴀ:· ⴋⴈⴑⴈⴑⴀ:· ·:ⴐⴓⴑⴀ:·<br>4. ·:ⴘ́ⴑ ⴖ́ⴌ: | ციხისელი იოვანე, რომელმა აღაშენა ეკლესია ესე ბეთლემისა ღმრთისმშობლისა, მათ და მშობელთა და მეუღლესა მისისა რუსა შეუნდოს ღმერთმან |

როგორც წარწერიდან ჩანს, მეორე და მესამე ნომრით აღწერილი პირნი ეკლესიის აღმაშენებელნი არიან, ამასთანავე თანამეცხედრენი, ორივეს ხელები აპყრობილი აქვს.

2. დასავლეთი კედლის იმავე II რიგში დახატული არის კიდევ ორი საერო პირი: ერთი მანდილოსანი (კარის მარცხნივ), ხელებგაპყრობილი; მეორე — ახალგაზრდა (კარის ძარჯვნივ). მანდილოსანთან არის ორი წარწერა: ერთი მის თავის ზევით და მარცხნივ, მეორე მის თავის მარჯვნივ.

I წარწერა:

1. [ⴗⴍⴍ]ⴌ:· ⴋⴄⴇ: ⴅⴈⴀⴑⴅⴈ:· ⴃⴄⴍ — [შვილ]ნი მათ[ნი]: გიორგი, დავით, როსტევან, მამისმამა, მიქაელი, ნიკოლაოზ
2. ⴇ: ⴑⴑⴂⴄⴍⴄⴌ:· ⴋⴄⴋⴈⴑⴋ
3. ⴋⴄ: ⴋⴈⴒⴄⴂ
4. ⴐⴈ: ––:ⴌⴈⴉⴀⴐⴄ
5. ⴀⴁ:—

| II წარწერა: | | ახალგაზრდას აწერია: | |
|---|---|---|---|
| 1. ·:ⴄⴒⴄ\|ⴗ | აქა შვენიერი | 1. ⴃⴄ | დ`ვითი |
| 2. ⴈⴍⴂⴌⴈⴂ | | 2. ⴍⴈ | |
| 3. ⴑⴈ: — | | 3. ⴇⴈ | |

წარწერები და მხატვრობა ეკუთვნის XVIII ს. და ეკლესია იმავე ხნის აშენებული უნდა იყოს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2134). ოთხთავი, ქაღალდზე ხუცურად ნაწერი, გადაწერილი ვინმე იაკობის მიერ (აქვს მინაწერი მარკოზის სახარების ბოლოს), დაზიანებული, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

2. ეკლესიის მოდელი ქვისა, მცირე (ინახება ეკლესიაში).

IV. „ჭბო"-ს მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს  ე კ ლ ე ს ი ა ქვითკირის ერთნავიანი შენობაა ძველი დროისა.

V. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს  ა ხ ა ლ ი  ე კ ლ ე ს ი ა ც ქვითკირისავე ერთნავიანი შენობაა.

ქვემო ბარის მცხოვრებ ივლიანე ჩლაიძის მიერ შემოწირული ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 2132). სახელმძღვანელო სასულიერო პირთათვის, ხუცურად ნაწერი ეტრატზე, მცირე ზომისა, ფურცელნაკლები.

ქვემო ბარის მცხოვრებ მინა გძელიძის მიერ გადმოცემული ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 2774). ტილოზე ნახატი პატარა კახის (?) სურათი, 40,5×31 სმ; XVIII ს.

### ფუტიეთი

ფუტიეთის ეკლესია ქვითკირის შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 1931). ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა ცხოველის გამოსახულობით.

მრავალძალის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია[440] დგას სოფლის გარეთ, მთის კალთაზე, თვალსაჩინო ადგილას; იგი გუმბათიანი შენობაა, 11× 6,5 მ, ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან; მისი აღმოსავლეთი ნაწილი (საკურთხეველი საკუთრივ) ძველია, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი ახალი, ძველად აქ ყოფილა თლილი ქვისგანვე ნაგები ერთნავიანი შენობა[441], რომელიც 1894 წელს ნაწილობრივ (დასავლეთი მხარე) დაუქცევიათ და გადაუკეთებიათ ახალ დიდ შენობად, ეკლესიის ძველ (აღმოსავლეთ) ნაწილს გარედან კედელზე აქვს რელიეფური გამოსახულებები ქვაზე სარკმელთან — ორი მდგომარე პირისა და სარკმლის მაღლა — ჯვარცმისა, გარედანვე ეკლესიას აქვს სამი წარწერა ქვაზე, რომელთაგან ორი თავის პირვანდელ ადგილას არის — საკურთხევლის ნაწილში, ხოლო მესამე კი ახლად აშენებული ნაწილის სტოას სამხრეთ სარკმელზე; უკანასკნელი გადმოტანილი უნდა იყოს ძველი ეკლესიის სარკმელიდანვე.

ეს წარწერებია:

I. აღმოსავლეთის კედელზე ჯვარცმის გამოსახულების თავზე ასომთავრულად:

| | |
|---|---|
| ⸭ Ⴕ̃Ⴄ ႸႤ̃Ⴌ ႫႩ̃ႧႬႨ | ქრისტე შეიწყალენ მკვეთნი(?) |

II. ამავე კედელზე, სარკმლის თავზე, ნუსხურად:

| | |
|---|---|
| ⸭ ⴜ̃ⴀ ⴂ̃ⴈ[442] ⴘⴄ̃ⴌ ⴉⴄⴇ<br>ⴢ[443]ⴋⴍⴊⴅ̃ⴜⴄⴌⴌⴈⴀⴋⴑⴄⴉ<br>ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴑⴀⴌⴈ | ქ. წმიდაო გიორგი შეიწყალენ კეთილად მოღვაწენი ამას ეკლესიასანი |

III. სტოას სამხრეთის სარკმლის თავზე ასომთავრულად:

| | |
|---|---|
| ႼႫ̃Ⴀ Ⴂ̃Ⴈ<br>Ⴋ̃Ⴄ ႤႷႠႥ<br>ႱႳႪႱႠႨႭႥႠႬ<br>ႬႤ<br>5. ႱႠ | წმიდაო გიორგი, მეოხ ეყავ სულსა იოვანესა. |

შიგნით ეკლესიის ძველ ნაწილს — საკურთხეველს შერჩენია მხატვრობის კვალი: კონქში მოჩანს მაცხოვარი ტახტზე მჯდომარე,

440 МАК, IV, 122.

441 ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 376.

442 ა-ის მაგიერ ბროსეს უწერია ო (იქვე).

443 ა-ის მაგიერ ბროსეს უწერია ი (იქვე).

რომელსაც მარცხენა მუხლზე უდევს გაშლილი წიგნი დაწერილი ასომთავრულად; მაცხოვრის მარჯვნივ დახატულია ღვთისმშობელი და მის უკან რომელიღაც წმიდანი (?); მაცხოვრის მარცხნივ მხატვრობა სულ აღარ მოჩანს; თვით მაცხოვარი, ღვთისმშობელი და რომელიღაც წმიდანიც (?) ძლიერ დაზიანებული არიან. აქვე (საკურთხევლის) თაღზედაც არის მხატვრობის კვალი.

ეკლესიის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლის წარწერები და ქანდაკებები ეკუთვნის XI ს. ძველი ეკლესიაც იმავე ხანში უნდა ყოფილიყო აშენებული.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ხის ჯვარი, წმ. გიორგისა[444], 58 (ტარითვე) X 36 სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ხატებით. წინა მხარეს ხატს უზის 3 დიდი და 3 წვრილი თვალი (აკლია 2 წვრილი თვალი), უკანა მხარეს —1 ძლიერ დიდი და 2 საშუალო თვალი. ჯვარი ნაწილობრივ ოქროს წყალშია დაფერილი.

2. ხის ჯვარი[445], 21X18 სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ნათლისღებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და სხვა ჭედილი ხატებით და დიდი თვლით.

3. ხის ჯვარი, 14 (ტარითვე) X 7,5 სმ, ათონის ხელოვნებისა ვერცხლის გარემოთი და ტარით[446].

4. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[447], 81,2X60 სმ, გადაკრული ფიცარზე, დაფერილი ოქროს წყალში, გარდა აშიებისა; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე[448]; ხატი შემკულია 4 თვალით (3 თვალი ზედ არის დაკრული, მე-4 ჩამოკიდებულია გულთან), მარგალიტებით და ფოთლოვანი სახეებით. ხატის ფარდაზე (ახალი დროის) ჩამოკიდებულია მცირე ვერცხლის ხმალი. ხატი ძლიერ დაზიანებულია (შედგება ნაგ-

---

444 უვაროვას ეს ჯვარი მოხსენებული აქვს მრავალძალის აღწერილობაში, ხოლო მისი სურათი კი ისევე, როგორც ქვემოთ მე-7 ნომრით აღწერილი სიძველისა, შეცდომით მოუთავსებია ლების სიძველეებში (МАК, IV, 123 და 110, სურ. 484).

445 იქვე.

446 ვახუშტი იხსენიებს დიდ ჯვარს — „ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი“-ოს; (გეოგრ. 376). იგი დღეს არსადა ჩანს.

447 МАК, IV, 124.

448 უვაროვას შეცდომით მდგომარედ ჰყავს მოხსენებული (იქვე).

ლეჯებისაგან). წმ. გიორგის თავზე აწერია ასომთავრულად: წ̃ . გ̃ე[449] (წმიდაი გიორგი). გარდა ამისა ხატს აქვს ორი ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერა[450]: ერთი თვით ხატის ფურცლის ძირა ნაწილში, მეორე მის ქვევით, ძირა აშიის ადგილას, თითოეული ორ-ორ სტრიქონად.

პირველი წარწერა, დაზიანების გამო, განიყოფება ოთხ ნაწილად[451]. პირველი და მე-4 ნაწილები თავის პირვანდელ ადგილასვე არის, მე-2 ნაწილი აღარ არსებობს: აქ წარწერის ფურცელი აგლეჯილია და დაკარგული პირველ სტრიქონზე 19 სმ სიგრძით, რომელზედაც უნდა აკლდეს დაახლოებით 25 ასო-ნიშანი, მეორეზე — 18,2 სმ სიგრძით დაახლოებით 23 ასო-ნიშნის დაკლებით; მე-3 ნაწილი აგლეჯილია და ხატთანვე არის.

წარწერის ნაწილები:

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| [+][452].: Ⴜ̃Ⴢ[453]: Ⴂ̃Ⴐ | - - - - - | Ⴍ:[457] ႸႫႼႷႠ | ..:ႫႤႭႳႨႰႱႠ: ႼႸ.ႶႫႧ |
| ႫႤ[454] ႺႭ[455] ႣႥႨ | - - - -[456] | Ⴄ[458] ႭႵႰႫ | ႽႤႣႤႪႱ:[459] ႸႤႬႱႠ: Ⴂ̃Ⴐ[460] ႢႱ |

·[ქ.] წმიდაჲ გიორ[გი].. [უფალ]ო შემიწყა[ლე] მე ულირასა წინაშე ღმრთისა, მე, ცოდვი[ლსა]... ...ე ოქრომჭედელსა შენსა გიორგის.

---

449 ორივე სიტყვაში ე შეცდომით არის დაწერილი ი-ს მაგიერ.

450 RVA, 79 და MAK, IV, 124, სურ. 100, 101.

451 MAK IV, 124, სურ. 100. წარწერის პირველი და მე-3 ნაწილები უვაროვას შეცდომით მიწერილი აქვს ქვევით მე-7 ნომრით აღწერილი ხატისათვის (MAK, IV, 124); მასვე მე-4 ნაწილი შეერთებული, ანუ მიკერებული აქვს ქვემოთ მეორე წარწერის (აშიის) ბოლო სტრიქონზე (იქვე, სურ. 101), რაც შეცდომაა: იგი ხატის ფურცლის ნაწილია და აშიის წარწერიდან განსხვავდება ჯერ ერთი, ფერით (მისი პირი დაფერილია ოქროს წყალში, აშიისა კი დაუფერავია), მეორეც — ხელით.

452 ასო ქ მოყვანილი აქვს ბროსეს (RVA, 79).

453 ბროსეს ჲ-ს მაგიერ უწერია დ (იქვე).

454 მასვე ო-ს მაგიერ უწერია ი (იქვე).

455 ც პირუკუღმა ზის.

456 ბროსეს ო-ს მაგიერ უწერია ვ (იქვე).

457 მასვე მთელი დაზიანებული ადგილი უყურადღებოდ აქვს დატოვებული და წარწერის პირველი ნაწილი უშუალოდ აქვს გადაბმული მე-3 ნაწილთან (იქვე).

458 მასვე ე-ს მაგიერ უწერია ლ (იქვე).

459 მასვე სიტყვა: ოქრომჭედელს-ის მაგიერ — ოქრმს ძჲ ედლს (იქვე).

460 მასვე გ̃რგს მაგიერ — გრეს (იქვე).

მეორე წარწერაც[461] ზემოხსენებულ- მიზეზითვე განიყოფება ორ ნაწილად: 1 და 2. პირველი ნაწილი დღეს აშიის შუა ადგილას არის დაჭედილი, ანუ მოთავსებული და ძველად შესაძლებელია უფრო მარჯვნივ ყოფილიყო; მე-2 ნაწილი ნაშთად არის: თუ რა მანძილზე არის აქ წარწერა დაზიანებული, ძნელი სათქმელია: პირველი სტრიქონი სულ მოსპობილია, ხოლო მეორე სტრიქონიდან შენახულია მხოლოდ 5 ასო.

წარწერის ნაწილები:

1

| 1. ✝ႼႫ´ႭႢ´ႢႨ´ႫႰႠႥ´ႻႠႪႭ:[462] ႸႤ:ႫႭႬ:ႸႬ:ႸႰႤ:[463] ႣႠ:
| 2. ႰႥႤႪ ႤႵႫႤႬ ႣႶႤႱႠ:[464]Ⴑ´ႿႤႪႨႱႠႱႠ: ႫႤႭႾႤ

2

| --[ႫႴ]
| --[465] [Ⴃ]Ⴄ[Ⴃ]ႤႡႠႱ[Ⴀ][466]---

ქ. წმიდაო გიორგი მრავალძალო, შეიწყალე მონა შენი შევენიერი (?)[467]. და... [მფა]რველ ექმენ დღესა მას სასჯელისასა. მეოხ ე[ქმენ], [დი]დებასა...[468].

5. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[469], 81×55,5 სმ გადაკრული ფიცარზე. წმ. გიორგი მდგომარეა შუბითა და ფარით. ხატი დაფერილია ოქროს წყალში, გარდა აშიებისა. წმ. გიორგის თავის გარშემო და ყელთან უზის 8 თვალი. მარჯვენა, მარცხენა და ზევითა აშიები შემკულია წვრილი ხატებთა და წერტილოვანი სახეებით. ძირა აშია დაზიანებულია (მის ადგილას გადაკრულია წითელი აბრეშუმი, რომელშიაც შენახულია წარწერიანი ნაგლეჯები).

---

461 MAK IV, 124, სურ. 101.
462 ბროსეს უწერია: მრავალ ძალო (RVA, 79).
463 ბროსეს უწერია: შნი (იქვე).
464 ასოები მ. ბროსეს გამოტოვებული აქვს (იქვე).
465 მასვე აქ უწერია: წნ (იქვე).
466 მასვე ასო ა-ს შემდეგ უწერია: შნა წდა.... (იქვე).
467 წარწერის შ რი ეგების იკითხებოდეს: შვენიერი.
468 ჟუვაროვას სხვადასხვა წარწერათა შერევისა გამო (იხ. ზევით, გვ. 305, შენ. 1) წაკითხვაც შერეული აქვს (MAK, IV, 124).
469 MAK, IV, 124.

6. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[470], 75×28 სმ გადაკრუ-ლი ფიცარზე, უაშიებო, წმ. გიორგი მდგომარეა; იგი აღჭურვილია შუბით, ხმლითა და ფარით; აცვია ჯაჭვის პერანგი. ხატი დაფერი-ლია ოქროს წყალში. წმ. გიორგის თავზე აწერია ასომთავრულად: წ~ი გ~ი (წმიდაი გიორგი).

7. ვერცხლზე ნაჭედი მრავალძალის წმ. გიორგის ხატი[471], 23,5×19 სმ გადაკრული ფიცარზე, დაფერილი ოქროს წყალში. წმ. გიორგი მდგომარეა. ხატი ძლიერ დაზიანებულია, აშიებიდან მცირედი ნა-წილიღა აქვს შერჩენილი; მას მთელ არეზე (ხატისა) აქვს ასომთავ-რული წარწერა.

1. Ⴜ~Ⴋ  3. ႫႰႥႪ
2. ႣႠ  4. ႻႭႪႠ
5. Ⴔ[472]Ⴐ  6. ႾႧ
7. ႱႭ  8. Ⴄ:Ⴋ
9. ႠႾ  10. ႣႴ
11. ႰႥ  12. ႪႢ
13. ႵႫ  14. Ⴌ:Ⴠ
15. ႥႱႭ [ႴႰႾႧ][474] Ⴑ:[475] Ⴜ[476] Ⴐ~Ⴇ

წმიდაო მრავალძალო ფარახეთი-საო[473, 477], მეოხ და მფარველ ექ-მენ ჯევსა ცარახეთს წრ~თ(?)

ხატი ექუთკნის XV—XVI სს.

---

470 უვაროვას ხსენებული ხატი და ქვემოთ მე-10 ნომრით აღწერილი ხატი შეერთებული და აღწერილი აქვს ერთ ხატად (იქვე), რაც შეცდომაა; თითოეული მათგანი ცალკე ხატია.

471 უვაროვას ეს ხატი ერთხელ აღწერილი აქვს მრავალძალის სიძველეებში (МАК, IV, 123—124), ხოლო მეორედ კი მასვე იგი შეცდომით შეტანილი აქვს (აღ-წერილობითა და სურათით) ღების სიძველეებშიაც (იქვე, 112—113, სურ. 87) [ე. თაყაიშვილი, რაჭა, გვ. 61, № 5].

472 უვაროვას ამ ხატის როგორც აღწერილობა, ისე წარწერაც არეული აქვს: წარწერას იგი მხოლოდ იხსენიებს, მაგრამ თვით წარწერა კი სულ გამოტოვებული აქვს (იქვე, 123—124); სამაგიეროდ ამ ხატს, როგორც ეს ზევითაც იყო აღნიშნუ-ლი, იგი მიაწერს ზემოთ მე-4 ნომრით აღწერილი სიძველის პირველ წარწერას (ნა-წილობრივ). (იქვე).

473 ფ-ს მაგიერ ბროსე შეცდომით ო-სა წერს (RVA, XII, 79).

474 წინა ორი ასო ჩემ მიერ, ხოლო მეორე ორი ასო -ხთ ბროსეთი (იქვე).

475 ასო ს ბროსეს გამოტოვებული აქვს (იქვე).

476 ასო წ-ს შემდეგ ბროსეს შეცდომით ჩამატებული აქვს ასო ი (იქვე).

477 „ფარახეთისაო“ ბროსე ფიქრობს წაიკითხოს ორხეთისა, ანუ ხირხათისა-დ (იქვე, შენ. 5), რაც შეცდომაა. ფარახეთი სოფელი დღესაც არსებობს; იგი მდე-ბარეობს მრავალძალის ჩრდილოეთით, ძირს, 5 ვერსის მანძილზე.

8. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[478], 47.5×43 სმ. გადაკრული ფიცარზე, დაფერილი ოქროს წყალში, შემკული 4 დიდი თვლით (აკლია 1 თვალი) და 8 მარგალიტით და ყვავილოვანი სახეებით. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა და ცხენის ქვეშ განრთხმულია ვილაც პირი. ხატი დაზიანებულია (ქვედა აშია დაკარგულია). წმ. გიორგის თავთან აწერია ასომთავრულად: წ῀ი გ῀ი (წმიდაი გიორგი).

ძირს მარჯვენა კუთხესთან ხატის ფურცელზევე არის ასომთავრული წარწერა:

| | |
|---|---|
| Ⴜ῀Ⴃ Ⴂ῀Ⴈ | წმიდაო გიორგი შეიწყალე |
| Ⴘ῀Ⴈ | ესე ჯევი ფარახეთისა |
| ႤႱႤ ႵႤႥႨႴ῀ႰႾႱႠ | |

ხატი ეკუთვნის XVII ს.

9. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[479]. 41,5×31,5 სმ, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 2 თვლით და ფოთლოვანი სახეებით. წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე; აწერია ასომთავრულად: გ῀ი მრავალძ῀ლი (გიორგი მრავალძალი).

10. ვერცხლზე ნაჭედი წმ. თევდორეს ხატი[480], 75×23 სმ. გადაკრული ფიცარზე; უაშიებო. წმინდანი მდგომარეა; იგი აღჭურვილია შუბით, ხმლით და ფარით, აცვია ჯაჭვის პერანგი; აწერია ასომთავრულად: წ῀ი თ῀ე წმიდაი თევდორე.

11. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი[481], 20×17,5 სმ, შემკული ვერცხლის აშიებით და შარავანდედით, რომელნიც ოქროს წყალში არიან დაფერილი; უსხედს 24 თვალი და 15 მარგალიტი. ხატთან არის გულსაკიდი ჯვარი, შემკული 11 თვლით. ღვთისმშობელს აწერია Μ῀Ρ Θ῀Υ, ყრმას—Ι῀Σ Χ῀Σ.

ხატს უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა ვერცხლის ფურცელზე:

ქ. მ῀ვსჭედეთ: და შევამკვეთ: ხატი: ესე ყოვლად წმინდის: ჩვენ: ჩიქვილაძემ: პატამ: თანა:. მეცხედრემან: ჩემან: ჯაფარი|ძის: ქალმან: თამარ: ცოდვათა: ჩვენ|თა: მისატოვებელათ: და სულისა: ჩვ|ენისა საოხად: ვინცა:. ამას:. ამბორსა: სცე:. ჩვენთვისცა: შენდობა ბძანეთ:

---

478 MAK, IV, 123, სურ. 99.

479 MAK, IV, 125.

480 იქვე, 124.

481 იქვე.

ღთის: გულისათვის:. ვინც: ეს:. ჩვენს:. საფლა|ვს:. მუაშორობს:. ჩუე-
:ნისამც:. ცოდვის | ხუჯბათ:. გეიკითხვის.. საშინელსა:. დღეს|ა:. ამას.

ხატი ეკუთვნის XVIII ს.

12. ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზების ხატი[482], 13,2×11 სმ. შემკული ფოთლოვანი სახეებით. მთავარანგელოზებს აწერიათ თავთან: ქჱ გბლ (ქჱ გაბრიელ), ქჱ მექ ლ (sic) (ქჱ მიქელ).

ხატს უკანა მხარეს აქვს ასომთავრული წარწერა ვერცხლზე:

ႫႨႵႤႪ: Ⴃ: ႢႠႡႰႨႤႪ
ႫႧႠႥႠႰႠႬႢႤႪႭႦႬႭ:ႫႤႭႾႣႠ
ႴႠႰႥႤႪ: ႤႵႫႤႬ ႾႰႤႪႨႱႸႥႨႪႱႠႣ
ႵႥႤႪႱႠ:ႣႠ ႸႥ
ႨႪႱ: ႫႨႱႱႠ:ႸႥႨႪႫႨႵႠႤႪႱ:
ႧႵႥႤႬ
ႱႠ: ႫႭႱႠႫႱႠႾႭႰႤႱႠ: ႣႠ:
ႢႠႭႫႠႰ
ႿႥႤ ႧႵ
ႥႤႬႠ:

მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზნო მეოხ და მფარველ ექმენ ხრელისშვილსად (?) ქველსა და შვილსა მისსა შვილ მიქაელს, თქვენსა მოსამსახურესა. და გაუმარჯვე თქვენა.

წარწერას ახასიათებს ა-ს მეტობა და ზოგიერთი ასოს (თ, ნ, ს, ხ) პირუკულმა დამწერლობა.

ხატი ეკუთვნის XVII ს.

13. (ქ. 1836). წმ. სტეფანეს ხატი სპილენძისა, 8,2×4 სმ. ასომთავრული წარწერით:

Ⴜ҃Ⴋ
ႱႲ
ႴႠ
ႬႤ

წმიდაჲ სტეფანე.

14. გულსაკიდი ღვთისმშობლის ხატი ვერცხლისა, ნაწილებით, მცირე და ჯვარი ნაწილებითვე, მცირე; ორივე ერთ ძეწკვზე.

15. ბარძიმი ვერცხლისა მხედრული წარწერით:

ქ. განმაახლებელი. ტაძრისა. ამის. და. ბარძიმისა. არხიმანდრიტი მრავალძალისა. გამყრელიძე. არსენიოზ. ქრისტეს. აქეთ ჩყ҃ვ.:.

---

482 MAK, IV, 124.

16. ფეშხუმი ვერცხლისა მხედრული წარწერით:

ქ· განმაახლებელი. ფეშხუმისა. ამის. და. ტაძრისა. არხიმანდრიტი. მრავალძალისა. გამყრელიძე. არსენიოზ ქ῀ს აქეთ ჩყ῀ვ.

მე-15 და მე-16 ნომრით აღწერილი სიძველეები ეკუთვნის 1806 წელს.

17. სამღვდელმთავრო საცეცხლური ვერცხლისა (ეკლესიის ფორმისა).

18. სპარსული ხმალი[483], ტარმოტეხილი; ტარი შეჭედილია ოქროთი და შემკულია 1 დიდი, 31 საშუალო და 14 წვრილი თვლით (იგი ინახება ცალკე).

19. სპარსული ხმალი[484].

20. რკინის მუზარადი[845].

21. ქარახსი, შეჭედილი ვერცხლით, ერთი წყვილი[486].

22. ქარახსი, სადა, ერთი წყვილი.

23. (ქ. 1835). რვალის სარკე, მრგვალი ფორმისა, 9 (ტარითვე 15)×9,5 სმ, შემკული ადამიანთა, ცხოველთა და სხვა სახეებით. ტარს ბოლო მოტეხილი აქვს.

24. (ქ. 2092). სახარება-სამოციქულონი, ნუსხურად ნაწერი ეტრატზე, დაზიანებული, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

25. (ქ. 2093). კონდაკი, ნუსხურად ნაწერი ქაღალდზე.

26. (ქ. 2094). ოთხთავი მცირე ზომისა. ნუსხურად ნაწერი ქაღალდზე, გადაწერილი ვინმე ელიაჲს მიერ (აქვს მინაწერი ლუკას სახარების ბოლოს) თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

## ფარახეთი

ფარახეთის მთავარანგელოზის ეკლესია (სურ. 60) ერთნავიანი შენობაა, 6×3,5 მ. ნაგები ქვიტკირისაგან. მას დასავლეთით მიშენებული აქვს ფიცრის საქალებო; კედლები გარედან გალესილია კირით;

---

483 ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 376; MAK, IV, 125.

ვახუშტი წერს ამ ხმალზე: „შესწირა პირველი შაჰაბაზ კრმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ"-ო (იქვე).

484 MAK, IV, 125.

485 იქვე.

486 RVA, XII, 79; MAK, IV, 125. ბროსე ამბობს: ქარახს აწერია „მეფე ალექსანდრე"-ო (იქვე). ეს წარწერა დღეს ქარახსს არსად უჩანს.

ხურავს ყავარი, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი—აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1 და დასავლეთით 1. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. სამკვეთლო კედელშია გამართული. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრეთ, მეორე ჩრდილოეთ კედელში).

ეკლესიას გარედან სამხრეთი კარის თავზე უდევს ჩუქურთმიანი ქვის ნატეხი.

შიგნით ეკლესია მოხატულია; წარწერები მხატვრობას ასომთავრულად აქვს.

საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება წარწერებით (სურ. 61, 62); ქრისთე (sic), დედა | ღმთისა და ნათლის|მცლი: (ნათლისმცემელი). პირველ რიგში, სარკმლის ჩრდილოეთით დახატულია: .: წჲ:. იო~ვანე | ოქ~რპირი: — და .: წ~ჲ:. რ~მანზ: — სარკმლის სამხრეთით: წ~ჲ:. ბა|სი~ლი:. წ|ჲ:. ნიკ~ლ|ზი:. და:. წ~ჲ ს~ტეფნ. სარკმელში, ჩრდილოეთ მხარეს:. წ~ჲ:. კოზ~მნ. სამხრეთის მხარეს — .:წ~ჲ.: და~მი|ანე:·

თალი: ჩრდილოეთ მხარეს დახატულია: ორი მთავარანგელოზი და ვილაც ორი პირი, უკანასკნელნი დაზიანებულნი არიან: მოჩანს მათი მარტო მუხლქვევითა ნაწილი; ყველანი მდგომარენი არიან. სამხრეთ მხარეს — მიქელ მთვრი (მიქელ მთავარი), წყლი | დავით: (წინასწარმეტყველი დავით) და მესამე, ალბათ, სოლომონი, დაზიანებულია; დავითს დაზიანებული აქვს თავი, ხოლო სოლომონს (?) კი მხრებზევითა ნაწილი.

ჩრდილოეთის კედელი: პირველ რიგში დახატული არიან წმიდანები (წელამდე): .:წ~ჲ თეკჲლ (წმიდაჲ თეკლე?).:. წ~ჲ ეკტრინ:—II რიგში — წ~ჲ|გ~ი:. იგი ცხენზე მჯდომარეა, გმირავს ვეშაპს; შემდეგ სუმბატ არეშიძის დასავლეთით [წ]~(ჲ)დემტრ — (წმიდაჲ დემეტრე), დაზიანებული მუხლთ ქვევით.

სამხრეთის კედელი: პირველ რიგში — წმიდანები (წელამდე):. წ~ჲ|კვიკრე (sic):. წ~ჲ:. | ილ~იტე:. (წმიდაჲ ივლიტე). ამავე რიგის გასწვრივ, დასავლეთით ყალბი კამარის წრეში წმიდანები (მდგომარენი): .: წ~ჲ:. ანს~დსტა:. და .:წ~ჲ მრმ; უკანასკნელთ წელქვევითა ნაწილი დაზიანებული აქვთ. II რიგში — მიძინება ღვთისმშობლისა, დაზიანებული ძირა ნაწილში, წარწერაც დაზიანებულია.

დასავლეთის კედელი: პირველ რიგში, სარკმლის მარჯვნივ დახატულია (წ~ჲ):. | მარინ, მარცხნივ — რომელიღაც წმიდანი. II რიგში — წ~ჲ:. გაიანე, მჯდომარე, დაზიანებული წელქვემოთ; მას მარჯვენა ხელ-

ში უჭირავს ჯვარი, მარცხენა გულთან აქვს აპყრობილი; წ˝ა ირინ: — დახატული კარის ზევით, წელამდე; .:წ˝ა: ბარბ (წმიდაჲ ბარბარე), მდგომარე.

დასავლეთის კარის თავზე, გარედან ნახევარწრეში დახატულია მაცხოვარი (?) ნახევარმედალიონში წარწერებით: მარნთ˝ე(ს)[487]ო | (ფლ[488])ის (მაცხოვარი, ნათელი სოფლისა).

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა ეკლესიაში არის საერო ხასიათის მხატვრობა-წარწერაც.

I. ჩ რ დ ი ლ ო ე თ  კ ე დ ე ლ ზ ე დასავლეთის ყალბ კამარაში დახატულია დიდებული, მდგომარე, აღმოსავლეთისაკენ ხელგაპყრობილი, დაზიანებული მუხლქვევით წარწერით (თავის მარჯვნივ და მარცხნივ (სურ. 63):

| | |
|---|---|
| 1- ႱႭႫ˝ႡႠႲ Ⴀ˝ႰႨႸ<br>2. ႻႤႱ:· ႸႤႭႬ˝ႣႭႱ: ႶႫ˝Ⴐ<br>3. ႧႫႬ: ႠႫႨႬ | სუმბატ არიშიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ. |

II. საკურთხეველში, აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე:

Ⴕ·:ႵႤႪႡႠႵႱ:· ႫႭ[489] ႫႠႪ ႸႤႭႬႣႭႱ:· ႶႫႤႰႧႫႬ:· ႠႫႨႬ

ქელბაქის მომავალთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

III. სარკმლის ძირს, ტრაპეზის მაღლა:

| | |
|---|---|
| 1. [·:Ⴒ] ႢႬႻႤႧ: ႣႨႣႠ<br>2. --ႧႡ·: ႸႤႭႬႣႭႱ:·<br>[Ⴖ˝ႫႧႬ] ႠႫႨႬ<br>3. --ႸႤႭႬႬႣႭႱ:· --- | ტოგონიძეთა დიდთა... შეუნდოს ღმერთმან, ამინ. ... შეუნდოს... |

IV. იქვე, ჩრდილოეთის მხარეს, ოქროპირსა და რომანოზს შუა:

| | |
|---|---|
| 1. ·:ႹႨႪႭႬႻႤႱ:· Ⴋ˝ႭႫႥ<br>2. Ⴊ˝ႧႠ:· ႫႠႧ:· Ⴗ˝ႭႥႤ:·<br>3. ႸႤႭႬ˝ႣႭႱ:·Ⴖ˝ႫႤႰႧႫႬ:·<br>4. ႠႫႨႬ·· | ჩილუნაძეს მომავალთა მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. |

487 ასო ს პირუკუღმა არის დაწერილი.
488 ასო ლ უწესოდ არის დაწერილი, იგი უფრო ხუცურ ასო გ-ს წააგავს.
489 წარწერაში ასოები ო და უ ერთნაირად წერია — კუდით ძირს.

V. მეოთხე წარწერის ძირს:

1. ·ıႧႳႶ̃ႪႠႸႥႨႪႱႠ·
2. ႸႤႳႬ̃ႣႭႱı· ႶႫႤ
3. ႰႧႫ̃Ⴌı· ႠႫ̃ႤႬı·

თუღულაშვილსა (თუ: თურღულაშვილსა?) შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

VI. მეხუთე წარწერის ძირს:

1. ·ıႺႨႬႰႨႻႤႱႠ
2. ႸႤႳႬႣ̃ႭႱ
3. ·ıႶ̃ႫႤ
4. ႰႫႬı· Ⴀ̃ႫႤႬı·

ცინარიძესა შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

VII. მეექვსე წარწერის ძირს:

1. ·ıႢႤႡႾႠႬႱ
2. ႠႬႱı ႸႤႳႬႣႭ
3. Ⴑı ႶႫႤႰႧႫ[Ⴌı ႠႫႤႬı·]

გელბახიანს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

VIII. ჩრდილოეთის კედელზე, მეორე რიგში დახატულ წმ. გიორგის ცხენის ქვეშ:

1. ·ıႺႤႰႢႤႪႻႤႱı ႸႤႳႬႣႭႱı Ⴖ̃ႫႰႧႫႬ
2. ႠႫႤႬ

ცერგელაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

IX. მერვე წარწერის ძირს:

1. ႲႤႰႲႷႾႡႱ
2. ႸႤႳႬႣႭႱı· ႶႫႤႰႧႬı·
3. ႠႫႤႬ

ტერტიაშვილს (?) შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

X. სუმბატ არიშიძის მარცხენა მკლავის ძირს:

1. ·ıႸႭႧႠႻႤı·
2. ႸႤႳႬ̃ႣႭႱı· ႶႤႰႧႬı·
3. Ⴀ̃ႫႤႬ

'მოთაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

XI. მეათე წარწერის ძირს:

1. ႲႠႡႳ̃ႻႤႧႠ
2. ႣႨႣı· ႣႨႣႧႠ...

ტაბუცაძეთა დიდთა [შეუნდოს ღმერთმან, ამინ]

XII. არიშიძის დასავლეთით დახატული წმ. დემეტრეს თავზე:

1. ı·ႴႠ- - - -[490]
2. ႸႤႳႬႣႭႱ[491]
3. ႶႫႤႧႫႬ[ႠႫႨႬı·]

ფა... შეუნდოს ღმერთმან, [ამინ]

XIII. სამხრეთის კედელზე პირველ რიგში დახატული ანს´დსტა-ს ძირს:

ႥႠႸႡ´ႻႤႱı· ႸႤႳႬႣႭႱı· ႶႫႤ´ႧႫႬı ႠႫႨႬı·

ვაშაბერიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

XIV. მეცამეტე წარწერის ქვევით:

1. ႢႳႤႰ. ႻႤႱ
2. ႸႤႳ[ႬႣႭႱ ႶႫႤ]
3. ႧႫႠ]Ⴌı· ႠႫႨႬ].

გუერაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ

XV. მეორე რიგში დახატულ ღვთისმშობლის მიძინების ხატზე, ღვთისმშობლის ზევით, თეთრ არეზე:

ı ႤႰႻႤႱı· ႸႤႳႬႣႭႱ:· ႶႫႤႧႫႬ:· ႠႫႨႬı·

ერაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

XVI. დასავლეთის კედელზე, მესამე რიგში დახატული წმ. ბარბარეს წელის ახლოს:

1. ·ı - - - - - - - - -[492] Ⴇ´ႭႪ
2. ႸႤႳ]ႬႣႭႱ]ႶႫႤႧႫႬ
3. ႠႫ[ႨႬ]

...თოლ შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

ეკლესია და მისი მხატვრობა ეკუთვნის XVII ს. მეორე ნახევარს.

წარწერებში მოხსენებული გვარებიდან ზოგი დღესაც არსებობს სოფ. ფარახეთში, ზოგი კი გადაშენებულია.

არსებობს გვარი: 1. ტოგონიძე (მე-3 წარწ.) — 40 კომლი; 2. ჩილუნაძე (მე-4 წარწ.) — 12 კომლი; 3. გელბახიანი (მე-7 წარწ.) —2 კომლი; 4. ტაბუცაძე (მე-11 წარწ.) — 14 კომლი და 5. ერაძე (მე-15 წარწ.) — 43 კომლი.

---

490 იქნებ აქ იკითხებოდეს ფარქოსაძეთა გვარი, რომელიც სახლობს მეზობელ სოფელ სევას (10—12 კომლი).

491 ასო ს პირუკუღმა არის დაწერილი.

492 იქნებ აქ იკითხებოდეს კვირიკაშვილთა გვარი, რომელიც სახლობს ამ სოფელში (2 კომლი).

გადაშენებულა გვარი: 1. არიშიძე (პირვ. წარწ.); 2. თუღულაშვილი თუ თურღულაშვილი (მე-5 წარწ.); 3. ცინარიძე (მე-6 წარწ.); 4. ცერგელაძე (მე-8 წარწ.) და 5. შოთაძე (მე-10 წარწ.). არიშიძის გვარს ხალხის გადმოცემით მოსახლეობა ჰქონია აწინდელ სოფ. სევას, ბაქრაძეების უბანში; მათ ადგილს ხალხი „არიშაულს“ უწოდებს; დღეს ამ ადგილის ერთი ნაწილი უჭირავთ ბაქრაძეებს, მეორე ნაწილი კი გლეხებს. თუღულაშვილის თუ თურღულაშვილის გვარი იკითხება სოფლის დასავლეთით მდებარე ადგილის „სათურღულაო“-ს სახელწოდებაში; ეს ადგილი დღეს ჩიღუნაძეებს უჭირავს; მათ სიგელებით ჰქონიათ, იგი ძველად შესყიდულია. ცინარიძის გვარი იკითხება სოფლის აღმოსავლეთ-სამხრეთით მდებარე ადგილის „ცინარეული“-ს სახელწოდებაში; ცერგელაძის გვარი სოფლის სამხრეთით მდებარე ადგილის „ცერგელაური“-ს სახელწოდებაში და შოთაძის გვარი — სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ტყის „შოთაური“-ს სახელწოდებაში.

მე-13 წარწერაში მოხსენებული ვაშაბერიძის გვარი უნდა იყოს დღევანდელი ლაშაბერიძის გვარი; უკანასკნელისა აქამდის სოფელში 2 კომლი ყოფილა. დღეს კი მათი იქ აღარავინ ცხოვრობს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2758). ბაჯაღლო ოქროს ფურცელზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 11,2×7,8 სმ (დაკრული ფიცარზე); წმ. გიორგი მდგომარეა მეომრის ტანისამოსში შუბით (მარჯვენაში) და ფარით (მარცხენაში). მაღლა კუთხეებში ხატს უზის ორი თვალი, მარჯვენა თვალზე ვიღაც მდგომარე პირია ამოჭრილი. ხატს გვერდებსა და ზურგზე შემოკრული აქვს ვერცხლის ფურცელი; ზურგის ფურცელზე არის ბერძნული წარწერა. ნაწერი წვრილად (ჩაჭდევით), ძლიერ მდარე ხელით.

ხატი ოდნავ დაზიანებულია; იგი შესანიშნავი ნამუშევარია.

2. (ქ. 2759). ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის (?) ხატის ნაშთი, 15,4×13,5 სმ.

8. (ქ. 2760). ღვთისმშობლის ხატიდან დარჩენილი დაბალი ვერცხლის შარავანდედი და ორი აშია: ერთი გვერდისა, მეორე ძირისა; შარავანდედი და გვერდის აშია შემკულია სახეებით, ხოლო ძირა აშიას აქვს მხედრული წარწერა. აშიების მიხედვით ხატის ზომა უნდა ყოფილიყო: 1,5×24 სმ.

. წარწერა ძირა აშიაზე: „შ ი: ყოვლად წმიდაო: ღ˜ის: მშობელო:. მეოხ: მეყავ: იაშვი|ლის ქალს: ხორეშანს: და მასთანა: მხეიძის ქალს ხორეშანს:“

ეკუთვნის XVIII ს.

4. (ქ. 2761). ხის ჯვარი, 9,7×4 სმ. შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით, დაზიანებული (მარჯვენამხარმოტეხილი).

5. (ქ. 2762). წვრილი ნივთები: ბრინჯაოს და სპილენძის ხატები, დაზიანებული, 4 ცალი; ჯვარი 1 ცალი; სულ 5 ცალი.

6. (ქ. 2795). კონდაკის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

7. (ქ. 2796). კურთხევანის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

8. (ქ. 2797). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

9. (ქ. 2798). სტამბის დავითნი, ფურცელნაკლები, ზოგიერთი ფურცლები ხელნაწერი აქვს.

10. (ქ. 2799). ზიარების ლოცვანი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული. წიგნს ბოლოში ტექსტის გადამწერისავე ხელით აქვს მიწერილი ხუცურად: ღ̃ ო შ̃ ე ც̃ ი მღდელი გძელიშვ|ლი ს̃ნ:

11. (ქ. 2800). თვენიდან დარჩენილი 6 ფურცელი.

## სორი

სორის ჯ ვ ა რ ც მ ი ს ეკლესია[493] (სურ. 64) დგას სოფლის ზევით, მდ. სონდარულის[494] მარცხენა მხარეს. ვახუშტი წერს: „მოერთვის რიონს ჩრდილოეთიდამ სორისხევი, ამაზედ არის მონასტერი, უგუნბათო, დიდი კეთილ-შენი[495]"-ო. აქ მონასტერი ყოფილა XIX ს. ნახევრამდე[496]. ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 14,5 (მარტო ძველი ნაწილი 11) × 6 სმ, ნაგები ქვიტკირისაგან. ძველად მას სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია ეგვტერები[497], რომლებიც წარსული საუკუნის 70-იან წლებში, ეკლესიის განახლების დროს, უკვე დანგრეული ყოფილან; მაშინ ისინი სულ მოუშლიათ და სამაგიეროდ ეკლესიის დასავლეთი ნაწილი გაუდიდებიათ. ეკლესიას ხურავს ყავარი; კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით

---

493 ვახ. საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 378; RVA, XII, 65—66; MAK, IV, 117. საისტ. კრ., IV, 107—108. უვაროვა მას შეცდომით წმ. გიორგის ეკლესიას უწოდებს (MAK, IV, 117).

494 ვახუშტი სონდარულის მაგიერ წერს სორისხევს (საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 378).

495 იქვე.

496 СМОМПК, XIX, 116.

497 ცნობები სორისა და აგრეთვე რაჭის მრავალ ისტორიულ ძეგლთა და სიძველეთათვის გადმომცა აწ განსვენებულმა ონისიმე მინდელმა.

1. სამხრეთით 3. დასავლეთით 3 და ჩრდილოეთით 1. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას; სამკვეთლო ცალკე თახჩაშია გამართული; აღმოსავლეთის სარკმელთან არის მღვდელმთავრის საჯდომი; მის მარჯვნივ და მარცხნივ სხვა სასულიერო პირთა საჯდომებია; იქვე (საკურთხეველში) არის ორი ვიწრო და მაღალი თახჩა.

გადმოცემით ეკლესია აშენებულია და მოხატულია საპყარ ერისთავის ჰარელისძის ქველის მიერ[498], ხოლო განახლებულია შოშიტა (III) ერისთავის მიერ XVIII ს-ში. პირველი დახატულია ჩრდილო კედელზე, მეორე სამხრეთ კედელზე.

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობა ორი დროისაა: ძველი და განახლების ხანისა; უკანასკნელს ეკუთვნის საკურთხევლის კონქის ვედრება და სამხრეთ კედელზე დახატული მე-2—5 დიდებულის სურათები, დანარჩენი სულ ყველა ძველია. წარწერები მხატვრობას აქვს ასომთავრულად, ხუცურად, მდივანმწიგნობრულად და მხედრულად (ერთ-ერთი).

საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება (სურ. 65); იგი განახლებულია; წარწერები შერჩენია მხოლოდ ნათლისმცემელს და სერაბიმ-ქერაბიმს. პირველ რიგში — მღვდელმთავრები: სარკმლის მარჯვნივ 5, მარცხნივ 5, სულ 10; პირველ მღვდელმთავრებს გარდა (ორივე მხარეს) ყველა დაზიანებულია, განსაკუთრებით მეხუთენი; წარწერებიც მარტო პირველთ შერჩენიათ; სარკმლის მარჯვნივ, პირველს აწერია ასომთავრულად: [წ~ჲ] გ~ლი|ღ~თისმე|ტყუელი, მასვე გრაგნილზე უწერია: რ~სახიე|რიდაკა|ცთამო|ყუარე | ღ~თიხ~რ, (რამეთუ სახიერი და კაცთა მოყვარე ღმერთი ხარ); სარკმლის მარცხნივ დახატულ პირველს აწერია ასომთ. — დვე : წჲ~ ი~ნე ოქრ~პი|რი; გრაგნილზე წერია: ღ~თო | ღ~თო ჩჳენო რომ. სარკმელში დახატული არიან მთავარანგელოზები მიქელ და გაბრიელ (ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ); სარკმლის ძირს — იესო ქრისტე.

თაღის ჩრდილოეთ მხარეს დახატულია ლაზარეს აღდგინება და ფერისცვალება; სამხრეთ მხარეს — ხარება, დაზიანებული და შობა ქრისტესი.

ჩრდილოეთი კედლის პირველ რიგში დახატულია ჯვარცმა და ღვთისმშობლის მიძინება. II რიგში (კარის ასწვრივ) — გარდამოხსნა, დაზიანებული და 4 წმიდანი (მედალიონებში), მე-5 დაზიანებულია,

---

498 СМОМПК, XIX, 117.

ალარა ჩანს. III რიგში, კედელზე — 8 წმიდანი (მდგომარე), დაზიანებული; კამარებშიაც — 2 წმიდანი (წელამდე). აქვე, კარის თავზე ფერადებით დახატულია ჯვარი ბერძნული და ასომთავრული წარწერით; მხარს ზევით — I̅C X̅C, მხარს ქვევით: ძლევა მტერთ|ა.

სამხრეთით კედლის პირველ რიგში დახატულია სულიწმიდის მოფენა და ბზობა; პირველი დაზიანებულია. II რიგში — 9 წმიდანი, მათგან მე-3, მე-6 და მე-7 დაზიანებულია. III რიგში — დიდებულები (იხ. ქვ.) და მათ შორის 3 წმიდანი (წელამდე): ერთი კარის თავზე და ორი კარებში.

პილასტრის კამარაზე დახატულია ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა და წმინდანები (მდგომარენი); უკანასკნელთაგან შენახულია მხოლოდ 4, დანარჩენი მოცილებულია

დასავლეთი კედელი ახალი აშენებულია და მას მხატვრობა არა აქვს.

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა სურათები და წარწერები, სახელდობრ:

1. საკურთხევლის კონქში, მაცხოვრის ფერხთა ქვეშ, არის მხედრული წარწერა[499] (სურ. 66):

ქ: შ ი: მაცხოვარო: პირო მ̅ღთსა: მე: ერისთავი: შოშიტა: შ[ემიწყალე:].

წარწერა ეკლესიის განხალების დროისაა და ეკუთვნის XVIII ს.

2. ჩრდილოეთ კედელზე, პილასტრის დასავლეთით, III რიგის ქვემოთ: (წმიდანის ძირს) დახატულია მამაკაცი (ერისთავი?[500]), დაჩოქილი და ხელგანპყრობილი აღმოსავლეთისაკენ, მდივანმწიგნობრული წარწერით თავზე[501]:

წმიდაო გი მრავალძალისაო[502] მეუს[503] და მფარველ | ექმენ წ̅ე ღ̅თისა ჰარელისძესა ქველსა:

3. ზემოაღნიშნული პირის ჰარელისძის მაღლა, წმინდანის ფერხთა მარცხნივ, არის მდივანმწიგნობრული წარწერა[504] 13 სტრიქონად ძლიერ დაზიანებული:

---

499 ს. კაკაბაძე, საისტ. კრ., IV, 108

500 СМОМПК, XIX, 108.

501 საისტ. კრ., IV, 108.

502 ს. კაკაბაძე: მრავალძელისაო (იქვე).

503 ს. კაკაბაძე: მეოხ (იქვე).

504 ს. კაკაბაძეს მოჰყავს ეს წარწერა, მაგრამ მრავალი შეცდომით (იქვე), რაც თავთავის ადგილას იქნება აღნიშნული.

...|... ეკლესია |.... (ძ)ე(ს) გ̃(ი) | (სი)თა და[505] მღრდელ[506]:.| ..ნიც:. (მ)გ[507] | ...ელთა: (შე)| ...(სმ)ისა: და|...(მი)სისა და მ.ნეს: შ|..კლი(სა) ივ[ან]ეს[ი]თა[508]:. და ვი|[ნცა:. შენდო]ბა: ბრძანო|[თ თქვენცა] შეგინ | (დვნეს) ღ̃თმან[509]|.

წარწერაში იკითხება ორი პირი: გიორგი (სტრ. 4—5 და იოვანე (სტრ. 10).

მე-2 და მე-3 ნომრით მოყვანილი წარწერები ეკლესიის მოხატვის დროისაა და პალეოგრაფიულად ეკუთვნის XIII ს.

სამხრეთ კედელზე დახატული არიან დიდებულნი (რაჭის ერისთავნი?) და მათი სახლეულნი[510]. სულ არის 8 პირი; მათში პირველი, მე-6, მე-7 და მე-8 ძველი დახატულია; მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 განახლების დროისაა. ყველა მდგომარეა, პირით აღმოსავლეთისაკენ; წარწერები დაზიანებული აქვთ: ესენია: 1. მამაკაცი (საკურთხეველთან) ეკლესიის მოდელით ხელში[511]. 2. მამაკაცი ჯვრით ხელში[512]. 3. მანდილოსანი, თანამეცხედრე მეორისა. 4. და 5. ორი ყრმა, შვილები მათი. 6, 7 და 8 (პილასტრის დასავლეთით) მამაკაცები, ხელგაპყრობილნი აღმოსავლეთისაკენ; უკანასკნელებთან არის წარწერის ნაშთი:

...(რ)დაშ.. | ე̃ს.;. ქრრიიმლ.|. სნია

ზოგიერთი წარწერები, რომლებიც მოყვანილი აქვს ბროსეს თავის ნაშრომში (RVA XII, 65), დღეს კედელზე აღარსადა ჩანს.

ზემოთ მოყვანილი ჩრდილოეთის კედლის წარწერისა და მხატვრობის მიხედვით ეკლესია მოხატული უნდა იყოს და ეგების, აშენებულიც XIII ს-ში, ხოლო საკურთხევლის კონქის წარწერის მიხედვით კი იგი განახლებულია XVIII ს-ში.

ეკლესია, როგორც უვაროვა გადმოგვცემს (MAK IV, 117), სიძველეებით მდიდარი ყოფილა. სამწუხაროდ, ჩემი მისვლისას მათი

---

505 ს. კაკაბაძეს წარწერა ამ ადგილამდე სულ გამოტოვებული აქვს (იქვე).

506 ს. კაკაბაძე: მღრდელმ[ან] (იქვე).

507 ს კაკაბაძე: ნიცის ძმ გ̃ი (იქვე).

508 უკანასკნელ 4 სტრიქონს ს. კაკაბაძე წერს: ...ჴელითა ფ[რიად ცოდვილი]სა სიზისა და მამისისა და მეათეს შვილისა დავითისითა (იქვე), არც ერთი ასეთი პირი წარწერაში არ არის.

509 უკანასკნელ 2 სიტყვას ს. კაკაბაძე წერს: შეგინდ [ოსთ]ღ̃ნ ამინ (იქვე).

510 ს. კაკაბაძე ამ სურათებს შეცდომით ჩრდილოეთის კედელზე წერს დახატულად (იქვე).

511 ონ. მინდელის სიტყვით ეს პირი არჩილ ჭარელისძე არის: „ძველად წარწერა ჰქონდა და იკითხებოდა“-ო.

512 გადმოცემით ეს პირი ეკლესიის განმაახლებელი შოშიტა ერისთავი არის, მე-3 მისი მეუღლე, მე-4 და მე-5 მათი შვილები.

უმეტესი ნაწილი განადგურებული აღმოჩნდა. ამ სიძველეთა ნაშთებიდან მე მოვაგროვე ერთი ყუთი[513].

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 1907). ხის ჯვარი[514], 2,96×1,31 მ. შემკული წინა მხარეს ვერცხლზე ნაჭედი ხატებით, ძლიერ დაზიანებული; ვერცხლის შეჭედილობა შერჩენილი აქვს მხოლოდ სიმაღლის ხეს: აქ არის ჭედილი ხატები — მაცხოვრისა, მიქელ მთავარანგელოზისა, გაბრიელ მთავარანგელოზისა და წმ. გიორგისა; მასზედვე არის შემდეგი ხანის წვრილი ხატები (ძირს) და ვერცხლის ნაჭრები (მხარზე, გულში). წმ. გიორგის ხატს მარჯვნივ და მარცხნივ, წელთან აქვს, ასომთავრული წარწერა[515]:

| | | |
|---|---|---|
| +ႫႭႨႽ[516]ႤႣႠ | ‖ | Ⴑ҃ႪႱႱႠႩႪႭႱ |
| ႫႰႩႭႦႱႠ | ‖ | ႬႭႡႱႠႱႠ |
| ႣႩႬႦႡႱႠ | ‖ | ႫႩႠ - - |
| | ‖ | ႩႭ҃ႡႠ - - - |
| | ‖ | ႨႱႻႨ - - - |

ქ. მოიჭედა მარკოზის დეკანოზობასა, სულასსა კელოსნობასა... [შემ]კობა... ...ისძი..

ძეგლი ეკუთვნის XII ს.

2. (ქ. 1913). მაცხოვრის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 27×18,7 სმ. შეჭედილი ვერცხლით[517], მხატვრობა მოცილებული; ზურგის

---

513 უვაროვა იკვეხის: ბაქრაძემ და ბროსემ სორს არ მიაქციეს ყურადღება და მის წარწერებს პირველად მე ვაქვეყნებო (MAK, IV, 120); ეს მართალი არ არის: სორი პირველად ბროსესა აქვს აღწერილი (RVA, XII, 65—66); მას ორი წარწერაც აქვს მოყვანილი (იქვე, 66); ხოლო თვით უვაროვას ბოლოს და ბოლოს სულ სამიოდე წარწერა აქვს გადაღებული და არა მეტი და არც ყველა სიძველე აქვს მას აღწერილი. დაცემულ ეკლესიაში მე ვიპოვე ისეთი სიძველენი, რომელნიც მას სრულებით არა აქვს მოხსენებული, ასეთია ჩემ მიერ ქვემოთ მე-4, მე-5, მე-9—17 ნომრებით აღწერილი სიძველეები; რაკი ასეა, ეჭვი არ არის, რომ უვაროვას დროს იქნებოდა სხვა სიძველეებიც, რომელთაც ნაშთადაც აღარ მოაღწიეს ჩვენამდე.

514 RVA, XII, 66; MAK, IV, 118; ტაბ. XLI ნ; СМОМПК, XIX, 118.

515 MAK, IV, ტაბ. XLI ნ.

516 წარწერაში ასოები ჭ, რ და კ ნაჭედია პირუკუღმა.

517 MAK, IV, 118 და 119; СМОМПК, XIX, 120.

მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი მხედრული წარწერით[518]:

†:. ჵი:. რომელი:. მოხვედ:. პირველ:. ცთომისა:. დახსნად:. იესო:. ძეო:. ღ|ვთისა:. ცხოველისაო:. შემიწყალე:. მე:. ერ|ისთვის:. შვილი:. ხოსია:. რომელმან:. ჯელ|ვყავ:. მკობად:. ხატისა:. ამის:. შენისა. რათა ღირს მყოთ:. მე:. მარჯვენით:. შენს:. | დადგრომად:. დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა ამინ· მაცხო|ვარო:. მშვიდობით: | დაიცევ:. ერისთვის:. შვილი:. ქაიხოსრო:. ამინ:.|

წარწერა ეკუთვნის XVII ს.

იმავე ხატის გულში მჯდარა ძველად დასაკეცი ხატი, რომელიც დღეს დაკარგულია; უკანასკნელს ჰქონია ხუცური წარწერა; ეს წარწერა გადაღებული აქვს უვაროვას (МАК IV, 119, სურ. 95). მომყავს იგი:

| | |
|---|---|
| ⴟⴅ̃ⴐⴚⴋⴈⴑⴀ: ⴞⴀⴒⴍ | ჯვარცმისა ხატო, მეოხ და მფარ- |
| ⴋⴄⴍⴞ ⴃⴀⴋⴔ̃ⴐⴅⴄⴊ | ველ ექმენ იაკუბ ოსტატ[სა]... ნ |
| ⴄⴕⴋⴄⴌ ⴈⴀⴉⴓⴁⴍⴑⴒⴀⴒ[ⴑⴀ] | მ... მისა... |

\- - - - - - - - - - - -

5. ⴌ: ⴋ- - : :
ⴋⴈⴑⴀ - ⴍ
\- - - [519]

8. (ქ. 1916). მაცხოვრის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 21×15 სმ, ვერცხლის შეჭედილობის ნაშთით (МАК IV, 120; შერჩენილი აქვს მხოლოდ ნაწილი). ქვედა აშიის ადგილას აქვს ასომთავრული წარწერა:

·:ႵႤ: ႶႫႭ: ႫႴႠႰႥႤႪ ႫႤႵႫႤႬ ႫႭႱႠႥ[ႱႠ]
ႸႬႱႠ: ႫႤႫႬႱႠ: ႠႵႠ: ႣႠႫႠႱႠႳႩႳ[ႬႤႱႠ]

ქრისტე ღმერთო, მფარველ მექმენ მოსავსა შენსა მემნასა(?) აქა და მას საუკუ[ნესა].

4. (ქ. 1914). მაცხოვრის კარედი ხატის ნაშთი[520]; შედგება ორი ნაწილისაგან: გარეთი — ფიცრის კარედი ბუდე (ხატისათვის), 24,5×

---

518 МАК, IV, 118, სურ. 94.

519 მე-5—7 სტრიქონები უვაროვას მოთავსებული აქვს მე-2—3 სტრიქონების ბოლოზე; ეს ნაწილი ერთი ცალკე ნაჭერი, ანუ ნაგლეჯი უნდა ყოფილიყო და ჩემი აზრით წარწერის მე-5—7 (ან იქნებ 4—6?) სტრიქონების ნაწილს უნდა შეადგენდეს; ამის გამო იგი ბოლოში არის მოქცეული.

520 RVA, XII, 66; СМОМПК, XIX, 118, 119 და 120.

18,5 სმ, ცალი (მარცხენა) კარით და შიგნით — თვით ხატი. უკანასკნელი წარმოადგენს ფიცარს, რომელსაც წინა მხარეს მხატვრობა და შეჭედილობა სულ მოცილებული აქვს. ორივე ნაწილს ზურგზე გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი, დაფერილი ოქროს წყალში, რომლებზედაც კიდურყვავილოვანი ასომთავრული წარწერებია:

1. წარწერა კარედი ბუდის ზურგზე[521]:

+Ⴋ῀ႱႣ῀ႰႨႩႤႬ: ႺႠႬႨ ႥႨႧႰ: ႩႠႫႰ
ႬႨ ႣႠ,
·:ႢႰႣႫႫႤႤႣ: ႻႡႣ ႸႺႧႭႫႨႪႧ, ႹႭႬႺ: ႫႢႻႤႬ, ႺႾႭႥႰႬႨ: ႼႰ-
ႫႣႨႪႬႨ: ႫႨႰႬ: ႣႠ, ႬႧႪ: ႸႥႨႪႧႭႰႧ, ႹႬႭ, ႠႰႱႧႠ
5. ႠႰႱႫႵႬႪႭ, ႿႰႺ[ႫႨႱ ႾႲႭ

ქ. მოსდრიკენ[522] ცანი ვითარ[523] კამარანი და გარდამომჴედ[524] ძიებად შეცთომილთა ჩვენცა[525] მოგიძიენ[526] ცხოვარნი[527] წარწყმედილნი[528]: მირიან[529] და ნათელ[530], შვილითურთ, ჩვე[ნ]ო[531] არსთა[532] არსმქნელო[533] ჯვარცმის ხატო.

2. წარწერა ხატის ზურგზე[534].

+ႵႰ
ႫႨႬႨ

ქ. რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი, ქრისტე ღმერთო ჩვენო[535], მეოხ

---

521 RVA, XII, 66; СМОМПК, XIX, 119.
522 ბროსე: მადრიკენ (იქვე).
523 მინდელი: ვითარცა (СМОМПК, XIX, 119).
524 ჰ-ს მაგიერაა ნახმარი, ხოლო ჴ-ს-ნ ნაცვლად. მინდელი: გარდამო ზედ (СМОМПК, XIX, 119).
525 ბროსე: ჩვენთა (RVA, XII, 66).
526 ბროსე: მეძენ (იქვე).
527 ბროსე: ცხვრნი (იქვე).
528 ბროსე: წამდილნი (იქვე).
529 ბროსე: მრნ (იქვე).
530 მინდელი: ნათლ (СМОМПК, XIX, 119).
531 ბროსე. ჩვენით (ქვე); მინდელიც ისევე კითხულობს (СМОМПК, XIX, 119).
532 ბროსე: სრთა (იქვე).
533 ბროსე: ასნ... (იქვე).
534 RVA, XII, 66; СМОМПК, XIX, 110; ბროსე წარწერას შეცდომით ჯვარს შიაწერს (იქვე).
535 ბროსე: ჩვენ (იქვე).

ႹႬႳႨ
ႤႱ· ႿႨႩႱ ႤႺႨႨ· ✝~
Ⴄ· Ⴁ~ႳႭ· Ⴙ~ႬႭ· ႫႭႨ· ႫႤ
ႷႥ· ႿႰႤႪႨႱႻႤႱႠ·
5. ႫႨႰႨႠႬႱ· ႣႠ· Ⴚ
ႪႱႠ· Ⴙ~ႫႱႠ·

მეყავ ჭარელისძესა[536] მირიანს და ცოლსა ჩემსა[537].

ორივე წარწერა ეკუთვნის XVI—XVII სს.

5. (ქ. 1917). ღვთისმშობლის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 26,7×20,5 სმ. ვერცხლის შეჭედილობის მცირე ნაწილით.

6. (ქ. 1915). ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი[538], 25×20 სმ, აგლეჯილი ფიცრიდან, ძლიერ დაზიანებული. ხატის არეზე ქვედა ნაწილში შერჩენილია ასომთავრული წარწერის კვალი: მე|ქ ვქრაე გგ (ი).

7. (ქ. 1912). ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზის ხატი[539], 31,5×23 სმ. გადაკრული ფიცარზე, დაფერილი ოქროს წყალში, დაზიანებული: აშიები ნახევრად მოცილებულია და დაკარგული. ხატს ქვედა მარცხენა ნაწილში შერჩენილ აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა[540].

Ⴜ~· Ⴂ~Ⴊ· ႫႤႭႪ ႤႷ[Ⴀ][541]Ⴅ·|Ⴌ~ႬႱႠ: ႧႥႣ~ႣႠႱႻ[ႤႱႠ][542]

წამიდაო გაბრიელ, მეოხ ეყავ ნიანიასა თავდიდასძესა

8. (ქ. 1918, 1919); ხატების ნაშთი[543].

1. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ფიცარი.
2. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ფიცრის ნატეხი, 3 ცალი.
3. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ვერცხლის შარავანდედი.
4. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ვერცხლის აშიის ნაწილი.
5. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ვერცხლის აშიის ნაშთი.

---

536 ამ სიტყვის შემდეგ მინდელი შეცდომით უმატებს სიტყვას: „ქველსა" (СМОМПК, XIX, 119).

537 მინდელი ბოლოში შეცდომით უმატებს სიტყვას: „მარიამსა" (იქვე).

538 МАК, IV, 120.

539 МАК, IV, 119.

540 იქვე, სურ. 96.

541 სტრიქონის ბოლო ასო მოგლეჯილია და დაკარგული.

542 სტრიქონის ბოლო სამი ასო მოგლეჯილია და დაკარგული.

543 ონ. მინდელის სიტყვით რამდენიმე ხატს ჰქონია ასომთავრული წარწერა: „ეკლესიის მსახურის ხვაშაკისაგან"-ო; არც ერთი ასეთი წარწერა დღემდის არ შემონახულა.

9. (ქ. 1908). ვერცხლის ბარძიმი მხედრული წარწერით: ქ. მოიხსენე უფალო დედოფალი მარიამ.

ძეგლი ეკუთვნის XVIII—XIX სს; წარწერაში მოხსენებული პირი დედოფალი მარიამ არის იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლე, ასული ოტია დადიანისა.

**10.** (ქ. 1909). ვერცხლის ფეშხუმი მხედრული წარწერით ქ. მოიხსენე (sic): უფალო:. ბატნიშვილი:. დარეჯან:.

**11.** (ქ. 1910). ვერცხლის ლანგარი მხედრული წარწერებით: ქ. მოიხსენე: უფალო:. ბატნიშვილი:. დარეჯან:.

ქ. მეფის ქალის: დარეჯანის· არის:.

მე-10 და მე-11 ნომრით აღწერილი სიძველეები ეკუთვნის XVIII—XIX სს. მიჯნას; მათ წარწერებში მოხსენებული დარეჯან ბატონიშვილი არის ასული იმერთა მეფის სოლომონ II-ისა.

**12.** (ქ. 1911). ვერცხლის მცირე სურა.

**13.** (ქ. 1923). გარდამოხსნა[544] ოქრომკედით ნაკერი.

**14.** (ქ. 1924). ოლარი[455], შემკული ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაკერი ცამეტი ხატით (მაცხოვრისა და სხვა) და სახეებით და მარგალიტისა და სხვა მძივებით (აკლია მრავლად)[546], დაზიანებული.

**15.** (ქ. 1921). დაფარნა, ხელით ნაქარგი.

**16.** (ქ. 1920). რკინის მუზარადი[547].

**17.** (ქ. 1922). სპილენძის ბუკის ნაწილი.

**18.** (ქ. 2150). რომელიღაც ხელნაწერი საეკლესიო წიგნის ნაშთი.

ეკლესიაში არ აღმოჩნდა სიძველეები, აღწერილი პ. უვაროვასა და ონ. მინდელის მიერ:

1. მთავარანგელოზის დიდი ხატი[548].
2. წმ. გიორგის ხატი[549].
3. სარტყელი, ოქრომკედით ნაკერი[550].

---

544 СМОМПК, XIX, 120.

545 იქვე.

546 ო ნ. მ ი ნ დ ე ლ ი ს სიტყვით, ძველად ოლარი შემკული ყოფილა 267 მარგალიტით 17 ლალით და კიდევ სხვა თვლით.

547 უვაროვას მუზარადი შეცდომით კანდელად მიაჩნია (MAK, IV, 120, ტაბ. VLI 6).

548 იქვე, 119.

549 იქვე, 119, 120, ტაბ. XLII, СМОМПК, XIX, 120.

550 MAK, 120.

4. ჯვარისწერის გვირგვინი[551].
5. ეტრატზე ნაწერი სურათებიანი სახარების ნაშთი[552] და
6. ომოფორი[553].

არ აღმოჩნდა აგრეთვე ეტრატზე ნაწერი დიდი ტანის გულანი, შემკული მრავალი ისტორიული მინაწერით.

ეკლესიის სამხრეთით არის პატარა გორაკი „ნაციხური". ძველად აქ სამრეკლო ყოფილა; იგი ახლა დანგრეულია და მისი მარტო საძირკველიღა მოჩანს. ადგილობრივ პირთა ცნობით აქ განძი არის დაფარული. ამ ადგილას დღესასწაულის დროს თემობა, ანუ თემად დასხდომა სცოდნიათ.

## სევა

სევას არის ორი ეკლესია: ღვთისმშობლისა და სამებისა.

I. ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა (ბაქრაძეების უბანში) ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2763). მინაზე ნახატი მაცხოვრის ვედრების ხატი, დაზიანებული (ერთი ნაწილი მოცილებულია).

ეკუთვნის XIX ს.

2. (ქ. 2765). საცეცხლური ორი მხედრული წარწერით: ქ ყარაგოზიანთ: არაქელასია: ქ:. არუთინა: შვილი: მკრტუმსია:.

ეკუთვნის XVIII ს.

3. (ქ. 2766). სპილენძის საცეცხლური, შემკული ცხოველთა სახეებით უჯაჭვო.

4. (ქ. 2764). დაფარნა, დაზიანებული.

5. (ქ. 2767). სპილენძის ჯამი.

6. (ქ. 2768). სპილენძის ყალამდანი, დაზიანებული.

7. (ქ. 2804) ზატიკი, ხუცურად ნაწერი, გადაწერილი მღვდელ გედეონის მიერ სიონის მონასტერს 1733 წელს.

წიგნს ბოლოდან მეორე ფურცლის გვერდზე ტექსტის გადამწერისავე ხელით აქვს მინაწერი ნუსხურად[554].

---

551 იქვე, სურ. 97.

552 СМОМПК, XIX, 118.

553 იქვე, 120.

554 უკანასკნელი ორი სიტყვა ასომთავრულად წერია.

„სრულ იქმნა წიგნი ესე ზატიკი, ჴელითა ფრიად ჩემ ცოდვილის სიონელის მღდლის გედეონისითა, ქალაქსა ტფილისისა, წმიდა მონასტერსა სიონისასა ქრონიკონს უკა“ (421—1733 წ.).

8. (ქ. 2805). გამოკრებული ანუ საწელიწდო სახარებანი, ხუცურად ნაწერი.

წიგნს ბოლოში წიგნის ახლად შემკაზმავის ხელით აქვს მინაწერი ნუსხურად:

„ყოველთა კაცთა უცოდვილესსა და უნარჩეველსა, სულითა საწყალობელსა, ახლად ამ წიგნის შემკაზმავსა ბასილის შეუნდნეს ღმერთმან; ძისსა მეუღლესა შეუნდვნეს ღმერთმან, ბასილის დედა-მამათა შეუნდვნეს ღმერთმან; ვინცა შენდობით მოგვიხსენოს თქვენცაჲ შეგინდნეს ღმერთმან, ამინ“.

9. (ქ. 2806). ლოცვანი, ხუცურად ნაწერი, შემკული ოთხი მინიატურით, ბოლოში ფურცელნაკლები.

10. (ქ. 2807). ტიმოთეს მოგზაურობა, მხედრულად ნაწერი, XVIII ს.

11. (ქ. 2808). თვეთა საგალობელი, ხუცურად ნაწერი, ბოლოში ფურცელნაკლები.

12. (ქ. 2809). დავითნის თარგმანი, გადაწერილი მხედრულად ალექსი ბაქრაძის მიერ XIX ს-ში.

13. (ქ. 2810). დიონოსი არიოპაგელის წიგნი, მხედრულად გადაწერილი მისგანვე.

14. (ქ. 2811). სახარების თარგმანი, „ „ „

15. (ქ. 2812). ცხოვრება ათორმეტთა მოციქულთა, „ „

16. (ქ. 2813). „პერიარმენია“, „ „

17. (ქ. 2814). სჯულის კანონი სისხლთ ნათესაობისა, „ „

18. (ქ. 2815). სამხატვრო და საღებავი ხელობა, რუსულიდან თარგმნილი მისგანვე.

19. (ქ 2816). ზეცისა იერარხთა, მხედრულად გადაწერილი მისგანვე.

20. (ქ. 2817). წიგნი შაქარლამათა შესამზადებელი „ “

21. (ქ. 2818). იოვანე ღვთისმეტყველის ცხოვრება, „ “

22. (ქ. 2819). შესხმა თამარ მეფისა, „ „ „ „

23. (ქ. 2820). ექვსთა დღეთა, „ „ „ „ „

24. (ქ. 2821). სარკე ზნეობისა, „ „

25. (ქ. 2822). მარგალიტი, მხედრულად გადაწერილი მისგანვე.
26. (ქ. 2823). მანანა, „ „ „ „ „ „ „
27. (ქ. 2824). ზნეობის სარკე, „ „ „ „ „
28. (ქ. 2825). ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა, „ „
29. (ქ. 2826). ზნეობის სარკე, „ „ „ „ „
30. (ქ. 2827). ნარკვევი დავით ბატონიშვილი, „ „

31. (ქ. 2828). თარგმანება იოანე მახარელბის გამოცხადებისა, მხედრულად, გადაწერილი მისგანვე.

32. (ქ. 2829). პორფირის შეყვანილება. მხედრულად. გადაწერილი. მისგანვე.

33. (ქ. 2830). ხელნაწერების ნაშთი: ა. ჟამნიდან დარჩენილი ბოლო ფურცელი, ხუცურად ნაწერი; ბ. სხვა ჟამნიდან დარჩენილი ფურცლები, ხუცურად ნაწერი. გ. ოთხთავიდან დარჩენილი ფურცელი, მხედრულად ნაწერი და დ. სამართლის წიგნის ნაშთი მხედრულად ნაწერი.

პირველი მუხლით აღწერილ (ჟამნის) ფურცელს ბოლოში აქვს მხედრული მინაწერი: „ჰელითა, ულირსის. სიონის. დეკანოზის. ნიკ̃ზისათა წელსა. 1753“.

მესამე მუხლით აღწერილი ხელნაწერი ხელის მიხედვით გადაწერილია იმავე პირის მიერ, რომლის მიერაც გადაწერილია ქვემოთ აღწერილი XVII ს. ვეფხისტყაოსანი.

34. (ქ. 2844). კონდაკი, დაბეჭდილი ტფილისს 1783 წელს: ერთი მთელი, შეწირული დავით ბატონიშვილის მიერ (აქვს წარწერა); მეორე — ფურცელნაკლები; სულ 2 ცალი.

პირველ ცალს (დავით ბატონიშვილისას) 319 გვერდის ბოლოს აქვს მინაწერი მხედრულად „ჩყი ფებერვლის იე მეფე სო|ლომან წაიყვანეს ტფილისში | და გაიპარნენ და იმ რიცხვში დედოფალი წაიყვა|ნეს რუსეთს“.

იქვე მარჯვენა აშიაზე...: „და წაიყვანეს ქუთათელი და გენათელი“.

35. (ქ. 2845). კონდაკი, დაბეჭდილი ტფილისს 1710 წელს.

36. (ქ. 2846). საღმრთო წერილის ისტორია, იოანე ზუბრაბიანისა, დაბეჭდილი ვენეტიკს 1858 წელს.

37. (ქ. 2847). გამოკრებული სადღესასწაულო, დაბეჭდილი წესს, 1811 წელს.

38. (ქ. 2848). ჟამნი, ძველი სტამბისა, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

39. (ქ. 2849). სავედრებელი გალობა ღვთისმშობლისა, ფურცელნაკლები, დამატებული აქვს ხელნაწერი ფურცლები.

40. (ქ. 2850). ლოცვანი, დაბეჭდილი 1810 წელს, დამატებული აქვს ხელნაწერი ფურცლები.

41. (ქ. 2851). საქმე წმიდათა მოციქულთა, ბერძნულ ენაზე, დაბეჭდილი[555]:

II. სამების ეკლესია ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა.

სიძველე, შეწირული ადგილობრივ მცხოვრებ ერისთავების მიერ:

ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 27×23,5 სმ, შეჭედილი ვერცხლით, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული შარავანდედით, ორი მცირე ჭედილი ხატით (ერთი პეტრე მოციქული მარჯვნივ აშიაზე, მეორე პავლე მოციქული მარცხენაზე), ყვავილოვანი სახეებით (ხატის არესა და აშიებზე) და 68 დიდ-პატარა თვლით და მარგალიტის მძივით (მარგალიტი ბევრი აკლია) და 8 სანაწილით[556].

ძეგლი ეკუთვნის XVI—XVII სს.

სევას მცხოვრებ კონსტანტინე ბაქრაძის მიერ შემოწირული სიძველე:

(ქ. 1831). ვეფხისტყაოსანი, გადაწერილი მშვენიერი ხელით, დაზიანებული (აკლია ფურცლები, ზოგი ფურცელი შემდეგ ხანაში არის ჩამატებული). ეკუთვნის XVII ს.

სევას მცხოვრებ ვარლამ ბაქრაძის მიერ შემოწირული საბუთები:

1. (ქ. 2854). არზა, მიცემული ხელმწიფისადმი, XIX ს.

2. (ქ. 2855). თხოვნა ნიკ. ბაქრაძისა რაჭის ოლქის უფროსისადმი, XIX ს.

3. (ქ. 2856). წყალობის წიგნი, მიცემული რაჭის ერისთავის ძის პეტრეს მიერ გიორგი ბაქრაძისადმი, 1788 წელს.

სევას მცხოვრებ მარიამ ბაქრაძის მიერ შემოწირული სიძველენი:

---

555 ეკლესიის ერთი მთავარ სიძველეთაგანი — ვერცხლზე ნაჭედი რომელიღაც ხატი, 25×20 სმ (დაახლ.), შემკული ძვირფასი თვლებით, დაღუპულა უკანასკნელ წლებში.

556 ძეგლი დღეს აღარ არსებობს; დაღუპულია; 1927 წელს იგი ეკლესიაში ინახებოდა; შემდეგ 1928—1929 წლებში ვიღაც ბოროტმოქმედს გაუტაცია და მას ქვეთ დაკარგულია.

1. (ქ. 2801). სამოთხის ყვავილი, მხედრულად გადაწერილი.

2. (ქ. 2802). იოანე ნათლისმცემლის ცხოვრება. გადაწერილი. ალ. ბაქრაძის მიერ XIX ს-ში.

3. (ქ. 2803). მეტაფრასი, დასურათებული, მისივე.

4. (ქ. 2852). წყალობის წიგნი, მიცემული რაჭის ერისთავის ძის დავითის მიერ გიორგი ბაქრაძისადმი, 1802 წ.

5. (ქ. 2853). სასისხლო სიგელი, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ შენგელაიებისადმი 1534 წელს, პირი.

6. (ქ. 2870). ალექსი ბაქრაძის პირადი არქივი: წერილები, სურათები, მიწერ-მოწერა და სხვა. ერთი შეკვრა.

## ჯოისუბანი

ჯოისუბნის „მცხეთის“ წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 67). ერთნავიანი შენობაა, 9,48×5,21 მ, ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; შიგნით და გარეთ გალესილია კირით (გარეთ რამდენიმე ადგილას მოცილებულია); ხურავს ყავარი, რომელიც ნახევრად დამპალია. კარი აქვს დასავლეთით 2 (ერთი ძირს, მეორე მაღლა) და სამხრეთით; ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია (საკურთხევლის დასაწყისთან), დღეს ის ამოგებულია და თაროიან თახჩად არის გადაკეთებული. სარკმელი არის: აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 2, დასავლეთით 1, ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია გამართული, სამკვეთლო კედელშია გამოღებული; აღმოსავლეთით სარკმლის ძირს, კედელთან არის მღვდელმთავრის საჯდომი; მაღლა კედელში დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის; სამხრეთ კედელში არის თახჩა. შუა ეკლესიაში იატაკად დაგებულია სახიანი ქვა.

ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს ქვიტკირის საქალებო, 4,6×5,75 მ.; მას მეორე სართულად ფიცრული ოთახი ედგა; იგი ახლა აღებულია. ძველად ეკლესიას სამხრეთით სამწირველოები ჰქონია, დღეს მათი მარტო საძირკველიღა მოჩანს.

გარედან ეკლესია მრავლად არის შემკული სახიანი ქვებით.

1. აღმოსავლეთის სარკმელს გარეშემო შემოწყობილი აქვს ქანდაკებიან-ჩუქურთმიანი ქვები; ამ ქვების უმეტესი ნაწილი დარჩენილია უძველესი ხანის (VIII ს.) ეკლესიიდან, რომელიც, ალბათ, ამავე ადგილას იქნებოდა აშენებული. ის ძველი ეკლესიაა გადაკეთებული, თუ მის ადგილას სულ ახალია აშენებული, ერთი რამ ცხადია, რომ ძველი ძეგლის ქვები მოგროვილია ერთად და ახალი

ეკლესიის სარკმლის გარეშემოა დაწყობილი, და რომ ეს ასეა, ამას გვეუბნება შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, სარკმლის თავზე მდებარე ქვა მაცხოვრისა და ორი მოციქულის ქანდაკებით განგებ არის გამოყენებული სარკმლის ქუდად (მისთვის ქვედა ნაწილი გამოუტეხიათ სარკმლისათვის); მეორე, ამ სარკმლის გარეშემო მდებარე ქვებს შიგადაშიგ გვიანი ხანის (XI—XII სს.) წნული ჩუქურთმიანი ქვები ურევია და, ბოლოს, თვით ქვების წყობილობა: სარკმლის ძირა ნაწილს ქვები აღარ ჰყოფნის და კუთხეები შეჭრილივით არის, რაც მთლიანობის სახეს რამდენიმედ არღვევს, ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ დასახელებული ქვები სხვა ძეგლიდან, თუ ძეგლებიდან არის გადმოტანილი და გამოყენებული აქ.

სულ არის რვა ქვა: ერთი სარკმლის თავზე (გატეხილი), სამი მარჯვნივ, სამი მარცხნივ და ერთიც ძირს

პირველ ქვაზე გამოქანდაკებულია მაცხოვარი, მჯდომარე ტახტზე. მარჯვნივ პავლე მოციქულით, მარცხნივ პეტრეთი (აწერიათ ასომთავრულად).

მე-2 ქვაზე (სარკმლის მარჯვნივ) — მამასახლისი; მას ვიღაც პირისაკენ გაპყრობილი აქვს სამხროებიანი ეკლესიის მოდელი; უკანასკნელს პირთან საყკირი უჭირავს: აწერია ასომთავრულად:

| | | | |
|---|---|---|---|
| | Ⴜ̃ႭႤ | Ⴂ | წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე გაბრიელ მამასახლისი |
| | ႩႪႤ | Ⴁ | |
| | ႱႨ | Ⴊ | |
| | Ⴀ | ႫႠႫ | |
| 5. | Ⴍ | ႠႱႠ | |
| | Ⴘ̃ | ႾႪႨ | |
| | Ⴄ | ႱႨ | |

მე-3 ქვაზე (სარკმლის მარცხნივ) — განკითხვა ანგელოზები სასწორით და ხალხი ორ მწკრივად: აქვს ასომთავრული წარწერა, რომელიც მოთავსებულია ზევით მდებარე (პირველი) ქვის მარცხენა კუთხეში: გ~ნ თვჲ, ანუ: განკითხვაჲ.

მე-4 და მე-5 ქვებზე (ერთი სარკმლის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ) ხვეული ჩუქურთმაა.

მე-6 ქვაზე (სარკმლის მარჯვნივ) — წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე და ცხენის ქვეშ დეოკლეტიანე (?) ასომთავრული წარწერით:

| | |
|---|---|
| Ⴜ̃Ⴈ Ⴂ̃Ⴈ Ⴜ̃ႭႢ̃Ⴈ<br>Ⴘ̃ႼႷႪႤႫႬႨ<br>ႸႬႩႪႲႦႨ | წმიდაი გიორგი. წმიდაო გიორგი, შეიწყალე მონაი შენი კალატოზი. |

მე-7 ქვაზე (სარკმლის მარცხნივ) — წმ. თევდორე ცხენზე, იგი ვეშაპს გმირავს; აწერია ასომთავრულად:

| | |
|---|---|
| Ⴜ̃Ⴃ Ⴇ̃Ⴈ | წმიდაჲ თევდორე |

მე-8 ქვაზე (სარკმლის ძირს) — დანიელ და იონა წინასწარმეტყველნი (უკანასკნელი ვეშაპის მუცელშია ნახევრად).

2. სამხრეთ კედელზე აღმოსავლეთის მხრისაკენ მდებარე ქვაზე გამოქანდაკებულია ხარება წყაროსთან და შეხვედრა მარიამისა ელისაბედთან. მარიამს თავ. მარცხნივ აწერია ასომთავრულად (აღმოსავლეთის სარკმლის წარწერების ხელითვე):

Ⴜ̃Ⴃ Ⴋ̃ წმიდაი მარიამ; მთავარანგელოზს თავის მარჯვნივ ასომთავრულადვე:

| | |
|---|---|
| ႢႡႰ̃Ⴊ<br>ႠႬႢ<br>ႤႪႭႱႠ | გაბრიელ ანგელოზსა |

3. ჩრდილოეთ კედელზე, აღმოსავლეთ კუთხესთან, დედამიწიდან 1 მ სიმაღლეზე უდევს ქვა, რომელზედაც ნაქანდაკევია ხუთი პირი. ესენი ეკლესიის ოსტატები უნდა იყვნენ; მათგან შუალას ხელში რაღაც საოსტატო იარაღი უპირავს. ქვას აქვს ორი ხუცური წარწერა:

პირველი წარწერა (მოთავსებულია პირველი პირის მარცხნივ):

| | |
|---|---|
| 1. ⴄⴊⴑ<br>2. ⴗⴗ̃ⴗ | ...ედს (?) შაყუბ (?) |

მეორე წარწერა (სტრ. 1—2 მოთავსებულია მე-3 და მე-4 პირთა შუა, ხოლო სტრ. 3—5, მე-4 და მე-5 პირთა შუა):

| | |
|---|---|
| ⴜ̃ⴍ ⴄⴉ̃ⴄ<br>ⴀⴑⴀ<br>ⴘⴜⴗⴊⴄⴀⴋ<br>ⴀ̃ⴑ ⴋⴕ̃ⴌⴃ<br>5. ⴉ̃ⴊⴒⴆ̃ⴈ | წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე ამის მოქანდაკე კალატოზი. |

ყველა ზემოთ მოყვანილი წარწერები პალეოგრაფიულად მიეკუთვნებიან VIII ს. ამავე ხანას ეკუთვნის ხელოვნების თვალსაზრისით უმეტესი ნაწილი ქანდაკებიანი[557] ქვებისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2193). ხის ჯვარი, 5×2,7×1 სმ, ათონის ხელოვნებისა, შემკული ვერცხლის გარემოთი, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი, ჯვარს უზის 16 თვალმარგალიტი, 2 ავარდნილია და ჯვართან ინახება (სულ 18); აკლია 9 თვალი. ჯვარი ზის ვერცხლის ბუდეში (5,5×3,6 სმ), რომელსაც ზურგზე აქვს მხედრული წარწერა: „†:. მი:. ჯუარო |ქტ͠სო: და ცხოველო|:. შეგიმკე:. კუბო | ესე:. მე: როსტომ:. | ღოღობერიძემ: ჩემი:. სული|ს:. სინანულისათვის:."

ჯვარი ძველია, წარწერა ეკუთვნის XVIII ს.

2. (ქ. 2194). ხის ბეჭედი, 6,4×5,2 სმ. შემკული ერთ მხარეს მაცხოვრისა და მეორე მხარეს სხვა რომელიღაც ხატით.

3. (ქ. 2195). ხეზე მოჭრილი ორმხრივი ხატი, 5,9×4,3 სმ, შემკული მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და სხვ. ხატებით და ვერცხლის გარემოთი, ათონის ხელოვნებისა; ზის ხელნაკერ ქისაში, ანუ ბუდეში.

4. (ქ. 2757). სპილენძის ჯვარი, 6,5×5 სმ, დაზიანებული.

## კვაშხიეთი[558]

კვაშხიეთის წყარო „კუნეთი"-ს მახლობლად არის „საჯვარე". მას ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ყორე, ნაგები უზარმაზარი ლოდებისაგან, უკიროდ; მისი აღმოსავლეთი ნაწილი რამდენადმე წესიერად არის დაწყობილი, ხოლო დასავლეთი ნაწილი კი უწესრიგოდ.

---

557 1927 ქანდაკება კირით იყო დაფარული. მას შემდეგ კედელს კირი მოსცილებია და ქანდაკებაც გამოჩენილა.

558 ცენტრარქივში დაცულია შეწირული წიგნი, მიცემული ერისთვის შვილების დავით და ლომინის მიერ გაენათისადმი, XIV—XV (?) სს., რომლიდანაც ჩანს, რომ კვაშხიეთი ძველადაც გაენათს ყოფილა შეწირული და ახლაც ხსენებული პირები მასვე სწირავენ; იქ ვკითხულობთ: „ჩვენ ერისთვის შვილთა დავით და ლომინმან და დედამან ჩვენმან პატრონმან თამარ გკადრეთ და მოგაჯსენეთ დიდებულსა საყდარსა გაენათისასა თქვენი მკვიდრი მამული რაჭას სოფელი კვაშხიეთი ჟამთა გამოცვლილობისაგან საერისთოდ შექმნილიყო და ესე არა ეგებოდა ვითარმცა საყდრის მამული გქონებოდა და ახლად შემოგწირეთ" (ცენტრარქივის ფ. 226, № 5023).

ასეთივე უზარმაზარი ლოდების ყორე[559] (უკიროდ) აქვს ადგილობრივ მცხოვრებ ვანო გოშაძის ეზოს ჩრდილოეთის მხარეს; იგი სიგრძით არის 26 მ, სიმაღლით 4 მ.

ორივე ეს შენობა ციკლოპური ხანისა უნდა იყოს.

## ზვარეთი

ზვარეთის წმ. გიორგის ეკლესია ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2748). ქვაზე მოჭრილი ქრისტეს შობის ხატი, 9,3×8,2 სმ, მომრგვალო, დაზიანებული (გატეხილია სამად).

2. (ქ. 2749). შანა-ქვა 3 ცალი.

3. (ქ. 2790). კურთხევანი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

ზვარეთის მცხოვრებ ჯიბო ერისთავისაგან შეძენილი წიგნი:

(ქ. 2832). ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, ბოლოში ფურცელნაკლები, XVIII ს.

## შქმერი

შქმერი ვახუშტით არის „დაბა დიდი, უვენახო, უხილო, მგზავსი სხვათა მთის ადგილთა და შვენიერ ზაფხულის ფრიად“ (გეოგრ. 378). სოფელი შედგება სამი უბნისაგან: 1 უშოლთა (ქვემო უბანი). 2. შუა (მთავარი) უბანი და 3. ხარისთვალი (ზემო უბანი). თვითეულ უბანში თითო ეკლესია არის (МАК IV, 122).

უშოლთის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა[560] ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ძველი დროისა; იგი დგას უბნის გარეთ.

შუა (მთავარი) უ ბ ნ ი ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

სპილენძის ლანგარი მხედრული წარწერით: „ქ..[561] ფუჩინაძია...“ ეკუთვნის XVIII—XIX სს.

---

559 ყორეს ადგილობრივ ეწოდება „ყერო“.

560 უშოლთის ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, — ლ. ფ.

561 აქაც და ბოლოშიაც წერტილები ნახმარია ორწერტილის მაგიერ.

ამ ეკლესიის მახლობლად არის „მოჭოხის“ ძველი ეკლესიის ნანგრევი.

ხარისთვალის „კ ო ლ ო ს ი ს“ ე კ ლ ე ს ი ა ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ძველი დროის; იგი დგას უბნის აღმოსავლეთით 2—3 კილომეტრზე.

## ბოყვა

ბოყვას მთავარანგელოზის ეკლესია (სურ. 68) (MAK IV, 122) ერთნავიანი შენობაა, 7,75×4 მ ნაგები ქვიტკირისაგან; თაღი ფიცრისა აქვს; ხურავს ყავარი; საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი შიგნით სწორკუთხედი არის, ეკლესიის კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, დასავლეთით 1; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლო ძველად არა ჩანს სად იყო, ახალ ხანში ფიცრისა ყოფილა; საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ). ეკლესია რამდენჯერმე არის გადაკეთებული. მას დასავლეთით მიშენებული აქვს ქვიტკირის საქალებო, რომელსაც სახურავი ფიცრისა აქვს; სამხრეთით და ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე ჰქონია სამწირკველოები (?); დღეს მათი საძირკველიღა მოჩანს.

ეკლესიას დასავლეთ სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ჩუქურთმიან-ქანდაკებიანი ქვები (MAK IV, 112) — 4 ცალი; ყველა გალესილია კირით. სარკმლის მარჯვნივ (ჩრდილოეთით მდებარე პირველ ქვაზე ორი მდგომარე პირია ნაქანდაკევი—ერთი მაღლა, მეორე ძირს), დანარჩენი ქვები ყვავილებით, წნული ჩუქურთმით და სხვა სახეებით არის შემკული (სურ. 69).

ეკლესიის ქანდაკება-ჩუქურთმები (სურ. 70) ეკუთვნის X ს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2750). ოდიკი 1822 წლისა.

2. (ქ. 2867, 2868). ეკლესიის არქივი: აღსარების სიები, ქორწინებათა გამოკითხვის წიგნი[562].

სოფლის ზევით არის უზარმაზარი ფრიალო კლდე, რომელსაც სიმაღლე რამდენიმე ასი საჟენი ექნება; ამ კლდის ძირა ნაწილში, დე-

---

[562] ადგილობრივ პირთა გადმოცემით ეკლესიას ძველად ჰქონია ოთხი სიგელ-გუჯარი (მათში ერთი ეტრატზე ნაწერი) და რამდენიმე ხელნაწერი წიგნი; იგინი მიიტაცეს რუს ექსკურსანტებს (?) 1910-იან წლებში.

დამიწიდან 20—30 საჟენ სიმაღლეზე არის გამოქვაბული; ამ რამდენიმე (10?) წლის წინათ ხსენებულ გამოქვაბულში დიდი მოხერხებით ასულა ადგილობრივი მცხოვრები პ. ომანიძე, რომელსაც შემდეგ ხალხში გაუვრცელებია ყალბი ხმა, ვითომც გამოქვაბულში თამარ მეფის ცხედარი ასვენიაო.

## ხირხონისი

ხირხონისის წმ. გიორგის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა (სურ. 71).

სიძველენი:

1. (ტფ. მუზ., რ. 2) დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 26,7×19,6 სმ., წმ. გიორგი ორმაგად არის გამოსახული, ორივე ცხენზე მჯდომარედ: პირველზე (ზევითა ნაწილში) მისი ცხენის ფერხთა ქვეშ კაცია განრთხმული; მეორეზე (ქვევითა ნაწილში) ვეშაპი. ხატი დაზიანებულია (დაზიანება მომხდარა 1923 წელს). აშიები და ზურგის ფიცარი სულ მოცილებული და დაკარგული აქვს.

ძეგლი მდარე ხელის ნამუშევარია; ეკუთვნის XVII ს. ხალხის გადმოცემით, იგი გადმოტანილია მეზობელ სოფელ სხიერის ეკლესიიდან; მათივე სიტყვით ის ჰკურნავს (?) შეშლილებს.

2. (ქ. 2131). რომელიღაც საეკლესიო წიგნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

## სხიერი

სხიერის „მირიანეული უძრავი" წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 72) ერთნავიანი შენობაა, 7×4 მ, ნაგები ქვიტკირისაგან; დასავლეთით მოჩანს საქალებოს საძირკველი, ხოლო ჩრდილოეთით (აღმოსავლეთ ნაწილში) — რომელიღაც შენობის ნანგრევი. ეკლესია გარედან გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია (კანკელთა ახლოს), მაგრამ იგი დღეს ამოგებულია; სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ტრაპეზი კედლიდან ოდნავ არის დაშორებული.

შიგნით ეკლესია მოხატულია; დღეს მხატვრობა შენახულია მარტო მაღლითა ნაწილში; მთელი სამხრეთით კედელი და დანარჩენი კე-

ღლების ძირა ნაწილი კირითა და წამლით არის შელესილი. წარწერები მხატვრობას ასომთავრულად და ხუცურად აქვს.

საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება, დაზიანებული, მაცხოვარს წარწერა დაზიანებული აქვს, მას წიგნში უწერია ასომთავრულად: მევ რნთ(ლ)ის ფლი|...|...|... ...|, მე ვარ ნათელი სოფლი-(სა...). ღვთისმშობელს აწერია: დ῀(დ)ი ღმ῀სი; ნათლისმცემელს — წ῀ჲ [ი῀ე ნ῀თლსმცემ῀ლი], ანგელოზებს: ქერ῀ბნ|ი|, სრ῀ბინი, პირველ რიგში დახატულია (სურ. 73): სარკმლის თავზე: მ῀ქლ მთვრნგ|ლზი|; მის მარჯვნივ და მარცხნივ მღვდელმთავრები, დაზიანებულნი, განსაკუთრებით უკანასკნელნი (რიგში). მთავარანგელოზის მარცხნივ მდგომს აწერია ასომთავრულად: წ῀ჲ ბ[ასილი], მარჯვნივ მდგომს; პირველს ხუცურად — წ῀ჲ იო῀ნე ოქროპ[ირი], მეორეს ხუცურადვე — (წ)῀ჲ: ათ῀ნასე, დანარჩენი წარწერები დაზიანებულია.

ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ღვთისმშობლის მიძინება, დაზიანებული, და წმ. გიორგი, ცხენზე (ცხენის ფერხთა ქვეშ განრთხმულია მეომარი, რომელსაც საჭურველი გატეხილი აქვს ორად; წმ. გიორგი მას შუბით ჰგმირავს ყელში).

პილასტრზე (ჩრდ. მხარეს) დახატულია: მაღლა — წ῀ჲ ბბ῀ წმიდაჲ ბარბარე, ძირს —[წ]῀ჲეკ῀[ე] წმიდაჲ ეკატერინე.

დასავლეთის კედლის პირველ რიგში დახატულია 2 წმინდანი (?), მათგან ერთი სარკმლის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. II რიგში — შესვლა იერუსალიმში, დაზიანებული.

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა სურათებიც, სახელდობრ:

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს  კ ე დ ე ლ ზ ე დახატული იერუსალიმში შესვლის გასწვრივ, ჩრდილოეთის კუთხესთან, დახატულია ორი საერო პირი (მხრებამდე); ისინი მოჩანან სასახლის აივანზე (?).

მხატვრობა უშნო და დაბალი ხელისაა.

ეკლესიაში ინახება ქვის ფიცარი (სურ. 74) (დაყუდებულია ჩრდილოეთის კარის ადგილას გაკეთებულ ნიშში?), 86×71 სმ, რომელიც ძველად ეკლესიის ან მისი ერთადერთი შენობის კედელში უნდა ყოფილიყო გაკეთებული; მასზე ნაქანდაკევია ანგელოზებისა და საეროსასულიერო (?) პირთა სახეები ხუცური წარწერებით.

ფიცრის ზევითა ნაწილში გამოსახულია ორი მდგომარე ანგელოზი წარწერით: წ῀ჲ მქ῀ლ, წ῀ჲ გბ.

ფიცრის ქვევითა ნაწილში გამოსახულია მოხუცი, ხელებაპყრობილი; მას ორივე მხარის ქვეშ უდგას ყრმები, აწერიათ:

მოხუცს: ყრმებს:

ⴜ̃ⴀ ⴂ̃ⴈ წმიდაო გიორგი ⴘ̃ⴍⴙⴈⴋ̃ⴑ ⴑ̃ⴌ შვილნი მისნი:
ⴘ̃ⴄ ⴢ̃ⴄ შეიწყალე ჲოანე ⴙⴈ ⴈⴀⴙ იოსებ, აპრონ
ⴈⴑⴘ

მოხუცისა და ყრმების შემდეგ დასახულია სხვა პირი წარწერით:

ⴜ̃ⴀ ⴂ̃ⴈ — წმიდაო გიორგი
ⴘ̃ⴄ ⴞ̃ⴚⴈ — შეიწყალე ხუცი (?)

ქანდაკებისა და წარწერების თვალსაზრისით ძეგლი (ქვის ფიცარი) ეკუთვნის IX—X სს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაქანდაკევი წ მ. გ ი ო რ გ ი ს ხატი, 86×52 სმ, წოდებული „მირიანეული უძრავი" წმ. გიორგის ხატად, გადაკრული ფიცარზე, წმ. გიორგი მდგომარეა შუბითა და ფარით; ხატი შემკულია 3 თვლით, აშიები კი ჭედილი მცირე ხატებითა და ფოთლოვანი სახეებით.

ხატი ეკუთვნის XIII—XIV სს., ხოლო მისი აშიები XII ს.

2. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 59×37,5 სმ, გადაკრული ფიცარზე; წმ. გიორგი მდგომარეა. ხატის ფურცელს ძირა ნაწილში აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა:

--- ႤႵႫႬႤႱ (sic) ႢႬႫႭႰႸႱ ႱႲႤႴႠႬႤႱ ႾႠႲႨ
---------- ႸႤ ႠႨႱႠႸ

...ექმნეს გნმორშს (?) სტეფანეს ხატი... შე (შეიწყალე?) აისაშ (?).

3. ვერცხლზე ნაჭედი წ მ. გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი, 60,2×41,2 სმ, დაფერილი ოქროს წყალში, გადაკრული ფიცარზე; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარედ, ცხენის ქვევით ვეშაპია, რომელსაც გმირავს. ხატის ზევითა ნაწილში მარჯვნივ მოჩანს ხელი და მარცხნივ დედოფალი. ხატი ძლიერ დაზიანებულია. წმ. გიორგის თავზე აწერია ასომთავრულად: წ̃ი გ̃ი, ხატს ქვევითა ნაწილში ჰქონია ასომთავრული წარწერა, რომლიდანაც შენახულია მარტო მარცხენა ნაწილი, მარჯვენა კი მოგლეჯილია და დაკარგული:

- - - [Ⴃ]၊[563] Ⴀ၊ Ⴋ: ႴႠႰႥႤႪ၊ ႤႵႫ[ႤႬ]- - -
- - - [Ⴘ][563] ႥႨႪႧႠ: ႫႨႱႧႠ၊ ႠႫႨႬ၊

...და მფარველ ექმ[ენ]... [შ]ვილთა მისთა, ამინ.

ხატი ეკუთვნის XV—XVI სს.

4. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 44×35,2 სმ, გადაკრული ფიცარზე; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; ხატი დაფერილია ოქროს წყალში გარდა აშიებისა და შემკულია ფოთლოვანი სახეებით და 1 თვლის ბეჭდით, რომელიც უზის ხატს წმ. [გ]იორგის თავის ზევით და რომელსაც აქვს არაბული (!) წარწერა; აშიები დაზიანებულია, ქვედა სულ მოცილებულია და დაკარგული. წმ. გიორგის თავზე აწერია ასომთავრულად: Ⴜ~Ⴈ Ⴂ~Ⴈ.

ხატი ეკუთვნის XIII—XIV სს.

5. ფიცარზე ნახატი წმ. მარინეს ხატი, 11×8,2 სმ, რომელსაც ვერცხლის შემკულობიდან წინა მხარეს მცირედი ნაწილიღა შერჩენია 1 თვლით; ფიცარი დაფუტუროებულია; უკან[ა] მხარეს გადაკრულია ვერცხლის ფურცელი ასომთავრული წარწერით:

| | |
|---|---|
| Ⴜ~ႣႭ ႫႰ~ႬႣႸ~ႤႫႣႫ<br>ႩႭႡႤႪႨ Ⴘ~ႬႨ ႾႣ<br>ႸႣႵႣ Ⴃ~ႼႣႬ<br>ႱႠႳႩႳႬႤႱႣ ႼႣ<br>ႬႣႸႤ ႶႫႤႰႧႱ (sic)<br>ႣႫႨႬ | წმიდაო მარინა, შეიწყალე მამკობელი შენი ხუაშაქი აქა და საუკუნესა წინაშე ღმრთისა, ამინ. |

წარწერა ყურადღებას იპყრობს დაწერილობის მხრივ: ერთი შემთხვევის გარდა (სტრ. მე-4) ა-ს ნაცვლად ყველგან ნახმარია ⴃ.

ხატი ეკუთვნის XVII ს.

6. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 14×10 სმ. გადაკრული ფიცარზე. დაზიანებული. ხატს ძირა ნაწილში ხატისავე არეზე აქვს ასომთავრული წარწერა:

| | |
|---|---|
| Ⴜ၊· Ⴂ~ႢႨ၊· Ⴑ~၊·<br>Ⴘ~ႬႱ၊· Ⴖ~Ⴌ | წმიდაო გიორგი ს-(?) შეუნდოს ღმერთმან |

563 ესა და ამის წინა ასოები დაკარგულ ნაწილზე უნდა ყოფილიყო.

7. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 8×6 სმ, გადაკრული ფიცარზე, წარწერით ΜˉΡ ΘˉΥ[564].

აღსავლის კარები ექვსი ხატით, ქართული ხელოვნებისა.

### კომანდელი

კომანდელში მცხოვრებ ვალიკო ივანეს ძე გამყრელიძის მიერ შემოწირული საბუთი:

(ქ. 2867). წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ II-ის მიერ გამყრელიძეთადმი, 1808 წ.

### სომიწო

სომიწოს წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 75) ერთნავიანი შენობაა, 12,8×4,7 მ, ნაგები ტინის თლილი ქვისა და კირისაგან; იგი XIX ს-ში რამდენჯერმე არის განახლებულ-გადაკეთებული. დღეს დგას მარტო კედლები, გალესილი კირით; თაღი აქვს მხოლოდ საკურთხეველს, დანარჩენ ნაწილს კი ფიცარი ჰქონია; იგი გადაუხდიათ ამ უკანასკნელ წლებში; კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ტრაპეზი კედლიდან დაშორებულია; ზომით არის 105×65×45 სმ; მისი წინა მხარე შემკულია შესანიშნავი ორნამენტიანი ქვებით.

ეკლესიას გარეთ აქვს წარწერები.

1. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე დევს ქვა, 40×66 სმ, ასომთავრული წარწერით; წარწერის პირველი ორი სტრიქონი მოთავსებულია მარჯვნივ ერთ დიდ წრეში, მესამე — წრის ძირს, მეოთხე — მარცხნივ, სხვა წრეში, მეხუთე მოცილებულია და არა ჩანს, სად უნდა ყოფილიყო. ქვის ხსენებული მარჯვენა წრე გადალესილია კირით. წარწერა (სურ. 76):

| | |
|---|---|
| Ⴜ~Ⴍ ႨႤႱ~Ⴓ | წმიდაო იესუ შეიწყალე განმაშვენებელნი. |
| ႸႼႷႪႤ | |
| ႢႬႫ | |
| ႸႥႬႡ | |
| 5. [ႪႬႨ] | |

564 თუ მართალია უვაროვას აზრი, რომ გამბის „შერი“ ალბათ „სხიერია“-ო, მაშინ ზემოაღწერილი სიძველეების თავდაპირველ საყოფელ ადგილად ჩაითვლება ახალციხის მაზრის ერთ-ერთი ეკლესია, საიდანაც იგინი ვითომც იმერეთის რომელიღაც მეფეს გადმოუტანია (MAK, IV, 126—127).

2. სამხრეთ კედელზე, კარის ახლოს დევს ქვა, 42,5×39,5 სმ, კუთხური ხუცური წარწერით; იგი გვერდზე დაწვენით, უწესრიგოდ არის დადებული და ეკლესიის განახლება-გადაკეთებისას უნდა მოხვედროდა აქ.

წარწერა:

| | |
|---|---|
| ⴍ̃ⴀ [ⴑⴋⴁ]ⴀ ⴘⴍ̃ⴗⴊ | [სამება]ო, შეიწყალე |
| ⴖⴃⴋ | ღუდუმ. |

ტრაპეზის ორნამენტები და კედლების წარწერები ეკუთვნის XI ს. და პირვანდელი ეკლესიაც იმავე დროის აშენებული უნდა ყოფილიყო.

ეკლესიას სამხრეთით მიშენებული ჰქონია რაღაც შენობა; დღეს მისი საძირკველიღა მოჩანს.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით კუთხის გასწვრივ, ეზოში დევს საფლავის ქვა, 1,7×0,58 მ.; იგი თავში შემკულია ჯვრით, გარეშემო ჩუქურთმიანი აშიებით, ხოლო გულში მხედრული წარწერით (წარწერაში ზოგიერთ სიტყვებს ასოები აკლია):

ქ. აჰა საფლავსა ამას შინა მდებარე
სახელმწიფო აზნაური იოანე ჩიკვილ
აძე. შობიდგან ვიყავ მქონე (ჲ)სა წლ
ისა ვიყავ გონება მახვილი და ვის
წავე წერა სამხედროთი და ჰედა ოქრო
ისა და ვერცხლისა და გამოვხატავდი-ხატსასა (sic)
ქრისტეს მაცხოვრისასა და დისა (sic)[565] მის ყ̃დ
უხრწნელისა ღვთის მშობელისას:. და თომე
ტთა (sic) მოციქულთა და ეკლესიათა სახმართა შევა
სრულებდი ვიყვ მკანდაკბელ (sic) და სხვათაცა ვასწავბდი
სამოქალაკოთაცა საქმთა ვიქმოდი და თვით ძეთა
ჩეთაცა (sic) ვსწავე ვ̃ა ძლ[566]ედვათ დღესა რომელსა
არა მოველოდი (მოწ)რმყვაველბელნი (?)[567] ჩემნი: და განმაშ:
ორეს მყვასთა და ნავთა (sic)[568] ჩემთა და არა უწყი სად წარ

565 უნდა იყოს დედისა.

566 უკანასკნელი ოთხი სიტყვა იკითხება: ჩემთაცა ვასწავე ვითა ძალ.

567 სიტყვა უნდა იგულისხმებოდეს: მოვიდენ, მოიწიენ წარმყვანებელნი.

568 უკანასკნელი სამი სიტყვა იკითხება: მოყვასთა და ნათესავთა.

15 ვალ ანუ რა ვიქმნები აღმომკითხველ[ნო] შენდო
ბას გევედრები რათა თქვენცა შეგინდვნეს შეცოდებანი
თქვენი რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა
ჩყმა წელსა თებერვლის ი რიცხვსა.

წარწერა ეკუთვნის 1841 წელს; მასში მოხსენებული პირის, იოანე ჩიკვილაძის მიერ გაკეთებულია ქვემო აღწერილი სიძველეები (იკითხება მათ წარწერებში).

ეკლესიის გარეშემო დგას ბზის ხეები.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2746). ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის ხატი, 79×56,5 სმ. შემკული ვერცხლზე ნაჭედი ღვთისმშობლის მცირე ხატით, დაზიანებული. ხატს აშიების ადგილას ყვითელ ფონზე შავი საღებავით აქვს ასომთავრული წარწერა:

1. (მაღლა): ✝ː Ⴜ҃Ⴃ Ⴂ҃Ⴈː ႡႤː ႱႭႫႨႼႨႱႠႭː ႥႨႱႳႰႥႤː ႣႠː ႢႨႻႶႳႤႬː ႾႠႲႨː ႤႱႤː Ⴜ҃Ⴑ

2. (მარცხენა მხარეს) ႢႨႭႰႢႨႱː ႸႤႨႼႨႰႤː ႹႤႫႨː (sic) ႤႱႤ ႫႱႠႾႳႰႤႡႠː ႣႠ ႫႨႭႿႤ ႫႭႬႠႱႠː ႸႤႬႱႠː ႨႭႠႬႤႱː ႹႨ

3. (ძირს): ✝ႵႥႨႪႠႻႤႱː ႣႠː ႧႠႬႠႫႤႺႾႤႣႰႤႱႠː ႹႤႫႱႠː ႿႠႴႠႰႨႻႤႱː ✝Ⴀ

4. (მარჯვენა მხარეს): ႵႠႪႨႱ (sic) ႧႳႧႠႱ ႣႠː Ⴛ҃ႧႠː ႣႠႱႳႪႧႠː ႹႥႤႬႧႠː ႠႶႱႠႦႰႣႤႪႠႣː—ႼႤႪႧႠː ႳႴ҃ႪႨႱႠႧː —Ⴙ҃ː Ⴗ҃ႨႦ[569] (sic).

ქ. წმიდაო გიორგი, ჰე სომიწისაო, ვისურვე და გიძღუენ ხატი ესე წმიდის გიორგის. შეიწირე ჩემი ესე მსახურება და მიოჯე მონასა შენსა იოანეს ჩიქვილაძეს და თანამეცხედრესა ჩემსა ჯაფარიძეს ქალის (sic) თუთას და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად წელთა უფლისათ ჩყილ ან ჩყიზ.

ძეგლი ეკუთვნის XIX ს. პირველ ნახევარს.

---

569 წელთაღრიცხვის უკანასკნელ ასოებში შეცდომა არის: ან უკანასკნელი ასო ლ ასოთა მსგავსების გამო ზ-ს მაგიერ არის დაწერილი (მაშინ მივიღებთ 1817 წელს), ან კიდევ ეგების უკანასკნელი ორი ასოს — ილ-ის მაგიერ ლი უნდოდა მწერალს დაეწერა (მაშინ მივიღებთ 1840 წელს).

2. (ქ. 2747). ბრპენის ბარძიმი მხედრული წარწერით:

„† წმიდის გიორგის ჟაშკეი[570] ბრძიმსა[571] ვაკეთებ მე ივანე ჩქვილაძ|ე მსახსენებლად მეუღლით ძით და ასულით".

ეკუთვნის იმავე ხანას და იმავე პირს.

## ჟაშკვა

ჟაშკვას წმ. გიორგის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

სიძველე:

(ქ. 2737). ფიცარზე ნახატი წმ. ნინოს (?) ხატი, 27,5×22 სმ, რუსული ხელოვნების.

ეკუთვნის XVIII ს.

ჟაშკვას მცხოვრებ ერასტი ლუკას ძე დოკვაძის მიერ შემოწირული საბუთები:

1. (ქ. 2858). ნასყიდობის წიგნი, მიცემული სვ. იაშვილის მიერ დოკვაძეებისადმი, XIX ს.

2. (ქ. 2859). ნასყიდობის წიგნი, მიცემული გ. იაშვილის მიერ დოკვაძეებისადმი, 1830 წლისა.

## ცხმორი

ცხმორის მცხოვრებ ვასილ ლუკას ძე კობერიძის მიერ შემოწირული წიგნი:

(ქ. 2794). კატეხიზმო ანტონი პატრიარქისა, მხედრულად ნაწერი, 1768 წლისა, ფურცელნაკლები.

წიგნს სათაურად აწერია: „წელსა. ჴღჲჱ. | იანვარს. დ. | წიგნი ესე არს. | კატეხიზმოს. | თქმული არს ანტონის მიერ | პატრიარხისა ყოვლისა ზემოჲსა | საქართველოჲსა. მეფის ძისა და | ჴელმწიფისა | ჩემისა:."

ცხმორის მცხოვრებ კირილე გიორგისძე კობერიძის მიერ შემოწირული საბუთი:

(ც. არქ., ფ. № 17). სასისხლო წიგნი, მიცემული ვახტანგ გორგასლის მიერ (?) კობერიძეთადმი; პირი XIX ს.

---

570 უნდა იყოს: ჟაშკვის; ჟაშქვა სომიწოს მეზობელი სოფელია.

571 იკითხება: ბარძიმსა.

## ფსორი

ფსორის ღვთისმშობლის ეკლესია ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა; მის გარშემო არის ბზის ტყე.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 2752). წვრილი ნივთები: სპილენძის ჯვარი ქვედა ნაწილმოტეხილი 1 ც.; ტრიპტიქის კარი 1 ც.; სულ 2 ცალი.

2. (ქ. 2753). უბის ხატის ქისა ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.

3. (ქ. 2785). ლოცვანი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

ფსორის მცხოვრები კიმოთე პაპუნას ძე ჯოხაძის მიერ შემოწირული წიგნი:

(ც. არქ. ფ. 10, № 54). „ისტორიაჲ, ანუ ნარკუშვი[572], ქმნილი დავით ბატონიშვილის მიერ", დაბეჭდილი ტფილისს 1800 წელს.

## პიპილეთი

პიპილეთის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა (სურ. 76) დგას მდ. ჯეჯორის მარჯვენა მხარეს, სოფლის პატარა უბანთან; იგი ერთნავიანი შენობაა 10,75×6,27 მ. ნაშენი შირიმის თლილი ქვით და კირისაგან. ხურავს ყავარი. თალს დასავლეთ ნაწილში შერჩენილი აქვს მის (თალის) გადასაყვანად გამართული ხარაჩო (ერთი კედლის თავიდან მეორე კედლის თავამდე გადებულია კოჭები, მათზე გარდიგარდმო გაწყობილია სხვა კოჭები, სულ მაღლა, თალის ქვეშ კი ფიცრები). კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით. კარი აქვს სამხრეთ-დასავლეთით. სამხრეთის კარი მთლად რკინის სალტებით არის შეჭედილი. სარკმელი აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, დასავლეთით 1, სულ 3. კანკელი ხისაა, XIX ს. იგი საუცხოო ხელითაა ნამუშევარი და ფერადი წამლითაა შეღებილი; მხატვრობაც XIX ს. სულ არის 6 რიგი, იგი დაბალი ხელის ნამუშევარია. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას, სამკვეთლო ცალკეა გამართული; კედელთან ამბიონის ნაპირის ქვედა სამკვეთლოს ზედა ქვა გარედან გვერდებზე ერთგვარი მრგვალი სახეებით არის შემკობილი.

---

572 წიგნი ხსენებული პირისათვის „დიდი ხნის" წინათ უჩუქებია სოფ. ვეჯინის (კახეთი) მცხოვრებ ზურაბ აბაშიძის მეუღლეს.

ეკლესიაში არის მომრგვალო ქვა შემკული ჩუქურთმებითვე, იქნებ იგი ქვის კანკელის ნაშთი იყოს (სურ. 77).

ეკლესია შესანიშნავი შენობაა; იგი განახლებულია XIX ს. ბოლო ათეულ წლებში.

ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი, რომელიც ადგილ-ადგილდა შემორჩენილა; მას კარი სამხრეთით აქვს; იგი დანგრეულია, მის ადგილას ყრია კარის სალტეები, კარის თავის ქვა და სხვ. გალავნის გარშემო არის ბზის შესანიშნავი მსხვილი ხეები.

ეკლესიის აღმოსავლეთით არის საფლავის ქვა, 1,65×66 სმ, მხედრული წარწერით:

ქ:. აჰა (sic):. საფლავსა: ამას: შ῀ა მდებარე
სარწმუნოებით ბერძნისა. აწ უწყალო სიკვდი-
ლისგან წარწყმედილი... ღისა თ῀ის იაშვილის
ასული. მზეხათუნ მემცხედრე თ῀ის ოტია
5. ჯაფარისა[573] ღ῀ისა და კაცთა უწყენი ოჯახისა
განმგებელი და აღმადგინებელი აღმომკი
თხველნო შენდობა მიბრძანეთ: ღ῀ისა თჳს
ჩყლზ. წელსა:. (1837 წ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დედანს აკლია ამ ეკლესიის სიძველეების ჩამოთვლა (ლ. ფ.).

### ირი

სოფ. ირის „ძელი ჰეშმარიტის“ ეკლესია ახალი შენობაა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ე ბ ი:

1. ქვა 80×47×11სმ, შემკული გულში ჯვრისა, ხოლო გარშემო ყვავილებისა და მტევნების გამოსახულებით. მოტანილი ძველი ნასაყდრიდან. ხსენებული ნასაყდრი, ხალხის სიტყვით, არის სოფლის აღმოსავლეთით 12 ვერსზე, მდ. ჯეჯორის მარცხენა მხარეს, რუბოძალის (ჯეჯორის შემდინარე წყალია) ჰალაში. დღეს მისგან მხოლოდ ნანგრევებიღაა. იქვე ახლოს დგას სამი დიდი ცაცხვის ხე.

---

573 უნდა იყოს: ჯაფარიძისა.

2. ძველი ისტორიული წიგნი ირის ძელიჭეშმარიტის ეკლესიის — სახარება დაბეჭდილი 1709 წელს.

### ბაჯიხევი

ბაჯიხევის მთავარანგელოზის ეკლესია ფიცრის შენობა ყოფილა; ახალი დროისა; იგი აწ დაქცეულია.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. )* ოდიკი: ქართული 1822 წლისა. რუსული — იმპერატორ პავლე პეტრეს ძის დროისა; სულ 2 ცალი.

2. (ქ. ) ქამნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

3. (ქ. ) კონდაკის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

4. (ქ. ) კითხვა-პასუხი, მხედრულად ნაწერი, ძლიერ დაზიანებული, ფურცელნაკლები.

5. ( ) ალსარების სია.

### ონი

ონი ძველად მოხსენიებულია ალექსანდრე მეფის სიგელში XVI ს.[574].

ვახუშტით იგი არის „ჰავით... მშვენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანითა ყოფითა, არამედ აგრილებს მდინარე რიონი“[575].

აქ არის ორი ეკლესია: ერთი „საჯანის კარისა“ და მეორე „წერეთლების კარისა“; ორივე ერთნავიანი შენობაა XIX ს.

I. „საჯანის კარის“ ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

(ქ. 1831). ვერცხლზე ნაქანდაკევი წმ. გიორგის ხატი — 69×50 სმ, დაფერილი ოქროს წყალში (გადაკრული ფიცარზე). წმ. გიორგი მდგომარეა შუბითა და ფარით...

---

* დედანში ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საინვენტარო ნომერი არ არის მითითებული.

574 წერ. და მას. I, 127.

575 ვახ. საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 380.

მთავარანგელოზის შუაში[576] (მუხლებიდან დაწყებული) —

ႵႼႫႭ: ႫႧႠႥႠ|ႰႠႬႢႤႪႭႦႭႬႭ: Ⴋ῀ႵႤ|Ⴊ: ႢႡ῀ႰႪ: Ⴋ῀ႭႾ:
ႤႷႥႤ|ႬႨႧ:ႱႠႫႧႠ: ႻႫႠႧ|Ⴀ: ႢႠႰႠႷႠႬႨႱႻႤ|ႧႠ: Ⴋ῀ႵႪႱ:
ႴႭႰႧႭ|ႾႱ: ႣႠ ႨႥႠႬႤႱ: ႣႠ|ႻႤႧႠ: ႫႠႧႧႠ: ႭႰႱ|ႠႥႤ:
ႺႾႭႰ|ႤႡႠႱႠ: ႼႬ: ႵႰႨႱႲႤ|ႱႠ: |

იკითხება: „ქ. წმიდანო მთავარანგელოზნო, მიქელ და გაბრიელ, მეოხ ეყვენით სამთა[577] ძმათა გარაყანისძეთა მიქაელს, ფორთოხს და ივანეს[578] და ძეთა მათთა ორსავე ცხორებასა წინაშე ქრისტესა".

მიქელ მთავარანგელოზის მარჯვნივ[579] (ხელს ქვევიდან) —

ႵႼ῀ႫႭ.:|ႫႧ(Ⴀ)|ႥႠႰ|ႠႬႢ|ႤႪ῀Ⴍ|ႦႬႭ|: Ⴋ῀ႭႾ: Ⴄ|ႷႥႤ|ႬႨႧ:|
ႭႰႧ|ႠႻႫႠ|ႧႠ: Ⴑ|ႭႱႠ|ႢႨ|ႱႻႤ|ႱႠ|ႿႭႪႤ|ႣႨ|ႠႬ|ႱႠ: Ⴃ|Ⴀ: Ⴅ|
ႠႰႣ|ႠႬႱ: |Ⴜ῀: Ⴕ|ႰႨႱႲႤႱ|Ⴀ: Ⴍ|ႰႱႠ|ႥႤ: |ႺႾႭ|ႰႤႡ.|ႠႱႠ

იკითხება: „ქ. წმიდანო მთავარანგელოზნო, მეოხ ეყვენით ორთა ძმათა სოსაგისძესა ჯოლედიანსა და ვარდანს წინაშე ქრისტესა ორსავე ცხორებასა".

ო ნ ი ს ს ა ჯ ა ნ ი ს კ ა რ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს ჩ რ დ ი ლ ო ე თ ე ზ ო ზ ე დევს საფლავის ქვა, 157×49×24 სმ., წარწერით მხედრულად:

„ამა ლოდსა 'შინა
მდებარე ვარ აზნა-
ური ყარამან ქაი-
ხოსროსძე ჯაფა
რიძე ვექილი და და-
მცველი ვიყავ საწ-
წყალი კაცისა შობიდ
ან 41-სა წლისა მიცვლი-
ლი [18](9)4-სა იანვრის 12-სა
დღესა ალმომკით
ხველნო ქთხომთ (sic)
მომცეთ შენდობა.

---

576 RVA, XII, $70_{12-14}$.

577 ბროსეს სიტყვა „სამთა" გამოტოვებული აქვს.

578 ესევე ძმანი გარაყანისძენი მოხსენებული არიან ლების ორი ხატის (№ 15, 16) წარწერებში.

579 RVA, XII, $70_{19-20}$.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფრიად დასანანია, რომ ონის ეკლესიების სიძველეთა აღწერა ძალიან ნაკლოვანია და მათი აღდგენა მხოლოდ ნაწილობრივ მოვახერხეთ, მითუმეტეს ონის ყველა ეკლესია საძირკვლებიანად დანგრეულია.

საქართველოს საისტორიო არქივის (გ. ბოჭორიძის პ. ფ. № 1753, ს. № 29 (82), „რაჭის ისტორიული ძეგლები", წ. II, 241-ე გვერდზე იწყება ონის სიძველეების აღწერა, იქვე წყდება და მას 242-ე გვერდზე მოსდევს — „მოედნის მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველენი". მაშასადამე, აქ გვერდი ან გვერდები აკლია. სამაგიეროდ, „საჯანის კარის" ეკლესიის სიძველეების ჩამოთვლა არის „რაჭის ისტორიული ნივთების სიაში" (იხ. ქვემოთ).

ამავე არქივის, ამავე დასახელების პირველ წიგნში არის ერთ გვერდზე (გვ. 266) წარწერა, რომელსაც გ. ბოჭორიძის ხელით „ონი" აწერია. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ონში ეკლესია ახალია, მაგრამ შიგ ინახება ორი ძველი ხატი: მთავარანგელოზთა და წმ. გიორგისა" („არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში". თბ., 1963, გვ. 104). იქვე აქვეყნებს მთავარანგელოზთა ხატის წარწერას, რომლის შედარებამ გ. ბოჭორიძისეულ წარწერასთან აშკარა გახადა, რომ ისინი ერთი და იგივეა. ამიტომ მას ვაქვეყნებთ ონის „საჯანის კარის" ეკლესიის სიძველეებთან. საჭიროდ ვცანით აგრეთვე აქვე დაგვემატებინა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული (გ. ბოჭორიძის ფ. № 5, ს. № 56) „საჯანის კარის" ეკლესიის ეზოში დაცული საფლავის ქვის წარწერა.

ამჟამად არც ეს საფლავის ქვა და არც „საჯანის კარის" ეკლესია აღარ არსებობს (ლ. ფ.).

## ონის წერეთლის კარის ეკლესია

ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. აქვს წარწერა სამხრეთის კარის თავზე და ქვაზე. ერთნავიანი შენობაა — 8,8×4,33 მ. ნაშენია ქვითკირისაგან. თაღიც ქვიტკირისა აქვს. გარეთ გალესილია კირით, ახურავს ყავარი, რომელიც თითქმის სულ დამპალია. კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, სარკმელი აღმ.—1, ჩრდ. 2 და დას. 1. ტრაპეზი შუა საკურთხეველში დგა!

ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო —3,63× 3,87 მ. ...(? ლ. ფ.).

ეკლესიის კარის თავზე დევს მოთეთრო ქვა 67×105 სმ მხედრული წარწერით: (ტექსტი იხ. ქვემოთ — ლ. ფ.)

ეკლესია დგას წერეთლების სასახლის გზაზე. ხსენებული სასახლე ქვითკირის ორსართულიანი შენობაა, ხურავს ყავარი; იგი იმავე გეგმით არის როგორც საჩხერის (ჩიხას) სასახლე აკაკისა.

სასახლეში დღეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლაა.

„წერეთლების კარი"-ს ეკლესიას სამხრეთის (რიონის მხარე), კარის თავზე აქვს მხედრული წარწერა ქვაზე[580]:

„ქ. წელიწადსა[581] ჩყიგ[582] (1813 წ.) აღვაშენე ეკლესია ესე
ჩ῀ნ დიდის თავადის სახლთუხუცის[583] წერეთ
ლის ძემან გრიგოლ საოხად ჩთ῀ჳს[584] და საყვარ
ელთა მშობელთა ჩ῀თა[585] ზურაბ წერეთლისათჳს და
დადიანის ასულის თამარისა და მეუღლისა ჩი῀სა
დადიანის ასულის ელისაბედისათჳს და ძეთა და ასულთა
ჩთ῀ა აღსაზრდელად მხილველნო შენდობას ვითხოვთ ოდეს ჩ῀ნ
საფლავსა[586] ვიყოთ და თქ῀ნ ქვეყანასა".

წარწერაში მოხსენებული ეკლესიის აღმაშენებელი გრიგოლ წერეთელი იხსენიება აგრეთვე ღების ეკლესიის ბარძიმის წარწერაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეკლესიის მთავარი სიძველე — ოქროზე თუ ვერცხლზე ნაჭედი ღვთისმშობლის ხატი, შემკული ძვირფასი(?) თვლებით, დაღუპულა ძველად. 1900-იან წლებში.

მოედნის მთავარანგელოზის ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი მთავარანგელოზის ხატი — 42,3×31 სმ; XVIII ს.[587].

ხატი ზის შუშაბანდში, რომელსაც აქვს თუნუქა მხედრული წარწერით:

„ჩყნ (1850) წელსა | მთავარანგელოზის ხატისთვინ მომირთმევია ბუდე თავისით გუმბერთ[ით] ივანე ღვთისიას ძე ბერიშვილის".

წარწერა ეკუთვნის 1850-იან წლებს.

---

580 RVA, XII, 69.
581 ბროსე: წელსა (იქვე).
582 ბროსე: ჩყიე (იქვე).
583 ბროსე: სახლთხუცეს (იქვე).
584 ბროსე: ჩვენ თჳს (იქვე).
585 ბროსე: „ჩვენთა" (იქვე).
586 „ჩ῀ნ საფლავსა"-ს მაგიერ ბროსე კითხულობს: ჩვენსასა (იქვე).
587 1925 წელს ხატი ეკლესიაში იყო, 1930 წელს იგი ადგილზე აღარ აღმოჩნდა.

2. ფიცარზე ნახატი ათორმეტ დღესასწაულთა კარედი ხატი — 52×36 სმ, კარები აყრილი, დაზიანებული[588].

3. ხატი სამუშავრო (? ლ. ფ.) XVIII ს. იმავე პირის შემოწირული არის[589].

4. (ქ. რ. 66) მძივი დიდი 2 ცალი[590].

5. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი — 40×33 სმ, რომლის ზევითა ნახევარი წარმოადგენს ტახტზე მჯდომარე მაცხოვარს მარჯვნით და მარცხნივ მთავარანგელოზებით, ქვედა ნახევარი კი წმ. გიორგის ცხენზე და ქვეშ დიოკლეტიანეს (?), ორ ხატად (მარჯვნივ და მარცხნივ). მაცხოვარს და მთავარანგელოზებს შერჩენილი აქვთ ნაშთი ოქროს შარავანდედებისა. ხატი ძლიერ დაბალი ხელოვნებისაა.

6. თასი სპილენძისა მხედრული წარწერით:

„ქ. შემ[ო]წირ[ა]ვს. შიოს. ცხინვალელს. წმინდა.
გიორგი. ქალ[ა]ქისა. ეს. თ[ა]სი +.

სოფელში დგას ძველი კოშკი.

## ლაგვანთა

ლაგვანთას, მდ. საკაურას ხიდის მარცხენა მხარეს, შარაგზის თავს, შემაღლებულ კლდეზე 1927 წლამდე იდგა ქვითკირის კოშკი, რომელიც დაუნგრევიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს 1927—1930 წლებში და სახლის საშენებელ მასალად წაუღიათ; მისი დღეს მხოლოდ საძირკველიღა არის დარჩენილი; იგი უნდა ყოფილიყო ვახუშტის მიერ საკაურას მაგიერ სახორიად მოხსენებული ციხე (— ? ლ. ფ.), რომლისთვისაც ხსენებული პირი წერს: „სახორიას“ კევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად“[591].

## საკაო

საკაოს სამზირის უდაბნოს წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფლის ძირს, მდ. საკაურას მარცხენა მხარეს. იგი ერთნავიანი შენობაა, 6,5×

---

588 1925 წელს ხატი მთელი იყო, 1930 წელს მას კარები აღარ აღმოაჩნდა.

589 მეორე ტომის 242-ე გვერდზე ეს ხატი არ იხსენიება, იხსენიება I ტ. გვ. 267-ზე, (ლ. ფ.).

590 ასევე „მძივი“ მხოლოდ პირველი ტომის 267-ე გვერდზე იხსენიება (ლ. ფ.).

591 ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 380.

3,6 მ, რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს სამწირველო, 6,5×2,55 მ, ხოლო დასავლეთით საქალებო. ეკლესია ნაშენია შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან, იგი დარღვეულია ორივე მხარეს. ხურავს ყავარი; კედლები შიგნით გალესილია კირით; იატაკად აგია სწორპირიანი ქვა; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია... სამხრეთი კარი მთლად რკინის სალტეებით და ბრტყელთავიანი ლურსმებით არის შეჭედილი, ხოლო დასავლეთისა — მხოლოდ სანაპიროებსა და წელზე. სარკმელი — აღმოსავლეთით ერთი, სამხრეთ-დასავლეთით ერთი; საკურთხეველი ერთი საფეხურით არის ამაღლებული შუა ეკლესიიდან. კანკელი ფიცრისა ახალი ხანისაა. ტრაპეზი და სამკვეთლო კედელზეა მიდგმული. საკურთხეველშივე არის ორი თახჩა (ერთი მარჯვნივ, მცირე მარცხნივ). სამკვეთლოს ასწვრივ კედელში დატანებულია პატარა ქვაჯვარი. ეკლესია შემკულია რამდენიმე ქანდაკებით და წარწერით:

დ ა ს ა კ ლ ე თ ი ს   კ ა რ ი ს   თ ა ვ ზ ე გარედან დევს ქვა, რომელზედაც ნაქანდაკარია წმ. გიორგი (ცხენზე მჯდომარე). იგი დაზიანებულია...

თვით კარის ზევითა ნაწილში მარცხენა მხარეს აქვს მხედრული წარწერა:

„ჩუნთ წელსა მაისის ა
მე კოსტა ჯაფარიძემ
შოშიტას ძემ გამოვიღე
ბჭე ესე ჩემის ხელის
საოხად ოსტატები ამისი
გოგო ნონიას ძე კახა
თელის ძე და ივანე ლაზარ
ეს ძე დვალი შვილი.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი თ აწ ამოგდებული კარის შიგნითა მხარეს დატანებული აქვს ქვა, რომელზედაც აგრეთვე ნაქანდაკარია წმ. გიორგი — 100×92 სმ, ზემოაღწერილის მსგავსი; წმ. გიორგი გრძელი წვერით არის (დასავლეთის კარის თავზე წვერი შედარებით მოკლე აქვს); იგი მჯდომარეა ცხენზე, გამოწყობილია სამხედრო ტანსაცმელში; მარცხენა ხელით ცხენის ლაგამი უჭირავს. მარჯვენაში შუბი, რომლითაც გმირავს კაცის სახიან ცხოველს. ქვას ნაპირები დაზიანებული აქვს.

ცხენის ტუჩის ქვეშ არის ხუცური ასოები:

ⴜⴋⴂⴈ
/ / / /

ამავე ქვის მარჯვენა მხარეს ზემო და ქვემო კუთხესთან კედელში აწყვია ხატები, ალბათ, ამავე (?) ქვისა: ზემო კუთხესთან — ქვა, შემკული ჩუქურთმებით (16×16 სმ), ქვემო კუთხესთან — ქვა ფრთიანი ვეშაპისა (?) თუ რაღაც სხვა ცხოველის გამოსახულებით (23×23 სმ).

ს ა რ კ მ ლ ი ს მ ა ღ ლ ა დევს ქვა 70×70 სმ, ჩუქურთმიანი... ძირის მხრებს ქვევით ორი ჩარჩოიანი წრეა, ხოლო მხრებს ზევით არის კუთხეში ასომთავრული წარწერა:

✝ Ⴕ̄Ⴄ Ⴖ̄ †Ⴘ̄Ⴄ Ⴂ̄Ⴄ ႣႤ[592]ႩႬႦ

✝ ქრისტე ღმერთო შეიწყალე გიორგი დეკანოზი.

ს ი ძ ვ ე ლ ე ე ბ ი: (დედანში ნაჩვენები არ არის. — ლ. ფ.).

ამ ეკლესიის მახლობლად უფრო შემაღლებულ ადგილას ყოფილა იმავე სახელობის ფიცრის ეკლესია ახალი დროისა, რომელიც დაუნგრევიათ 1926—27 წლებში. უკანასკნელის სიძველეები, ნომრით აღწერილს გარდა, პირველის კუთვნილებას უნდა შეადგენდნენ.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი: (დედანში ჩამოთვლილი არ არის. — ლ. ფ.).

ამავე სოფლის ზემო უბანში არის სხვა ეკლესია ქ ა შ უ ე თ ი ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს სახელობისა. იგი ქვითკირის შენობაა ახალი დროისა, აშენებული ძველი ეკლესიის ადგილას, ნაწილობრივ ძველი და ნაწილობრივ ახალი მასალისაგან. მისი საძირკვლის გათხრის დროს, როგორც ადგილობრივ გადმოგცეს, აღმოჩენილა ერთი ადამიანის აკლდამა, რომელშიც ყოფილა ბრინჯაოს ნივთები: ცული, სამკაული და სხვა. ისინი ეკლესიაში შეუნახიათ, მათი ნაწილი დრო-ჟამის განმავლობაში დაკარგულა, ნაწილი დღემდე შემონახულა, სახელდობრ... მხოლოდ ზოგიერთი: ცული, მშვილდი და ისარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ გ. ბოჭორიძის საარქივო ფონდში № 5 ს. № 56 არის საკაოს წმ. გიორგის ეკლესიის აღწერილობის მეორე ვარიანტი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

ს ა კ ა ო ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია დარღვეულა ყოველ მხარეს და დაქცევა მოელის. საქალებო ფიცრისა უკვე აუღიათ. მას ჩრდილოეთით ჰქონია ბუხარი, რომელიც ახლა დანგრეულია. მას აქვს სამხრეთი კარი გარედან მთლად რკინაგადაკრული. ჩრდილო კედელში შიგნით ჩატანებულ წმ. გიორგის ქანდაკებას პირისახე დაზიანებული აქვს ძლიერ, შენახულა მხოლოდ ფატის ძირა ნაწილი. დასავ-

---

592 Ⴄ Ⴃ-ს უზის მეცელში.

ლეთის კარზე მდებარისაც. პირისახე აგრეთვე დაზიანებულა, მისი ნაწილი მოტეხილია და დაკარგული. მას აწერია Ⴜ̃(Ⴂ) (წმიდა გიორგი).

დასაცავია: წმიდა გიორგის ქვები — 2.
ქვები აღმოსავლეთის კედელზე 6 თუ 8.
კარები: აღმოსავლეთის კედელზე — 2.

დასავლეთის კარს, ალბათ, ძველი კარიდან გადაკრული აქვს რკინის სალტეები აშიების მაგვარად. მას აქვს მხედრული წარწერა:

ჩყნთ წელსა მაისის ა
მე კოხტა ჯაფარიძემ
შოშიტას ძემ გამოვიღე
ბჭე ესე ჩემის სულის
სარხად ოსტატები ამისი
გიგი ნინიას ძე კაცთე
ლიძე[593] და ივანე ლაზარ
ჱს ძე დვალი შვილი

## ძეგლევი

ძ ე გ ლ ე ვ ი ს წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია ფიცრის შენობაა ახალი დროისა. ძველად აქ ყოფილა ქვითკირის მცირე ეკლესია, რომელიც დაუქცევიათ და ახალი შენობისათვის საძირკვლად გამოუყენებიათ.

ვახუშტი იხსენიებს ძეგლევს; იგი წერს: „ონის პირის-პირ რიონის ჩრდილოთ მთის კალთასა შინა, მაღლა არის დაბა ძეგლევი; აქა ეკლესიასა შინა არის ზეთი ჰიქითა, და შდუღარებს მარადის და რაოდენ იდუღებენ არა ცლის ჰიქასა მასო“[594].

არავითარი ცნობა ამ ჰიქასა და ზეთზე ხალხში დაცული არ არის.

ეკლესიის მთავარი სიძველე — ვერცხლის სანაწილე (ნაწილებიანი). 20×15 სმ (დაახლოებით) გაუტაცნიათ უკანასკნელ წლებში.

ეკლესიის დასავლეთით დგას ორი შესანიშნავი ურთხელის ხე: ერთი 4 მ, მეორე 2,65 მ (გარშემო). ჩავაბარე საბჭოს წევრს სერგო ფარნაოზის ძე ქებაძეს.

---

593 იკითხება: კახათელაძე (იგივე კახეთელიძე), ეს გვარი ცხოვრობს ნაკიეთში 3—4 კომლი.

594 ვახ. საქ. გეოგრ., ბრ. გამ. 380.

# უწერა

უწერა შედგება რამდენიმე უბნისაგან. უწერა — საკუთრივ მთავარი უბანი. თითოეული უბანი კარგა მანძილით არის დაშორებული მთავარი უბნისაგან.

1. უწერის ღვთისმშობლის ეკლესია დგას მთავარ უბანში.
2. უწერის ჯარონეთის უბანი.
3. ფარავნეში.

უ წ ე რ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია დიდი ბაზილიკაა (სურ. 79). იგი დღეს ჩვეულებრივი ტიპის დიდი ზომის ბაზილიკას წარმოადგენს, წინათ კი სამხროებიანი ყოფილა (?) და შემდეგ ხანაში, კედლების დაზიანების გამო, სვეტებშუა ცარიელი ადგილები კამარების კედლებით ამოუგიათ. ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით აქვს უბრალო ოთახები მიშენებული გალერეის მსგავსად, რომელნიც ორგანულად არ არიან დაკავშირებულნი მთავარ შენობასთან. შენობას (ეკლესიას) თაღი აღარა აქვს. ნაშენია შირიმის ქვისაგან.

ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა ოდესმე. აღმოსავლეთის კედელზე შენახულია მაცხოვრის ხატის ქვედა ნაწილი (ყელიდან წელამდე), მაცხოვარს ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი, რომელიც დაწერილია ასომთავრულად; მის ქვეკით მოჩანს რომელიღაც წმინდანის თავი.

ნივთები: 1. ძველი ხელოვნების ყუთი; 2. კონდაკი ხელნაწერი; 3. ქვა-ყალიბი ღვთისმშობლის ხატის; 4. გატეხილი ჯვარი; 5. ლანგარი წარწერით: „მეფე ერეკლე" (სპილენძისა); 6. ვერცხლის ფურცელი ნაჭედი ხატით; 7. ურთხელის ხის ჯვარი, რომელსაც ზევითა ნაწილი მოტეხილი აქვს... (შემდგომ გაურკვეველია. — ლ. ფ.).

უწერის ღვთისმშობლის ეკლესია[595] ერთნავიანი შენობაა 8,5×6 მ ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან; უწინ იგი სამხროებიანი შენობა უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ჯერ ერთი, დასავლეთის კედელი, რომელსაც აქვს კამარები, ამოგებული შემდეგ ხანაში და მეორეც, ვახუშტის ცნობა, რომელიც მას უწოდებს სიონს[596]. მას დასავლეთით და სამხრეთით აქვს მინაშენი, რომელიც ორიგინალურად არ არის დაკავშირებული მთავარ შენობასთან. ეკლესიას თაღი არა აქვს. გადახურულია ხის მასალით. შიგნით და გარეთ იგი გალესილია

---

595 МАК., VI, 107.

596 ვახ. საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 380.

კირით; შიგნით ძველად მოხატული ყოფილა: კვალი შერჩენილია მარტო აღმოსავლეთის კედელზე; აქ შენახულია მაცხოვრის ხატის ქვედა ნაწილი (ყელიდან წელამდე); მაცხოვარს ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი, რომელიც დაწერილია ასომთავრულად; მის ქვევით მოსჩანს რომელიღაც წმინდანის თავი[597].

სიძველენი:

1 (ქ. 1927). ჩვილედი ღვთისმშობლის ხატის ყალიბი, ქვისა, 18,7X 16,5 სმ, მარჯვენა კუთხე ატეხილი.

2 (ქ. 1928). ლანგარი სპილენძისა მხედრული წარწერით: „მეფე ერეკლე“ ეკუთვნის XVIII ს.

3 (ქ. 2151). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული;

შენიშვნა: ტრიპტიხი, რომელსაც იხსენიებს უვაროვისა (MAK, IV, 107—108) ეკლესიაში არ აღმოჩნდა.

## ფარავნეში

ფარავნეში (კერესელიძეების უბანში) არის ორი ეკლესია: ერთი მაცხოვრისა, მეორე მთავარანგელოზისა.

მაცხოვრის ეკლესია ქვიტკირის ერთნავიანი შენობაა XX ს. მის მახლობლად დგას შესანიშნავი ბზის ხეები.

მთავარანგელოზის ეკლესია ქვიტკირისავე ერთნავიანი შენობაა XIX ს. მის მახლობლად დგას 10-მდე ურთხელის ხე.

სიძველე:

(ქ. ) ხუთო (ხვითო) დიდ-პატარა 24 ცალი.

## გომი

გომში არის ორი ეკლესია: ერთი წმ. გიორგისა, ძველი; მეორე მთავარანგელოზისა, ახალი.

წმ. გიორგის ეკლესია დგას მდ. გომურას მარჯვენა მხარეს; იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა; დღეს ნანგრევად არის: შენახულია მხოლოდ ჩრდილო და დასავლეთი კედლების ნაწილები; მათ შიგნითი პირი (პერანგი) მოცილებული აქვს. დასავლეთის ნანგრევში შენახულია ხის კარი, რკინის სალტეებგადაკრული, დაზიანებული.

ეკლესიის შიგნით დგას ახალი ფიცრის ეკლესია.

---

597 იხ. იგივე, ტ. II, გვ. 154 (ლ. ფ.).

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. ). ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა, შემკული ცხოველთა სახეებით.

ეკლესიის დასავლეთით დგას მოზრდილი ურთხელის ხე.

მთავარანგელოზის ეკლესია დგას სოფლის ზევით, ტყიან ადგილას; იგი ფიცრის შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. ). ძველი ხატებიდან დარჩენილი ფიცრები —2 ცალი.

2. (ქ. ). ვერცხლის სასმისი, 13 სმ, შემკული მშვილდ-ისრითა და შუბით მეომარი ხალხის ჰედილი სურათებით, დაზიანებული.

ძეგლი ეკუთვნის უძველეს ხანას.

3. (ქ. ) სპილენძის თასი 1 ცალი.

4. (ქ. ). ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა, შემკული ცხოველთა სახეებით — 2 ცალი.

5. (ქ. ). ა. ბრინჯაოს სამაჯური დიდ-პატარა —2 ცალი. ბ. ბრინჯაოს გულისქინძისთავი — 2 ცალი. გ. ბრინჯაოს ღილი — 3 ცალი. დ. ბრინჯაოს ბეჭედი — 1 ცალი. ე. ბრინჯაოს წვრილი ნივთები — 7 ცალი. ვ. დაბალი ლითონის წვრილი ნივთები — 6 ცალი. ზ. მინის სამკაულის ნაშთი. Ꮎ. ხატიდან დარჩენილი აყიყის თვალი —1 ცალი და თ. რქის ბეჭედი — 1 ცალი.

6. (ქ. ) ა. მძივები ერთი ასხმა, მათში 8 მოზრდილი. ბ. მძივების ნატეხები — 16 ცალი.

7. (ქ. ). ტყვია. მთელი — 2 ცალი, ნატეხი 1 ცალი.

8. (ქ. ). მანები ქვებისა: მთელი და ნატეხი — 60 ცალი.

## გლოლა

ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ეკლესია (სოფელში) ერთნავიანი შენობაა, ნაგები ქვიტკირისაგან, შიგნით და გარეთ გალესილია კირით, კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სამხრეთის კარს გადაკრული აქვს რკინის სალტეები. ეკლესია განახლებულია ახლო ხანში. ვახუშტის იგი უნახავს „აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯუარითა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი“[598]; დღეს თითქმის მისი ნაშთიც აღარ

---

598 საქ. გეოგრ., ვახ. გ. ბრ. 380; MAK, II, 109.

არის. ეკლესიის შიგნითი მოწყობილობა 1923—1924 წწ-ში სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდის დროს, სულ მოუშლიათ და გაუნადგურებიათ ნაწილობრივ; ეკლესია მთლიდ დაცარიელებულია: განადგურებას გადარჩენილი ქონება მიბარებული და დაცული ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებ ეგნატე მიქელასძე ბიჭაშვილს. გლოლა ძველად მოხსენებულია ალექსანდრე მეფის სიგელში XV ს.[599] ვახუშტით. იგი არის „დაბა მზგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვანზღუდიანი[600]". დღეს ზღუდე აღარსად არის, გოდოლი მცირედ და კოშკი კი ერთი დგას სოფელში (მთელი) და მეორე გორაკზე (დანგრეული).

აქ არის სამი ეკლესია: ორი ზედაქალაქისა[601], გორაკზე და მესამე სოფელში.

გორაკი მდებარეობს სოფლის სანაპიროს; მას მარჯვნივ ჩამოუდის ბოყოს წყალი, მარცხნივ ხევი, წოდებული შირალის (ადგილსა ჰქვიან), ანუ ჭანჭახის წყლად. გორაკი ნასახლარებითა და ნანგრევებით არის დაფარული.

„ზედაქალაქის"[602] დიდი ეკლესია[603] (სურ. 80). ერთნავიანი შენობაა, 10×5,7 მ. ნაგები ქვიტკირისაგან: გარეთა პირი რიყის ქვაა,

---

599 წერ. და მას. I, 127 და 130.

600 ვახ., საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 380.

601 „ზედქალაქი", ანუ ზედაქალაქი ძველად ცალკე დასახლებული ადგილი ჩანს; იგი მოხსენებულია ზემოაღნიშნულ საბუთშივე XV ს. სადაც ვკითხულობთ: „სვანთა... მოვაცემინეთ... ზედაქალაქსა კარგი საპატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა, საეფისკოპოზო, მისით მოთვალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებითა სრულად გათავებული ასის კვამლით კაცითა" (წერ. და მას. I, 128—129).

602 ისტორიული „ზედქალაქი" და გოდოლის „ზედქალაქი" ერთი და იგივე უნდა იყოს.

603 უვაროვისა ამ ეკლესიას შეცთომით წმ. გიორგისად იხსენიებს (МАК, IV, 108); ს. მაკალათია კი მიქელგაბრიელისად (მთ. რაჭა, 74). ხალხი მას თამარ მეფის აშენებულს უწოდებს და მეტს არაფერს. იგი უნდა იყოს ის ჯვარპატიოსანის ეკლესია, რომელიც გვხვდება ზემოხსენებული ალექსანდრე მეფის XV ს. სიგელში. ეკლესიის აგების ისტორიას ადგილობრივ ასე გადმოგვცემენ. ერთხელ როდესაც თამარ მეფე, სხვების სიტყვით დავით აღმაშენებელი, რაჭაში მოგზაურობდა, დასასვენებლად ჩამომხდარა გლოლის მახლობელ სოფელ სამაროვანში: აქ მას ჯორები დაჰკარგვია, რომლებიც საძოვრად ყოფილან გაშვებული. თამარის მხლებლებს ბევრი ძებნის შემდეგ ჯორები უნახავთ ვეძაზე, ანუ მჟავე წყალზე; ეს წყალი ამ პირთ თამარისათვის მიურთმევიათ თასით. თამარს მოუსურვებია თავის თვალით ნახვა ამ წყლისა; მოსულა და უნახავს. მას ძალიან მოსწონებია გლოლის მიდამოები და ამ მცირე გორაკზე ეკლესია აუშენებია. მაშინ ს ადგილი დაუსახლებელი ყოფილა, რის

შიგნითა შირიმის თლილი ქვა. იგი ნანგრევად არის: კედლები ნახევრად ჩამოქცეულია; განსაკუთრებით დაზიანებულია კედლების გარეთა პირი; შიგნითი პირი კარგად შენახულა საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში.

---

გამოც საჭირო იყო ეკლესიისათვის მცველი დაეყენებინა. შეჰკითხებია თამარი ხალხს: ინ დასდგებითო. ერთ ბერს უთქვამს, თუ ცოლის შერთვის ნებას მომცემთ, მე დავდგებიო. მეფეს ნება მიუცია. დამდგარა ბერი, დაცოლშვილებულა; მას ამავე გორაკზე თავისთვის მცირე ეკლესია აუშენებია, რომელსაც დღეს ბერის საყდარს ვეძახითო. ბერთან ერთად აქვე დასახლებულა ბერის ბიძა და მისი (ბერის) მოსამსახურე ბიჭი. ამ სამი პირისაგან მოშენებულა უმთავრესად სოფელი გლოლაო. ბერის ჩამომავლობა წოდებულა ბერიშვილებად, ბიძისა — ბიძიშვილებად, ხოლო ბიჭისა — ბიჭიშვილებად. დღეს პირველი გვარის პატრონი ამ სოფელში არის 5 კომლი, მეორისა 6, მესამისა 30.

ესენიც და სხვა ადგილობრივი მცხოვრებნიც, საზოგადოდ, თავიანთ თავს სხვა ადგილიდან მოსულად თვლიან. მათი სიტყვით ძველად მათ წინაპართ მოსახლეობა ჰქონიათ „ტყის თავ"-სა და „ბუბა"-ში (ორივე სოფლის მახლობელი ადგილებია, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით). ბუბა, როგორც ზემოხსენებული 1432 წლის საბუთიდან ჩანს, XV ს-ში ჯერ კიდევ დასახლებული ყოფილა; იქ ვკითხულობთ: „სვანთა... მოვაცემინეთ... ბუბას კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი, ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა ოცდახუთი გლეხიო" (წერ, და მასალ., 1, 128—130). „ტყისთავსა" და „ბუბაში", არა ჩანს.

ხალხს ძველი ცხოვრებიდან დარჩენია გადმოცემა: ტყისთავში უცხოვრია მარტო ლევანდებს, ე. ი. უცოლო ხალხს — 1000 ვაჟკაცამდე; არც ერთი ვაჟკაცი 30 წელზე ნაკლები არ ყოფილაო.

ბუბას მოსახლეობაზე შენახულია ლექსი, რომელიც ჩამაწერინა სამოცი წლის მოხუცმა მაქსიმე ბიჭიშვილმა:

„ჩვენთა ძმათა ტყისთაველთა
ჩალა მოსდით, ქერი არაო".

ბუბას ოსები დასხმიან თავს:

„ბუბა, პირი ბროლს მიგიგავ,
საყვარი დანისტარსა;
ბუბა, ტურფად გამოჭრილო,
და ქაჯთაგან ხურაზნო
ხუთნი ხუთნი ხურაზნი,
მოგვივიდეს სტუმარნი;
ხუთი პური ქვე შეჭამეს,
წაგვივიდეს სტუმარნი.
სახლი გაუტეხია,
ნეტავ რა წაუღია?
ერთი გუდა მაჩვისა,
შიგა ფქვილი ღვარძლისა;

ეკლესია მოხატული ყოფილა; კვალი შერჩენილია ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში შირიმის ქვაზე, რომელიც გალესილია და ზედ მხატვრობა ამჩნევია.

ეკლესიის მახლობლად არის ციხის ნანგრევი.

„ს[illegible]ქალაქის" წმ. გიორგის ეკლესიაც (სურ. 81), წოდებული „ბერის საყდრად" აგრეთვე ერთნავიანი შენობაა, 3,6×2,15 მ, ნაგები რიყისა და ადგილ-ადგილ შირიმის ქვისა და კირისაგან. სახურავი (ყავარი) დაშპალი აქვს, თაღი გარღვეულია. კარი აქვს სამხრეთით (კარს ნაწილობრივ რკინის სალტეები აქვს გადაკრული), სარკმელი აღმოსავლეთით და სამხრეთით. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. საკურთხეველში არის დიდი ღრმა თახჩა.

ეკლესია მოხატული ყოფილა. დღეს მხატვრობა შერჩენილია საკურთხევლის ნაწილში, თაღზე და დასავლეთის კედელზე (სამხრეთის კუთხესთან).

## პიორა*

პიორა ძველად მოხსენებულია ალექსანდრე მეფისვე სიგელში, XV ს. იქ ვკითხულობთ: „სვანთა... მოვაცემინეთ... პიორას ციხე და სოფელი თექუსმეტი კუამლი გლეხი"-ო[604].

ვახუშტი იხსენიებს ამ სოფელს[605]. ადგილობრივი ეკლესია ახალია. იგი 1923 წელს გაუძარცვავთ...

---

ერთი კოზი კოპეპი
სამჯერ ტარდატეხილი;
ერთი ნეფსი მახათი,
სამჯერ კურწ მოტეხილი;
ერთი სამართებელი,
დედაბრის სამსახური.
დიდი ველი წაულია,
პატარაი ჩვენია;
ხუთნი ბუბას ვერას უზმენ
მტერთა ჩამოსავალია.
(ჩაწერილია მაქსიმე ბიპიშვილისაგან, 60 წლ.)
ხურაზი — დარაჯი, ყარაული.

* МАК, IV, 108; მთ. რაჭა 74.

604 წერ. და მას. I., 128—129.

605 ვახ., საქ. გეოგრ. ბრ. გამ., 380.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი[606]:

1. ფიცარზე ნახატი ხ ა რ ე ბ ი ს ხატი — 16×11,7 სმ, იგი ზის ვერცხლით შეჭედილ ჩარჩოში — 47×32,5 სმ, XVIII ს.

2. ფიცარზე ნახატი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხატი — 15,5×11,7 სმ, შეჭედილი ვერცხლით, რომელიც (ვერცხლი) ოქროს წყალშია დაფერილი. ღვთისმშობელს მარჯვნივ და მარცხნივ უდგას ორი წმინდანი (კაცი და ქალი), მას ყრმა კალთაში უზის. ხატი ჩამოტანილია იმავე სოფლის კვირაცხოვლის ეკლესიიდან.

3. ლანგარი მცირე, სპილენძის, მხედრული წარწერით:

ქ. სარდლის: ქალის: ელენესი:.

ქ. კაცია ღი... შვილისა.

ეკუთვნის XVIII ს. (?).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1923 წელს დაღუპულა სიძველე: ვერცხლზე ნაჭედი ნათლისმცემლის ხატი — 20×15 სმ (დაახლოებით) დაფერილი ოქროს წყალში; იგი გაუტაცნიათ ვიღაც პირებს.

ეკლესია 1923 წელს გაუტეხიათ, აღნიშნულ ხატთან ერთად წაუღიათ ჯვარი ხისა შემოსილი ვერცხლით და სხვა წვრილი ნივთები.

## ღები

ღები ძველად მოხსენებულია ალექსანდრე მეფის სიგელში, XV ს. იქ ვკითხულობთ: „სვანთა... მოვაცემინეთ... ღებს ორი აზნაურიშვილი გიგაშვილები მისის ციხითა და სამოცდათორმეტი კუამლით კაცითა... სხვა ღების შემავალი სოფლები ჯუმლად ოთხასი კუამლი კაცი“[607].

ვახუშტით, ღები არის „დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, და გოდოლოვანი“[608]. ჩვენი აზრით, ვახუშტი გოდოლს უწოდებს კოშკის სახედ ნაშენ საცხოვრებელ სახლს. მისი აღწერილობის მახლობელ სურათს უნდა წარმოადგენდეს დიუბუა დე მონპერის მიერ 1830 წელს გადაღებული სურათი, რომელიც სავსებით ეთანხმება მის სიტყვებს. დღეს ზღუდე აღარსად არის, კოშკებიდან რამდენიმე შენახულია, ხოლო გოდოლი (იგულისხმება დუროიანი ციხე-სახლი—ლ. ფ.) კიდევ საკმარისად მრავლად არის.

---

606 ქვემოაღწერილი სიძველეები 1925 წელს ეკლესიაში იყო, 1930 წელს არც ერთი მათგანი ადგილზე აღარ აღმოჩნდა; ისინი დაღუპულან 1927—1928 წლებში.

607 წერ. და მას., I, 128—130.

608 ვახ. საქ. გეოგრ., ბრ. გამ., 380.

ადგილობრივი მაცხოვრის ეკლესია ახალი შენობაა: მასში დაცულია მრავალი სიძველე[609], რომლის უდიდესი ნაწილიც, როგორც მათი სახელებიდან და წარწერებიდან ირკვევა, შეგროვილია სოფლის მახლობელი ეკლესიებიდან. აი ისინი:

1. დ რ ო შ ი ს ჯ ვ ა რ ი ხისა[610], 44 (ტარითვე 68½)×36×1 სმ; წოდებული მაცხოვრის ჯვარად, ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი, გარდა ტარისა. წინა პირზე ჭედილი ხატებია ჯვარცმისა (გულში), ღვთისმშობლისა, წმ. გიორგისა და სხვ. უზის 9 მოზრდილი თვალი; ესევე მხარე ნაწილობრივ ოქროს წყალში აქვს დაფერილი.

ჯვარს აქვს წარწერები[611].

I. ჯვარცმის თავზე — ႨႱႭჃႫႤႴ იესო მეუფ
ႤႺႳႰႨႠႧ ეჭურიათა

II. მარჯვენა და მარცხენა მხრებზე (ა, ბ) —

| სტ. | ა | ბ |
|---|---|---|
| 1 | ႵႰႨႱႲႤႶႫႤႰႧႭႫႤႭႾႣႠႫႴႠႰႥႤႪ | ႤႵႫႤႬႱႭႳႪႱႠႢႳႢႠႱႠႣႠ |
| 2 | ႫႨႱႨႱႠႣႤႣႨႱႠ | ႺႾႭႰႤႡႠႱ |

ქრისტე ღმერთო მეოხ და მფარველ ექმენ სულსა გუგასა[612] და მისისა დედისა ცხორებას

II. ქვედა ნაწილში: —

ႵႰႨႱႲႤႶႫႤႰႧႭႫႤႭႾ — ქრისტე ღმერთო მეოხ
ႣႠႫႴႠႰ — და მფარ-
ႥႤႪႤႵႫႤႬ — ველ ექმენ[613]
ႤႪႭႱႻႨႱႠ — ელოსძისა[614]
5. ႸႥႨႪ — შვილ-
ႱႠႫႨႵ — სა მიქ-
ႠႤႪႱ — აელს.

---

609 ეს სიძველეები 1927 წლამდე შედარებით უკეთ იყო დაცული, 1928 წელს ეკლესია კლუბად გამოიყენეს...

610 MAK, IV, 112.

611 ბროსეს აქვს მოყვანილი I და მე-II ნომრით აღწერილი წარწერები (RVA, გვ. $74_{10-11}$, $15-16$).

612 ბროსე: გაგასა (იქვე 10).

613 ბროსე ამ სიტყვის შემდეგ უმატებს: სულსა (იქვე 15).

614 ბროსე: პელას-ძისა (იქვე).

2. დ რ ო შ ი ს ჯ ვ ა რ ი ხისა[615], 23 1/2 (ტარითვე 40 1/4)×19 სმ. ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, გარდა ტარისა და შემკული წინა მხარეს ჯვარცმით და ოქროს წყალში დაფერვით. აკლია 3 თვალი. ჯვარცმის თავზე აქვს წარწერა:

| | |
|---|---|
| I´C X´C | Ἰησοῦς Χριστός |
| ႫႤႭჃႴႤჃႰჁႠႧ | მეუფე ჳრჲათ |
| ႠჁ | აჲ |

3. ჯ ვ ა რ ი ხ ი ს ა, 29×28 სმ, რომლის წინა პირიც შემკულია ვერცხლზე ნაჭედი ხატებით მაცხოვრისა, წმ. გიორგისა და სხვ., ძლიერ დაზიანებული.

4. დ რ ო შ ი ს ჯ ვ ა რ ი მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ა[616] ვერცხლისა 39 (ტარითვე 47) × 28 1/2 სმ. შემკული ჯვარცმისა და სხვ. ხატებით და წარწერით ჯვარცმის თავზე: I´C X´C ანუ Ἰησοῦς Χριστός.

5. 1911—1912 წწ-ში ავაზაკების მიერ გაძარცული მაცხოვრის დროშის ჯვარიდან[617] დარჩენილია მხარი ხისა (44 სმ.) და ტარი (23 სმ) ვერცხლისა; მხარს შერჩენილი აქვს ვერცხლის ფურცლის ნაგლეჯები. ძველად ჯვარი შეჭედილი ყოფილა ვერცხლით და ოქროს წყალში დაფერილი, გარდა ტარისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამავე წლებში ზემოხსენებულ ჯვართან ერთად ავაზაკებს გაუტაცნიათ „თეთრი ოქროსგან“ გაკეთებული ჯვარი მხრებზე დაკიდებული სამკაულებით[618].

6. ჯ ვ ა რ ი ხ ი ს ა[619], 117 (ვერცხლის შეჭედილობამდე 64)×66 1/2 სმ., შემკული წინა მხარეს დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატებით მაცხოვრისა (თავში), წმ. გიორგისა (მხრებზე 3 და ქვეშ 1, სულ 4 ხატი) და სხვ. ხატებით და ბუშტით, რომელსაც უზის 1 თვალი, დაზიანებული.

7. ჯ ვ ა რ ი ხ ი ს ა[620], 180 (ვერცხლის შეჭედილობამდე 91) × 80 სმ. შემკული ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრისა, წმ. გიორგისა და მთავარანგელოზის ხატებით და ბუშტით გულში, ძლიერ დაზიანებუ-

---

615 MAK, IV, გვ. $112_3$.
616 იქვე.
617 იქვე.
618 იქვე, გვ. 110, სურ. 83; სურ. 85.
619 იქვე, გვ. 111, სურ. 86.
620 იქვე, გვ. $122_3$.

ლი (ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილია და დაკარგული).

8. ვ ე რ ც ხ ლ ზ ე  ნ ა ჭ ე დ ი ხატი შოდის წმ. გიორგისა, 42 1/2× × 29 სმ, გადაკრული ფიცარზე, წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე და ცხენს ქვეშ ვინმე პირია გართხმული, აშიები შემკულია ჩვილედი ღვთისმშობლის ხატებით და ფოთლოვანი სახეებით: წმ. გიორგის თავზე აწერია:

| | | |
|---|---|---|
| 2. Ⴂ҃Ⴈ | 3. ⴘⴍⴃ | ანუ: 2. გიორგი 3. შოდ |
| 1. Ⴜ҃Ⴈ | 4. ⴈⴑ | 1 წმიდაი 4 ის. |

9. ვერცხლზე ნაჭედი ხატი შოდის წმ. გიორგისა[621], 4 1/4×29 1/2 სმ, გადაკრული ფიცარზე. წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე და ცხენს ქვეშ გართხმული არის გვირგვინოსანი. ხატი ნაწილობრივ დაფერილი არის ოქროს წყალში; იგი დაზიანებულია (აკლია ქვედა აშია); აქვს წარწერები:

I. წმ. გიორგის თავზე —

1. Ⴜ҃Ⴀ Ⴂ҃Ⴈ Ⴘ҃ႣႱ ანუ: წმიდაი გიორგი შოდის.

II. ძირითად ნაწილში —

| | |
|---|---|
| 1. Ⴜ҃Ⴀ Ⴂ҃Ⴈ Ⴘ҃Ⴈ | იკითხება: 1. წმიდაა[622] გიორგი შეიწყალე |
| 2. Ⴘ҃ႣႤႪႨႩႥ | 2. შოდელი[623] კვ- |
| 3. [ႨႰႨႩႤ]ႡႤႰႨႼ҃ႤႵ҃ႤႱ | 3. ირიკე[624] ბერი წინაშე ქრისტესა |

III. ძირითად ნაწილშივე მოჩანს პირქვე დაბრუნებული მცირე ნაგლეჯი ასოებით, რომელიც ხატიდან ავარდნის შემდეგ პირუკულმა დაუკერებიათ.

1. ...ႤႫႤႴႤ იკითხება: 1. ... ე მეფე.

ხატი ეკუთვნის XVII ს.

10. ვერცხლზე ნაჭედი შოდის წმ. გიორგის ხატი, 66×43 სმ, გადაკრული ფიცარზე, ოქროს წყალში დაფერილი, ძლიერ დაზიანებული (ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილი აქვს). წმ. გიორგის თავზე აწერია: Ⴜ҃Ⴀ Ⴂ҃Ⴀ Ⴘ҃ႣႨ ანუ: წმიდაა გიორგი შოდისა.

---

621 იქვე $112_{23-24}$ და 113, სურ. 88.

622 ბროსე: წმიდაო (RVA, გვ. $72_{24}$).

623 ბროსეს სიტყვები: „შეიწყალე შოდელი“ წინა-უკმო აქვს გადასმული, ეს ნაწილი კი მომდევნო 5 ასოთი (ႨႰႨႩႤ) დღეს მოგლეჯილია და დაკარგული.

624 ბროსეს დაზიანებული ადგილი წარწერისა აღდგენილი აქვს: კვ (იქვე).

ადგილობრივ მცხოვრებ ეგნატე მიქელას ძე ბიჭიშვილის სახლში დაცული ყოფილა სიძველე:

11. დაბალი ვერცხლზე ნაჭედი სალაშქრო ხატი[625] — 54 3/4 (ტარითვე 67) × 38 1/4 სმ, რომლის ზევითა ნაწილში გამოსახულია მდგომარე მაცხოვარი (მარჯვენათი ლოცავს, მარცხენათი დაკეცილი წიგნი უჭირავს), მაცხოვრის მარჯვნივ მთავარანგელოზი გაბრიელია (უვაროვას შეცდომით ღვთისმშობლად ჰყავს მოხსენებული[626]), მარცხნივ მიქელი. ქვედა ნაწილში ყოფილა ხატები მარჯვნივ წმ. დემეტრესი, მარცხნივ წმ. გიორგისა (ორნივ ცხენზე მჯდომარენი), მაგრამ შემდეგ ხანაში, ეტყობა დაზიანებისა გამო, მათთვის წელს ქვევითი ნაწილი წაუჭრიათ და მის ადგილას დაუკერებიათ სხვა რომელიმე ვერცხლზე ნაჭედი, დაბალი ხელოვნების ხატები. აშიები ნაწილობრივ დაკერებულია. ტარს შერჩენილი აქვს ძველი შეჭედილობა.

ქვედა აშიაზე არის ასომთავრული წარწერის ნაშთი[627].

| | |
|---|---|
| 1. Ⴜ῀Ⴍ: ႢႨ: ႢႪႭႬႨႱႠ... | 1. წმიდაო გიორგი გლონისაო.. |
| 2. ႢႪႭႬႨႱႠ: ႫႭႨႹႤႣႠ | 2. გლონისა. მოიჰედა... |
| 3. ႸႥႨႪႨႱႠ: ႢႨႢႱႠ: ႮႠႲ... | 3. შვილისა გიორგისა პატრო... |

ძეგლი ეკუთვნის XIII—XIV სს.

12. რქის ჯვარი (ტრაპეზისა), გატეხილი ორად[628].

13. ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი — 62×51,5 სმ გადაკრული ფიცარზე; მაცხოვარი მჯდომარე ტახტზე. ხატი ძლიერ დაზიანებულია. ძეგლი ეკუთვნის XVII ს.[629].

14. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმის ხატი[630], 40×29,5 სმ, გადაკრული ფიცარზე, წარწერით[631]:

ქ. მო: გვიჰედ:. ინე
ბია: ჩუენ გო
გრიჰიანსა:. და

---

625 MAK, IV, გვ. $109_{12-25}$.

626 იქვე სტრ. 21—22.

627 ბროსეს წაკითხული აქვს წარწერა, ხოლო თვით ტექსტი არა აქვს გადმოღებული (RVA, გვ. $77_{15-18}$).

628 1930 წელს ჯვარი ადგილზე აღარ აღმოჩნდა, იგი დაკარგულია.

629 1927 წელს ხატი ადგილზე იყო, დღეს დაკარგულია.

630 MAK, IV, 112; სურ. 93; RVA, 174. [ე. თაყაიშვილი, რაჭა, გვ. 14—15].

631 წარწერის 1—5 სტრიქონები მოთავსებულია ზევითა აშიაზე; 6—14 სტრიქონები — ხატის არეზე და 15—21 სტრიქონი — ქვედა აშიაზე.

ქ. მიქელს: შიოსა:. კიდევე:. გიორგისა:. და
(ნ)იკოლოზ:. საქაოს:. დღეგრძელობი(თა)
სამუნოსა:. ცხო
ვნებითა: ამინ:. უფალო
მცხვარო:. გაუმარჯვე:. ღებისა:.
ჯევსა:. ამინ:. უფალო:.
ღთოდ: მაცხოვარო:. გაუმარჯ
ვე: გიორგისა:. დ:. დავითსა:. შია
ოშსა:. ამინ:. უფალო:. ღმერთო:.
ქ ტკბი ღმერთო უ
ლო შველე ამისა
ჯელოსანს
ჯიდურელსა:. გვაშე[ლიშვ]
ილსა:. და:. ქებაძესა
(მ)მუ
კსა

**15** (ქ.    ). ვერცხლზე ნაჭედი დასამწყალობლებელი ჯვარცმის ხატი, 19,5 (ტარითვე) × 9,5 სმ, ჯვარცმის გარეშემო არის მხედრული წარწერა, ძლიერ დაზიანებული:

[შეუნ]დნესა ღთმა:. ... გგნიძეს | უმ..
ძე:. თემ|ზედ:. მ... |დ... კეკლუცას:.
დ:. |ოთ ნსაყი|და ზვიად|სა:. შუნ|.[დოს]

ძეგლი ეკუთვნის XVII—XVIII სს.

**16**. ვერცხლზე ნაჭედი ღვთისმშობლის ხატი[632], 57×40 სმ, დაზიანებული: აშიებიდან შერჩენია მხოლოდ ნაშთი ზევითა მარცხენა მხრის კუთხეში (გადაკრული ფიცარზე); ღვთისმშობელი მდგომარეა ყრმით ხელში; მას თავზე აწერია ასომთავრულად:

| | |
|---|---|
| Ⴜ̃Ⴈ | წმიდაი |
| Ⴖ̃ႧႨ | ღუთის |
| ႫႸ̃Ⴈ | მშობელი |

ეკუთვნის XVII ს.

**17**. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი — 6,2×9,7 სმ, ხის ბუდეში (21×13,5 სმ)[633].

---

632 MAK, IV, 112 და 115, სურ. 92.

633 RVA, XII, 72; MAK, IV, 114; ტაბულ. XLIთ; მთ. რაჭა, 78. აღნიშნული ხატი ბროსეს შეცდომით წმ. გიორგის ხატად აქვს მიჩნეული (RVA, XII 72).

18. ფიცარზე ნახატი მიქელ მთავარანგელოზის ხატი, 103,5 სმ × × 75,3 სმ, შემკული ვერცხლის შარავანდედით და აშიებით, რომელნიც ოქროს წყალში არიან დაფერილნი; აშიებზე ნაქანდაკევია წმიდანთა ხატები და სახეები; ხატი დაზიანებულია. მაგ., არეზე შერჩენილია შეჭედილობის ნაშთი. ძირა აშიის ქვედა ნაწილში არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა[634].

[ႫႧႠႥႠႰႠႬႢႤႪႭႦႭ:[635]ႫႨႵႤ][636]Ⴆ[637]ႫႤႭႾ:ႨႵႫႬ:
Ⴜ~Ⴄ: Ⴘ[638]ႤႬ[639]ႵႠႤႱႡႤ[ႱႠ:[640]ႢႠ]ႵႰႠႬႤႱႧႤႱႠ:ႫႤႵ~ႤႦႱ.[641]
Ⴔ~ႭႰႧႭႾႱ:[642] ႡႰႨ~ႬႱ: ႡႠႧႭႠ Ⴋ~ႭႭ: ႡႤႨႱႠ: ႫႠႱ

634 ბროსეს წარწერა, რამდენიმე ადგილის გარდა, ამოკითხვითა აქვს მოყვანილი (RVA, XII, 72, 73); ამოკითხვითვე იგი მოყვანილი აქვს ს. მაკალათიას (მთ. რაჭა, 78).

635 წარწერა დასაწყისში დაზიანებულია 8,2 სმ სიგრძეზე, სადაც უნდა აკლდეს დაახლოებით 14—15 ასო-ნიშანი. ტექსტი აღდგენილია ბროსეთი (RVA, XII, 72).

636 ასოები: მიქე იკითხება უვაროვისას მიერ გადაღებულ სურათზე (MAK, IV, 114; ტაბ. XLI a).

637 წარწერის დასწყისში დაზინებული ადგილი ს. მაკალთიას აღდგენილი და ამოკითხული არა აქვს (მთ. რაჭა, 78).

638 შ პირუკუღმა არის ნაქანდაკევი; ბროსეს ეს ასო შეცდომით ხ-დ აქვს დაწერილი (RVA, XII, 72).

639 სიტყვა შენ აქ უადგილოა; იგი შეცდომით უნდა იყოს დაწერილი, წინა სიტყვის წ—ე-ს უკანასკნელი მარცვლის შე-ს გამეორებას უნდა წარმოადგენდეს.

640 ბროსე ამ სიტყვას შეცდომით ხრსნგა-დ წერს (RVA, XII, 72 და 73); ს. მაკალათიას კი ესა და წინა სიტყვა (შენ) გამოტოვებული აქვს და წერტილებით აღნიშნული; მისი აზრით აქ აკლია 8 ასო (მთ. რაჭა, 78); ნამდვილად კი აქ არის სულ 12 ასო-ნიშანი.

641 აქაც და მომდევნო სიტყვაშიც (ფ~ურთხს) ქარაგმა ზედმეტად უზის.

642 ამ და შემდგომი ნომრით აღწერილ ხატის წარწერაში ასოები უ და ო ერთგვარად არის ნაქანდაკევი კბილით, ანუ კუდით (კიდურით) ძირს, ამიტომ ამ წარწერაში სიტყვა ფ-ურთხსისა და მეორე წარწერაში სიტყვა ფურთჯს მეორე ასო გასარკვევი შეიქნა: უ იყო თუ ო და სიტყვა იკითხებოდა ფურთუხს ან ფურთუჯს თუ ფორთოხს, ფორთოჯს? ეს პირი — ფურთუხ-ფორთოხ მოხსენიებულია იერუსალიმის აღაპებში ორ ადგილას, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ მინაწერში (№ 58) იგი ამოკითხულია ფურთუხ-ად, ხოლო მეორეში ფორთოხად (№ 138), რაც, ჩემი აზრით, იმავე ასოთა უ-სა და ო-ს ერთგვარი დამწერლობით ამოიხსნება. ასე რომ, ამან საკითხი მაინც არ გამოარკვია; სამაგიეროდ, ქუთაისის მუზეუმში აღმოჩნდა სიგელი (№ 647), რომელმაც ამისათვის მასალა მოგვცა, იქ მოხსენებულია რისერგან ფურთუხიძე. გვარი ფურთუხიძე, ეჭვი არ არის ნაწარმოებია სახელი ფურთუხიდან და რაკი ასეა, ცხადია, რომ ორივეგან ამ სიტყვის მეორე ასო არის უ და პირველ წარწერაში ეს სიტყვა იკითხება ფურთუხის-ძე, ხოლო მეორეში — ფურთუხ-ად.

ႢႠႩ[643]ႨႧႾႥႨႱႠႱ: ႰႭ - - - - - - - - - - - - - - - - - - [644]

:[მთავარანგელოზო მიქე]ლ, მეოხ ექმენ წინაშე შენ ქრისტე[სა გა]რაყანისძესა[645] მიქელს და ფურთუხს და ივანეს და ძეთა მათთა, დღესა მას გაკითხვისას. რო...

**19.** (ქ. ). ვერცხლზე ნახატი გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი[646], 1 მ 6,5 სმ × 70 სმ,. შემკული ვერცხლის შარავანდედით და აშიებით, რომელნიც ოქროს წყალში არიან დაფერილნი. აშიებზე ნაქანდაკევია წმიდანთა ხატები და ყვავილოვანი სახეები; ხატი დაზიანებულია: მას არეზე შეჭედილობიდან მხოლოდ ნაშთიღა აქვს შერჩენილი. ძირა აშიის ქვედა ნაწილში არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა[647].

[ႦႤႺႨႱ][648]Ⴀ: ႻႠႪႧႠ: ႳჄႭ̃ႰႺႧႠ: ႤႰႱ: ႫႧႠႥႰႭ:
ႢႡ̃Ⴊ: ႫႤႭ: ႾႤႩႫႬ ႼႨ̃Ⴄ ႶႧ̃ႱႠ: ႫႨႤႪႱ: ႴႳႰႧႳႾႱ:
ႣႠ ႨႥ̃ႬႤႱ ႢႠႰႠႷႠႬ[ႨႱႻ]ႤႧႠ: ႣႠ ႸႥ[ႨႪ]ႧႠ: ႫႠႧ]ႧႠ:
ႣႶႤႱႠ: ႫႠႱ: ႢႠႬႩႨႧႾႥႨႱႠႱ:

ზეცისა ძალთა უჴორცოთა ერისმთავარო[649] გაბრიელ, მეოხ ექმენ წინაშე ღუთისა მიქელს და ფურთუხს და ივანეს გარაყანისძეთა[650] და შვი[ლთა[651] მათთა] დღესა მას განკითხვისას[652].

მე-18 და მე-19 ნომრით აღწერილი სიძველეები ერთი დროის და ერთი ხელის ნამუშევარი არის. მათ წარწერებში ერთი და იგივე პირნი — გარაყანიძენი[653] მიქელ, ფურთუხ და ივანე [მოხსენებულნი

---

643 პირუკუღმა ზის.

644 წარწერაში ბოლო დაზიანებულია 11 სმ სიგრძეზე, სადაც უნდა აკლდეს დაახლოებით 20—22 ასო-ნიშანი; ბროსეს ამ ადგილას უწერია: რომელი ხამ ხანი... (RVA, XII, 73).

645 ბროსე: გარაყანიძესა (იქვე).

646 RVA, XII, 73; MAK, IV, 116, ტაბ. XLII; მთ. რაჭა, 78.

647 წარწერა მოყვანილი აქვს ბროსეს და ს. მაკალათიას; ორივეს ამოკითხვით (RVA, XII, 73; მთ. რაჭა, 78).

648 ტექსტის დაზიანებული ადგილი აღდგენილია ბროსეთი (RVA, XII, 73); ს. მაკალათიას იგი აღდგენილი არა აქვს (მთ. რაჭა, 78).

649 უკანასკნელ ორ სიტყვას ბროსე შეცდომით კითხულობს „ერის' თავო"-დ (RVA, XII, 73).

650 ბროსე და ს. მაკალათია: გარყანიძეთა RVA, XII, 33 და მთ.-რაჭა, 78).

651 ბროსე შვილთა-ს მაგიერ წერს: ძეთა (RVA, XII, 73).

652 ბროსე: განკითხვსას (იქვე).

653 გარაყანიძეთა გვარი გვხვდება აგრეთვე ხონჭიორის სიძველეების წარწერებში (იხ. ხონჭიორი, № 3, 7, 11):

არიან]. მანდატურთუხუცესი ბეშქენ ვარდანისძე, საფიქრებელია, რომ XIII ს-ში ცხოვრობდა? (— ლ. ფ.). ამას გვაფიქრებინებს ზემოხსენებული ალაპების პირველი მინაწერი, რომელიც გვეუბნება: „მოგუცა... ფურთუხ: გარაყანისძის ძემ՜ნ: ორი ათასისა თეთრისა წითელიო“[654] წითელი ოქროს აღმნიშვნელად ი. ჯავახიშვილის დასკვნით იხმარება XIII ს-ში[655], რაც საბუთს გვაძლევს წარწერები და თვით სიძველეებიც დავათარიღოთ XIII ს. დამწერლობის მხრივაც წარწერები იმავე ხანას ეკუთვნის[656].

**20.** ფიცარზე ნახატი ორი მთავარანგელოზის ხატი[657], შემკული ვერცხლის... (?—ლ. ფ.) აშიით, რომელიც ოქროთია (? ლ. ფ.) დაფერილი აშიაზე [ჩანს] ყვავილოვანი სახეები. 1 მ 22,8×81,5 სმ. მთავარანგელოზებს ხელთ უპირავთ... (?—ლ. ფ.). ხატი ძლიერ დაზიანებულია; ქვედა ნაწილში ჰქონია ასომთავრული წარწერა, რომელიც მოყვანილი აქვს ბროსეს[658] და იხსენიებს უვაროვაც[659]. დღეს იგი ნაშთად არის. ამ ნაშთის მიხედვით და ბროსეს მიერ მოყვანილი წარწერით შესაძლებელი გახდა წარწერის მხოლოდ ორი სტრიქონის ნაწილობრივი აღდგენა; იგი გაყოფილია ოთხ ნაწილად (1, 2, 3 და 4); აქედან პირველი და მე-3 ნაწილები აღდგენილია ბროსეთი, მე-2 ნაწილი აგლეჯილია ადგილიდან და ხატთანავე ინახება და მე-4 ნაწილი თავის ადგილზე არის:

| წარწერის ნაწილები | | |
|---|---|---|
| სტ. | 1 | 2 |
| 1 | [ႼႠ (?) ႫႨႨႵႠႤႨႴႠ] | ႫႨႵႠႤႪႢႡႢႬႠ |
| 2 | - - - - - - - - - - - - - - | ႫႢႠႵႨ: ႫႢႲႫႢႪ |
| სტ. | 3 | 4 |
| 1 | [ႼႫႢႣႨႪႠ: ႫႭႨႤႨႴ] | ႨႪႷႢႬႠ[ႬႪႠ] |
| 2 | - - - [ႷႡ́ႴႬ] - - - | - [ႳႠ]ႣႤႢ[ႬႱႨ] - - - |

654 ალ. № 58.
655 საფ.-საზმც., 14.
656 ს. მაკალათია ამ სიძველეებს ათარიღებს XIII—XIV სს. (მთ. რაჭა, 78).
657 MAK, IV, 114 და 116.
658 RVA, XII, 73.
659 MAK, IV, 114 და 116.

[წმიდაო მაცხოვარო] მაცხოვნებელო, [წმიდანო მთავარ]ანგელო[ზნო]... მეოხ მექმენ... [გაბრიელ]... [ცო]დვი[ლსა]...

21. ვერცხლზე ნაჭედი მიქელ-გაბრიელის ხატი[660] — 75,3×60,7 სმ. (გადაკრული ფიცარზე), დაფერილი ოქროს წყალში, ძლიერ დაზიანებული; ხატის ფურცელიდან გადარჩენილია მხოლოდ ერთი ნაწილი, აშიებიდან კი ნაშთი მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ანგელოზებს თავზე აწერიათ.

1. მქ̃ლ: მთ̃არი გბ̃ლ მთ̃არი ანუ 1. მიქელ მთავარი, გაბრიელ მთავარი.

22. ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზის ხატი. 67×47 სმ (გადაკრული ფიცარზე) ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი; ქვედა და ზედა აშიები და თვით ხატის ბევრი ადგილი აგლეჯილია და დაკარგული.

23. ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზის ხატი, 32,5×29 სმ; (გადაკრული ფიცარზე), დაზიანებული. აქვს წარწერები ხუცურად:

მთავარანგელოზის თავზე:

ⴜ̃ⴀ ⴂ̃ⴁⴊ — წმიდაი გაბრიელ

ქვემოთ, მარჯვნივ:

1. ⴜ̃ⴀ ⴂ̃ⴁ ⴘ̃ⴄ[661]
2. ⴉ̃ⴄ ⴍⴕ̃ⴐⴍ
3. ⴋⴇ̃ⴄⴃⴄ — წმიდაო გაბრიელ, შეიწყალე კვირიკე
4. ⴊⴈ — ოქრომჭედელი.

24. Ⴜ̃Ⴀ ႫႨႵႤႪ — წმიდაი მიქაელ

ეკუთვნის XVII ს.

25. (ქ. ). ვერცხლზე ნაჭედი ხატის ნაშთი, ფიცარი 20,6×17,4 სმ. შეჭედილობა შერჩენილი აქვს მხოლოდ ძირა, მარჯვენა კუთხეში: აქ ღვთისმშობლის მცირე ჭედილი ხატია; მის (ღვთისმშობლის) გარეშემო არის მხედრული წარწერის ნაშთი:

გიორგის|...|მ...|შეუ[ნდოს]|მთ...|ვლ...|...შე[უნდოს]|(გი)ორგის ნასაყიდა[სა]|(მეუ)ღლესა|... |წმ...|ზვია|დსა და|მიქელს:· შეუნდ[ოს] ..

აქ მოხსენებული ნასყიდა და ზვიადი იგივე პირნი უნდა იყვნენ, რომელნიც იკითხებიან ზემოთ, მე-11 ნომრით აღწერილი ხატის წარწერაში.

ეკუთვნის XVII—XVIII სს.

---

660 MAK, IV, 112, სურ. 89.

661 შ პირუკუღმა ზის.

26. (ქ. ). რომელიღაც ხატის ნაშთი — ფიცარი, 5,7×4,5 სმ.

27. (ქ. ). სპილენძის ტრიპტიხები რუსული ხელობისა, მცირე... (?—ლ. ფ.), სულ 4 ცალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზემოაღწერილი სიძველეებიდან № 1, 2 და 4 მაცხოვრისა, წმ. გიორგისა და სხვ. სახელობისა, № 3, 5, 6, 9 და 26 მაცხოვრისა, № 7, 10 და 11 ჯვარცმისა, № 12 ღვთისმშობლისა, № 13—17 წმ. გიორგისა, № 18—24 მთავარანგელოზთა, № 8, 25 და 26 გამოუკვლეველია.

28. ბარძიმი ვერცხლისა მხედრული წარწერით:

1. ქ: მაცხოვარო: მხსნელო. ღების. ეკ˜ლსიასა. შინა. გა˜ნ˜ნე˜ბლო. შეიწირე. მონისა შ˜ნისა წერეთლის. გრიგოლისაგან. ბარძიმი ფეშხუმი კოვზი და კამარა ესე ვერცხლისა და მაგე საუკ˜ნო. ოხა. ცოდვილსა: წელთა: ჩყიგ:. (1813 წ.).

2. ივლისის კ:. (20).

იგი ეკუთვნის 1813 წელს.

29. (ქ. ). ეკლესიის ბეჭედი სპილენძისა, ... (?—ლ. ფ.), XIX ს.

30. (ქ. ). ხის მცირე კოლოფი, შემკული ხაზებით, უთავსახურო.

31. (ქ. ) არეშიძის ხმალი, გატეხილი ორად. ხალხის გადმოცემით იგი გატეხილა დიდგორის ომში. ამ ომზე ხალხში შენახულია ლექსი, რომლის ერთი ტაეპი ჩავიწერე ონის განათლების განყოფილების ინსტრუქტორ ელიზბარ აფრასიონის ძე კერესელიძისაგან, 1930 წ. ივნისის 20-ს:

> არეშიძესა აქებენ,
> რომელს იესე ჰქვიანო;
> ფრანგული ხმალი გატეხა,
> სისხლი ყუასა სცხიაო.

32. (ქ. ). სახარება, დაბეჭდილი მოსკოვს 1739 წელს.

33. (ქ. ). კურთხევანი, ძველი სტამბისა.

34. (ქ. ). სამოციქულო, დაბეჭდილი მოსკოვს 1765 წელს, უყდო.

35. (ქ. ). სამოციქულო, ვახტანგის სტამბისა, ფურცელნაკლები.

36 (ქ. ). ეკლესიის არქივი: აღსარების სიები, ქორწინების და გარდაცვალების წიგნები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიძველეები და წარწერები, აღწერილი ბროსეს მიერ f, i, s მუხლებს ქვეშ არსადა სჩანს.

## რაჭის ისტორიული ძეგლების სია

1. ჭყვიშის ციხე.
2. ქვედა ღოშხის ჯვარცმის ეკლესიის ნანგრევი.
3. ქვედა ღოშხის ციხის, ანუ კოშკის ნანგრევი რამინ კოსტას ძე ყიფიანის გზაზე.
4. გენდუშის „მალის" ციხე.
5. პირველი ტოლის ციხე თავის ნანგრევებით.
6. პირველი ტოლის მაცხოვრის ეკლესია.
7. მეორე ტოლის სამების ეკლესია.
8. ლადიშის წმ. გიორგის ეკლესია.
9. პატარა ონის ციხე.
10. პატარა ონის „რაკეთის" წმ. ანგელოზის ეკლესია, ნანგრევი.
11. პატარა ონის წმ. გიორგის ეკლესია.
12. კვერთის ნასაყდრევი.
13. ზედა შავრას ეკლესია.
14. ჭელიშის უდაბნოს ღვთისმშობლის ეკლესია, მახლობელი „სადაყუდებლო"-თი.
15. გორისუბნის წმ. ბარბარეს ეკლესია.
16. ბარეულის ციხის ნანგრევი, მიხეილ მაქსიმეს ძე ფოფხაძის მამულში.
17. ბარეულის ღედაღვთისას ეკლესია, ნანგრევი.
18. ბარეულის ციხის ნანგრევი სოფლის ძირას.
19. ბარეულის „საგვალას" (ადგილს ჰქვიან) კოშკები, ციხის ნანგრევის ქვევიდან, ესიკი რობაქიძის მამულში.
20. ხვანჭკარის ზედა და ქვედა ციხეები და ნაციხრები (ყიფიანების უბანი).
21. ხვანჭკარის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი...
22. ხვანჭკარის გოლგოთის ეკლესია.
23. პატარა ჩორჯოს „საყიორის" წმ. გიორგის ეკლესია.
24. ბუგეულის ღვთისმშობლის მოხატული ეკლესია.

25. ქედისუბნის წმ. გიორგის ეკლესია, გორაკზე ნაშენები.

26. ქედისუბნის მთავარანგელოზის ეკლესია.

27. ნაავარევის ციხე-სასახლე წულუკიძეთა.

28. ღვიარას ციხის ნანგრევი...

29. ღვიარას ჯგირეშის ეკლესია.

30. ღვიარას სოჩბის წმ. გიორგის ეკლესია მთაში. ნანგრევები.

31. კლდისუბნის ციხე-კოშკები. ღვთისმშობლის ეკლესია.

32. კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია (კლდეზე).

33. ამბროლაურის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი, მის მახლობლად ცაცხვის ხეები და კოშკი.

34. ხოტევის ციხე თავის ნანგრევებით.

35. ხოტევის მახლობლად ეკლესია, დარჩენილია ნათალი ქვები — 4 ცალი (ზოგი გატეხილია რამდენიმე ნატეხად).

36. ..წმ. ანგელოზის გუმბათმოხატული ეკლესია.

37. თლუღის „ტეხისის" წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი.

38. ბეთლევის ღვთისმშობლის მოხატული ეკლესია.

39. კვირიკეწმიდის კვირიკეს და ივლიტას ეკლესია.

40. კვიტაშვილის (?) ციხის ნანგრევები.

41. კვიტაშვილის ციხის ნანგრევებიდან ერთი ვერსის დაშორებით, ქვევით, კლდის წვერზე მდგომი კოშკის ნანგრევი.

42. კრიხის მთავარანგელოზის მოხატული ეკლესია.

43. გორის წმ. გიორგის ეკლესია, ჩუქურთმებიანი ქვა.

44. ხიმშის წმ. გიორგის ეკლესია.

45. ხიმშის ჰიჰინაძიანთ უბნის „ლანდიას" ციხე-კოშკი.

46. ხიდიკარის ორი კოშკი გამოქვაბულებით.

47. წესის ველიეთის წმ. გიორგის ეკლესია — კლდეზე.

48. წესის „ნინიას ციხის" ნანგრევი...

49. წესის წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევი.

50. წესის ბარაკონის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესია.

51. წესის ძველი ეკლესიის ნანგრევი...

52. მინდაციხე.

53. მეჰვრეთის ეკლესიის ნანგრევი ლუხუნის ხეობაში, სოფ. ლიხეთის მახლობლად...

54. სხვავას კვარაციხე, მეფის სასახლე კოშკით, ეკლესიით, შენობათა ნანგრევები.

55. სხვავას „ძელი ჭეშმარიტის" ეკლესიის ნანგრევი და მისგან დარჩენილი ძეგლები.

56. სხვავას მახლობელი ველ-ტყევის ნათლისმცემლის უდაბნოს ეკლესიის ნანგრევები.

57. სამთისის დედაღვთისას ეკლესია.

58. ქვ. ბარის მაცხოვრის ეკლესია, საბუკეს გორაკზე.

59. ქვ. ბარის ღვთისმშობლის ეკლესია..

60. ფარახეთის მთავარანგელოზის მოხატული ეკლესია.

61. შარდომეთის ციხე.

62 სორის ჯვარცმის მოხატული ეკლესია.

63. სორის „ნაციხვარი" (გორაკზე).

64. სორის ციხის ნანგრევი რუბენ გოცირიძის გზაზე.

65. ჯოისუბნის „მცხეთის" წმ. გიორგის ეკლესია.

66. კვაშხიეთის ყორეები საჯვარისა და ვანო გოშაძის ეზოში.

67. შქმერის უშოლთის წმ. გიორგის ეკლესია.

68. შქმერის „მოჭოხის" წმ. გიორგის ეკლესია.

69. შქმერის ხარისთვლის „ოლოსის" ეკლესია.

70. ბოყვის მთავარანგელოზის ეკლესია.

71. ბოყვის გამოქვაბული მაღალ კლდეში.

72. ველიეთის სამი კოშკი მდ. რიონის მარცხენა მხარეს.

73. სხიერის „მირიანეული უძრავი" წმ. გიორგის მოხატული ეკლესია.

74. სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი.

75. ირის „ძელი ჭეშმარიტის" (?) ნასაყდრალი, რუბოძალის (ხევია) ჭალაში..

76. წედისის ნაძვების ეკლესია გორაზე.

77. წედისის ციხის ნანგრევი.

78. პიპილეთის წმ. გიორგის ეკლესია...

79. წერეთლების ციხე-სასახლე თავის ნანგრევებით, მოედნის მაღლა გორაზე.

80. ონის წერეთლების სასახლე თავის კარის ეკლესიით.

81. ჭალის სამების ეკლესია.

82. ლაჩთის კოშკი.

83. შეუბანი. სინაწმინდის ეკლესია.

84. შუა კვაჟას ეკლესია, ნანგრევი...

85. ლაგვანთას კოშკის ნანგრევი მდ. საკაურას ხიდის გაღმა.

86. წინა საკაოს ხიდეშლების უბნის ჭიდილა ქედის ნასაყდარი, სოფლის დასავლეთით 1 კერსზე.

87. წინა საკაოს ხოჯორას ნასაყდრი, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 2 ვერსზე.

88. წინა საკაოს ვერძის რუს ნასაყდრი, სოფლის დასავლეთით 1 ვერსზე.

89. წინა საკოს ნაციხარი, სოფლის სამხრეთით 1/2 ვერსზე.

90. წინა საკაოს სხარალის ნასაყდრი, სოფლის სამხრეთით 1 ვერსზე.

91. უკანა საკაოს „სამჭიარის“ უდაბნოს წმ. გიორგის ეკლესია.

92. ძეგლევის მახლობლად საქორიის ციხის ნანგრევი.

93. ნაკიეთის ნათლისმცემლის ეკლესია.

94. გომის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი.

95. უწერის ღვთისმშობლის ეკლესია.

96. ჰიდროთციხე თავის ნანგრევებით.

97. გლოლის „ზედქალაქის“ ჯვარიპატიოსანი(?).

98. გლოლის მახლობლად კოშკებისა და სხვა შენობათა ნანგრევები.

99. გლოლის ზედქალაქის წმ. გიორგის ეკლესია.

100. გლოლის ნათლისმცემლის თუ ღვთისმშობლის (?) ეკლესია სოფლად.

101. გლოლის კოშკი სოფელში.

102. ჰიორის გოდოლნი 5.

103. ღების გოდოლნი 10-ზე მეტი.

104. ღების კოშკი ილიკო ნიკოლოზის ძე გავაშელიშვილის გზაზე.

105. ღების პატარა სოფლის დედაღვთისას ეკლესია-კოშკი.

## ჯვარისას ძეგლი[662]

1925 წლის ზაფხულს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის მიერ მივლინებულ ვიქმენ რაჭას საისტორიო მნიშვნელობის ნივთთა მოსაგროვებლად და მუზეუმში გადმოსატანად. დავალება შევასრულე: მოვიარე ხსენებული კუთხე, მოვაგროვე ნივთები და ჩავაბარე ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს. მათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი შესანიშნავი ძეგლი (სიით № 63), რომელიც წამოვიღე ზნაკვას თემიდან და რომელმაც ჭედვით ხელოვნებისა და ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიაში ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა დაიჭიროს სიძველის მხრივ. ეს ძეგლი გახლავთ „ძ ე ლ ი  ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი“. იგი აღმოჩნდა თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ადგილობრივი ეკლესიებიდან მოგროვილ ვერცხლეულში, რომელიც გასაყიდად იყო გამზადებული და დროებით შესანახად მიბარებული ჰქონდა ამავე სოფელში (ზნაკვაში) ერთ კერძო ოჯახს. სხვადასხვა პირთა გამოკითხვის შემდეგ გავიგე, რომ ხსენებული ძეგლი კუთვნილებაა ამავე თემის ჯვარისას[663] ეკლესიისა, რომელიც ზნაკვადან მდებარეობს დასავლეთით 2—3 ვერსის მანძილზე. ჯვარისას ყოფ. მცხოვრების რომანოზ ბოჭორიშვილის ცნობით ეს ძეგლი ადრევე ყოფილა ჯვარისას ძველ ეკლესიაში, რომელიც აშენებული ყოფილა აწინდელი ახალი ეკლესიის ჩრდილოეთ, ანუ მარცხენა გვერდზე (ოდნავ მაღალ გორაკზე) შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. აქ იგი სულ მუდამ ტრაპეზზე სვენებულა აღმოსავლეთის კედელზე მიყუდებით (ტრაპეზი ეკლესიას კედელზე ჰქონია მიდ-

---

662 წერილი წარმოადგენს ნაწილს რაჭის ისტორიულ, უმთავრესად ეპიგრაფიკულ, ძეგლთა აღწერისას, რომელიც ზოგადად წაკითხულ იქნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1927 წ. მარტის 12-ს.

663 ნიკორწმინდის XI ს. ეტრატზე ნაწერ სიგელში ეს ჯვარისა მოხსენებულია „ზნაკუას ჯუარისა“-დ (ქრონ. II, 46) გასარჩევად მეორე ამავე სახელის მატარებელი სოფლისაგან, რომელიც მდებარეობს ოკრიბაში (იმერეთი) და ეწოდება „ოკრიბას ჯუარისა“ (იქვე, 49).

გმული); შემდეგ, როდესაც ახალი ეკლესია აუშენებიათ (ძველი ეკლესიისა და სხვ. მასალისაგან), ეს ძეგლიც ახალ ეკლესიაში გადაუტანიათ და უკანასკნელ ხანამდე იქ ყოფილა; ხოლო 1924—1925 წწ-ში თემის აღმასრულებელ კომიტეტს გამოუტანია იგი ეკლესიიდან, რომლის დროსაც კიდეც დაზიანებულა.

„ძელი ჭეშმარიტი" შეიცავს ჯვარს ჩასვენებულს ბუდეში, რომელსაც წინა (პირის) მხრიდან ფარავს კარი.

კარი ზომით 17 1/2 × 3/4 სმ კარის ასახდელ-ასაწევი ზევითა მხრიდან (უჯრის მსგავსად); იგი წარმოადგენს ვერცხლზე ნაჭედ ხატს წმ. გრიგოლისას, გადაკრულს ფიცარზე; წმ. გრიგოლი გამოხატულია მღვდელმთავრის ტანისამოსით მდგომარედ ორსვეტიან კამარაში; მარჯვენა ხელის თითები მას დასალოცავად აქვს გაწყობილი (გულთან), მარცხენა ხელში კი წიგნი უჭირავს (გულთანვე). სვეტები და კამარა შემკულია გრეხილებით და ყვავილოვანი სახეებით, წმიდანის ფერხთა ქვეშ მრგვლოვანი ასომთავრული წარწერაა. კარის ფიცარი არ არის ძველი, იგი გამოცვლილი უნდა იყოს ძველის დაზიანებისა გამო.

თვით ბუდე ჯვრისა ზომით 19×9 3/4 სმ. ფიცრისაგან არის გაკეთებული: იგი ირგვლივ ვერცხლის ფურცლებით არის შეჭედილი; ეს ფურცლები შემკულია ყვავილ-ფოთოლთა და სხვ. ჭედილი სახეებით; ბუდის გულში ასვენია ვერცხლის ჯვარი 16 1/4 (უტაროდ 8) × 6 სმ შემკული გულში 1 მოთეთრო გამჭვირვალე თვლით, რომლის ქვეშაც მოჩანს „ძელი ჭეშმარიტი"-ს(?) ნაწილაკი. ბუდე დაზიანებულია: გვერდის აშიები ავარდნაზე არის, ფიცარი გამსკდარია შუაზე.

კარზე არის წარწერა მრგვლოვანი ასომთავრულით, 8 სტრიქონად:

| | |
|---|---|
| Ⴜ́Ⴍ Ⴂ́ႪႱႠႩჃႰႥႤႪ<br>ႧႫႭႵႫႤႣႭႸႤႬႣ<br>ႠႸႤႥႤႣႰႤႡႳ<br>ႪႨႫ́ჄႪႨႸႤႬႨႱ<br>ႠჀႠႩႣႳႾႲ<br>ႣႠႨႺႤႥႷႭႰ | წმიდაო გრიგოლ საკჳრველთმოქმედო, შენდა შევედრებული მჴევალი შენი საჰაკდუხტ დაიცევ ყოვლისაგან ბოროტისა. |

ႬႨႱႠႢႠႷႭ
ႾႭႤႨႱႠ

წარწერაში მოხსენებული გრიგოლ საკურველთმოქმედი არის მსოფლიო წმიდანი გრიგოლ ნეოკესარიელი (221—270 წწ. დაახლოებით), ხოლო „მჯევალი საპაკდუხტ“ არა ჩანს, თუ ვინ არის. ისტორიაში ამგვარი სახელით ცნობილი არის ს ა გ დ უ ხ ტ დედოფალი, ვახტანგ გორგასლის დედა[665]; საგდუხტ — სომხურ თარგმანში *Սահակդուխտ*-ს[666], ხოლო საგდუხტ-საკდუხტ მიღებულია საპაკდუხტისაგან[667], რასაც ადასტურებს სომეხთა ისტორიკოსის ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი ს ცნობა, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ვახტანგ გორგასლის დედას ერქვა ს ა პ ა კ დ უ ხ ტ ი ო[668].

დამწერლობის მხრივ წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ასოები: წ, ო, ბ, ყ, ⴃ, ც, კ, პ. მათგან წ ორმუცლოვანი არის, ამასთანავე ქვედა მუცელი ცალკე კი არა აქვს ბუნიდან დაწყებული, არამედ ზედა მუცელზედვე აქვს მიბმული. ო სრულიად უკუდო არის, ძლიერ წააგავს ბერძნულ **o**-ს (ომიკრონს) და უფრო მეტად ნინოწმინდის ტაძრის იმ წარწერის **o**-ს, რომელიც პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით, ალვანური დამწერლობის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. ბ და ყ თავშეკრულია (ႡႷ და შ თავგახსნილი). ⴃ და ც ერთმანეთის მსგავსი მოყვანილობისანი არიან; პირუკუღმა რომ შევაბრუნოთ და თავდაყირა დავაყუდოთ ⴃ იქნება ც და ც—ⴃ; ორივენი განსხვავდებიან ჩვეულებრივი ასოებისაგან, ჯერ ერთი, ⴃ ზედა კიდურისა და ც ქვედა კიდურის სისწორით, რომელიც ნამგლის ტარის მსგავსად აქვს გამოყვანილი; მეორეც, მათი კორპუსი მეტისმეტად გადახრილია მარცხნივ. კ-ს მუცელი ღია აქვს. პ კუთხოვანი არის. წ, ო, ⴃ, ც, კ და პ ასოთა გარდა

---

[664] ჟუანშერ, ც˝ⴃ ვხ˝ტნგ გგს˝ლსა 297—301, გვ. 119—121.

[665] ვენეტიკ. გამ. გვ. 74.

[666] ეს ცნობები წერილობით გადმომცა ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, რისთვისაც გულითად მადლობას ვუძღვენი.

[667] „*Ի սերեցին ի ծովէն Պոնտոսի մինչև ցծովն Կասբից, մինչև ցանհրան, և ցարեակ թուն կար, որ էած կին ի պարթևաց, Սահակդուխտ անուն ի պարտաւոյ. որ և ամուլ գոլով հաւատաց ի քրիստոս, և նա նմա ղաւակ, գլխաւորանց, որ և Գուրգասարն կոչեցաւ, որ է Գայլուխ ի պարսից բառն*“ ვენეტიკ. გამ. 1862, გვ. 91.

ცნობა წერილობით გადმომცა ს. ჯ ა ნ ა შ ი ა მ, რომელსაც აგრეთვე მადლობას ვუცხადებ.

სხვა ასოთა მოხაზულობის მხრივ წარწერა ყველაზე მეტად უახლოვდება ბოლნისის 506 წ. და ჯვარის მონასტრის VI ს. წარწერებს.

გარდა ამისა, წარწერა იცავს ორხაზოვნობას. დამწერი მე-4 სტრიქონის სიტყვის მჳლი-ს ქარაგმის დაწერით რომ ორ ხაზს არ გასცილდეს, განგებ სჭრის მე-3 სტრიქონის სამი ასოს — ეჳე-ს ბოლო ნაწილებს, ანუ კიდურებს და მათ ქვეშ ათავსებს მას, თუმცა რამდენიმე ასო, მაგ., წ, გ, ბ, კ, ჳ და ქ ორ ხაზს შუა უკვე ველარ თავსდებიან, ლტოლვა აქვთ გაცილებისაკენ და ზოგი ოდნავ კიდევაც სცილდება მას, რაც ი. ჯავახიშვილის აზრით, დამახასიათებელი არის VI ს. დამლევის წარწერებისათვის[668].

სტილისა, ტექნიკისა და ორნამენტის მხრივაც ძეგლი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა; მისი ორნამენტი შ. ამირანაშვილის სიტყვით, გვხვდება მხოლოდ უძველეს ხანაში.

ვიღებ რა მხედველობაში მოსაზრებებს, რომ წარწერის რამდენიმე ასო წ, კ, ო, ჲ, ც თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა დღემდე ცნობილ დამწერლობის ძეგლთა ასოებისაგან და რომ ამგვარი ასოები ჯერ არც ერთ წარწერაში არ არის, რაც აღმნიშვნელი უნდა იყოს მისი ღრმა სიძველისა; მერმე ბ და ყ-ს თავშეკრულობას; შემდეგ, დამწერლობის ორხაზოვანობას და ზოგიერთ ასოთა ორ ხაზს გაცილებისაკენ ლტოლვას, დამახასიათებელს VI ს. დამლევის წარწერებისას; კიდევ, საერთო მოხაზულობით მსგავსებას ხსენებული წარწერისას ბოლნისის 506 წ. და ჯვარის მონასტრის VI ს. წარწერებთან, ვფიქრობ, ძეგლი დავათარიღოთ VI ს-ით, რომელი ხანითვე (არა უგვიანეს) ათარიღებს მას შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ც სტილისა, ტექნიკისა და ორნამენტის მხრივ.

---

668 ქართული დამწერლობათმცოდნეობა, $181_{1-5}$.

## მეორე ნაწილი

# ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები

### თაბორის ეკლესიის სიძველენი

1. (ქ. 41). ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 24×17 სმ; ძლიერ დაზიანებული: მხატვრობა მიმქრალია, ვერცხლის შეჭედილობიდან წინა მხარეს მცირედი ნაწილი შერჩენია; აწერია: ႹႤႡႠႱႢ ანუ ჯიდარისა. ზურგის მხარეს ფურცელზე აქვს ასომთავრული წარწერა[1]:

\+ Ⴌ~ႢႺႤ[1]
Ⴑ: Ⴕ~ႬႭႨ: ႫႭႣႠႳ: ႡႨ
ႱႨႫႷႠႭႨ: ႷႣႭႨ: ႫႤႴႱႨႢႨ
ႰႭႨ: ႧႭႱႨ: ႫႤႠ: ႹႤႬႭ: +
Ⴋ ႰႤ
ႬႭႨ: ႡႺႷႡႤႬႭႨ: ႰႳႢႤ
ႸႰႱႫႺႫႬ: ႡႫႳႼႫႤ+Ⴌ: ႫႭႣႠႰ
ႢႬ: ႹႤႡႠႱႳ: ႸႤႴႠႤ: ႫႺႤႠႡႤ: ႫႩႳ
ႷႤ: ႼႲႤႱ ႸႰႤႱႨ: ႠႫႬႤ: ႣႱႤ: ႨႫႩႣႱ: ႸႰ
ႱႱ ႣႰႬႤ: ႫႣႬႤ: ႼႲႤ: ႡႫႴႡ; ႴႠႫႳႡ
Ⴂ: ႴႤ: ႧႭႱ· ႠႨ ႷႫႱ: ႴႠႫႡႢႰ· ႢႰ
ႩႭႼႡ: Ⴂ~(Ⴄ)ႢႠႨ(Ⴗ)ႰႤႵႤ: ႡႫႷ
ႧႬႤ[2] ႫႠ[3]ႤႱႤ: ႠႳႱႡႰ.: (Ⴁ) [Ⴈ]
ႵႤႰႤႫႨႭႰႤ· Ⴈ
ႫႰ

---

[1] 1—14 სტრიქონებში თითოეული იწყება ფურცლის გულში გამოსახულ ჯვრის მარცხენა მხრიდან და გადადის მარჯვენა მხარეს, ხოლო მე-15 სტრიქონი ჩატანილია ცალკე წრეში.

[2] აქ შეცდომით Ⴄ წერია, უნდა ყოფილიყო Ⴂ.

[3] ასო Ⴀ მეტია, შეცდომითაა დაწერილი.

იკითხება:

ზეცი
სა ძალთა მთავარო და
სამყაროთა ყოველთა მიწისაგა-
ნთა — ღმრთისა მიერ ჴელთ ქ-
მ ნი-
ლთა და დაბადებულთა ნუგე-
შინისმცემელო და მეოხო მიქელ მთავარან-
გელოზო ჴიდრისაო, შეიწირე მცირედი მკო-
ბი ხატისა შენისა, რომელი ესე ამკვეს შენი
სასვენებელი მვლი ხატი და მწედ წარმოდ-
ეგ წინაშე ღმრთისა რაჟამს წარმოდგენ გან-
კითხვად გიორგი გარაყანიძე და მ
ღლე მისი რუსუდან და
ძენი მათნი ა-
მინ.

2. (ქ. 42). ძელი ჭეშმარიტის ანუ ჯვარცმის ნაწილებიანი ხატის ზურგიდან დარჩენილი ვერცხლის ფურცელი 33×27 1/2 სმ. ასომთავრული წარწერით[4].

+ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
...[illegible] +
...[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

---

[4] თითოეული სტრიქონი იწყობა ფურცლის გულში გამოსახული ჯვრის მარცხენა მხრიდან და გადადის მარჯვენა მხარეს. ამ წარწერაშიც, როგორც პირველში, დამწერს ზოგიერთ სიტყვებში ასოები შეცთომით აქვს დაწერილი.

ႫႢ: ႨႫႢ: Ⴋ†̃Ⴆ: ႭႺႭႢ: ႨႫႢ: ႬႢႱႢႫ
Ⴂ: ႭႺ: ႣႢႬ(Ⴂ): ႧႺႵႬႢ:
. . . . . . . . . . .[5].

იკითხება:

რომელი ჯვა-
რსა დაემჭვალე ჩვენთვი-
ს და ჴელნი განიპყრენ მწე და
მფარველ გვექმენ წყალობითა მონათა შენთა ფრ...
... და დ̃ღს მცირედი მკობი ხატისა შენისა ჩემ მიერ შეიწირე
ქ- ... თ
.. ვენებელსა შენსა ცხოველყვენ მოსავთა შენთა ზედა რა-
მეთუ დ
.. ნს. სახელი ესე საღვურებისა შენისა რომელი აღვაშენე დი-
დებად შენდა თაბორი სახელოვანო ღმერთო აღემაღლები სა-
ხელსა შე-
ნსა ვითარცა ანგელოზი ცათა შინა წმიდა არსებით წმიდ არს
მყოფობა შენი ცათა შინა და ქვეყანათა ზედა, არს წყალობა
ი შენი შემიწყალენ ჩვენ გიორგი გარაყანისძ-
ე და მეუღლე ჩემი რუსუდან და ძ-
მაი ჩემი მიქელ და დაი ჩემი ნისიმ-
ე და ძენი მათნი
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ორივე ზემოთმოყვანილი წარწერა შესრულებულია ერთი ხელით.

3. (ქ. 43). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 19 3/4×13 3/4 სმ. დაზიანებული, ქვედა არშია მოცილებული და დაკარგული აქვს.

აწერია: Ⴜ̃Ⴀ Ⴂ̃Ⴂ ანუ წმიდაჲ გიორგი.

4. (ქ. 44). ფიცარზე ნახატი ხატი მავედრებელი ღვთისმშობლისა, 16×12 1/2 სმ. შეჭედილი ვერცხლით და შემკული 5 თვლით (აკლია 2 თვალი), შეჭედილობა ოქროს წყალში არის დაფერილი. ხატი დაზიანებულია, ქვედა არშიაზე ვერცხლზე აქვს ასომთავრული წარწერა შავი წამლით (?):

[5] ეს ნაწილი წარწერისა მოტეხილია და დაკარგული.

ႵႾႠႾႳႪႨႱႠႶႧႨႱႫႸႭႡႤႪႭႫႨႧႾႭႥႤႻ
ႨႱႠႸႤႬႨႱႠႢႠႬႱႠႠႵႠႭႣႠႺႥႠႨႣႠႱႠႫႳႬႭႣႣ
ႠႳႱ႟ႤႪႭႡႠႨႺႭႣႥႨႪႱႠႬႩႪႦႱ...

იკითხება:

ქ. ხახულისა ღმრთისმშობელო, მითხოვე ძ-
ისა შენისაგან სააქაო დაცვაი და სამუნოდ დ-
აუსჯელობაი ცოდვილსა ნიკოლოზს...

5. (ქ. 45). ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა, 27 1/2×17 1/4 სმ თვლებიდან შერჩენილი აქვს მარტო ცალი. ღვთისმშობელს აწერია ႫႧ~ႠႶႨ, ანუ დედა ღმრთისა, ყრმას — [Ⴈ~]Ⴑ: Ⴕ~Ⴄ ანუ იესო ქრისტე. ქვედა ნაწილში ხატს აქვს წარწერა ასომთავრულად:

ႷႣ:. ႼႭ: ႫႤႭႾ:. ႣႠႸႤႫ
ႼႤ: ႣႠႫႭႼႷႪႤ:. ႤႵႫႤႬ
ႶႧ~ႨႱ:. ႸႨႸႱႠ:. ႵႥႤႸႤ:. ႫႣႢ
ႭႫႤႪႱႠ:. ႢႳႬႠႾႸႳႰႱႠ: ႱႨ
5. ႪႢ~ႻႨႱႠ:. ႵႠႪႱႠ:. ႣႶႤႱႠ:.
ႫႱ:. ႢႠႬႩႨႧ[ႾႥ]ႨႱႠႠႬ:.

იკითხება:

ყოვლად წმიდაო, მეოხ და შემ
წე და მოწყალე ექმენ . . . . . . . . . . . . . . . .
ღმრთის შიშსა ქვეშე მდგ-
ომელსა გუნახშურსა სი-
5. ლაგაძის (?) ქალსა დღესა
მას განკითხვისასა, ამინ.

6. (ქ. 46). რომელიმე ხატიდან დარჩენილი ფიცარი ორი (გვერდის) არშიით, 26×18 1/4 სმ.

7. (ქ. 47). კარედი ხატი ფიცარზე ნახატი. ღვთისმშობლის ხატით, 25 3/4×16 სმ. ორი კარი აყრილი და დაკარგული აქვს.

8. (ქ. 48). ფიცარზე ნახატი ხატი ნათლისღებისა, 25×18 3/4 სმ. გატეხილი ორად.

9. ჯვარი ხისა შეჭედილი (წინა მხარეს) ვერცხლით, 19 1/4 (ტარითვე 28 1/2)×17 დაზიანებული.

(ჯვარი დარჩენილია ადგილობრივ).

**10.** (ქ. 7). ოთხთავი ზომით 22×16, გაშლით 33×15 სმ. შედგენილი 45 სრულნაკლული რვეულისაგან (ფურცელი ზომით 21 1/2×16 1/2 სმ). ნაწერი ეტრატზე მსხვილი ნუსხური ლამაზი ხელით ორ სვეტად; თითოეული სვეტი შეიცავს 20 სტრიქონს. მელანი კარგად არის შენახული. ოთხთავი შემკულია მინიატურებიანი კამარებით (თავში, 6 ფურცელი) და ოთხი მახარებლის საუცხოო სურათით: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი. წიგნი დაზიანებულია: ფურცლები გათხუპნულია ხმარებისაგან. ზოგი მათგანი აკლია (იოანეს სახარების ბოლოს და სხვ.); დაზიანებული ადგილები დაკერებულია ქაღალდით; ზის ხის ყდაში, რომელსაც გარედან წაბლისფერი ტყავი აქვს გადაკრული, ხოლო შიგნით ალის (შინდის) ფერი ქსოვილი; საკეტები დაზიანებული აქვს.

ოთხთავს აქვს მინაწერები და ანდერძი[6] გადამწერისავე ხელით ნუსხურად.

1. მათეს სახარების ბოლოს, ტექსტის შემდეგ მინაწერი:

m˝m მოიხსენე წყალ
ობით ს˝ლი ბასილისი
ამის ოთხთავისა
დამწერლისაჲ და
5. შეიწყალე გლახა
კი კეთილთაგ˝ნ სლ˝ი
.: მისი ა˝ნ: —

2. იოანეს სახარების ბოლოს, ტექსტის შემდეგ ერთ სვეტად (21 სტრიქონი) ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა მინაწერით[7].

ესე საცნაურ იყავნ ყ(ოვე)ლთა, რ(ამეთუ) ესე წ(მიდა)ჲ
ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგ-
მნია ფ(რია)დითა იძულებითა ძმათა
ვიეთმე (ს(უ)ლიერთაჲთა და ბერძულთა
5. სახარებათა შეგჳწამებია ფ(რია)დითა გა-
მოწულილვითა და ვინცა-ვინ სწე-
რდეთ ვითა აქა ჰპოოთ ეგრე და-
წერეთ. თუ ამისგან ვერ გიჩნდეს და-

---

6 თ. ჟორდანიას მოყვანილი აქვს ზოგიერთი ადგილი, ისიც შემოკლებით (ქრონ. I, 207—208).

7 ქრონ. 1. 207.

წერაჲ ღ̃თისათ̃ს სიტყუათა ნუ სცვალე-
ბთ ა(რამე)დ, ვ(ით)ა აქა სწერია ეგრე დაწერეთ
და თუ არა რაჲმე გაშუნდეს ჩ(უე)ნნი ყ(ოველ)ნი
სახარებანი პ(ირვე)ლითგ(ა)ნ წ(მი)დად თარგმნი-
ლ არს და კ(უა)ლ(ა)დ ხან-მეტნიცა და საბაწმი-
დურნიცა მუნით დაწერეთ და ღ(მ)რთ(ისათჳ)ს
ერთმ(ა)ნ ერთსა ნუ გ(ა)ნჰრევთ და გლ-
ახაკისა გი(ორგისა)თ(ჳ)ს ლოცვა ყავთ: —
ლოცვა ყავთ წ(მიდა)ნო ღ(მრ)თისანო უღირსი
სა ბასილისთ(ჳ)სცა რ(ომელმა)ნ წ(მიდა)ჲ ესე ოთხთ(ა)ვი
მ(ა)მისა
გ(იორგ)ის თარგმნილისა სახარებისაგნ გარდმო-
ვწერე. და შეწამებაჲ დიად მიხარკ̃ბია
ღ(მრ)თისათ(ჳ)ს სიტყ(უ)ასა ნუ შესცვალებთ...

8. ოთხთავის ბოლოში წელიწადის საძიებელთა შემდეგ ანდერძი გადამწერისა[8] შვიდ გვერდზე (საძიებელთა უკანასკნელი გვერდი და შემდეგი სამი ფურცელი); ანდერძის ხელი ოთხთავის ხელთან შედარებით უფრო წვრილია.

1. ა—ბ. † მადლი და დ(იდე)ბა პა-
ტივი და თაყ(უა)ნისცე
მაჲ ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ა სამებასა მამა-
სა და ძესა და წ(მიდას)ა ს(უ)ლსა —49 სტრ.

2. ა-ბ . . . . . . . . . . . . . . . . . 56 სტრ.
3. ა-ბ . . . . . . . . . . . . . . . . . 56 სტრ.
4. ა-ბ . . . . . . . . . . . . . . . . . 56 სტრ.
5. ა . . . . . . . . . . . . . . 27 სტრ.

ბ. ხ(ოლო) მე ს(უ)ლიერთა და საღ(მრ)თოთა
მღვდელთ(ა)გ(ა)ნ გლახაკი და მრა-
ვალთა ცოდვათაგ(ა)ნ ღელვა-
გუემულ და უდებებით და
დაჴსნილობით (ფ(რია)დსა არებუ-
ლი ა(რამე)დ უფსკრულთა ღ(მრ)თისა
მოწყალებისათა მინდობილი
და არა სასოწარკუეთილი

---

[8] ქრონიკები, 207—208.

სახელით ოდენ და არა საქმით
მონაზონი ბასილი თორელყო-
ფილი ღირს ვიქმენ აღწე-
რად და გ(ა)ნსრულებად წ(მიდას) ამას
ოთხთავსა სახარებასა გ(ა)ნ-
წმედილსა ახლად და მმრთალსა
და უფროჲს მზისა ბრწყინ-
ვალესა წ(მიდ)ისა მამისა ჩ(უე)ნისა მ(იე)რ
გ(იორგ)ი მთაწმიდელისა, რ(ომე)ლსა შ(ინ)ა
არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი
და ნაკლული და არცა მეტი,
დალაცათუ ნაშრომი უნდ-
ოდ აჩუენებს მწერლობი-
საგ(ა)ნ უმეცრებისა ჩემისა მ(იე)რ.
ხ(ოლო) ჩამიწერია საძიებელი წე-
ლიწადისა სახარებათა სუ-
ნაქსრითურთ, დღჱ დაუკ-
ლებლად, წესსა ზედა ბერძ-
ულისა დ (4). აწ უკვე სა-
ცნაურ იყავნ თქ(უე)ნდა, რ(ომელ)ნი
[ეძიებდეთ და] იკითხვიდეთ
წ(მიდა)თა სახარებათა, რ(ამეთუ) ეს-
რეთ არს ბერძულად გ(ა)ნ-
წესებულ მოძღვარ-
თა მ(იე)რ: ვ(ითარც)ა შეუგვანდ-
ეს თითოეულისა სა-
ხარებასა თავი, ეგრეთ
აიღებვის. და აწ ყ(ოვე)ლი
გ(ა)ნგებულებით მიჩენია
თავები სახარებისა: ვ-
ითა აიღებვის საძიე-
ბელსა შ(ინ)ა ჰპოოთ და
[ვ(ით)ა აქა] და საძიებელსა ე-
წერის ზეპირით თავ-
[ი], ეგრეთ აიღებდით თი-
[თო]ეულისა სახარების(ა)სა
და მერმე სახარებასა შეუ-

დგენდით, რ(ომე)ლ მოგეძიოს
და ესრეთ აიღებვის თა-
ვები გინათუ მას ქ(ა)მსა,
... გინათუ თქ(უ)ა უ(ფალმა)ნ. გი-
ნათუ ჰ(რ)ქ(უ)ა უ(ფალმა)ნ თ(ჳ)სთა მო-
(წა)ფეთა, გინათუ თქ(უ)ა უ(ფალმა)ნ
იგავი ესე, გინათუ ჰ(რ)ქ(უ)ა
უ(ფალმა)ნ მოსრულთა მ(ა)თ მისა
ჰურიათა. ესრეთ აიღებ-
ვის თავები და რ(ომე)ლიმე
სახარებათაგ(ა)ნი, ვითა ე-
წეროს ეგრე ითქუ-
მის ლიტონად.
დავნიშნე თავ-ბო-
ლოები სახარებათა შ(ინ)ა სინგუ-
რითა. თავებსა სახა-
რებათასა ესე არს ნიშანი:

თავმოს-
კუნილ[ი] ჯ(უარ)ი
სინგურით)[9]

და ბოლოსა დასასრ-
ულითა ესე არს ორ-
ნი ჯ(უა)რნი მიდამო
+ ესრე სახედ +[11]

მიდამო დასას-
რულსა ორნი
ჯ(უა)რნი წური-
ლნი სადაგნ[ი]
სინგურითა[10]

დაიწერა ჴელითა ც(ო)დ-
ვილისა ბასილის, თო-
რელ ყოფილისაჲთა,
სანახებსა ასურეთი-

---

[9] ეს სამი სტრიქონი წერია სინგურით.

[10] ეს ხუთი სტრიქონი წერია სინგურით.

[11] ამის შემდეგ დატოვებულია ხუთი სტრიქონი.

სასა, დიდებ(უ)ლისა ქ(ა)ლ(ა)ქისა
დიდისა ანტიოქის(ა)სა, მო-
ნასტერსა წარჩინებ(უ)ლსა
დიდისა კალიპოლისასა,
სადიდებელსა ყ(ოვ)ლ(ა)დ წ(მიდ)ისა
ღ(მრ)თის მშობელისასა, სა-
მკვდრებელსა და ნავთ-
საყუდელსა ქართვე-
ლთასა, სოხასტერსა
შ(ინ)ა მონასტრისასა, აღმო-
სავლით სადიდებელსა
წ(მიდა)თა მთავარანგ(ე)ლ(ო)ზთა
და აწ გევედრები ყ(ოვე)ლ-
თა ღ(მრ)თის მოყუარეთა,
რ(ომელ)ნიცა განათლებულ
ხართ წ(მიდ)ისა ამის სახა-
რებისა ბრწყინვალები-
თა, მორწმ(უ)ნეთა და წ(მიდა)თა
მამათა და ქ(რისტ)ეს მიერ ძ-
მათა მოვლით მიმთ-
ხუევად, საუკუნ(ე)თა
მ(ა)თ კეთილთა ჴსენებ-
ულ გუყვენით წ(მიდა)თა
შ(ინ)ა ლოცვათა თქ(უე)ნთა
მე, გლახაკი ბასილი-
ამის წ(მიდ)ისა სახ(ა)რ(ე)ბისა დამ-
წერი და მშობელნი
. . . ჩემნი .
. . . . . . . ჩემნი ს(უ)ლიერნი
და ჴორციელნი . . . . .
. . . . კეთილად .
. . . . . . . . მიცვალებუ-
ლთა და მიცვალებადთა
. . . . . . . ლოთა მცნებითა
და მარხვითა სიყუარ-
ულით და ნუგეშინისცე-
მა . . იგინიმცა

. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
მო . . . . . . . .
თქს საუკუნოსმცა
არს კურთხევაჲ და სა-
ჴსენებელი მათი, თანა და-
იწერების სახელები მათი,
რ(ომე)ლთა ჩ(უე)ნ მოგჳჴსენნენ
წიგნსა მას ცხოვართასა
და მიმცაეცემიან ნეტარება
ს(უ)ლთა მ(ა)თთა დაუსრულებე-
ლნი იგი კეთილნი, რ(ომე)ლი თუალ-
მ(ა)ნ არა იხილა და ყურთა ა-
რა ესმა და გ(უ)ლსა კაცისა-
სა არა მოუჴდა. რ(ომელ)ი
გ(ა)ნუმზადა ღ(მერთმა)ნ მოყვ(ა)რეთა
სახელისა მისისათა, იგინი-
მცა დგომილ არიან მარჯვე-
ნით წ(ინაშ)ე — ღ(მრთ)ის (?) დაუღამებ(ე)ლსა
მ(ა)ს დღესა მოსლვისა მისისათა;
დადგინებულმცა არიან ყ(ოვე)ლთა წ(მიდა)თ-
ა თ(ა)ნა მომჴსენებ(ე)ლნი ჩ(უენ)ნი.
ხ(ოლო) ოდეს აღიწერა წ(მიდ)ა სახ(ა)რ(ე)ბა
ქრონიკონი იყო მაშინ
სპ (280) (280+780=1060 წ.)*

ოთხთავს აქვს მინაწერები.

1 ა. მათეს სურათის წინა გვერდზე (თავიდან მე–7 ფურცელი)-ნუსხურად[12].

1. აქა გ(უ)ლმაშაქარ გორგასლი-
2. ძისა ქალმ(ა)ნ მომართვა პური. დღე იყო ოთხშ(ა)ბ(ა)თი
3. ღ(მერ)თო უცხოვნე ს(უ)ლი . . . .

---

* ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერების თანამედროვე პუბლი-კაცია: „მრავალთავი", XV, 1989, გვ. 153—165.

12 შესრულებულია XVIII—XIX სს. ხელით.

4. ს(უ)ლსა ივანეს ქასელაძისა შეუ-
5. ნდოს ღ(მერთმა)ნ; ს(უ)ლსა მეუღლესა მისსა
6. შუენიერს მღდელაძის ქალს-
7. ა შეუნდოს ღ(მერთმა)ნ; ს(უ)ლსა დარიდონს ქა-
8. სელაძისა ქალსა შეუნდოს ღ(მერთმა)ნ;
9. ს(უ)ლსა მანაველ ქასე[ლა]ძესა შეუნ-
10. დოს ღ(მერთმა)ნ; ს(უ)ლსა იოსებ ხახნელიძესა
11. შეუნდოს ღ(მერთმა)ნ; მ(ა)მათა და ძმათა მისთა
12. შეუნდოს ღ(მერთმა)ნ; ს(უ)ლსა გუნაშხურ სილაგ-
13. აძისა ასულსა შეუნდოს ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ, კ(ირიელეი)-ს(ო)ნ.

ბ. მარკოზის სახარების ბოლოს, ნუსხურად[13].

ამა ოთხაუნისა
მადლო, შეიწყ(ა)ლე
ს(უ)ლი მანაველ ქასე-
ლაძისა, იჴსენი ყ(ოვ)ლისა
ცოდვის(ა)გ(ა)ნ.

გ. იქვე:

ამა ოთხთაუნისა
მადლო, შეიწყ(ა)ლე
ს(უ)ლი მანაველ
ს(უ)ლი დედისა და მამისა
იო(ა)ნე ქ(ა)ს(ე)ლაძისა

დ. ლუკას სახარების 156-ე მუხლის ნაწილის შემდეგ, მეორე გვერდზე, ნუსხურად:

უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო, შეიწყალე და აცხოვნე ს(უ)ლი ივანეს ქასელაძისა, მეუღლესა მისსა შუენიერსა მღდელაძისა ქალისა.

2 ა. მათეს სახარების 85-ე მუხლის ნაწილის ქვედა ხარვეზზე მხედრულად.

ქ. თხუთმეტი:. მძიმე და:. მოჳედილ
არისა:.

---

13 შესრულებულია XVIII—XIX სს. ხელით.

ბ. იმავე სახარების 88-ე მუხლის ნაწილის ძირს ხარვეზზე მხედრულად:

ქ. არის:. ოცდა:. ხუთი:. ხატი:. ცამეტი (:.წი)
ვნი.: სამი.: კანდელი.: ერთი.: ვერ(ცხ)
ლისა.: ბარძიმი.: ერთი.: ვერცხლის.: .. ...
კოვზი.: ერთი.: ვერცხლის.: ...

გ. იმავე სახარების იმავე მუხლის მარცხენა ხარვეზზე, მხედრულად[14]:

სამი სასანთლე: ღ(მერთ)ო: და ჯვარცმაი
. . . შეიწყალე ს(ა)ული მ[აჩა]ბლისა:.

8 ა. მარკოზის სურათის ქვევით ნუსხურად[16].

1. † ღ(მერთ)ო და წ(მიდა)ო ჯ(უა)რცმ(ა)ო ქრ(ისტ)ეს მეუფისაო და წ(მიდა)ო მ(ა)რკ(ო)ზ,
2. ღ(მერ)თ შემოსილო, შე(ი)წყ(ა)ლე ნიკ(ოლო)ზ კუჭაიძე ამ(ი)ნ, უ(ფალო).

ბ. ლუკას სახარების „თავების", ანუ სათაურების ბოლოს, მინაწერის შემდეგ ნუსხურად:

1. ქ. ღ(მერთ)ო და წ(მიდა)ო ლუკა,
2. შეიწყ(ა)ლე ნიკ(ოლო)ზ
3. კუჭაიძე

გ. იქვე მხედრულად:

1. ქ. ღმერთო შეიწყა
2. ლე ნიკოლოზ კუჭა-
3. იძე ამნ უფალო[17].

4. ლუკას სურათის წინა ცარიელ გვერდზე ნუსხურად:

1. ღ(მერთ)ო შეიწყალე სული ხვაშა[კ]
2. ლ(ა)შხიშვილისა სული, ამინ.

---

14 ყველა ეს მხედრული მინაწერი უნდა იყოს XV[?] ს. ხელით.
15 ქრონიკები, I, გვ. 207.
16 სამივე ეს მინაწერი XIX ს. ხელითაა შესრულებული.

6. ლუკას სახარების სათაურების ბოლოს ნუსხურად:

ღ(მერთ)ო და ამ ოთხთ(ა)-
ვის მ(ა)დლო შე(ი)წ-
ყ(ა)ლე ს(უ)ლი ბეჟ(ა)ნ ჯ(ა)-

ფ(ა)რიძისა ს(უ)ლი. მეუღლესა
მისსა ხ(ა)ნსულთ(ა)ნს
შეუნდოს ღ(მერთმა)ნ ღ(ო)მა-
ის ასხერიელის ქ(ა)ლსა
შეუნდოს ღ(მერთმა)ნ; ღ(მერთ)ო
იხსენ ივ(ა)ნე ჯ(ა)ფ(ა)რიძე
ყ(ოვლ)ისა
ც(ო)დვის(ა)გ(ა)ნ ამინ, კ(ირიე-
ლეი) ს(ო)ნ.
ჰ˝ლი, ჰ˝ლი, ჰ˝ლი [?]
კ(ირიელეი)ს(ო)ნ, კ(ირიელეი)ს(ო)ნ
კ(ირიელეი) ს(ო)ნ---

11. [ქ. 11] ოთხთავი ზომით: 11 1/4×8 3/4×2 სმ. ქაღალდზე ნაწერი ორ სვეტად; თითო სვეტი შეიცავს 25 სტრიქონს; უყდო, დაზიანებული. როგორც ქვემოთ მოყვანილი მინაწერიდან [4] ჩანს, იგი ლევან დადიანს ეკუთვნოდა; სხვა მინაწერის [5] მიხედვით მისთვის მღვდელ დავით ქარსელაძეს გაუკეთებინებია ყდა, რომელიც მოუცილებიათ უკანასკნელ ხანს, ლაილაშში გადატანის დროს.

ოთხთავს აქვს ანდერძი და მინაწერები.

1. იოანეს სახარების ბოლო გვერდზე მეორე სვეტად ანდერძი გადამწერისა, ნუსხურად[18].

დ(იდე)ბ(ა)ჲ ღ(მერთს)ა სრ(უ)ლმყ(ო)ფ(ე)ლ-
საჲ ყ(ოვლ)ისა კ(ე)თ(ი)ლისა-
საჲ. დაიწერა და
სრ(უ)ლ იქმნა წ(მიდა)ჲ ე-
სე ჴ(ო)რცთა და ს(უ)ლ-
თა გ(ა)ნმწმედელი
და გ(ა)ნმ(ა)ნ(ა)თლ(ე)ბ(ე)ლი ო-
თხთავნი. მეოხ(ე)ბი-

---

[18] შესრულებულია XIX ს. ხელით.

თა და შეწევნითა
მაცხ(ო)ვრისა წალენ-
ჯიხისაჲთაჲ, ა(მი)ნ.
და ბრძანებითა პა-
ტრონისა, მოძღუა-
რთ-მ(ო)ძღ(უ)რისაჲ ქრისტეფორესითაჲ, რ(ომლ)ისა
ჴს(ე)ნ(ე)ბ(ა)ჲ და კ(ით)ხვ(ა)ჲ ს(აუ)კ(უ)ნომცა არს
აწ და ვ(იდრ)ე უკ(უნისამდ)ე
აკმარნეს ღ(მერთმა)ნ სიმრავლესა შ(ინ)ა დღეთასა ა(მი)ნ.
ამისსა მწერალსა ფ(რია)დ ც(ო)დ(ვი)ლსა ის(ა)კს ციმციმაძე-
საჲ შე(უნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. დედაჲ მ(ა)მ(ა)თა მისთა
შე(უნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.
ძმ(ა)საჲ მისსა ნ(ი)კ(ო)ლოზს შ(უნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. და
სხ(უა)ჲთა ძმა-
თა მ(ა)თთა შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. ვინცა შენდობით მოგ-
ჳჴს(ე)ნოთ თქ(უე)ნცა შეგინდნეს ღ(მერთმა)ნ. ა(მი)ნ.
ნუ ვინ დამწყევთ ჴ(ე)ლისა ურჩხობისა-
თ(ჳ)ს უფ(ა)ლნო ჩ(ე)მნო, ა(რამე)დ შენდ(ო)ბ(ა)ჲ ყ(ა)ვთ,
ვ(ითარმე)დ ფ(რია)დ
ც(ო)დ(ვი)ლსა ის(ა)კს შ(ეუნდვ)ნ(ე)ს და კ(უალა)დ თქ(უე)ნცა
შეგინდნეს ღ(მერთმა)ნ.

2. იქვე, ორივე სვეტის ქვევით, ე. ი. ქვედა ხარვეზზე მინაწერი გადამწერის ხელის მსგავსივე ხელით, ნუსხურადვე.

ს(უ)ლსა სკანიძის დ(ავი)თ ყ(ო)ფილ(ი)სა დამიანეს
შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

3. მარკოზის სახარების „თავების“ ბოლოს გადამწერისავე მინაწერი ნუსხურად:

ამის მწერალსა ისაკს
ციმცაძესა შეუნდვნეს ღ(მერთმა)ნ.

4. მათეს სახარების მესამე ფურცლის წინა გვერდის ქვედა ხარვეზზე მინაწერი სხვა ხელით, მხედრულად:

ეს სახარება დადიანი
ს ლევანის არის

5. წიგნის უკანასკნელი ცარიელი ფურცლის მეორე გვერდზე მინაწერი:

ეს ხელთ ნაწერი წმიდა სახარება
იყო ძლიერ დარღვეული სიძველის
გამო და საფასითა ჩემითა გავაკეთე
ბინე, რომელიც ეკუთვნის თაბორის
ჯვარცმის ეკლესიას. 1896 წ. მარტის
12-ს. მღვდელი დავით ქარსელაძე.

12. [ქ. 10]. საეკლესიო წიგნი რომელიმე, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალ ფურცელნაკლები; ბოლო ფურცელს აქვს მინაწერი ტექსტისავე ხელით, ნუსხურადვე:

ღ(მერთ)ო და ამ(ი)ს კვრასძალის მადლო დღეგრძ-
ელობაშიდ ახმარე ციხისთჳს ასულს-
აჲ გუდიას და ქმარი კარგად უმყოფე
და ყმაშვილი მიეც, ამინი და კ(ირილეი)ს(ო)ნ.
ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე ც(ოდვილ)ი ი(ოან)ე ჩხარაშ(ვი)ლი.
ვინცა შე-
ნდ(ო)ბ(ა)ჲ ბრძანოთ თქ(ვე)ნცა შეგინდოს ღ(მერთმა)ნ
ამინ. ამის წიგნის უცებად მჩხრეკელსაჲ: —

შემდეგ ძლიერ წვრილი ხელით ნუსხურად:

უ(ფალო) შ(ეიწყალ)ე ც(ოდვილ)ი ი(ოანე) ჩხარაშვილი
და დედა მ(ა)მ(ა)თა ჩ(ე)მთა ღ(მერთმა)ნ შეუნდნეს ამინ.

13. [ქ. 8]. დავითნი, ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

14. [ქ. 9] დავითნი, დაბეჭდილი, აქვს ხელნაწერი ფურცლები, დაზიანებული.

თაბორის მცხოვრებ დავით სოლომონის ძე ჩარკვიანს აქვს სიძველე, რომელიც მას რამდენიმე წლის წინ უპოვნია ეკლესიის ეზოსთან. ეს არის ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზისა, ზომით: 18 3/4×13 სმ. შემკულია წერტილოვანი სახეებით, გადაკრულია ფიცარზე, დაზიანებულია.

ხატს ქვედა აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა:

ႫႧႥႰ჻ ႠႬႢႦႭ჻ Ⴋ[ႤႭႾ Ⴄ]
ႵႫႤႬ჻ ႢႭႬႠႸႾႰႱ჻ ႱႨ[Ⴂ]
[Ⴀ]Ⴛ[ႨႱ]჻ ႵႠ჻ႪႱႠ

მთ(ა)ვ(ა)რანგ(ელო)ზო მ[ეოხ ე]-
ქმენ გონაშხურს სი(ლა)[გ]-
[ა]ძ[ის] ქალსა.

**საირმე**

რომანოზ ბოჭორიშვილის ნაამბობი — გადმოცემა ბოჭორიშვილთა გვარისათვის.

ბოჭორიშვილები უწინ ოქროცვარიძეები ყოფილან, ისინი მბოჭავნი ყოფილან გელათისა, თითო კაცი გელათის კარზე ყოფილა აუცილებლივ და მათ უბოჭნიათ ყველა ადგილში (მხარეს) გელათის საბოჭავი და აქედან დარქმევიათ ბოჭორიშვილებიო.

1925 წ. ივნისი.

კიბაბეულის მაცხოვრის ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 1). კონდაკი, დაზიანებული მრავალფურცელნაკლები.

**ლაილაში**

ლაილაშის ქართველთა ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. ს. 1). ფიქალწერილი 44 1/2×30 1/2×5 სმ ჩამოვარდნილი სამრეკლოდან, გატეხილი ორად [მხედრული] წარწერით:

ქ̄ ი:. სამებაო:. ერთარსებაო ძლ-
იერებაო განუყოფელო ღ̄თო:. მამაო,
ძეო:. და:. წმი(და)ო: სულო: მე მო-
ნამ ამან შენმან და მოსავმან ღ̄თებ(ის)-
5. (ა):.) შენისა:. ლაშკიშვილმან:. გიორგიმ:. თანა-
მეცხედრ̄მან:. ჩემან:. ინასარიძის ასულ-
ლმან: მარიამ და: ძემან: ჩვენმან: პირმ-
შომან:. სვიმონ: და:. მამუკამ და ნიკო-
ლოზ: შემოგწირეთ მცირე: ესე:. შესაწირ(ავი): (ამ)
10. აღლებ (ი/ა)ს: დღეს: ცხრა: გორო: ღვინო: ერ(თ)(ი)
ღორი და: მისი:. პური: თემი: ამას: დახ(არ)(ჯ)-

ებდეს: და ჩვენ: ჟამს: გვიწი(რე)ბ(დეს)ს: . . .
შენდობას: გვეტყოდეს: ყოვ(ელს წელი)წადს
ამაღ(ლ)(ები)ს: დღეს ვინც: ეს:. . მო(გიშალო)ს:.

15. ჩვენის:. ცოდის პასუხი . . . .
ც( ე/ვ )ს ღ̃თს*

2. (ქ. 39)

მთავარი სიძველე ეკლესიისა — ხატი წმ. გიორგისა დაუმსხვრევიათ 1923 წელს. მისი ნალეწის უდიდესი ნაწილი ჩამოიტანა ხელოვნ. მუზეუმში გ. ჯაკობიამ, ხოლო მე ვიპოვნე მცირე ნაშთი.

დამტვრეული ხატიდან დარჩენილი ფიცრის ნატეხები, ზოგი მათგანი ხეზე ნაკვეთი სახეებით, სულ 6 ცალი.

ს ა წ ყ ა ო ე ბ ი:

ლაილაში: დორა — საზოგადოდ 2 ფუთი (ჭრებალოში 1 ფ. 32 გვ.)

მარტო ღვინო.

ლაბეჭინა: გორო-კოდი (ლეჩხუმში — 2 ფუთი).

კოდი, ჰყვიში — 1 ფუთი.

ლაილაშის თემალმასკომის საწყობიდან წამოღებული სიძველენი:

1. (ქ. 33). ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზისა, 39×21 სმ, ძლიერ დაზიანებული, წარწერით:

ႫႧႠ ႠႰႬႢႪႦႨ — მთავარანგელოზი.

2. (ქ. 34). ჯვარი რკინისა, 38×18 1/2 სმ., ვერცხლის შეჭედილობისა და წარწერის მცირე ნაშთით, წარწერას ქვევითი ნაწილი მოგლეჯილი და დაკარგული აქვს.

| | |
|---|---|
| +ႻႤ̃ႪႭ | ანუ: ქ. ძელო |
| ႺႾႭႰႤႡႨ | ცხორები- |
| ႱႠႭ჻ ႫႤႭႾ | საო მეოხ |
| ႣႠႫႴႠႰႠ | და მფარა |
| 5. [Ⴅ ႤႵႫႤႬ] | 5. [ვ ექმენ]... |

3. (ქ. 35). დაფარნები 3 ცალი.

4. (ქ. 36). ბოხჩა. შეკერილი ნაკუწებიდან.

5. (ქ. 37). მცირე ბოხჩა.

---

* იხ. „მაცნე", ისტორიის „სერია, 4, 1972, გვ. 163—164 (ვ. ს.).

6. (ქ. 38). ხატის ბუდე მცირე.

7. (ქ. 19). კურთხევანი ხუცურად ნაწერი; წინა ყდას გადაკრული აქვს ეტრატზე ნაწერი ფურცელი. წიგნის დასაწყისში წერია ნუსხურად:

> კურთხევანი ძალითა ღვთისათა თარგმნილი ბერძ(ნ)ულის(ა)გ(ა)ნ ქართულად კჳპრიანეს მ(იე)რ სამთავნელისა.

8. (ქ. 20). კონდაკის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

9. (ქ. 21). რომელიმე საეკლესიო წიგნიდან დარჩენილი ფურცლები (ერთი მათგანი ეტრატია).

ლაილაშის ებრაელთა სალოცავში არის ორი ძველი ებრაული ხელნაწერი დაბადება (ეტრატზე), გარეგნულად ორივეს აქვს ბუდე, შემკული სპილოს ძვლისა და მოშაო ფერის რქის რკალებით და მორთულობით*.

ლაილაშში ძველი ციხე დაუნგრევიათ 13 წლის წინათ. იგი მდგარა ურიების უბანში. გადმოცემით: მეფე ლაილაშხელი ყოფილა უწინდელ დროში, ციხე მათი იყოო. დადიანებმა გადადეკნეს ლაილაშხელები აქედანაო.

## ნაყურალეში

ნაყურალეშის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. ერთნავიანი ბაზილიკა. 9 1/2×6 არშ., ნაშენი ქვითკირისაგან; მას დასავლეთით ჰქონია საქალებო, რომელიც დაუქცევიათ 1924 წელს. ეკლესიას ხურავს ყავარი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია.

ეკლესია მოხატულია; მხატვრობა კარგად არის შენახული. საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა აქ ისტორიული პირნიც არიან დახატულნი.

საკურთხევლის კონქში დახატულია ღვთისმშობელი აპყრობილი ხელებით და ყრმა იესოთი კალთაში (სურ. 79); მის ქვევით მოციქულები და ძირს მღვდელთმთავრები (სურ. 80, 81). ხატებს წარწერები ასომთავრულად აქვს; მღვდელთმთავრების გრაგნილები ბერძნულად არის დაწერილი.

---

* ერთი მათგანია ებრაული ბიბლიის X—XI სს. ხელნაწერის ნაწილი. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. მასზე იხ გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოსეს ხუთწიგნეულის შესახებ, კრ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, 1, თბ., 1969 (ვ. ს.).

კათოლიკონში დასავლეთის კედელზე: წმ. გიორგი ცხენზე, წმ. გიორგის შეპყრობა დეოკლეტიანეს მიერ და სხვ.

ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების ძირა რიგში დახატული არიან ისტორიული პირნი:

ჩ რ დ ი ლ ო ე თ  კ ე დ ე ლ ზ ე:

1. საკურთხეველთან ახლოს დახატულია მღვდელმთავარი პირით დასავლეთისაკენ, მაკურთხებელი ეკლესიის აღმაშენებელთა მის მონათესავეთა:

| | |
|---|---|
| ႺႠႢႤႰႤႪႨ | . . ცაგერელი |
| ႹႨႵႳႠႬႨ | ჩიქუანი |
| ႱႥႨႫႭႬ | სვიმონ |

2. მეორე (დასავლეთით) — სასულიერო პირი ეკლესიის მოდელით ხელში, მოდელი გაწვდილი აქვს დასავლეთისაკენ:

1:· ႵႰႨႱႲႤ:· ႸႤ:· ....ႱႠႷႣႰႨႱႠ:· ႠႫႨႱ:·
2. ႠႶႫႠႸႤႬႤႡႤႪႨ:· ႺႠႢႤႰႤႪႨ ႹႨႵႳႠႬႨ ႢႠႡႰႨႤႪ:

:. ქრისტე:. შე:. . . . . საყდრისა:. ამის:.
აღმაშენებელი:. ცაგერელი ჩიქუანი:. გაბრიელ:

3. მესამე (დასავლეთით) — აღმაშენებლისაკენ გაპყრობილი ხელებით (სურ. 82):

+ ႹႨႵႳႠႬႨ:· ႡႠႠႩႠ:·|| ქ. ჩიქუანი:. ბააკა:

4. მეოთხე (დასავლეთის კუთხესთან) — ისევე გაპყრობილი ხელებით:

| | |
|---|---|
| +:· ႹႠႰႩႥႨႠႬႨႱ:· | ქ:. ჩარკვიანის:. |
| +ႠႪႨ:· ႾႥႠႰႠႫႦႤ | ქალი:. ხვარამზე:. |

ს ა მ ხ რ ე თ ი ს  კ ე დ ე ლ ზ ე:

1. დასავლეთის კუთხესთან დახატულია დიდებული:

+:· ႪႤႹႾႳႫႨႱႠ ႣႠ:· ႱႠႪႨ
ႮႠႰႲႨႠ [ႬႭႱ]
ႮႠႲႰႭႬႨ:· ႭႣႨႸႨႱ:·
ႧႠႥႨ: ႣႠ
ႨႫႤႰႤႧႨႱ:· ႣႠ ႭႣႨႱ(sic):·
ႱႠႰႣႠႪႨ

ქ: ლეჩხუმისა და:. სალიპარტია(ნოს) პატრონი:. ოდიშის:. თავი:. და იმერეთის:. და ოდი(ში)ს:. სარდალი ჩიქუანი:. ბატონი:. კაცია: —

ႹႨႵႭჃႠႬႨ. ႡႠႲႭႬႨ.
ႫႠႰႨႠ. —

2. მეორე (აღმოსავლეთით). მანდილოსანი (ხელებით პირველთან):

ႵႨ. ႵႠႰႧႪႨႱႠ. — ქ:. ქართლისა:.
ႤႰႨႱႧႠႥႧ. ႤႰႨႱ — ერისთავთ:. ერის
ႧႥႨႱ. ႵႠႪႨ. — თვის:. ქალი:.
ႡႠႲႭႬႨ. ႧႠႫႠႰႨ. — ბატონი:. თამარ:.

3. მესამე (აღმოსავლეთით) ქალი, აღმოსავლეთისკენ გაპყრობილი ხელებით.

Ⴕ ႪႠႸႾႨႱ. — ქ. ლაშხის:.
ႸႥႨႪႨႱ. ႵႠႪ — შვილის:. ქალ
Ⴈ:. ႵႤႧႤႥႠႬ— — ი:. ქეთევან: —

4. მეოთხე (საკურთხეველთან) — დასავლეთისკენ გაპყრობილი ხელებით:

ႵႨ. ႹႨႵႭჃႠႬႨ. — ქ:. ჩიქუანი:.
ႵႠႨႾႭႱႰႭ. — ქაიხოსრო:.

დ ა ს ა ვ ლ ე თ  კ ე დ ე ლ ზ ე, გარეთ, შენახულია ხატი — იესო ქრისტე მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი მოციქულით.

კ ა ნ კ ე ლ ი ს  თ ა ვ ზ ე გაკეთებულია დიდი ჯვარი, დაახლოებით 3 არშ.×2 არშ; შემკული მხატვრობით; მის გულში ზის მცირე ჯვარი, დაახლოებით 8×7 ვერშ. (უტარო), შემკული ვერცხლზე ნაჭედი ხატებით ჯვარცმისა, იოანე მახარობელისა და ანგელოზისა; დაზიანებული.

ჯვრის ქვევით, პირველ რიგში არის ხატები ქრისტესი, ღვთისმშობლისა, ნათლისმცემლისა და მოციქულებისა, სულ 11 ცალი; თითოეული დაახლოებით 13×8 ვერშოკი.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 37×29 1/2 სმ. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა და ცხენის ფეხთა ქვეშ განრთხმულია გვირგვინოსანი. აშიები შემკულია წერტილოვანი ხაზებით; ხატი ძლიერ დაზიანებულია. ქვედა აშიაზე აქვს წარწერა:

1. Ⴕ. Ⴛ. ႫႭႼႫ~ႧႠ. ႫႧႥ~ႰႭ. ႢႠ. ႸႥႨႢ. ႼႨႱ. ႭႾ
ႦႨႥႨႦႭ ႠႥႠႾႦႨႱႠ ႫႧႦႨႭ ႣႨႭႧႣႨ ႷႥႠႫႦႨႪႠႭ
ႫႭႣႨႸႢႨႬႨ. (sic)

2. ႫႤ꞉ ႫႭႱႥႫႬ꞉ ႣႠ꞉ ႫႠႣႨႣႡႪႫႠႬ꞉ ႧႵႥႤႬႫႠႬ꞉
ႫႭႬ´ႦႬ´ႫႬ꞉ ႫႠႰႨႫ꞉ ႸႼႩႬႨႧႠ꞉ ႺႢႰ´ႪႨႱႠ꞉
ႹႵႭႠႬႨႱ꞉ ႢႠႡႰႨႤႪႨႱႠႧႠ

3. ႱႠႣႶႤႢႰႻႤႪႭႣ꞉ ႫႨႱႠႣ꞉ ႣႠ꞉ ႱႠႭႾႠႣ꞉ ႣႠ꞉
ႱႾႱႰ´Ⴃ꞉ ႱႳႪႨႱႠ꞉ ႹႫႱႠ ႣႨႱ ႫႱ ႣႨႣ(?)ႱႠ
ႢႠႬႩႨႧႾႥႨႱႠႱႠ

1. ქ ჵ მოწ(ა)მ(ე)თა მთ(ა)ვ(არ)რო და შვიდ წილ უძლეველო ღვაწლისა მძლეო გიორგი ხვამლისაო, მოგიჰედინე (sic)
2. მე მოს(ა)ვმ(ა)ნ და მადიდ(ე)ბ(ე)ლმან თქვენმან მონ(ა)ზ(ო)ნმ(ა)ნ მარი(ა)მ, შ(ე)წ(ე)კნითა ც(ა)გ(ე)რ(ე)ლისა ჩ(ი)ქუანის გაბრიელისათა,
3. სადღეგრძელოდ მისად და საოხად და ს(ა)ხსრ(ა)დ სულისა ჩ(ე)მ(ი)სა, დღ(ე)ს(ა) მ(ა)ს დიდ[სა] (?) განკითხვისასა.

აქ მოხსენებული ცაგერელი ჩიქუანი გაბრიელ იკითხება აგრეთვე ეკლესიის კედლის წარწერაში. ძეგლი ეკუთვნის XVII ს.

2. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, $31\frac{3}{4}\times26\frac{1}{2}$ სმ, შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული. ქართული ხელოვნების.

3. ფიცარზე ნახატი ხატი იოანე მახარობელისა $31\frac{3}{4}\times28$ სმ, შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული.

მე-2 და მე-3 ნომრით აღწერილი ხატები ერთი ხელის ნამუშევარია.

4. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, $18\frac{3}{4}\times14\frac{1}{4}$ სმ, შეჭედილი ვერცხლით, დაფერილით ოქროს წყალში და შემკული 12 თვლით (აკლია 3 თვალი) და მარგალიტით (აკლია მრავალი). აქვს წარწერა:

1. Ⴕ꞉ Ⴜ´Ⴍ ..... Ⴋ´Ⴞ꞉ ႤႷ´Ⴅ꞉ Ⴜ´Ⴄ꞉ ႻႨႱႠ꞉
2. Ⴘ´ႬႱ..... Ⴘ´ႬႱႠ꞉ ႬႨႩႭႪႠႱ꞉—

1. ქ წ(მიდა)ო [ღვთისმშობელო] მ(ეო)ხ ეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ძისა
2. შ(ე)ნ(ი)ს(ა) [მონასა] შ(ე)ნსა ნიკოლას.

5. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, $16\frac{1}{4}\times12\frac{1}{2}$ სმ.

6. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, $34\frac{3}{4}\times28$ სმ.,

7. (ქ. 6). ლახტი რკინისა ექვსფრთედი.

8. (ქ. 7). ისარი (ორბოძალი) რკინისა.

## ზედა ალვი

ზედა ალვის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 22×14½ სმ., შემკული 4 თვლით, მდარე ხელის ნამუშევარი.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზისა, 11¼×9½ სმ., მდარე ნამუშევარი.

3 (ქ. 24). ოდიკი 1822 წლისა.

4. (ქ. 12). სახარება-სამოციქულოს ნაშთი, ნუსხურად ნაწერი.

5. (ქ. 13). კონდაკის ნაშთი.

6. (ქ. 14). რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ეტრატზე ნუსხურად ნაწერი, 13 ფურცელი.

7. (ქ. 15). ჟამნი, ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

8. (ქ. 16). რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

9. (ქ. 17). რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

10. (ქ. 18). რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

## ნამარნევი

ნამარნევის ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენი თლილი შირიმის ქვისა და კირისაგან.

დასავლეთის კარის თავზე აქვს ქვა [მხედრული] წარწერით:

1. ჩყკბ-სა წელსა აგვისტოს ა სრულად აღვაშენე ტაძარი
ესე, სახელსა ზ(ედ)ა Ꮏოანე
2. ნათლის-მცემელისა, უდაბნოდ, დიდის თავადის ღენერალ მაიორის და კავალერის ზურაბ წერეთლის ასულ
3. მან დედუფალმან მართა. ალსამაღლებლად დიდად სახელოვანისა მეუღლისა ჩემისა ღენერალ ლეიტენანტის
4. და კავალერის, მთავრისა ჩემისა დადიანის ლეონისათვის და აღსაზრდელად ძეთა ჩემთა და ასულთა და სა-
5. ოხად სულისა ჩემისა. მხილველთაგან შენდობასა ვითხოვ ღ͠თისათვის, ოდეს ჩვენ საფლავს ვიყოთ და თქუ͠ჱნ
6. ქუ͠ჱყანასა:. ხოლო ესეცა უწყებულ იყავნ, რამეთუ ყოველივე რაიცა შეგვიწირავს

7. ჩვენ ორთა მეუღლეთა წმიდისა ამის მონასტრისათვის:
ნივთი, ანუ გლეხი, ანუ მამული, საკუთრისა
8. საფასითა ჩუ֊ენითა სყიდულ და არა სამთავროჲსა
ჩვენისადმი გამოგვილიეს რაჲმე: გთხოვთ მემკვიდრენო
9. და მოადგილენო ჩვ֊ნო ნუმცა ვინ ხელ ჰყოფ მცირისა
რაჲსამე გამოხვევბად და თუმცა ვინმემ ამას წაართვას ჩუ֊ენ
10. მიერ შეწირული რაჲმე. იქნეს კაცი იგი ქე֊ს წინაშე
ჩუ֊ენის ცოდვის მეპასუხე: —

შიგნით ეკლესია ნაწილობრივ მოხატულია:

საკურთხევლის კონქში — ღვთისმშობელს გვირგვინს ადგამენ მამალმერთი და ჯვარტვირთული, მათ ორივე მხარეს ანგელოზებია. ქვევით — ქრისტე და ღვთისმშობელი გარეშემო მოციქულებით.

კათოლიკონის აღმოსავლეთ ნაწილში — მღვდელთმთავრები, ლაზარეს აღდგინება და ღვთისმშობლის მიძინება (?).

კანკელი ფიცრისაა, მისი ქვედა ნაწილი დაუწვავთ, ზედა ნაწილი შენახულია; აქვს წარწერა:

ჩყმთ -სა წელსა სეკდენბრის ით -სა შავახატვინე
კანკელი ესე მთავრის დავით დადიანის კარის
დეკანოზმა მღვდელმან დავით ჩიხლაძემ განსვენე-
ბულის ჩემის მოწაფის დადიანისავე გამდელის
ძილდასტანის დანაშთენის ფულითა საოხად
სულისა მისისა. აღმომკითხველნი სიყვარუ-
ლისათვის კაცთმოყვარისა ღ֊თისა შენდობით მოგ-
ვიხსენებდეთ.

ეკლესიას ჰქონია სიძველენი, რომელნიც დაღუპულან 1923 წელს; მათში აღსანიშნავია:

1. ხელნაწერი გულანი ისტორიული მინაწერებით, დიდი ტანის წიგნი.

2. ხელნაწერი ეფუთი და სხვ.

### ზუბი

ზუბის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველე:

ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 6×4 ვერშ. (დაახლოებით); ხატი ძველადვე ჩამოტანილი ყოფილა სვანეთის სოფელ ლატარიდან; იგი გაუძარცვავთ ბოროტმოქმედთ 1924 წელს.

## ცხეთა

„ცხეთის" წმ. გიორგის ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკაა, ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. გუმბათი დაბჯენილია ორ სვეტსა და საკურთხევლიდან გამოწეულ კედლებსა თუ ნახევარსვეტებზე; ორი სვეტი მრგვალი და დაბალი ფორმისაა, ძველად ისინი პილონისებურნი უნდა ყოფილიყვნენ და შემდეგ ხანში შეუცვლიათ ფორმა, დაუმრგვალებიათ და სხვ. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით ეკლესია გარედან კვადრატული ფორმისაა.

დასავლეთის სარკმლის ქვები შემკულია ქვაზე ნაქანდაკევი წმ. გიორგისა და ანგელოზის ხატებით და ცხოველთა სახეებით; აღმოსავლეთისა — ჩუქურთმებით.

დასავლეთის კარის კედელს უდევს ჩუქურთმიანი ქვა, მეორე ამგვარივე ქვა დევს იატაკად საწიგნესთან (შიგნით); ისინი ქვის კანკელის ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ.

ეკლესიას აღმოსავლეთის მხარეს სარკმლის მარცხენა (ჩრდილოეთის) ქვას ძირა ნაწილში აქვს წარწერა.

ქ: ხელი: ნასყი
დას: კალატოზის:
ქ(ა)რთლელის:

ამ წარწერის ქვეშ მარჯვენა ხელია გაშლით გამოსახული.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 91×55 სმ. ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 4 თვლით (აკლია 14-ზე მეტი თვალი). ხატი ძლიერ დაზიანებულია.

როგორც ადგილობრივ გადმომცეს, 1924 წელს ხატი გადაუტანიათ ლაილაშში და იქ დაუზიანებიათ (ამოუძვრიათ 13 თვალი).

იმავე წელს იქვე გადაუტანიათ ხუცური ხელნაწერი სახარება, რომელიც შემდეგ იქ აღარ აღმოჩენილა.

ეკლესიაში არის აგრეთვე ფანრის მსგავსი ნივთი, დაზიანებული.

## ზედა ლუხვანი

ზედა ლუხვანის შტუროს მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი შტუროს მთავარანგელოზისა, 33 1/2×25 1/2 სმ ძლიერ დაზიანებული. ხატი წინ პირიდან დაფარულია ვერცხლზედვე ნაჭედი ღვთისმშობლისა და ჯვარცმის ახალი ხატით, რომელსაც ქვედა ნაწილში აქვს წარწერა:

1. წ . . მ
2. ყქტძე

ძველი ხატი მოსჩანს ახალი ხატის შუაგულში დატოვებული მცირე კარიდან.

2. ფიცარზე ნახატი ხატები ნათლისმცემლისა, ღვთისმშობლისა ყრმით და ქრისტესი, დაახლოებით 10×8 ვერშოკი.

3. ეკლესიაში ყოფილა ხელნაწერი წიგნები: ეფუთი და სხვ., რომელნიც დაღუპულან 1922 წელს.

4. (ქ. 2). რომელიმე საეკლესიო წიგნიდან დარჩენილი 4 ფურცელი.

## ჭაშლეთი

ჭაშლეთის მაცხოვრის ეკლესიის სიძველენი:

1. ხეზე ნაქანდაკევი ჯვარცმა ღვთისმშობლით და იოანე მახარობელით და ვეშაპით, მათ ქვეშ გაკეთებული კანკელის თავზე.

2. ტილოზე ნახატი ხატი $84^1/_2 \times 54^1/_2$ სმ შეჭედილი დაბალი ვერცხლით და შემკული ოქროს წყალში დაფერილი შარავანდედით, რომელსაც უზის 4 თვალი, მე-5 თვალი აქვს ზევითი არშიის შუაში. ხატზე არის გულსაკიდი ჯვრები. ხატი განახლებულია.

3. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით $68^3/_4 \times 48^1/_2$ სმ. შემკული ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის შარავანდედით; განახლებული.

4. დროშა — ჯვარიდან დარჩენილი ჯვარი ვერცხლისა $28^3/_4$ (ტარითვე $30^1/_2$)× 11 სმ. ძლიერ დაზიანებული.

5. (ქ. 49). მაცხოვრის ხატიდან დარჩენილი დაბალი ვერცხლის სამკაული, 6 დიდი და 12 წვრილი ნაგლეჯი, სულ 18 ცალი.

6. (ქ. 22). მცირე ზომის წიგნი, რომელიც შეიცავს 14 ნახატს (ფერადებით) ათორმეტ დღესასწაულთა და სხვ.

7. (ქ. 50). ჰაშლეთის თავზე მუხის ძირას მდგარი წარწერიანი ქვიდან დარჩენილი ნატეხები 2 ცალი, მათზე შერჩენილია რამდენიმე ასომთავრული ასო.

## ნასპერი

ნასპერის ღვთისმშობლის ეკლესია ახალი შენობაა; წინათ მის ადგილას მდგარა ძველი ერთნავიანი ბაზილიკა, რომელსაც სამხრეთით ჰქონია სამწირველო. ამ სამწირველოს კარის თავზე ყოფილა წარწერიანი ქვა, რომელიც დაუტანებიათ ახალი ეკლესიის საძირკველში, სამხრეთის სარკმლის დასწვრივ დედამიწიდან $^3/_4$ არშინზე. ქვა წარწერით პირაღმა დევს; წარწერა ასომთავრული უნდა იყოს; გარედან მოჩანს მარტო ასოების ნაწილები, დანარჩენი კედლის მიერ არის დაფარული; ქვა გატეხილი არ უნდა იყოს.

ძველი ეკლესიისავე ტრაპეზიდან დარჩენილია სიმაღლის ქვა (ფეხი) მოთეთრო ფერისა, $89 \times 41^1/_2 \times 30$ სმ, რომელსაც აქვს წარწერა წინა მხარეს. აქვეა ტრაპეზისავე ზედა ქვა $68 \times 87 \times 18^1/_2$ სმ.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, $41^1/_2 \times 30^1/_2$ სმ. დაფერილი ოქროს წყალში და შემკული ორი დიდი აყიყით, 19 წვრილი თვლით (სულ 21) და ფოთლოვანსახეებიანი აშიებით; იგი გადაკრულია ფიცარზე; ხატებს აწერია: ႣႤ·Ⴀ ႶႱ´Ⴀ ანუ დე(დ)ა ღ(მრთი)სა: ႻႤႶႱ´Ⴀ ანუ: ძე ღ(მრთი)სა. ზორგზე ხატს გადაკრული აქვს სპილენძის დაფა, წარწერით:

ქ:. სული იგი მაცხოვარებისა რ(ომე)ლი მიუდგა გულთა შ(ინ)ა პირველთა წინასწარმეტყველთა და მამათასა, რომელნი წინათვე შე(ნ)თვის მოასწავებდენ და ქადაგებდენ საკვირველებითსა მას შობასა შენსა.

მარიამ ქალწულო Ⴖ(მრთ)ის მშობელო ნასპერისაო, მე მსასოე(ბე)ლი შენი

5. ცათა მობაძავისა ეკლესიისა შენისა წალეჯიხისა წინამძღვარი დავით ახვლედიანი მცირესა ამას ძღვენსა ვრთმულობ შენდა ამის

თვის, რ(ომე)ლ ეკლესია შენი ღ̃ვთის მშობლისა ნასპერს მდგომარე იყო,
თვით მამა პაპათა ჩემთა სალოცველი და იყო ხელთა ჩვენ(ნ)თა რომე-
ლნიცა სახლსა შ(ინ)ა ჩემსა გამოიზდებოდნენ სამ(ღ)დელონი და რო(მე)ლითამე
ეშმაკთ მოქმედებითა, ხატი წმინდისა სახისა შენისა ქმნილი ფი-
ცარს ზ(ედ)ა ხისასა ეკლესიასა შ(ინ)ა სანთლის დარჩენითა დამწვარ
იყო ძველად. და მე ოდეს ვსცან ესე, ამისთვის მადლმა შენმან აღმძ-
რა მე მცირისა ამის ძღვნისა მორთმად შენდა, და მოვაჭედინე ხატი ესე[19]
წმინდა სახისა შენისა ვეცხლითა ოქროს ცურვებულითა და შევამ
კევ თვალებითა და დავასვენე ზემოხსენებულსა ეკლესიასა შ(ინ)ა შენ-
სა ნასპერს ღ(მრთი)ს მშობელო მარიამ, შეიწირე მცირე ესე მწლილი, ვი-
ა თარცა ძემან შენმან ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენმან. და მათზე წინაშე ძისა შენისა, რა
თა დღესა მას განკით[ხვი]სასა მასმინოს ხმა იგი სანეტარო: „მოვედ კურთხეულო
მამისა ჩემისაო და დაიმკვიდრე სასუფეველი გამზადებული მართა(ლთა)თ-
ვის“. და დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა ძმა ჩემი ყოვლად ღირსი
მღვდელი გიორგი, მეუღლით, ძით და ასულით, რ(ომე)ლი დაასხა მარჯ-
ვენემან მღ(რთი)სა(მა)ნ. ხ(ოლო) ღ(მერ)თო, შეიწყალე შენსა სასუფეველსა მშო-
ბელნი ჩემნი: ყოვლად ღირსი მღვდელი ლაზარე და იაშვილის ქალი
ელენა წე(ლ)ს 1822, თვესა დეკენბერსა 20.

[19] მე-13 და მე-14 სტრიქონების მიჯნა შეშლილი უნდა მქონდეს.

აქვე გვერდზე:

ხელოვნებით გამომკანდაკებელი წმიდისა სახისა შენისა
Ⴐ( რ)თ(ი)ს მშობელო,
აზნაური პეპუ მეუნარგია. ვითხოვ მეოხებასა შენსა წინაშე
ძისა შენისა.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრის „მიძინებისა", $31^1/_2 \times 21^1/_2$ სმ. დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 5 თვლით და ფოთლოვანი სახეებით (ხატის არესა და აშიებზე); გადაკრულია ფიცარზე, რომელსაც ზურგზე სპილენძი აქვს შემოკრული. ხატი გადმოცემით მოტანილია სვანეთიდან; იგი ქვედა ნაწილში, ფიცრის მოხრის გამო, დაზიანებულია; აქვს წარწერა ასომთავრულად:

ზედა აშიაზე:

1. ႼႨ҃Ⴓ:Ⴕ҃Ⴄ, ႫႴ҃Ⴍ, ႣႨ҃ႡႭ, ႣႠႫႠႺႾ҃ႭႰႭ,ႮႨႰႭ: Ⴖ҃Ⴍ: ႠႣ҃ႨႤ:
ႭႰႧ

2. ႥႤ: Ⴘ҃Ⴀ, ႺႾႰႡႠႧႠ: ႫႭႬႠ: ႣႠႫႣႣႡႤႪႨ. Ⴜ҃Ⴑ.ႠႫႨႱ ႾႲႨႱႠ

ქვედა აშიაზე —

3. ႸႬႨႱႠ. ႺႸႪ. ႫႫႠ. ႫႧႥႰႨ. ႫႵႱႨႫႤ. ႰႫႪႨႱႠ. ႡႰႻႬႧႠ:
ႫႭჀႤႣႠ

4. ႣႠ ႸႤႨႫႩႭ: ႾႲႨ. ႤႱႤ. ႫႨႻႨႬႡႱႠ, ႱႴႪႨႱႠ, ჀႪႨႱႠ. ႠႫ

1. წი (ეს)უ ქ(რის)ცე, მ(ეუ)ფ(ე)ო დი(დე)ბ(ისა)ო და მაცხო(ვა)რო პირო ღ(მრთისა)ო, ადი(დ)ე ორთ(ა)-

2. ვე შ(ინ)ა ცხ(ოვ)რ(ე)ბათა მონა და მ(ა)დ(ი)დ(ე)ბ(ე)ლი წ(მიდი)სა ამის ხ(ა)ტისა

3. შ(ე)ნისა, ც(აი)შელ მ(ა)მამთ(ა)ვ(ა)რი მ(ა)ქსიმე, რ(ო)მლისა ბრძ(ა)ნ(ები)თა მო(ი)ჭედა

4. და შეიმკო ხ(ა)ტი ესე მიძინ(ე)ბ(ი)სა ს(ო)ფლისა ჭ(ა)ლისა, ამინ.

## ორბელი

ორბელის ძველი ეკლესია ერთნავიანი მცირე ბაზილიკაა; ნაშენია თლილი შირიმის ქვისა და კირისაგან; იგი მოხატული ყოფილა, მოხატულობის კვალი შერჩენილა დასავლეთის კედელზე; ამ კარის ლიუნეტში (შიგნიდან) შენახულია ხატი მთავარანგელოზისა, ეკლესიის გარეშემო არის გალავნის ნაშთი, მახლობლადვე დიდი ციხეები და მათი

ნანგრევები, აქ ყოფილა ორი ზარბაზანი; ერთი დაცულია აქვე მეზობლად მცხოვრებ მარკოზ გაბრიელისძე ბურჯალიანის ეზოზე, მეორე წაუღია (თავის ვენახში) საბა მარკოზის ძე გურგუჩიანს; უკანასკნელიც მიიტანს პირველის ეზოზე.

ძველი ეკლესიის მახლობლად დგას მეორე ფიგურული ეკლესია; მასში დაცულია სიძველენი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 58$^1/_2$×41$_3/_4$ სმ; ვერცხლის შემკულობა მოცილებული, დაზიანებული.

2. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 50×39$^1/_2$ სმ. ძლიერ დაზიანებული.

3. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი მაცხოვრისა, 104×72 სმ. ვერცხლის შემკულობა მოცილებული, ძლიერ დაზიანებული, ხატს მარჯვენა არშიის ადგილას, ფიცარზე აქვს წარწერა:

| | | |
|---|---|---|
| ქ: მე( გ(იორ)გი | ცხოვა | შენ |
| . . . . . | რის ხა | დობ(ე)ლ |
| მეიფა- | ტი ჩე | . . . |
| რიანი | მის შე | . . . . |
| ... ეს მა- | სა (ბ) | |

სამივე ხატი ძველი ხანისაა.

4. (ქ. 27). შვილდი რკინისა.
5. (ქ. 28). ისრის ბოლო რკინისა.
6. (ქ. 29). ლახტი რკინისა ტარიანი.

## საირმე

საირმეს წმ. გიორგის ეკლესიის სიძველე:

1. ჯვარი ხისა, წოდებული წმ გიორგის ჯვარად, 49$^3/_4$×28×3 სმ. ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჭედილი ხატებით, რომელიმე მხედრისა და 1 დიდი და 12 პატარა თვლით, განახლებული; დაბალი ხელოვნების. გადმოცემით ჯვარი მოტანილია სოფ. უხუთიდან (იმერეთიდან) ხუციძეების მიერ.

ზემოხსენებულ ეკლესიაშივე დაცული სიძველენი საირმეს უდაბნოს ეკლესიისა:

2. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, $89^1/_4 \times 47^1/_4$ სმ. შემკული ვერცხლის შარავანდედებით და აშიებით. შარავანდედებს უზის 12 დიდ-პატარა თვალი და წვრილი მარგალიტი (აკლია).

3. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, ჯვარცმისა და მთავარანგელოზისა, $16^1/_2 \times 16$ სმ., დაფერილი ოქროს წყალში, დაზიანებული წარწერებით:

| | |
|---|---|
| ა. მარჯვენა კუთხესთან: | 1. . . . . . . . . ხ: ⴙⴇ |
| | 2. ⴌⴇ:· ႸႢ:· ႭႱႦႢ |
| ბ. ქვედა ნაწილში — | 1. . . . . ႢႾႭႭ, Ⴀ: ႠႢႠႭ ႨႩ |
| იკითხება — | 1. . . . . . . . . . . ზ: ჩი, |
| | 2. ღმერთო შეიწყალე სული (?) |
| | 1. ... ღმერთო და დედაო ღმ(რთისაო) |

4. ჯვარი ხისა, მცირე, ათონის ხელოვნებისა.

5. (ქ. 22). დაფარნები, ძველი ხელოვნების — 2 ცალი.

6. (ქ. 23). ფილონის ზურგიდან აღებული სამკაული, ხელით ნაქარგი.

7. (ქ. 6). მარხვანი, ხუცურად ნაწერი, მრავალფურცელნაკლები, დაზიანებული.

მთავარი სიძველენი უდაბნოს ეკლესიისა ადრევე (ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის თუ ეპისკოპოს გაბრიელის დროს) გადაუტანიათ მარტვილის მონასტერში.

1924 წელს იმავე ეკლესიიდან სოფ. საირმესავე მცხოვრებ გიორგი ილარიონის ძე ხუციძეს გამოუტანია და დაუკარგავს ნახევარ ალაბზე მეტი ბოქლომი რკინისა, ძველი ფორმისა, ხუცური წარწერით.

იმავე ეკლესიაში ყოფილა და დაკარგულა ბრინჯაოს ბავშვი, რომელზედაც „ხალხი ლოცულობდაო".

## ქვიშარი

ქვიშარის ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 19). ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, $50 \times 37$ სმ, შეჭედილი ვერცხლით, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 7 დიდი და 2 პატარა თვლით და წვრილი მარგალიტებით. ხატს

აქვს წარწერები: მაცხოვრის თავთან — ႨႤႵ†ႶႫႧႤ ანუ: **იესო ქ(რი-სტ)ე ღ(მე)რთ(ო)**; ქვევითა აშიაზე: **შიოში ინასარიძე.**

**2.** (ქ. 20). ვერცხლზე ნაჭედი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, $36\frac{1}{2}\times26\frac{1}{2}$ სმ. ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 4 დიდი და 3 პატარა თვლით. აქვს წარწერები: ღვთისმშობლის გვერდით: ႣႤႣႠ·:·|: ႶႫႧႨႱႨ·|, ანუ **დედა ღმ(რ)თის(ა)ი**; ქვევითა აშიის ადგილას

ႶႫႧ:· ႣႠ· Ⴗ'Ⴃ· ႼႭ:· ႶႨ'Ⴑ ႫႸႭႪ
ႸႤ· ႱႪ(Ⴈ)·· ႨႱ ႨႰႨႻႨႱႠ· ႫႭႶႪ:· ႫႱႱႨႬႣႭႷႬ
ႶႬ ႠႬ·

ღმ(ერ)თ(ო) და ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(მრთი)ს მშო(ბე)ლ(ო), შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ი(ნა)ს(ა)რიძისა მ(ე)უღლ(ესა) მი(ი)სს(ა) შ(ეუნდე)ნ ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

**3.** (ქ. 21). ფიცარზე ნახატი ხატი ნათლისმცემლისა, $41\frac{3}{4}\times29$ სმ ვერცხლის შეჭედილობის მცირე ნაშთით და 2 თვლით (აკლია 1 თვალი) და წარწერებით:

| | | | |
|---|---|---|---|
| **ა. შარავანდთან:** | ლითონზე: | ႬႠႧ ‖ ႪႱ· Ⴋ<br>ႫႪ ‖<br>ႱႭႱ ‖ Ⴍ:— | ანუ ნათლ(ი)ს მცე<br>მ(ე)ლო<br>ჲსის |
| | ფიცარზე ჩაჭდევით: | Ⴌ<br>Ⴚ | ნ<br>ც |

**ბ.** ქვევითა აშიის ადგილას ფიცარზე შერჩენილი წარწერა ჩაჭდევით:

ႠႬ ႷႭႴႪႱႠ ႠႱႲႠႱႠႱ:· ႸႤႭႣႱ· ႶႫႧ
ႫႬ· ႠႫႬ

ანუ: ან(ა) ყოფ(ი)ლსა ანასტას(ი)ას შეუ(ნ)დ(ო)ს ღმ(ერ)თ-მ(ა)ნ ამ(ი)ნ.

### ალპანა

წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი:

**1.** ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, $41\frac{1}{2}\times27\frac{1}{2}$ სმ. შემკული ვერცხლის აშიებით. ქართული ხელოვნების.

**2.** ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით; $4\times3$ ვერშ. (დაახლ.), ქართული ხელოვნების.

3. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, 5×4 ვერშ. (დაახლ.), ქართული ხელოვნების.

4. (ქ. 31) ხეზე ნაკვეთი ხატი ხარებისა, $12^1/_2$×8 სმ, 1822 წ.

5. (ქ. 32). დაფარნა, ძველი ხელოვნების.

### ცაგერი

ცაგერის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ს სამხრეთის კარის გული აქვს ძველი ხელოვნებისა; იგი ძველი კარის ნაშთი უნდა იყოს; მას ადგილობრივ ვაზის ფიცრად თვლიან.

ეკლესიის სიძველეთა ერთი ნაწილი მუზეუმში დასაცავად წამოღებულ იქნა გ. ჯაკობიას მიერ; მეორე ნაწილი (ხელნაწერი სახარებები 2 ცალი და სხვ.). დაღუპულია და მე ვნახე იქ შემდეგი ნაშთი:

1. (ქ. 25). ხელნაწერი სახარებებიდან დარჩენილი ყდები ვერცხლის შემკულობებით — 2 ცალი. ერთ ცალს შერჩენილი აქვს ორი უკანასკნელი ფურცელი (მინაწერით) .

2. (ქ. 26). სირმით ნაკერი სარტყელი მღვდელმთავრისა.

3. სერაბიმი ბარძიმისა დაბალი ვერცხლისა — 1814 წ.

4. „ქერაბიმი" ფეშხუმისა დაბალი ვერცხლისა.

### ზარაგულა

ზარაგულას მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველე:

ჯვარი ხისა, 34 (ტარითვე 45)×$32^1/_4$ სმ. შემკული წინა მხარეს ვერცხლზე ნაჭედი ხატებით. ჯვრის გულში გამოსახულია მთავარანგელოზი მიქაელ (?), მარჯვენა მხარი, დაზიანების გამო, დაკერებულია, მარცხენა მხარეზე — მთავარანგელოზი გაბრიელი; ქვედა ნაწილში— რომელიმე ხნიერი პირი, მუხლმოყრილი და ორივე ხელით მთავარანგელოზს მოხვეული, წარწერით:

| | | |
|---|---|---|
| ႫႧႰ:. ႠႬႢႤ | | მთა(ვა)რ ანგე- |
| ႪႦႭ:. ႫႤႭႾ | | ლ(ო)ზო მეოხ |
| ႣႠ ႫႴႰႥႪ: ႤႵ | | და მფ(ა)რვ(ე)ლ ექ- |
| ႫႤႬ: ႩႳႮႠႨႻႤႱ | | მენ კუპაიძეს |
| 5. ႪႫႩႺႱ:. Ⴃ́ | 5. | ლ(ო)მქ(ა)ცს დ(ღესა) |
| [ႫႠႱ]: ႢႬ:. ႨႧႾ | | (მას) გ(ა)ნ(კ)ითხ(ვისას). |

## ზედა წიფერჩი

ზედა წიფერჩის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, $19^1/_2 \times 25$ სმ. დაზიანებული.

2. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, $20 \times 15^3/_4$ სმ. დაზიანებული.

3. ისრის ბოლო რკინისა დიდი 1, პატარა 4, სულ 5 ცალი.

4. ბუკი სპილენძისა (ხმარობდენ ძველად შაბათს და დაუქმებისას და აგრეთვე კრების მოსაწვევად).

ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით დგას ათასწლოვანი ცაცხვი, სულ დაფუღუროებული, გარეშემო ზომით 4 საჟენამდე.

## ჩქუმი

ჩქუმის ფიცრის ეკლესია დაუწვავთ ვინმე ბოროტმოქმედთ 1924 წ. მასში ყოფილა ძველი დიდი ჯვარი, შეჭედილი ოქროთი თუ ვერცხლით.

## ხვამლი

ხვამლის წმ. გიორგის ეკლესია დგას ხვამლის მთაზე. ეს მთა ერთი უმაღლეს მწვერვალთაგანია დასავლეთ საქართველოში; იქიდან საუცხოოდ მოჩანს ლეჩხუმი, რაჭის ნაწილი და სამხრეთით მთელი ვაკე რიონისა. მთას გარშემო აქვს მრავალი გამოქვაბული, ზოგიერთი მათგანი გაუთხრიათ. ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, ახალი ხანისა; აშენებულია ძველი ეკლესიის მასალისაგან (ქვიტკირი); ხურავს თუნუქი, რომელიც ნაწილობრივ აყრილია. ძველი ეკლესია ალბათ ახალი ეკლესიის ადგილას იქნებოდა. პირველს (ძველს) სხვათა შორის ჰქონდა ერთი დიდი წარწერიანი ქვა, რომელიც ადგილობრივ პირთა ცნობით ოსტატს (კალატოზს) ოთხად გაუტეხია და ახალი ეკლესიის ოთხივ კუთხეში დაუდევს საფუძვლად. ორს ამ ნატეხთაგანს (დასავლეთ-ჩრდილოეთის და დასავლეთ-სამხრეთის კუთხეებისას) მართლაც აქვს წარწერის ნაშთი, ხოლო მესამე და მეოთხეს (აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის და აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხეებისას) არ უჩანს.

დასავლეთ-ჩრდილოეთ კუთხეში მდებარე ქვაზე მოჩანს ასოები—

Ⴃ
Ⴑ
ႰႤႸႠႸ

დასავლეთ-სამხრეთ კუთხეში მდებარეზე — ႣႠ
Ⴌ

ამავე ეკლესიიდან წამოღებული იქნა ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

ერისთავთერისთავი მიქელ მოხსენებული არის ნიკორწმიდის XI ს. სიგელში: „ზნაკუას: ე˜ე: მ˜ნ. მ˜ქლ წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწაჲ ტყიანი ... და იგი მიწაჲ წ˜ა ნიკოლაოზს შემოსწირა“[20]; მცირე ადგილას: „ე˜ე-მან მ˜ქლ შემოსწირა წიგნი სჳნაქსარი“[21].

კახაბერი მოხსენებულია იმავე სიგელში: „დაუკიდავს კახაბერსა“[22].

1. (ქ. 52). წარწერიანი ქვები, დარჩენილი წმ. გიორგის ძველი ეკლესიიდან, 2 ცალი, მაქსიმალური ზომით: პირველი 25×40 სმ, მეორე 20×36 სმ, უკანასკნელი დაზიანებულია (ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს). წარწერა არის ასომთავრულად.

Ⴜ˜Ⴍ: Ⴂ˜Ⴈ: ႫႤႭႾ: ႣႠႫႴႠႰႥႪႤႵ
Ⴌ: Ⴄ˜Ⴄ Ⴄ˜ႬႱ: Ⴑ˜ႿႧႠ: ႣႠ: (Ⴘ)ႥႪႧ
Ⴀ: ႫႨႱႧႠ: Ⴋ[Ⴕ˜ႪႱ] . . . . . .

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მეოხ და მფარვ(ე)ლ ექ-
(მე)ნ ე(რისთავთ) ე(რისთავსა) ენ(ონ)ს[23] ს˜ჳთა(?) და (შ)ვ(ი)ლთ
. ა მისთა მ[იქელს]. . . . .

ხ ვ ა მ ლ ი ს მ თ ი ს გამოქვაბულიდან წამოღებული სიძველე:

(ქ. 51). კბილი რომელიმე ცხოველისა.

## ოყურეში

ოყურეში წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენია ქვიტკირისაგან.

---

20 ქრ. II. 46.

21 იქვე, 49.

22 იქვე, 44.

23 ენონ ქ˜ცხ-ით სუმბ. ქრონ-ით ევნონ.

დასავლეთის კარის თავზე არის ქვა, წარწერით შიგნით:

ქ. მხნეო მხედარო, შვიდ წილ უძლეველ-
ო, წმიდაო გიორგი, მე, უღირსი, მცირედ ღვაწლი-
სა დამდები ეკლესიისა შენისა, აღშენებისათვის, დადიანის
ოტიას ძე ბა-
ტონიშვილი გიორგი, გევედრები, რათა მეოხ
მექმნე მეუღლით, ძი
5. თ და ასულით აქაცა და, მერმესა მას საუკუნესაცა. წელსა ქრ-
ისტეს აქეთ ჩღპÞ: — ქ(რონი)კ(ონ)ს უოვ, ივნის ივ.

სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ხვამლის წმ. გიორგისა, $170^3/_4 \times 84^1/_2$ სმ. დაფერილი ოქროს წყალში, შემკული მინანქრებით და ფოთლოვანი აშიებით. წმ. გიორგი მდგომარეა, მას პირისახე დაზიანებული აქვს, მინანქრებიც დაზიანებულია. ხატი გაუძარცვავთ ბოროტმოქმედთ 1910 წელს, შეუცვლიათ მისთვის ძვირფასი თვლებით შემკული შარავანდი და სარტყელი.

ქვედა აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა:

1. Ⴜ, ႹႬ ႶႧ˜ႨႥ: ႢႷႰႢႷႬႭႱႬႫ˜Ⴌ: ႫႴႤ˜ႧႠ: ႫႴႤႫ˜Ⴌ, ႡႢႰ˜Ⴒ:
ႣႠ: Ⴇ˜Ⴀ:
ႫႤႺႾႤႣႰ˜ႫႠႫႬ, ႹႤႫ˜Ⴌ, ႣႴ˜ႪႧႠ: ႣႴ˜ႪႫႬ, ႤႪ˜Ⴌ, ႤႬ˜Ⴄ,
ႾႲ˜, ႤႱ˜Ⴄ,
ႺႫ: ႢႨႭႰႢႨႱ: ႾႭႫႪႨႱႠ: ႫႭႿႤႣႨႪ: ႨႷႭ, ႮႰ˜ႪႧႠ, ႫႤႴႤႧ˜Ⴀ: ႢႬႫႤ
ႵႰႧ˜Ⴀ, ႢႻႰႺႥႤႱ, ႫႭႥႨႩႨႧႾႤႧ, ႣႠ, ႰႠႺ, . .
2. ႫႤႤႧ, ႫႤႱႤ, ႰႨႤႴႤ, ႱႣ˜Ⴑ, ႹႰႤႧႠ, ႢႰႺႣႨႤႧႠ, ႣႠ
ႭႵႰႧႠ, ႣႠ, ႱႠ˜ႴႱႤႧႠ: ႫႭႢႾႤႣႤႧ, ႴႰႱႫႰႧ . . . . .
. . . . . . .Ⴃ, ႣႤႧႠ, Ⴙ˜ႰႧ: Ⴃ, ႱႠႭႣႭႣ, ႱႨႧ, ႹႰႧ, ႣႠ,
ႣႠႢႱႭႿႰႤႧ: ႫႤႱႠႢႤ, ႲႣႰႱႠ, Ⴗ˜Ⴀ, ႵႰႰႩႰႱႠ: ႱႩႣ,
ႤႰႣႤႩႲႤႭႾႱႠ, ႫႴႥႤႱႠ: ႹႫႤႱႱႠ:

1. წ ჩ(უე)ნ, ღ(მრ)თივ გჳრგჳნოს(ა)ნმ(ა)ნ მ(ე(ფეთა მ(ე)ფემ(ა)ნ
ბ(ა)გრ(ა)ტ და თ(ან)ა-
მეცხედრ(ე)მ(ა)ნ ჩე(მმა)ნ დ(ედო)ფ(ა)ლთა დ(ედო)ფ(ა)ლმ(ა)ნ
ელ(ე)ნ(ე) ხ(ა)ტი ესე წ(მიდ)ის
გ(იორგ)ის ხომლისა მოჭედილ იყო პ(ირვე)ლთა მეფ(ე)თ(ა)-
გ(ა)ნ, მერმე
ქ(უ)რდთ გ(ა)ძ(არ)ცვეს, მოვიკითხეთ და რაც [მოვი]

2. ძიეთ მისი ნ(ა)ლეწი სხ(უა)ჲ ჩ(უე)ნითა ვეცხლითა და
ოქრ(ო)თა და საფ(ა)სითა მოვჭედეთ წ(ა)რს(ა)მ(რთ(ებლად)
(ჩუედა)... დ(ა) ძეთა ჩ(უე)ნთ(ა) დ(ა) საოხოდ ს(უ)ლთ(ა)
ჩ(უე)ნთ(ა) და

დავ(ასუ(Ꮽ)ნეთ მისავე ტაძ(ა)რსა შ(ინ)ა ქ(ო)რ(ო)ნიკ(ო)ნსა სკდ
ინდიკატიონსა მ(ე)ფ(ო)ბისა ჩ(ე)მის(ა)ს ...

2. ხვამლის წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი ფიცარი 141¾×
×83 სმ. ფიცარს შერჩენილი აქვს ვერცხლის აშიები, შემკული ფოთლოვანი სახეებით და 1 თვალი (ფირუზი). ხატი გაუძარცვავთ ბოროტმოქმედთ ზემოაღწერილ ხატთან ერთად 1910 წელს. გარდა ფიცრისა მისგან დარჩენილია ვერცხლის შეჭედილობის ქვეშიდან ჩამოცვენილი სანთლისა და აგურის ნადუღი ხატის სხვადასხვა ნაწილების (თავისა, მკლავისა, ტანისამოსისა და სხვ.) გამოსახულებით — 1 მცირე ყუთი, რომელიც გადმოტანილ იქნა ქუთაისის მუზეუმში (№ 2). ფიფარის ქვედა აშიაზე (ვერცხლისა) აქვს წარწერა:

Ⴈგვრლივ — განმაახლებელი. წ(მიდ)ისა ამის ხატისა ც-

აგერელ. მიტროპოლიტი. Ⴈოანე. დადიანის ძე მოიხსენე. უფალო
ქ(რისტ)ესით, ჩყიდ. იანვარს. კᏪ.

ორივე ზემოაღწერილი ხატი დიდი ხნის წინათ ჩამოტანილი უნდა იყოს ხვამლის მთის ძველი ეკლესიიდან.

3. ლანგარი უბრალო ლითონის, წარწერით: ღ(მერ)თო შ(ეიწყა(ლე ყრუაშვილი ხიოსია მოურავი, განმაახლებელი ამისი:.

4. სპილენძის ხატი წმ. პეტრესი, მცირე, ქართული ხელოვნების

5. ჯვარი ათონურად ნამუშევარი, დაბალი ხელობის, ვერცხლის გარემოთი, $19^1/_2 \times 8/^1_2$ სმ.

6. მშვილდი რკინისა 1 ცალი.

7. ისარი (ბორძალი) 2 ცალი (ერთი დაზიანებული).

8. ბუკი 2 ცალი.

9. (ქ. 3). მაყაში რკინისა.

10. (ქ. 4). ფარა ერთი მცირე ქისა.

11. ლახტი რკინისა 2 ცალი[24].

12. (ქ. 5). ბრინჯაო ზოდად, მცირე ნატეხი.

---

24 წამოღებულია და გადაეცა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. სია უნდა ინახოს, იქნებ სხვაც იყოს იქიდანვე წამოღებული.

ეკლესიის სამხრეთი კარის მახლობლად არის ლოდი წარწერით[25]:

საფლავსა ამას შინა მდებარე მოურავი ყრუაშვილი
ხოსია ბეჟანის ძე, რომელი აღვესრულე:. (წლისა) კიზ
217[26] ყ(ოვე)ლთა აღმომკითხველთა ამისთა შენდობას გევ
ედრები, რათა თქვენცა შენდობილ იქმნეთ ქ̃(რისტ)ეს
მიერ. და აწ ვევედრები მოწყალებასა თქვენსა, რათა
არა შესძრათ ლოდი ესე და საფლავი, რომელსა შინა მდება-
რე არს საწყალობელი და უჟამოდ აღსრულებული გვამი ჩემი,
ვიდრე სოფლისა დასასრულამდე. და უკეთუ არა ისმინოთ ვედრე-
ბა ჩემი და ინებოთ შეძვრად ლოდისა, ანუ საფლავისა ამის
ჩემისა, იქმნეს კაცი იგი შეჩვენებულ და წყეულ
წ(მიდ)ისა სამებისაგან სულით და ხორცით და მეორედ მოსვლასა მას
საშინელსა გ(ანკით)ხ(ვა)ნი ქ(რისტ)ესი და მეოხება ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრ)თის მშობლისა
მათ ზ(ედ)ა წყევად და შეჩვენებად იყავნ. ხ(ოლო) რომელმან დაამ-
ტკიცოს ჩემი ესე ვედრება კურთხეულ იყავნ უფ-
ლისა მიერ ქ(რისტ)ესით ჩყივ ივნის .. კთ.
საფლავი ესე და თავით ამისა, აკობიძის საზღვრიანათ, მოვიყიდე მამარი-
და-შვილის გაბადასაგან და აკ̃მიძის გიტალასაგან და არა-ვის აქვს ცილობა ჩემდა მომართ.

ეკლესიისავე სამხრეთ-დასავლეთით არის სხვა ლოდი წარწერით:

ქ:. ეჰა მხილველნო. და აღმომკითხველნო. ლოდსა. ამას. ზედა. მე. მა-
თის. უგანათლებულობის. დადიანის, ლეონის. სამფლობელოს. ყმა
მოურავი. მანდარია. გრიგოლი. მათის. ბრძანებით. წარვლენილ. ვიქმენ. ორ

---

[25] ქვა გატეხილია რამდენიმე ნატეხად (დიდი 2, საშუალო 1 და წვრილი 2) და წარწერა დაზიანებულია.

[26] როგორც ქართულ სათვალავში, ისე არაბულშიაც დამწერს შეცდომა აქვს: კიზ-ს მაგიერ იქნებ ლზ უნდოდა დაეწერა, ხოლო 217-ს მაგიერ 37.

გულთა. აფხაზთა. ზედა. და. თოფითა. მიერ. მოვიკალ. ორმოცდა. ათისა. წლისა. განმლეველმან. დაუტევე. საწურთო (sic). ესე. და საყვარელი მეუღლე და თვისი. ჩემი. და დავეფალ. იწროსა. საფლავსა. შინა. მინდობილი. და მავედრებელი. ყოვლად. უძლეველისა. დიდის. მოწამის. გიორგის. ტაძრისა. გარე. რათა. მეოხ. მექმნას. წინაშე ქრისტესა. გევედრები. ყოველთა. მხილველთა. და აღმომკითხველთა შენდობას. მიბრძანებდეთ. და აწ ვევედრები. მოწყალებასა. თქვენსა. ვიდრე სოფლისა. ღლსასრულადმდე. არა. შესძრათ. ლოდი. ესე. მდებარე. გუამსა. ჩემსა. და უკეთუ. ვინმემ. ხელყოს. შეძრვად. ამისა. სიტყვა. მიგოს. წინაშე. ქრისტესა. და ჩემდა ნაცულად განიკითხვის და სასჯელი. მიენადოს. წელს. ქრისტეს. აქეთ, ჩყლგ. თველსა. ფებერვალსა. კე

ოყურეშში მცხოვრებ ნიკიფორე უგრეხელიძეს მიერ შემოწირული საბუთი:

1. (ქ. 7). წყალობის წიგნი ყურაშვილის ხოსიასი 1828წ.

მესამე ნაწილი

# რაჭა-ლეჩხუმის სიძველეთა ნუსხები

## სია რაჭის ისტორიული ნივთებისა

ნივთები ო ნ ი ს ქართველთა „საჯანის კარის“ ეკლესიისა (ოქმი № 2, 1925 წ. ივლისის 23).

1. ხატი წმ. გიორგისა, 69×50 სმ., ვერცხლზე ნაჭედი, ოქროს წყალში დაფერილი. წმ. გიორგი მდგომარეა შუბითა და ფარით ხელში. ხატის არე და აშიები შემკულია ყვავილოვანი სახეებით. აშიებზედვე არის წვრილი ხატები მაცხოვრისა და სხვ., ხატი დაზიანებულია; იგი ზის ხის ჩარჩოში (მინა არა აქვს), 80×62 სმ.

2. ხატი მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა, 66×53 სმ., ვერცხლზე ნაჭედი, ოქროს წყალში დაფერილი. აშიები შემკული აქვს წმინდანთა და ყვავილთა სახეებით. ხატი დაზიანებულია: ალაგ-ალაგ ვერცხლის ფურცლები აგლეჯილი და დაკარგული აქვს. ზევითი და ქვევითი აშიები დაზიანებისა გამო დაკერებულია. ხატს აქვს ორი ასომთავრული წარწერა, რომელთაგან პირველი იხსენიებს სოსასგიძესა, ჯოლედიანსა და ვარდანს მეორე — გარაყანიძეთა: მიხეილს, ფორთოხს და ივანეს. ხატი ზის ხის ჩარჩოში (მინა არა აქვს 1,77×64¼ სმ).

იარაღი რაჭის სამაზრო პარტკომის საწყობიდან (ოქმი, № 3; 1925 წ. ივლისის 23).

3. ჯაზაირი წამოღებული სოფ. ტოლაში მცხოვრებ ყიფიანის სახლიდან.

4. ძველი თოფი ციხისა, ჩახმახიანი — იქიდანვე.

ნივთები მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიისა (ოქმი № 6, 1925 წ. ივლისის 25)

5. რვალის სარკე მრავალი ფორმისა, 9 1/2 (ტარითვე 15)×9 1/2 სმ, შემკული ადამიანთა და ცხოველთა სახეებით, ტარის ბოლო მოტეხილი აქვს.

6. სპილენძის ხატი წმ. დემეტრესი, 8 1/4×4 სმ.

ნივთი ს ხ ვ ა ვ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 7, 1925 წ. ივლისის 26).

7. რვალის სარკე მრგვალი ფორმისა, 13 1/2×13 1/2 სმ., შემკული ცხოველთა და სხვათა სახეებით, ტარმოტეხილი.

ნივთები ნ ი კ ო რ წ მ ი ნ დ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 8, 1924 წ., ივლისის 27).

8. ბარძიმი ვერცხლისა ორმხრივ წარწერით, რომელთაგან პირველი იხსენიებს ნარინ დავითის გამდელს სილდასტანს, მეორე — ლევან დადიანს.

9. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა 30 1/4×24 1/4 (აშიებითვე 38×31 1/2) სმ. ზურგის ფიცარი მოცილებული და დაკარგული აქვს, აშიები აყრილია ხატიდან და ცალკე ინახება (ბ, გ, დ, ე). ხატის არე და აშიები შემკულია ყვავილოვანი სახეებით.

10. ხატებიდან აცვენილი თვლები დიდი-პატარა — 6 ცალი.

11. სარტყლის ჩაფრასტი, ანუ ღილი სპილენძისა, დაზიანებული, 1 ცალი.

12. სარტყლის ჩაფრასტი, ანუ ღილი სპილენძისა, დაზიანებული, 1 ცალი.

13. ფილონის თუ სამღვდელმთავრო შესამოსის ჩაფრასტი, შემკული ყვავილების სახეებით — 1 ცალი.

14. მცირე დაფა ვერცხლისა წარწერით ბერ გრიგოლ გელბაქიანისა, 8×6 1/2 სმ.

15. ფიცარზე ნახატი ხატი იოანე ნათლისმცემელისა, 31 1/2×27 1/2 სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული ვერცხლისავე შარავანდედით, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი და უზის 9 თვალი. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, 43×35 სმ.

16. საცეცხლური ვერცხლისა გუმბათით ეკლესიის ფორმის, შემკული ეჟვნებით.

17. ლანგარი ვერცხლისა, შეწირული ნარინ დავით ბატონიშვილის გამდელის ზილდასტანის მიერ წარწერით, 18×18 სმ.

18. ჯვარი ათონის ხელოვნებისა 23 ¼×8 სმ. ჯვარცმისა და სხვა ხატებით, ძლიერ დაზიანებული. მას აქვს ვერცხლის გარემო და ტარი, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული მინანქრით და ბერძნული წარწერით, რომელიც იხსენიებს ივერიის მონასტრის იერომონახს ლავრენტის 1664 წ. ჯვარი ზის ხის ბუდეში 29×12 სმ.

19. ჯვარი ათონის ხელოვნებისა, 10×5 ½ სმ. ვერცხლის გარემოთი. დაზიანებულია.

20. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული გულქან დედოფლის მიერ. წარწერით.

21. კამარა ვერცხლისა, შეწირული ბარბარე ბატონიშვილის მოსახსენებლად, წარწერით.

22. კოვზი ვერცხლისა, შეწირული იმავე სახელობაზე, გატეხილი ორად.

23. მცირე სურა ვერცხლისა.

24. სარტყელი ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.

25. დაფარნა, 40×41½ სმ., ოქრომკედით ნაკერი, მაცხოვრისა და ანგელოზების სახეებითა და ბერძნულ-ქართული წარწერებით, საუცხოო ხელოვნებისა.

26. დაფარნა, 41×42 სმ., ოქრომკედით ნაკერი, მაცხოვრისა და მახარებლების სახეებით და ბერძნულ-ქართული წარწერებით, საუცხოო ხელოვნებისა.

27. დაფარნა, 44×63 სმ. ოქრომკედით ნაკერი ანგელოზების და მახარებლების ხატებით და ბერძნულ-ქართული წარწერით, საუცხოო ხელოვნებისა.

28. დაფარნა ხელით ნაკერი, წმ. ნიკოლოზის ხატებით —2 ცალი (ა. ბ.)

29. დაფარნა ძველი ქსოვილისა — 3 ცალი (ა, ბ, გ)

30. ოდიკი 1822 წ. ერთი მთელი, სამი ძლიერ დაზიანებული, სულ 4 ცალი (ა, ბ, გ. დ).

31. ენქერი, ძლიერ დაზიანებული.

32. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი — 1 ხელი.

33. გარდამოხსნა, ოქრომკედით ნაკერი, 75×85 სმ ასომთავრული წარწერით 1702 წ. ქვედა ნაწილი დაზიანებული აქვს.

34. ოსმალური ფარა ერთი ასხმული.

ნივთები ჴელიშის უდაბნოს ეკლესიისა (ოქმი № 9, 1925 წ. ივლისის 28).

35. ოქრომკედით ნაკერი ხატი ქრისტესი, მრგვალი ფორმისა $14\frac{1}{2}\times 13$ სმ.

36. მცირე ჯვარი ბზისა, $14\times 5\frac{3}{4}$ სმ. ჯვარცმისა და სხვა ხატებით ათონის ხელობა.

37. ფიცარზე ნახატი კარედი ხატი ათორმეტ დღესასწაულთა, $54\frac{3}{4}\times 27\frac{3}{4}$ სმ.

38. დაფარნა, ძველი ხელოვნებისა 3 ცალი (ა, ბ, გ).

39. ოდიკი, დაზიანებული, 1818 წ.

40. სარტყელი, ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.

41. ფილონი, შემკული ოქრომკედით ნაკერი სახეებით, ძლიერ დაზიანებული.

ნივთები მიქარწმიდის ეკლესიისა (ოქმი № 11, 1925 წ. ივლისის 29).

42. დროშის ჯვარი მთავარანგელოზისა, ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული წინა მხარეს მთავარანგელოზებისა და წმ. გიორგის ხატებით და 3 თვლით (აკლია 2 თვალი) და წარწერით უკანა მხარეს, $44\frac{1}{4}\times 23\frac{1}{4}$ სმ.

43. ვერცხლზევე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა გადაკრული ფიცარზე $39\frac{1}{4}\times 24$ სმ, ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 3 თვლით და 2 მარგალიტით (აკლია მარგალიტი) და წარწერით ფეშანგი ლაშხიშვილისა.

44. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ხარებისა, გადაკრული ფიცარზე, $26\frac{1}{4}\times 20$ სმ.

45. ვერცხლზევე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, გადაკრული ფიცარზე, $29\times 20_3/_4$ სმ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული წარწერით ვარდან ლაშხიშვილის.

ნივთები ბუგეულის ეკლესიისა (ოქმი № 11, 1925 წ. ივლისის 29).

46. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრის. $26\frac{1}{4}\times 21\frac{1}{2}$ სმ. ოქროს წყალში დაფერილი, შემკული წარწერებით ვარდან ლაშხიშვილისა.

47. ძველი ქართული ფული სპილენძის თევზის გამოსახულებით, ერთ მხარეს და მეორე მხარეს წარწერებით.

ნივთები, მოგროვილი ს ა დ მ ე ლ ი ს გლეხკომის საწყობში (ოქმი № 12; 1925 წლის ივლისის 30).

48. ა. პირადი ბეჭედი წარწერით თვალზე.
ბ. თვლიანი ბეჭედი დაბალი ლითონისა — 8 ცალი.
გ. უთვალო ბეჭედი დაბალი ლითონისა — 2 ცალი.
49. ა. საყურე თვლების 2 ცალი.
ბ. მძივები 4 ცალი.
50. კიდობანი, ძველი ხელოვნების, ფეხმოტეხილი.
51. ა. სპილენძის ფული რუსუდან დედოფლის 1 ცალი.
ბ. სპილენძის ფული აღმოსავლეთის 1 ცალი.

ნივთები ზ ე მ ო კ რ ი ხ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 13, 1925 წ. ივლისის 31).

52. ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზის მიქელისა, მხატვრობამოცილებული, შეჭედილი ვერცხლით, 91×72 სმ., (მაქსიმალური ზომით), ნახევრად დამწვარი, დამტვრეული, ვერცხლის შემკულობა ბევრს ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს. შერჩენილი აქვს 6 თვალი (დანარჩენი აკლია).

53. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლის ყრმით, გადაკრული ფიცარზე, 23 სმ. ფიცარი და თვით ხატიც ძლიერ დაზიანებულია, ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში. ხატს აქვს 4 თვალი (დანარჩენი აკლია).

54. ბრპენის ხატი წმ. გიორგისა, $14^1/_4\times9$ სმ 1712 წლისა.

ნივთები ქ ვ ე მ ო კ რ ი ხ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 13 1925 წ. ივლისის 31).

55. ბრპენის ხატი წმ. გიორგის გადაკრული ფიცარზე, ზომა ხატისა $14\ ^1/_2\times9$ სმ. ფიცრითვე $18\ ^1/_2\times12$ სმ. 1712 წ.

ნივთები ა მ ბ რ ო ლ ა უ რ ი ს ღვთისმშობლის ეკლესიისა (ოქმი № 13 1925 წ. ივლისის 31).

56. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა $26\ ^1/_2\times20$ სმ შეჭედილი ვერცხლით, ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 52 დიდპატარა თვლითა და წვრილ-მსხვილი მარგალიტით (აკლია თვლებიც და მარგალიტიც). ხატთან ინახება ერთი რომელიმე სხვა ხატის თვა-

ლი. ხატს აქვს წარწერა მთავარეპისკოპოსის სვიმონ ჯაფარიძისა. ხატი ზის შუშაბანდებიან ხის ბუდეში.

ნივთები ი წ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 13 1925 წ. ივლისის 31).

57. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზებისა, გადაკრული ფიცარზე 34 ½ × 25 ½ სმ. ძლიერ დაზიანებული. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში.

ფული შემოწირული ს ა დ მ ე ლ ი ს თემის გლეხკომის თავმჯდომარის დიანოზ კერესელიძეს მიერ.

58. რომაული ფული ვერცხლისა 1 ცალი.

ფული შემოწირული წ ე ს ი ს თემალმასკომის მდივნის ანთიმოზ ელბაქიძის მიერ.

59. ძველად სოფ. ი წ ა შ ი გზის გაყვანის დროს აღმოჩენილი აღმოსავლური ფული ვერცხლისა — 1 ცალი.

ნივთი გორისის წმ. გიორგის ეკლესიისა

60. ბრინჯაოს კერპი ქალისა, დაზიანებული, ამოღებული, ალბათ, ეკლესიასთან მიწის გათხრის დროს.

ნივთი მ ო ტ ყ ი ე რ ი ს ეკლესიისა

61 ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 39×23 სმ, აგლეჯილი ფიცრიდან, უაშიებო.

62. ა. რომელიმე ხატიდან აყრილი აშიები დაბალი ვერცხლისა, სამი დიდი და ორი წვრილი, სულ 5 ნაჭერი.

ბ. სხვა რომელიმე ხატიდან დარჩენილი აშია — 1 ცალი.

ნივთი ჯ ვ ა რ ი ს ი ს ეკლესიისა

63. რომელიმე წმიდანის ხატი, 19×3 ¾ სმ, რომელიც წარმოადგენს ვერცხლზე ნაჭედს ხატს რომელიმე წმიდანისა, შემკულს ასომთავრული წარწერით (17×½×7½) და ამის ქვევით, ანუ შიგნით არის ბუდე, შეჭედილი დაბალი ვერცხლით, რომლის გულშიაც ჩასვენებულია ვერცხლის ჯვარი 16 ¼ უტაროდ 8×6 სმ., შემკული 1 თვლით გულში. პირველი ნაწილი კარი უნდა იყოს ქვედა ნაწილისა. ხატი დაზიანებულია.

ნივთი ზ ნ ა კ ვ ი ს საშინდის ღვთისმშობლის ეკლესიისა.

64. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, $42\frac{1}{2} \times 36$ სმ აგლეჯილი ფიცრიდან, უაშიებო, დაზიანებული.

ნივთი შემოწირული ბ უ გ ე უ ლ ი ს შვიდწლედის სკოლის გამგე შალვა შარაბიძესაგან:

65. სტალაკტიდი წამოღებული ცახის გამოქვაბულიდან.

დ. ო ნ შ ი მცხოვრებ მათე გორდეზიანის მიერ შემოწირული მძივი 1 ცალი.

66. ნივთები აღმოჩენილი ს ა კ ე ც ი ა შ ი (წამოღებული ონიდან):

67. საცრემლე თიხისა დიდი 1 ცალი.

68. საცრემლე თიხისა მცირე 1 ცალი.

69. ბრინჯაოს რგოლები და სხვ., მთელი და ნატეხები სულ — 24 ც.

70. რკინის ხანჯალი 3 ცალი.

71. ცული — 1 ცალი.

72. რკინის შუბისთავი — 4 ცალი.

73. რკინის რაიმე იარაღი 2 ცალი.

74. მძივი — 3 ცალი.

ნივთები ბ ა რ ა კ ო ნ ი ს ეკლესიისა (ოქმი № 14, 1925 წ. ივლისის 31).

75. ჯვარი ხისა, ათონის ხელოვნების ჯვარცმისა და სხვ. ხატებით $43\frac{1}{2} \times 21\frac{1}{2}$ სმ.

76. ხელსახოცი ძველი ხელოვნებისა, ძლიერ დაზიანებული.

ნივთები ს ო რ ი ს ეკლესიის (ოქმი № 15, 1925 წ. აგვისტოს 2).

77. ჯვარი ხისა, 2 მ 96 სმ. × 131 სმ, რომელსაც ვერცხლის შემკულობიდან (წინა პირზე) შერჩენია: სიმაღლის ხეს თავში მაცხოვარი, მის ქვევით მიქელ მთავარანგელოზი, მხრების ქვევით გაბრიელ მთავარანგელოზი, მის ქვევით წმ. გიორგი და ბოლოს სულ ძირს წვრილი ვერცხლზე შეჭედილი ხატები. ჯვარცმისა და სხვ., დაკერებული, ალბათ, შემდეგ ხანში. სიგანის ხეს, ანუ მხარს მხოლოდ გულში შერჩენია ვერცხლის შემკულობა ისიც შემდეგი ხანისა ნაჭრებად.

78. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული მარიამ დედოფლის მიერ წარწერით.

79. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული ბატონიშვილის დარეჯანის მიერ წარწერით.

80. ლანგარი ვერცხლისა, შეწირული ბატონიშვილის დარეჯანის მიერ.

81. სურა ვერცხლის 1, მცირე.

82. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზ გაბრიელისა, ოქროს წყალში დაფერილი, 31 $1/2 \times 23$ სმ გადაკრული ფიცარზე, აშიები ნახევრად მოცილებული და დაკარგული აქვს. ხატს აქვს დაზიანებული წარწერა ასომთავრულად.

83. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, შეჭედილი ვერცხლით $27 \times 18\ 3/4$ სმ. მხატვრობა სულ მოცილებულია. უკანა მხარეს ხატს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი წარწერით ქაიხოსრო ერისთავიშვილისა.

84. კარედი ხატი ჯვარცმისა (?) $24\ 1/2 \times 18\ 1/2$ სმ., ძლიერ დაზიანებული, ხატს გულში უზის, ალბათ, მაცხოვრის ხატის ფიცარი, მხატვრობა მოცილებული, რომელსაც უკანა მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლი ოქროს წყალში დაფერილი, ასომთავრული წარწერით, რომელიც იხსენიებს მირიან ჭარელიძეს. თვით კარედსაც ზურგზე ამგვარსავე ვერცხლზე აქვს ასომთავრული წარწერა. მარჯვენა კარი აგლეჯილი და დაკარგულია, ბევრს ადგილას ვერცხლის ფურცელი სულ მოცილებულია. მარცხენა კარს შერჩენია შიგნით მთავარანგელოზის ხატი.

85. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, აგლეჯილი ფიცრიდან, ძლიერ დაზიანებული, $25 \times 20$ სმ.

86. მაცხოვრის ხატის ნაშთი, $21 \times 15$ სმ, რომელიც წარმოადგენს ფიცარს, რომელზედაც ვერცხლის შემკულობის ნაწილია შერჩენილი, ქვედა აშიის ადგილას აქვს წარწერა.

87. ღვთისმშობლის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, რომელსაც ვერცხლის შემკულობიდან შერჩენია მცირედი ნაწილი. $26\ 3/4 \times 20\ 1/2$ სმ.

88. ა. რომელიმე ხატიდან დარჩენილი ფიცარი, ბ. ხატის ფიცრის ნატეხები 3 ცალი.

89. რომელიმე ხატიდან დარჩენილი: ა. შარავანდედი ვერცხლისა, ბ. აშიის ნაწილი ვერცხლისა, გ. აშიის ნაშთი ვერცხლისა 2 ც.

90. მუზარადი რკინისა.

91. დაფარნა ხელით ნაქარგი.

92. ბუკის ნაწილი, სპილენძისა.

93. გარდამოხსნა, ოქრომკედით ნაკერი.

94. ოლარი, შემკული ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაქერი ცამეტი ხატით (მაცხოვრისა და სხვ.) და სახეებით და მარგალიტისა და სხვ. მძივებით (აკლია მრავლად), დაზიანებული.

## ნივთები რომელიმე ეკლესიიდან

95. წმ. გიორგის თუ სხვა წმიდანის ხატიდან დარჩენილი სანთლისა და სხვ. ნივთიერების ნადუღი წმიდანის თავის გამოსახულებით.

## ნივთი ა გ ა რ ი ს ეკლესიისა

96. წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, $126\ ^1/_2 \times 75\ ^1/_2$ სმ, რომელსაც ვერცხლის შეჭედილობა შერჩენია მხოლოდ რამდენიმე ადგილას, ფიცრიდან აგლეჯილია და ცალკე ინახება ამავე შეჭედილობის ნაწილი ოთხ დიდ და ხუთ წვრილ (სულ 9) ნაჭრად, რომელნიც შემკულნი არიან სახეებით, ქვედა ნაწილში ფიცარს შერჩენილი აქვს ვერცხლისავე ფურცელი წარწერით, რომელიც იხსენიებს ევნუქიძე მოძღვარს საბას, ხატი გაუნადგურებიათ 1924 წელს.

## ნივთები უ წ ე რ ი ს ეკლესიისა

97. ჩვილედი ღვთისმშობლის ხატის ყალიბი, ქვისა, მარჯვენა კუთხე ატეხილი, $18\ ^3/_4 \times 16\ ^1/_2$ სმ.
98. ლანგარი სპილენძისა წარწერით: მეფე ერეკლე.

## ნივთები ქ ე დ ი ს უ ბ ნ ი ს მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიისა (ნაძვნარში)

99. შუბი რკინისა, დაზიანებული 2 ცალი.
100. ისრის წვერი (ზრო), რკინისა: ა. ორკაპი 8 ცალი, ბ. შუბის მაგვარი მსხვილი 5 ცალი. გ. შუბის მაგვარი წვრილი 40 ცალი.

## ნივთი ფ უ ტ ი ე თ ი ს ეკლესიისა

101. ჩაფრასტი, ანუ სარტყლის ღილი ბრინჯაოს ცხოველის სახით.

## ნივთები ხ ო ნ ჭ ი ო რ ი ს ეკლესიისა

102. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ჯვარცმისა $28\ ^1/_2 \times 23^3/_4$ სმ., ძლიერ დაზიანებული, შემკულობიდან ხატს შერჩენია: მინანქრიანი ხატები ანგელოზისა (მარჯვენა ზევითა კუთხეში), ღვთისმშობლისა (ჯვარცმის

მარჯვნივ), ნათლისმცემლის (ჯვარცმის მარცხნივ), წმ. ნიკიტასი (ჯვარცმის ძირას) და მინანქრიანი ორნამენტი მედალიონებად ერთი ზევითა აშიის მარჯვენა კუთხეში და მეორე ამავე აშიის მარცხენა კუთხეში. ხატს ამოგლეჯილი და დაკარგული აქვს 19 ადგილი, გარდა ამისა ოთხი მედალიონიც სხვა არის დაზიანებული. თვლებიდან ხატს შერჩენია მხოლოდ 30 ცალი, დანარჩენი დაკარგულია. ქვედა ნაწილში ხატს ფიცარზე შერჩენია ხუცური წარწერა ვინმე გიორგის ხსენებით.

103. ხელნაწერი სახარებიდან დარჩენილი წინა ყდა ფიცრისა, 33×25½ სმ, რომელსაც შემკულობიდან შერჩენია მხოლოდ ერთი მინანქრიანი ხატი წმ. გიორგისა მედალიონში და ვერცხლზე ნაჭედი ხატი მირქმისა დაზიანებული, რომელზედაც არის წარწერა ვინმე ნიკოლოზის ხსენებით, ყდაზედვე არის ხატი ღვთისმშობლისა და რომელიმე წმიდანისა დაზიანებულები და მრგვალთავიანები ლურსმნებით.

104. ძველი ფული სპილენძისა, 1 ცალი.

105. მძივები, ქვები და სხვა სულ 30 ცალი.

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ტ. ჯაფარიძე

ჩაბარებას დავესწარით: 1. ნიკოლაძე ევსევი
2. ჯაფარიძე ზინაიდა

## სია

## რაჭიდან ჩამოტანილი ისტორიული ნივთებისა (დამატებით)

ნივთი წ ე ს ი ს ველიეთის წმ. გიორგის ეკლესიისა

106. ლახტი რკინის ექვსფრთედი, ორფრთამოტეხილი.

ნივთები ჯ ო ი ს უ ბ ნ ი ს მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიისა

107. ჯვარი ხისა, ათონური ხელობისა, 5×2,7×1 სმ ვერცხლის გარემოთი ,რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი. ჯვარს უზის 16 თვალი—მარგალიტი. 2 ავარდნილია და ჯვართან ინახება. აკლია 9 თვალი, ჯვრი ზის ვერცხლის ბუდეში, რომელსაც აქვს წარწერა როსტომ ღოღობერიძის ხსენებით (ოქმი 1926 წ. ნოემბრის 6).

108. ბეჭედი ხისა 6,4×5,2 სმ. ერთ მხარეს მაცხოვრისა, მეორე მხარეს რომელიმე სხვა ხატით.

109. ხეზე ნაკვეთი ორმხრივი ხატი, ათონური ხელოვნებისა, 5,9×
×4,3 სმ., მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და სხვ. ხატებით და ვერცხ-
ლის გარემოთი. იგი ზის ხელთნაკერ ბუდეში.

ნივთი შ ხ ი ვ ა ნ ი ს ეკლესიისა

110. ტყვიის ფურცელზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა 16×9,7 სმ,
სომხური ასომთავრული წარწერით.

ნაშთი ბ ე თ ლ ე ვ ი ს ღვთისმშობლის ეკლესიიდან

111. ღვთისმშობლის ხატის განადგურების შემდეგ ხატის ზურგი-
დან დარჩენილი ნაშთი რაიმე ნივთიერებათა ნადუღი ღვთისმშობლის
ხელისა, ტანისამოსისა, ყრმის თავისა და სხვ. გამოსახულობით —
ერთი მცირე გროვა.

ნივთი ვ ე ლ ე ვ ი ს ეკლესიისა

112. ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყელისა, ბრინჯაოსი.

ჩავაბარე: გიორგი ბოჭორიძე

ჩავიბარე: მუზეუმის დირექტორი ტ. ჯაფარიძე

ჩაბარებას დავესწარი მუზეუმის ზედამხედველი ევს. ნიკოლაძე

სია

რაჭის ისტორიული ნივთებისა

ნივთები ღ ე ბ ი ს მაცხოვრის ეკლესიისა (ოქმი № 1 1930 წ.
ივნისის 20)

113. ფიცარზე ნახატი ხატი ორი მთავარანგელოზისა, 122,8×81 სმ
შემკული ვერცხლის სამი აშიით, რომლებზედაც ჭედილი სახეებია
ყვავილებისა, რომელნიც ოქროს წყალში არიან დაფერილი. ხატს
ძირა ნაწილში შერჩენილი აქვს წარწერის ნაშთი, იგი დაზიანებულია;
ეკუთვნის XV ს.

114. ფიცარზე ნახატი მთავარანგელოზის ხატი, 106,5×70,5 სმ,
შემკული ვერცხლის შარავანდედით და აშიებით, რომელიც შემკულია
წმინდანთა და ყვავილთა სახეებით და დაფერილია ოქროს წყალში;
იგი დაზიანებულია, ეკუთვნის XIII ს.

115. ფიცარზე ნახატი მთავარანგელოზის ხატი, 103,5×75,3 სმ, შემკული ვერცხლის შარავანდედით და აშიებით, რომლებიც შემკულია წმინდათა და ყვავილთა სახეებით და დაფერილია ოქროს წყალში. ხატის არეზე შენახულია შეჭედილობის ნაშთი; იგი დაზიანებულია ეკუთვნის XIII ს.

116. ვერცხლზე ნაჭედი ორი მთავარანგელოზის ხატი, 75,3×60,7 სმ. დაფერილი ოქროს წყალში; აშიებიდან ხატს შერჩენია მხოლოდ ნაშთი მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

117. ვერცხლზე ნაჭედი მიქელ მთავარანგელოზის ხატი, 56,5××43 სმ.

118. ვერცხლზე ნაჭედი წმიდა გიორგის ხატი, 66,2×43,2 სმ ნაწილობრივ (გული) ოქროს წყალში დაფერილი; ძლიერ დაზიანებული: გულის ნაწილი აგლეჯილია და დაკარგული; ქვედა აშიაც აგლეჯილია და მოცილებული.

119. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 57×40 სმ. აშიებიდან შერჩენილია მხოლოდ ნაშთი ზევითა და მარცხენა მხარეს კუთხეებთან.

120. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმისა და სხვა ხატი, 40×29,5 სმ, შემკული მხედრული წარწერით გოგრიჭიანისა.

121. ვერცხლზე ნაჭედი გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, 32.5××29 სმ. ძირა მარცხენა კუთხეში აშია აგლეჯილია და დაკარგული.

122. ვერცხლზე ნაჭედი შოდის წმ. გიორგის ხატი, 41×29,5 სმ, დაზიანებული.

123. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატის ნაშთი, 33×30,5 სმ, ზედა და ქვედა აშიები და ხატის ყელს ქვევითი ნაწილი აგლეჯილი და დაკარგულია.

124. ვერცხლზე ნაჭედი შოდის წმ. გიორგის ხატი, 41,5×29 სმ, ქვედა ნაწილის აშია ნაწილობრივ აგლეჯილია და დაკარგული.

125. ვერცხლზე ნაჭედი ხატის ნაშთი, 20,6×17,4 სმ, შეჭედილობა შერჩენილი აქვს მხოლოდ ძირა მარჯვენა კუთხეში.

126. ვერცხლზე ნაჭედი დასამწყალობლებელი ჯვარცმის ხატი, 19,5 (ტარითვე) × 9,5 სმ.

127. რომელიღაც ხატის ნაშთი, 5,7×4,5 სმ.

128. სპილენძის ტრიპტიხები, მცირე: მთელი 3 ცალი, უკარო —1 ცალი, სულ —4 ცალი.

129. დიდი ჯვარი ხისა, 180×81 სმ. ვერცხლის შეჭედილობა შერ-

ჩენილია მხოლოდ მხრებზე და ზევითა ნაწილში, ისიც ძლიერ დაზიანებული.

130. დიდი ხის ჯვარიდან დარჩენილი სიმაღლის ხე, სიგრძით 119 სმ. (მხარი დაკარგულია); ვერცხლის შეჭედილობა აყრილია და ცალკე ინახება, სულ არის 5 ფურცელი; ოთხზე ჭედილი ხატებია და მეხუთე ბუშტი, რომელსაც უზის 1 მოზრდილი თვალი.

131. ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი, 62×51,5 სმ, ძლიერ დაზიანებული, ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილია და დაკარგული.

132. ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზის ხატი, 67×47 სმ, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, ძლიერ დაზიანებული, ვერცხლის ფურცელი ბევრ ადგილას აგლეჯილია და დაკარგული.

133. დროშის ჯვარი მაცხოვრისა ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, გარდა ტარისა, 53 (უტაროდ 44) × 36 სმ და შემკული შვიდი მოზრდილი თვლით (აკლია 2 თვალი) და ასომთავრული წარწერით; ძლიერ დაზიანებული, ჯვარცმა აგლეჯილია და დაკარგული, დაკარგულია აგრეთვე ვერცხლის ტარიც.

134. დროშის ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, გარდა ტარისა, 40,2 (ტარითვე) × 18,7 სმ; წინა პირზე ჭედილი ხატია ჯვარცმისა, რომელიც დაფერილია ოქროს წყალში, ჯვარი გატეხილია წელში; მას აკლია სამი თვალი.

135. დროშის ჯვარი მაცხოვრისა ვერცხლისა, 62 (ტარითვე) × ×28,5 სმ, შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით, ტარმოტეხილი.

136. დროშის ჯვარიდან დარჩენილი ერთი მხარი ხისა, 21×13 სმ, უსამკაულო.

137. ბარძიმი, ვერცხლისა, შეწირული გრიგოლ წერეთლის მიერ, მხედრული წარწერით.

138. ეკლესიის ბეჭედი სპილენძისა, ხის ტარით.

139. არეშიძის ხმალი, გატეხილი. ხალხის გადმოცემით დიდგორის ომში.

140. ხის მცირე კოლოფი, შემკული ხაზებით, უსახურაო.

141. შანა-ფეხი. ვერცხლის, ორი ცალი.

ნივთები გ ლ ო ლ ი ს ეკლესიისა

(ოქმი № 2, 1930 წ., ივნისის 21).

142. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი, 87 (ტარითვე) × 38 სმ, დაზიანებული.

143. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 40×33,5 სმ, დაზიანებული.

144. სპილენძის თასი, შეწირული შიო ცხილვანელის მიერ, მხედრული წარწერით.

ნივთი მ ო ე დ ნ ი ს მთავარანგელოზის ეკლესიისა
(ოქმი № 5, 1930 წ. ივნისის 22)

145. ფიცარზე ნახატი ათორმეტ დღესასწაულთა ხატი, 52×36,5 სმ, კარები აყრილია და დაკარგული.

ნივთები ს ა კ ა ო ს სამზიარის უდაბნოს ეკლესიისა
(ოქმი № 6, 1930 წ. ივნისის 24)

146. ძველი ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 63×50,2 სმ.

147. ა. სპილენძის ჰურჰელი, შემკული ყვავილთა სახეებით, 1 ცალი.

ბ. სპილენძის ჰურჰელი, შემკული ხაზოვანი სახეებით, 1 ცალი.

148. სპილენძის ლანგარი, შემკული სახეებით, დაზიანებული.

149. საცეცხლური, უჯაჭვო.

150. ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა შემკული ცხოველთა სახეებით.

151. რკინის ლახტი, ექვსფრთედი.

ნივთები ს ა კ ა ო ს წმ. გიორგის ეკლესიისა
(ოქმი № 6, 1930 წ. ივნისის 24)

152. ძველი ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 77,5×50,5 სმ, შეჭედილობა შემკულობიდან შენახულია, მხოლოდ ორი ვერცხლის წრე, რომელთაგან ერთს უზის რვა თვალი (აკლია ერთი თვალი), მეორეს 6 თვალი (აკლია 3 თვალი). წრეები ცალკე ინახება.

153. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი 35,5×27,5 სმ.

154. ვერცხლის თასი.

ნივთები ს ა კ ა ო ს ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიისა
(ოქმი № 7, 1930 წ. ივნისის 24)

155. მთავარანგელოზის ხატი, ბრინჯაოსი, უცნობი წარწერით, 17×10,5 სმ.

156. თასის მსგავსი ჰურჰელი სპილენძისა.

157. რკინის მშვილდი, გატეხილი სამად.
158. რკინის ისარი, ორკაპი — 3 ცალი.
159. ზრო, ანუ ისრის წვერი რკინისა — 2 ცალი.
160. რკინის დეზი — 1 ცალი.
161. ზარი: მცირე 1 ცალი, წვრილი — 2 ცალი; სულ სამი ცალი.
162. ბრინჯაოს წვრილი ნივთები და ნატეხები, სულ 5 ცალი.
163. მძივები — 2 ცალი, ქვა 1 ცალი, სულ 3 ცალი.
164. „დევის ფეხი", ანუ ქვა ხარის თუ სხვა ცხოველის ფეხის გამოსახულებით.

ნივთები ღ ა რ ი ს მთავარანგელოსის საჯვარისა

165. ა. ბრინჯაოს წვრილი ნივთები — 4 ცალი. ბ. მძივები და შანები, მთელი 5 ცალი, გატეხილი —2 ცალი, ქვები —2 ცალი, ბალთა— 1 ცალი; სულ 10 ცალი.

სოფ. ა ბ ა რ ი ს მცხოვრებ ფილიპე როსტომის ძე ლობჯანიძის მიერ შემოწირული ნივთები, აღმოჩენილი სოფ. აბარშივე დაბილაში (ადგილია).

166. ბრინჯაოს რაღაც ნივთი (რგოლები)
167. ბრინჯაოს რაღაც ნივთი ცხვრის თავის გამოსახულებით.
168. ბრინჯაოს რაღაც ნივთის ნატეხი.

აბარის თემის რწმუნებულის ამბერკ ჯაფარიძის მიერ სოფ. ხ ი ვ-შ ი დ ა ნ წამოღებული, მიწაში აღმოჩენილი ნივთები.

169. ბრინჯაოს დანები, ორპირი — 2 ცალი.
170. ბრინჯაოს ზრო, ანუ ისრის წვერი — 1 ცალი.
171. რკინის ზრო, ანუ ისრის წვერი — 2 ცალი.
172. ბრინჯაოს ცული — 1 ცალი.
173. ბრინჯაოს ცული, ყუამოტეხილი — 1 ცალი.
174. ბრინჯაოს სამკაული, გატეხილი სამად 1 ცალი.
175. ბრინჯაოს ქინძისთავა გატეხილი — 1 ცალი.

ნივთები გ ო მ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

(ოქმი № 8, 1930 წ. ივნისის 25):

176. ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი სარტყლისა, შემკული ცხოველთა სახეებით.

ნივთები გ ო მ ი ს მთავარანგელოზის ეკლესიისა

(ოქმი № 8, 1930 წ. ივნისის 25)

177. ძველი ხატებიდან დარჩენილი ფიცრები — 2 ცალი.

178. სალაშქრო ხატისა თუ ჯვრის ტარის (?), შეჭედილობა ვერცხლისა. შემკული მშვილდ-ისრის და შუბით მეომარი ხალხის სურათებით, დაზიანებულია, 13 სმ.

179. სპილენძის თასი — 1 ცალი.

180. ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ დიდი სარტყლის, შემკული სახეებით, 2 ცალი.

181. ა. ბრინჯაოს სამაჯური დიდ-პატარა — 2 ცალი.
ბ. ბრინჯაოს გულის-ქინძისთავი —2 ც.
გ. ბრინჯაოს ღილი — 3 ცალი.
დ. ბრინჯაოს ბეჭედი —1 ცალი.
ე. ბრინჯაოს წვრილი ნივთები — 7 ცალი.
ვ. დაბალი ლითონის წვრილი ნივთები — 6 ცალი.
ზ. მინის სამკაულის ნაშთი.
Ө. ხატიდან დარჩენილი აყიყის თვალი —1 ცალი.
თ. რქის ბეჭედი — 1 ცალი.

182. ა. მძივები ერთი ასხმა, მათში 8 მოზრდილი. ბ. მძივების ნატეხები 16 ცალი.

183. ტყვია: მთელი 2 ცალი, ნატეხი —1 ცალი.

184. შანები ქვებისა: მთელი და ნატეხი —60 ცალი.

ნივთები ნ ა კ ი ე თ ი ს ნათლისმცემლის ეკლესიისა

185. ფიცარზე ნახატი მიქელ-გაბრიელის ხატი, 63×46,5 სმ გახეთქილი სამად, XVII ს.

186. ფიცარზე ნახატი ნათლისმცემლის ხატი, 61,5×44,5 სმ გაჩეხილი ორად, XVII ს.

187. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 31×25 სმ.

ნივთები უ წ ე რ ი ს ჯარონეთის ეკლესიისა

188. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 26,8×24 სმ, ძირაში მოცილებულია.

189. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 25,5×19,8 სმ.

190. ნაწილებიანი ხატიდან დარჩენილი ფიცარი, დაცალიერებული უჯრედებით. 23×16,2 სმ.

191. ბრპენის ბარძიმიდან დარჩენილი ძირა ნაწილი, წარწერით, რომელიც იხსენიებს გამყრელიძეს.

ნივთები უ წ ე რ ი ს ფარავნეშის მთავარანგელოზის ეკლესიისა

192. ხუთოები (ხვითოები) დიდი-პატარა — 24 ცალი.

ნივთი წ ო ლ ა ს მთავარანგელოზის ეკლესიისა

193. ზარი, დაახლოებით 15 გირვანქამდე, უენო, პირმოტეხილი.

ნივთები პ ი პ ი ლ ე თ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

194. ბრინჯაოს ჩაფრასტი, ანუ ღილი, ირმის გამოსახულებით.
195. ხის მცირე კოლოფი.

ნივთი წ მ ი დ ა უ რ ი ს ნათლისმცემლის ეკლესიისა

196. ოდიკი, 1822 წლისა.

ნივთები ქ ვ ე დ ი ს ღვთისმშობლის ეკლესიისა

197. ხის ჯვარი, შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით, 17,2×7 სმ რუსული ხელოვნებისა.
198. ოდიკი 1822 წ., ძლიერ დაზიანებული.
199. ხის კათხა, დაზიანებული.
200. გულსაკიდი წმ. გიორგის ხატი.
201. ბრინჯაოს ჩაფრასტის, ანუ ღილის ნატეხი, ცხოველის გამოსახულებით.
202. გულსაკიდი მცირე ხატები — 2 ც.

ნივთები ქ ვ ე დ ი ს დედაღვთის ეკლესიისა

203. ა. ბრინჯაოს ჯვარი, დაზიანებული. ბ. ბრინჯაოს ჯვრის ნატეხი.

ნივთები წ ე დ ი ს ი ს მთავარანგელოზის ეკლესიისა

(ოქმი № 9, 1930 წ. ივნისის 28)

204. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 24,4×19,6 სმ.
205. სპილენძის ლანგარი, შემკული სახეებით.

ნივთები წ ე ს ი ს ბარაკონის ეკლესიისა
(ოქმი № 11, 1930 წლის ივლისის 10)

206. ხის ჯვარი, 2,13×1,05 სმ. შეჭედილობა — აყრილი; შენახულია 7 ვერცხლის ფურცელი: 4 დიდი, 3 პატარა; მათზე ჭედილი ხატებია წმ. გიორგის წამებისა, ჯვარცმისა, ღვთისმშობლისა და სხვა; ჯვარს აკლია ერთი დიდი ნაჭერი; გადმოცემით ჯვარი გადმოტანილია გელათიდან.

207. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 50,5×39,7 სმ, შემკული ვერცხლის აშიებით და შარავანდედით, რომელთაც უზის 35 მადნის თვალი (აკლია 3 თვალი), 17 დიდი და პატარა ფერადი თვალი, 7 მინანქრიანი წრე (აკლია ერთი წრე) და მარგალიტის მძივები (აკლია).

208. მინაზე ნახატი ჯვარცმის ხატი, 46×36 სმ. გატეხილი 4 დიდ და 4 წვრილ ნატეხად; ზის ხის ჩარჩოში.

209. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 27×19 სმ, შემკული ვერცხლით (აშიების ადგილას), რომლებზედაც ყვავილებია გამოსახული.

210. ფიცარზე ნახატი წმ. ესტატეს ხატი, 37×30 სმ, დაზიანებული.

211. გარდამოხსნა, ოქრომკედით ნაკერი, 64×74 სმ, რუსული ხელობის.

ნივთები წ ე ს ი ს ველიეთის ეკლესიისა

(ოქმი № 11, 1930 წ. ივლისის 10)

212. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატის ნაშთი: 12 მოზრდილი, 18 წვრილი ნაგლეჯით.

213. ოდიკი 1822 წ., დახეული.

ნივთი შემოწირული წ ე ს ი ს მცხოვრების ანეტა ზუბაშვილის მიერ

214. სპილენძის ყალამდანი, დაზიანებული.

ნივთები ქ ვ ე მ ო ბ ა რ ი ს მაცხოვრის ეკლესიისა

(ოქმი № 12, 1930 წ. ივლისის 10)

215. ვერცხლზე ნაჭედი წმ. ნიკოლოზის ხატი, 34×22,3 სმ. შემკული თერთმეტი თვლით (აკლია ერთი თვალი), დაზიანებული.

216. გულსაკიდი კარედი ხატი, 6,3×4,3 სმ. იგი წარმოადგენს ვერცხლის ბუდეში ჩასმულ ათონის ხელობის ხატებს.

217. ტილოზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 14,4×11,7 სმ. შეჭედილი ვერცხლით და შემკული ასომთავრული წარწერით, ხატს უკანა მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლის სადა ფურცელი.

218. რკინის მაყაში, ერთი ცალი.

219. მძივი, ორი ცალი.

### ნივთები სამთისის წმ. გიორგის ეკლესიისა

220. ფიცარზე ნახატი წმ. ევსტატეს ხატი, 29,5×25,2 სმ.

221. ჯვარი ხისა, 18×7 სმ.

222. სპილენძის ლანგარი წარწერით, რომელიც იხსენიებს ნაზირ გოსტასმს.

223. შანა-გულსაკიდი, აყიყის თვლით.

### ნივთი სხვავის ჯვართამაღლების ეკლესიისა

(ოქმი № 13, 1930 წ. ივლისის 11)

VI. ნივთი ზ ა რ ა გ უ ლ ა ს მთავარანგელოზის ეკლესიისა

62. სალაშქრო ჯვარი, ხისა, 44,5×32,2 სმ, რომელსაც შეჭედილობა შერჩენია მხოლოდ მარჯვენა მხარსა და ძირა ნაწილის მარჯვენა კუთხეში.

VII. ნივთები ზ ე დ ა ღ ვ ი რ ი შ ი ს მაცხოვრის ეკლესიისა

63. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 39×29,3 სმ, შეჭედილი ვერცხლით, დაფერილი ოქროს წყალში; ხატს ძირა ნაწილში შეჭედილობა აყრილი და დაკარგული აქვს.

64. სპილენძის თასი მხედრული წარწერით, რომელიც იხსენიებს საქართველოს მეფის ასულს ელენეს.

VIII. ნივთები ნ ა ს პ ე რ ი ს ეკლესიისა

65. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 42×30,5 სმ დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 5 დიდ-პატარა თვლით (აკლია

2 თვალი) და წარწერით, რომელიც იხსენიებს მაქსიმე ცაიშელს. ხატს ზურგზე გადაკრული აქვს სპილენძის ფურცელი.

65. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 42×30,5 სმ დაფერილი ოქროს წყალში და შემკული ორი დიდი და 19 პატარა თვლით (სულ 21 თვალი); ხატს ზურგზე გადაკრული აქვს სპილენძის ფურცელი მხედრული წარწერით დავით ახვლედიანისა 1822 წ.

## IX. ნივთები უ ც ხ ე რ ი ს მთავარანგელოზის ეკლესიისა

67. ფიცარზე ნახატი ხატი იოანე ნათლისმცემლისა, 16,2×13 სმ.

68. ფეშხუმი, რომლის ზედა ნაწილი ვერცხლისაა, ძირი კი სპილენძისა, აქვს წარწერა ტატუ ჩიქოანისა, XIX ს.

## X. ნივთი ს პ ა თ ა გ ო რ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

69. ავანდასტა ბრინჯაოსი, ძირდაზიანებული.

## XI. ნივთები მ ც ხ ე თ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

70. წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 92×55 სმ. შეჭედილობა — შემოძარცული.

71. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ფიცარი 30,5×22 სმ შეჭედილობა — შემოძარცული.

72. ხატებიდან დარჩენილი შეჭედილობის ნაშთი: ერთი მოზრდილი და დანარჩენი წვრილ ნატეხებად (ისინი ეკუთვნიან, ალბათ, № 70—71-ს).

73. ჯვარი ხისა, 42,7×25,5 სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული წინა მხარეს ჯვარცმით, ხოლო მეორე მხარეს დაზიანებული ასომთავრული წარწერით: ჯვარი ძლიერ დაზიანებულია: იგი დამტვრეულია, გარდა ამისა, მას მეორე მხარეს მოგლეჯილი და დაკარგული აქვს ძირა ნაწილის ფურცელი. ჯვართან არის სპილენძის ბუშტი.

74. ჯვარი რკინისა, 27×17 სმ შეჭედილი ვერცხლით, დაფერილი ოქროს წყალში, შეჭედილობა ბევრ ადგილას აყრილია და დაკარგული.

## XII. ნივთები ლ ა ც ო რ ი ი ს წმ. კვირიკეს ეკლესიისა

75. ვედრების კარედი ხატის შუა ნაწილი შეჭედილობის ნაშთით, 9,8×7,4 სმ.

76. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, 27,2×20,8 სმ.

77. ბარძიმი ტყვიისა მხედრული წარწერით, რომელიც იხსენიებს გულქან დედოფალს.

ჩავიბარე: ირ. სონღულაშვილი

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ლეჩხუმის ისტორიული ნივთებისა

ნივთები ნ ა კ უ რ ა ლ ე შ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

(ოქმი № 2, 1930 წლის ივლისის 28)

53. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 37×29,2 სმ ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა.

54. ფიცარზე ნახატი იოანე მახარებლის ხატი, შეჭედილი დაბალი ლითონით 32×27,6 სმ, დაზიანებული.

55. ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის ხატი, შემკული ვერცხლის აშიებით, რომლებიც ოქროს წყალშია დაფერილი, 31,7×26,3 სმ.

56. ფიცარზე ნახატი ჯვარცმის ხატი, 34,5×27,7 სმ.

57. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 18,4×14,1 სმ შეჭედილი ვერცხლით, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი და შემკული 11 თვლით (აკლია 2 თვალი) და მარგალიტის მძივებით (აკლია). ხატს აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა.

58. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 16,5×12,2 სმ.

59. გულსაკიდი მცირე ხატი მრგვალი ფორმისა ვერცხლის წინაპირით, რომელსაც აქვს წარწერა მანოდრია ელისაბედის ხსენებით.

60. ოდიკი იმპერატორ პავლე პეტრეს ძის დროის.

61. დაფარნა, დაზიანებული.

ნივთი მ ა ხ ა შ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა.

62. ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 20,5×16 სმ, ძლიერ დაზიანებული.

ნივთები ო რ ხ ვ ი ს წმ. გიორგის ეკლესიისა

(ოქმი № 3, 1930 წ. ივლისის 31)

63. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის სალაშქრო ხატი, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, 38 (ტარითვე) × 31 სმ, დაზიანებული: მარჯვენა გვერდის და ქვედა აშია მოცილებულია და დაკარგული.

64. ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი და სხვ. ხატი, 17,4×14,4 სმ.

65. ზანა-მძივები 1 ასხმულა (7 ცალი).

იარაღი მ უ რ ი ს ციხისა

66. ზარბაზანი, წონით 60 ფუთი, შემკული სახეებით.

67. ზარბაზანი, წონით 10 ფუთი, სპარსული წარწერით.

იარაღი ო რ ბ ე ლ ი ს ციხისა

68. ზარბაზანი, წონით 10 ფუთი, ტუჩმოტეხილი.

ნივთები ო რ ბ ე ლ ი ს ეკლესიისა

69. ფიცარზე ნახატი მაცხოვრის ხატი, 104×71,5 სმ, დაზიანებული.

70. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ჯვარცმის ხატი, 50×39,5 სმ, ძლიერ დაზიანებული.

71. ფიცარზე ნახატი მთავარანგელოზის ხატი, 58,5×41,8 სმ. შეჰედილობა სულ მოცილებული აქვს.

72. სპილენძის ბუკი, დაზიანებული.

ნივთები წამოღებული ლ ა ჯ ა ნ ი ს კოლმეურნეობის სკოლიდან

73. რკინის მშვილდი, 120 სმ სიგრძით.

74. რკინის ორკაპი, საომარი იარაღი, დიდი ზომისა.

ნივთი ლ ა ჯ ა ნ ი ს გელოვანების ეკლესიისა

75. სამღვდელმთავრო შესამოსიდან (?) დარჩენილი მაცხოვრის ხატი მცირე, ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.

ჩავაბარე: გიორგი ბოჭორიძე

ჩავიბარე: ტ. ჯაფარიძე

ე. ნიკოლაძე

## სია ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ეთნოგრაფიული ნივთებისა

### I. ნივთები ო ყ უ რ ე შ ი ს ეკლესიისა

1. გურზი, რკინისა 3 ცალი, მათში ორი მთელი, მესამეს რამდენიმე ფრთა მოტეხილი აქვს.
2. ისარი რკინისა, ბრტყელი, ორკაპიანი — 1 ცალი.
3. ზრო (ისრის წვერი) რკინისა: ბრტყელი, ორკაპიანი — 1 ცალი.
4. მშვილდის ლარი რკინისა.
5. ოთხკაპა.
6. დამბაჩა, დაზიანებული.

### II. ნივთი მ ც ხ ე თ ი ს ეკლესიისა

7. ზრო (ისრის წვერი) რკინისა, ბრტყელი, 1 ცალი.

### III. ნივთი, შემოწირული ლ უ ხ ვ ა ნ ო ს სკოლის გამგის ვარლამ კოპალიანის მიერ

8. ზრო (ისრის წვერი) ბრტყელი, აღმოჩენილი მურის ციხის მიდამოებში, ძირს.

### IV. ნივთები ზედა ლ უ ხ ვ ა ნ ო ს შტუროს ეკლესიისა

9. ზრო (ისრის წვერი) რკინისა, ბრტყელი, დიდი ზომისა, 5 ცალი.
10. ზრო (ისრის წვერი) რკინისა, ბრტყელი, პატარა ზომისა, 1 ცალი.
11. ზრო (ისრის წვერი) რკინისა, ბრტყელი, ოთხკუთხი ზომისა, 2 ცალი.
12. ხმლის ვადის (?) რკინა, 1 ცალი.

### V. ნივთები ზ ე დ ა ლ უ ხ ვ ა ნ ო ს ღვთისმშობლის ეკლესიისა

13. ორბოძალი რკინისა, ცალპირდაზიანებული.
14. ზრო (ისრის წვერი) რკინისა, ბრტყელი, 2 ცალი.

### VI. ნივთი, წამოღებული ო რ ბ ე ლ ი ს შვიდწლედიდ.

15. ჯაჭვის პერანგი.

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ლ. ბოჭორიშვილი

I. წიგნი კიბაბეულის მაცხოვრის ეკლესიისა

1. კონდაკი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

II. წიგნის ნაშთი ლუხვანის ეკლესიისა.

2. რომელიმე საეკლესიო წიგნიდან დარჩენილი 4 ფურცელი.

III. წიგნები ლაბეჭინის ეკლესიისა (ოქმი № 6, 1926 წ. აგვისტოს 20).

3. ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

4. კურთხევანის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

5. დავითნი, ნაწილობრივ ხელნაწერი და ნაწილობრივ ნაბეჭდი ფურცლებით მრავალფურცელნაკლები.

IV. წიგნი საირმის უდაბნოს ეკლესიისა (ოქმი № 7, 1926 წ. აგვისტოს 20).

6. მარხვანი, ხუცურად ნაწერი, მრავალფურცელნაკლები, დაზიანებული.

V. წიგნები თაბორის ეკლესიისა

7. ოთხთავი ეტრატზე ხუცურად ნაწერი, მახარებლების ხატებით, 22×16×15 სმ, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

8. დავითნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

9. დავითნი, დაბეჭდილი, აქვს ხელნაწერი ფურცლები, დაზიანებული.

10. საეკლესიო წიგნი რომელიმე, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, მრავალფურცელნაკლები.

11. ოთხთავი, ხუცურად ნაწერი, ბოლოს ფურცლები აკლია, დაზიანებულია, 11 $^1/_4$×8 $^3/_4$× 2 სმ.

VI. წიგნები ზედა აღვის ეკლესიისა

12. სახარება-სამოციქულოს ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

13. კონდაკის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

14. რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, 13 ფურცელი, ეტრატზე ხუცურად ნაწერი.

16. რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.
17. რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.
18. რომელიმე საეკლესიო წიგნის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

### VII. წიგნები წამოღებული ლ ა ი ლ ა შ ი ს თემალმასკომის საწყობიდან

19. კურთხევანი, ხუცურად ნაწერი, წინა ყდას გადაკრული აქვს ეტრატზე ნაწერი ფურცელი.

20. კონდაკის ნაშთი, ხუცურად ნაწერი.

21. რომელიმე საეკლესიო წიგნიდან დარჩენილი ფურცლები (ერთი მათგანი ეტრატია).

### VIII. წიგნი ჭ ა შ ლ ე თ ი ს ეკლესიისა

22. მცირე ზომის წიგნი, რომელიც შეიცავს 14 ნახატს (ფერადებით) ათორმეტ დღესასწაულთა და სხვა.

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ტ. ჯაფარიძე

ჩაბარებას დავესწარით: 1. ნიკოლაძე ევსევი

2. ჯაფარიძე ზინაიდა

## სია ლეჩხუმის ძველი სტამბის წიგნებისა

### I. წიგნები ლ ა ჯ ა ნ ი ს გელოვანების ეკლესიისა

1. კონდაკი, დაბეჭდილი თბილისს, 1710 წ., დაზიანებული, ფურცელნაკლები.

2. სხვადასხვა საეკლესიო წიგნების ნაშთი მინაწერებით.

ჩავაბარე: გიორგი ბოჭორიძე

ჩავიბარე: დ. ჯაფარიძე

ე. ნიკოლაძე

## ᲡᲘᲐ ᲡᲘᲒᲔᲚ-ᲒᲣᲯᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲥᲘᲕᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ

### I. საბუთი ლაილაშის ქართველთა ეკლესიისა

1. საბუთი დაწერილი ქვაზე: 44 ½×30 ½×5 სმ. გატეხილი ორად, საბუთი იხსენიებს გიორგი ლაშხიშვილს.

### II. საბუთები, შემოწირული სოფ. ტყაჩირის მცხოვრებ თეიმურაზ გიორგის ძე აგიაშვილის მიერ

2. ნასყიდობის, თავდებობის და სხვადასხვა წიგნები და სხვადასხვა საბუთები XVIII—XIX სს. სულ 93 ცალი.

3. ა. საარქივო მასალა — 35 ცალი.

ბ. მცირე ბარათები — 1 ქისა.

### III. საბუთი შემოწირული სოფ. მაჩიტოურში მცხოვრებ გიგაშვილის მიერ

4. სიგელი მიცემული გენათელ მიტროპოლიტის ეფთვიმეს მიერ ნიკოლოზ გიგაშვილისათვის.

### IV. საბუთი გურნის ეკლესიისა

5. შეწირულობის წიგნი ანუ ნუსხა

### V. სხვადასხვა ეკლესიებიდან მოგროვილი მასალა.

6. ალსარების სიები — ერთი კონა.

### VI. საბუთი შემოწირული სოფ. ოყურეშის მცხოვრებ ნიკიფორე უგრეხელიძის მიერ

7. წყალობის წიგნი ყურაშვილის ხოსიასი 1828 წ..

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ტ. ჯაფარიძე

ჩაბარებას დავესწარით: 1. ნიკოლაძე ევსევი

2. ჯაფარიძე ზინაიდა

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

### განცხადებები, მოხსენებები, ბარათები, ოქმები

**1.**

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

პროფ. ივ. ჯავახიშვილს

გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რაჭა-ლეჩხუმში არქეოლოგიური მიზნით მოგზაურობის დროს ცაგერში გადმომცეს რომ ს. ოყურეშის მცხოვრებ ერასტი ნიკოლოზის ძე არჯევანიძეს (ასლანიკაშვილს) აქვს მის მიერ თავის მამულში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები. მე აღნიშნულ სოფელში მისვლისთანავე ვიკითხე ხსენებული პირი, ვნახე და ვთხოვე ნივთების ჩვენება. მან მაჩვენა ნივთები და მიამბო, რომ იგინი აღმოჩნდა ოყურეშს ზევით, ე. წ. ღაჯის ძირზე ადგილს, სადაც უწინ ყორე იყო 3 საჟ. სიგრძით და 2 საჟ. სიმაღლით და გარშემო ტყე ჰქონდა. ტყე გავტეხე და ყორეც ავიღე კარგა ხნის წინათ, დაახლ. 1924 წ. იქ აღმოჩნდა ეს ნივთებიო. ვთხოვე მოყიდვა. კარგა ხნის საუბრის შემდეგ შევთანხმდით. მე გავურიგდი მას ხუთ თუმნად, რომლის ანგარიშში საწინდრად მივეცი 10 მან და დანარჩენი ოთხი თუმნის კი გაგზავნას დავპირდი ტფილისიდან. ამის შემდეგ ჩავიბარე ნივთები და ჩამოვიტანე ტფილისს.

საჭიროა ამ საქმისათვის განაღდებული იქნეს ზემოხსენებული თანხა ხუთი თუმანი.

გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

1925 წ. აგვისტოს 26

ქ. ტფილისი

2.

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის გამგეს

ცენტრარქივის თანამშრომლის

გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უკანასკნელი ორი მოგზაურობის დროს (აგვისტოს 8—31 და ოქტომბრის 25 ნოემბრიდან 12-მდე) რაჭა-ლეჩხუმში მე მოვაგროვე ისტორიული ნივთები და ხელნაწერი წიგნები, რომლებიც სათანადო სიებისა და ოქმის შედგენით ჩავაბარე ქუთაისის მუზეუმსავე. მოგროვილ ნივთებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს:

ა. აგარის ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის შესანიშნავი ხატიდან დარჩენილი ფიცარი (126 $^1/_2 \times 75$ $^1/_2$ სმ) შემკულობის ნაშთით.

ბ. ხონჭიორის ჯვარცმის ხატის ნაშთი ხუთი მინანქრიანი ხატით, დაზიანებული, X—XI სს.

გ. ხონჭიორის სახარებიდან დარჩენილი ყდა ერთი მინანქრიანი ხატით, X—XI სს.

დ. ხვამლის მთის ძველი ეკლესიიდან დარჩენილი ორი წარწერიანი ქვა, რომელიც იხსენიებს ვინმე უცნობ ერისთავთერისთავს, X—XI სს.

ე. ჭაშლეთის ეკლესიიდან — სამხატვრო მცირე წიგნი (დედანი) თორმეტი ფერადი ნახატით ათორმეტ დღესასწაულთა და სხვა. XVII—XVIII სს. და სხვ. ყველა ამათი და სხვათა მოგროვება და ჩამოტანა განსაკუთრებულ შრომასა და ზრუნვას მოითხოვდა: ჩამოტანის ხარჯი გავწიე მე. ამ ხარჯიდან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი აანაზღაურა ქუთაისის მუზეუმმა, ხოლო უდიდესი ნაწილი ისევ აუნაზღაურებელი დარჩა. ამის გამო, გთხოვთ, ზემოხსენებული შრომისა და ხარჯის საფასურად მომცეთ ერთდროული დახმარება 60—70 მან.

ცენტრარქივის თანამშრომელი გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

1926 წ. ნოემბრის 17-ს.

8.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგეს

ამავე განყოფილების ინსპექტორის

გიორგი ბოჭორიძის

მოხსენება

რაჭის მაზრა. თანახმად მინდობილობისა (მანდარი სახ. გან. კომისარ. ა. წ. ივლისის 14 თარიღითა და 14915 №-ით) მე დავათვალიერე და აღვწერე რაჭის მაზრა, მოვაგროვე ნაწილი ისტორიული ნივთებისა, ჩამოვიტანე ქუთაისს და დროებით შესანახად ჩავაბარე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. რაჭის მაზრის ისტორიული ძეგლებისა და ნივთების უმეტესი ნაწილი დაცული იყო ხელუხლებლად, მხოლოდ ერთი ნაწილი უკანასკნელი წლების სიგრძეზე დაზიანებულა და ზოგი დაღუპულა კიდეც.

ბოლო ხანებში სიძველეთა დაცვის საქმე რაჭის მაზრაში მაზრის აღმასკომის დახმარებით და მაზრის აღმასკომისვე მიერ სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებულად რაჭაში დანიშნული ვლად. მესხის მეოხებით უკვე საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო. მაზრის აღმასკომში სიძველეების დაცვის საქმეს ამჟამად სათანადო ყურადღება ეპყრობა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, უკანასკნელი წლების ზიანიც, რომელიც მოუვიდა სიძველეთა საქმეს რაჭაში. ზიანი ისტორიულ-მონუმენტალურ ძეგლთა შორის:

ა. ამბროლაურის შესანიშნავი ეკლესია, აღშენებული „მეფეთ მეფის გიორგის" მიერ XVI ს-ში საძირკვლამდე დაუქცევია ადგილობრივ თემაღმასკომის თავმჯდომარეს სერაპიონ ფანჯიკიძეს.

ბ. ხოტევის შესანიშნავი ფრესკებიანი ეკლესიისათვის ყოფილ საბჭოს თავმჯდომარეს არჩიპო კაციტაძის განკარგულებით სახურავი მოუხდიათ (ადრევე), ხოლო ეხლანდელ თემაღმასკომის თავმჯდომარეს გრიგოლ ენუქიძეს შენობა მთლად საძირკვლამდე დაუქცევია. ნანგრევებში მრავალ ქვას შერჩენილი აქვს მხატვრობა და მეტად ცოცხალი მხატვრობა მოსჩანს (დაქცევა მომხდარა ამ ორი თვის წინათ).

გ. ხოტევის შესანიშნავი ციხე საშენებელ მასალად უქცევიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ხოლო მაზრის რწმუნებულის ცდით იგი შეუჩერებიათ.

დ. ზემო კრიხის ფრესკებიან-ჩუქურთმაწარწერებიანი ეკლესია ამ ერთი კვირის წინათ დაუზიანებიათ: მინა ნასარიძეს გადმოუგდია მისი ტრაპეზის ქვა, ხოლო მიშა და ბიკენტი ნასარიძეებს ჩამოულეწიათ დასავლეთის კარი.

ე. სორის ფრესკებიანი ეკლესია სატუსაღოდ უქცევია ადგილობრივ აღმასკომს. მის შესანიშნავ სიძველეთაგან, რომელნიც აღწერილი აქვს მოქ. უვაროვას თითქმის ყველა დაღუპულა. ამაში ბრალი უდევთ ადგილობრივ თემაღმასკომის თავმჯდომარე ალექსი კბილაძეს და მდივანს ალექსანდრე ცხკარაძეს. ხის დიდ ჯვარს ვერცხლის შემკულობა შერჩენილი აქვს მხოლოდ სიმაღლის ხეზე, დანარჩენი სულ დაკარგულია; ხატებიდან მხოლოდ ნატეხებიღა ვიპოვნე. მათში პირის მხარე აღარცერთს არა აქვს მთელი, ხოლო მეორე მხარეს ზოგს შერჩენილი აქვს წარწერები. ბიზანტიური ხელოვნების გვირგვინი, რომელზედაც მოქ. უვაროვა წერს, ადრევე დაკარგულა. ზემოხსენებულ პირთავე მოუსპიათ აგრეთვე დიდი ტანის ეტრატზე ნაწერი გულანი, რომელსაც ჰქონდა მრავალი ისტორიული მინაწერი, რასაც ექვთიმე თაყაიშვილი განცვიფრებაში მოუყვანია. იგი გაუტანიათ ადგილობრივ კოოპერატივში და სახვევ ქაღალდად გამოუყენებიათ. ეს განადგურება მომხდარა წარსულ ზამთარს.

ვ. შემდეგ, ზემო კრიხის ეკლესიის მთავარი ნივთი — ხატი მთავარანგელოზისა ძლიერი დაზიანებით იყო ჩატანილი ამბროლაურის საწყობში, ხოლო თვით ეკლესიაში ეყარა 3—4 ძველი ხატების ნატეხები.

ზ. ნახევრად განადგურებული აღმოჩნდა ნივთები ზნაკვისა, ქედისუბნისა, მოტყიარისა, ჰელიშისა და ნიკორწმიდისა: ნიკორწმინდის მინანქრიანი ჯვარი, მეფეთა და მღვდელმთავრების წინ სატარებილი დაეშალათ სამად: ჯვარი, ჯოხი და შუბი, უკანასკნელი სულ დაეკარგათ, ჯოხი აღმოჩნდა აღმასკომში შკაფის თავზე, ხოლო შესანიშნავი ჯვარი ჩაეგდოთ ერთ დიდ ყუთში სხვა უბრალო ნივთებთან ერთად (შანდლები, კანდელები და სხვ.), სადაც იგი დაზიანებულიყო. მინანქრის ხატები მახარობლებისა ავარდნაზე არის; გარდა ამისა, ზოგიერთი ვერცხლზე ნაჭედი ხატები ფიცრიდან აეყარათ და ზოგი მათგანი ნაგლეჯებად დამხვდა.

სიძველეთა დაცვა რაჭის მაზრაში დღეის იქით მგონია, რომ უზრუნველყოფილი იყოს: ადგილობრივ რწმუნებულს ვლადიმერ მესხს ჩემს მისვლამდე მოეწყო დაცვის აპარატი, მე მხოლოდ რამდენიმე

პირი მივუმატე რწმუნებულთა რიცხვს, რომელთა სიასაც ამასთანავე ვარდგენ.

ჩამოტანილ ნივთთა შორის აღსანიშნავია:

ა. ნიკორწმინდის ეკლესიიდან: სპილოს ძვალზე ნაკვეთი დასაკეცი ხატი ღვთისმშობლის მიძინებისა, კონდაკოვის აზრით XI ს. ხელნაწერი წიგნები 16 ცალი.

ბ. ჰელიშის ეკლესიიდან: ხელნაწერი წიგნები 18 ცალი.

გ. ხონჭიორის ეკლესიიდან: ეტრატზე ნაწერი სახარება ორი მახარობლის ხატით და ბოლოზე სიგელით.

დ. ბოსტანას ეკლესიიდან: ეტრატზე ნაწერი საეკლესიო წიგნი.

ე. მრავალძალის ეკლესიიდან: ეტრატზე ნაწერი საეკლესიო წიგნი.

ვ. ონის ხაზინიდან: ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლზე ნაჭედი ხატები ეკლესიიდან; ძველი ხელნაწერი ორი ცალი.

ზ. სორის ეკლესიიდან: დიდი ჯვარი ხისა, რომელსაც ვერცხლის შემკულობა შერჩენილი აქვს მხოლოდ სიმაღლის ხეზე; მარგალიტებით შემკული ოლარი (დაზიანებული, თვალნაკლები); რკინის მუზარადი უჯაჭვოდ.

თ. ბარაკონის (წესის) ეკლესიიდან: ჯვარი ათონის ხელოვნების თორმეტი სადღესასწაულო ხატებით.

თ. ამბროლაურისა და ბუგეულის თემების ეკლესიებიდან: ვერცხლზე ნაჭედი ხატები ძველი ხელოვნებისა.

ი. ონის სამაზრო პარტკომიდან: ჯაზაირი და ზამბულაკი ტოლას მცხოვრებ დიმიტრი ყიფიანის ოჯახიდან წამოღებული და სხვ.

დასასრულ საჭიროა:

ა. გადადებულ იქნეს 100—150 მანეთი ნიკორწმინდის ეკლესიის სახურავის შესაკეთებლად.

ბ. პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი შემდეგი პირნი: ხოტევის ფრესკების ეკლესიის დამაქცეველნი: ყოფილი საბჭოს თავმჯდომარე არქიპო კაციტაძე (ეკლესიის სახურავის მოხდისათვის) და ეხლანდელი თემალმასკომის თავმჯდომარე გრიგოლ ენუქიძე (ეკლესიის საძირკვლამდე დაქცევისათვის).

ზემო კრიხის ეკლესიის დაზიანებისათვის: მიშა და ბიკენტი ნასარიძეები (დასავლეთის კარების ჩამოლეწვისათვის) და მინა ნასარიძე (ტრაპეზის ქვის გადმოგდებისათვის).

სორის ეკლესიის ნივთების განადგურებისათვის: ყოფილი რაიაღმასკომის თავმჯდომარე ალექსი კბილაძე და მდივანი ალექსანდრე ცხვარაძე.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების
ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი

გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ე
1925 წ. აგვისტოს 9-ს

ქ. ტფილისი

### 4.

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის გამგეს
ცენტრარქივის თანამშრომლის

გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

უკანასკნელი მოგზაურობისას (ოქტ. 25-დან ნოემბრ. 13-მდე) რაჭაში კიდევ ვნახე ისტორიული ნივთები და ხელნაწერი წიგნები, რომელთა გადმოტანა მუზეუმში აუცილებელ საჭიროებად დავინახე (ზოგი მათგანი აღმასკომებში იყო, ზოგი კი ღია ეკლესიებში იატაკზე ეყარა). მე მოვაგროვე ყველა ესენი, ჩამოვიტანე ქუთაისში, ავწერე, დავნომრე და სათანდო ოქმის შედგენით ჩავაბარე ქუთაისის მუზეუმს.

დანართი: ოქმი და სიები ჩაბარებული ნივთებისა და წიგნებისა 3 ფ.

ცენტრარქივის თანამშრომელი გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

1926 წ. ნოემბრის 17

### 5.

ცენტრარქივის დირექტორს თანამშრომელ გ ი ო რ გ ი
ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

თანახმად მინდობილობისა (მანდატი განათლების სახალხო კომისარიატისა ა. წ. ივლისის 13. № 16751) მე ჩავედი ქუთაისში ადგილობრივ მუზეუმში მიბარებული ისტორიული ნივთებისა და წიგნების აღ-

საწერად და ხსენებული მუზეუმისათვის ჩასაბარებლად. აღწერას და დანომრას შევუდექი ივლისის 20-ს და დავასრულე აგვისტოს 6-ს. ამის შემდეგ სიები გადავეცი დასაბეჭდად, ხოლო სანამ ისინი დამზადდებოდა, მე ვისარგებლე შევებულებით და აგვისტოს 7-ს წავედი სამგზავროდ წარწერების გადასაღებად, მოვიარე ოკრიბა, რაჭა, ლეჩხუმი; შევაგროვე მრავალი წარწერა.

ამ მოგზაურობისას რამდენიმე ადგილს შემხვდა შესანიშნავი ისტორიული ნივთები, ზოგი მათგანი ნახევრად განადგურებული იყო. თუმცა ამისათვის დრო სრულებით არ მქონდა, მაგრამ მაინც იძულებული ვიყავი მათი სამუდამოდ დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით გამეწია შრომა და ხარჯი და წამომეღო მუზეუმში დასაცავად; ჩამოვიტანე ისინი ქუთაისში და 17 ნომრად შევიტანე ძველად მოგროვილი ნივთებისავე სიაში (ისტ. ნივთ. რაჭისა № 96—105. ლეჩხ. 49—52. ხელთნაწ. რაჭ. № 60. ლეჩ. № 22, საარქ. მასალა № 7; სულ 17 ნომერი); მათში განსაკუთრებული მნიშვნელობისანი არიან:

ა. აგარის ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის შესანიშნავი ხატიდან დარჩენილი ფიცარი ($196\,{}^1/_2 \times 75\,{}^1/_2$ სმ) შემკულობის ნაშთით.

ბ. ხონჭიორის ჯვარცმის ხატის ნაშთი ხუთი მინანქრიანი ხატით, დაზიანებული X—XII სს.

გ. ხონჭიორის სახარებიდან დარჩენილი ყდა ერთი მინანქრიანი ხატით, X—XII სს.

დ. ხვამლის მთის ძველი ეკლესიიდან დარჩენილი ორი წარწერიანი ქვა, X—XII ს., რომელიც იხსენიებს ვინმე უცნობ ერისთავთერისთავს.

ე. ჭაშლეთის ეკლესიიდან — სამხატვრო მცირე წიგნი (დედანი) თორმეტი ფერადი ნახატით ათორმეტ დღესასწაულთა და სხვ. XVII—XVIII სს. და სხვ.

ქუთაისში დაბრუნებისას სიები დაბეჭდილი დამხვდა; მათი შედარების შემდეგ ყველა აღწერილი ნივთები ჩავაბარე მუზეუმს; მათში არის. ისტორიული ნივთები —

| | |
|---|---|
| რაჭისა | 105 ნომერი. |
| ლეჩხუმისა | 52 „ |
| იმერეთისა | 209 „ |
| სულ — | 366. |

ხელნაწერი წიგნები —

| | | |
|---|---|---|
| რაჭისა | 60 | ნომერი. |
| ლეჩხუმისა | 22 | „ |
| იმერეთისა | 104 | „ |

ს უ ლ — 186.

ძველი სტამბის წიგნები — 6 ნომერი 6.
სიგელ-გუჯარი და სხვ. საარქივო მასალა 7 ნომერი 7.

ს უ ლ 565 ნომერი.

ვადა აღწერისა და ჩაბარებისათვის მოცემული მქონდა 14 დღე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქმის დაწყების დღიდანვე დღეში 17—18 საათს ვმუშაობდი, მაინც ამ ვადაზე შეუძლებელი გახდა საქმის დასრულება: აღწერას და დანომრას დასჭირდა 18 დღე (ივლ. 20-დან აგვ. 6-მდე), ჩაბარებას 3 დღე (აგვ. 13-დან სექტ. 2-მდე); სულ ერთად 21 დღე. ასე რომ, ჩემი შვებულებიდან ერთი კვირა ამ საქმეს მოუნდა. ოთხი წლის განმავლობაში ერთი თვე ავიღე შვებულება და ისიც შემოკლებულ მექმნა. დროის სიცოტავემ და ხელმოკლეობამ ხელი შემიშალა და იმერეთის უდიდესი ნაწილი მოსავლელი დამრჩა.

თანამშრომელი გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე.
1926 წ. სექტემბრის 8.

**8.**

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის გამგეს, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს.

საბჭოს წევრის გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარსულ ზაფხულს საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიქმენ დას. საქართველოში ადგილობრივ დარჩენილი ისტორიული ნივთების მოსაგროვებლად და მუზეუმში გადმოსატანად (მანდატი განათლების სახ. კომისარიატისა 1930 წ. ივნისის 16, № 1—2—21.

დავალება შევასრულე: მოვიარე რაჭა და ლეჩხუმი, მოვაგროვე ისტორიული ნივთები, ხელნაწერი წიგნები და სხვა, სათანადო აღწერით 275 ნომრად ჩავაბარე ქუთაისის მუზეუმს. მათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. ვერცხლის სასმისი (რიტონი), შემკული მშვილდ-ისრითა და შუბებით მეომარი ხალხის სურათებით, უძველესი ხანისა (№ 178).

2. ბრინჯაოს ხატი მთავარანგელოზისა, XIII ს. (№ 155).

3. ვერცხლზე ნაჭედი მთავარანგელოზების ხატები, შემკული წარწერებით მიქელე ფურთუხ და ივანე გარაყანიძეთა, XIII ს. 3 ცალი (№ 113, 114 და 115).

4. ტილოზე ზეთიანი წამლით ნახატი პატარა კახის სურათი, XVIII ს. (№ 262).

5. ვეფხისტყაოსანი ნაწერი შესანიშნავი ხელით, XVI—XVII სს. (№ 115).

6. ტიმოთეს მოგზაურობა, XVIII ს. (№ 91 და სხვა).

ამათში მესამე ნომრით აღწერილს გარდა, ყველა ახლად არის აღმოჩენილი.

ამავე მოგზაურობის დროს ვნახე მრავალი ახალი მონუმენტური ძეგლი, რომელიც წინა მოგზაურობათა დროს არ მენახა; ესენია: ფარასეთი, პიპილეთი, სომიწაი, შოუბანი, გორისუბანი, ბარეული, საკაო, მეჭვრეთი და სხვ.

ისტორიული ძეგლების საქმე ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრებით რაჭაში, საშინელ მდგომარეობაში იყო: ზოგი ძეგლი დაქცეულია, ზოგი მიწასთან გასწორებულია. მაგ., საძირკვლამდე დაუნგრევიათ სხვავის წარწერიან-ქანდაკებიანი ეკლესიის ნანგრევი XII ს. თლუღის მოხატული ეკლესია XVII ს. საშენებელ მასალად დაუნგრევიათ მეჭვრეთის გალერეებიანი ეკლესიის ნანგრევი; სახურავი გადაუხდიათ საშუალო საუკუნეების ძეგლებისათვის: ქვედა ყოშხის, შოუბნის, სომიწოს ეკლესიებისათვის; გაუთხრიათ აკლდამები ღადიშის, ბარაკონის, დერჩის ეკლესიებისა. ასეთივე ბედი სწვევიათ ძეგლების ნაშთებს: ხოტევის 1924 წელს დაქცეული ეკლესიიდან (XVII ს.) დარჩენილი 9 წარწერიანი ქვა, 1925 წელს აღრიცხული ჩემ მიერ, 1927—1928 წლებში სკოლის შენობისათვის მოუხმარებიათ. შაორის დანგრეული ეკლესიის კანკელის შესანიშნავი ჩუქურთმებიანი ხუთი ქვიდან (XV—XVI სს.). ერთი ადგილობრივ მცხოვრებ ანტონ ჭიჭინაძეს (ბუხრის თავზე დაუდევს, ორი კი კალატოზს ბიჭია ქემოკლიძეს წაუღია სოფ. თლუღს ბუხრისთვისვე და მრავალი სხვა.

არც სიძველეებს დაჰყრიათ ხეირი. ჩემ მიერ 1925 და 1927 წლებში აღრიცხულიდან ერთი თვალსაჩინო ნაწილი აღარ აღმოჩნდა და აღმოჩენილიც ნაწილობრივ ძლიერ დაზიანებულია. ეს დაზიანება მომხ-

დარა 1927—1930 წლებში. მაგ., სულ განადგურებულია ჭიორას, საირმეს, ქედისუბნის, ბარეულის, ხიმშის, გორისუბნის, გომის, საკაოს, სომიწოს, სევას და მრავალი სხვ. ადგილის ნივთები. დასადნობად წამოუღიათ ორბელის და ლაჯანის ზარბაზნები 2 ცალი (12 და 15 ფუთი), XVIII ს. ძლიერ დაუზიანებიათ სხვავის ცნობილი ჯვარი (3,2×1,5), XIII ს. ღების შესანიშნავი ხატები 3 ცალი, იმავე საუკუნის, წესის ჯვარი და სხვა; პირველს (სხვავის ჯვარს) შეჭედილობიდან ზედ მხოლოდ პატარა ნაგლეჯებილა შერჩენია.

მიზეზი ასეთი ზარალისა არის სიძველეთა დაცვის საქმის მოუწყობლობა...

სიძველეთა დაცვის რწმუნებულთა შორის ყოფილან ისეთები, რომელნიც თვითონ მეთაურობდნენ თურმე და მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ისტორიული ძეგლების დაქცევა-განადგურებაში. მაგ., თლუღის XI ს.

შესანიშნავი ძეგლის დაქცევაში მეთაური ყოფილა ადგილობრივი რწმუნებული მასწ. კონდრატი ციმაკურიძე, სხვავის რწმუნებულის ვიქტორ გაბუნიას არავითარი ზომები არ მიუღია ადგილობრივი XII ს. ეკლესიის და XIII ს. ცნობილი ჯვრის დასაცავად: „არ ვიცოდი, თუ რა მევალებოდაო“; არ უზრუნია წარწერიანი ქვების დაცვაზე არც ხოტევის რწმუნებულს გრიშა ქემოკლიძეს და სხვა.

დღეს ღიად დამხვდა ბუგეულისა და დერჩის ეკლესიები, უკანასკნელში აკლდამებია გათხრილი და ყველაფერი მიყრილ-მოყრილია და საშინელი სიბინძურეა შიგ, რაც რწმუნებულთა უყურადღებობით აიხსნება.

ყველა ამისათვის მოხსენება გადავეცი საქართველოს მუზეუმის დირექტორს...

გიორგი ბოჭორიძე
1930 წ. ოქტომბრის 18-ს

## 7.

## მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორს

თანახმად დავალებისა (მანდატი ცაკისა 29/III—34 წ. № 42131) მე შალვა აბრამიშვილთან ერთად მოვიარე რაჭა-ლეჩხუმი. მოვაგროვე ისტორიული ნივთები და ჩამოვიტანე ტფილისს. მუშაობის პირობები მეტისმეტად მძიმე გვქონდა: საშინელი წვიმიანი ამინდი ხელს გვიშლიდა მოგზაურობაში; გარდა ამისა ცაგერის რაიონის ხელისუფლებამაც რამოდენიმედ დაგვიბრკოლა საქმე. ამ კუთხის რაიკომის მდი-

ვანმა სიმონ ჰელიძემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ გიორგი სვანიძემ მუშაობის ასპარეზი შეგვიზღუდეს. რომელიმე სოფლის დათვალიერებისათვის ყოველთვის დიდის თხოვნისა და ვედრების შემდეგ იძლეოდენ ნებას. მიზეზად ასახელებდენ ვითომდა ხალხის გაღიზიანების შიშ-საფრთხეს, ნამდვილად კი არავითარი ასეთი არ არსებობდა; მათ ტყუილუბრალოდ გაგვაწვალეს თვითეულ სოფელზე ცალკე ნებართვის აღებით. უკანასკნელ მათ დაგვაბრკოლეს ცაგერის ისტორიული (ვაზის) კარის წამოღების საქმეში; რაიაღმასკომის ჩვენების მიხედვით მე ეკლესია დავათვალიერე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე სამსონ მახარობლიძის თანადასწრებით. ეკლესია 1924 წელს აქეთ დაკეტილია; გასაღები ჰქონდა ადგილობრივ მნათე სოფრომ ლიპარტელიანს. ამ უკანასკნელს მოველაპარაკე მე ისტორიული კარის ტფილისში გადმოტანაზე. იგი თანახმა გახდა, თუ სამაგიერო კარს შევაბამდი; კარი გავაკეთებინე (დაჯდა 250 მან.) და ამმას ვუპირობდი, რომ რაიკომის მდივანი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე წინააღმდეგი წავიდნენ: ეს ხალხში აღელვებას გამოიწვევსო და სხვა მრავალი, ტყუილუბრალოდ; არავითარი აღელვება ამაზე არ იქნებოდა; ხალხს არც კი ახსოვს ეკლესია; და ბოლოს კარი იქვე დარჩა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რაიკომის მდივანი ს. ჰელიძე 1930 წელს ამბროლაურის რაიონში იყო პარტკომის მდივნად; მან მაშინ ამიკრძალა და არ დამანება ნიკორწმინდისა და სხვა ადგილების სიძველეების წამოღება იმ მიზეზით, რომ სიძველეებს ტფილისში რა უნდა, ჩვენ აქ ამბროლაურში უნდა გავხსნათ მუზეუმიო; ხოლო მისმა ხელქვეითმა ნიკორწმინდის უჯრედის მდივანმა პორფილე გურგენიძემ მაშინ სიძველეებში 5000 მანეთი მოითხოვა სასყიდლად. ამის შემდეგ მოხდა უბედურება და ნიკორწმიდა დაიღუპა (გაძარცვეს) და სხვა. ს. ჰელიძე ცენტრის მიწერილობას ყოველთვის ეწინააღმდეგება (ამ დარგში); იგი ეხლა ამბობდა: მე ცეკას ბრძანება არ მიმიღია სიძველეების შეგროვების საქმეზე და თუნდაც მივიღო არ შევასრულებო; როცა ტფილისში ჩავალ, მაშინ მივსცემ პასუხსაო; ასე დიდ კაცად წარმოუდგენია თავისი თავი ამ პირს. სხვა (ონისა და ენუქიძის) რაიონებში ხელისუფლება პირიქით ძლიერ დაგვეხმარა; მათ ზოგიერთ ადგილებში (მრავალძალი და სხვა) საგანგებოდ კაცებიც კი გამოგვაყოლეს და ყოვლის მხრივ ხელი შეგვიწყეს მუშაობაში, რისთვისაც უღრესი მადლობის ღირსნი არიან.

მე ვაწარმოვე შემდეგი სამუშაოები: პირველი — სიძველეების შეგროვება, მეორე — ძეგლების დაცვა და მესამე — უცნობი ძეგლების აღრიცხვა.

სიძველეთა შეგროვების საქმე ხსენებულ კუთხეებში თითქმის მთლიანად შესრულებულია გარდა ისეთი დიდი საქმეებისა, რომლებიც საგანგებო თანხასა და საგანგებო მუშაობას მოითხოვდა.

მონუმენტალური ძეგლები 1930 წელს აქეთ უმეტეს ნაწილად ლეჩხუმში დაზარალებულა: აქ 1932 წელს სამშენებლო მასალად დაუქცევიათ ოყურეშისა და ლაჯანის ეკლესიები; ორივე მთლიანად ვერ აუღიათ და დღეს ნახევრად დაქცეულები ნანგრევებში დგანან; პირველის მასალა ადგილობრივ სკოლის საძირკვლისათვის უხმარიათ, ხოლო მეორისა კი კოლმეურნეობის მარნისათვის.

რაჭაში 1934 წელს საშინლად დაუზიანებიათ საკაოს წმ. გიორგის ეკლესიის შესანიშნავი ქანდაკებები წმ. გიორგისა ქვებზე (პირისახე მოუსპიათ).

სიძველეები ლეჩხუმში უმეტეს ნაწილად გადარჩენილა, ხოლო რაჭაში კი თითქმის სულ დაღუპულა. ლეჩხუმში დაღუპულია მცხეთისა და ლუხვანოს ჭედვითი ძეგლები ლაჯანას კანკელის მხატვრობა, დახატული ვინმე დავით „ქართველი" ბეჟუაშვილის მიერ 1797 წელს; ხოლო რაჭაში მთლად განადგურებულა სხიერისა, მრავალძალისა, ნიკორწმინდისა, გორისა და ღადიშის სიძველეები.

სხიერის ჭედვითი ძეგლებიდან აგლეჯილი ვერცხლი აღმოჩნდა სახბანკის ონის განყოფილებაში, სადაც გადაუციათ ადგილობრივი ტორგსინის მაღაზიიდან; იგი დაბეჭდილი და გამზადებული ჰქონდათ ტფილისს გადმოსაგზავნად № 29 ყუთში, რომელიც ჩვენის თხოვნით გახსნეს; მასში აღმოჩნდა 1 კგ და 70 გრ. ვერცხლი 14—98 კაპ. ღირებულებისა; მას მახლობელ ხანში გზავნიდნენ ტფილისს.

მრავალძალიდან ყაჩაღების მიერ ვერცხლეული სულ წაღებულია, გადარჩენილია მხოლოდ ჯალალედინის (?) ხმალი (უტაროდ), მუზარადი და ქარახსები (ყანწები).

ნიკორწმიდის ძეგლების შეჭედილობიდან აღარაფერი შენახულა; მინანქრიანი ჯვრისა კვალიც აღარა ჩანს.

რაც შეეხება მონუმენტალური ძეგლების დაცვას, მრავალი მათგანი, უპატრონობისა გამო, დაღუპვის გზაზე დამდგარა: ზოგს სახურავი სულ გადახდილი აქვს, ზოგს დამპალი; წვიმა გასჯდომია ზოგიერთ მოხატული ეკლესიების თაღებს და მათ დაქცევას ლამობს; მაგ., ფარახეთისა, სხიერისა, ბარისა და სხვა ძეგლები.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი აღმოჩენა: ლეჩხუმის სოფ. ჩხუტელში დიმიტრი როსტომის ძე ჩარკვიანის ეზოზე დევს ყურძნის საქაჯავი ქვა; მისივე სახლში აღმოჩნდა საქაჯავის მთელი მოწყობილობა. ხსე-

ნებული პირი თანახმაა გაყიდოს იგი და აფასებს მას 1500 მანეთს; იგივე ერთ დიდ ნავს ყიდის 1000 მანეთად და სხვა.

ასეთივე საქაჯავი მოწყობილობა მთლად გამართულივე, რომელიც თურმე დღესაც ხმარებაშია, ჰქონია ოკრიბაში სოფ. მანდიკორის მცხოვრებ კირილე ჩხიკვაძის ოჯახს და სხვა.

დასასრულ საჭიროა გაკეთებულ იქნას შემდეგი:

1. დახსნილ იქნეს სახბანკიდან ონის განყოფილების მიერ № 29 ყუთით გადმოგზავნილი სხიერის ძეგლების ვერცხლის ნაშთი წონით 1 კგ 70 გრ. 14—98 კაპ. ღირებულებისა.

2. მიეწეროს ცაგერის რაიაღმასკომს ცაგერის ეკლესიის ვაზის კარის მუზეუმში გადმოგზავნაზე, რომლის სამაგიერო კარი უკვე გაკეთებულია ჩემ მიერ და ეკლესიაში არის შეტანილი და მას მხოლოდ აბმადა ესაჭიროება; მისი ალპანამდე გადმოგზავნის თანხაც (50 მან.) ჩემ მიერვე გადაცემული აქვს ქალაქის საბჭოს თავ-რეს სამსონ მახარობლიძეს. ხოლო ხსენებული კარის გადმოტანის დამაბრკოლებელნი რაიკომის მდივანი სიმონ ჭელიძე და რაიაღმასკომის თავ-რე გიორგი სვანიძე პასუხისგებაში იქნენ მიცემული; პირველს მოეკითხოს აგრეთვე ნიკორწმიდის სიძველეების დაღუპვის საქმეც.

3. მიეწეროს ენუქიძის რაიაღმასკომს, რათა მან თლუღის მცხოვრებ ანტონ ივანეს ძე ჭიჭინაძეს თავის (ჭიჭინაძის) ხარჯზე ჩამოახსნევინოს მის მიერ ბუხარზე დადებული შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა XVI ს. და გადაატანინოს იგი დასაცავად ნიკორწმინდის ეკლესიაში, ხოლო თვით ეს პირი (ჭიჭინაძე) მისცეს პასუხისგებაში. ჯერ ერთი, შაორზე მიწით დაფარული შესანიშნავი ისტორიული ძეგლის გათხრისა და მისი მასალისაგან სახლის აგებისათვის, რაც მოხდა 1924—1927 წლებში, ხოლო მეორე, იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, რომ მიუხედავად ჩემი მიერ 1927 წელს გაფრთხილებისა, როდესაც მე საგანგებოდ მივედი და გამოვუცხადე მის ოჯახს, რომ ჩუქურთმიანი ქვები შენობაში არ დაეტანებინათ, მან მაინც 1927—1930 წლებში ერთი საუცხოო დიდი ჩუქურთმიანი ქვა ბუხარს დაატანა და დღესაც იქ უდევს და სხვა.

4. გადაწყვეტილი იქნეს საკითხი ლეჩხუმის ორი ეკლესიის — ცაგერისა და უცხერის ფიცარზე ნახატი კანკელის ხატების გამოტანისა თუ ადგილობრივ დატოვებისა; პირველში არის 30-მდე ასეთი ხატი, მეორეში 20-მდე; ორივეგან ისინი ჩამოხსნილია და ცაგერში ეკლესიის დასავლეთის ნაწილში ინახება (კედელზე აყუდებით), ხოლო უცხერში კი სხვენში ყრია.

5. გადადებულ იქნეს 1500 მან. ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელის მცხოვრებ დიმიტრი როსტომის ძე ჩარკვიანისაგან საქაჯავი მოწყობილობის შესაძენად და თუ საჭიროა აგრეთვე ერთი ნავისათვის 1000 მან.

6. გადადებულ იქნეს 700 მან. იმავე რაიონის სოფ. ნაკურალეშის მოხატული ეკლესიის სახურავის შესაკეთებლად, რომელზედაც ცნობა გადმომცა ზუბის თაკ-რე პარმენ ყურაშვილმა.

7. გადადებულ იქნეს 1000 მან. იმავე რაიონის მცხეთის გუმბათიანი ეკლესიის შესაკეთებლად და დასახურავად: კედლები დარღვეულია და დასავლეთის კედელს რკინით გადაბმა დასჭირდება; სახურავი (თუნუქა) აყრილია და იქვე ინახება.

8. გადადებულ იქნეს 400—500 მან. ცნუქიძის რაიონის ნიკორწმინდის ძეგლის სხვადასხვა საჭიროებისათვის, სახელდობრ:

1. დასავლეთის კარიბჭის ჩრდილოეთის ბუხრის ამოსაშენებლად ოსტატისათვის 100 მ.

2. იმავე კარიბჭის კარის თავზე რკინების გასაკეთებლად 100 მან.

3. ძეგლის გარეშემო რუს შემოსავლებად წყლისათვის 100 მან.

4. სამი მოზრდილი კლიტის შესაძენად. .... 100 მან. და სხვა.

9. გადადებულ იქნეს 3000 მან. იმავე რაიონის სოფ. ბარის და სხვა ციხისლიანთ უბნის ღვთისმშობლის, საბუკის მაცხოვრის და ჭბოს მთავარანგელოზის მოხატული ეკლესიების სახურავებისათვის.

10. გადადებულ იქნეს დაახლოებით 3100 მან. ონის რაიონის საკაოს წმ. გიორგის ეკლესიის დაქცევისა და მისი ქანდაკებიან-წარწერებიანი ქვებისა და სხვა საისტორიო მასალის მუზეუმში წამოღების მიზნით: იგი ყოველმხრივ ძლიერ დარღვეული არის და დღეს-ხვალ დაქცევასა და ქანდაკებიან-ჩუქურთმიანი ქვების დალეწვას ლამობს, ამიტომ უკეთესია იგი წინასწარკე დაიქცეს და მისი ისტორიული მნიშვნელობის ქვები და კარები (რკინის სალტეებგადაკრული) მუზეუმში იქნეს გადმოტანილი.

11. გადადებულ იქნეს 500 მან. იმავე რაიონის გლოლის ე. წ. „ბერის“ მოხატული ეკლესიის სახურავისათვის.

12. გადადებულ იქნეს 1500 მან. იმავე რაიონის უწერის ეკლესიის სახურავისათვის.

13. გადადებულ იქნეს 1000 მან. იმავე რაიონის სხიერის მოხატული ეკლესიის სახურავისათვის.

14. გადადებულ იქნეს 1000 მან. იმავე რაიონის ფარახეთის მოხატული ეკლესიის სახურავისათვის.

15. მიეწეროს ენუქიძის რაიაღმასკომის სიძველეთა დაცვისათვის ყოველწლიური საკმაო ბიუჯეტის შექმნისათვის, რაც დღემდე შესრულებული არ არის.

16. მიეწეროს მასვე, რათა ნიკორწმინდის ძეგლის ყარაულს ივლიანე კანდელაკს, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე ჰელიშის ძეგლების დაცვაც, გაუდიდდეს ხელფასი 60—70 მანეთამდე თვეში და მიეცეს მას წარსული თვეების ხელფასი, რომელიც არ მიუღია 1933 წლის აპრილის 1-დან.

17. მიეწეროს მასვე ბარაკონის ეკლესიის ასაფეთქებელი ნივთიერებისაგან და ჰელიშის ეკლესიის საფუტკრე მოწყობილობისაგან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

18. მიეწეროს მასვე ენუქიძისა და სხვავის დაქცეული ეკლესიების წარწერიან-ქანდაკებიანჩუქურთმიანი ქვების მოგროვებისა და წესიერი დაცვისათვის.

19. გაეგზავნოს რწმუნებულობის მანდატი, ინსტრუქცია და დებულება ცაგერის რაიონის სოფ. ლუხვანოს თემის რწმუნებულს ვარლამ კოპალიანს.

20. გაეგზავნოს რწმუნებულობის მანდატი ენუქიძის რაიაღმასკომის განათლების განყოფ. გამგეს და სიძველეთა დაცვის რაიონის რწმუნებულს ვალ. გაგოშიძეს.

21. გაეგზავნოს რწმუნებულობის მანდატი იმავე რაიონის ბარის მცხოვრებ მინა გრძელიძეს.

22. გაეგზავნოს რწმუნებულობის მანდატი იმავე რაიონის ხონჭიორის რწმუნებულს ტრიფონ სანებლიძეს.

23. გაეგზავნოს დებულება და ინსტრუქცია იმავე რაიონის ჭრებალოს რწმუნებულს მირონ გაგოშიძეს.

24. გაეგზავნოს დებულება და ინსტრუქცია იმავე რაიონის წესის რწმუნებულს გიორგი გოგობერიშვილს.

25. გაეგზავნოს ინსტრუქცია იმავე რაიონის სადმელის რწმუნებულს ვენედიქტე ჩიკვაიძეს.

გ ი ო რ გ ი  ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

1934 წლის მაისის 8-ს

ქ. ტფილისი.

## 8. ოქმი

შედგენილი 1934 წელს მაისის 22 დღეს

საქ. მუზეუმის თანამშრომლის გ. ბოჭორიძის მიერ, რაჭიდან ჩამოტანილი ისტორიული ნივთების მეტეხის ხელოვნების მუზეუმისათვის გადასაცემად.

მე საქ. მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ მეტეხის მუზეუმის თანამშრომელ შალვა აბრამიშვილთან ერთად, რაჭიდან ჩამოვიტანე და მეტეხის ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების სექტორის გამგე პროფ. გიორგი ჩუბინაშვილს ჩავაბარე ისტორიული ნივთები აღწერილი 3—58 ნომრით.

მე, მეტეხის ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების სექტორის გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ხსენებული ნივთები ჩავიბარე სრულად. ჩაბარებას დაესწრნენ შალვა აბრამიშვილი და იროდიონ სონღულაშვილი.

ნივთების აღწერები, შედგენილი დაწვრილებით გარკვევით გ. ბოჭორიძის მიერ დართული აქვს ოქმს ორთავეს ხელმოწერით.

ჩავაბარე: გ: ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

ჩავიბარე: ირ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

ჩაბარებას დავესწარი:

## 9. ოქმი

შედგენილი 1934 წლის მაისის 22 დღ. საქ. მუზეუმის თანამშრომლის გ. ბოჭორიძის მიერ რაჭიდან ჩამოტანილი მხატვრული ძეგლის მეტეხის ხელოვნების მუზეუმისათვის ჩასაბარებლად.

მე, საქ. მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ მეტეხის მუზეუმის თანამშრომელ შალვა აბრამიშვილთან ერთად, რაჭიდან ჩამოვიტანე და მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორს დიმიტრი შევარდნაძეს ჩავაბარე ფერადებით ტილოზე ნახატი სურათი იოსებ გელოვანისა, 38,5×35,5 სმ, XIX ს. დასაწყისისა, შემოწირული სოფ. ძირაგეულში მცხოვრები, ხსენებული პირის შვილის შვილის აბელ სვიმონის ძე გელოვანის მიერ.

მე, მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა დიმიტრი შევარდნაძემ ხსენებული სურათი ჩავიბარე. ჩაბარებას დაესწრო შალვა აბრამიშვილი.

ჩავაბარე: გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

ჩავიბარე: დ. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე

ჩაბარებას დავესწარი:

## 10. ო ქ მ ი

შედგენილი 1934 წ. მაისის 26 დღესა საქ. მუზეუმის თანამშრომლის გ. ბოჭორიძის მიერ რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ეთნოგრაფიული ნივთების იმავე მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებისათვის ჩასაბარებლად.

მე, საქ. მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ მეტეხის მუზეუმის თანამშრომელ შალვა აბრამიშვილთან ერთად, რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოვიტანე და ეთნოგრაფიულ განყოფილებას ჩავაბარე ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები რაჭისა „16“ ნომერი, ლეჩხუმისა „15“ ნომერი.

მე, ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელმა ლიუბა ბოჭორიშვილმა ხსენებული ნივთები ჩავიბარე სრულად.

ნივთების სიები შედგენილი დაწვრილებით და გარკვევით გიორგი ბოჭორიძის მიერ დართული აქვს ოქმს ორთავეს ხელის მოწერით.

ჩავაბარე: გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

ჩავიბარე: ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი

## 11. ო ქ მ ი

შედგენილი 1926 წლის სექტემბრის 2 დღესა, თანდასწრებით განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის გ. ბოჭორიძისა, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორის ტრ. ჯაფარიძისა და ამავე მუზეუმის თანამშრომლის ე. ნიკოლაძისა, გ. ბოჭორიძის მიერ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთიდან ჩამოტანილი ისტორიული ნივთებისა, ხელნაწერი და სტამბის წიგნებისა და სიგელ-გუჯრების

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის გადასაცემად. (მანდატი განათლების სახ. კომისარიატისა 1926 წ. ივლისის 13, № 16751).

მე, განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა გ. ბოჭორიძემ ჩავაბარე ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორს ტრ. ჯაფარიძეს ჩემ მიერ მოგროვილი: ისტორიული ნივთები — რაჭისა 105 ნომერი, ლეჩხუმისა 52 ნომერი, იმერეთისა 209 ნომერი; ხელნაწერი წიგნები რაჭისა —60 ნომერი, ლეჩხუმისა 22 ნომერი, იმერეთისა — 104 ნომერი, ძველი სტამბის წიგნები — 6 ნომერი; სიგელ-გუჯრები და სხვა საარქივო მასალა — 7 ნომერი. მე ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორმა ტრ. ჯაფარიძემ ზემოხსენებული ნივთები, ხელნაწერები და ძველი სტამბის წიგნები და სიგელ-გუჯარი და საარქივო მასალა ჩავიბარე სრულად. მე მუზეუმის თანამშრომელი ე. ნიკოლაძე ჩაბარებას დავესწარი.

ნივთებისა, ხელნაწერი და ძველი სტამბის წიგნებისა, სიგელ-გუჯრებისა და საარქივო მასალის სიები, შედგენილი დაწვრილებით და გარკვევით გ. ბოჭორიძის მიერ, დართული აქვს ოქმს სამთავეს ხელის მოწერით (დანართი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8).

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ტ. ჯაფარიძე

ჩაბარებას დაესწრო: 1. ნიკოლაძე ევსევი

2. ჯაფარიძე ზინაიდა

## 12. ოქმი

შედგენილი 1926 წლის ნოემბრის 13-სა დღესა, თანდასწრებით განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის გიორგი ბოჭორიძისა და ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორის ტრიფონ ჯაფარიძისა და ამავე მუზეუმის თანამშრომლის ევსევი ნიკოლაძისა.

მე განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა გიორგი ბოჭორიძემ რაჭიდან ჩამოვიტანე და ქუთაისის მუზეუმს ჩავაბარე ისტორიული ნივთები აღწერილი 106—112 ნომრებით და ხელნაწერი და ბეჭდური წიგნები აღწერილი 61—66 ნომრებით. მე ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორმა ტრიფონ ჯაფა-

რიძემ ზემოხსენებული ნივთები და წიგნები ჩავიბარე სრულად. მე, ევსევი ნიკოლაძე ჩაბარებას დავესწარი.

ჩავაბარე: გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

ჩავიბარე: მუზეუმის დირექტორი ტ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ჩაბარებას დავესწარი: მუზეუმის ზედამხედველი

ე ვ ს. ნ ი კ ო ლ ა ძ ე

## 13. ო ქ მ ი

1930 წლის აგვისტოს 13 დღესა, მოხდა ჩაბარება გიორგი ბოჭორიძის მიერ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთიდან ჩამოტანილ ისტორიული ნივთებისა, ხელთნაწერ წიგნებისა და სხვ. ქუთაისის მუზეუმისთვის, რომელსაც დაესწრნენ განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი გიორგი ბოჭორიძე, ქუთაისის მუზეუმის დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე და ზედამხედველი ევსევი ნიკოლაძე.

მე, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა გიორგი ბოჭორიძემ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთიდან ჩამოვიტანე და ქუთაისის მუზეუმს ჩავაბარე ისტორიული ნივთები, ხელნაწერი და ძველი სტამბის წიგნები და სხვა, რომელთა სიაც ამასთანავე დაერთვის. მე, ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა, ტრიფონ ჯაფარიძემ ხსენებული ნივთები ჩავიბარე სრულად. მე, მუზეუმის ზედამხედველი, ევსევი ნიკოლაძე ჩაბარებას დავესწარი.

ჩავაბარე: გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ე

ჩავიბარე: ტ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ჩაბარებას დავესწარი: ე ვ ს ე ვ ი ნ ი კ ო ლ ა ძ ე

## 14.

სიძველთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის
განყოფილების გამგეს

ამავე განყოფილების ინსპექტორის
გ ი ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ლეჩხუმის მაზრა. თანახმად მინდობილობისა (მანდატი სახ. განათლ. კომისარ. 1925 წ. ივლ. 14, № 14915) დავათვალიერე და აღვწე-

რე ისტორიული ძეგლები და ნივთები ლეჩხუმის მაზრისა, გარდა ზემო სვანეთისა, ნაწილი ნივთებისა ჩამოვიტანე და ჩავაბარე ქუთაისის მუზეუმს.

ისტორიულ ძეგლთა შორის რამდენიმე დაზიანებული აღმოჩნდა:

1. ნაკურალეშის ფრესკებიანი ეკლესიისათვის მოუცლიათ ე. წ. „საქალებო" ნაწილი, რომელიც ფიცრისა ყოფილა და ეკლესიის ამ ნაწილს (დასავლეთის კედლის გარეთა) ფრესკები უსახურაოდ არის; თვით ეკლესიასაც სახურავი სულ აღარ უვარგა, დამპალია მთლიანად.

2. დერჩის ფრესკებიანი ეკლესიისათვის მოუხდიათ სახურავი და დღეს მას თითქმის არაფერი არ ხურავს*.

ორივე ეს ისტორიული ძეგლი განადგურების გზაზე დგას და საჭიროა სასწრაფოდ მათი გადახურვა.

3. ხვამლის მთის კლდეზე გადმოკიდებული გამოქვაბულები ვინმე ბოროტმოქმედთ უთხრიათ განძის პოვნის მიზნით.

4. ლაბეჭინის ფრესკებიან და მრავალწარწერიან ეკლესიას სკოლად უპირებდნენ გადაკეთებას, ხოლო მის ეგვტერს, რომელსაც კარების თავზე აქვს აღმაშენებლის ინასარიძის ასომთავრული წარწერა, დანგრევას და სოფლის წყაროს შენობისათვის მასალად გამოყენებას, რაც შეჩერებული იქნა ჩემს მიერ, „ერთი კვირით მოგვისწარიო" — მითხრეს.

ისტორიულ ნივთთა შორის დაღუპულა:

ა. 1910 წ. ოყურეშის უძველესი ხანის ხატი ხვამლის წმ. გიორგისა, 141 $^3/_4 \times 83$ სმ. გაუძარცვავს სოფ. ოფიტარის მცხოვრებ კოსტა ივანეს ძე ასლანიკაშვილს (აუყრია ხატისათვის ოქროსა და ვერცხლის შემკულობა და ძვირფასი თვლები) და ეს ნაძარცვი სპარსეთში გაუყიდნია პირველის ამხანაგს სოფ. ტვიშის მცხოვრებ ტიტიკო ჯანსუღის ძე ასათიანს. დღეს ხატიდან ცარიელი ფიცარიღა დგას შემდეგი ხანის ვერცხლის არშიებით და წარწერებით.

ბ. 1918 წ. სვანეთში გაუძარცვავთ ფაყის ეკლესია, საიდანაც წაუღიათ ძველი ნივთები ოქრო-ვერცხლისა.

გ. 1923 წ. ზედა ლუხვანოს შტუროს მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველეთაგან დაღუპულა ხელნაწერი ევფუთი.

---

* ნაკურალეშისა და დერჩის ძეგლების გადასახურავად ფრესკების გადარჩენის მიზნით, განყოფილებამ უკვე გაუგზავნა ლეჩხუმის მაზრის აღმასკომს 70 მანეთი.

დ. ამავე წელს დაღუპულა ცაგერის ეკლესიის ორი ხელნაწერი სახარება, რომელთგან ცარიელი ყდებიღა ვიპოვნე, ერთ მათგანს შერჩენილი აქვს ორი ბოლო ფურცელი (მინაწერით).

ე. ამავე წელს ნამარნევის ნათლისმცემლის უდაბნოს ეკლესიიდან დაღუპულა დიდი ტანის ხელნაწერი გულანი ისტორიული მინაწერებით, ხელნაწერი ევფუთი და სხვ.

ვ. ამავე წელს ლაილაშის ეკლესიაში დაუმსხვრევიათ და სულ ნაწილ-ნაწილ უქცევიათ ამავე ეკლესიის ხატი წმ. გიორგისა, მისი ერთი ნაწილი (ნალეწებად) ჩამოიტანა ადრევე გ. ჯაკობიამ, ხოლო მე ვიპოვე კიდევ რამდენიმე სახე ხეზე ნაკვეთი.

ზ. ამავე წელს ლაბეჭინის ეკლესიიდან ვინმე ბოროტმოქმედთ მოუპარავთ ძვირფასი ხატი მთავარანგელოზისა, დაახლოებით 12×10 ვერშოკის ზომისა, შემკული 18 ძვირფასი თვლით.

ɵ. 1924 წ. ვინმე ბოროტმოქმედთ დაუწვავთ ეკლესია (ფიცრისა), მასში ყოფილა სხვათა შორის ძველი დიდი ჯვარი, შეჭედილი ოქროთი თუ ვერცხლით.

თ. ამავე წელს საირმეს უდაბნოს ეკლესიიდან სოფ. საირმესვე მცხოვრებ გიორგი ილარიონის ძე ხუციძეს გამოუტანია და დაუკარგავს ნახევარ ალაბზე მეტი ბოქლომი, ძველი ფორმისა, ხუცური წარწერით.

ამჟამად სიძველეთა დაცვის აპარატი მაზრაში უკვე მოწყობილია. მაზრის რწმუნებული ერმილე გაბიანი და მისი თანაშემწე ილარიონ კოპალიანი სამკურნალოდ იყვნენ წასულნი სვანეთში და ვერც ერთი ვერ ვნახე. მოგზაურობისას გავიგე, რომ რამდენიმე ადგილას მათ ჰყვანდათ რწმუნებულები, მაგრამ ვნახე ადგილები, სადაც იყო ისტორიული ძეგლები და ნივთები, რწმუნებულები კი არ იყვნენ და ამისთანა ადგილებში მე ავირჩიე რწმუნებულები, რომელთა სია ამასთან ერთვის.

მაზრიდან ჩამოტანილ ისტორიულ ნივთთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. ცაგერის ეკლესიიდან — ვერცხლით ნაკერი სარტყელი მღვდელმთავრისა.

2. ოყურეშის ეკლესიიდან: ა. გაძარცული წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი სანთლისა და... ნადუღის ნაწილები თავისა, ხელისა და სხვა სახეებით.

ბ. ლახტი რკინისა — 2 ცალი.

3. ოყურეშს ზევით ლაჯოჩას ძირზე აღმოჩენილი იარაღი, რგოლები და ქვაბები ბრინჯაოსი.

4. ნაკურალეშის ეკლესიიდან: ა. ლახტი რკინისა;

ბ. ისრის ბოლო (ორბოძალი) რკინისა.

5. ორბელის ეკლესიიდან: ა. მშვილდი რკინისა;

ბ. ისრის ბოლო (ორბოძალი) რკინისა;

გ. ლახტი რკინისა, რკინისავე ტარით.

6. თაბორის ეკლესიიდან: ეტრატზე ხუცურად ნაწერი სახარება მინაწერებით.

7. ლაბეჭინის ეკლესიიდან: მუზარადი (დაზიანებული), გადმოცემით ეკლესიის ეგვტერის ამშენებლის ინასარიძისა.

8. საირმის აღმოსავლეთით, 1 კერსზე, ე. წ. კახურაშში აღმოჩენილი ბრინჯაოს კერპი ქალისა.

9. ქ. ცაგერიდან (საქფინგანის სალაროდან) ლაბეჭინის ეკლესიიდან გადმოტანილი დიდი ჯვარი ხისა, ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი და შემკული ვერცხლზედვე ნაჭედი ხატებით.

10. ჭრებალოს საწყობიდან (ჭყვიშის თემაღმასკომისა). ძველი ხატები XIV—XV სს.

დასასრულ საჭიროა:

ა. დაეგზავნოს მანდატები ქვემო დართულ სიაში აღნიშნულ რწმუნებულებს.

ბ. სასწრაფოდ გადადებულ იქნეს თანხა ნაკურალეშის და დერჩის შესანიშნავ ფრესკებიან ეკლესიათა სახურავის დასახურად.

გ. შეკითხულ იქნეს გიორგი ილარიონის ძე ხუციძე მისამართით: Баку, карантийнны, № 5, თუ რა უყო მან საირმის უდაბნოს ეკლესიიდან წამოღებული დიდი ბოქლომი ხუცური წარწერით.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი გიორგი ბოჭორიძე.

1925 წ. აგვისტოს 26-ს.

ქ. ტფილისი.

## 15 ოქმი

შედგენილი 1934 წლის მაისის 22 დღეს საქ. მუზეუმის თანამშრომლის გ. ბოჭორიძის მიერ ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ისტორიული ნივთების მეტეხის ხელოვნების მუზეუმისათვის გადასაცემად.

მე, საქ. მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ მეტეხის მუზეუმის თანამშრომელ შალვა აბრამიშვილთან ერთად ლეჩხუმიდან ჩამოვიტანე და მეტეხის ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების სექტორის გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილს ჩავაბარე ისტორიული ნივთები, აღწერილი 43—77 ნომრით.

მე, მეტეხის ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების სექტორის გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ხსენებული ნივთები ჩავიბარე სრულად. ჩაბარებას დაესწრნენ შალვა აბრამიშვილი და იროდიონ სონღულაშვილი.

ნივთების აღწერები, შედგენილი დაწვრილებით და გარკვევით გ. ბოჭორიძის მიერ დართული აქვს ოქმს ორთავეს ხელისმოწერით.

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე

ჩავიბარე: ირ. სონღულაშვილი

ჩაბარებას დავესწარით:

### დამატებითი სია

ლეჩხუმის მაზრის რწმუნებულებისა სიძველის, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებისა:

1. ლეჩხუმის სამაზრო კომისიის წევრად — სამაზრო პარტკომის წევრი გრიგოლ ჭაბუკიანი.
2. სოფ. ორბელი — თემაღმასკომის მდივანი კიმოთე გვიშიანი და მასწ. ვლადიმერ ბაღსელიანი.
3. სოფ. ოყურეში — ალექსანდრე სოლომონის ძე არჯევანიძე (ასლანიკაშვილი), ამბროსი ჩაკვეტაძე და ნიკიფორე უგრეხელიძე.
4. სოფ. თაბორი — ირაკლი ოტიას ძე ბაკურაძე.
5. სოფ. ლაბეჭინა — იაკობ ბიჭიას ძე ასათიანი.
6. სოფ. დერჩი — შვიდწლედის გამგე მასწ. მექი პეტრეს ძე ასათიანი.
7. სოფ. ისუნდერი — დავით ნემსაძე.
8. სოფ. ზუბი — ასკალონ ჩაკვეტაძე.
9. სოფ. მახაში — გიორგი ახვლედიანი.

სიძვ. ხელ. და ბუნ. ძეგლთა დაცვის განყ. ინსპექტორი

გიორგი ბოჭორიძე

1925 წ. აგვისტოს 26

## შრომაში მოხსენიებული საისტორიო წყაროები და გამოკვლევანი:

| | შემოკლებით: |
|---|---|
